ქართველი მოგზაურები, გეოგრაფები, ბუნების მკვლევარნი

ენციკლოპედიური ცნობარი

ავტორ-შემდგენლები: *ქობა ხარაძე*
შოთა ჯავახიშვილი

„გამომცემლობა განათლება“
თბილისი – 2003

უაკ (UDC) 913.1 (479.22)(03)
ქ. 273

საქართველოს გეოგრაფიის შესწავლის ისტორია საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს. ჩვენი ქვეყნის კულტურის ისტორიაში ნათელი კვალი დატოვეს ქართველმა მოგზაურებმა, გეოგრაფებმა, ბუნების მკვლევარებმა. გეოგრაფიის რიგ დარგებში დღესაც ბევრი მკვლევარი იღვწის. მათი ღვაწლისა და კვლევის საქმიანობას ასახავს წინამდებარე ენციკლოპედიური ცნობარი.

წიგნი განკუთვნილია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის, აგრეთვე, საქართველოს გეოგრაფიის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის.

რედაქტორი კობა ხარაძე

A study of the history of geography spells a long period.In the cultural history of Georgia, a great merit is ascribed to Georgian travellers and geographers studying nature. Nowadays many researchers continue to contribute to geography by tackling a good deal of problems.

This encyclopedic reference book represents their scientific achievements and activities.

The book is designed for learners, students and individuals interested in the history of geography of Georgia.

Editor ***KOBA KHARADZE***

ISBN 99928-0-698-2

© ქ. ხარაძე, შ. ჯავახიშვილი.
„გამომცემლობა განათლება“, 2003

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

გეოგრაფია მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია; წარსულში იგი როგორც მეცნიერება თანამედროვე გაგებით არ არსებობდა. მას აღწერითი ხასიათი ჰქონდა და სახელმწიფოებრივ ინტერესებს ექვემდებარებოდა. ამჟამად მისი ძირითადი ამოცანაა სრულეოფილად შეისწავლოს ქვეყნის სხვადასხვა ნაწილისა და ერთიანი ტერიტორიის ბუნება, მოსახლეობა და მეურნეობა მიზეზ-შედეგობრივ კავშირში.

მოსახლეობის კულტურის დონის უტეუარი მაჩვენებელია თავისი ქვეყნის გეოგრაფიის ღრმა ცოდნა. საქართველოს სადირექტივო ორგანოების მითითებით საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რადიკალურად უნდა გაუმჯობესდეს საქართველოს გეოგრაფიის სწავლება. ამ მხრივ, ჯერ კიდევ ვალშია გეოგრაფიული მეცნიერება სათანადო სასწავლო და დამხმარე ლიტერატურის შესადგენად, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს გეოგრაფიის და, საერთოდ, გეოგრაფიის სწავლების დონის ამაღლებას. ამ მიზნითაც შეიქმნა წინამდებარე ცნობარი, რომელშიც მკითხველი გაეცნობა საქართველოში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას ძველი დროიდან დღემდე.

საქართველოს გეოგრაფიის განვითარების ისტორია საკმაოდ ხანგრძლივ ჰერიოდს მოიცავს. ადამიანთა ცხოვრება და განვითარება გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარეობს და, უეჭველია, მის შესწავლას ადრიდანვე ჩაეყარა საფუძველი. ამ მეცნიერების წინსვლა მაჩვენებელია ერის კულტურული დონისა ეველა ეპოქაში.

ქართველი ერი ადრე დაადგა ცივილიზაციის გზას და თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მეტ-ნაკლებად ეოველთვის ახერხებდა კულტურულ ურთიერთობას სხვა ხალხებთან. საქართველო ხომ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი თავისებურებებითა და სოციალ-ეკონომიკური განვითარებით ინ̇დენად მრავალფეროვანია, რომ მისი ტერიტორიის გეოგრაფიული თავისებურებების შესწავლას დიდ ეურადღებას უთმობდნენ არა მარტო ქართველი სწავლულები, არამედ უცხო ქვეყნების მოგზაურ-მკვლევარებიც. ამ ასპექტის გათვალისწინებით გეოგრაფიული აზროვნება საქართველოში სათავეს იღებს უძველესი ჰერიოდიდან, რაზედაც აშკარად მიგვითითებს დღემდე შემორჩენილი ლიტერატურული და ისტორიული წყაროები.

ძრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ შეიცვალა გეოგრაფიის ამოცანები და ძირითადი. ჩვენი სამშობლოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს ძველმა ქართველმა მოგზაურებმა, მათ არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ეროვნული კულტურის საგანძურში. სამწუხაროდ, ბევრი მათგანის სახელი ისტორიამ არ შემოინახა. ამასთან, ქართველი გეოგრაფები სწავლობდნენ არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელი ქვეყნების ტერიტორიასაც. ამით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ ძველი სამეაროს შესწავლის საქმეში.

საქართველოს გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში განსაკუთრებულია XVIII საუკუნე; არც მანამდე და არც შემდეგ, მთელი XIX საუკუნის მანძილზე, ქართველებს არ ქეუტანიათ ისეთი წვლილი გეოგრაფიული კვლევის დარგში, როგორც ეს მოხდა XVIII საუკუნის მანძილზე. საუკუნის პირველ ნახევარში კულტურის სარბიელზე სამი დიდი მეცნიერი მოღვაწეობდა: სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ მეექვსე და ვახუშტი ბაგრატიონი. XVIII საუკუნის შუა წლებში მოღვაწეობდა კარტოგრაფი, მოგზაური და დიპლომატი ტიმოთე გაბაშვილი, საუკუნის მიწურულს კი, ქართველ მოგზაურთა ჰლეადას შეემატა გამოჩენილი მოგზაურები — იონა გედეანიშვილი და რაფიელ დანიბეგაშვილი. ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომები მთელი საუკუნის მანძილზე გეოგრაფიული ცოდნის ძირითად წყაროს წარმოადგენდნენ.

საქართველოს გეოგრაფიამ განსაკუთრებული აღმავლობა XX საუკუნეში განიცადა. გეოგრაფიული სკოლის მესაძირკველე აკადემიკოსი ალექსანდრე ჯავახიშვილია, რომლის სახელთან დაკავშირებულია გეოგრაფიული დაწესებულებების შექმნა არა მარტო საქართველოში, არამედ მეზობელ ქვეყნებშიც. იგი ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანიცაა. ჯერ კიდევ თსუ-ში მისი თაოსნობით შეიქმნა გეოგრაფიული კათედრები, რომლებმაც არაერთი მაღალი კვალიფიციური კადრები მოამზადა. მისი ინიციატივითა და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება (1924), კარტოგრაფიის ინსტიტუტი (1924-1932), გეოგრაფიის ინსტიტუტი (1933) და სხვა, სადაც მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ქართველ გეოგრაფთა საუკეთესო კადრები. მათ შორის, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ისეთი გეოგრაფები, რომლებმაც არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი შექმნეს და შორს გაუთქვეს სახელი ქართულ გეოგრაფიულ სკოლას. გეოგრაფიულ სკოლას საქართველოში ამშვენებენ ისეთი მკვლევარების სახელები, როგორიცაა ალექსანდრე ჯავახიშვილი, გიორგი გეხტმანი, თეოფანე დავითაია, ლევან მარუაშვილი, ვახტანგ ჯაოშვილი და სხვ. დღესაც წარმატებით მოღვაწეობს ბევრი ღვაწლმოსილი თუ ახალგაზრდა გეოგრაფი (30-ზე მეტი გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი და 130-ზე მეტი გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი) და ბუნების მკვლევარი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მეტად რთულ და საინტერესო ბუნებისა და სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს იკვლევენ. აი, სწორედ წარსულისა და დღევანდელი მკვლევარები გვინდა გავაცნოთ მკითხველს ამ ენციკლოპედიურ ცნობარში, რომელიც ზოგად წარმოდგენას მაინც მისცემს ამ დარგში მომუშავე სპეციალისტთა კვლევაზე — მათ წვლილს ამა თუ იმ საკითხის შესწავლასა და გადაწყვეტაზე — აკადემიკოსები, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორები, გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატები, უკლებლივ უველა მათგანზე მოძიებული იქნა სათანადო მონაცემები და შემლებისდაგვარად წარმოჩენილია წინამდებარე ცნობარში. გამონაკლისის სახით შევიდა ის გეოგრაფები, რომლებიც წლების განმავლობაში მრავალ საკითხზე საექსპედიციო კვლევას ეწევიან და აქვთ სათანადო პუბლიკაციები; მათ შორის, გარკვეული ძიზეზით სადისერტაციო ნაშრომები დაუმთავრებელი აქვთ. ცნობარში გამონაკლისის სახით შევიდა რამდენიმე პიროვნება, რომელთაც გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებასა და მის წინსვლაში გარკვეული როლი მიუძღვით ორგანიზაციულსა თუ მეცნიერთა ხელშეწყობის საქმეში. ცნობარში 470-ზე მეტი პიროვნების მასალაა მოცემული.

ცნობარში მკითხველი შეხვდება მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებს, რომლებიც თავიანთ თავს გეოგრაფებად არ თვლიან; ამ შემთხვევაში მხედველობაში ვიღებთ მათ წვლილს საქართველოს გეოგრაფიის განვითარებასა და კადრების აღზრდის საქმეში. ამაში მკითხველი დარწმუნდება მათ შესახებ დაწერილი ნარკვევების გაცნობის შემდეგ. ამასთან, ნაშრომში შევიდა არაქართველი გეოგრაფები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობდნენ და მთელი მოღვაწეობა საქართველოს ბუნების კვლევას მიუძღვნეს.

ქართულ ენაზე გეოგრაფიული ენციკლოპედიის (პერსონალი) შედგენის პირველი ცდაა, ამიტომ იგი დაზღვეული არ იქნება ზოგიერთი ხარვეზისაგან, თუნდაც შემთხვევით გამორჩენილი მკვლევარების თვალსაზრისით, ან რომელიმე მნიშვნელოვანი ნაშრომის გამოტოვებით. სამართლიან შენიშვნებს კმაყოფილებით მივიღებთ.

გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების ეტაპები საქართველოში

გეოგრაფია მეცნიერების ერთ-ერთი უძველესი დარგია. თავდაპირველად იგი დაუნაწევრებელი იყო და ენციკლოპედიურ ხასიათს ატარებდა; იძლეოდა ცოდნას ამა თუ იმ ტერიტორიის ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის შესახებ. თვით ადამიანთა ცხოვრება და განვითარება გეოგრაფიულ გარემოში მიმდინარეობს და ამიტომაც, უეჭველია, მის შესწავლას ადრიდანვე ჩაეყარა საფუძველი. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ბუნებრივი თავისებურებებით და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ტერიტორიის ცალკეული ნაწილების გეოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლა უურადღების ცენტრში იყო არა მარტო მკვიდრ სწავლულთა შორის, არამედ სხვადასხვა ეროვნების მოგზაურ-მკვლევართა შორისაც.

ქართული გეოგრაფიული ცოდნის განვითარება გაპირობებული იყო საქართველოს ხანგრძლივი ისტორიული წარსულის საზოგადოებრივი (საშინაო და საგარეო) მოვლენებით. ეოველ პოლიტიკურ, სამეურნეო თუ კულტურულ წარმატებას თან სდევდა მეცნიერების დარგთა წინსვლა, მათ შორის აღმავლობას განიცდიდა გეოგრაფიაც. ქართველ გეოგრაფებსა და მოგზაურებს შეესწავლიათ არა მარტო საქართველოს ტერიტორია, არამედ მეზობელ მხარეებზეც ჰქონიათ წარმოდგენა. ამით მათ მართალია, გარკეეული წვლილი შეჰქონდათ ძველი სამყაროს შესწავლის საქმეში, მაგრამ მათი კავშირი დასავლეთ ევროპისა და მაჰმადიანური აღმოსავლეთის ხალხთა გეოგრაფიული ცოდნის ერთობლივ განვითარებასთან ძველად სუსტი იყო. ქართული გეოგრაფიული ხასიათის ნაშრომები საქართველოშიეე რჩებოდა და ზოგჯერ უკვალოდაც ნადგურდებოდა.

ქართველმა ერმა თავისი არსებობა-განვითარების ხანგრძლივი ისტორიული გზა განელო და საკაცობრიო კულტურის საგანძურში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. ამავე დროს, ქართველი ხალხის კულტურული განვითარება ცალმხრივი არ ეოფილა. ამიტომ ჩვენი ერის ისტორია სრული სახით მაშინ წარმოგვიდგება, როდესაც გათვალისწინებული იქნება მისი სასიქადულო შვილების მოღვაწეობაც. ჩვენ ხალხს ჯერ კიდევ შორეულ პერიოდში ჰქონია მიმოსვლა უცხო ქვეენებში; ამიტომ არის, რომ ჩვენი სამშობლოს ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვეს ძველმა ქართველმა მოგზაურებმა, რომლებმაც არაერთი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერეს ეროვნული კულტურის საგანძურში და შორს გაიტანეს საქართველოს სახელი.

გეოგრაფია, როგორც მეცნიერება, XIX საუკუნეში გაფორმდა, მაგრამ იგი ჩამოუყალიბებელი სახით ანტიკური პერიოდიდანვე მომდინარეობს, როგორც ზოგადსაკაცობრიო შემეცნებისა და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესი დარგი. ეოველ, მეტ-ნაკლებად განვითარებულ ქვეყანაში თუ ხალხში, მისი განვითარება თავისი საკუთარი გზებითა და სპეციფიკით ხასიათდებოდა. ეოველ ერს თავისი ისტორიული განვითარების სპეციფიკის შესაბამისად ამ ზოგადსაკაცობრიო საგანძურში საკუთარი წვლილი შეჰქონდა.

ასე იქმნებოდა და იქმნება დღესაც გეოგრაფია ზოგადად, და მისი ეროვნული ფორმები, კერძოდ.

ასე შეიქმნა ქართული გეოგრაფიაც.

მაგრამ როდის? რა წყაროებითა და ფონდებით? რისი და ვისი წვალობით ხდებოდა ეს?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა შეუძლია ქართული გეოგრაფიული ცოდნის ისტორიას, ან, უბრალოდ, — ქართული გეოგრაფიის ისტორიას. აქ უდავოდ ორი მეცნიერების — გეოგრაფიულ და ისტორიულ მეცნიერებათა მიჯნაზე ქმნად დარგთან გვაქვს საქმე.

ქართული გეოგრაფიული ცოდნა სათავეს ანტიკური ჰერიოდიდან იღებს, რასაც ადასტურებს იმდროინდელი უცხოელი ავტორების შრომები; მათში ქართველ მოგზაურთა გეოგრაფიული აზროვნების მრავალი ფაქტია მოეეანილი.

აპოლონ როდოსელის (III საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე) ცნობით, კოლხებს თავიანთ მამა-პაპათგან შემონახული აქვთ კირბები, რომლებზეც მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ეველა გზა და საზღვარი. ლექსიკოგრაფ სვიდას (X საუკუნე) მიხედვით, კირბები გეოგრაფიული რუკები უნდა ეოფილიეო, რასაც გერმანელი მეცნიერი კარლ რიტერიც აღნიშნავდა: „... კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივ-დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს, იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ეოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“.

დღეისათვის იმ უძველესი კირბების ნიმუშები ნაპოვნი არ არის, მაგრამ ვიცით, რომ უთუოდ არსებობდა და მათზე იწერებოდა და იხაზებოდა საჭირო მასალა. გამორიცხული არ არის, რომ არქეოლოგიური ძიების დროს აღმოჩნდეს კარტოგრაფიული მნიშვნელობის მქონე ფორმები და, ეეჭველია, უფრო ადრინდელი დამწერლობის ნიმუშებიც. ამ მხრივ, საეურადღებოა სოფ. ოტობაიაში (გალის რ.) ნაპოვნი დამუშავებული ფილაქვა ნაკაწრებით, რომელიც ამეამად გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

ძველმა ქართველმა ამირჩქარებმა კარგად იცოდნენ არა მარტო შორეულ ქვეეენებში მიმავალი გზები, არამედ იმ ქვეეენების გეოგრაფია და ეკონომიკაც.

VI-IV საუკუნეებში ჩვენს ერამდე კარტოგრაფიამ განვითარება იწეო საბერძნეთში. ამასთან, საქართველოშიც უნდა ჰქონოდათ კარტოგრაფიული ცოდნა, რომლის ჩანასახები ძველ ქართულ ისტორიულ წყაროებშიც შეიმჩნევა; „ქართლის ცხოვრებაში“ ვრცლად არის ლაპარაკი ფარნავაზის დროინდელი (III ს. ჩვ. ერამდე) იბერია-კოლხეთის სამეფოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაწილებაზე, გავრცელებაზე, საზღვრებზე და სხვ. ეოველივე ეს ისეა მოთხრობილი, რომ მათ რაღაც სქემატური გამოსახულებაც უნდა ჰქონოდათ ხელთ.

ვახტანგ გორგასალის (V ს.) და, განსაკუთრებით, დავით აღმაშენებლის

ეპოქაში (XII ს.) იწყება სამეფო საზღვრების დაცვა და განმტკიცება. ამ პერიოდში, ასტრონომიული ცოდნის აღმავლობასთან ერთად, საგრძნობლად უნდა განვითარებულიყო საქართველოს მიწა-წყლის აგეგმვაც. მისი ტოპოგრაფიული და კარტოგრაფიული თვალსაზრისით შესწავლა და ამის საფუძველზე წერილმასშტაბიანი რუკების შექმნისათვის სათანადო ნიადაგიც უნდა შემზადებულიყო, მაგრამ პერიოდულად მტერთა შემოსევები აფერხებდა და ანადგურებდა კულტურისა და ეკონომიკის მიღწევებს. ამით უნდა აიხსნას ის, რომ XVIII საუკუნემდე ქართული კარტოგრაფიული ძეგლები და მოგზაურთა ჩანაწერები თითქმის არ გაგვაჩნია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მათ შესახებ არსებულ ისტორიულ წეაროებს.

გეოგრაფიული მეცნიერების წინსვლას ეთანხმება ასტრონომიული ცოდნის განვითარება ძველ საქართველოში. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ არაბების დროს თბილისში ეოფილა ობსერვატორია, საიდანაც ასტრონომიულ დაკვირვებებს აწარმოებდნენ ცის მნათობებზე. დაკვირვებისათვის კი ხელსაურელი პირობები თბილისის ისტორიულ ციხეში უნდა ეოფილიყო და გადმოცემით, იგი ეგრეთ წოდებულ, შაჰის ტახტში იმეოფებოდა (ამჟამად ნანგრევებია შემორჩენილი).

მეხუთე საუკუნიდან საქართველოში იქმნება რიგი ავიოგრაფიული და სხვა ხასიათის წერილობითი ძეგლები, რომლებშიც უხვადაა გაბნეული გეოგრაფიული ცნობები და ტერმინები, რაც ძველ საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის ფართო ჰორიზონტის უტეუარი მაჩვენებელია. აღნიშნულ პერიოდში და ცოტა მოგვიანებით, უურადღება ექცევა გეოგრაფიულ ნაშრომთა თარგმანს, რაც ხელს უწყობდა გეოგრაფიული აზრის განვითარებას, აცნობდა ქართველ მკითხველს მრავალ უცხო ქვეეანასა და ხალხს.

გეოგრაფიული თვალსაზრისითაც საინტერესოა ქართული ლიტერატურის პირველი ნიმუშის — იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი". წამების ავტორი გვიხასიათებს ქვემო ქართლის ბუნების თავისებურებას, რითაც ქართულ ლიტერატურაში პირველადაა მოცემული გეოგრაფიული ცნობები. ქვემო ქართლისაო, ვამბობთ იმიტომ, რომ თუმცა ცურტავის ადგილმდებარეობის საკითხი მთლად გარკვეული ჯერ კიდევ არაა, მაგრამ უდავოა, რომ მისი ლოკალიზაცია ქვემო ქართლს არ სცილდება.

გეოგრაფიული თვალსაზრისით არანაკლებ საინტერესოა შემდგომი საუკუნეების ლიტერატურული ძეგლები. მათ შორის აღსანიშნავია იოანე წაბანის ძის „აბოს წამება", რომელშიც მრავალფეროვან ცნობებთან ერთად ვხვდებით გეოგრაფიული ობიექტების იმდროინდელ სახელწოდებებსაც, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ძველი ტოპონიმების შესწავლისათვის.

თბილისის ძველი ტოპონიმებიდან დასახელებულია ხაგოდებელი (ძველი თბილისის ერთ-ერთი ნაწილი, ავლაბრის ადგილზე, რომელიც სასაფლაოს ეკავა, ე.წ. დარეჯანის კოშკის მახლობლად). დასახელებულია სხვა ქვეენები და ქალაქები: ბაღდადი, ბაბილონი, ქალდეა, ხაზარეთი, იორდანია, კონსტანტინეპოლი და სხვ.

შემდგომი პერიოდის ლიტერატურული თხზულებებიდან ეურადღებას იქცევს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელშიც უხვადაა

მოცემული გეოგრაფიული ცნობები, და მათ შორის სამხრეთ საქართველოს ძველი ქართული ტოპონიმები (აღნიშნულ ძეგლთან დაკავშირებით ურცელი გამოკვლევა გამოაქვეყნა ჰ. ინგოროყვამ).

IX-X საუკუნეთა შესანიშნავი ლიტერატურული ძეგლია ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება". ამ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ წყაროში მოცემულია იმდროინდელი საქართველოს ეოფა-ცხოვრების, მეურნეობის, საზოგადოებრივი წყობისა და კულტურის დონის ამსახველი მასალაც და, ამასთან ერთად, დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი სამხრეთ საქართველოს ძველი ქართული ტოპონიმები, რომელიც საყურადღებოა ისტორიული გეოგრაფიის თვალსაზრისით.

გარდა ამისა, ყურადღებას იქცევს თარგმნილი ლიტერატურაც, რომლებიც VII-VIII საუკუნებში და შემდგომ არის შესრულებული. მაგალითად, X საუკუნეში მრავალი ნაშრომი ბერძნულიდან თარგმნა ექვთიმე მთაწმინდელმა. საზღვარგარეთის ქართულ კერებში შესრულებული ეს თარგმანები დიდი რაოდენობით შეიცავენ გეოგრაფიულ ცნობებს და პირველ რიგში მოგზაურთა შთაბეჭდილებებს. ამით ქართველი მკითხველი ეცნობოდა სხვადასხვა ქვეყანას და ხალხს, რითაც მდიდრდებოდა ცოდნა უცხო ქვეყნების შესახებ. ამასთან, საზღვარგარეთის ქართულ კერებში იქმნებოდა ორიგინალური ნაწარმოებებიც, ხოლო ზოგ თარგმანს დამატებული ჰქონდა ქართული მასალაც.

X საუკუნეში ითარგმნა მაქსიმე აღმსარებლის თხზულება — „ნეტარისა თალასეს მიმართ". ექვთიმე ათონელის ეს თარგმანი 100 კითხვა-პასუხისაგან შედგება. თარგმანი შეკსებულია ქართული მასალით. მასში ჩამოთვლილი: სემის, ქამისა და იაფეთისაგან წარმოშობილი ერები, მათი გენეალოგია და გეოგრაფიული განფენილობა. როგორც ნაშრომიდან ჩანს, ექვთიმეს აუღია ეპიფანეს შრომა და მასში ქართული ტომებისა და მათი მეზობლების შესახებაც შეუტანია დამატებითი ცნობები. ასე მაგალითად, აქ მოხსენიებული არიან ოსნი, ჯიქნი, აფხაზნი, აგრეთვე რუსნი, თურქნი, ხაზარნი და სხვ. რაც ბერძნულ ტექსტში არ გვხვდება.

ყურადღებას იპყრობს ექვთიმეს სხვა თარგმანებიც, რომლებშიც უხვადაა მოცემული გეოგრაფიული ცნობები. ამით იგი ხელს უწყობდა საქართველოში გეოგრაფიული აზრის განვითარებას. ექვთიმემ დაამკვიდრა ქართულ ლიტერატურაში ისეთი ტერმინი, როგორიცაა ბნელეთი.

ექვთიმეს უთარგმნია ეპიფანე კვიპრელის თხზულება, სადაც შერეულია იპოლიტე რომაელის ქრონიკაც. ნათარგმნი შრომა შეუვსია სხვა წყაროებიდანაც, ხოლო ნაწილი ორიგინალურია. თხზულებაში განხილულია ხალხთა გენეზისის საკითხები და კლასიფიკაცია. ამის გავლენით შეუტანია ლეონტი მროველს თავის თხზულებაში ეროვნული გენეალოგიური საკითხები, სადაც მოცემულია ცდა კავკასიაში მცხოვრებთა და, კერძოდ, ქართველთა ჩამომაყალიბებისა და ნათესაობის გარკვევისა.

ექვთიმე მთაწმინდელმა იმ დროს დიდი როლი შეასრულა ქართველთა კულტურულ ცხოვრებაში, რადგან არაერთი ორიგინალური და თარგმნილი ნაშრომით გაამდიდრა ქართული მწერლობის საგანძური; ამავე დროს მან გააცნო

ბერძენ ხალხს ქართველთა შემოქმედებითი უნარი, ქართული კულტურისა და ცოდნის მაღალი დონე.

ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განლაგების საკითხებით ქართველები ძველთაგანვე რომ ეოფილან დაინტერესებული, ამის მაგალითია თუნდაც, გიორგი სვინგელოზის თხზულება „ადამიანთა წარმოშობის“ შესახებ, რომელიც XI საუკუნეში უთარგმნია არსენ იუალთოელს. ასეთი შრომების თარგმნა იმ ჰერიოდში ქართველთა ფართო გეოგრაფიულ აზროვნებაზე მეტუველებს.

ქართველთა გეოგრაფიული ჰორიზონტის განვითარებას ხელს უწყობდა უცხო ქვეყნებთან სავაჭრო და კულტურული ურთიერთობის დამყარება. მათკენ მიმავალი გზების დეტალური ცოდნა. რუსი ნესტორ ყამთააღმწერელის (XI-XII სს.) ცნობით, XI საუკუნემდე იცნობდნენ ქართველები ინდოეთს, არაბეთს. ხოლო გეოგრაფი მ. ბოდნარსკი აღნიშნავს, რომ ქართველებს სხვა ერებზე ადრე ჰქონიათ დამყარებული კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობა ინდოეთთან, არაბეთთან, რუსეთთან და სხვა ქვეყნებთან. ამასთან, ტაო-კლარჯეთში მოჭრილი ქართული ფული (X ს.) ნაპოვნია რუსეთის ჩრდილო რაიონებსა და ბალტიის ზღვის ნაპირებზე.

XI საუკუნის თხზულებაში, როგორიცაა „მატიანე ქართლისა“ და „ცხოერება და უწყება ბაგრატიონთა“, გვხვდება ეთნონიმები — რუსი და ვარიაგი. ხოლო გიორგი ხუცეს-მონაზონის თხზულებაში (XI ს.) — სლავი და ბორღანი. XI საუკუნის ტაჯიკი მოგზაური ეგვიპტეში ეოფნის დროს იხსენიებს ქართველ უფლისწულებს, რომლებიც თურმე ეგვიპტეში ნილოსის არხის გახსნას ესწრებოდნენ. ქართველი მკვლევარები (რ. მეტრეველი, გ. ლორთქიფანიძე) ფიქრობენ, რომ არხის გახსნას ეგვიპტეში ქართველთაგან ესწრებოდნენ ბაგრატ მეოთხის შვილი გიორგი და მეფის ერთგული ერისთავის შვილები. ამდენად, XI საუკუნეში საქართველოს ურთიერთობა ჰქონია ეგვიპტესთან.

XI საუკუნეში აღმავლობა განიცადა საისტორიო მწერლობამ. საჭირო იეო ქვეყნის ისტორიის აღდგენა და მრავალი ისტორიული საკითხის გარკვევა, რაც ესოდენ აუცილებელი იეო კულტურული ქვეყნისათვის. ეს მისია წარმატებით შეასრულა ჩვენმა ისტორიკოსებმა ლეონტი მროველმა, ჯუანშერმა, უცნობმა მემატიანემ და სხვებმა.

ძველ საისტორიო წყაროებში ეხვდებით ცნობებს მოსახლეობის აღწერის შესახებ. ეს განპირობებული უნდა ეოფილიეო გადასახადების, ხარკის აკრეფის, ბრძოლებში ხალხის გამოყვანისა და სხვა გარემოებათა მოთხოვნით, მაგრამ ასეთი აღწერები ჩვენამდე მოღწეული არ არის. თუმცა, ძველი ისტორიკოსები და მწერლები ასეთ ცნობებსაც გვაწვდიან. ეს მოწმობს იმას, რომ მოსახლეობის აღწერა ადრეულ ჰერიოდშიც წარმოებდა.

წერილობით ძეგლებში, რომლებშიც უხვადაა მოცემული გეოგრაფიული ტერმინები და ცნობები, რაც ძველ საქართველოში გეოგრაფიული ცოდნის მაღალ დონეზე მეტუველებს. ქართველი მწერლების ნაწარმოებებში — ჩახრუხაძის „თამარიანში“, შავთელის „აბდულმესიანში“, განსაკუთრებით, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ — ჩანს მათი ფართო გეოგრაფიული

თვალთახედვა, ხოლო ქართველი ისტორიკოსების თხზულებებში უხვადაა მოცემული გეოგრაფიული ცნობები, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების შესახებ.

XIV საუკუნის დასასრულს, თემურლენგის ტყვეობაში მოხვედრილმა ქართველმა ეფრემმა მოინახულა ინდოეთი, „სანელებელთა კუნძულები" და ცნობილი ვასკო და გამაზე ერთი საუკუნით ადრე შემოუარა აფრიკას.

XVII საუკუნეში კი ნიკოლოზ ირბახმა (ჩოლოყაშვილმა) იმოგზაურა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რომელსაც შთაბეჭდილებათა ჩანაწერებიც ჰქონია ნანახი ქვეყნების შესახებ.

XVIII საუკუნე ქართული გეოგრაფიული აზროვნების აღმავლობის ჰერიოდად ითვლება; განხორციელდა რამდენიმე შორეული მოგზაურობა, დაიწერა საქართველოს გეოგრაფია და ითარგმნა მსოფლიო გეოგრაფია; შედგა საქართველოს ცალკეული მხარეებისა და ერთიანი საქართველოს რუკები.

ვახუშტი ბაგრატიონს გამორჩეული ადგილი უკავია გეოგრაფიული აზროვნების ისტორიაში. იგი სამართლიანად ითვლება ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ფუძემდებლად, XVIII საუკუნის მსოფლიო გეოგრაფთა თვალსაჩინო წარმომადგენლად. ვახუშტის ნაშრომები საქართველოსა და კავკასიის შესახებ მთელი საუკუნის მანძილზე ქვეყნის გეოგრაფიული ცოდნის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. მან გეოგრაფია და კარტოგრაფია მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე დააყენა, რითაც დაეხმარა რუსეთისა და ევროპის მეცნიერებს გასცნობოდნენ საქართველოსა და კავკასიას.

XVIII საუკუნეში სულხან-საბა ორბელიანმა იმოგზაურა ევროპაში, ტიმოთე გაბაშვილმა — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, იონა გედევანიშვილმა — ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებსა და ევროპაში, რაფიელ დანიბეგაშვილმა — ინდოეთსა და ბირმაში. ამ მოგზაურთა შთაბეჭდილებები და უცხო ქვეყნების აღწერა დღეს ქართული კულტურის ძვირფასი საგანძურია. ჩვენამდე მოაღწია ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილმა რუკამ, ჯამასპი ხერხეულიძისა და გიორგი გარსევანიშვილის ხელისა და ტიმოთე გაბაშვილის დასავლეთ საქართველოს რუკებმა და სხვ. 1723 წელს ჰარიზში დაიბეჭდა სულხან-საბა ორბელიანის მონაწილეობით შედგენილი კავკასიისა და კასპიისპირეთის რუკა.

XIX საუკუნის დამდეგიდან, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, იწყება გეოგრაფიული კვლევის ახალი ჰერიოდი, რომელიც ხასიათდებოდა ინტენსიური, მაგრამ ეპიზოდური გამოკვლევებით. იოანე ბატონიშვილმა 1828 წელს დაასრულა ენციკლოპედიური ხასიათის ნაშრომი „კალმასობა", რომლის დიდი ნაწილი გეოგრაფიული ხასიათისაა. 1819-1820 წლებში გიორგი ავალიშვილმა მოიარა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები; ამავე საუკუნეში თეიმურაზ ბაგრატიონმა იმოგზაურა ირანსა და ევროპაში, ხოლო ალექსანდრე დადეშქელიანმა კორეასა და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

1850 წელს თბილისში დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განეოფილება, რომლის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობდნენ: რაფიელ ერისთავი, ალექსანდრე ხახანაშვილი, მოსე

ჯანაშვილი და სხვ. ამ განუოფილების მიერ გამოცემული შრომების 60-მდე ტომს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული ღირებულება. გეოგრაფიულ ცნობებს საქართველოს შესახებ იმდროინდელ ჰრესაშიც ვხვდებით (გაზეთი „კავკაზი", კრებული „კავკასიის კალენდარი" და სხვ.). ამ ჰერიოდში გეოგრაფიული ცოდნის პოპულარიზაციისათვის დიდი მუშაობა ჩაატარეს ჰლატონ იოსელიანმა, დიმიტრი ბაქრაძემ, მოსე ჯანაშვილმა, მარი ბროსემ, ივანე როსტომაშვილმა და სხვ. განსაკუთრებით დიდია იაკობ გოგებაშვილის ღვაწლი; მან უხვად ჩართო სასკოლო სახელმძღვანელოებში გეოგრაფიული მასალები.

XIX საუკუნის 70-იან წლებში აჯარა-შავშეთში (თურქეთის საქართველოში) იმოგზაურა გიორგი ეაზბეგმა, რომელმაც გეოგრაფიულად აღწერა აჯარისწყლის ხეობა და შავშეთი. იმავე საუკუნის 90-იან წლებში გურია, აჯარა, სამურზაყანო და აფხაზეთი ეთნოგრაფიულად და გეოგრაფიულად აღწერა თედო სახოკიამ. შორეულ აღმოსავლეთსა და კორეაში იმოგზაურა და დაწერილებითი აღწერა წარმოადგინა ალექსანდრე დადეშქელიანმა და სხვ.

ქართველი ერის ისტორიაში 1918 წელს ენიშვნელოვანი მოვლენა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ეროვნული კადრების მომზადებასა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლას. უკვე 1920 წელს უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა ზოგადი გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრა — გეოგრაფიული მეცნიერების პირველი კერა საქართველოში. კათედრამ დიდი როლი შეასრულა გეოგრაფიული მეცნიერების დაფუძნებასა და ამ დარგის კადრების მომზადებაში. გაიშალა მუშაობა რესპუბლიკის ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მეცნიერული შესწავლისათვის. ალ. ჯავახიშვილის ინიციატივით, მისი უახლოესი თანამშრომლების: პროფ. გ. გეხტმანის, პროფ. ბ. უაერიშვილის, დოც. ი. შაქარიშვილისა და სხვათა აქტიური მონაწილეობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მალე შესამლებელი გახდა გეოგრაფიული მეცნიერების დარგობრივი კათედრების შექმნა. 1924 წელს ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს კარტოგრაფიის ინსტიტუტი, რომელიც 1933 წელს საქართველოს გეოგრაფიის ინსტიტუტს შეუერთდა. მოკლე დროში კარტოგრაფიის ინსტიტუტში გამოიცა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის ორიგინალური გეოგრაფიული რუკები.

აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის ინიციატივითა და უახლოესი თანამშრომლების დახმარებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, 1933 წლის 16 მარტს გაიხსნა გეოგრაფიის პირველი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სამეცნიერო კერა საქართველოში. გეოგრაფიის ინსტიტუტი 1945 წლიდან მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გაერთიანდა და დიდი ქართველი გეოგრაფ-კარტოგრაფის ვახუშტი ბაგრატიონის სახელი ეწოდა. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში — სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტსა და ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში დაარსდა გეოგრაფიის კათედრები.

მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტში შეიქმნა გეოგრაფიის სექცია, სხრ

კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის ფილიალში — გეოგრაფიის განყოფილება. გეოგრაფიულ კვლევას საქართველოში გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა.

1934 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიული კათედრების ბაზაზე შეიქმნა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მთელი რიგი კათედრებით, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი გეოგრაფიული მეცნიერების განვითარებას. უნივერსიტეტისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის გეოგრაფებმა დიდი მუშაობა ჩაატარეს საქართველოს გეოგრაფიული პირობების შესასწავლად.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული საქართველოს გეომორფოლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური, ფიტოგეოგრაფიული, ზოოგეოგრაფიული, ნიადაგების გეოგრაფიის შესწავლის საქმეში; საქართველოს კარსტული რელიეფის შესწავლის შედეგად აღმოჩენილია მღვიმეები და მიმდინარეობს მათი კვლევა; ფართოდ დაიწყო საქართველოს ლანდშაფტოლოგიური, მეოთხეული გეოლოგიისა და უახლესი ტექტონიკის, ზღვის სანაპირო ზონის მორფოლოგიისა და დინამიკის შესწავლა. გეოგრაფიის ინსტიტუტსა და რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების შესაბამის კათედრებზე მუშავდება საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები. კვლევის შედეგებს ფართოდ იყენებენ სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვაში. მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა საქართველოს კარტოგრაფიის შესწავლის საქმეში. ეოველივე ამის გამო იყო, რომ ცნობილმა რუსმა მეცნიერმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ი. პ. გერასიმოვმა საჯაროდ განაცხადა: „გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში შეიქმნა თანამედროვე გეოგრაფიული მეცნიერების ერთ-ერთი უძლიერესი სკოლა“.

ქართველ გეოგრაფთა ზოგიერთი ნაშრომი მაღალი ჯილდოებით არის აღნიშნული. ამჟამად საქართველოში მოღვაწეობს ათეულობით გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი და პროფესორი, რომელთა შორის არიან სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, საერთაშორისო გეოგრაფთა კავშირისა და საზოგადოებების წევრები. მრავალი ქართველი გეოგრაფის შრომებია დაბეჭდილი უცხოეთში, რომლებმაც მაღალი შეფასება დაიმსახურეს. დღეს გეოგრაფია კონსტრუქციულ მეცნიერებად იქცა და დიდი წელილი შეაქვს ზოგადსამეცნიერო პრობლემათა დამუშავების საქმეში.

კობა ხარაძე
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აბაშიძე ელენე მიხეილის ასული – ABASHIDZE HELENE (18.III.1922, ქ. ჭიათურა), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1944 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1944 განაწილებით მუშაობა დაიწყო ს. პერეკეთის (ჭიათურის რ-ნი) საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად და საჰწავლო ნაწილის გამგედ. 1945-46 მუშაობდა თბილისის მოზარდთა სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად და პარალელურად საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მეთოდისტად. 1951-62 წლებში მუშაობდა განათლების სისტემაში, სატყეო მეურნეობის სამინისტროში მეთოდისტად, ამავე სამინისტროს მელიორაციულ ექსპედიციაში ჰიდროგეოლოგად, „კავკასნახშირგეოლოგიაში" ჰიდროგეოლოგად, რამაც განაპირობა მისი შემდგომი სპეციალიზაცია. 1952-56 ასპირანტურის კურსი გაიარა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გრუნტის მექანიკის განყოფილებაში, ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სპეციალობით. 1968-82 მუშაობდა ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1989-95 კი ეკოლოგიური ექსპერტიზის სამმართველოში უფროს მეთოდისტად. ამჟამად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1967 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „გლაუკონიტიანი კირქვების ხსნადობა კარსტის განვითარებასთან კავშირში შაორის კარსტული მხარის მაგალითზე". მასში წამოჭრილია კარსტის შესწავლის პრობლემები, კერძოდ, პირველმა უარყო მეცნიერებაში დამკვიდრებული „ხსნადობის თეორია". 1998 კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „კარბონატულ ქანებში კარსტის წარმოშობის ჰიდროქიმიური და ჰიდრო-დინამიური მექანიზმი". ამ შრომამ აღიარება მოუტანა ავტორს – ამერიკის ბიბლიოგრაფიების საერთაშორისო ინსტიტუტში და მეცნიერ ქალთა ნამუშევრებს შორის „წლის ქალის" წოდება და სიგელი დაიმსახურა. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი. ამჟამად მუშაობს საქართველოს კარსტულ უბნებში არსებული წყალსაცავების ფილტრაციულ საკითხებზე.

მონოგრ.: ეკოლოგიის საფუძვლების ზოგიერთი საკითხები, კითხვარის სახით, თბ., 2001.

აბდუშელიშვილი კონსტანტინე ლევანის ძე – ABDUSHELISHVILI KONSTANTINE (11.V.1934, თბილისი, – 20.XI.1991, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1960-დან მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ თანამშრომ-

ლად და ბოლოს გლაციოლოგიის ლაბორატორიის გამგედ. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ამიერკავკასიისა და დაღესტნის ასსრ თოვლის ზვავები და ზოგიერთი ზვავის სახეობის პროგნოზის მეთოდი". გამოქვეყნებული აქვს 64 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია ზვავების წარმოქმნის თავისებურებანი, ტერიტორიის ზვავსაშიშროება, ზვავების ვერტიკალური განაწილება და გენეტიკური ტიპები, სხვადასხვა გენეზისის ზვავების წინასწარმეტყველებისა და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავების საკითხები, ზვავების რეჟიმი და გავრცელების თავისებურებანი.

მონოგრ.: Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1980 (соавт.); Кадастр лавин СССР, т. 9. Закавказье и Дагестан, Л., 1984; Л., 1986; Л., 1989 (соавт.).

აბულაძე გიორგი სარგისის ძე – ABULADZE GIORGI (12.I.1936, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1959 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1958) მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში მხაზველად, ხოლო 1959-დან უმცროს მეცნიერ თანამშრომლად კარტოგრაფიულ განყოფილებაში, შემდეგ აეროფოტომეთოდების ლაბორატორიაში. 1962-დან აწყობს დამოუკიდებელ გლაციოლოგიურ ექსპედიციებს კავკასიონის მყინვარებზე მათი დინამიკისა და რეჟიმის შესასწავლად. პარალელურად მონაწილეობდა საქართველოს გეოგრაფიული ატლასის (1964) შედგენაში. არის რამდენიმე რუკის ავტორი. 1966-68 სამეცნიერო სტაჟირებას გადიოდა მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის გლაციოლოგიურ განყოფილებაში აკად. გ. ავსუკის და ვ. კოტლიაკოვის ხელმძღვანელობით. 1970-დან სამუშაოდ გადავიდა ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევით ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიურ განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ პერიოდში რეგულარულად ჩაატარა კვლევები გლაციოლოგიაში დისტანციური მეთოდების გამოყენებით (კავკასიონი, პამირი, ალაი, კამჩატკა, პოლარული ურალი, ჩრდილოეთის მიწა, კ. შპიცბერგენი და სხვ.). 1987 ხელმძღვანელობს მის მიერვე დაარსებულ დისტანციური ზონდირების ლაბორატორიას. 1989-დან მუშაობს ალ. ჯანელიძის სახელობის დისტანციური ზონდირების სამეცნიერო ცენტრის გამგედ. იმავდროულად არის არასამთავრობო ორგანიზაციის დისტანციური ზონდირების და გეოინფორმაციული სისტემების სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის „დედამიწა" ხელმძღვანელი. მისი ინიციატივით თსუ დაფუძნდა (1992) დედამიწის დისტანციური ზონდირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრი, რომელსაც ამჟამად ხელმძღვანელობს. აქვე, 2001-დან შეიქმნა

გეოინფორმაციული სისტემების შემსწავლელი მუდმივმოქმედი საერთაშორისო სასწავლო კლასი, სერტიფიკატის გაცემის შესაძლებლობით. არის თსუ გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის კათედრის პროფესორი. 1978 ქ. მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთის მყინვარების კვლევა კარტოგრაფიული, გეოდეზიური და სტერეოფოტოგრამმეტრიული მეთოდებით (მდ. ენგურის მაგალითზე)". ნაშრომში მიღებული შედეგები გლაციოლოგიური რუკების სახით გამოქვეყნდა „თოვლ-ყინულოვანი რესურსების მსოფლიო ატლასში" (1997). 1999 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ორი სპეციალობით: გეომორფოლოგია და ევოლუციური გეოგრაფია და ხმელეთის ჰიდროლოგია, წყლის რესურსები და ჰიდროქიმია, თემა – „დისტანციური გლაციოლოგიური მონიტორინგი გლაციოკარტოგრაფიული, გლაციომორფოგრაფიული, გლაციოჰიდროლოგიური ანალიზი (ცენტრალური კავკასიონის მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 28 სამეცნიერო ნაშრომი. მიღებული აქვს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1963).

აბულაძე ვალერიან ვიქტორის ძე – **ABULADZE VALERIAN** (16.VI.1929, ს. ახალთერჯოლა, თერჯოლის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1948 დაამთავრა თბილისის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, 1953 კი თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1960-მდე მუშაობდა ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ლაბორანტად, ხოლო შემდეგ უფროს ლაბორანტად, 1967-დან კათედრის ასისტენტად, 1974-დან უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზეა. ლექციებს კითხულობს ეკონომიკურ გეოგრაფიაში თსუ სხვადასხვა ფაკულტეტებზე. გარდა ამისა, სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (აგრარული უნივერსიტეტი), მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, მოსკოვის საყოფაცხოვრებო ტექნოლოგიური ინსტიტუტის თბილისის ფილიალში, დამოუკიდებელ „გრისის" ინსტიტუტში. 1953-56 ასპირანტურის კურსი გაიარა პროფ. გ. გეხტმანის ხელმძღვანელობით. დაამუშავა საკვალიფიკაციო თემა – „ქ. ქუთაისის ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". შემდეგში კვლავ მოუხდა ახალი თემის დამუშავება – „დასახლებათა ტერიტორიული სისტემების ფორმირება ქვემო იმერეთში". ამ საკითხებზე მას გამოქვეყნებული აქვს 15-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და შესრულებული აქვს 30-მდე სამეცნიერო-კვლევითი შრომა.

ავალიანი შალვა ილიას ძე – **AVALIANI SHALVA** (30.I.1914, ს. სარბევი, თერჯოლის რ-ნი, – 6.II.1998, ქ. ქუთაისი), პედაგოგიკის მეცნირებათა კანდიდატი (გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში), დოცენტი. 1938 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური

ინსტიტუტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. მესამე კურსიდან შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას. წლების მანძილზე მოღვაწეობდა სხვადასხვა საშუალო სკოლის მასწავლებლად, დირექტორად. იყო ქუთაისის რაიონის კულტურის განყოფილების გამგე, ქუთაისის საოლქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი გეოგრაფიაში, საქართველოს განათლების სამინისტროს ქუთაისის მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში გეოგრაფიის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე. 1976-დან მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრის დოცენტის თანამდებობაზე. 1960-65 სწავლობდა ასპირანტურაში. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ჩატარების მეთოდიკა ეკონომიკური გეოგრაფიის სწავლების პროცესში". გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში აქვს 60-მდე ნაშრომი. წლების განმავლობაში იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ქუთაისის ფილიალის სწავლული მდივანი, თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარე (1981-1990). დაჯილდოებული იყო „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით.

სახელმძღვ.: შრომის მეცნიერული ორგანიზაცია გეოგრაფიის გაკვეთილზე, თბ., 1970; მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა ეკონომიკურ გეოგრაფიაში, თბ., 1972; პრობლემური სწავლება გეოგრაფიაში, თბ., 1977.

ავალიშვილი გიორგი იოანეს ძე – AVALISHVILI GIORGI (1769-1850, მოსკოვი), მოგზაური, დიპლომატი, მთარგმნელი და მწერალი. მამა იოანე, ერეკლე მეორესთან დაახლოებული პირი იყო. მცირეწლოვანი გიორგი ერეკლე მეფეს განათლების მისაღებად პეტერბურგში გაუგზავნია; 15 წლის ჭაბუკს უკვე მიღებული ჰქონდა შესაფერისი განათლება. გარსევან ჭავჭავაძის მეთვალყურეობით გიორგი სწავლას შედგომია და დაუწყია მზადება დიპლომატიური სამსახურისათვის. 1791 ერეკლე მეფეს გიორგი სპარსეთის აზერბაიჯანში გაუგზავნია. 1819 კი გიორგი ავალიშვილს დამოუკიდებელი მოგზაურობა ჩაუტარებია თბილისიდან იერუსალიმამდე, რომელიც 1820 დაუმთავრებია. მოგზაურობის დროს გაუკეთებია ჩანაწერები. დაწვრილებით ჩანაწერებიდან ჩანს, რომ იგი განათლებული პირი ყოფილა; იგი ამჟღავნებს ყოველმხრივ ღრმა ცოდნას, გვაწვდის მრავალმხრივ გეოგრაფიულ ცნობებს ბუნებაზე და მის მოვლენებზე. მოგზაური კარგად იცნობს რუკებსა და გეგმებს, რომელთა ნაწილს თავის ჩანაწერებში იძლევა. მოგზაურობა შავი ზღვის ნავსადგურიდან დაიწყო, იყო ყირიმში, საიდანაც კონსტანტინოპოლში ჩავიდა. შემოიარა კუნძული კვიპროსი, ეგვიპტე, ხოლო შემდეგ იყო იერუსალიმში. საქართველოში დაბრუნდა მცირე აზიის ნახევარკუნძულით. მოგზაურის ჩანაწერები მეტად საინტერესოა გეოგრაფიული თვალსაზრისით. ამიტომ მისი „მგზავრობაც" მუდამ

დარჩება ქართული სამოგზაურო ისტორიის ღირსეულ ლიტერატურულ ძეგლად, ხოლო მისი ავტორი გამოჩენილ მოგზაურად.



ოხ'ჩ.: მგზაურობაა, ელ. მეტრეველის გამოკვლევითა და რედაქციით, თბ., 1967.

ლიტ.: ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987 თბ, 1986; ხარაძე კ. XVII-XIX სს. ქართველი მოგზაურები, თბ., 1987; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ათაბეგოვი ტიგრან ნაზარის ძე – ATHABEGOVI TIGRAN (15.V.1888, თბილისი, – 13.VII.1959, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1910 ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის კომერციული სასწავლებელი და შევიდა პეტერბურგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1911 გადავიდა მოსკოვის კომერციული ინსტიტუტის ეკონომიკურ განყოფილებაზე, რომელიც 1917 დაამთავრა. დაბრუნდა თბილისში, მაგრამ მალე სამუშაოდ პიატიგორსკში გადავიდა საოლქო აღმასკომში სტატისტიკური განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობით და აქტიური მუშაობით ორგანიზებულ იქნა პიატიგორსკის სახალხო უნივერსიტეტი, სადაც ლექციებს კითხულობდა ეკონომიკურ გეოგრაფიასა და პოლიტიკურ

ეკონომიაში. 1918-19 მუშაობდა ვლადიკავკაზში. 1919 გადმოვიდა თბილისში ქალთა კომერციულ სასწავლებელში. შემდეგ დაინიშნა ამ სასწავლებლის დირექტორად. მომდევნო წლებში კითხულობდა ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, ამიერკავკასიისა და საქართველოს უმაღლეს კომუნისტურ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, კავშირგაბმულობის ამიერკავკასიის ინსტიტუტში, ამიერკავკასიის ეკონომიკურ ინსტიტუტში, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში და სხვ. 1938-დან იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. კითხულობდა ლექციებს — თურქეთის, ირანის, არაბეთის ქვეყნების ფიზიკურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში, საბჭოთა კავშირის მრეწველობის გეოგრაფიის, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკის, ინდუსტრიული წარმოების საფუძვლებს და სხვ. მუშაობდა გეოგრაფიის ინსტიტუტში. მისი სამეცნიერო შრომები მიძღვნილია ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე.

მონოგრ.: Материалы по экономической географии ЗСФСР. Тб., 1937.

ალადაშვილი თინათინ ზაურის ასული – ALADASHVILI THINATHIN (9.VI.1973, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1995 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით და იმავე წელს ჩაირიცხა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სპეციალობით „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია". ასპირანტურაში სწავლის პერიოდში მიენიჭა III (1998) და II (2002) ხარისხის საპრეზიდენტო სტიპენდია. მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის კლიმატის მოდელირების ლაბორატორიაში მეცნიერთანამშრომლის თანამდებობაზე. 1999 პროფესორ ე. ელიზბარაშვილის ხელმძღვანელობით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „თბილისის კლიმატის რეაქცია კოსმოსური და ცირკულაციური ფაქტორების საუკუნოვანი რყევადობის მიმართ". გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 ინგლისურ ენაზე.

ალავერდაშვილი მერაბ შალვას ძე – ALAVERDASHVILI MERAB (7.VIII.1952, ქ. მცხეთა), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1995). 1974 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით და დაიწყო მუშაობა ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. 1979-დან დაინიშნა კათედრასთან არსებულ სასწავლო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის გამგის თანამდებობაზე. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „დასავლეთ საქართველოს მდინარეთა მყარი ჩამონადენის ფორმირების პირობები და გაანგარიშების მეთოდიკა".

გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ძირითადად მოცემულია მდინარეთა ნატანის ჩამონადენის ფორმირების თავისებურებანი, მათი რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა და კალაპოტის პროცესების თავისებურებანი. 1968-72 იყო საქართველოს ნაკრების წევრი საბაიდარო ნიჩბოსნობაში. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და ყოფილი სსრკ არაოფიციალური ჩემპიონი და პრიზიორი. მინიჭებული აქვს სპორტის ოსტატის წოდება.

მონოგრ. და სახელმძღვ.: ზამთრის სასწავლო-საველე პრაქტიკის მეთოდური მითითება, თბ., 1995 (თანაავტ.); წყლის რესურსების ბალანსური კვლევა (ლექციების კურსი), თბ., 2003 (თანაავტ.); Гидрология реки Бзыбь. Тб., 1981 (соавт.).

ალანია ალექსანდრე მელიტონის ძე – ALANYA ALEXANDRE (8.IX.1929, ს. ნოსირი სენაკის რ-ნი, – 21.XII. 1995, ბათუმი, დაკრძალულია ს. ნოსირში), დოცენტი (1953). 1951 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1952 ტაშკენტის ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის სპეციკურსი ინჟინერ-სინოპტიკოსის კვალიფიკაციით. 1953-57 გაიარა ასპირანტურის კურსი. მუშაობდა საქმთავარჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის უფროსად. იგივე თანამდებობა ეჭირა აჭარაში. მუშაობდა კოკისპირული სტიქიური წვიმების შედეგების თავიდან აცილების სფეროში. გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათში მოცემულია ოკეანოლოგიის, მეტეოროლოგიის, ჰიდროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ბუნების დაცვის აქტუალური საკითხები; მუშაობდა აგრეთვე ჰიდროლოგიური, საზღვაო და ამინდის პროგნოზების მეთოდიკის საკითხებზე.

ალასანია ქეთევან ერასტის ასული – ALASANIA KETHEVAN (1.VIII.1919, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1962). 1941 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში, შემდეგში ბათუმის უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრაზე, სადაც დღემდე მუშაობს. აკად. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაამუშავა საკვალიფიკაციო ნაშრომი და 1962 თსუ-ში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აჭარის დასავლეთი ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება". სადისერტაციო ნაშრომი შედგება ორი ნაწილისაგან – ზოგადი (ანალიზური) და ლანდშაფტური (სინთეზური). ანალიზურ ნაწილში განხილულია აჭარის დასავლეთი ნაწილის (ზღვისპირეთი) მდებარეობა, საზღვრები, ჰავა, შიგა წყლები, მცენარეული საფარი, ნიადაგები და ცხოველთა სამყარო. სინთეზურ ნაწილში მოცემულია ლანდშაფტური დარაიონება. შედგენილია დარაიონების სქემა, გამოყოფილია სანაპირო

ვაკე-დაბლობის ზონა სამი ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონით და ერთი ქვერაიონით, ბორცვიან მთისპირა ზონა სამი ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონით, მთა-ტყის ზონა ორი ქვერაიონით, სუბალპური ზონა და ალპური ლანდშაფტების ფრაგმენტები. კითხულობს ლექციებს აღმოსავლეთ ევროპის გეოგრაფიასა და საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში. არის 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, რომლებიც ძირითადად ეხება ჰავის, მდინარეთა აუზების ჰიდროლოგიურ თავისებურებებს და სხვ. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით, მედლით, აჭარის ავტ. რესპ. უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ალფენიძე მელორ ტოტოს ძე – ALPHENIDZE MELOR (21.V.1947, ს. ოტობაია, გალის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1994). 1969 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგის კვალიფიკაციით. 1969-82 მუშაობდა საქართველოს შავიზღვისპირეთის ნაპირგამაგრებისა და სანაპირო ზონის მორფოდინამიკის შესწავლის, ნაპირსამაგრი ნაგებობების ექსპლოატაციის რესპუბლიკურ სამმართველოში განყოფილების გამგედ (1980-დან სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვანაპირდაცვა“). იმავე პერიოდში (1970) მუშაობდა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) გეოგრაფიის კათედრაზე. 1988 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აფხაზეთის შავიზღვისპირეთის შუა ნაწილის მორფოდინამიკა“. 1999 -დან არჩეულია თსუ სოხუმის ფილიალის საქართველოს გეოგრაფიის კათედრის გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო და სასწავლო-პედაგოგიური დანიშნულების ნაშრომები. ისინი შეეხება ზღვის ნაპირების მორფოდინამიკას, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და დაცვას, ნაპირგამაგრების პრობლემებს. მონაწილეობდა შავი ზღვის აუზის რესურსების ეკოლოგიურად უსაფრთხო ათვისებისა და რეგიონის მდგრადი განვითარების საერთაშორისო კომპლექსური პროგრამის შემუშავებაში. ავტორთა კოლექტივთან ერთად გამოცემული აქვს რამდენიმე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის. მუშაობს სადოქტორო თემაზე რეგიონალური შეიარაღებული კონფლიქტები და გეოგრაფიული გარემო. არის აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერების აკადემიკოსი, საქართველოს ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალული ორგანიზაციის თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2002).

სახელმძღ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I (სახელმძღვ.), თბ., 1999 (თანაავტ); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II (სახელმძღვ.), თბ., 2001

(თანაავტ); ტესტები საქართველოს გეოგრაფიაში, თბ., 2001; ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

არდია მურმან მიხეილის ძე – ARDYA MURMAN (6.IX.1937, ქ. ზუგდიდი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1962 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. იმავე წლიდან ეწევა საზოგადოებრივ, სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას, ჯერ აგრონომად, ხოლო 1963-დან საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; 1964-77 მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად; 1977-83 იყო პარტიულ თანამდებობებზე ჯერ საქ. კპ ცკ-ის აპარატში, შემდეგ ზუგდიდის რაიონული კომიტეტის მეორე მდივნად. 1984-92 საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოს უფროსია. ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრის დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო დარგში, პარალელურად ხელმძღვანელობს გეოგრაფიის კათედრას ქ. ზუგდიდის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში, სადაც პროფესორის თანამდებობაზეა. 1965-67 სტაჟირება გაიარა ქ. ლენინგრადის ჰიდროლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1979-81 სწავლობდა ქ. ბაქოს უმაღლესი პარტიული სკოლის დაუსწრებელ განყოფილებაზე. 1977 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სამელიორაციო მიწებზე სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყლით უზრუნველყოფის და მასზე მოთხოვნილების საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია. მისი ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ქ. თბილისში ჩატარდა საბჭოთა კავშირ-კანადის პირველი სიმპოზიუმი გარემოს დაცვისა და მონიტორინგის პრობლემებზე (1988), ასევე, საბჭოთა კავშირისა და გდრ რწმუნებულთა თათბირი გარემოს დაცვისა და ჰიდროლოგიის სფეროში. მონაწილეობდა აგრეთვე სხვა ქვეყნებში ჩატარებულ სიმპოზიუმების მუშაობაში. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერეათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი. დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის" ორდენით, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ღირსების ორდენით (2002).

მონოგრ.: მსოფლიო ბუნებრივი რესურსები (გამოყენება და ბუნების დაცვა), თბ., 1998 (თანაავტ.); სამეგრელო: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა (გეოგრაფიული ასპექტები), თბილისი-ზუგდიდი, 1999 (თანაავტ.).

არველაძე ღუდუშა ალექსანდრეს ძე – ARVELADZE GHUDUSHA (27.II.1940, აბაშა), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი. 1965 დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მათემატიკის სპეციალობით.

1966 მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში. 1968-70 იყო სტაჟიორ-მკვლევარი ობნინსკის ექსპერიმენტალური მეტეოროლოგიის ინსტიტუტში. 1971-73 სწავლობდა და დაამთავრა სრულიად რუსეთის სასოფლო-სამეურნეო მეტეოროლოგიის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. 1980-91 მუშაობდა კუბის მეცნიერებათა აკადემიაში. ამჟამად მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში აგრომეტეოროლოგიური პროცესების მათემატიკური ლაბორატორიის გამგედ. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოში ჩაის კულტურის პროდუქტიულობაზე აგრომეტეოროლოგიური პირობების გავლენის პროცესების მათემატიკური მოდელირება", 1999 კი სადოქტორო დისერტაცია – „მრავალწლიანი კულტურების მოსავლის ფორმირების აგრომეტეოროლოგიური პროცესების მათემატიკური მოდელირება და მათი წარმოების ტექნოლოგიის ოპტიმიზაცია". მუშაობს მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ფორმირების მათემატიკურ მოდელირებაზე. გამოქვეყნებული აქვს 45-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები. დაჯილდოებულია ობნინსკის ექსპერიმენტალური მეტეოროლოგიის საკავშირო ინსტიტუტის საპატიო დიპლომითა და მეორე ხარისხის პრემიით, კუბის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დიპლომით, საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბრინჯაოს მედლით, საქართველოს მინისტრთა საბჭოს საპატიო დიპლომით.

მონოგრ.: Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.); Математическое моделирование агрометеорологических процессов формирования урожая многолетних культур и оптимизация технологии их возделывания, Тб., 2003.

არჩვაძე ნუგზარ ვლადიმერის ძე – ARCHVADZE NUGZAR (21.IV.1940, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-ვეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1981 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიანი რეგიონების ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები და მათი გამოყენების შესაძლებლობა სახალხო მეურნეობაში (ქვემო ქართლის მაგალითზე)". წლების მანძილზე საექსპედიციო, საფონდო და ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობით გამოკვლეულია საქართველოს ცალკეული რეგიონების შესწავლის მეთოდიკა, ლანდშაფტების კარტირებისა და კლასიფიკაციის ზოგიერთი საკითხი; გამოკვლევების ნაწილი სცილდება რეგიონულ ფარგლებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა სუბტროპიკული ვაკე ტერიტორიების მიმართ, ხოლო კლასიფიკაცია მთიანი ტერიტორიებისათვისაც. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი,

რომლებშიც ასახულია ბუნებრივი და ანთროპოგენური ლანდშაფტების, ბუნებათსარგებლობის თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. აქტიურად მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში. გეოგრაფიის მასწავლებელი და მეთოდისტია თბილისის საშუალო სკოლებში. დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1985). მინიჭებული აქვს მასწავლებლის უმაღლესი კატეგორია (1998), ქ. თბილისის განათლების სამმართველოს მიერ დაწესებული რაფიელ დანიბეგაშვილის პრემია (2000).

ასლანიკაშვილი ალექსანდრე თეოდორეს ძე – ASLANIKASHVILI ALEXANDRE (17.III.1916, თბილისი, – 25.XI.1981, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნ. აკად. წევრ-კორ. (1979). 1934 დაამთავრა თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი, 1939 კი თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. სტუდენტობის დროს მუშაობა დაიწყო უნივერსიტეტის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ლაბორატორიაში, სადაც შემდეგში განაგრძო მუშაობა. 1941-45 კარტოგრაფად ჩარიცხული იყო ამიერკავკასიის შტაბის შემადგენლობაში. 1945 მუშაობა დაიწყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1947 მივლინებული იყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს წარმომადგენლად ირანში. 1951-53 ასრულებდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოვალეობას. 1953-დან კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, ხოლო 1955-57 ასრულებდა ჯერ კათედრის დოცენტისა და შემდეგ ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას. 1957-დან ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტშია და ხელმძღვანელობდა კარტოგრაფიის განყოფილებას. 1977 დაინიშნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 1979-დან ინსტიტუტის დირექტორად. პარალელურად ხელმძღვანელობდა თსუ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის კათედრას და ქართული ენციკლოპედიის კარტოგრაფიის განყოფილებას. 1951 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „რელიეფის კარტოგრაფიული გენერალიზაცია", 1969 კი სადოქტორო დისერტაცია – „კარტოგრაფიის თეორიის საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. პირველმა დაამუშავა გეომორფოლოგიური ბლოკდიაგრამების აგების მეთოდიკა ტოპოგრაფიული რუკებით. ნაშრომმა თსუ მეორე პრემია დაიმსახურა. შრომების ნაწილში გაშუქებულია კარტოგრაფიის შემეცნების, არა მარტო რუკათა შექმნის განმაზოგადებელი ცოდნა, არამედ ობიექტური რეალობის გარკვეული მხარის შემეცნებული მეცნიერება. ფილოსოფიის უკვე წვდომილი უზოგადესი განსაზღვრების კანონებისა და დებულებების შუქზე კარტოგრაფიის მრავალი ემპირიული მასალა გამოიკვლია და ამ გზით კარტოგრაფიის თეორიის ძირითადი საკითხების ახსნა ფილოსოფიასთან შესაბამისობაში მოიყვანა. იკვლევდა აგრეთვე გეოგრაფიისა და კარტოგრაფიის სისტემური ერთიანობის,

ადამიანისა და გარემოს ურთიერთმოქმედების საკითხებს, კოლხეთის პრობლემას და სხვ. დამუშავებულ იქნა სოციალური და ეკონომიკური მოვლენების კარტოგრაფირების მეთოდიკა მთიანი ქვეყნების მაგალითზე. მან ფართოდ გაშალა მუშაობა ინსტიტუტში კარტოგრაფირების სხვადასხვა საკითხებზე. მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო პრემია (1971), დაჯილდოებული იყო საქართველოს უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელითა და დიპლომით.

მონოგრ.: რა უნა ვიცოდეთ გეოგრაფიული რუკის შესახებ, თბ., 1952; გეომორფოლოგიური ბლოკდიაგრამების აგება და მათი აგების მეთოდები, თბ., 1955; რუკის ენა და მისი გაგების არსი, 1966; კარტოგრაფია. ზოგადი თეორიის საკითხები, თბ., 1968; Метакартография, основные проблемы, Тб., 1974.

ლიტ.: ქართული ენციკლოპედია, ტ. 1, 1975 გვ. 636; ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977 გვ. 10; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; Актуальные вопросы картографии, Тб., 1988 (Сборник посвящен памяти А. Асланикашвили).

ასლანიკაშვილი ნოდარ ალექსანდრე ძე – ASLANIKASHVILI NODAR (22.X.1939, თბილისი, – 13.VIII.1988, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში, ინჟინრის თანამდებობიდან კლიმატოლოგიის განყოფილების გამგემდე, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე. 1972 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მზის რადიაციის საუკუნოვანი სვლა ამიერკავკასიაში". გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია ამიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს მზის რადიაციის პირობები, ატმოსფეროს გაჭუჭყიანების საკითხები, მეტეოროლოგიური ელემენტებისა და კლიმატური პირობების აღწერა, საქართველოს ტერიტორიის დარაიონება წაყინვების, ციტრუსებისათვის საშიში მოვლენების მიხედვით, თბილისის კლიმატის თავისებურება და სხვ.

მონოგრ.: Климат и климатические ресурсы Грузии, Л., 1971 (соавт.); Прогноз гидрометеорологических условии Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт); Климат Тбилиси, С-П., 1992 (соавт).

ასლანიშვილი იოსებ ანტონის ძე – ASLANISHVILI IOSEB (27.I.1891, ქ. ქუთაისი, – 11.XI.1955, თბილისი), მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1941), ექიმი, მთამსვლელი, საზოგადო მოღვაწე. 1914 დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი. მუშაობდა სამრეწველო ტრავმატიზმის, ქირურგ-ტუბერკულოზის, ფიზკულტურისა და მთამსვლელობის საექიმო კონტროლის დარგში, ასევე სამედიცინო გეოგრაფიაში. იკელევდა მთაში (ზემო სვანეთი,

მთის რაჭა. აჭარა) ენდემური ჩიყვის გავრცელებას და მის ბუნებას. იგი ენდემური ჩიყვის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ორგანიზატორია საქართველოში. დააარსა ენდოკრინოლოგიური ლაბორატორია თბილისში (1932) და ხელმძღვანელობდა მას. 1923 მონაწილეობდა ალ. დიდებულიძის ხელმძღვანელობით მოწყობილ პირველ ქართულ გეოფიზიკურ ექსპედიციაში მყინვარწვერზე, რომელმაც გ. ნიკოლაძის ექსპედიციასთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ალპინიზმის განვითარებას. ი. ასლანიშვილი იყო საქართველოს ალ. ჯაფარიძის სახ. ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936), მონაწილეობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. იყო ამავე საზოგადოების სამთო სექციის ხელმძღვანელი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გამგეობის წევრი, ჟურნალების „შეკარდენი" (1920, 1922), „თეატრი და მუსიკა" (1919), „ხელოვნება" (1919-21), „თანამედროვე მედიცინა" (1924-33) და სხვ. რედაქტორი. გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ენდოკრინოლოგიის, მთამსვლელობის, ხელოვნებისა და სპორტის საკითხებზე. ი. ასლანიშვილს ეკუთვნის 200-მდე მცირე და დიდი ფორმატის ნაწარმოები მედიცინის, ბიოლოგიის, სპორტის, ისტორია-გეოგრაფიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში. იყო საქართველოს დამსახურებული ექიმი (1946), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი (1946).

მონოგრ.: ენდემური ჩიყვი საქართველოში, ტფ., 1924; ჩიყვი სვანეთში, ტფ., 1926; აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა, ტფ., 1933; უშბას მწვერვალისაკენ, მესტია, 1934; Достижения советского альпинизма в Грузии за 1923-34 г., Тб., 1935; Эндемический зоб в Грузии и пути его профилактики и лечения, Тб., 1935.

ლიტ.: მთის რაინდები, ქუთაისი, 1998, გვ. 20-21.

ასტახოვი ნიკოლოზ ევგენის ძე – ASTAKHOVI NIKOLOZ (12.II.1911, მოსკოვი, – 18.X.1993 თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1937 დაამთავრა ამიერკავკასიის სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტი (ახლა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი). მუშაობა დაიწყო კავკასიის მინერალურ ნედლეულთა ინსტიტუტში. 1939 მუშაობდა დონეცკის კომპლექსურ ექსპედიციაში ქ. ნიჟნინაგოლჩიკის საბადოზე ჯერ მადნეულის შემსწავლელ გეოლოგად, ხოლო შემდეგ ამ სამსახურის უფროსად. კომპლექსური ექსპედიციის დამთავრების შემდეგ დაბრუნდა თბილისში და მუშაობა დაიწყო საქ. გეოლოგიურ სამმართველოში. 1942 მობილიზებულ იქნა მზვერავ გეოლოგიურ პარტიის სტაციონარში გამამდიდრებელი ფაბრიკის ცელის ინჟინრად, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო გეოლოგიურ №7 რაზმში. 1944 ჩაირიცხა თსუ გეომორფოლოგიის ასპირანტად. დამთავრების შემდეგ დატოვებულ იქნა კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე.

1949 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მდ. მტკვრის ხეობის შუა დინების გეომორფოლოგია". ამის შემდეგ იგი მიწვეულ იქნა და წლების განმავლობაში მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქ იგი მთლიანად სამეცნიერო მუშაობაზე გადაერთო და ორ ათეულ წელზე მეტი ხნის განმავლობაში არაერთი სამეცნიერო შრომა გამოაქვეყნა. მისი სამეცნიერო ნაშრომები შეეხო გამოყენებით გეომორფოლოგიას, საინჟინრო გეოლოგიას და სასარგებლო წიაღისეულს, რომელმაც საშუალება მისცა ჰიდრონაგებობების, საავტომობილო ნაგებობებისა და სარწყავი სისტემის დაპროექტებით სამუშაოების შესრულება. დიდი ყურადღება დაუთმო კავკასიის ნეოტექტონიკურ საკითხებს, შავი ზღვის სანაპირო პრობლემას, რელიეფის სტრუქტურულ-გეომორფოლოგიურ ანალიზს და პალეოგეომორფოლოგიის საკითხებს. 1969 ქ. ბაქოში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „საქართველოს რელიეფის მორფოსტრუქტურული ანალიზი". 1974-76 საქ. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის მიერ მივლინებულ იქნა სირიის რესპუბლიკაში, სადაც შეადგინა მთელი ტერიტორიის მსხვილმასშტაბიანი გეომორფოლოგიური რუკა ქვეყნის ჰიდროლოგიური შესწავლის მიზნით. შეადგინა აგრეთვე დასავლეთ სირიის მორფოსტრუქტურული სქემა. 1986-88 მუშაობდა საქ. გეოლოგიურ სამმართველოში, სადაც ოქროს საძიებო სამუშაოებთან დაკავშირებით შეადგინა საქართველოს სტრუქტურულ-გეომორფოლოგიური რუკა. გეოგრაფიულ მეცნიერებაში მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომებისათვის დაჯილდოებულია სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების დიპლომით.

მონოგრ.: Геоморфология Грузии, Тб., 1971 (соавт); Структурная геоморфология Грузии, Тб., 1973; Вопросы прикладной геоморфологии Кавказа, М., 1979.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977.

აფხაზავა ილია სოლომონის ძე — APHKHAZAVA ILYA (15.X.1922, ს. ნიგვზიანი, ლანჩხუთის რ-ნი, — 22.III.1994, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1938 ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1941-47 იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში. 1950 დაამთავრა თსუ. 1950-53 გაიარა ასპირანტურის კურსი ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის კათედრაზე. 1953-56 მუშაობდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ, 1954-57 კი ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე. 1957-დან მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1964 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მდ. არაგვის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება", რომელშიც გაშუქებულია მდ. არაგვის აუზის გეოლოგიური აგებულების, რელიეფის, ჰავის, ჰიდროლოგიური ობიექტების, მცენარეული საფარის, ცხოველთა

სამყაროს, ნიადაგების საკმაოდ დეტალური დახასიათება. შესრულებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 66 გამოქვეყნებულია. ნაშრომებში გაშუქებულია ჰიდროლოგიური, ფიზიკურ-გეოგრაფიული და გეომორფოლოგიური საკითხები. აგრეთვე, პალიასტომის ტბის ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენის ღონისძიებები, კოლხეთის დაჭაობებული დაბლობის ჰიდროგრაფიული თავისებურებანი, საქართველოს ტბების სამეურნეო მნიშვნელობისა და მათი გამოყენების პერსპექტივაზე. ჩაატარა ჩრდილო კავკასიის ტბების ლიმნოლოგიური გამოკვლევები. ეწეოდა აგრეთვე პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში, სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს ფიზიკურ გეოგრაფიასა და ზოგად ჰიდროლოგიაში.

მონოგრ.: ტბები – ჩვენი ბუნების მშვენება, თბ., 1969; თელავი. გზამკვლევი, თბ., 1978(თანაავტ.); Озера Грузии, Тб., 1975.

ბაგრატიონი გრიგოლ იოანეს ძე – BAGRATIONI GRIGOL (1789, თბილისი, – 1830, პეტერბურგი), მოგზაური, პოეტი, სამხედრო მოღვაწე. შვილი იოანე ბატონიშვილისა. მას მამისა და პლატონ იოსელიანისაგან საკმაოდ კარგი განათლება მიულია. ოჯახსა და ოჯახის ახლო მეგობრებს თავისებური ზეგავლენა მოუხდენია მომავალ პოეტსა და სამხედრო მოღვაწეზე. 1815 წლიდან გ. ბატონიშვილი მეფის რუსეთის ჯარშია; მონაწილეობს ლაშქრობაში ნაპოლეონის წინააღმდეგ. შთაბეჭდილებანი ლაშქრობის შესახებ გრიგოლმა აღწერა წიგნში „მოგზაურობა". შემორჩენილი ხელნაწერი დღიურის სახითაა წარმოდგენილი და ვილნოში (ვილნიუსში) ყოფნის ამბებით მთავრდება. ის დაწვრილებით აღწერს იმ ადგილებს და ქალაქებს, რომლებიც მას უნახავს. ტექსტი არასრულია და ბოლო პუნქტებზე მსჯელობა ძნელდება. მოგზაურობა ივნისში დაუწყია პეტერბურგიდან და იმავე წელს დაუსრულებია.



თხზ.: მოგზაურობა ვილნოში. – კ. კეკელიძის, სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი H-2178.

ლიტ.: ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ბაგრატიონი ვახტანგ (ვახტანგ VI) ლეონის ძე – BAGRATIONI VAKHTANG (1675, თბილისი, – 26.III.1937, ასტრახანი), ქართლის გამგებელი (ჯანიშინი) 1703-14, მეფე (1716-24), პოეტი, მეცნიერი. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს ისტორიაში; დიდი ყურადღება მიაქცია სხვადასხვა დარგის მეცნიერულ კვლევას. დიდია ვახტანგის როლი ისტორიისა და გეოგრაფიის განვითარებაში; მან ნიადაგი მოუმზადა XVIII საუკუნეში გეოგრაფიული მეცნიერების აღმავლობას. თავის გარშემო შემოიკრიბა გამოჩენილ ადამიანთა ჯგუფი, სწავლულები და შექმნა „სწავლულ კაცთა კომისია". მათ მიერ შედგენილი „ქართლის ცხოვრება" კი, თავის მხრივ, შეიცავს მრავალფეროვან გეოგრაფიულ ცნობებს. სწორედ „სწავლულ კაცთა კომისიის" მუშაობის შედეგი უნდა იყოს საქართველოს ტერიტორიის იმდროინდელი აგეგმვა, რომელიც საფუძვლად დაედო იმ პერიოდის რუკათა შედგენას და საქართველოში კარტოგრაფიული მეცნიერების მნიშვნელოვან განვითარებას. ვახტანგმა დაამზადებინა ასტრონომიული ხელსაწყო ასტროლაბი, რომლის დახმარებითაც განსაზღვრავდნენ საქართველოს სხვადასხვა პუნქტების გეოგრაფიულ კოორდინატებს, რომელიც საფუძვლად დაედო იმდროინდელ რუკებს. იგი საქართველოს კარტოგრაფიის განვითარების წამომწყები იყო. 1724 წლის ქართული ემიგრაციის დროს ვახტანგ მეექვსეს თან წაუღია მის მიერ შედგენილი მტკვრისპირა მხარეების რუკა; ეს რუკა პრაქტიკულ მოთხოვნასთან იყო დაკავშირებული, კერძოდ, ვახტანგ მეექვსის ჩანაფიქრთან – რუსეთის მთავრობასთან ერთად ამიერკავკასიაში ირანის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, რომელიც სისრულეში ვერ მოიყვანეს. ვახტანგ მეექვსეს შესანიშნავად სცოდნია საქართველოს ტერიტორია, რაც მის ვრცელ გეოგრაფიულ ჰორიზონტზე მიგვითითებს. აკი თვითონაც წერს: „ვიარე ყოველი ქვეყანა, სიგრძე და სივრცე, განი, და..." დიდი შრომა გასწია საკანონმდებლო წიგნის „დასტურლამალის" შექმნაზე, რომელიც მდიდარ გეოგრაფიულ ცნობებსაც შეიცავს. მან თარგმნა უზბეკი მეცნიერ-ასტრონომის ულუღ-ბეგის (XV) ასტრონომიული შრომები, რომელშიც მოცემულია 700-მდე პუნქტის გეოგრაფიული კოორდინატი. დიდი შრომა გასწია „სტროლაბის სასწავლებელი წიგნის" ქართულად თარგმნისათვის. დაბეჭდა ასტრონომიულ-კოსმოგრაფიული თხზულება „აიათი".

თხზ.: თხზულებათა კრებული, ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1947; ქმნულების ცოდნის წიგნი ანუ აიათი, ტფ., 1721.

ლიტ.: საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ჩაგუნავა რ. ვახტანგ ბაგრატიონის საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო მოღვაწეობა, თბ., 1990. ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ბაგრატიონი ვახუშტი ვახტანგის ძე – BAGRATIONI VAKHUSHTI (1696. თბილისი, – 1757, მოსკოვი), გეოგრაფი, კარტოგრაფი და ისტორიკოსი, ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის შვილი. მისი აღმზრდელები, მამის გარდა, იყვნენ სულხან-საბა ორბელიანი, ძმები იესე და გიორგი გარსევანიშვილები და ევროპელი კათოლიკე მისიონერები. ვახუშტის თავიდანვე დიდი ნიჭი და სწავლისადმი მისწრაფება გამოუჩენია და თავისი დროისათვის მაღალი განათლება მიუღია. იგი ადრეულ წლებიდან ჩაბმულა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ჯერ კიდევ ოცდაოდე წლის ვახუშტიმ, გივი თუმანიშვილთან ერთად, დეტალურად აღწერა ქვემო ქართლის მოსახლეობა. სწორედ ამ ხანებში შეაგროვა მან მთელი საქართველოს გეოგრაფიული და ტოპოგრაფიულ-კარტოგრაფიული მასალები, რომელიც საფუძვლიანად დაამუშავა მოსკოვში, სადაც ქართველ ემიგრანტთა ჯგუფთან ერთად დასახლდა, მათთვის სპეციალურად გამოყოფილ უბანში. ვახუშტი ბაგრატიონმა, რომელმაც დაგვიტოვა მდიდარი მემკვიდრეობა, პირველმა შეადგინა საქართველოს დეტალური და საკმაოდ ზუსტი რუკები; იგი ავტორია ფუნდამენტური ნაშრომისა – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", რომელიც დაასრულა 1745 წელს; 1735 წელს შეადგინა საქართველოს პირველი ატლასი, რომელთა რუკები იანვრის თვეშია დათარიღებული; ხოლო 1745 წელს დაამთავრა მეორე ატლასი. 1752 წელს თარგმნა მსოფლიო გეოგრაფია და მსოფლიო ატლასის 27 რუკა. ვახუშტიმ წარმატებით გამოიყენა რუსი და ევროპელი მეცნიერების მიღწევები კარტოგრაფიის დარგში, შემოქმედებითად მიუდგა და შეადგინა ქართული რუკები, რომლებიც თავისი შინაარსითა და გაფორმებით უტოლდებიან მსოფლიო კარტოგრაფიის დონეს. თავის მხრივ, ქართული კარტოგრაფიის მიღწევები გამოიყენეს ევროპულ და რუსულ კარტოგრაფიაში. ვახუშტის მიერ შედგენილ ამ რუკებს იყენებდნენ მთელი საუკუნის მანძილზე. მისი კარტოგრაფიული ნაშრომები საინტერესო ინფორმაციულ მასალას მოიცავს, ასახულია მთლიანად საქართველოს სამეფო და მისი ცალკეული მხარეები. ერთ-ერთ ისტორიულ რუკაზე მოცემულია ცალკეული პროვინციები და სამთავროები ღერბებითა და დროშებით. რუკებს თან ახლავს პირობითი ნიშნები, რაც ზრდის მისი გამოყენების არეალს. ვახუშტის ეკუთვნის თბილისის პირველი გეგმა, რომელიც აგეგმვის საფუძველზეა შედგენილი 1735 წლის იანვარში. ამ გეგმის მიხედვით თავისუფლად შეიძლება ვიმსჯელოთ XVIII საუკუნის თბილისის შესახებ. ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" ორიგინალური შრომაა და მოიცავს მთელი საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის დეტალურ აღწერას, თანმიმდევრულად და ურთიერთკავშირშია დახასიათებული საქართველო და მისი ცალკეული ადგილების

თავისებურებანი, სადაც ჩანს ავტორის მტკიცე გეოგრაფიული თვალსაზრისი. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერდა: „კულტურულ მცენარეთა არეალისა და ზონალობის შესახებ ასი წლით დე-კანდოლზე უწინარეს სახელოვან ქართველ მეცნიერ ვახუშტს ჰქონდა მოძღვრება და დებულება წამოყენებული... ეს გარემოება ვახუშტის მეცნიერული დაკვირვების გასაოცარ ნიჭს ამტკიცებს და მას პირადად მცენარეთა ზონალობის მოძღვრების პირველმოციქულს ჰხდის". ვახუშტის შრომები ნათელყოფს კულტურული და მეცნიერული განვითარების მაღალ დონეს ძველ საქართველოში და თავისი მდიდარი შინაარსით ქართველი ერის შესანიშნავი მემკვიდრეობაა. მან ისტორია, გეოგრაფია და კარტოგრაფია სრულიად ახალ გზაზე დააყენა და ქართულ სინამდვილეში მათი ცოდნა მეცნიერებად აქცია. ვახუშტის მეცნიერული მოღვაწეობა სათანადოდ იქნა შესწავლილი და დაფასებული. ვახუშტის სახელს ატარებს: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტი, თბილისის ერთ-ერთი ქუჩა და ხიდი მდ. მტკვარზე, მწვერვალი სვანეთის კავკასიონზე, კარსტული მღვიმე ბერჭილის ქედზე, სამეცნიერო გემი.

თხზ.: ღეოღრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკოსისა ბროსეტისაგან, სანკტ-პეტერბურგი, 1842; საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანაშვილის რედაქციით, თფილისი, 1904; აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941; ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973; საქართველოს გეოგრაფია, თბ., 1997; Царевич Вахушти, География Грузии, ЗКОИРГО кн. XXV, вып. 5, Тифлис 1904.

ლიტ.: მათურელი ი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 1990; ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები I, თბ., 1947; ანალები, I, თბ., 1947; მარუაშვილი ლ. საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1956; ზარდალიშვილი გ. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; გაბაშვილი ვ. ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., 1969; ვახუშტი ბაგრატიონი, ბიობიბლიოგრაფია, შემდგ. ფრ. სიხარულიძე, თბ., 1989; ვახუშტი ბაგრატიონი – გეოგრაფი, 300, თბ., 1997; ვახუშტი ბაგრატიონი – ისტორიკოსი და ეთნოგრაფი, 300, თბ., 1997; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996; Маруашвили Л. И. Вахушти Багратиони, его предшественники и современники, М., 1956.

ბაგრატიონი თეიმურაზ გიორგის ძე – BAGRATIONI TEIMURAZ (23.IV.1782, თბილისი, – 25.X.1846, პეტერბურგი), მწერალი, მეცნიერი და მოგზაური. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პეტერბურგში. იგი თავის დროისათვის დიდად განათლებული პიროვნება ყოფილა. აქტიურად თანამშრომლობდა „პარიზის სააზიო საზოგადოებაში" (1835 ამ საზოგადოების წევრად

აირჩიეს). ახლო ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ მეცნიერთან აკადემიკოს მარი ბროსესთან, რომელიც თავის თავს თეიმურაზის მოწაფედ თვლიდა. ახლო ურთიერთობაში იყო აგრეთვე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან. 1837 აირჩიეს ამ აკადემიის საპატიო წევრად; იგი პირველი ქართველი მეცნიერი იყო, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი გახდა.

თეიმურაზ ბატონიშვილმა ჯერ სპარსეთში იმოგზაურა, ხოლო შემდეგ ევროპაში; დაგვიტოვა სამოგზაურო-მემუარული ჟანრის ნაშრომი: „მოგზაურობა ჩემი ევროპისა და სხვათა ადგილთა". იგი ყოფილა ბოჰემიაში (ჩეხიაში), ლიფლანდიაში, პოლონეთში, პრუსიაში, საქსონიაში და სხვა ქვეყნებში. მოგვცა ამ ქვეყნების საკმაოდ ვრცელი და საინტერესო აღწერა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოჰემიის აღწერა, რომელზედაც უფრო დაწვრილებით ჩერდება. თეიმურაზი პირველი ქართველია, რომელმაც მოიარა და აღწერა ბოჰემია. თ. ბაგრატიონის „მოგზაურობა" ერთ-ერთი შესანიშნავი ქართული ლიტერატურულ-გეოგრაფიული ძეგლია, იგი საინტერესო ცნობარია იმდროინდელი ევროპის რიგი ქვეყნების მეურნეობისა და ყოფა-ცხოვრების გასაცნობად.


სანკტპეტერბურგი
ნარვა
ფერატი
ეიგარა
რიგა
მიტავა
ტაურენი
ლანდეკარენი
ბილზიტი
ელბინგი
ბ ა ლ ტ ი ს ზ ღ ვ ა
ფანცილ
ბ ა ლ ტ ი ს ზ ღ ვ ა
ეისლა
ბ ა ლ ტ ი ს ზ ღ ვ ა
ბ ა ლ ტ ი ს ზ ღ ვ ა
ბ ა ლ ტ ი ს ზ ღ ვ

ბაგრატიონი იოანე გიორგის ძე – BAGRATIONI IOANE (16.V.1768, თბილისი, – 15.II.1830, პეტერბურგი), განმანათლებელ-ენციკლოპედისტი, მწერალი, მეცნიერი და ლექსიკოგრაფი. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილი. მამის გარდაცვალების შემდეგ რუსეთში გადასახლდა და იქ განაგრძო სამწიგნობარო-საგანმანათლებლო მოღვაწეობა. მისი შრომებიდან გამოირჩევა ენციკლოპედიური ხასიათის თხზულება „კალმასობა", რომელიც დაუწყია 1813 წელს და 1828 წლის 30 ივნისს დაუმთავრებია სანკტ-პეტერბურგში. „კალმასობა" თავისებური ლიტერატურული ჟანრია, რომლის მსგავსი სხვა ლიტერატურაში არ გვხვდება. ეს ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს გეოგრაფიული თვალსაზრისითაც; ავტორი აგვიწერს საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებას, ზნე-ჩვეულებას, გვიხატავს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას. გარდა ამისა, გვაწვდის ცნობებს საქართველოს მეზობელი ქვეყნების შესახებაც. იმდროინდელი მსოფლიო გეოგრაფიული ნაშრომების გამოყენებით მან მოგვცა მსოფლიოს აღწერა. საინტერესო ცნობები აქვს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული, აგრეთვე საბუნებისმეტყველო და კოსმოგრაფიულ მეცნიერების დარგში. „კალმასობაში" გაბნეულია საქართველოს ტოპონომიკური მასალა, სრულადაა ახსნილი და აღწერილი ობიექტებისა და მოვლენების მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. იოანე ბატონიშვილს ეკუთვნის აგრეთვე საბუნებისმეტყველო ენციკლოპედია (1814), 1794-99 ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა, რომელშიც მოცემულია 2300-მდე ტოპონიმიკური ერთეული. მოცემული ცნობები ძვირფასი მასალაა საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიისათვის.

თხზ.: კალმასობა, ტ. I, ტფ., 1936; ტ. II, 1948; ქართლ-კახეთის აღწერა. კრ. ტოპონიმიკა, II, თბ., 1980; საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986; ხუმარსწავლა, წ. I, თბ., 1990; წ. II, თბ., 1991.

ლიტ.: ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ბაიაშვილი თინათინ ილიას ასული – BAIASHVILI THINATHIN (26.IV.1945, ს. სიმონიანთხევი, თიანეთის რ-ნი). გეოგრაფი. 1973 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-17 საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1976 გადაყვანილ იქნა თბილისის მე-14 საშუალო სკოლაში. 1977-დან მიიწვიეს პიონერთა და მოსწავლეთა (ახლანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის) რესპუბლიკურ სასახლეში გეოგრაფია-გეოლოგიის კაბინეტის პედაგოგად. 1984-დან ამავე კაბინეტის გამგეა. პარალელურად აგრძელებდა მუშაობას მე-14 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებ-

ლად (1986-მდე). მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში გეოგრაფია-გეოლოგიისა და მხარეთმცოდნეობის საზით ყოველწლიურად ატარებს მოსწავლეთა რესპუბლიკურ შეკრებებსა და კონფერენციებს. ეწევა მეთოდურ მუშაობას რესპუბლიკის მასშტაბით, ახდენს მოსწავლეთა შრომებისა და ბროშურების რედაქტირებას. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეთოდური ბროშურა: ნორჩ გეოლოგთა და გეოგრაფ-მხარეთმცოდნეთა დასახმარებლად. არის „სახალხო განათლების წარჩინებული" (1984) და პირველი კატეგორიის მასწავლებელი (1991).

ბროშ.: რა წაიკითხოთ თბ., 1988; დარია თუ ავდარია, თბ., 1988; თბილისის მიდამოების საექსკურსიო მარშრუტები 1988, ნორჩ გეოლოგთა VIII რესპუბლიკური შეკრების მონაწილის სამახსოვრო 1988, თბ., 1988; ნორჩი გეოლოგის სამახსოვრო, თბ., 1990; ნორჩი გეოლოგები ზაფხულში (1991).

ბარათაშვილი ვახტანგ ბესარიონის ძე – BARATASHVILI VAKHTANG (15.IV.1917, ქუთაისი), ზღვაოსანი, მოგზაური, მეცნიერი, მწერალი. 1933 დაამთავრა სკოლა და ქ. ლენინგრადში (სანკტ-პეტერბურგი) საინჟინრო საზღვაო ფლოტის ინსტიტუტის სტუდენტი გახდა. სტუდენტობის დროს მონაწილეობა მიიღო მოსკოეის მეტროს პირველ მშენებლობაში. 1936 დაბრუნდა ლენინგრადში და სწავლა გააგრძელა ინსტიტუტში. 1941 დაამთავრა აღნიშნული უმაღლესი სასწავლებელი ინჟინერ-ნაოსნის წოდებით, შემდეგში შორეული ნაოსნობის კაპიტნის დიპლომი. მონაწილეობა მიიღო მეორე მსოფლიო ომის რიგ სამხედრო ოპერაციებში. იგი შტურმანის მოწაფიდან დაწყებული აღწევს ყველაზე მაღალ ჩინს; თავდაპირველად იყო შტურმანის მოწაფე, შემდეგ მატროსი, კაპიტნის თანაშემწე, კაპიტანი, კაპიტან-დირექტორი, ექსპედიციის ხელმძღვანელი, ფლაგმანის კაპიტანი. სხვადასხვა ნავსადგურებში მონაწილეობას ღებულობდა გემების მიღებასა და გადაყვანაში, შემოიარა ევროპის, აზიის, აფრიკის, ამერიკის მრავალი ქვეყანა, გაკვალა ყინულოვანი ოკეანე. 1961 მისი ხელმძღვანელობით, პირველად საზღვაო პრაქტიკაში, ლენინგრადიდან ვლადივოსტოკამდე გაატარა ნავსაკეთებელი (დოკი) №5; 1964 კი ისევ ლენინგრადიდან ჰავანაში ატლანტის ოკეანის გადაკვეთით გაატარა ნავსაკეთებელი №15. მან მიიღო და გადაიყვანა 85 გემი, საიდანაც საზღვარგარეთზე მოდის 60 გემი – გერმანიაში, ჰოლანდიაში, აშშ-ში, ინგლისში, ფინეთში, პოლონეთში, უნგრეთში და სხვ. იყო ხუთივე კონტინენტზე, 66 ქვეყანაში, 109 პორტში, 42 კუნძულზე, არაერთხელ გადაუსერია ოთხივე ოკეანე, 36 ზღვა, 15 ყურე, 25 სრუტე და ოთხივე არხი. 1967 დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო გაერთიანება „საქთეეზმრეწვში" მთავარი კაპიტნისა და ფლოტის განყოფილებების უფროსის თანამდებობაზე, სადაც 1980-მდე მუშაობდა. მთელი თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა და გამოაქვეყნა ათეულობით წიგნში, სადაც აღწერი-

ლია ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყნების ბუნება, ეკონომიკა, ხალხთა ზნე-ჩვეულებები, კულტურა. მისი პირველი წიგნი ჯერ კიდევ 1951 წელს დაიბეჭდა მოსკოვ-ლენინგრადში. განსაკუთრებით აღსანიშნავია პეკინში ჩინურ ენაზე მილიონიანი ტირაჟით დაბეჭდილი წიგნი „დედამიწის გარშემო". აღსანიშნავია „ჰავაის ბულბული", რომელიც რამდენჯერმე დაიბეჭდა სხვადასხვა ენაზე. წიგნში საოცარი ფერებით არის აღწერილი ჰავაის კუნძულების ეგზოტიკური ბუნება, ასახულია ჰავაელი ხალხის ცხოვრება. გარდა ამისა, მის კალამს ეკუთვნის 600-ზე მეტი საგაზეთო და საჟურნალო წერილი მსოფლიოს მრავალ გამოცემებში სხვადასხვა ენაზე. წერილებში საინტერესოდ არის მოთხრობილი მოგზაურის შთაბეჭდილებები დედამიწის ირგვლივ. მეცნიერული ნაშრომებიდან აღსანიშნავია „საზღვაო ტერმინოლოგია" რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული განმარტებებისაგან (ათიათასი ტერმინი). იგი არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი, მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის წევრი და სხვ. მინიჭებული აქვს მრავალი ჯილდო.

მონოგრ.: კაპიტნის ჩანაწერები, თბ., 1960; ჰავაის ბულბული, თბ., 1963; 1974; 1987; ზღვიდან დანახული მსოფლიო, თბ., 1972; საზღვაო ტერმინოლოგია, თბ., 1990; Глазами советского моряка, М.-Л., 1951; Записки советского моряка. Тб., 1952; Вокруг света, Минск, 1956; Вокруг света, Пекин, 1958; От Балтики до Тихого океана, Калининград, 1962; Американские нравы, М., 1971;

ბასილაშვილი ცისანა ზაქარიას ასული – BASILASHVILI TSISANA (5.VII.1941, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1965 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1964 მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჯერ ტექნიკოსად, შემდეგ ინჟინრის, მეცნიერ მუშაკის, 1989-დან წამყვან მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, 2003-დან მთავარი მეცნიერი თანამშრომელია. 1968-73 ასპირანტურის კურსი გაიარა ქ. მოსკოვის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში. 1976 და 1995 მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიარა იუნესკოს უმაღლესი საერთაშორისო ჰიდროლოგიური კურსები. 1977 დაამთავრა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სახალხო უნივერსიტეტი, 1990 თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის კურსები, ხოლო 1993 თბილისის უცხო ენების ინსტიტუტის ინგლისური ენის კურსები. 1980 მოსკოვის ჰიდრომეტცენტრში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის ანალიზი და გრძელვადიანი პროგნოზები", 2002 კი სადოქტორო დისერტაცია – „მთის მდინარეთა ჩამონადენის პროგნოზირება (საქართველოს მაგალითზე)". შედგენილი აქვს 30

სამეცნიერო-კვლევითი ანგარიში და 24 მეთოდური მითითება ორატიული პროგნოზირების შესადგენად, რომლებიც დანერგილია სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი ობიექტების მომსახურეობისათვის. ავტორია 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. შედგენილი აქვს მონაცემთა სტატისტიკური ანალიზის და მრავალფაქტორიან დამოკიდებულებათა განსაზღვრისა და შეფასების კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც გამოქვეყნებულია მსოფლიო მონაცემთა ცენტრში და გამოიყენება მეცნიერების სხვადასხვა დარგში. მიღებული აქვს სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო კომიტეტის ვ. გლუშკოვისა და ვ. ურიეველის პრემია (1991).

მონოგრ.: Водные ресурсы Закавказья, Л., 1988 (соавт.).

ბასილაძე ელდარ სილიბისტროს ძე – **BASILADZE ELDAR** (23.X.1948, ს. ჭოგნარი, თერჯოლის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1971 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1972 მუშაობა დაიწყო ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს ქუთაისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში ექსკურსიამძღოლად. 1975-დან მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის საგნები თბილისის სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიურ უნივერსიტეტში, მუშაობს საკვალიფიკაციო ნასრომზე იმერეთის ბუნებათსარგებლობის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი.

ბაქრაძე დალი ივანეს ასული – **BAKRADZE DALI** (28.XI.1935, თბილისი), კლიმატოლოგი. 1959 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-კლიმატოლოგის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, თავდაპირველად ლაბორანტის, შემდეგ (1962) უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ამჟამად პირველი კატეგორიის ინჟინერია. მისი კვლევის სფერო კლიმატის აქტუალური საკითხების შესწავლაა. კერძოდ, შრომებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კლიმატის ცვლილებებზე – გლობალური დათბობა ზოგადად და რეგიონის პირობებში. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიეერო ნაშრომი. გარდა ამისა, მონაწილეობდა სხვადასხვა მასშტაბისა და რეგიონების რუკების შედგენაში.

ბაჩიაშვილი ლელა ლერის ასული – **BACHIASHVILI LELA** (28.II.1975, ქ. თელავი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1997 დაამთავრა თსუ ქიმიის ფაკულტეტი. 1998-2001 ასპირანტურის კურსი გაიარა ჰიდროლოგიაში. 2002-დან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 2002 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია –

„საქართველოს აგროსამრეწველო სექტორიდან სათბურის აირებით ატმოსფეროს გაჭუჭყიანების თავისებურებანი“. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. არის საქართველოს პრეზიდენტის II ხარისხის სტიპენდიატი.

ბეგალიშვილი ნოდარ ალექსანდრეს ძე – BEGALISHVILI NODAR (18.VI.1944, ქ. ქუთაისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი. 1969-დან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს (1969-74), შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად (1974-79), ნალექთა რეგულირების ლაბორატორიის გამგედ (1979-86), ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში (1986-99), ხოლო 1999-დან ინსტიტუტის დირექტორია. იგი თავიდანვე ჩაერთო თეორიულ და ექსპერიმენტალური ხასიათის კვლევებში. 1971-72 სტაჟირება გაიარა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მოსკოვის და ნოვოსიბირსკის გამოთვლით ცენტრებში შესაბამისად დისპერსულ გარემოში დინამიკური პროცესებისა და მეზომეტეოროლოგიის განყოფილებებში. 1977 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მონტე-კარლოს მეთოდი ღრუბლის ნაწილაკთა კოაგულაციის კინეტიკურ თეორიაში“, ხოლო 1995 სადოქტორო დისერტაცია – „ნალექთა ხელოვნური გაზრდის სამუშაოების დაგეგმვისა და ეფექტურობის შეფასების მეთოდები მთიანი რეგიონებისათვის (ამიერკავკასიის მაგალითზე)“. მისი კვლევის ძირითად მიმართულებებს და სამეცნიერო შედეგებს განეკუთვნება: კლიმატის ცვლილების პრობლემასთან დაკავშირებით საქართველოს ტერიტორიაზე სინოტივის ველის ემპირიულ-სტატისტიკური მოდელების დამუშავება, მისი მახასიათებლების საუკუნეობრივი ცვლილების გამოვლენა, სამხრეთ კავკასიის რეგიონში ღრუბელთა რესურსების გამოკვლევა; კლიმატის ცვლილების პირობებში მდინარეული ჩამონადენის ფორმირების მათემატიკური მოდელების დამუშავება; ტექნოგენური ავარიებისა და კატასტროფების შედეგად ბუნებრივი გარემოს დაბინძურების მათემატიკური მოდელირება და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი. არის 20 ცნობარის, მონოგრაფიისა და შრომათა კრებულის რედაქტორი. დაჯილდოებულია საკავშირო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით (1988).

მონოგრ.: თბილისის კლიმატის მრავალწლიური ცვლილება და ციკლური რყევადობა, თბ., 2001.

ბეგიშვილი კონსტანტინე რაფიელის ძე – BEGISHVILI KONSTANTINE (17.VIII.1907, ქ. ახალციხე, – 19.I.1986, თბილისი), გეოგრაფი. 1926-27 სწავლობდა თბილისში – საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან არსებულ საფინანსო-ეკონომიურ კურსებზე. მუშაობდა ქ. ახალციხეში სხვადასხვა ორგანიზაციაში. 1933 დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრა-

ფია-გეოლოგიის განყოფილება გეოგრაფიის სპეციალობით. 1933-35 მუშაობდა თსუ ზოგადი გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის კათედრაზე. 1935-36 გეოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელია. ამასთან, 1935-38 იგი თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი სკოლის პედაგოგია. 1938-დან კვლავ თსუ-ში მოღვაწეობს, კითხულობდა ლექციებს ფიზიკური გეოგრაფიისა და გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში (1938-47); შემდეგ იგი ბათუმის სახელმწ. პედაგოგიურ ინსტიტუტში გადადის და იქ რჩება 1955-მდე. ამავე წლებში იგი შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1949-52). 1960-79 იგი სამეცნიერო-კვლევით და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს ზოგად დედამიწისმცოდნეობაში ასტრონომიის საფუძვლებით, ასევე მხარეთმცოდნეობის საფუძვლებით და სპეკურსებს. თარგმნა რამდენიმე სახელმძღვანელო. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობასაც. მისი ძირითადი სამეცნიერო ინტერესი იყო ღვარცოფების შესწავლა და მისი უარყოფითი შედეგების საწინააღმდეგო ღონისძიებათა დასახვა. დაამუშავა თეორიული საკითხები ღვარცოფების გენეზისის, მისი წარმოშობისა და გადაადგილების კანონზომიერებანი, ნაფენებისა და თვით ღვარცოფების ტიპიზაცია და სხვ. შეასრულა 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომლიდანაც ნახევარზე მეტი გამოქვეყნებულია.

ბენაშვილი ანდრია მიხეილის ძე – **BENASHVILI ANDRIA** (4.IX.1862, ყვარელი, – 28.VI.1941, ქ. სოხუმი, დასაფლავებულია თბილისში, ვაკის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში), პროფესორი (1927). 1885 დაამთავრა თბილისის კადეტთა კორპუსი. სწავლის პერიოდში, 1882-84 მისი რედაქტორობით გამოდიოდა ქართული ჟურნალი „შრომა". 1885-87 სწავლობდა მოსკოვის ალექსანდრეს სამხედრო სასწავლებელში. დაიწყო სამსახური სამეგრელოს გრენადერთა მე-16 პოლკში. 1896-99 სწავლობდა გენერალური შტაბის აკადემიის გეოდეზიურ განყოფილებაზე. ორი წელი პრაქტიკულ ასტრონომიისა და უმაღლეს გეოდეზიაში სამუშაოდ იყო პულკოვოს მთავარ ასტრონომიულ ობსერვატორიაში. იქვე დაწერა სადისერტაციო ნაშრომი – „განედის განსაზღვრა ორი ვარსკვლავის შესატყვის სიმაღლეთა და ამ ვარსკვლავთა ზენიტურ მანძილთა მცირე განსაზღვრების გაზომვის მიხედვით". ეს ნაშრომი გამოქვეყნდა გენერალური შტაბის კრებულში და შემდეგში ითარგმნა გერმანულ და ფრანგულ ენებზე. 1901 დაინიშნა ტრიანგულაციის დასავლეთის სასაზღვრო სივრცის სამმართველოს უფროსის თანაშემწედ, შემდეგ უფროსად. 1902 მიიწვიეს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრის გამგედ. 1918-დან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია, 1919 სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო-

ფაკულტეტის დეკანია. კითხულობდა ლექციებს და განაგებდა ასტრონომიისა და გეოდეზიის კათედრას. იყო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის პირველი ქართველი დირექტორი. იგი იყო საქართველოში გეოგრაფიის ინსტიტუტის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი. 1933 მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1936-41 სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მას ეკუთვნის ორ ათეულამდე ნაშრომი ასტრონომიისა და გეოდეზიის საკითხებზე. მანვე შეადგინა პირველი ქართული სახელმძღვანელოები: უმაღლესი გეოდეზია 2 ნაწილად, ტოპოგრაფია სფერული ასტრონომია, ცდომილებათა თეორია. მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1941). იყო თსუ-სა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელი.

მონოგრ.: სფერული ტრიგონომეტრია, ტფ., 1933; ტოპოგრაფია, ნაწ. I, ტფ., 1933; სფერული ასტრონომია, თბ., 1938; ცდომილებათა თეორია, თბ., 1965.

ლიტ.: ტოგონიძე გ. გამოჩენილი ასტრონომი. ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნება", 1966, №12, გვ. 69; მაღრაძე ნ. ასტრონომიული მეცნიერება უნივერსიტეტში, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1968, 21 ივნისი; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, თბ., 1977, გვ. 302.

ბენაშვილი მარგალიტა (მერი) გიორგის ასული – BENASHVILI MARGALITA (1.XII.1938, ს. გრემი, ყვარლის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1971). 1959 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგიის სპეციალობით. იმავე წელს განაწილებით მუშაობა დაიწყო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოში ინჟინერ-მეტეოროლოგის თანამდებობაზე. 1964-67 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე და დამთავრების შემდეგ იმავე კათედრაზე დაიწყო მუშაობა უფროს მასწავლებლად, ხოლო 1971-დან დოცენტის თანამდებობაზეა. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ფიონების ეფექტი ჰაერის ტემპერატურაზე დასავლეთ საქართველოში". გამოქვეყნებული აქვს 32 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ქარების მეტეოროლოგიურ რეჟიმს, მათ თავისებურებებს, განსაკუთრებულ მეტეოროლოგიურ მოვლენებს (გვალვა, სეტყვა და სხვ.).

ბეჟანიძე ზურაბ ყადიღის ძე – BEZHANIDZE ZURAB (23.XI.1938, ს. კახაბერი, ხელვაჩაურის რ-ნი, – 7.V.1992, ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1961 წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო შუახევის რაიონის სოფ. ნიგაზეულის საშ. სკოლაში მასწავლებლად. 1964 მუშაობა დაიწყო ბათუმის პლანეტარიუმში დირექტორად. 1975-დან მუშაობდა შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტი-

ტუტის გეოგრაფიის კათედრაზე ასისტენტად. 1990 დაინიშნა უნივერსიტეტის პრორექტორად ჰუმანიტარული მუშაობის დარგში. 1991 ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიული ასპექტები მთიანი აჭარის მაგალითზე". გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ბუნებათსარგებლობის საკითხებზე.

ბერაძე ნიკოლოზ ირაკლის ძე – **BERADZE NIKOLOZ** (7.XI.1945, თბილისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1969 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი ატმოსფეროს ფიზიკის სპეციალობით. 1970-დან მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის სფეროში, ჯერ ინჟინრად, შემდეგ უფროს ინჟინრად, ჯგუფის ხელმძღვანელად, განყოფილების უფროსად, თბილისის ამინდის ბიუროს უფროსად, ჰიდრომეტცენტრის უფროსად, საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის რესპუბლიკური სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ჰიდრომეტეოროლოგიის ცენტრის უფროსად, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 2000-დან საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ნალექების ნახევარდღეღამური ჯამის სტატისტიკური სტრუქტურა და მისი გამოყენება ნალექების მოკლევადიანი პროგნოზისათვის დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცივ პერიოდში". გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, სტატისტიკის და გარემოს დაცვის საკითხებს. რამდენჯერმე მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი, 1994-დან საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი მსოფლიო მეტეოროლოგიურ ორგანიზაციაში, გაეროს კლიმატის ცვლილების სამთავრობათშორისო ექსპერტთა და დსთ-ს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფოთაშორისო კომიტეტებში. კითხულობს ლექციებს თსუ გეოგრაფია-გეოლოგის ფაკულტეტზე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ბერიტაშვილი ბაკურ შალვას ძე – **BERITASHVILI BAKUR** (22.IX.1940, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1963 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი და ბუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში. 1964-65 სტაჟირებით მივლინებულ იქნა ქ. ლენინგრადის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, იქვე, 1966-69 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1987-დან ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ნალექთა რეგულირების ლაბორატორიის ხელმძღვანელია, 1995-დან კი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე საერთაშორისო ურთიერთობის დარგში, ხოლო 2000-დან დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1996-2001 ასრულებდა

კლიმატის ცვლილების ეროვნული პროგრამის კოორდინატორის მოადგილის მოვალეობას. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კონვექციურ ღრუბელთა ზოგიერთი დინამიკური მახასიათებლის ექსპერიმენტული შესწავლა", 1994 კი სადოქტორო დისერტაცია – „ნალექთა ხელოვნური რეგულირების სამუშაოთა წარმოების მეთოდოლოგიური საფუძვლები (აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 40 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება ღრუბელთა ფიზიკის, ნალექთა რეგულირების, ატმოსფერული ელექტრო და კლიმატის ცვლილების პრობლემებს. არის რამდენიმე მონოგრაფიის, კრებულის და სხვა ნაშრომთა რედაქტორი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 2 საკანდიდატო დისერტაცია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

ბერიძე ტარიელ შოთას ძე – **BERIDZE TARIEL** (1.I.1949, თბილისი), გეოგრაფი. 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1972-74 მუშაობდა თსუ-ის აბიტურიენტთა მოსამზადებელ კურსებზე მასწავლებლად და მეთოდისტად. 1974-91 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში მეოთხეული გეოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის განყოფილებებში – ლაბორანტის, ინჟინრის, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე, 1991 კი საქართველოს ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ცენტრალურ აპარატში საორგანიზაციო განყოფილების უფროსის თანამდებობაზე, 1991-2000 საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროში რაციონალური ბუნებათსარგებლობისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების განყოფილების უფროსად, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მიწათმოწყობის სამმართველოს უფროსად, ტერიტორიულ-სივრცითი ორგანიზაციის, ქალაქმშენებლობის და არქიტექტურის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 2000-დან მუშაობს სამეცნიერო-საწარმოო ცენტრის – „საქნაპირდაცვის" დირექტორად. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი მეოთხეულ გეოლოგიასა და პალეოგეოგრაფიაში, აგრეთვე ლექციების კურსი სტუდენტებისათვის ბუნებათსარგებლობასა და ეკოლოგიაში, კონცეფცია საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ.

ბეროშვილი ლია იოსების ასული – **BEROSHVILI LIA** (21.XI.1958, ქ. დედოფლისწყარო), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1981 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ბუნებრივი პროცესების მოდელირების ლაბორატორიაში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უფროს ლაბორანტად, ინჟინრად, უფროს ინჟინრად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, მეცნიერ თანამშრომლად,

ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1999 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ატმოსფეროს გაჭუჭყიანების თავისებურებანი თბილისში“. გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო ნაშრომი. მონაწილეობას იღებს განყოფილების თემატური გეგმების შესრულებაში და კონფერენციებში. ამჟამად მუშაობს გაუდაბნოების პროცესებზე.

ბერუჩაშვილი ნიკოლოზ ლეონის ძე – **BERUCHASHVILI NIKOLOZ** (21.VIII.1947, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1983). 1965-70 სწავლობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. უნივერსიტეტში სწავლის დროს მონაწილეობდა სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციებში. აქტიურად მოღვაწეობდა მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარის სამეცნიერო მუშაობაში. მისი ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ლანდშაფტურ-გეოფიზიკური კვლევის ახალ მეთოდიკას, რომელმაც პირველი გამოცდა მარტოფის სტაციონარის მაგალითზე გაიარა. 1970-82 მუშაობდა თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1979 მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარის ბაზაზე იქმნება სამეცნიერო-კვლევითი ერთეული – აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად იქნა არჩეული. აღნიშნული ლაბორატორია გახდა საქართველოსათვის გეოინფორმაციული სისტემის შექმნის მთავარი ცენტრი. 1985 დაინიშნა სტაციონარის მეცნიერ-ხელმძღვანელად. 1982 არჩეულ იქნა კარტოგრაფია-გეოდეზიის და გეოინფორმატიკის კათედრის გამგედ. 1972 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სტრუქტურისა და ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხი (იალნოს ქედის მაგალითზე)“. 1975-76 სამეცნიერო სტაჟირებაზე იმყოფებოდა საფრანგეთში პროფ. ჟ. დრეშის ლაბორატორიაში სამუშაოდ. 1970-80 გამოქვეყნებული შრომები ეძღვნება ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სტრუქტურისა და ფუნქციონირების საკითხების შესწავლას მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარზე. მის სახელთანაა დაკავშირებული თანამედროვე ლანდშაფტმცოდნეობაში ახალი მიმართულების – „ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სივრცით-დროითი ანალიზი და სინთეზი“ ჩამოყალიბება, რომელზედაც 1981 მოსკოვის უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მეცნიერის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 25-მდე მონოგრაფია, რომლიდანაც 10 სახელმძღვანელოა. 1979 გამოიცა კავკასიის ლანდშაფტური რუკა, რომლის სპეციალური შინაარსი მან დაამუშავა. შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ისინი ეძღვნება ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების მდგომარეობათა გამოყოფას

და მათი კარტოგრაფირების საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და გამოიცა სამეცნიერო კრებულები. დიდი წვლილი შეიტანა კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრაზე ახალი მიმართულების — სივრცე-დროითი კარტოგრაფიის დამკვიდრებისა და შემდგომი განვითარების საქმეში. ამ თეორიის კარტოგრაფიაში გამოყენება საშუალებას იძლევა თანამედროვე კარტოგრაფიის ისეთი საკითხების გადაწყვეტისათვის, როგორიცაა: ოთხგანზომილებიან-კარტოგრაფირების არსი, დროის მასშტაბი, დროში სინთეზის კარტოგრაფიული ფორმა და სხვ. მეცნიერის კვლევის მასშტაბები მოიცავს ისეთ მთიანი ქვეყნების რეგიონებს, როგორიცაა: ინდოეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, შვეიცარია, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, გერმანია, პოლონეთი, შრი-ლანკა, ესპანეთი და სხვ. ნ. ბერუჩაშვილის მეთოდიკაზე აღზრდილ მეცნიერ-მკვლევართა მიერ მისივე ხელმძღვანელობით დაცულ იქნა 25 საკანდიდატო დისერტაცია. ხელმძღვანელობს დისერტაციების დაცვის საბჭოს. არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. 1984 ნ. ბერუჩაშვილი არჩეულ იქნა საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ლანდშაფტური სინთეზის კომისიის წევრად. 1987 ლექციების წასაკითხად მიწვეულ იქნა საფრანგეთში ტულუზისა და პარიზის უნივერსიტეტებში, ასევე გრენობლის, ბარსელონას, ბერლინის, დრეზდენის, ვარშავის, სოფიის, ბრნოს, ბრატისლავის, მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, კიევის უნივერსიტეტებში. მისი ავტორობით გამოცემულია 5 საუნივერსიტეტო და 5 სასკოლო სახელმძღვანელო. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა საერთაშორისო სამეცნიერო სკოლა „ინტერსტექსი", რომლის მიზანია მთიანი რეგიონების ლანდშაფტთა მდგომარეობის კვლევა და კარტოგრაფირება-მოდელირება. იგი ავტორია რამდენიმე საერთაშორისო მნიშვნელობის პროექტისა. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

მონოგრ. და სახელმძღვ.: ლანდშაფტმცოდნეობა (ლექციების კურსი), თბ, 1992; საქართველოს გეოგრაფია. ფიზიკური გეოგრაფია (სახელმძღვ. VIII-IX კლ.), თბ., 1996 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია. ფიზიკური გეოგრაფია (სახელმძღვ. VIII კლ.), თბ., 1998 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვ.), არაგეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტებისათვის, საუნივერსიტეტო კურსი), თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია (სახელმძღვ. IX კლ.), თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვ. აბიტურიენტ.), თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია. რეგიონები (სახელმძღვ. IX კლ.), თბ., 2000 (თანაავტ.); Проблемы и пути развития современной физической географии, Тб., 1974; Ландшафтные исследования и наблюдения на Марткопском физико-географическом стационаре, Тб., 1976 (соавт.); Ландшафтная карта Кавказа, Тб., 1979; Объяснительная записка к ландшафтной карте Кавказа, Тб., 1980; Методика ландшафтно-геофизического исследования и картографирования состояний природно-территориальных

комплексов, Тб., 1983; Четыре измерения ландшафта, М.,1986; Физическая география Закавказья, Ереван, 1986 (соавт.); Этология ландшафта и вопросы картографирования природной среды, Тб., 1989; Геофизика ландшафтов, М., 1990; Персональные компьютеры в географии, Тб., 1992; Кавказ: ландшафты, модели, эксперименты, Тб., 1995; Методы комплексных физико-географических исследований, М., 1997 (соавт.); География Грузии. Физическая география (учебник для 8 кл.), Тб., 1998 (тоже на армянском и азербайджанском языках); География Грузии. Социально-экономическая география (учебник для 9 кл.), Тб., 1998 (тоже на армянском и азербайджанском языках); Перспектива окружающей среды Кавказа, Тб., 2003 (соавт.); Les recherches sur les geosystemes dans la station de Martkopi, Tbilisi, 1976 (co-author); Geosystemes et Paysages. Bilan et methodes, Paris, 1991; Atlas geopolitique informatique du Caucase, Paris, 1996 (co-author); La Geographie en Georgie, Paris, 1998; Biodiversity of the Caucasus Ecoregion, Moscow-Tbilisi, 2002 (co-author); Caucasus Environment Outlook (Geo), Tbilisi, 2002 (co-author).

ბეკურაიძე ციალა მელიტონის ასული – **BEKURAIDZE TSIALA** (17.IV.1943, ს. ქვემო ალვანი, ახმეტის რ-ნი), კარტოგრაფი, უფროსი მასწავლებელი. 1966 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კარტოგრაფიის სპეციალობით და დატოვებულ იქნა სამუშაოდ ჰიდროლოგია-მეტეოროლოგია და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. 1975-დან გადავიდა კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრაზე. 1975-79 ასპირანტურის კურსი გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში კარტოგრაფიის სპეციალობით. მისი საკვალიფიკაციო თემაა – „მასშტაბი როგორც გნოსეოლოგიური კატეგორია", რომლის შესახებ გამოქვეყნებული აქვს 8 სამეცნიერო ნაშრომი. გარდა ამისა, არის რამდენიმე კოლექტიური ნაშრომის ავტორი. მუშაობს საქართველოს რეგიონების რუკათა სერიის გამოცემაზე. დაიბეჭდა სამეგრელოს, კახეთის, თუშეთის, გორის რაიონის ზოგადგეოგრაფიული რუკები. კითხულობს ლექციებს ტოპოგრაფიაში, რუკების ხაზვასა და გაფორმებაში, კარტოგრაფიულ გრაფიკასა და სხვ.

ბეშიძე რევაზ ბიქტორის ძე – **BESHIDZE REVAZ** (5.XI.1959, ქ. თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1982 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ოკეანოლოგიის სპეციალობით. 1982 მუშაობა დაიწყო სოხუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის „ატოლის" ფილიალში ინჟინერ-ოკეანოლოგად, 1983 ოქტომბრიდან აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის ლაბორანტად, ხოლო 1985-დან ამავე კათედრის მასწავლებლად. 1986-90 დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ-ში, სპეციალობით – ფიზიკური გეოგრაფია, ლანდშაფტის გეოფიზიკა და გეოქიმია. იქვე, 1990 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ამტყელის ტბის მიდამოების ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ლანდშაფტური გეოფიზიკური ანალიზი და დინამიკა". 1989-92 მუშაობდა თსუ

სოხუმის ფილიალის გეოგრაფიის კათედრის მასწავლებლად, შემდეგ დოცენტად, 1992-დან კათედრის გამგედ. 1995 მუშაობდა პარიზის უნივერსიტეტში და აღმოსავლური ცივილიზაციათა მცოდნეობის ინსტიტუტის გეოგრაფიის ბიუროში კავკასიის გეოინფორმაციულ ატლასზე. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ბილაშვილი კახაბერ აპელის ძე – **BILASHVILI KAKHABER** (2.I.1946, ქ. თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1985). 1967 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1968-69 მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ინჟინრის თანამდებობაზე. 1969-72 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1975-76 სტაჟირებას გადიოდა აშშ-ში. 1977-დან მუშაობს თსუ მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრაზე. 1982 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ტერიგენული მასალის დინამიკა საზღვაო უბნებზე". 1993-96 იყო თსუ დოქტორანტი. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ძირითადი მიმართულებაა წყალქვეშა ფერდობის ტრანსფორმაციის საკითხები, წყალქვეშა ტექნოლოგიების განკითარება, ეკოლოგია, „იუნესკოს" პროგრამის „ოკეანოგრაფიული მონაცემების საერთაშორისო გაცვლა" ეროვნული კოორდინატორი საქართველოში. 1997 „სოროსის" გრანტის მფლობელი პროექტისათვის „საქართველოში არსებული ოკეანოგრაფიული მონაცემების საძიებო-საცნობარო სისტემის „ლურჯი წიგნის" შექმნა მისი ინტერნეტში ჩართვის მიზნით". ნატოს პროგრამა – „მეცნიერება მშვიდობისათვის", შავი ზღვის აუზის ოკეანოგრაფიული ეკოლოგიური მონიტორინგისა და მონაცემთა ბაზის შექმნა. მიმდინარე პროექტი ევროგაერთიანების მიერ გრანტირებულია. ოკეანოგრაფიულ მონაცემთა ცენტრების პანევროპული ქსელის შექმნა და შავი ზღვის აუზის ოპერატიული ოკეანოგრაფიული ქსელის გაუმჯობესება, რომლებშიც არის პროექტის ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, ოკეანოლოგიურ მონაცემთა მენეჯმენტი, აგრეთვე ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მოპოვების დამუშავებისა და შენახვის ეროვნული ბიუროს (ოკბი) ხელმძღვანელი.

მონოგრ. და სახელმძღვ.: ოკეანე, თბ.,2001; ოკეანოგრაფიულ მონაცემთა მენეჯმენტი, თბ., 2003; Таблицы для расчета параметра волн, М., 1985.

ბლიაძე მაია გოდერძის ასული – **BLIADZE MAYA** (13 II.1965, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1987 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1986-87 სტაჟირება და წინა სადიპლომო პრაქტიკა გაიარა ქ. ლოძის (პოლონეთი) უნივერსიტეტში, 1987-90 კი თსუ ასპირანტურის კურსი, რის შემდეგ ამუშავებს საკვალიფიკაციო თემას – „გარემოს დაცვისა და ბუნებრივი

რესურსების რაციონალური გამოყენება". 1987-88 მუშაობდა თბილისის საექსკურსიო ბიროს ტურიპერატორად. 1989-დან მუშაობს თბილისის 126-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. აქვს უმაღლესი კატეგორია. 1998-2000 მუშაობს თბილისის საბურთალოს რაიონის განათლების განყოფილებაში მეთოდური უზრუნველყოფის ცენტრის გეოგრაფიის მეთოდისტ-ორგანიზატორად. ამავე წლებში იყო არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის ექსპერტი ბუნებრივი რესურსებისა და გარემოს დაცვის საკითხებში. სხვადასხვა წლებში იყო სასკოლო სახელმძღვანელოების საკონკურსო ექსპერტი. 2003-დან მუშაობს საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალურ ინსტიტუტში გეოგრაფ-მეთოდისტად. არის გაზეთ „განათლებული საქართველოს" დამატება „სკოლა – გეოგრაფიას" რედაქტორი. მონაწილეობას ღებულობს მოსწავლეთა საქალაქო და რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და სასწავლო შემოქმედების საორგანიზაციო კომიტეტის მუშაობაში. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო და მეთოდური შინაარსის ნაშრომი. მიღებული აქვს თბილისის მერიის მიერ დაწესებული რაფიელ დანიბეგაშვილის სახ. პრემია (1999).

სახელმძღვ.: გეოგრაფია (ცნობარი), დამხმარე სახელმძღვანელო საშუალო სკოლის მოსწავლეთათვის და აბიტურიენტებისათვის, თბ., 2001 (თანაავტ.); სამუშაო რვეული ფიზიკურ გეოგრაფიაში, თბ., 2003 (თანაავტ.); ფიზიკური გეოგრაფია (VI კლასის სახელმძღვანელო), თბ., 2003 (თანაავტ.).

ბლიაძე ნანა ნოდარის ასული – **BLIADZE NANA** (19.XII.1971, ქ. ქუთაისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1993 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის აკ. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1994 მუშაობა დაიწყო ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახ. სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში ასისტენტად. ამჟამად დოცენტის თანამდებობაზეა. 1994-97 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 2003 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ზემო იმერეთისა და ლეჩხუმის ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების დიფერენციაცია და ანალიზი", რომელშიც განხილულია ზემო იმერეთისა და ლეჩხუმის მდინარეთა აუზები, ლანდშაფტები, გამოყოფილია ტიპოლოგიური და ტაქსონომიური ერთეულები, ასევე, მოცემულია ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების შედარებითი ანალიზი, შედგენილია მსხვილმასშტაბიანი (1:100000) ლანდშაფტური რუკები. გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო ნაშრომი.

ბოკერია მანანა გრიგოლის ასული **BOKERIA MANANA** (2.VIII.1939. თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1972). 1962 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ექსპერიმენტალური დაპროექტების ზონალურ ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1967-70 ასპირანტურის კურსი გაიარა

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიის განყოფილებაში, საიდანაც გაიგზავნა ლენინგრადში ა. ვოეიკოვის სახ. მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში და ხელმძღვანელობას უწევდა პროფ. ლ. ანაპოლსკაია. 1971-დან მუშაობს თსუ მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე, სადაც კითხულობს ლექციების სპეცკურს – კლიმატი და სამშენებლო კლიმატოლოგია. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მეტეოროლოგიური პარამეტრების შეფასება სამშენებლო საპროექტო და მშენებლობის მიზნებისათვის კავკასიის მაღალმთიან რაიონში", რომელსაც მიუძღვნა 26 სამეცნიერო ნაშრომი. საერთოდ, არის 59 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ისინი ძირითადად ეხება კლასიკური კლიმატოლოგიის საკითხებს, სამშენებლო კლიმატოლოგიას და დიდი ქალაქების ეკოლოგიას თბილისის მაგალითზე. მისი ხელმძღვანელობით დაცულია ერთი საკანდიდატო დისერტაცია.

ბოკერია მარინე ნიკოლოზის ასული – **BOKERIA MARINE** (18.I.1939, ქ. თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1991). 1961 დაამთ ვრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1979 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქალაქის ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსის ფორმირების ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები (რუსთავის მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მათგან მონაწილეობა აქვს მიღებული 10 კოლექტიურ მონოგრაფიაში. შესრულებული შრომები ეძღვნება მრეწველობის ტერიტორიული ორგანიზაციისა და გადაადგილების პრობლემებს, სოციალურ ინფრასტრუქტურას და ტრანსპორტის გადაადგილების საკითხებს, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების პრობლემებს. უკანასკნელ წლებში მუშაობს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის ცალკეულ პრობლემებზე (მიმდებარე ტერიტორიის მრეწველობა, საქართველოს პორტები და საზღვაო ტრანსპორტი). 1975-85 თსუ-ში მუშაობდა საათობრივ ანაზღაურებაზე. ამჟამად შტატში შეთავსებით მუშაობს.

მონოგრ.: თბილისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

ბოლაშვილი ნანა როინის ასული – **BOLASHVILI NANA** (25.XI.1967, ქ. ბორჯომი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1989 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ (1992)

უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1992-96 სწავლობდა ასპირანტურაში სპეციალობით ხმელეთის ჰიდროლოგია, წყლის რესურსები და ჰიდროქიმია. 1999 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „წყალმოვარდნების პროგნოზირება სახეთა ამოცნობის თეორიის საფუძველზე (საქართველოს მდინარეთა მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ბონდირევა ზინაიდა პეტრეს ასული – **BONDYREVA ZINAIDA** (18.X.1922, თბილისი, – 30.V. 2000. იქვე), გეოგრაფ-კარტოგრაფი. სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის სამხედრო კარტოგრაფიულ ფაბრიკაში მხაზველ-კარტოგრაფად. 1944 ქ. ლენინგრადში დაამთავრა სამხედრო თარჯიმანის სპეცკურსი (გერმანული ენის განხრით) და 1947 მუშაობდა ქ. ბოროვიჩში (ნოვგოროდის ოლქი) სამხედრო ნაწილში. 1955-დან პენსიაზე გასვლამდე (1989) მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, ჯერ ტექნიკოს-კარტოგრაფად და შემდეგ ინჟინერ-კარტოგრაფად. 1965 დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის საღამოს განყოფილება სპეციალობით გეოგრაფია. გეოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობდა კარტოგრაფიულ განყოფილებაში ინჟინერ-კარტოგრაფად. გამოქვეყნებული აქვს 15-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ძირითადად ასახულია მოსახლეობის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და შედგენილია სათანადო შინაარსის რუკები.

ბონდირევი იგორ ვსევოლოდის ძე – **BONDYREVI IGOR** (28.IX.1948, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (2002). 1971 დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1973-დან მუშაობდა საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტში ჯერ ტექნიკოსად, შემდეგ ინჟინრად, ჯგუფის უფროსად, უფროს გეოლოგად, პარტიის უფროსად. 1979-82 მუშაობდა მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკაში გეოლოგ-გეომორფოლოგად. 1995-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში გეომორფოლოგიის განყოფილების წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 2000-დან უცხოეთის ქვეყნებთან ურთიერთობის განყოფილების ხელმძღვანელია. შეთავსებით მუშაობს თსუ-ს ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოსდაცვის კათედრაზე. 1972-76 ასპირანტურის კურსი გაიარა გეოგრაფიის ინსტიტუტში პროფ. ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით. 1977 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს პერიგლაციალური ლანდშაფტები", ხოლო 1994 სადოქტორო დისერტაცია – „მოზამბიკის გეომორფოლოგია". მან შეისწავლა საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების როგორც გეომორფოლოგიური, ისე ეკოლოგიური ასპექტები, დაამუშავა სასარგებლო-წიაღისეულის ძებნა-ძიების სტრუქტურულ-

გეომორფოლოგიური მეთოდები; შეადგინა და გამოაქვეყნა მოზამბიკის გეომორფოლოგიური რუკა სტოკჰოლმი 1983; შეიმუშავა შავი ზღვის ეკოლოგიური პროცესების ინფორმაციული მოდელი. აღნიშნულ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქ. მაპუტოს (მოზამბიკი) უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი.

მონოგრ.: ატმოსფერული ჰაერის დაცვა სამრეწველო გაჭუჭყიანებისაგან საქართველოს პირობებში, თბ., 1989 (თანაავტ.); საქართველოს წყლის რესურსების გაჭუჭყიანება და მასთან ბრძოლა, თბ., 1989 (თანაავტ.); ცხოველთა დასახელების მოკლე სამენოვანი ლექსიკონი (არასპეციალისტებისათვის), თბ., 2001; Охрана окружающей среды при проведении геолого-разведочных работ в ГССР, Тб., 1985 (соавт.); Природные ресурсы Колхидской низменности, Тб., 1985 (соавт.); Основные проблемы изучения и освоения высокогорных районов Грузии, Тб., 1987; Структурно-геоморфологический анализ и аэрокосмические методы при поисках полезных ископаемых в ГССР, Тб., 1988 (соавт.); Перспективы развития культуры чая и чайной промышленности в развивающихся странах Африки, Тб., 1989 (соавт.); Современные методы поиска полезных ископаемых и их эффективность в условиях Грузии, Тб., 1989 (соавт.); Защита атмосферного воздуха от промышленных загрязнений в условях Грузии, Тб., 1989 (соавт.); Проблемы охраны водных ресурсов Грузии от загрязнения, Тб., 1989 (соавт.); Перспективы системного анализа рудоносных структур и методы поиска минерального сырья в Грузии, Тб., 1990 (соавт.); Борьба с опасными геодинамическими процессами в условях горных стран, Тб., 1990 (соавт.); Аэрокосмические исследования и проблема кольцевых структур, Тб., 1991; Рациональное природопользование и природные ресурсы Черного моря, Тб., 1992 (соавт.); Новый взгляд на некоторые проблемы геоморфологии Грузии, Тб., 2000; Историческая экология цивилизаций т.I (Палеоэкология прародины человека), Тб., 2003 (соавт.); Geomorfologia da Republica Popular de Mocambique, Maputo, 1985.

ბორჩხაძე ვიქტორ კარაპეზის ძე – **BORCHKHADZE VICTOR** (10.IV.1921, ს. ბაღდადი, ოზურგეთის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1965). 1941 დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტი. 1941-45 მსახურობდა სამამულო ომში. 1948 წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო გეოგრაფიის კათედრაზე. 1954 ა. გერცენის სახ. ლენინგრადის პედაგოგიურ სახელმწიფო ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1955 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდინარეების მზიმთასა და სოჭის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". საველე და კამერალური მუშაობის შედეგად

შეისწავლა მზიმთასა და სოჭის მიდამოების გეოლოგიური და რელიეფური თავისებურებანი, ჰავა, ჰიდროგრაფია, ნიადაგ-მცენარეთა გავრცელების ვერტიკალური სარტყელურობა და ცხოველთა სამყარო. გამოყო გეომორფოლოგიური რაიონები. აღნიშნული გამოკვლევები საფუძვლად დაედო სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებას ადლეერის რაიონში. წლების მანძილზე კითხულობს ლექციებს ჩრდილოეთ აზიის ფიზიკურ გეოგრაფიაში, მხარეთმცოდნეობაში და მინერალოგია-პეტროგრაფიაში. 1975-79 მუშაობდა ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად, 1979-83 ინსტიტუტის პროორექტორად სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის დარგში, 1983-91 გეოგრაფიის კათედრის გამგედ. იყო ასლად დაარსებული უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის პირველი გამგე. არის 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელთაგან ითქმის ნახევარი ნაბეჭდია. შრომები ეხება აჭარის მთიანეთის ცალკეული ქედების, მდინარეთა აუზების და ხეობების ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას. დაჯილდოებულია 14 საბრძოლო ორდენით და მედლით. მინიჭებული აქვს საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება და აჭარის განათლების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ბუაჩიძე ვლადიმერ (ლადო) ეაუას ძე – BUACHIDZE VLADIMER (8.VII.1958, თბილისი), კარტოგრაფი. 1985 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კარტოგრაფიის სპეციალობით. 1984-დან მუშაობს თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. 1997-2000 შეთავსებით მუშაობდა საქართველოს ენციკლოპედიაში წამყვან კარტოგრაფად. ასევე, იმავე წლიდან შეთავსებით მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრაზე, სადაც კითხულობს ლექციებს რუკების შედგენა-გაფორმება, კარტოგრაფიული წარმოების ეკონომიკა, მენეჯმენტი, სტრუქტურა, რუკებისა და ატლასების მომზადება და გამოცემა. მუშაობს საკვალიფიკაციო თემაზე, რომლის ირგვლივ გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. შემუშავებულ და გამოცემული აქვს სკოლების გეოგრაფიისა და ისტორიისათვის სხვადასხვა კლასების კონტურული რუკები, მისი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით გამოცემულია ათეულობით კედლისა და დასაკეცი გეოგრაფიული რუკები. მონაწილეობა მიიღო ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ატლასის“ და „საქართველოს ისტორიის ატლასის“ გამოსაცემად მომზადებასა და გამოცემაში. მისი ხელმძღვანელობით გამოიცა გლობუსები. ასევე, V-VII კლასების სასკოლო ატლასები (1996-97).

ეონოგრ.: კარტოგრაფიული გენერალიზაცია, თბ., 2000.

ბურჯანაძე ვლადიმერ დომენტის ძე – BURJANADZE VLADIMER (20.X.1906, ს. ლეღვანი, ხარაგაულის რ-ნი, – 25.II.1978, თბილისი), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 1928 შევიდა თსუ-ში, საიდანაც იმავე წელს გაიგზავნა მცხეთის უპატრონო ბავშვთა სახლში მასწავლებლად. 1930-32 სწავლა განაგრძო საქართველოს საფინანსო-ეკონომიურ ინსტიტუტში. 1933-34 სწავლობდა ამიერკავკასიის ეკონომიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში, ხოლო ინსტიტუტის ლიკვიდაციის შემდეგ, 1935-დან თსუ-ში პროფ. გ. გეხტმანის ხელმძღვანელობით. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და თსუ ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტად. გარდა ამისა, წლების მანძილზე იმყოფებოდა პარტიული სამუშაოს სხვადასხვა თანამდებობებზე. 1947 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ტირიფონის სარწყავი არხის ეკონომიური მნიშვნელობის საკითხისათვის", ხოლო 1971 სადოქტორო დისერტაცია – „ირიგაცია საქართველოში (1921-61 წწ.)". გამოქვეყნებული აქვს 52 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია საქართველოს სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ეკონომიკის რიგი საკითხები. ნაშრომების ძირითადი ნაწილი მიძღვნილია ირიგაციის საკითხებზე.

მონოგრ.: ირიგაცია საქართველოში, თბ., 1967.

გაბაიძე ჯემალ ოსმანის ძე – GABAIDZE JEMAL (24.VIII.1948, ს. ხიხაძირი, ხულოს რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1969 დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1970-დან მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ მუშაობას იწყებს ს. ფუშრუკაულის (ხულოს რ-ნი) არასრულ საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1978-დან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდ. უნივერსიტეტში) გეოგრაფიის კათედრის ლაბორანტად, 1980-დან კათედრის მასწავლებლად. 1992-93 ასრულებდა გეოგრაფიის კათედრის გამგის მოვალეობას. 1982-86 იყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების მაძიებელი პროფ. რ. კვერენჩხილაძის ხელმძღვანელობით. მუშაობდა თემაზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა". გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში. კითხულობს ლექციებს ტოპოგრაფია-კარტოგრაფიაში, საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში და სხვ.

გაბაშვილი ტიმოთე – GABASHVILI TIMOTHE (1703, – 1764, ასტრახანი), მწერალი, საეკლესიო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, დიპლომატი, თავისი დროის თვალსაჩინო მოგზაური და კარტოგრაფი. იგი მიეკუთვნება ქართველ მოგზურთა იმ ჯგუფს, რომელმაც მოიარა

ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები და დაგვიტოვა მათი ვრცელი აღწერა, რომელშიც მოცემულია გეოგრაფიული და ისტორიული ცნობები. მას შესაფერისი განათლება მიღებია; შეუსწავლია უცხო ენებიც. მოღვაწეობდა დავით გარეჯის უდაბნოში, სადაც ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. კარგად სცოდნია ფილოსოფია, საეკლესიო ისტორია და ღვთისმეტყველება. 30-იან წლებში ტიმოთე გადავიდა იმერეთში და ქუთაისის მთავარეპისკოპოსის წოდება მიიღო. მას ქუთაისში ეკავა სამიტროპოლიტო კათედრა. 1737 26 სექტემბერს იმერეთის მეფის ალექსანდრე მეხუთის დავალებით, ტიმოთე გაბაშვილი პეტერბურგს გაემგზავრა, სადაც შეხვდა რუსეთის იმპერატორ ანა იოანეს ასულს და მიართვა ალექსანდრე მეფის წერილი, საჩუქრები და ახლად შედგენილი იმერეთის რუკა. როგორც დადგინდა, ეს რუკა შეუდგენია თვით ტიმოთე გაბაშვილს. დასავლეთ საქართველოს (იმერეთის) რუკა მრავალმხრივი ისტორიოგრაფიული წყაროა. იგი XVIII საუკუნის პირველი ნახევრის კარტოგრაფიის მნიშვნელოვან ძეგლად ითვლება. თავის დროზე ეს რუკა რუსეთის საიმპერატორო კარზე წარმოადგენდა თვალსაჩინო მასალას XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს შესახებ. მისი ერთი ასლი გადაეღია XIX საუკუნის დასაწყისში ფრანგ მოგზაურს ჟაკ ფრანსუა გამბას. ტიმოთე გაბაშვილს ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურობა 1755 აპრილში დაუწყია. მოგზაურობიდან დაბრუნებულა 1759. დაუწერია საინტერესო ნაშრომი — „მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთსა ადგილთა". მასში აღწერილია ყველა ის ადგილი, რომელიც ნახა, გადმოგვცა ისტორიულ-გეოგრაფიული და საეკლესიო ცნობები. ამ ნაშრომს დღესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმდროინდელი საკითხების შესწავლისათვის.



თხზ.: მოხილვა წმიდათა და სხუათა აღმოსავლეთსა ადგილთა ტიმოთესაგან, პლ. იოსელიანის რედაქციით, თბ., 1852.

ლიტ.: მეტრეველი ე. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა", თბ., 1956; კეკელიძე კ. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960; ზარდალიშვილი გ. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; მათურელი ი. ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 1990; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

გაბრიჩიძე თინათინ იოსების ასული – **GABRICHIDZE THINATHIN** (23.X.1935, თბილისი, – 6.VIII.1998, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1958 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განყოფილებაში ლაბორანტად. 1961-64 ამავე ინსტიტუტში ასპირანტურის კურსი გაიარა პროფ. ლ. ვლადიმიროვის ხელმძღვანელობით. 1964-69 ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია, 1969-75 უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 1975-79 ინსტიტუტის სწავლული მდივანი. 1981-დან მუშაობდა მეცნიერების და ტექნოლოგიების დეპარტამენტის სამეცნიერო-ტექნიკური თარგმნის ცენტრის მთავარ სამეცნიერო რედაქტორად, ხოლო 1985-დან ამავე ცენტრის განყოფილების გამგე იყო. 1966 ქ. ბაქოში გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სამხრეთ საქართველოს მთიანეთის მდინარეების კვება და ჩამონადენი". გამოქვეყნებული აქვს 24 სამეცნიერო ნაშრომი. შედგენილი აქვს მდინარეების მიწისქვეშა ჩამონადენის რუკა, რომელიც 1968 დაიბეჭდა თანაავტორობით „სსრკ ჰიდროლოგიურ ატლასში".

მონოგრ.: Водный баланс Грузии, Тб., 1974.

გაბუნია ივანე გრიგორის ძე – **GABUNIA IVANE** (10.VII.1929, ს. ახუთი, ჩხოროწყუს რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1985). 1951 დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1952-79 მუშაობდა ოჩამჩირის რ-ნის ახალი კინდღის საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, სკოლის დირექტორად. 1962-80 მუშაობდა ქ. სოხუმის მე-2 საშუალო სკოლა-ინტერნატში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1975-დან მიწვეული იყო სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ლექციების წასაკითხად. 1979-დან მუშაობს სოხუმის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის დოცენტად. 1992-დან აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული ცხოვრობს თბილისში და მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში გეოგრაფიის კათედრის გამგედ, ხოლო შეთავსებით ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის

ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების უფროს მეცნ. თანამშრომლად. 1973 თსუ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აფხაზეთის ასსრ საკურორტო-ტურისტული მეურნეობა". მასში მოცემულია ამ დარგის განვითარების ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიულ-კულტურული და ეკონომიკური წანამძღვრები. გაშუქებულია საკურორტო-ტურისტული საქმიანობის ისტორია. გარკვეული ადგილი ეთმობა აფხაზეთის რეკრეაციულ დარაიონებას, საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ეფექტიანობისა და რენტაბელობის საკითხებს. განხილულია საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების პერსპექტივები. ამ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2002).

შრომები: აფხაზეთის ასსრ საკურორტო-ტურისტული მეურნეობა, სოხუმი, 1979; საქართველოს რეკრეაციული მეურნეობა, თბ., 1996.

გაგნიძე რევაზ ივანეს ძე – GAGNIDZE REVAZ (28.I.1932, თბილისი), ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1988). საშუალო სკოლის რვა კლასის დამთავრების შემდეგ, 1947-50 სწავლობდა თბილისის მე-3 სამედიცინო სასწავლებელში. 1955 დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი ბოტანიკის სპეციალობით. 1955-58 ასპირანტურის კურსი გაიარა ბოტანიკის ინსტიტუტში. 1958-დან მუშაობს ამავე ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1978-დან ხელმძღვანელობს მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის განყოფილებას. 1982-დან პარალელურად მუშაობს თსუ ბოტანიკის კატედრის გამგედ. 1968-74 მუშაობდა აგრეთვე გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად. 1956-დან საქართველოს ნორჩ ტურისტთა სადგურის ინსტრუქტორი და მეთოდისტია. რესპუბლიკის სკოლებში ხელმძღვანელობს ეკოლოგიური ჯგუფების მუშაობას და კონფერენციებს. არის საქართველოს ბოტანიკური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ტაქსონომიის შემსწავლელი საერთაშორისო ორგანიზაციის („ოპტიმა") წევრი, საერთაშორისო გეოგრაფიის კავშირის წევრი, მედიკო-ბიოლოგიის საზოგადოებრივი აკადემიის ნამდვილი წევრი, საქ. გეოგრაფიული საზოგადოების ბიოგეოგრაფიული სექციის თავმჯდომარე, მრავალი საერთაშორისო კონგრესისა და სიმპოზიუმის მონაწილე. 1978-79 მუშაობდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში უფროს ინჟინერ-გეობოტანიკოსად, ხოლო 1981 სამეცნიერო გემზე „ვერნადსკი" მონაწილეობდა საერთაშორისო ბოტანიკურ-ჰიდროფიზიკურ ექსპედიციაში ინდოეთის ოკეანისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში ოკეანურ კუნძულებზე – სეიშელისა და მავრიკის არქიპელაგზე, კენიაში, მადაგასკარზე, სინგაპურში, შრი-ლანკაზე, მალდივის მარჯნის კუნძულებზე, საბერძნეთში, სადაც სწავლობდა ბუნებრივ ეკოსისტემებს. არის საერთაშორისო მაღალმთის ფლორის

შემსწავლელი ექსპედიციის (აპენინები, ალპები, ბალკანები, კარპატები, პამირი, ტიან-შანი, ალტაი, ალათაუ, კამჩატკა) მონაწილე. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა ფლორისტული ექსპედიციები კავკასიისა და საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. 1963 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სუბალპური მაღალბალახეულობის ფლორისტული ელემენტები ცენტრალური კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობებზე", ხოლო 1973 სადოქტორო დისერტაცია – „კავკასიის სუბალპური მაღალბალახეულობის ფლოროცენოტური კომპლექსის ბოტანიკურ-გეოგრაფიული ანალიზი". რ. გაგნიძე 200-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფიის და სახელმძღვანელოსი, რომელთა ნაწილი დაბეჭდილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. იგი არაერთი ნაშრომის რეცენზენტი და რედაქტორია. არის საერთაშორისო პერიოდული გამოცემის „მცენარეთა სისტემატიკისა და გეოგრაფიის ნარკვევების" მთავარი რედაქტორი. მისი სამეცნიერო შრომები ეხება საქართველოს, კავკასიის, ხმელთაშუაზღვეთის, პალეარქტიკის მთიანი რეგიონების ბოტანიკურ გეოგრაფიას, მაღალმთის ფლორას, ბიომრავალფეროვნებას, ცელკეულ მცენარეთა ჯგუფების სისტემატიკას, კარიოლოგიას, ფიტოგეოგრაფიულ დარაიონებას. შეიმუშავა ცოცხალი ბუნების დაცვის, ცალკეული იშვიათი, ენდემური და რელიქტური სახეობების მეცნიერული დაცვის საფუძვლები, სამკურნალო მცენარეების კარტოგრაფირება. იგი არის ერთ-ერთი ინიციატორი თსუ ინტეგრირებული მაგისტრატურის შექმნისა, რომელიც ბიოგეოგრაფიის სპეციალობის მაგისტრებს ამზადებს. დაჯილდოებულია „წარჩინებული პედაგოგის" ნიშნით (1978), „ბუნების ქომაგის" ოქროს მედლით (1984), ღირსების მედლით (1998), ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლით (2002).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს სამხედრო გზის ბოტანიკური აღწერა (ქართულ-რუსულ ენებზე), თბ.-ლენინგრადი, 1975 (თანაავტ.); სვანეთის ბოტანიკური გეოგრაფია და ფლორის კონსპექტი, თბ., 1985; ბოტანიკური ექსკურსიები თბილისის მიდამოებში (სასწავლო-მეთოდური სახელმძღვ.). თბ., 1987 (თანაავტ.); მცენარეთა გეოგრაფია (ფიტოგეოგრაფია). თბ., 1996; ადგილობრივი ფლორა (საქართველოს მცენარეთა სამყარო), ბათუმი, 2000 (თანაავტ.); Ботанико-географический анализ флороценотического комплекса субальпийского высокотравья Кавказа, Тб., 1974; Ботаническая география и флора Рача-Лечхуми, Тб., 1985 (соавт.).

ლიტ.: შეთეკური შ., ჭელიძე ნ., ჭურაძე მ. კავკასიის ფლორის გამორჩეული მკვლევარი, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 12.VII.2002.

გაგუა გივი ივანეს ძე – GAGUA GIVI (20.IX.1939, ს. ნიგორწყლა, სამტრედიის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1966 დამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტეოროლოგის სპეციალობით. 1966-69 სწავლობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში აკად. თ

დავითაიას ხელმძღვანელობით. 1969-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. ამჟამად კლიმატოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელია. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სოფლის მეურნეობის პროდუქტების უწყვეტი წარმოების აგროკლიმატური რესურსები საქართველოში". შესწავლილია საქართველოში ზოგიერთი ახალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების თითქმის უწყვეტი წარმოების შესაძლებლობის საკითხები. 1973-75 იგი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა კუბის რესპუბლიკაში ქვეყნის აგროკლიმატური რესურსების შესასწავლად. შეადგინა კლიმატური და აგროკლიმატური რუკები, რომლებიც შეეიდა კუბის ეროვნულ ატლასში 1989 (მეორე გამოცემა). ავტორია 110-მდე სამეცნიერო შრომისა (ქართულ, რუსულ და ესპანურ ენებზე).

მონოგრ.: აკადემიკოსი თეოფანე დავითაია, თბ., 1984 (თანავტ.); კოლხეთის აგროკლიმატური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემა, თბ., 1988; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.);

ბაგუა ვალენტინა პეტრეს ასული – GAGUA VALENTINA (8.XI.1937, ქ. ლენინგრადი, – 26.VI.2002, ქ. ვესტორენჯი, აშშ, დაკრძალულია თბილისში), გეოგრაფიულ მცნიერებათა კანდიდატი. 1962 დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1963-67 იყო ლენინგრადის მთავარი გეოფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტი. 1967-დან მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, ხოლო 1972-87 უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1987-დან საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დედამიწის სხვადასხვა კლიმატურ ზონაში რადიაციული ბალანსის დღეღამური სვლის თავისებურება". გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროს შეადგენდა რადიაციული ბალანსის და მისი მდგენელების ცვალებადობა სხვადასხვა კლიმატურ ზონაში როგორც სეზონურ, ისე ყოველთვიურ და ყოველდღიურ ინტერვალში; ატმოსფეროს სპექტრალური გამჭვირვალობა, რადიაციული ბალანსის ენერგეტიკული სპექტრი, ამიერკავკასიის ჰელიოენერგეტიკული რესურსები და სხვ.

მონოგრ.: Климат и климатические ресурсы Грузии, Л., 197(соавт.)1; Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1983(соавт.); Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осущения, Л., 1983 (соавт.); Возобновляемые энергоресурсы Грузии, Л., 1987 (соавт.); Грузия 2000 – регионы Тб., 1987 (соавт.); Научно-прикладной справочник СССР, сер. 3, вып. 14, ГССР, Л., 1990 (соавт.); Природные ресурсы Грузии и проблемы их

рационального использования, Тб., 1991 (соавт.); Энергетические ресурсы Грузии и проблемы их рационального использования, Тб., 1991 (соавт.).

გაგუა მერი მირიანის ასული – GAGUA MERI (1.VI.1935, ქ. ოზურგეთი), კარტოგრაფი. 1956 წარჩინებით დაამთავრა თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის აეროგეოდეზიურ სამმართველოში რუკათშემდგენლად. 1955 პარალელურად მუშაობდა ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოში, სადაც აწარმოებდა მაღალი კლასის ნიველირების სამუშაოებს. 1957 ჩაირიცხა მოსკოვის გეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტში, საიდანაც სწავლა გააგრძელა და წარმოებისაგან მოუწყვეტლივ 1964 დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1959-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ინჟინერ-კარტოგრაფის თანამდებობაზე, 1973-დან უფროს ინჟინერ-კარტოგრაფად, 1982-დან უმცროს მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1990-დან მეცნიერი თანამშრომელი. მ. გაგუა მონაწილეობას იღებდა საქართველოს კომპლექსური გეოგრაფიული ატლასის შექმნაში (1964). გარკვეული წვლილი მიუძღვის ვახუშტი ბაგრატიონის ატლასის გამოსაცემი სამუშაოების, კუბის ნაციონალური ატლასის, საქართველოს სასკოლო ატლასის, კურორტების ატლასის და სხვათა შედგენაში. მათ შორის რამდენიმე რუკის თანაავტორია. „კოლხეთის დაბლობის" მონოგრაფიისა და კოლხეთის რეგიონალური ატლასისათვის თანაავტორობით შეადგინა 17 დასახელების რუკა და ავტორობით ბუნების დაცვის რუკა. შეადგინა და გამოცა (1989) კავკასიის ბუნების დაცვის რუკა (1:4000000) კავკასიის ტურისტული ატლასისათვის. 1986-87 მოსკოვის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიულ განყოფილებაში გადიოდა სტაჟირებას, სადაც აითვისა ბუნებრივი პირობების და ბუნების დაცვის კარტოგრაფირების მეთოდები, რომელსაც წარმატებით იყენებს თემატური რუკების შედგენაში. გარდა რუკების შედგენისა, მას გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი რესპუბლიკურ და უცხოეთის გამოცემებში.

გაფაშელი შალვა გრიგოლის ძე – GAVASHELI SHALVA (10.IV.1913, ს. ღები, ონის რ-ნი, – 16.IV.1988, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1940 დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიურ სამმართველოში. სხვადასხვა დროს მუშაობდა ყაზბეგის მაღალმთიან ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსად, გეოფიზიკური ობსერვატორიის მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის განყოფილების გამგედ, თბილისის ობსერვატორიის დირექტორად. 1961-80 მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის რადიოლოგიური ლაბორატორის გამგედ, ხოლო 1980-დან ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში გარემოს დაბინძურების კონტროლის ცენტრის

უფროსად. 1966 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. „საქართველოს ატლასში" შესულია მისი ავტორობით შედგენილი 12 რუკა, რომლებიც ეხება კლიმატის თავისებურებას და მრავალფეროვნებას. იყო რედაქტორი და თანაავტორი რიგი კლიმატური ცნობარებისა. დაჯილდოებულია მედლებით და სიგელებით.

გამცემლიძე ნარგიზა გრიგოლის ასული – GAMTSEMLIDZE NARGIZA (1.X.1935, ს. ზარანი, ხარაგაულის რ-ნი), კარტოგრაფი. 1957 დაამთავრა თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი, ხოლო 1966 თბილისის ს. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი (ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი) გეოგრაფიის მასწავლებლის სპეციალობით. 1957-59 მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სამმართველოში, 1959-95 კი ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიულ განყოფილებაში ჯერ ინჟინერ-კარტოგრაფის თანამდებობაზე, 1971-დან უფროსი ინჟინერია, 1982-დან უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1990-დან მეცნიერი თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად რეტროსპექტულ კარტოგრაფირებას შეეხება. კერძოდ, ვახუშტი ბაგრატიონის შრომების მიხედვით აღდგენილია წარსულის სურათი მინერალური წყლებისა და წიაღისეული სიმდიდრეებისა რეტროსპექტული კარტოგრაფირების მეთოდით. დიდი მუშაობა ჩაატარა ვახუშტი ბაგრატიონის ატლასების გამოსაცემი ვარიანტის მომზადებაში.

გარსევანიშვილი ელისაბედ დავითის ასული – GARSEVANISHVILI ELISABED (2.IX.1921, ქ. გორი), პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1942 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1943-47 მუშაობდა საშუალო სკოლებში გეოგრაფიის მასწავლებლად, 1947-დან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. 1956 დაინიშნა ამ ინსტიტუტის გეოგრაფიის მეთოდკაბინეტის გამგედ. 1960-64 ლექციებს კითხულობდა თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ახლანდელ სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტი), 1964-69 გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტი), 1969-93 თსუ დოცენტი იყო. 1952-55 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1962 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში – „რელიეფის სწავლება საშუალო სკოლაში". გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია „გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა", რომელშიც გაშუქებულია გეოგრაფიის სწავლების კერძო და ზოგადი მეთოდიკის

საკითხები. იგი გამიზნულია უმაღლესი სასწავლებლების გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისა და საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლებისათვის. დიდი პოპულარობით სარგებლობს მის მიერ შედგენილი „ფიზიკური გეოგრაფიის საცნობარო ლექსიკონი" (1964, 1976). ამ ნაშრომისათვის იგი დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის სახ. მედლით და პრემიით. დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1960), განათლების სამინისტროს რამდენიმე სიგელით, ყოფილი საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მინიჭებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება (1985).

მონოგრ. და სახელმძღვ.: ნორჩი თაობის მოამაგენი. დავით დონდუა, თბ., 1978; გეოგრაფიის სწავლება და ათეისტური აღზრდა, თბ., 1981; კლასგარეშე და სკოლის გარეშე მუშაობა გეოგრაფიაში, თბ., 1983; გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1985; მეთოდური მითითებანი ზოგიერთი პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად გეოგრაფიაში, თბ., 1986.

ლიტ.: გომართელი ა. თეთრი ტაძრის ასი მზე. თბ., 1991, გვ. 114-115.

გაჩეჩილაძე გიორგი ამბერკის ძე – GACHECHILADZE GIORGI (24.VI.1954, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1976 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჯერ ინჟინრად, შემდეგ უფროს ინჟინრად, უმცროს, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, გარემოს გაჭუჭყიანების მონიტორინგის ლაბორატორიის გამგედ, ეკოლოგიის განყოფილების გამგედ, წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ტერიტორიული განზოგადოების მეთოდიკა და მთის მდინარეებში გამოტანილი გახსნილი მარილების გაანგარიშება", ხოლო 1991 რუსეთის ჰიდროქიმიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ქიმიური დენუდაციის ჰიდროლოგიური ასპექტები მთიან რეგიონებში". არის 61 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. სადოქტორო დისერტაციასა და შემდგომ დაბეჭდილ მონოგრაფიაში საფუძველი ჩაეყარა ჰიდროქიმიაში გეოგრაფიული განზოგადოების და ანალიზის ახალ მეთოდოლოგიას. მნიშვნელოვანია ნაშრომი – „საქართველოს გარემოს დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძვლები" (1993), რომელიც მთლიანად აგებულია მდგრადი განვითარების პრინციპებზე და საქართველოში გარემოს დაცვითი ახალი სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების საპროგრამო დოკუმენტს წარმოადგენს. აღსანიშნავია მისი საზოგადოებრივი საქმიანობა. არის საქართველოს მწვანეთა პარტიის სპიკერი (1995), 1992-99 იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, ბოლო წლებში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

1994-95 საქართველოს „ბუნებრივი წყლების რაციონალური გამოყენებისა და დაცვის“ სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის პირველი მოადგილე. მწვანეთა პარტიის თავმჯდომარე და მწვანეთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა რამდენჯერმე (1998, 2002). მისი ინიციატივით საქართველოს კონსტიტუციაში (1995) შეტანილ იქნა ეკოლოგიური პარაგრაფები, გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სახელმწიფო სისტემის დაფიქსირებისა, ასევე, ავტორი ან თანაავტორია პარლამენტის მიერ მიღებული რიგი კანონებისა. არის გეოქიმიის და კოსმოქიმიის საერთაშორისო ასოციაციის, ბუნებრივი წყლების გაჭუჭყიანებისაგან დაცვის მუდმივმოქმედი საერთაშორისო კომისიის წევრი (1991), „იუნესკოს“ ოკეანოგრაფიის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წევრი (1995-დან), 1993-99 იყო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ანსაბლეის წევრი.

მონოგრ.: Гидрологические аспекты химической денудации в горных регионах, С-П., 1991.

გაჩეჩილაძე ივანე ერასტის ძე – GACHECHILADZE IVANE (1.IX.1884, ს. წევა, ზესტაფონის რ-ნი, – 13.II.1938, თბილისი), პროფესორი. 1903 ოქტომბერ მედლით დაამთავრა ქ. ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, დაენიშნა კავკასიის სტიპენდია. 1905 რევოლუციაში აქტიური მონაწილეობისათვის გაირიცხა უნივერსიტეტიდან. 1907 აღადგინეს. 1909 დაამთავრა უნივერსიტეტი და დაინიშნა ქ. ტემრიუკის (კრასნოდარის მხ.) რეალურ სასწავლებელში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად. აქ იმუშავა 1913-მდე და იმავე საგნების მასწავლებლად გადმოიყვანეს ქ. ქუთაისის რეალურ სასწავლებელში. 1917 ამ სასწავლებლის დირექტორად აირჩიეს. 1924-დან სამუშაოდ გადმოვიდა ქ. თბილისში გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, 1929-დან აქვე კლიმატოლოგიის განყოფილების გამგეა. 1932 ნიშნავენ ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 1935 დირექტორის და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარედ. შეთავსებით მუშაობდა თსუ-ში, სასოფლო-სამეურნეო, სუბტროპიკულ, მცენარეთა დაცვისა და სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტებში, სადაც ლექციებს კითხულობდა კლიმატოლოგიაში, მეტეოროლოგიასა და ფიზიკაში. 1930 მიანიჭეს დოცენტის წოდება, ხოლო 1935 პროფესორის სამეცნიერო წოდება. ი. გაჩეჩილაძემ აქტიური მონაწილეობა მიიღო ტერმინოლოგიისა და სახელმძღვანლოების შექმნის საქმეში. მას ეკუთვნის კლიმატოლოგიის, მეტეოროლოგიისა და ფიზიკის ექვსი სახელმძღვანელო. მეტეოროლოგიის სახელმძღვანელოში მოცემულია მეტეოროლოგიის ყველა ძირითადი საკითხი; მას ეკუთვნის აგრეთვე პირველი სახელმძღვანელო კლიმატოლოგიაში ქართულ ენაზე. განსაკუთ-

რებით ინტერესი გამოიჩინა საქართველოს ჰავის პირობების შესწავლით. მრავალი შრომა გამოაქვეყნა საქართველოს სხვადასხვა მხარის კლიმატურ წესებზე. დიდ ყურადღებას აქცევდა საშიში მეტეოროლოგიური მოვლენების მეცნიერულ შესწავლას. გამოქვეყნებული აქვს 38-ზე მეტი ნაშრომი.

მონოგრ.: მეტეოროლოგია, თბ., 1926; სეტყვა და მასთან ბრძოლა, თბ., 1930; კოლხეთის დაბლობის კლიმატი, თბ., 1930; მთაწმინდის მიკროკლიმატი, თბ., 1930; ნიაღვარი და უხვი წვიმები თბილისში, თბ., 1930; ბაკურიანის კლიმატი, თბ., 1930; მეტეოროლოგია, თბ., 1931; კლიმატოლოგია, თბ., 1934; Тифлис, Климатический очерк, Тифл., 1934; Ливни в Грузии, Тифл., 1934.

ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲔ ᲠᲔᲕᲐᲖ ᲒᲘᲝᲡ ᲫᲔ – GACHECHILADZE REVAZ (4.V.1943, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1991). 1960-65 სწავლობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია და ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობით. 1965-68 გაიარა ასპირანტურის კურსი სპეციალობით „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია". 1968 მუშაობა დაიწყო თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თურქეთის სოფლის მეურნეობის გეოგრაფია". 1971 არჩეულ იქნა დოცენტის თანამდებობაზე. 1990 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „რესპუბლიკის სოციალური გეოგრაფია (საქართველოს მაგალითზე)". 1978-81 ასრულებდა კათედრის გამგის მოვალეობას. 1981 გადაყვანილ იქნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგედ, 1985-87 საქართველოს კომპარტიის ცკ-ს მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგის მოადგილედ. შეთავსებით მუშაობდა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1987 მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ინფორმაციის ცენტრის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის განყოფილების გამგედ. 1989 აღნიშნული განყოფილების გარდაქმნასთან დაკავშირებით იგი სდება სოციოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორი, ხოლო 1991 სოციოლოგიური კვლევის ცენტრის და დემოგრაფიული კვლევის ცენტრის შეერთებასთან დაკავშირებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1991 აირჩიეს თსუ პროფესორად, ხოლო 1993 სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის გამგედ. ამჟამად არის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ისრაელში. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფიაა. სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნებული

აქვს საზღვარგარეთის რიგ პუბლიკაციებში, მათ შორის, პოლონეთში, გერმანიაში, ჩეხეთში, ინდოეთში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, აშშ-ში, ჰოლანდიაში და სხვ. სხვადასხვა დროს კითხულობდა სალექციო კურსებს ოქსფორდის (ლონდონი), ლოძის (პოლონეთი) და სხვ., ხოლო ცალკეულ ლექციებს მრავალი ქვეყნის უნივერსიტეტებში.

მონოგრ.: დიდი ბრიტანეთი, თბ., 1973; ახლო აღმოსავლეთი, თბ., 1977; პოლონეთი, თბ., 1979; თბილისი, ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); ინგლისის გეოგრაფია, ისტორია და კულტურა, თბ., 1999; Некоторые проблеми географии преступности (на примере Грузинской ССР). Тб., 1982 (соавт); Турция. М., 1983; Преступность в городской и сельской местности социально-географическое и криминологическое исследование, Тб., 1985 (соавт.); Социально-географический атлас Грузии, Тб., 1990; The New Georgia and Space. Society, Politics. UCL Press. London, 1995; Population migration in Georgia its Socio-economic Consequences UNAP, Tbilisi, 1997.

გეგეშიძე არჩილ მიხეილის ძე – GEGESHIDZE ARCHIL (9.XII.1956, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2000). 1978 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1978-81 იმავე თსუ-ში სწავლობდა ასპირანტურაში. 1981-92 სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა თსუ-ში, სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში, ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრში. 1992-დან გადავიდა დიპლომატიურ სამსახურში და დაინიშნა საგარეო საქმეთა სამინისტროში ერთ-ერთი განყოფილების უფროსის მოადგილედ. 1992 მიწურულს გადაყვანილ იქნა ახლად შექმნილ სახელმწიფოს მეთაურის აპარატში სახელმწიფო მრჩეველად საგარეო პოლიტიკის საკითხებში. 1994-95 დაინიშნა სახელმწიფოს მეთაურის თანაშემწედ ეროვნული უსაფრთხოების დარგში. 1996-2000 ხელმძღვანელობდა სახელმწიფო კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალიზის განყოფილებას და იმავდროულად იყო საქართველოს პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის საკითხებში მთავარი მრჩეველი. 1999 მიენიჭა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. 2000-01 იყო ფულბრაიტის სახ. სტიპენდიატი და სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა სტენფორდის უნივერსიტეტში (აშშ). 2001-დან მოღვაწეობს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდში წამყვან ექსპერტად. 1992-დან პარალელურად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. თბილისის მენეჯერთა სკოლასა და შემდგომ „ESM-თბილისი"-ში შექმნა და მიჰყავდა სასწავლო კურსი გეოპოლიტიკაში. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სახელმწიფო მმართველობის ინსტიტიტში და სხვ. 2000-დან თსუ პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის დოცენტია. 1985 დაიცვა

საკანდიდატო დისერტაცია — „საქალაქო გარემოს სოციალურ-ეკონომიკური შეფასება ქ. თბილისის მაგალითზე". გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელო. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003.

სახელმძღვ.: გეოპოლიტიკა, თბ., 1992; 1998.

გეგეჭკორი მავრა ზურაბის ასული – GEGECHKORI MAVRA (16.IV.1900, ქ. ქუთაისი, — 1971, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1920 დაამთავრა ქუთაისის წმინდა ნინოს ქალთა გიმნაზია და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ქალთა პროფესიონალურ სკოლაში. 1921 საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო განათლების კომისარიატში სკოლის ასაკამდე აღზრდის განყოფილების მდივნად. იმავე წლიდან 1934-მდე მუშაობდა თბილისის მერვე შრომის სკოლაში არითმეტიკის მასწავლებლად. 1930-34 სწავლობდა თსუ პედაგოგიკის ფაკულტეტზე. 1934-36 მუშაობდა განათლების სამინისტროს პედაგოგიკის და პედოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1935-60 ილია ჭავჭავაძის სახ. მე-3 საშუალო სკოლაში (ახლა 23-ე) ასწავლიდა გეოგრაფიას. სკოლაში მუშაობასთან ერთად (1942-59) იყო თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გეოგრაფიის კაბინეტის გამგე. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, თბილისის განათლების პედ. კაბინეტის მიერ ჩატარებულ კონფერენციებზე კითხულობდა ლექციებს და მოხსენებებს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში. წერდა და აქვეყნებდა პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში მეთოდოლოგიური ხასიათის წერილებს. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების აქტიური წევრი. 1951-60 ხელმძღვანელობდა კლასგარეშე გეოგრაფიული განათლების სექციას, კითხულობდა მოხსენებებს საზოგადოების წევრთა საჯარო სხდომებზე. აწყობდა ნორჩ გეოგრაფთა დილებს, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენებს. დაჯილდოებული იყო ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, „სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკის" ნიშნით, განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1946).

გედევანიშვილი დიმიტრი პანტელეიმონის ძე – GEDEVANISHVILI DIMITRI (2.XII.1884, ს. კირბალი, გორის რ-ნი, — 20.XII.1958 თბილისი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1930), მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტი (1955). 1914 წარჩინებით დაამთავრა ქ. ნოვოალექსანდრიის (პოლონეთი) სასოფლო-სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. სტუდენტობის წლებში ცნობილი მეცნიერის, ნიადაგთმცოდნე

გეოგრაფის, აკად. კ. გლინკას ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო შორეულ ექსპედიციებში: 1910 შორეულ აღმოსავლეთში, 1911 თურქმენეთში, 1912 ამიერკავკასიაში. 1914 აგრონომად მუშაობა დაიწყო დაღესტანში. 1918 იგი მიიწვიეს თბილისის ახლად დაარსებულ პირველ ქართულ უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად ნიადაგთმცოდნეობასა და მიწათმოქმედებაში. 1919 მისი ხელმძღვანელობით დაარსდა ნიადაგთმცოდნეობის კათედრა. შეთავსებით მუშაობდა „საქჩაის" მმართველის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1926-28 კოლეგებთან ერთად მოაწყო სპეციალური ექსპედიცია საქართველოს ნიადაგური საფარის შესასწავლად. მას წვლილი მიუძღვის საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტისა (1923) და ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (1930) ჩამოყალიბების საქმეში. 1929 თსუ აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ახლანდ. აგრარული უნივერსიტეტი), სადაც მან დაარსა ნიადაგთმცოდნეობის კათედრა და სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა მას. 1946-დან ლექციებს კითხულობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე — ნიადაგების გეოგრაფია ნიადაგთმცოდნეობის საფუძვლებით. შეისწავლა საქართველოს ნიადაგური საფარი, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობის ნიადაგები. იგი იყო პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც შეისწავლა წითელმიწა ნიადაგები აჭარის შაკი ზღვის სანაპიროზე და მდ. კინტრიშის ხეობაში. შეადგინა საქართველოს ნიადაგების რუკა. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. იყო ნიადაგთმცოდნეობის საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილების უცვლელი თავმჯდომარე. მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1943), დაჯილდოებული იყო 2 შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით. მის სახელს ატარებს აგრარული უნივერსიტეტის საქართველოს ნიადაგების მუზეუმი.

სახელმძღვ.: ნიადაგმცოდნეობა, ტფ., 1935; ნიადაგმცოდნეობის კურსი, თბ., 1961 (თანაავტ.).

გედევანიშვილი იონა(ერისკაცობაში — ივანე) — **GEDEVANISHVILI IONA** (1737-1821, მოსკოვი), საეკლესიო მოღვაწე, მოგზაური და მწერალი. აღიზარდა ანტონ კათალიკოსის კარზე, 16 წლისამ მიიღო იეროდიაკონობა. 1754 წელს ანტონ კათალიკოსს თან გაჰყვა რუსეთში, სადაც განაგებდა ვლადიმირისა და იეროპოლის ეპარქიებს; 1763 ანტონ კათალიკოსთან ერთად დაბრუნდა ქართლში და ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტობა მიიღო. მალე იგი რუსის მიტროპოლიტი გახდა. 1782 წლის თებერვალში იონა გედევანიშვილი იწყებს ხანგრძლივ და შორეულ მოგზაურობას. მან დაგვიტოვა მოგზაურობის შთაბეჭდილება — „პუტეშესტვიე, ესე იგი მიმოსვლა ანუ მგზავრობა, ქმნილი გედეონოვ

სარდალ გაბრიელის ძის იონა მიტროპოლიტისაგან". მოგზაურობა ათ წელს გაგრძელებულა; შემოუვლია კონსტანტინოპოლი, თურქეთის სხვა ქალაქები და ადგილები, გადასულა საბერძნეთში, უმოგზაურია ხმელთაშუა ზღვის ზოგიერთ კუნძულზე, ჩაუვლია დალმაციისა და აპენინის ნახევარკუნძულის სანაპიროებზე, ყოფილა პალესტინასა და ეგვიპტეში და ევროპის რიგი სახელმწიფოების გავლით ჩასულა მოსკოვში, სადაც გარდაცვლილა. იონა გედევანიშვილის სამოგზაურო აღწერილობა შეიცავს როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული, ისე ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებს; იგი ვრცლად ეხება ისეთი ბუნებრივი მოვლენების აღწერას. როგორიცაა ზღვის მოქცევა-უკუქცევა, ტიფონი (სმერჩი) და სხვ. მოგზაური ახასიათებს ქალაქებს, კუნძულებს, მდინარეებს, სრუტეებს. იონა გედევანიშვილი გეოგრაფი არ ყოფილა, მაგრამ თავისი მოგზაურობის აღწერით მოგვცა იმდროინდელი მრავალმხრივ საინტერესო ცნობები, ამიტომ მისი ნარკვევი გეოგრაფიის ისტორიის მნიშვნელოვანი წყაროა; იგი ასახავს წარსულთან დაკავშირებულ მრავალ მოვლენას და ფაქტს, რომელიც საყურადღებოა არა მარტო ქართველების, არამედ იმ ქვეყნების ხალხისათვის, რომლის აღწერა-დახასიათებასაც გვაწვდის მოგზაური.



თხზ.: მიმოსვლა ანუ მგზავრობა იონა რუისის მიტროპოლისა, პლ. იოსელიანის რედაქციით, ტფ., 1852.

ლიტ.: ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

გეთიაშვილი ნანა გიორგის ასული – GETIASHVILI NANA (14.II.1962, თბილისი), გეოგრაფი. 1985 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1979-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ლაბორანტად, 1988-დან უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1998-დან მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ასრულებს განყოფილების თემატური გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოებს, აქვს კომპიუტერთან მუშაობის საკმაო გამოცდილება და გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობას ღებულობს საქართველოს გეოსაინფორმაციო სისტემების მონაცემთა ბაზის შექმნაში. სხვადასხვა დროს პარალელურად მუშაობდა მანქანათმშენებლობის კოლეჯში და თბილისის მე-6 გერმანულ გიმნაზიაში გეოგრაფიის მასწავლებლად. ამჟამად გამოყენებითი გეოგრაფიის კავკასიის ინსტიტუტში სტუდენტებს ასწავლის კომპიუტერული ასისტენტირების საფუძვლებს. მუშაობს სამეცნიერო საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება საქართველოს საკურორტო მეურნეობის განვითარების პრობლემებს.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია. ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

გელაძე ვახტანგ შალვას ძე – GELADZE VAKHTANG (18.IV.1941, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1963 მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ღრუბლების ფიზიკის ლაბორატორიაში. 1967-70 სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1972 ქ. ბაქოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიანი დაღესტნის წყლის ბალანსი". 1970-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. სამეცნიერო კვლევას აწარმოებს ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების საინფორმაციო ბაზებისა და ბანკის შექმნაზე.

მონოგრ.: Колебание годового стока рек Кавказа, Тб., 1991.

გელოვანი გაბრიელ – GELOVANI GABRIEL, XVIII ს-ის I ნახევრის მწერალი, მთარგმნელი. გაბრიელი მამიდას (ს. ოდიშის მთავრის ბეჟან დადიანის მეუღლე) სწავლის მისაღებად მიუბარებია

გელათის მონასტრის მონაზონ ნინოსათვის (იმერთა მეფის ბაგრატ IV-ის ქალი), ეს უკანასკნელი 1724 რუსეთში გაჰყვა ვახტანგ მეექვსის ამალას, რის გამო, გაბრიელ გელოვანიც ამ ემიგრაციას შეუერთდა. მოსკოვში გაბრიელ გელოვანმა დაიწყო სამსახური და 50-იან წლებში მთავარი საპოლიცმაისტრო კანცელარიის კაპიტანი იყო. გაბრიელ გელოვანს აღუწერია მთელი მგზავრობა პეტერბურგამდის, რომელიც დაურთავს მის მიერ თარგმნილ მსოფლიო გეოგრაფიისათვის. ამ სახელმძღვანელოს ბოლოსიტყვაობა – მემუარული ხასიათის თხზულება „მცირე ანდერძია" (ჟურნ. „ივერია", 1879, №5-6), რომელშიც გადმოცემულია ავტობიოგრაფიული ცნობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია კავკასიონის უღელტეხილის გადალახვის მომენტი. რაც შეეხება მსოფლიო გეოგრაფიის თარგმანს, თვით გაბრიელ გელოვანი წერს: „შევეგენ მცირესა ენასა რუსეთასა და რაც ოდენ შემძლებელ ვექმენ, ვთარგმნე" ეს გეოგრაფიაო. „ღეოღრაფია ანუ მოკლედ ქვეყნის სიმრგუალისათვის აღწერა", გ. გელოვანმა 1730 წელს თარგმნა ქართულად 1710 წლის რუსული გამოცემიდან. ეს იყო მსოფლიო გეოგრაფიის პირველი ქართული თარგმანი, რამაც ხელი შეუწყო ქართველთა შორის გეოგრაფიული ცოდნის გავრცელებას.

თხზ.: მცირე ანდერძი, ჟურნ. „ივერია", 1879, №5-6; იგივე წიგნში: ყუბანეიშვილი ს. დავით გურამიშვილი ქართულ პუსართა პოლკში, თბ., 1955; ხელნაწერი A-1007 (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი).

ლიტ.: კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1981; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987; თბ., 1986; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

გერგედავა ბორის ალექსანდრეს ძე – GERGEDAVA BORIS (18.VII.1931, ს. ფახულანი, წალენჯიხის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1956 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ს. ნაკიფუს საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1958-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1968 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ოდიშის მღვიმეთა ბუნებრივი პირობების კომპლექსური დახასიათება". პირველად გამოკვლეულ იქნა კავკასიის მღვიმეები კომპლექსური მეთოდით, დამუშავდა მისი მეთოდიკა. დადასტურდა მღვიმეთა კომპლექსის, როგორც განსაკუთრებული გეოგრაფიული ლანდშაფტის გამოყოფის იდეა; განსაზღვრა მღვიმეების ლანდშაფტის საგანი, სტრუქტურა, ამოცანა, შეასრულა მიწისქვეშა ლანდშაფტის ფორმულირება, განსაზღვრა ასეთი კომპლექსის ადგილი დედამიწის ლანდშაფტურ სფეროში, წამოაყენა ახალი შეხედულება

კარსტულ მღვიმესა და მის ფორმათწარმოქმნაზე, სიღრუის ევოლუციურ სტადიებზე; გაკეთდა მღვიმის გენეტური, მორფოლოგიური, კლიმატური, ჰიდროლოგიური კლასიფიკაციები; დაამუშავა მღვიმის გამოყენება-დაცვის პრობლემები; იკვლევს მღვიმეთმცოდნეობის კომპლექსურ მეტეოროლოგიას, მიწისქვეშა ლანდშაფტების თეორიას, რომელთა შესახებ გამოაქვეყნა სამეცნიერო სტატიები და მონოგრაფიები (ქართულ და რუსულ ენებზე). დაჯილდოებულია აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1962).

მონოგრ.: ზოგადი დედამიწისმცოდნეობა, თბ., 1999; სამეგრელო: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა, თბილისი-ზუგდიდი, 1999 წალენჯიხის რაიონის გეოგრაფია და გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003 (თანაავტ.); Изучение пещер Колхиды, Тб., 1978 (соавтор), Подземные ландшафты, Тб., 1983; Кадастр пещер СССР в конгломератах и песочниках, М., 1991 (соавтор).

გეხტმანი გიორგი ნიკოლოზის ძე – GEKHTMANI GIORGI (20.VIII.1870, ქ. ქუთაისი, – 6.IX.1956, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1923). 1895 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი. იმავე წელს ჩამოვიდა თბილისში და დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა. მუშაობდა თბილისის ქალთა და ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში, თბილისის მასწავლებელ ქალთა საზოგადოებაში, თბილისის სკოლის გარეშე განათლების საზოგადოებაში. მონაწილეობას ღებულობდა კავკასიის მასწავლებელთა კავშირის ორგანიზაციაში. 1903 აირჩიეს ამ კავშირის განყოფილების თავმჯდომარედ, ხოლო 1906 თბილისის პირველი კომერციული სასწავლებლის დირექტორად. მონაწილეობა მიიღო თბილისის ქალთა უმაღლესი კურსების – ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებაში. თსუ გახსნის შემდეგ მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართული მეცნიერების ამ კერასთან. მისი აქტიური მონაწილეობით და უშუალო ხელმძღვანელობით 1923 ჩამოყალიბდა ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრა, რომლის უცვლელი გამგე იყო გარდაცვალებამდე. გ. გეხტმანი სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობით დაკავშირებული იყო საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. მან უშუალო მონაწილეობა მიიღო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკური ფაკულტეტის შექმნაში. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის, სასოფლო-სამეურნეო სტატისტიკისა და სხვ. ეკონომიკური დისციპლინების სწავლება. 1930 იგი დაინიშნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის ეკონომიკის კათედრის პირველ გამგედ. იგი იყო ქართული მეცნიერული და სასწავლო ეკონომიკური

გეოგრაფიის ფუძემდებელი, ამ დარგის არაერთი ფუნდამენტური „ახელ-მძღვანელოს ავტორი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა და ჟურნალ „ნაკადულის" ერთ-ერთი დამაარსებელი, მრავალი უმაღლესი და საშუალო სასწავლებლის შექმნის უშუალო მონაწილე, რესპუბლი-კური ეროვნული ბიბლიოთეკის (საჯაროს) დირექტორი, თბილისის პირველი კომერციული სასწავლებლის დირექტორი. მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფის ინსტიტუტში. მიუხედავად ამისა, მისი უპირველესი სამუშაო 1921-დან იყო თსუ. მეცნიერმა პირველმა დაამუშავა ქართულ ენაზე მსოფლიოს, ამიერკავკასიისა და საქართველოს ეკონომიკური გეოგრაიის საკითხები. ავტორია მრავალი მნიშვნელოვანი ნაშრომისა ქართულ და რუსულ ენებზე. იგი არის საქართველოს ეკონომიკური დარაიონების ბადის ერთ-ერთი პირველი ავტორი. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1941). დაჯილდოებულია ლენინის ორდენით(1953).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ტფ., 1923; სოფლის მეურნეობის ეკონომიკა, ნაწ. I, ტფ., 1924; საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, ტფ., 1925; 1926; მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია, ტფ., 1925; საქართველოს კოოპერაციული კურსები, ტფ., 1925; საქართველოს რესპუბლიკის ბუნებრივი საწარმოო ძალები, ქუთაისი, 1925; სანიმუშო გეგმა სოფლის, თემის, დაბის ან სამაზრო ქალაქის გეოგრაფიული და სტატისტიკურ-ეკონომიკურ აღწერისა, ტფ., 1927; საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია (პროგრამა), ტფ., 1927; მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია (პროგრამა), ტფ., 1929; ეკონომიური გეოგრაფიის პროგრამა და განაკვეთები, ტფ., 1930; ეკონომიური გეოგრაფიის პროგრამა, ტფ., 1932; კაპიტალისტური ქვეყნების და სსრკ ეკონომიური გეოგრაფიის პროგრამა, ტფ., 1933; საქართველოსა და ამიეკავკასიის ეკონომიური გეოგრაფიის პროგრამა, ტფ., 1933; ეკონომიური გეოგრაფიის პროგრამა, ტფ., 1933; ნარკვევები დიდ მოგზაურობათა და დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენათა ისტორიიდან, თბ., 1940; მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული სიტყვარ-ცნობარი, თბ., 1940; გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურნი, თბ., 1942; გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1942; გეოგრაფიული მეცნიერების ამოცანები და შედგენილობა, თბ., 1944; საქართველოს სსრ გეოგრაფია (საშუალო სკოლის VII კლასის სახელმძღვანელო), თბ., 1947 (რამდენიმე გამოცემა); ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან, თბ., 1955; საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფია (IX კლასის სახელმძღვანელო), თბ., 1957 (რამდენიმე გამოცემა); გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1965; Записки по политической экономии, Тиф., 1912; Краткие очерки экономической географии Закавказья, Тиф., 1920; Очерки общей экономической географии и хозяйственной статистики, Тиф., 1922; Краткие очерки экономической географии Закавказья, Тиф., 1923; Экономическая география Грузии, Тиф., 1924; Естественные производительные силы Грузии, Тиф.,1925; География Грузинской ССР (учебник VII класса), Тиф., 1950 (неск. изд.); Экономическая география

Грузинской ССР (учебник для IX класса), Тб., 1957 (неск. изд.); Выдающиеся географы и путешественники, Тб., 1962;

ლიტ.: უკლება დ. შესანიშნავი მეცნიერი, „საბჭოთა მასწავლებელი", 1.XII. 1940; შაქარიშვილი ი. გიორგი ნიკოლოზის ძე გეხტმანი, – საქ. გეოგრაფიული საზოგადოების მოამბე, 1946, №2; შაქარიშვილი ი. 50 წელი სამეცნიერო-პედაგოგიურ ასპარეზზე. – „სახალხო განათლება", 18.VII. 1946; ზარდალიშვილი გრ., მამაიაშვილი ი., გ. გეხტმანი. – „მეცნიერება და ტექნიკა", 1955, №12; ბურჯანაძე ვ. გამოჩენილი მეცნიერი და პედაგოგი. – „კომუნისტი", 9.IX. 1956; ზარდალიშვილი გრ., მამაიაშვილი ი. ღვაწლმოსილი მეცნიერი და პეაგოგი. – „სახალხო განათლება", 11.I. 1956; დიდბერიძე ე., კვერენჩხილაძე რ. ახალგაზრდობის საყვარელი აღმზრდელი. – „ახალგაზრდა კომუნისტი", 12.I. 1956; ზარდალიშვილი გრ. ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი. – „ახალგაზრდა სტალინელი", 17.I. 1956; . გეხტმანი (ნეკროლოგი) – „სტალინელი" (ქუთაისი), 12.IX. 1956; კვერენჩხილაძე რ. მიმდინარე წლის 2 სექტემბერს... „მეცნიერება და ტექნიკა", 1965, №9; კვერენჩხილაძე რ. გამოჩენილი მეცნიერი, პედაგოგი. – „სახალხო განათლება", 8.IX. 1965; კვერენჩხილაძე რ. ენციკლოპედიური განათლების მქონე მკვლევარი. – „თბილისის უნივერსიტეტი", 8.IX. 1965; ნაჭყებია ნ. ქართული ეკონომიურ-გეოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი. – თსუ შრ. ტ. 122, გეოგრაფია-გეოლოგიის სერია IV, თბ., 1967; იაშვილი ნ. პროფ. გიორგი ნიკოლოზის ძე გეხტმანი. – ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა და გეოგრაფია სკოლაში, 1968, №4; აკერმანი ნ. მოგონებები გამოჩენილ მეცნიერზე, პედაგოგსა და ბიბლიოფილზე. – „სახალხო განათლება", 25.XII. 1968; კვერენჩხილაძე რ. გიორგი გეხტმანი, თბ., 1969; იაშვილი ნ. გამოჩენილი მკვლევარი და პედაგოგი. – საქართველოს სახალხო მეურნეობა, 1964, №4; გველესიანი გ., დავითაია თ. და სხვ. გიორგი ნიკოლოზის ძე გეხტმანი. – საქ. გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, 1973, XII; ჭეიშვილი ო. გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977; ქართული ენციკლოპედია, ტ. 3, 1978; ხარაძე კ. საქართველოს გეოგაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; კვერენჩხილაძე რ., ციხაძე ც. გიორგი გეხტმანის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1992; Атабегов Т. потери науки. – Изв.ВГО, 1957, т. 89 вып. 4; Зардалишвили Г. Георгий Николаевич Гехтман.– в кн. Экономическая география в СССР, М., 1965; Кверенчхиладзе Р. Труд географии, „Вечерний Тбилиси", 3.IX. 1965; Кверенчхиладзе Р. Науке беззаветно преданный, „Заря востока", 9.IX. 1970; Гвелесиани Г. Бескорыстное служение науке , „Вечерний Тбилиси", 3.IX. 1970; Кверенчхиладзе Р. Георгий Николаевич Гехтман. – в кн. Экономическая и социальная география в СССР, М., 1987.

გვარლიანი გალინა ვასილის ასული – GVARLIANI GALINA (4.II.1919, დაბა ბერეზნო, როვნოს ოლქი, უკრაინა, – 1978, თბილისი), უფროსი მასწავლებელი. 1937-47 სწავლობდა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე. მეხუთე კურსიდან საცხოვრებლად მეუღლესთან საქართველოში ჩამოვიდა. მუშაობა დაიწყო მესტიის სამხედრო კომისარიატში, შემდეგ

ბანკში ბუღალტრად. 1941-60 მუშაობდა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში. 1953 დაამთავრა თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და 1961-დან ამავე ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე მუშაობდა უფროს მასწავლებლად. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად შეეხება ზემო სვანეთის მოსახლეობისა და მეურნეობის რიგ საკითხებს. დაჯილდოებული იყო „შრომითი მამაცობისათვის დიდ სამამულო ომში (1941-45)".

გვასალია ნათელა ვახტანგის ასული – GVASALYA NATELA (20.VIII.1933, – 5.XII.1998, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1958 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1958-დან გარდაცვალებამდე მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1978-95 იყო ინსტიტუტის სწავლული მდივანი. 1965-69 გაიარა დასწრებული ასპირანტურის კურსი სანკტ-პეტერბურგის ა. ვოეიკოვის სახ. გეოფიზიკურ ობსერვატორიაში აკადემიკოს მ. ბუდიკოს ხელმძღვანელობით. აქ იგი მოხვდა იმ ატმოსფეროში, სადაც წყდებოდა თანამედროვე მეცნიერების მთავარი პრობლემები, იქმნებოდა ახალი მეცნიერული მიმართულებები, მუშავდებოდა კვლევის მეთოდური საკითხები და კონცეფციები ფიზიკური კლიმატოლოგიის, ენერგეტიკული ბალანსის კვლევის, კლიმატის ანთროპოგენური ცვლილებების, ბიოსფეროს ეკოლოგიის, ბიომეტეოროლოგიის და სხვ. თვალსაჩინო მეცნიერის მ. ბუდიკოს ხელმძღვანელობით, რომლის სახელოვან სკოლაში ჩამოყალიბდა ნ. გვასალიას სამეცნიერო მიმართულებები. 1970 სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ადამიანის სითბური მდგომარეობის მეტეოროლოგიური პირობები საქართველოს კურორტებისათვის". ნაშრომი ეხება ბიოკლიმატოლოგიის პრობლემას საქართველოს სხვადასხვა ლანდშაფტურ ზონაში მდებარე საკურორტო რაიონებისათვის ადამიანის სითბური ბალანსის შესწავლის დინამიურად ცვალებადი რადიაციულ-კლიმატური და ფიზიოლოგიური ფაქტორების კომპლექსურად ზემოქმედების შეკრების გათვალისწინებით. ნ. გვასალიამ აქტიურად განაგრძო კვლევა თანამედროვე ფიზიკური კლიმატოლოგიის აქტუალური პრობლემების – დედამიწის ზედაპირის ენერგეტიკული რეჟიმის შესწავლაზე, მზის სხივური ენერგიის გარდაქმნასთან დაკავშირებით ნიადაგის ქვეფენილი ზედაპირისა და მიწისპირა ჰაერის ფენებს შორის მიმდინარე პროცესების დინამიკაზე. მიღებული მასალის საფუძველზე ჩაატარა მცენარეთა სიმაღლითი სარტყლიანობის რადიაციულ-კლიმატური შეფასება, დაადგინა სიმშრალის რადიაციული ინდექსის კანონზომიერებები და ააგო მისი გეოგრაფიული გავრცელების რუკა დროსა და სივრცეში. შეისწავლა ბიომეტეოროლოგიის პრობლემა –

ადამიანის სითბური რეჟიმი და დაადგინა მისი შემადგენელი ელემენტების კანონზომიერებები. მიღებული კვლევის შედეგები გამოაქვეყნა მონოგრაფიაში – „საქართველოს სითბური ბალანსი". 1995 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს სითბური ბალანსი და მისი გეოგრაფიული კანონზომიერებანი". ეს არის ფუნდამენტური ნაშრომი – ქვეფენილი ზედაპირის ენერგეტიკული რეჟიმის შესწავლასა და მის ზეგავლენას ბუნებრივი პროცესების დინამიკაზე საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა რეგიონში. საქართველოში პირველად შესრულდა ასეთი ნაშრომი, ის მოიცავს პრობლემათა ფართო სპექტრს. ნაშრომი მნიშვნელოვანია მეთოდური საკითხების კვლევის თვალსაზრისითაც. მეთოდური საკითხების დამუშავებასა და ვრცელი ემპირიული მასალის საფუძველზე პირველადაა შედგენილი რადიაციული და სითბური ბალანსების შემადგენელ მახასიათებელთა რუკები. მიღებული მონაცემების საფუძველზე ჩატარებულია საქართველოს ბიოკლიმატური დარაიონება. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. იგი მონაწილეობდა არაერთ საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციაში. მის მიერ წაკითხული მოხსენებები დიდ ინტერესს იწვევდა შესაბამისი დარგის სპეციალისტებს შორის. ამავე დროს, მნიშვნელოვანია მისი მეცნიერული კონტაქტები ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისა და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევით ცენტრებთან. 1978-96 ნ. გვასალია დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა ინსტიტუტის სწავლული მდივნის რთულ და საპატიო საქმეს. დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1984).

შონოგრ.: ქ. თბილისისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რადიაციული რეჟიმი და ბიოკლიმატური დახასიათება, თბ., 1999; Тепловой баланс Грузии, Тб., 1986; Радиационный режим и экология Колхидской низменности, Тб., 1989.

გვახარია ვლადიმერ კონსტანტინეს ძე – GVAKHARIA VLADIMER (16.III.1923, თბილისი, – 27.IV.1999, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1952 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1952-56 ქ. ლენინგრადის სახელმწიფო ჰიდროლოგიურ ინსტიტიტში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1956 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. მტკვრის ზემო აუზის წყლის რეჟიმი", ხოლო 1993 სადოქტორო დისერტაცია – „მთიანი ქვეყნების წყალსატევებიდან აორთქლების გეოგრაფიული მოდელირება". მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიის თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და „საქენერგოში". 1960-დან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, ბოლო პერიოდში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად (იყო კლიმატოლოგიის განყოფილების გამგე). წლების მანძილზე კითხულობდა ლექციებს

თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე. ავტორია 90-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა, რომელთაგან 4 მონოგრაფიაა. აქვს სამეცნიერო ჯილდოები.

მონოგრ.: Испарение с водный поверхности водоемов Кавказа, Тб., 1973; Испарение с водоемов Сирийской Арабской республики, Тб.,1984; Географическое моделирование испарения с водоемов горных стран, Тб., 1986; Испарение водоемов аридных территории, Тб., 1989.

გველესიანი გიორგი გრიგოლის ძე – GVELESIANI GIORGI (27.XI.1903, ქუთაისი, – 28.III.1980, თბილისი), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1967). 1928 დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის კურსი. მუშაობდა უმაღლეს საგეგმო ორგანოებსა და საქართველოს მინისტრთა საბჭოში. 1931-დან მუშაობდა ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის საბჭოში, ხოლო 1935-48 საქართველოს მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში განყოფილების გამგედ. იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკის მსხვილი ქალაქების განვითარების გენერალური გეგმის შემუშავებაში. 1947 ინიშნება საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანაშემწედ. სახელმწიფო ორგანოებში მოღვაწეობას იგი უთავსებდა ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. 1952 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს სსრ სამრეწველო წარმოების სპეციალიზაციის საკითხებისათვის". 1965 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს სსრ-ში სოციალისტური წარმოების განვითარებისა და განლაგების საკითხები". 1953-დან ინიშნება ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების გამგედ. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით შექმნილი და გამოცემულია მრავალი შრომა, მიძღვნილი რესპუბლიკის საწარმოო ძალთა განვითარება-განლაგების პრობლემისადმი, მოსახლეობისა და ქალაქების გეოგრაფიის, სამრეწველო კვანძების ფორმირების, ეკონომიკური გეოგრაფიის ზოგადი თეორიის, ეკონომიკური დარაიონებისა და სხვა საკითხებისადმი. მისი ხელმძღვანელობით მომზადებულ და მასობრივი ტირაჟით გამოქვეყნებულ შრომებში მოცემულია საქართველოსა და მისი ცალკეული რეგიონების ბუნების, მოსახლეობისა და მეურნეობის კომპლექსური დახასიათება. იგი 100-ზე მეტი გამოქვეყნებული ნაშრომის ავტორია. მან ერთ-ერთმა პირველმა განიხილა 60-იან წლებში საქართველოს მთიანი რეგიონების პროგრამა, გააშუქა მათი საწარმოო ძალების განვითარების საკითხები და დასახა კონკრეტული რეკომენდაციები. იყო საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1969), მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სახელმწიფო პრემია (1971), აკად. ალ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია (1978).

მონოგრ.: თბილისი. ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957 (თანაავტ.); Об основах социалистического размещения производства, Тб., 1962; Развитие и размещение социалистического производства в Грузинской ССР, Тб., 1965; Грузия, М., 1967 (соавт.).

ლიტ.: კვერენჩხილაძე რ. ქართველ სწავლულ-ეკონომისტთა ღირსეული წარმომადგენელი, ჟურნ. „საქართველოს სახალხო მეურნეობა", 1973, №10, გვ. 89-90; ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 23; ქართული ენციკლოპედია, ტ. 3. 1978, გვ. 138-139; ჯაოშვილი ვ., კვერენჩხილაძე რ. ქვეყნისა და მეცნიერების ერთგულებით, გაზ. „კომუნისტი", 1.XII. 1983; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987 თბ., 1986; კობახიძე ე. გიორგი გველესიანი, თბ., 1992; Краткая географическая энциклопедия, М., 1966, ст. 436-437; Кверенчхиладзе Р., Гвелесиани Г. Экономическая и социальная география в СССР, М., 1987, ст. 395-398.

გვილავა სიმონ დავითის ძე – GVILAVA SIMON (12.VIII.1916, ქუთაისი, – 2.IV. 1986, იქვე), ეკონომ-გეოგრაფი. 1938 დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1939-დან მუშაობდა იმავე ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1940-41 სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში. 1941 გაიწვიეს სამამულო ომში. 1941 მძიმედ დაიჭრა და შინ დაბრუნდა. გამოჯანმრთელების შემდეგ სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, რომელიც 1946 დაამთავრა. ამავე წლიდან ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე დაიწყო მუშაობა. 1950 დაამთავრა საკანდიდატო დისერტაცია – „ტყიბულის რაიონის ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის". დაიბეჭდა და დაიგზავნა ავტორეფერატი, ხოლო დაცვა არ შემდგარა. მისი კვლევის სფეროს შეადგენდა იმერეთის ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების ეკონომიკურ-გეოგრაფიული საკითხების კვლევა-ძიება. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

გიგილაშვილი რევაზ შოთას ძე – GIGILASHVILI REVAZ (16.X.1956, თბილისი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1979 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1979-80 სტაჟირება გაიარა ქ. რაბატის (მაროკო) უნივერსიტეტში. 1980-90 მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1987-91 ლექციებს კითხულობდა თსუ მრეწველობის ეკონომიკის კათედრაზე. 1991-94 მუშაობდა ქ. მოსკოვში, ჯერ შპს „აერობანკის" დირექტორად, შემდეგ დიდი ბრიტანეთის ფირმის – European Trade Technology Lta-ს წარმომადგენლად რუსეთში. 1995-99 მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალი-

ზის სამსახურში სახელმწიფო მრჩეველად, ხოლო 1999-დან მუშაობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსად. გაიარა კვალიფიკაციის ამაღლება – 1995 აშშ-ს განვითარების სააგენტოს პროგრამა: „აშშ-ს ეკონომიკა მსოფლიო ეკონომიკის სისტემაში" – ვაშინგტონი (აშშ). 1997 ფულბრაიტის პროგრამის ფარგლებში, მიწვეულ იქნა ჯ. ვაშინგტონის უნივერსიტეტის (ქ. ვაშინგტონი, აშშ) საერთაშორისო ბიზნესის დეპარტამენტში. 1999 სასწავლო პროგრამა: „საფინანსო მომსახურების მარკეტინგი", კაიროში (ეგვიპტე). 1982-84 სწავლობდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საწარმოო ძალთა შემსწავლელი საბჭოს ასპირანტურაში (ქ. მოსკოვი), სადაც დაიცვა დისერტაცია – „საქართველოს მრეწველობის დარგობრივი და რეგიონალური სტრუქტურის ოპტიმიზაციის საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი და 12 პუბლიცისტური წერილი.

გიგინეიშვილი გივი ნიკოლოზის ძე – GIGINEISHVILI GIVI (15.VII.1935, ქ. ბორჯომი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (2003). 1958 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1957-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, ჯერ უფროსი ლაბორანტია, შემდეგ უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი (1958), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1968), ჰიდროლოგიის განყოფილების გამგე (1980), მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (1995). 2000-დან ძირითად შტატზე ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეა. 1995-99 იყო საქართველოს პარლამენტის წევრი და პარლამენტის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით მომზადდა და დამტკიცდა 24 ფუძემდებლური კანონი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროში. 1964 ქ. ბაქოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კარსტული წყლების ფორმირება და რეჟიმი აფხაზეთ-სამეგრელოს კარსტულ რეგიონში", ხოლო 1979 ქ. მოსკოვში სადოქტორო დისერტაცია – „კარსტის ჰიდროლოგიური კანონზომიერებანი". გამოქვეყნებული აქვს 130 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 8 მონოგრაფიაა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა დიდ წილად მოიცავს კარსტის ჰიდროლოგიის პრობლემების კვლევას და ითვლება ჰიდროლოგიის ამ ახალი მიმართულების ფუძემდებლად. გარდა ამისა, მისი გამოკვლევები ეძღვნება საქართველოს, კავკასიისა და, საერთოდ, მთიანი რეგიონების წყლის ბალანსისა და წყლის რესურსების შესწავლას. დიდ ყურადღებას უთმობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, დაცული ტერიტორიების, ვახუშტი ბაგრატიონის მემკვიდრეობის პრობლემატიკას. 1975-

დან პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა თსუ-ში, სადაც კითხულობს ლექციებს საზღვაო ოკეანოგრაფიაში, აგრეთვე გარემოს დაცვასა და მის კანონმდებლობაში. 1990-დან არჩეულია საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტად, ხოლო 1996-დან ამ საზოგადოების პრეზიდენტია. არის მწვანეთა პარტიის წევრი. მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1984) და აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1962) საპატიო სიგელები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საიუბილეო პრემია (1981) და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის პრემია (1993), ღირსების ორდენი (2000).

მონოგრ.: წყალი – თანამედროვეობისა და სამომავლო პრობლემები, თბ., 1989; საქართველოს ეროვნული პარკები. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი, თბ., 1991 (თანაავტ.); კლიმატის თანამედროვე გლობალური დათბობის გავლენა საქართველოს ზღვის სანაპირო ზონაზე, თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Карстовые воды Большого Кавказа и основные проблемы гидрологии Карста, Тб., 1979; Географический прогноз изменения природний среды Колхидской низменности в связи с ее народно хозяйственним освоением , М., 1986 (соавт.); Колхидская низменность. Научние предпосылки освоения, М., 1990 (соавт.); Водный баланс Кавказа и его географические закономерности, Тб., 1991 (соавт.); Black Sea Bibliography, New York, 1995 (co-author).

გიგინეიშვილი ვალენტინ მირიანის ძე – GIGINEISHVILI VALENTIN (15.I.1887, ს. ჯურუყვეთი, ლანჩხუთის რ-ნი, – 26.VIII.1979, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1907 დაამთავრა ბათუმის გიმნაზია და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. 1910 სტუდენტთა რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილეობისათვის მას აპატიმრებენ, რიცხავენ უნივერსიტეტიდან და ასახლებენ ტვერსკის გუბერნიაში. მიუხედავად ამისა, იგი სხვისი პასპორტით რჩება პეტერბურგში და 1911 იღებს სახელმწიფო გამოცდების ექსტერნად ჩაბარების უფლებას. ამის შემდეგ მუშაობას იწყებს გროზნოს რეალურ სასწავლებელში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად. 1917 გადმოჰყავთ ბათუმის გიმნაზიაში, 1918 კი თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიაში. 1926 მუშაობას იწყებს თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. სხვადასხვა წლებში ლექციებს კითხულობდა ზოგადმეტეოროლოგიაში, უმაღლეს მათემატიკაში, სინოპტიკურ მეტეოროლოგიაში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში, სოხუმის სახელმწიფო სუბტროპიკულ ინსტიტუტში, თსუ-ში. 1929 დაინიშნა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის სინოპტიკური განყოფილების გამგედ. 1930-32 საკავშირო ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს განკარგულებით იგზავნება ჯერ მოსკოვში, შემდეგ კისლოვოდსკში

სინოპტიკოსთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე. 1930-იან წლებში ინიშნება თბილისის ამინდის ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1936-დან თბილისის ამინდის ბიუროს კონსულტანია. 1948-50 შეთავსებით მუშაობდა გეოგრაფიის ინსტიტუტში, ამუშავებდა ატმოსფეროს ცირკულაციის რეგიონალურ საკითხებს. 1951 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „ფიონები და მათთან დაკავშირებული განსაკუთრებული თვისებები ჰაერის მიწისპირა ცირკულაციისა საქართველოში". 1959 მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც შეეხებოდა საშიშ მოკლე მეტეოროლოგიურ მოვლენების წარმოშობას აღმოსავლეთ საქართველოში. მას ეკუთვნის 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი. 1966 მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლით.

მონოგრ.: Градобития в Восточной Грузии М., 1960.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 23-24; ქართული ენციკლოპედია, ტ. 3. 1978, გვ. 152.

გივიშვილი ტატიანა სტეფანეს ასული – GIVISHVILI TATIANA (17.IV.1940, ქ. ლენინგრადი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1964 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის სპეციალობა. 1964-69 მუშაობდა ქ. თბილისის 64-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1969-დან მუშაობს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად, 1984-დან საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანია. 1969-72 იყო თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი. 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მთიანი ტერიტორიების ეკონომიკურ-გეოგრაფიული განვითარების პრობლემები (აღმოსავლეთ კავკასიონის მაგალითზე)". ეკონომიკურ-გეოგრაფიულ პრობლემებზე გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

გიორგაძე დარიკო ლაპრენტის ასული – GIORGADZE DARIKO (14.I.1927, ქ. ქუთაისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1955 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქ. ქუთაისის პირველ და მეხუთე საშუალო სკოლებში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1961-დან საღამოს მეხუთე სკოლის დირექტორის მოადგილეა სასწავლო მუშაობის დარგში. პარალელურად შტატგარეშე ინსპექტორად დაინიშნა გეოგრაფიაში. 1962-დან კითხულობდა ლექციებს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, ხოლო 1986-დან ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში,

სადაც გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის კურსს კითხულობდა და სტუდენტთა სკოლაში პედაგოგიურ პრაქტიკას ხელმძღვანელობდა. მისი კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა განზოგადდა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალმა დასტამბა ბროშურა, ხოლო ჟურნალ „გეოგრაფია სკოლაში" ქუთაისის გეოგრაფიის მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილებაზე დაიბეჭდა სტატია (1976). დ. გიორგაძე ხელმძღვანელობდა ქუთაისის გეოგრაფიის მასწავლებელთა მეთოდურ გაერთიანებას (1982-2000). მას გეოგრაფიის მასწავლებლებთან წაკითხული აქვს 20-მდე მოხსენება. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000), „შრომითი მამაცობისათვის" (1966), მინიჭებული აქვს მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება (1987).

ლიტ.: კუბეცია მ. დარიკო გიორგაძე 70, ქუთაისი, 2000.

გოგეჯიშვილი რამინ გრიგოლის ძე – GOBEJISHVILI RAMIN (15.IX.1941, ს. ნიგვზნარა, ონის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (2000). 1964 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფ-კარტოგრაფის სპეციალობით. 1965-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. ამჟამად გეომორფოლოგიის განყოფილების გამგე და გლაციოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. 1995-დან მუშაობს თსუ კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრაზე პროფესორად, სადაც 2000-დან სრულ განაკვეთზეა. 1966-68 იყო სტაჟიორ-მკვლევარი ქ. მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტში, ხოლო 1968-72 იქვე მიზნობრივ ასპირანტურაში. 1978 ქ. ბაქოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიან რაიონებში თანამედროვე რელიეფწარმომქმნელი პროცესების შესწავლა სტრეოფოტოგრამმეტრიული მეთოდით", 1995 კი სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს თა-ნამედროვე მყინვარები და ევრაზიის მთებში გამყინვარების ევოლუცია გვიანპლეისტოცენსა და ჰოლოცენში". ნაშრომებში დამუშავებულია კვლევის ახალი მეთოდი, რომელიც ძველი გამყინვარების რეკონსტრუქციის საშუალებას იძლევა. გამოკვლეულია მყინვარების დინამიკა და რეჟიმი, გამყინვარების ევოლუცია, ნივალურ-გლაციალური სისტემის ევოლუცია და მისი გავლენა ბუნებრივ ზონებისა და ადამიანთა მიგრაციაზე, სტიქიური პროცესების გეოგრაფიული ანალიზი, აეროკოსმოსური სურათების გამოყენება გეოგრაფიულ კვლევაში და სხვ. იკვლევს გეომორფოლოგიის, გლაციოლოგიის, ევოლუციური გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებს, რომლებიც ეხება არა მარტო კავკასიას, არამედ ევრაზიის მთიან სისტემებს. მონაწილეობდა საერთაშორისო ექსპედიციებში პამირი (1967), შპიცბერგენი (1978), კამჩატკა (1982), ქოფეთდაღი (1983), ტიან-შანი (1989), ტიბეტი (1990), ჰიმალაი (1991), ტაერის

და პონტოს მთებში (2003), სადაც იკვლევდა რელიეფის გეოდინამიკას და გამყინვარების ევოლუციას. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათი ნაწილი დაბეჭდილია უცხოურ პუბლიკაციებში. მის მიერ შედგენილი რუკები მოთავსებულია მსოფლიოს თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში (1997). არის რუსეთის გლაციოლოგთა ასოციაციის ნამდვილი წევრი (1985-დან), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა (1995) და კარტოგრაფიის ეროვნული ასოციაციის (1998) ვიცე-პრეზიდენტი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

მონოგრ.: ხევი (გზამკვლევი), თბ., 1998 (თანაავტ.). საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I. ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Изучение современных рельефообразующих процессов в горных районах стереофотограмметрическими методами, Тб., 1981; Ледник Тбилиса, Тб., 1986 (соавт.); Ледники Грузии, Тб., 1989.

გოგატიშვილი ანდრო დავითის ძე – GOGATISHVILI ANDRO (1.IX.1925, ს. ქორეთი, საჩხერის რ-ნი, – 24.VI.1979, თბილისი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. 1950 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1950-51 მუშაობდა წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქსანიტწყალპროექტში“ მიწათმცოდნის თანამდებობაზე. 1951-54 ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. მუშაობდა ამავე ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1967-დან ნიადაგთმცოდნეობის ინსტიტუტის გეოგრაფია-გენეზისის ლაბორატორიის, ხოლო შემდეგ ნიადაგთმცოდნეობის განყოფილების გამგეა. მონაწილეობდა საქართველოს რაიონებისათვის ნიადაგური რუკების და აგრორეკომენდაციების შედგენაში. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების დეტალური კვლევა, ჭიათურის მანგანუმის ღია წესით დამუშავების ადგილებში ნიადაგის აღდგენისა და მისი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კვლავ გამოყენების საკითხები და სხვ. 1954 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საჩხერის რაიონის ნიადაგები და მათი საწარმოო თავისებურებანი მევენახეობის თვალსაზრისით“. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მიწვეული იყო საერთაშორისო კონგრესებზე, სიმპოზიუმებსა და ყრილობებზე (რუმინეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, აშშ). სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა ნიადაგთმცოდნეობაში თსუ, პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. მიღებული ჰქონდა აკადემიკოს თეოფანე დავითაიას სახელობის პრემია (1983), გარდაცვალების შემდეგ.

მონოგრ.: ნიადაგის აღდგენა, თბ., 1983 (თანაავტ.).

გოგატიშვილი შოთა დავითის ძე – GOGATISHVILI SHOTA (1.V.1920, ს. ქორეთი, საჩხერის რ-ნი, – 13.XII.1994), გეოგრაფი. 1943 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1943 მუშაობდა ხვანის საშ. სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, 1944 ქორეთის საშ. სკოლაში, 1945 იქვე სასწავლო ნაწილის გამგეა, 1952 ადიგენის სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად. იმავე წელს აბასთუმნის კურორტსამმართველოს ბიოკლიმატური სადგურის დამკვირებლად, შემდეგ, სადგურის გამგედ. 1957 აბასთუმნის საშუალო სკოლის დირექტორად, 1961 საჩხერის №1 საშ. სკოლის დირექტორად, 1963-დან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის გეოგრაფიის მეთოდკაბინეტის გამგედ, 1982 საღამოს დაუსწრებელი სკოლების კაბინეტში მეთოდისტად. მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

მონოგრ.: პირველობა ფიზიკურ გეოგრაფიაში, თბ., 1952; სახალისო გეოგრაფია, თბ., 1973, 1983; სასკოლო გეოგრაფიული მხარეთმცოდნეობა, თბ., 1979; საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფიის ქრესტომათია, თბ., 1986; საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებანი, თბ., 1989 (თანაავტ.).

გოგაშვილი ნანა მიხეილის ასული – GOGASHVILI NANA (21.XII.1951, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1974 დაამთავრა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს პედაგოგად. 1978-დან თბილისის 99-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებელია. 1982-დან რაიონის გეოგრაფიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას ხელმძღვანელობდა. 1984-დან საქართველოს ტელევიზიით მოსწავლეებისათვის გეოგრაფიის გაკვეთილები მიჰყავდა. 1987 არჩეულ იყო მთავარ სპეციალისტად. 1987-88 გაიარა განათლების სამმართველოს ხელმძღვანელ მუშაკთა სარეზერვო კადრების კურსები. წლების განმავლობაში მუშაობდა ისნის რაიონის განათლების განყოფილების მეთოდური ცენტრის გეოგრაფიის მეთოდისტ-ორგანიზატორის თანამდებობაზე. პერიოდულად ჟურნალებსა და პრესაში აქვეყნებდა საკუთარ გამოცდილებებს და მეთოდური ხასიათის წერილებს, განსაკუთრებით ჟურნალ „ისტორია, გეოგრაფია სკოლაში". ასეთებია შრომითი აღზრდა გეოგრაფიის გაკვეთილებზე, მშობლიური მხარის სიყვარულის აღზრდა გეოგრაფიის გაკვეთილებზე და სხვ. წლების განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვებში, რისთვისაც მიღებული აქვს ჯილდოები. დაჯილდოებულია „განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1984). არის წლის საუკეთესო მასწავლებელი (1989, 1996). მინიჭებული აქვს „საპატიო მასწავლებლის" წოდება (1997), მასწავლებლის უმაღლესი კატეგორია (1998).

გოგებაშვილი იაკობ სიმონის ძე – GOGEBASHVILI YAKOB (15.X.1840, ს, ვარიანი, გორის რ-ნი, – 1.VI.1912, თბილისი), პედაგოგი და მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. სწავლობდა გორის, თბილისის საულიერო სასწავლებლებში, 1855 თბილისის სასულიერო სემინარიაში, 1861 კი კიევის სასულიერო აკადემიაში, პარალელურად უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო დისციპლინებში ისმენდა ლექციებს. 1864 თბილისში მასწავლებლად იწყებს მუშაობას. მთელი სიცოცხლე საზოგადოებრივ საქმიანობას შეალია. 1868 შექმნა სასკოლო სახელმძღვანელო – „ბუნების კარი". ეს წიგნი საქართველოს გეოგრაფიის პირველი სახელმძღვანელოცაა, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე იყო ქართველი ახალგაზრდობისათვის საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა და ქართული ენის ერთადერთი სახელმძღვანელო. „ბუნების კარში" საქართველოს გეოგრაფია განხილულია იმავე თანამიმდევრობით, როგორც ეს თანამედროვე სახელმძღვანელოშია მოცემული, სრულყოფლად არის აღწერილი საქართველოს ცაკლეული კუთხეების გეოგრაფია. შეიმუშავა, აგრეთვე სასკოლო გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის ძირითადი პრინციპები. ამასთან, ქართული კარტოგრაფიის ნამუშევრების პოპულარიზატორიცაა. თავის პირველსავე გამოცემულ შრომას დაურთო ამიერკავკასიის რუკა, რომელიც კარტოგრაფ ვახტანგ თულაშვილმა შეასრულა.

თხზ.: თხზულება, ტ. 1-10, თბ., 1952-1965; ბუნების კარი, მესამე და მეოთხე წლისათვის, თბ., 1912; საგანძური, თბ., 1982; ბიბლიოგრაფია, თბ, 1961.

ლიტ.: გურგენიძე გ. იაკობ გოგებაშვილი როგორც საქართველოს გეოგრაფიის სწავლების ფუძემდებელი, თბ., 1952; ზარდალიშვილი გ. გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

გოგებაშვილი შალვა ზაქარიას ძე – GOGEBASHVILI SHALVA (1887, ს. ვარიანი, გორის რ-ნი, – 31.X.1956, თბილისი), ეკოაომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1932). 1908 დაამთავრა სასულიერო სასწავლებელი. 1908-13 სწავლობდა კიევის კომერციული ინსტიტუტის ეკონომიურ სპეციალობაზე. 1913 მუშაობა დაიწყო სიღნაღის საურთიერთობო ნდობის ბანკის დირექტორად. 1916-დან ამიერკავკასიის კოოპერაციის კავშირში გამგეობის წევრია. აქვე, 1929-დან მუშაობდა კოოპერაციული კურსების ლექტორად. 1924-დან თსუ ლექტორია. 1932 მიენიჭა დოცენტის წოდება. 1940 ეკონომიკის ფაკულტეტზე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საცალო ვაჭრობა-ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ძირითადი საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის

30-მდე ბროშურა, სახელმძღვანელო, მონოგრაფია. განსაკუთრებით დიდი ᲫᲣშაობა გასწია ვაჭრობის ხაზით არსებული ტერმინოლოგიის შესადგენად. 1946-დან თავისი მუშაობის ნაწილი მოახმარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კვლევით საქმიანობას. აქ მან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე მოღვაწეობის დროს აქტიური მონაწილეობა მიიღო ეკონომიკური გეოგრაფიის საველე ექსპედიციებში, რაც აისახა სხვადასხვა გამოცემებში, მათ შორის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში, კერძოდ, ქლუხორის რაიონის, სამცხის, ჯავახეთის და სხვა რეგიონების ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, სარაიონთაშორისო ეკონომიური კავშირებისა და სხვა საკითხებში.

ᲒᲝᲒᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲫᲔ – **GOGINASHVILI NUGZAR** (24.X.1949, ს. ხოვლე, კასპის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1971 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს განაწილებით დაიწყო მუშაობა „საქსოფლმშენსახპროექტში“ ინჟინრის თანამდებობაზე. 1972-75 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1975-დან ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე უფროსი ლაბორანტია. 1977-78 მივლინებით იმყოფებოდა ირანში ტრანსპორტის სამინისტროს მშენებლობის ხაზით. 1978-80 კვლავ თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზეა. 1981-83 ისევ ირანშია მივლინებით იმავე ფუნქციით. 1983-90 თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის უფროსი ლაბორანტი, 1990-94 ასისტენტი, ხოლო 1994-დან უფროსი მასწავლებელია. გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების, ძირითადად ირანის სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს. შესრულებული აქვს მეთოდური ნაშრომი „სასწავლო-პრაქტიკის მეთოდიკა და პროგრამა ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში (1997)“. აქვს თარგმნილი სახელმძღვანელო თანაავტორობით. მიღებული აქვს საელჩოს სიგელი ირანში ყოფნის დროს (1983).

სახელმძღვ.: გეოგრაფია (უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 1992 (თანაავტ.); გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესში შემსვლელთათვის), თბ., 2000 (თანაავტ.).

ᲒᲝᲒᲘᲢᲘᲫᲔ ᲕᲐᲟᲐ ᲛᲔᲥᲘᲡ ᲫᲔ – **GOGITIDZE VAZHA** (20.IX.1939, ს. ნაფაღაური, სამტრედიის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1966 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტეოროლოგის სპეციალობით. 1979 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ვაზის გამოზამთრების აგროკლიმატური რესურსები საქართველოში“. 1965-დან მუშაობს საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. არის აგროეკოლო-

გიისა და აგროკლიმატოლოგიის განყოფილების გამგე. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მათში განხილულია კულტურულ მცენარეთა გავრცელების პრინციპები, საქართველოს მევენახეობა-მეხილეობის კლიმატური ზონები.

მონოგრ.: ვაზისა და ხეხილის ყინვებით დაზიანება საქართველოში, თბ., 1973 (თანაავტ.); თხილის აგროეკოლოგიური ზონები საქართველოში, თბ., 2003 (თანაავტ.).

გოგიშვილი კონსტანტინე სოლომონის ძე – GOGISHVILI KONSTANTINE (14.I.1905, ს. მარანი, სამტრედიის რ-ნი, – 10.IX.1984, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, 1924 დაამთავრა ჰუმანიტარული ტექნიკუმი და დაიწყო შრომითი საქმიანობა. 1927 მუშაობა დაიწყო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში. 1930-31 სწავლობდა ლენინგრადში უმაღლესი კვალიფიკაციის სინოპტიკოსების მოსამზადებელ კურსებზე. 1940 მივლინებულ იქნა ლიტვაში, სადაც ხელმძღვანელობდა ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს ჩამოყალიბებას. 1941 დაბრუნდა თბილისში და დაინიშნა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილედ, ხოლო 1942 უფროსად. 1944 დაამთავრა თსუ პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიული ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. სამამულო ომის დროს ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიისა და ბელორუსიის პირველი ფრონტების მეტეოროლოგიურ სამსახურს. მივლინებულ იყო პოლონეთში, ავსტრიაში, უნგრეთში, გერმანიაში, თეირანში. 1953-დან სამუშაოდ გადადის ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1953 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის საზიანო ყინვების რეჟიმისა და მოკლევადიანი პროგნოზის შესახებ“, 1976 კი სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს ჰავის გენეზისის ცირკულაციური ფაქტორების გამოკვლევა“. მასში შესწავლილია ამიერკავკასიაში ჰაერის ცივი მასების შემოჭრის პირობები, საქართველოს კლიმატწარმომქმნელი ცირკულაციის ფაქტორები; დამუშავებულია ჰაერის თბილი და ცივი ნაკადების გავრცელების მრავალწლიური რეჟიმი, ჰაერის მხუთვარებისა და თბოშემცველობის კვლევის მეთოდიკა და მათი გლობალური გავრცელების კანონზომიერებანი. იგი არის 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი. განსაკუთრებით აღსანიშნავია სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის შრომები. დიდ მუშაობას ეწეოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერების პროპაგანდის საქმეში. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს საქართველოს რაიონებში საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით. 1969-72 ორჯერ გაიგზავნა კუბის რესპუბლიკაში საბჭოთა მეტეოსადგურების ჯგუფის ხელმძღვანელად.

მონოგრ.: ატმოსფეროს შესწავლა და ამინდის წინასწარმეტყველება,

თბ., 1958; დედამიწის ატმოსფერო, თბ., 1960; თბილისის კლიმატი, თბ., 1960; საქართველოს კურორტების კლიმატური რესურსები, თბ., 1966; ამინდი და მისი წინასწარმეტყველება, თბ., 1966; ამინდი და ჰავა, თბ., 1975; Исследования циркуляционных факторов генезиса климата Грузии, Тб., 1974.

ლიტ.: კიკნაძე თ., გაგუა გ., ჯავახიშვილი შ. ბევრ საიდუმლოს ანდობდა ბუნება (კ. გოგიშვილის დაბადების 80 წლისთავთან დაკავშირებით), გაზ. „თბილისი", 1985, 26 დეკემბერი, გვ. 3; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986.

გოგლიძე ელგუჯა ბენედიქტეს ძე – GOGLIDZE ELGUJA (17.IX.1931, ს. ქორთა, ონის რ-ნი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი (1993). 1956 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, ახლანდ. აგრარული უნივერსიტეტი სწავლული აგრონომის სპეციალობით. 1957-75 მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1963-66 ასპირანტურის კურსი გაიარა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. 1963-დან მუშაობს საქართველოს სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში აგროეკოლოგიისა და აერომეტეოროლოგიის კათედრაზე. 1968 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საგარეუბნო ზონის მეურნეობის ხეხილის ბაღების რიგთაშორისებში ბოსტნეული კულტურების წარმოების აგრომეტეოროლოგიური დასაბუთება". გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ასახავს აგროეკოლოგიის თანამედროვე პრობლემებს.

მონოგრ. და სახელმძღვ.: აგრომეტეოროლოგიური მასალების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებისათვის, თბ., 1961; გარემო ფაქტორები და მოსავალი, თბ., 1971; კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების აგრომეტეოროლოგიური მომსახურების საფუძვლები, თბ., 1974; აგრომეტეოროლოგია (სახელმძღვ.), თბ., 1991 (თანაავტ.); პრაქტიკული სახელმძღვანელო აგრომეტეოროლოგიაში, თბ., 1991; დუშეთის რაიონის აგროკლიმატური რესურსების გამოვლენა და მათი აგროეკოლოგიური შესწავლა, თბ., 1998.

გოგმაჩაძე სერგო აკაკის ძე – GOGMACHADZE SERGO (25.IV.1948, ს. ხვარბეთი, ოზურგეთის რ-ნი), გეოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში ინჟინრად, შემდეგ არის უმცროსი მეცნიერი, მეცნიერი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1999-დან ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის სექტორს. შეთავსებით მუშაობს საქართველოს ავტოსაგზაო ინსტიტუტში ზოგადი ტექნიკურ მეცნიერებათა კათედრის გამგედ (1992-დან).

სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი (1976-79). 1999 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საინჟინრო გეოლოგიური და გეომორფოლოგიური პირობების გავლენა მიწისძვრის ინტენსივობაზე". არის 94 სამეცნიერო ნაშრომისა და პუბლიკაციის ავტორი, 4 კოლექტიური მონოგრაფიის (სეისმური მიკროდარაიონება) ავტორი. ისინი ძირითადად ეხება მიწისძვრების გამოვლინების შედეგებზე საინჟინრო გეოლოგიური და გეომორფოლოგიური პირობების გავლენის შესწავლას, როგორც მომხდარი მიწისძვრების ანალიზით, ასევე მათემატიკური და ფიზიკური მოდელირების საშუალებით. ჩატარებული აქვს ჰიდროტექნიკური ნაგებობების, სამრეწველო ობიექტების, გაზსადენების ტერიტორიების სეისმური მიკროდარაიონება როგორც საქართველოში, ისე აზერბაიჯანში, სომხეთში, უკრაინაში, ირანში.

გოგსაძე გიორგი კარლოს ძე – GOGSADZE GIORGI (3.I.1957, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1979 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. სტუდენტობის დროს (1978) სტაჟირებაზე იმყოფებოდა რაბატის (მაროკო) უნივერსიტეტში. 1979-82 ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტის კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1983-85 იყო თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე უმცრ. მეცნ. თანამშრომელი, 1985-87 ხალხთა მეგობრობის მუზეუმის განყოფილების გამგე. 1987-90 საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრის უფრ. მეცნ. თანამშრომელი. 1990-91 დემოგრაფიისა და სოციალური კვლევის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1992-დან საქართველოს პარლამენტის სპიკერის აპარატში სპიკერის მოადგილის თანაშემწე. ამასთან, 1994 იყო სტაჟირებაზე ჯორჯ ვაშინგტონის (აშშ) უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის უფრ. მეცნ. თანამშრომელი, ხოლო 1995 მერილენდის (აშშ) უნივერსიტეტის კონფლიქტების მოწესრიგებისა და საერთაშორისო განვითარების ფაკულტეტის უფროსი მეცნ. მკვლევარი. 1996-2000 მუშაობდა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციაში პროგრამის სპეციალისტის თანამდებობაზე, 2000-02 გაეროს განვითარების პროგრამაში პროგრამის ანალიტიკოსის თანამდებობაზე. 2002-დან არის არასამთავრობო ორგანიზაციის „დემოკრატიული განვითარებისა და კონფლიქტების მოგვარების ცენტრის" დირექტორი. 1985 მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მაროკოს საწარმოო ძალთა განლაგებისა და განვითარების ძირითადი თავისებურებანი და კანონზომიერებანი". მუშაობს ერთაშორისი ურთიერთობის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ და რუსულ ენებზე.

გოზალიშვილი დენიზა სტეფანეს ასული – GOZALISHVILI DENIZA (1.IX.1919, თბილისი, – 29.I.1998, იქვე), მთამსვლელი. 1940 დაამთავრა თსუ ისტორიის ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით. 1941-47 მუშაობდა საქართველოს ისტორიის მუზეუმში მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე, 1951 მეთოდისტად განათლების სამინისტროს ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტულ სადგურში, 1953-დან თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში პედაგოგ-მეთოდისტია. 1963-90 არჩეულ იქნა საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პასუხისმგებელ მდივნად. 1966 მიიწვიეს ა. ჯაფარიძის სახ. საქართველოს ალპიურ კლუბში სასწავლო ნაწილის უფროსად. შეთავსებით გააგრძელა მუშაობა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში. მთამსვლელობა და ტურიზმი ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1940 დაიწყო. 1941 საბჭოთა კავშირში პირველი ზამთრის სათხილამურო ასვლის ხელმძღვანელის მოადგილეა, პირველი მთამსვლური ასვლების მონაწილე ჭაუხების მასივში, მწვერვალ „ვაჟა-ფშაველაზე", ზამთარში მყინვარწვერზე, ორწვერზე, მაილზე და სხვ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა მრავალდღიანი ტურისტული ლაშქრობები კავკასიონის რიგ უღელტეხილებზე (მამისონი, ზეკარი, ბურსაჭირი და სხვ.), ასვლები ყუროზე, ტერსკოლის პიკზე, იალბუზის ფერდობზე. 1969 ხელმძღვანელობდა ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ ალპინიადას თრუსოს ხეობაში, 1971 კი მეცნიერ მთამსვლელ ქალთა ზამთრის ასვლას მწვერვალ არაგაწზე ქართული ფეხსაბიჯებით (თხილამურებით), რომელიც მიზნად ისახავდა აგრეთვე სახალხო მეურნეობაში (დიდთოვლიანობაში) მათ გამოყენებას. მისი ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ტარდებოდა პოპულარული საერთაშორისო ფოტო-კინო კონკურსი „მთები და ადამიანები", ბავშვთა ნახატების კონკურსი „ჩემი მთები". მისი ინიციატივით და ხელმძღვანელობით პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა მთამსვლელთა მუზეუმი თბილისში და ყაზბეგში. გამოქვეყნებული აქვს რიგი ნაშრომები ქართულ ენციკლოპედიაში, საკავშირო და ქართულ პრესაში. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის (1981), საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკის (1981) წოდებები. იყო საკავშირო კატეგორიის მსაჯი კლდეზე ცოცვაში (1979), დაჯილდოებული იყო საკავშირო განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით, საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ „განათლების წარჩინებულის ნიშნით" და სხვ.

გზამკვლ. და ბუკლეტ.: ბეთანია, მცხეთა, კოჯორი, კრწანისი, თბ., 1966; მყინვარწვერი, თბ., 1978; შხარა, თბ., 1979; თბილისის შემოგარენი, თბ., 1976; მთის ბილიკებით, თბ., 1980; მთის მგოსანი, თბ., 1980; მიხეილ

ხერგიანი, თბ., 1982; შენთვის ნორჩო მოგზაურო, თბ., 1986; იალბუზი, თბ., 1987; კლდოვან ქარაფებზე, თბ., 1990 და სხვ.

გოლუბოვი კირილე ილიას ძე – GOLUBOVI KIRILE (10.IV.1926, თბილისი), უფროსი მასწავლებელი. 1951 დემობილიზებულ იქნა სამხედრო სამსახურიდან. 1969-მდე მუშაობდა თბილისის სატელეგრაფო აპარატების ქარხანაში ზეინკლად. 1960-65 სწავლობდა თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში საღამოს განყოფილებაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა გეოგრაფიის სპეციალობით. 1966-69 პარალელურად მუშაობდა თბილისის საექსკურსიო ბიუროში ექსკურსიამძღოლად. 1969-93 მუშაობდა თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე უფროს მასწავლებლად. 1993-დან საცხოვრებლად გადავიდა რუსეთის ფედერაციაში. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რამდენიმე ათეული საგაზეთო წერილი და გზამკვლევები, რომლებიც ძირითადად ტურიზმის საკითხებს შეეხება. დაჯილდოებულია რამდენიმე მედლით სამამულო ომში გამარჯვების აღსანიშნავად.

გონგაძე მერაბ აკაკის ძე – GONGADZE MERAB (15.XI.1949, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1974 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. პარალელურად მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში. 1986 ქ. ბაქოში დაიცვა საკანდიდატო დისერაცია – „რელიეფის ანთროპოგენური გარდაქმნები საქართველოში". მასში მოცემულია ადამიანის ზეგავლენის სხვადასხვა სახეების შედეგები, რელიეფის ანთროპოგენური ფორმებისა და გარდამქმნელი პროცესების კლასიფიკაცია და მათი კარტირების პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც შეეხება ანთროპოგენურ რელიეფს, ასევე ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის სხვა აქტუალურ საკითხებს. გამოყენებულია მოცულობითი მეთოდით მათემატიკური შეფასება ლითოსფეროში ბუნებრივად და ანთროპოგენურად გადაადგილებული არაორგანული მასების შედარებები. წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარიის სწავლული მდივანი.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I (სახელმძღვ.), 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II (სახელმძღვ.), თბ., 2001 (თანაავტ.).

გონგლაძე ნინო შიოს ასული – GONGLADZE NINO (30.XII.1925, ს. კლდისწყარო, ხაშურის რ-ნი), კლიმატოლოგი. 1957 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფ-მეტეოროლოგის და კლიმატოლოგის სპეციალობით. 1958 მუშაობა დაიწყო საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ი. კონიაშვილის სახ.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამედიცინო კლიმატოლოგიისა და კლიმატოთერაპიის განყოფილებაში ჯერ ტექნიკოსად, 1958-დან კლიმატოლოგის თანამდებობაზე, 1964-დან უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია, ხოლო 1967-დან უფროსი ინჟინერი. 1987-დან ამავე განყოფილების მეცნიერული ჯგუფის ხელმძღვანელია საკურორტო კლიმატოლოგიის დარგში. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, საკურორტო და სამედიცინო კლიმატოლოგიის დარგში. ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტებისათვის შედგენილია 12 სამთო სანიტარული დაცვის ზონების ბიოკლიმატური დახასიათება. ამუშავებს საქართველოს პერსპექტიული საკურორტო ადგილების ბიოკლიმატურ დახასიათებას შავი ზღვის სანაპირო რეკრეაციული ზონის შეფასებასთან დაკავშირებით. ამჟამად იკვლევს სამედიცინო კლიმატოლოგიის აქტუალურ საკითხებს, საქართველოს პერსპექტიული საკურორტო ადგილების ბიოკლიმატური და შავი ზღვის სანაპირო რეკრეაციული ზონის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს. მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია (1993) – ატლასს საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები" (11 რუკა).

მონოგრ.: საქართველოს კურორტების კლიმატოგრაფია, თბ., 1980.

გორდეზიანი თენგიზ აეტრეს ძე – GORDEZIANI TENGIZ (8.I.1959, ს. ჟოშხა, ამბროლაურის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1993). 1984 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1983-92 მუშაობდა თსუ-ის აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მონაწილეობდა კომპლექსურ-გეოგრაფიულ ექსპედიციებში (1983-91) – ყირიმში, ლადოგის ტბის შემოგარენში, ხიბინების მთებში, კარელიაში, მოსკოვის ოლქში, პამირის მთებში, ქოფეთდაღზე, ჯუნღარის ალათაუში, იაკუტიაში, კამჩატკაზე, შორეულ აღმოსავლეთში, ტუვაში, ბაიკალისპირეთში, პირენის მთებში (ბულგარეთი), მაგადანის ოლქში, ჩუკოტკაზე. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ლანდშაფტურ-ეთოლოგიური სიტუაციების კვლევა კარტოგრაფიული მეთოდების გამოყენებით". გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო და 20-მდე სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი. 1993-დან მუშაობს კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. ამჟამად იგი კათედრის სწავლული მდივანია. ლექციებს კითხულობს: ტოპოგრაფია-გეოდეზიის საფუძვლებით, კვლევის კარტოგრაფიული მეთოდები, რუკათმცოდნეობა, ლანდშაფტმცოდნეობა, ოთხგანზომილებიანი კარტოგრაფირება და სხვ. დისციპლინებში. ხელმძღვანელობს საველე-სასწავლო პრაქტიკებს ტოპოგრაფიასა და ლანდშაფტმცოდნეობაში. მუშაობს

ზოგადი თეორიისა და პრაქტიკული კარტოგრაფიის ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: სინთეზის პრობლემა კარტოგრაფიაში, დროის მასშტაბი, კარტოგრაფიული გენერალიზაცია, ქალაქების კომპლექსური კარტოგრაფირება, სპორტის კარტოგრაფირება და სხვ. მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში. არის „კავკასიის გეოგრაფიული ჟურნალის" პასუხისმგებელი მდივანი, 1983-დან ხელმძღვანელობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტთან არსებულ კარტოგრაფიულ ფონდს. 1996-დან საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეა. მისი ავტორობით და რედაქტორობით გამოიცა 3 რუკა და 1 რუკა-ბუკლეტი.

სახელმძღვ.: რუკათმცოდნეობა, ნაწ. I, თბ., 2000; რუკათმცოდნეობა, ნაწ. II, თბ., 2000.

გოცირიძე გიორგი გიორგის ძე – GOTSIRIDZE GIORGI (2.II.1972, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1994 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის სპეციალობით. 1991-დან მუშაობდა თსუ-ში გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრის ლაბორანტად. 1994-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარსტოლოგია-სპელეოლოგიის განყოფილების თანამშრომლად, 1995-დან უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1996 სტაჟირება გაიარა ზაარლანდის (ქ. საარბრიუკენი, გერმანია) უნივერსიტეტში. 1996 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „გეოდინამიკური პროცესების კვლევა დისტანციური მეთოდებით (ზემო სვანეთის მაგალითზე)". მასში მოცემულია რელიეფში ასახული დღემდე უცნობი ხაზოვანი, წრიული და ბლოკური სტრუქტურების გამოვლინება-ტიპიზაცია. ეგზოდინამიკური პროცესების და რელიეფის სტრუქტურული ველების სივრცითი კავშირების გავლენა. მაღალმთიან რაიონებში გეოდინამიკურ პროცესებზე დისტანციური მონიტორინგის წინაპირობათა ანალიზი. ამ და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი.

გრიგოლია გურამ ლუარსაბის ძე – GRIGOLIA GURAM (13.V.1938, ქ. თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1993). 1961 დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1961-64 მუშაობდა „თბილჰიდროპროექტში" ინჟინრად. 1964-67 ასპირანტურის კურსი გაიარა საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტში; აქვე, 1967-72 მეცნიერ თანამშრომელია. 1972-დან მუშაობს თსუ ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. 1997-დან კათედრის გამგეა. 1972 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „მონტე-კარლოს მეთოდით ჰიდროლოგიური რიგების სტატის-

ტიკური მოდელირების საკითხები წყალსამეურნეო ანგარიშებისათვის", ხოლო 1993 სადოქტორო დისერტაცია – „მდინარის ჩამონადენის პროცესის აღწერის და მოდელირების სტატისტიკური მეთოდების ანალიზი და სრულყოფა". ავტორია 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა.

მონოგრ.: Гидрология реки Бзыбь, Тб., 1981 (соавт.).

გუგუნავა ნანა გიორგის ასული – GUGUNAVA NANA (18.V.1931, თბილისი, – 17.VII.1995, იქვე), გეოგრაფი. 1955 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო „სოიუზდორპროექტის" თბილისის ფილიალში ინჟინერ-გეომორფოლოგის თანამდებობაზე. მონაწილეობდა მაღალმთიან ექსპედიციებში, კერძოდ, ყაზბეგის რაიონში სავტომობილო გზისა და ხიდების გაყვანასთან დაკავშირებით. 1956 იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტის ზემო რაჭის სტრატიგრაფიული ექსპედიციის უფროსი ლაბორანტი. 1957-63 მუშაობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის გეოგრაფიის კაბინეტში პედაგოგად. 1962-72 საქართველოს განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის პედაგოგ-მეთოდისტია. 1972-95 მუშაობდა საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში სწავლული მდივნის თანამდებობაზე. თითქმის მეოთხედი საუკუნე იღვაწა გეოგრაფიული საზოგადოების საპასუხისმგებლო თანამდებობაზე და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს გეოგრაფიის წინსვლაში. პირველსავე წლებში მონაწილეობდა სასკოლო გეოგრაფიის სექციის მუშაობაში. ორგანიზაციას უწევდა გეოგრაფიის მასწავლებელთა დასახმარებლად ჩატარებულ ღონისძიებებს. კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიის მასწავლებელთა სამეცნიერო-მეთოდურ სესიებსა და კონფერენციებზე, როგორც თბილისში, ისე რესპუბლიკის რაიონებში. გარკვეულ ადგილს უთმობდა გეოგრაფიის სწავლებაში მხარეთმცოდნეობითი მასალის გამოყენებას. მონაწილეობდა პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის გეოგრაფიის კაბინეტისა და ბავშვთა ტურისტული სადგურის მიერ მოწყობილ ღონისძიებებში. დაჯილდოებულია საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომით (1977), „საქართველოს განათლების სამინისტროს წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1978), სსრკ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით და სხვ.

გუგუშვილი თამაზ (თომა) ვალერიანის ძე – GUGUSHVILI TAMAZ (18.III.1946, ქ. აბაშა), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1969 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1969-79 მუშაობდა „საქსოფლმშენსახპროექტში" და „საქქალაქმშენსახპროექტში" რაიონული დაგეგმარების განყოფილების გამგედ. 1979-89 სახალხო მეურნეობის ეკონომიკის,

დაგეგმვის და მართვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეგიონული ეკონომიკის განყოფილების გამგედ. 1989-91 მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიის და სოციალური კვლევების ინსტიტუტის მიგრაციის და განსახლების განყოფილების გამგედ. 1990 არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს წევრად, დემოგრაფიის და განსახლების ქვეკომისიის თავმჯდომარედ. 1991-92 იყო საქართველოს შრომის, სოცალური დაცვის და დემოგრაფიის მინისტრი. 1993-95 მუშაობდა რეფორმატორთა კავშირის სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, აღმასრულებელი კომისიის წევრად. 1996-დან მუშაობს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში მიგრაციის კონტროლის დეპარტამენტის თავმჯდომარედ. 1983-89 პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1981 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს სასოფლო განსახლების კონსტრუქციულ-გეოგრაფიული გამოკვლევა". გამოქვეყნებული აქვს 100-მდე ნაშრომი დემოგრაფიის, მიგრაციის, განსახლების პრობლემებზე. მონაწილეობდა საქართველოს დემოგრაფიული განვითარების, შავი ზღვის, მიგრაციის პოლიტიკის კონცეფციების შემუშავებაში. თანაავტორია 1991 მიღებული კანონის „დასაქმების შესახებ", კანონპროექტისა „იმიგრაციის შესახებ", 1998 მიღებული კანონისა „მიგრანტთა ინსპექტირების შესახებ".

მონოგრ.: „საქართველოს გარე მიგრაციულ-დემოგრაფიული პრობლემები", თბ., 1999.

გულისაშვილი ვასილ ზაქარიას ძე – GULISASHVILI VASIL (23.IV.1903, თბილისი, – 19.IX.1979, იქვე), მეტყევე-ეკოლოგი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1935), მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1946). 1926 დაამთავრა ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის სატყეო მეურნეობის ფაკულტეტი და (1930) ქიმიური ტექნოლოგიის ფაკულტეტი. 1927-დან ლენინგრადის სატყეო-ტექნიკური აკადემიის მეტყევეობის კათედრის ტექნიკოსია. 1927-30 ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ასისტენტი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1931 დაბრუნდა საქართველოში და მუშაობა დაიწყო თბილისის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში ზოგადი მეტყევეობის კათედრის გამგედ. 1932-44 მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. 1945-დან ხელმძღვანელობდა თბილისის სატყეო ინსტიტუტს. მისი მეცნიერული შრომები ეხება მცენარეთა მერქნიანი ჯიშების ბიოლოგიას, ეკოლოგიასა და ეკოლოგიურ გეოგრაფიას, ბუნების დაცვისა და სხვ. საკითხებს. შეისწავლა ტყის ნიადაგების ფიზიკური თვისებები და მათი ცვალებადობა ამორჩევითი, პირწმინდა ჭრისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად დროებით გამოყენებისას. ამ საკითხებზე მას გამოქვეყნებული აქვს მრავალი შრომა, რომელთა ნაწილი გეოგრაფიულ მეცნიერებასთან ახლოსაა და ლანდშაფტურ

კვლევაში გამოიყენება. იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბუნების დაცვის კომისიის თავმჯდომარე და ბუნების დაცვის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე. მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო პრემია (1974), დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, აგრეთვე სხვა ორდენებითა და მედლებით.

შონოგრ.: ზოგადი მეტყევეობა, თბ., 1957; მცენარეთა ეკოლოგია, თბ., 1960; Природные зоны и естественно-исторические области Кавказа, М., 1964.

ლიტ.: ქართული ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 302.

გუნია გარი სერგოს ძე – GUNIA GARI (25.VIII.1937, აბაშა), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1962 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტში კოსმოსური სხივების კვლევის ლაბორატორიაში ელექტრომონტიორის, შემდეგ კი ლაბორანტის თანამდებობაზე. 1964 სამუშაოდ გადადის ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რადიოლოგიურ ლაბორატორიაში ინჟინრის თანამდებობაზე, სადაც მუშაობს იმ დროის გასაიდუმლოებულ, ატომბირთვული აფეთქების ნარჩენებით ატმოსფეროსა და დედამიწის გაჭუჭყიანების პრობლემებზე. პარალელურად მუშაობს ფიზიკის მასწავლებლად საშუალო სკოლაში, ხოლო 1966-67 ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული მწვრთნელთა სკოლის მათემატიკის მასწავლებლად. 1973 ბრუნდება ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში. ამ პერიოდში ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის სამმართველოს ბაზაზე იქმნება ატმოსფეროს გაჭუჭყიანების კონტროლისა და კვლევის სამსახური, რომელსაც ერთ-ერთ ხელმძღვანელად ჩაუდგა სათავეში. 1974 დანიშნა ქ. თბილისის ობსერვატორიის ატმოსფეროსა და ნიადაგის გაჭუჭყიანების კონტროლის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. იგი შეუდგა ამ ლაბორატორიის და მისი ფილიალების ჩამოყალიბებას საქართველოს 6 მსხვილ სამრეწველო და კულტურულ ცენტრებში. მისი უშუალო მონაწილეობით ყალიბდება საქართველოს ატმოსფეროს გაჭუჭყიანების დაკვირვებისა და კონტროლის ქსელი. გამოიცა ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ბიულეტენები და წლიური მიმოხილვები. 1980 კვლავ დაბრუნდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო შემდეგ ლაბორატორიის ხელმძღვანელის თანამდებობაზე აირჩიეს. ამჟამად ეკოლოგიის განყოფილების ატმოსფეროს ლაბორატორიის გამგეა. 1967 სტაჟირებით იყო ქ. ლენინგრადის ა. ვოეიკოვის სახ. მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი და 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ატმოსფერული მტვრის მახასიათებლების განსაზღვრის მეთოდების

გამოკვლევა და სრულყოფა", ხოლო 1993 სადოქტორო დისერტაცია – „ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მონიტორინგის საკითხები საქართველოს ტერიტორიაზე". გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის უცხოურ გამოცემებშიც. მათში ასახულია ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მეტეოროლოგიურ ასპექტებთან დაკავშირებული ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის საკითხები. სტუდენტობის დროს მისდევდა სპორტს. 1955-61 საქართველოს მოკრივეთა ნაკრები გუნდის წევრია. არის საკავშირო და საქართველოს მოკრივეთა მრავალი ჩემპიონატების

მონოგრ.: Современные проблемы запыленности атмосферы, Обнинск, 1978; Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.); Вопросы мониторинга загрязнения атмосферного воздуха на территории Грузии, Л., 1985; Климат Тбилиси, С-П., 1992 (соавт.).

გურგენიშვილი-ფერეთელი ნანული ივანეს ასული – GURGENISHVILI-TSERETELI NANULI (7.X.1948, ს. ყანდაურა, საგარეჯოს რ-ნი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1974 დაამთავრა თბილისის პუშკინის (სულხან-საბა ორბელიანის) სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიის მასწავლებლის სპეციალობით. 1975-დან მუშაობს თბილისის 51-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. წლების განმავლობაში იყო კლასის ხელმძღვანელი და გეოგრაფიის მეთოდგაერთიანების ხელმძღვანელი, რომელთაც დღეს წარმატებით უძღვება. 1987 დაამთავრა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის სახალხო განათლების მუშაკთა რეზერვების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების კურსები. არის გეოგრაფიის საქალაქო და რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციებისა და ოლიმპიადების კომისიის წევრი. 1999-დან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ლექციების კურსს კითხულობს ახალგაზრდა მასწავლებლების გადამზადების კურსებზე. არის VI-VIII კლასების გეოგრაფიის სახელმძღვანელოების რეცენზენტი. ჩატარებული აქვს სარაიონო და საქალაქო დონის გაკვეთილები, კლასგარეშე ღონისძიებები, კონკურსები, ვიქტორინები, რეგულარულად მონაწილეობს პედაგოგიურ კითხვებში. გამოქვეყნებული აქვს ათზე მეტი წერილი, სტატია და მეთოდური მითითებები. მიღებული აქვს თბილისის წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება (1996), სიგელი „საუკეთესო მოხსენებისათვის" (1997-98 ს/წ), სიგელი „ეკოლოგიური განათლების პროპაგანდისათვის" (1997), საზღვარგარეთის საგზურები და სხვ.

გურგენიძე გივი კონსტანტინეს ძე – GURGENIDZE GIVI (15.III.1908, ქ. ახალციხე, – 20.IX.1988, თბილისი), ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1940). 1926 დაამთავრა ქ. ახალციხის I საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1927 შეიდა თსუ სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტზე და უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შემდეგ სწავლას ერთდროულად აგრძელებს საფინანსო-ეკონომიურ ინსტიტუტსა და საბჭოთა აღმშენებლობისა და სამართლის ინსტიტუტში. დაამთავრა 1931. 1937-39 სწავლობდა მოსკოვის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ინსტიტუტის ასპირანტურაში. იქვე, 1939 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აღრიცხვის ისტორიის საკითხებისათვის საქართველოში". აღნიშნული ნაშრომის დამუშავებაში კონსულტაციებს უწევდა აკად. ივ. ჯავახიშვილი. 1939-დან საკავშირო ვაჭრობის დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სასწავლო ნაწილის გამგეა, პარალელურად თსუ დოცენტია. 1941-42 მონაწილეობდა სამამულო ომში. 1942-46 კვლავ საბჭოთა კავშირის ვაჭრობის დაუსწრებელი ინსტიტუტის თბილისის ფილიალშია დირექტორის თანამდებობაზე. 1946-56 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1944-88 თსუ დოცენტის თანამდებობაზეა. გამოქვეყნებული აქვს 150 სამეცნიერო ნაშრომი, 10 სახელმძღვანელო ეკონომიკური და იურიდიული სპეციალობის სტუდენტებისათვის და 2 მონოგრაფია. ორივე მონოგრაფია აკად. ალ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით არის გამოცემული. შრომების ძირითადი ნაწილი ეხება სამეურნეო აღრიცხვა-ანალიზის თეორიას, პრაქტიკას, ისტორიას, საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიულ შესწავლილობას, საქართველოს სახალხო მეურნეობის ისტორიის ცალკეულ საკითხებს. მონაწილეობდა გეოგრაფიის ინსტიტუტის საველე ექსპედიციებში (ქლუხორის რაიონი, სამცხე, ქვემო ქართლი, გარე კახეთი და სხვ.). ექსპედიციაში მოპოვებული მასალები და კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებსა და მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში. აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მუშაობაში, იყო ამ საზოგადოების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე. მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება (1982).

მონოგრ.: იაკობ გოგებაშვილი, როგორც საქართველოს გეოგრაფიის სწავლების ფუძემდებელი, თბ., 1952; ვახუშტი საქართველოს სახალხო მეურნეობის მკვლევარი ეკონომ-გეოგრაფი, თბ., 1961.

გუჯაბიძე ვაჟა ვარდენის ძე – GUJABIDZE VAZHA (14.II.1939, ქ. თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. სწავლობდა დასწრებულ ასპირანტურაში. 1966 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კოლხეთის მოსახლეობის გეოგრაფია". 1965-დან მუშაობს თსუ სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე; 1974-87 ამავე კათედრის გამგედ. შეთავსებით მუშაობდა დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის სამეცნიერო ინსტიტუტში – მიგრაციისა და განსახლების განყოფილების გამგედ (1990-92). საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრად (1992-95). 1967-68 კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით იმყოფებოდა პოლონეთში. 1976 კითხულობდა ლექციებს პორტლენდის, ოჰაიოს, სან-ფრანცისკოსა და ჰავაის უნივერსიტეტებში (აშშ), 1978 და 1984 ვარშავისა და ლოძის უნივერსიტეტებში (პოლონეთი). 1979-81 მუშაობდა ერაყში, როგორც გაეროს უფროსი ექსპერტი ხალხთმოსახლეობის პოლიტიკის სფეროში. 1976-90 იყო საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ქალაქებისა და განსახლების სისტემების წევრი, 1990-95 ევროპის დემოგრაფიული ასოციაციის დემოგრაფიული კომისიის წევრი. ძირითადი სამეცნიერო ინტერესი – გეოდემოგრაფია განსახლების სისტემების ტერიტორიული ორგანიზაცია, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარება.

მონოგრ.: Проблемы географии населения и использования территории, Тб., 1976 (соавт.); Проблемы географии населения и пространственност организации, Тб., 1983 (соавт.); Проблемы социально-экономического развития территориальных систем , Тб., 1988 (соавт.); Internab migration Iraq. , Baqhdad, 1980; Study of process of Urbanization and Tendecies of Population Grouwht of Iraq. , Baqhdad, 1989.

გძელიშვილი ელენე იაკობის ასული – GDZELISHVILI HELENE (14.XII.1907, ს. აგდამი, აზერბაიჯანი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1928 დაამთავრა თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ასისტენტის თანამდებობაზე. 1930 სამუშაოდ მიდის საქარის საცდელ სადგურში, სადაც დაწერა პირველი სამეცნიერო ნაშრომი „საქარის მიდამოების მიკროკლიმატი". 1932 მუშაობას იწყებს თბილისის ამინდის ბიუროში, 1947 თბილისის ავიამეტეოროლოგიურ სადგურში უფროს ინჟინერ-სინოპტიკოსად, 1953-75 კი ამინდის ბიუროს გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების გამგედ. 1968 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ძლიერი ქარის 1-3 დღისათვის პროგნოზირების მეთოდიკა საქართველოს პირობებში". მისი სამეცნიერო ნაშრომები ეხება ატმოსფერული პროცესების მიმდინარეობას ამიერკავკასიაში. განსაკუთრებით დიდი დრო მოანდომა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ძლიერი ქარების შესწავლას, დაამუშავა ამ ქარების წარმოშობის მიზეზები და პროგნოზირების საკითხები. გამოქვეყნებული აქვს 27 სამეცნიერო ნაშრომი და მეთოდური დარიგება. დაჯილდოებულია საპატიო სამკერდე ნიშნით (1971).

ᲓᲐᲓᲔᲨᲥᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ – DADESHKELIANI ALEXANDRE – კორეის გეოგრაფიული, პოლიტიკური და ისტორიული მიმომხილველი. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გაიგზავნა პეტერბურგში თავადაზნაურთა სამხედრო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის ოფიცრის ჩინი მიიღო. 1853 საქართველოში დაბრუნდა. მაგრამ ორიოდე წლის შემდეგ უკან გაიწვიეს. მან წასვლაზე უარი განაცხადა, რისთვისაც ჩამოართვეს წოდება და მეფისნაცვლის ბრძანებით გაგზავნეს ციმბირში საჯარიმო ათასეულში სასჯელის მოსახდელად. 1880-84 პრიამურიეს გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით კორეაში გაიგზავნა. იქ მან დაწერა შრომა კორეის შესახებ, რომელიც 1886 გამოქვეყნდა პეტერბურგში. ამ შრომას დართული აქვს კორეის რუკა. აქვე 1888 გამოქვეყნდა მეორე შრომაც ამურის ოლქის შესახებ. ორივე შრომა გასაიდუმლოებულ იქნა. ალ. დადეშქელიანი შორეული აღმოსავლეთისა და კორეის თვალსაჩინო მოგზაურ-მკვლევარია; იგი პირველი ქართველია, რომელმაც ამ მხარეების გეოგრაფიული აღწერა მოგვცა.

ლიტ.: ზარდალიშვილი გრ. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲘᲐ ᲔᲗᲔᲠ ᲤᲘᲚᲘᲞᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – DAVITAYA ETHER (29.VIII.1951, ს. ონტოფო, აბაშის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1972 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. შეთავსებით კითხულობს ლექციებს თსუ სოხუმის ფილიალში. აგრეთვე, მუშაობს არასახელმწიფო საერო საშუალო სკოლა „ათინათში" გეოგრაფიის მასწავლებლად (IV-X კლასები). წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარის სწავლული მდივანი. 1981-85 გაიარა ინსტიტუტის დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი. 1990 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პროფ. დ. უკლებას ხელმძღვანელობით – „ტექნოგენური ლანდშაფტები, მათი აღდგენა და რაციონალური ბუნებათსარგებლობა (საქართველოს მაგალითზე)". დისერტაციაში გამოყენებულია ტექნოგენური ლანდშაფტების კვლევის მრავალფაქტორული რეგრესიული ანალიზის მეთოდი, რომლის საშუალებით, პირველად საქართველოში, ნებისმიერი სამთო რეგიონისათვის გარემოს ლანდშაფტურ-ეკოლოგიური შეფასების მიზნით შემუშავებულ იქნა ტექნოგენურ ლანდშაფტებსა და მის ცალკეულ კომპონენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულების კანონზომიერება. იკვლევს ტექნოგენური ლანდშაფტების ეკოლოგიურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I (სახელმძღვანელო), თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია. ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია. ნაწ. II (სახელმძღვანელო), თბ., 2001 (თანაავტ.); მოსწავლის ცნობარი წიგნი პირველი, თბ., 2001 (თანაავტ.).

დავითაია თეოფანე ფარნას ძე – DAVITAYA THEOPANE 15.IX.1911, ს. ეკი, სენაკის რ-ნი, – 29.VI.1979, თბილისი), აკადემიკოსი (1960). 1932 წარჩინებით დაამთავრა თბილისის სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო ინსტიტუტი და სწავლა განაგრძო ლენინგრადში მთავარ გეოფიზიკური ობსერვატორიის ასპირანტურაში. 1936 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მევენახეობის კლიმატური ზონები სსრ კავშირში" და მუშაობა დაიწყო იქვე, ჯერ აგრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, ხოლო 1938-დან მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიური განყოფილების გამგის მოადგილედ. სამამულო ომის პერიოდში იყო საავიაციო მეტეოროლოგიურ სამსახურში. ომის შემდეგ დაბრუნდა მემცენარეობის საკავშირო ინსტიტუტში. 1950 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „სსრ კავშირის ვაზის კლიმატის გამოკვლევა და მისი პრაქტიკული გამოყენების დასაბუთება". 1951 დაინიშნა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარი ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1960 აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად და 1962 ბრუნდება საქართველოში. სათავეში ჩაუდგა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტს. ამასთან, 1963 აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივნად და აკადემიის პრეზიდიუმის წევრად. 1970 იგი აირჩიეს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტად. სხვადასხვა დროს ლექციებს კითხულობდა მოსკოვისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში. იგი მრავალჯერ იქნა მიწვეული კონსულტაციებისათვის და ლექციების წასაკითხად საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში (აშშ, ჩინეთი, კუბა და სხვ.). წლების მანძილზე იყო ჟურნალ „მეტეოროლოგია და ჰიდროლოგიის" მთავარი რედაქტორი. მისი სამეცნიერო შრომები ეხება სსრკ მევენახეობის კლიმატური ზონების და მელვინეობის საკითხების შესწავლას. მნიშვნელოვანია მის მიერ აგროკლიმატური დარაიონების არსებული მეთოდიკის რიგი ახალი მეთოდებით სრულყოფა, კლიმატური და აგროკლიმატური ცნებების დამკვიდრება და კლიმატის სასოფლო-სამეურნეო შეფასების ახლებური გადაწყვეტა. მან სრულყოფილად გამოიკვლია სსრკ ევროპული ტერიტორიის აგროკლიმატური პირობები. დიდი წვლილი შეიტანა კლიმატური რესურსების შესწავლის საქმეში; დაამუშავა ამინდის არახელსაყრელ პირობებთან ბრძოლის თეორიული

საფუძვლები, ასევე აგროკლიმატური დარაიონების და კლიმატური სასოფლო-სამეურნეო შეფასების მეთოდები; შექმნა კლიმატის სასოფლო-სამეურნეო შეფასების ახალი მეცნიერული მიმართულება; დაადგინა თანამედროვე ცივილიზაციის ზეგავლენით ბუნებაში თავისუფალი ჟანგბადის სისტემატიური კლების მანამდე უცნობი მოვლენა. ფრიად მნიშვნელოვანია გამოკვლევები მელიორაციის, ქარშოშინის, გვალვის და წაყინვების თეორიისა და მათთან ბრძოლის მეთოდების საკითხებზე. დიდ ყურადღებას აქცევდა ბუნებრივი პირობების და მოვლენების კარტოგრაფიულ შესწავლას. იგი იყო სსრკ კლიმატური ატლასის მთავარი რედაქტორი. დიდი წვლილი დასდო „საქართველოს ატლასის" შექმნასა და გამოცემას, ასევე მისი მონაწილეობით და რედაქციით შეიქმნა „კუბის ეროვნული ატლასი". მას ეკუთვნის 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 50-მდე გამოქვეყნებულია საზღვარგარეთ. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1966). მას დიდი წვლილი მიუძღვის კუბის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსებაში. ორჯერ იყო არჩეული საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ვიცე-პრეზიდენტად. მინიჭებული ჰქონდა სსრკ სახელმწიფო პრემია (1973), საქართველოს სახელმწიფო პრემია (1971), ა. ვოეიკოვის სახ. პრემია (1956, 1966), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების დიდი ოქროს მედალი (1976) და სხვ. არჩეული იყო უცხოეთის მრავალი ქვეყნის სამეცნიერო საზოგადოების წევრად. მისი სახელი მიკუთვნებული აქვს ქ. ფოთის I საშუალო სკოლას, და ქუჩებს თბილისსა და ფოთში.

მონოგრ.: Климатические зоны винограда в СССР, Л.-М. 1939; Климатические зоны винограда в СССР, 2-е изд., М., 1948; Исследование климатов винограда в СССР и обоснование их практического использования, М.-Л., 1958; Засуха в СССР и научные обоснование мер борьбы с ними, М., 1958; Климат и сельское хозяйство, Пекин, АН кнр, 1952; Агрометеорология, Пекин, 1960; Климатические ресурсы Кубы и их исползование в народном хозяйстве, Тб., 1966 (соавт.); Проблемы горной климатологии, Тб., 1969 (соавт.); Проблема прогноза испаряемости и оросительных норм, Л., 1970 (соавт.); Атмосфера и биосфера – прошлое, настоящее, будущее, Л., 1975; Проблемы барьбы с градобитием, морозами в субтропиках и некоторыми другими стихийными процесами. Тб., 1982 (соавт.).

ლიტ.: ᲞᲐᲠᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ კ., ჯავახიშვილი შ. გამოჩენილი ქართველი მეცნიერი – „მეცნიერება და ტექნიკა", 1971, №8, გვ. 13-15; უკლება დ. ქართული გეოგრაფიის თავკაცი, გაზ. „თბილისი", 1971, 17.IX, გვ. 3. ჯავახიშვილი შ. დიდი ოქროს მედალი ქართველ მეცნიერს – „მეცნიერება და ტექნიკა", 1977, №4, გვ. 46-49; ქართული ენციკლოპედია, ტ. 3, 1978, გვ. 338; ასლანიკაშვილი ა. აკად. თ. დავითაია – „დროშა", 1981 №10, გვ. 13; კვერენჩხილაძე რ. გამოჩენილი მეცნიერი და ორგანიზატორი – „მეცნიერება და ტექნიკა", 1981, №10, გვ. 23-25; თ. დავითაია, ბიობიბლიოგრაფია, თბ.,

1984; კვერენჩხილაძე რ., გაგუა გ. აკად. თ. დავითაია, თბ., 1984; მედვედეევი ი. აკად. თ. დავითაია, თბ., 1987; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. ხსოვნა მადლიერების ნიშანი გაზ. „თბილისი", 1987, 11.II. გვ. 5; ხარაძე კ. მეცნიერის სახლ-მუზეუმი. – გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1987, 1.X, გვ. 3; ხარაძე კ. ეკოლოგიური კრიზისის აცილება შეიძლება, „საქართველოს ბუნება". 1981, №6; Кулик М.С. Юбилей Ф.Ф. Давитая. Изв. ВГО, 1962, Т. 94, вып. 1, с. 178-179; Краткая географическая энциклопедия, М., 1966, с. 445; Шестидесятилетие Ф.Ф. Давитая, Изв. АН. СССР. серия геогр., 1971, №6. с. 139-140; Большая Советская Энциклопедия, М., Изд. 3-е, М., т. VII 1972, с. 482.

ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ᲫᲔ – DAVITASHVILI ZURAB (24.VII.1953, ქ. თელავი), პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი. 1976 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით, 1978 კი საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიის სპეციალობით. 1975-76 სტაჟირებას გადიოდა რაბატის (მაროკო) უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. 1976-79 სწავლობდა თსუ ასპირანტურაში სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1979-დან მუშაობს თსუ სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად. 1993-დან ახლად შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრაზეა, 1996-დან ამავე კათედრის გამგეა. 1987-დან პარალელურად მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. იყო ხალხთა მეგობრობის მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო მუზეუმის ეროვნული ურთიერთობების კვლევის ცენტრად რეორგანიზაციის შემდეგ დაინიშნა აღნიშნული ცენტრის ეთნოსოციოლოგიის განყოფილების გამგედ. 2000-დან პოლიტოლოგიის ინსტიტუტის ჩამოყალიბების შემდეგ გეოპოლიტიკის განყოფილების გამგეა. შეთავსებით მუშაობდა აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის კვლევითი სამსახურის მრჩევლად (1992-95), საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის პრეზიდენტის აპარატის საგარეო პოლიტიკის ანალიზის განყოფილების კონსულტანტად (1996-99). 1996 სამეცნიერო სტაჟირებას გადიოდა ქ. ვაშინგტონში (აშშ) ჯონს ჰოპკინის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების სკოლაში, ხოლო 1999-2000, როგორც ფულბრაიტის სტიპენდიატი, ტაფტის უნივერსიტეტის ფლეტჩერის სამართლისა და დიპლომატიის სკოლაში და ჰარვარდის უნივერსიტეტის კენედის სახ. სამთავრობო სკოლაში. 1982 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მაროკოს ურბანიზაციისა და ქალაქების განვითარების ძირითადი საკითხები" და მიენიჭა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 2003 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ნაციონალიზმი და საერთაშორისო

პოლიტიკა: ტრანსფორმაცია-გლობალიზაციის ერაში". გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია (IX კლასის სახელმძღვ.), თბ., 1997 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვ. აბიტურიენტებისათვის), თბ., 1998 (თანაავტ.); მსოფლიოს ისტორიული და პოლიტიკური გეოგრაფია (სახელმძღვ. სტუდენტებისათვის), თბ., 2001; გეოგრაფია უმაღლეს სასწავლებელში შემსელელთათვის, თბ., 2002 (თანაავტ.); ნაციონალიზმი და გლობალიზაცია (სახელმძღვ. მაგისტრანტებისათვის), თბ., 2003; თანამედროვე საერთაშორისო სამართალი (ლექსიკონ-ცნობარი), თბ., 2003 (თანაავტ.).

ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲫᲔ ᲖᲐᲖᲐ ᲐᲚᲘᲡ ᲫᲔ – DAVITADZE ZAZA (1.I.1973, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2000). 1994 წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოგრაფია-ისტორიის სპეციალობით. 1995-98 მიზნობრივი ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1996-დან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრაზე მასწავლებლად, შემდეგ უფროს მასწავლებლად, დოცენტად. 1999 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „გარდამავალ პერიოდში აჭარის მოსახლეობაში მიმდინარე სივრცობრივი ძვრები". გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის რამდენიმე ბროშურა. კვლევის ძირითად სფეროს წარმოადგენს გეოპოლიტიკა-გეოსტრატეგია, გლობალიზაცია-რეგიონალიზაცია, ეთნიკური და რეგიონალური კონფლიქტები, ეკონომიკური განვითარება და დემოგრაფიული საკითხები, ტურიზმი და სხვ. იგი კურირებს, აგრეთვე გენდერის კონფლიქტების და მშვიდობის მშენებლობის პრობლემების კვლევას რეგიონში და აწარმოებს სოციალურ კვლევებს მოსახლეობის სხვადასხვა პრობლემებზე. მუშაობს პროექტზე გლობალიზაცია და რეგიონალიზაცია – კავკასიის ახალი დილემა. არის საერთაშორისო ორგანიზაცია CEP(civic education project)-ის წევრი.

მონოგრ.: ორმხრივი სარკის ნაციონალიზმი – აჭარის მაგალითზე, თბ., 2000; კავკასიის ეთნოკონფლიქტები და გეოპოლიტიკა, ბათუმი, 2000; აჭარის ეკონომიკური განვითარების პრობლემები გარდამავალ პერიოდში, ბათუმი, 2000.

ᲓᲐᲕᲘᲗᲣᲚᲘᲐᲜᲘ ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – DAVITULIANI TSITSINO (4.IV.1966, დ. ჯვარი, წალენჯიხის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2002). 1989 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვარციხეჰესების საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1993-დან მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრაზე. 1999 დაიცვა

საკანდიდატო დისერტაცია – „ქვემო იმერეთის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია", რომელშიც განხილულია ქვემო იმერეთის ბუნების ცალკეულ კომპონენტებზე ანთროპოგენური ზემოქმედების ფორმები და ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი. ამჟამად მუშაობს იმერეთის კულტურული ლანდშაფტების ცვლილებათა დინამიკაზე (1990-2000).

ᲓᲐᲜᲘᲑᲔᲒᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲐᲤᲘᲔᲚ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲫᲔ – DANIBEGASHVILI RAPHAEL დიპლომატი და მოგზაური. მან წარუშლელი და განსაკუთრებული კვალი დატოვა მოგზაურობის ისტორიაში. XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში, 28 წლის განმავლობაში ხუთჯერ იმოგზაურა აზიის ქვეყნებში; გაიარა დაახლოებით 70 ათასი კილომეტრი (თითქმის ორი ეკვატორის გარშემოწერილობა), რომელიც გეოგრაფიულად მოიცავს წინა, სამხრეთ და ცენტრალური აზიის ვეებერთელა სივრცეს. იგი ქართველი მოგზაურია, რომელმაც აღწერა ინდოეთი და ბირმა, გადაკვეთა ყარა-ყორუმის მაღალი მუდმივთოვლიანი მთაგრეხილი, მოინახულა რამდენიმე სახელმწიფო და იმოგზაურა ფათერაკებით აღსავსე ოკეანეში. მის მოგზაურობას ხშირად ათანასე ნიკიტინის მოგზაურობასაც ადარებენ. რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის სვლაგეზი და ხანგრძლივობა ბევრად აღემატება სხვა დანარჩენი ქართველი მოგზაურების სვლაგეზს. ამიტომ შეყვანილია იგი მსოფლიოს გამოჩენილ მოგზაურთა სიაში. რაფიელის მამა იოსები, ერეკლე მეორის დავალებით რამდენჯერმე ყოფილა ინდოეთში. მოგზაურობისას თან ხლებია რაფიელიც. საერთოდ, დანიბეგაშვილების მთელი საგვარეულო მიეკუთვნებოდა მოგზაურ ვაჭართა იმ ჯგუფს, რომლებიც არა მარტო ვაჭრობას ეწეოდნენ უცხოეთის სახელმწიფოებთან, არამედ დიპლომატიურ დავალებებსაც ასრულებდნენ. პირველი დამოუკიდებელი მოგზაურობა ინდოეთში რაფიელ დანიბეგაშვილს 1795 15 მარტს დაუწყია თბილისიდან. ეს მოგზაურობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 1797 ისევ საქართველოშია. მას პირნათლად შეუსრულებია ერეკლე მეფის დავალება. მეორედ იმავე წლის შემოდგომაზე გამგზავრებულა და 1799 შემოდგომაზე კვლავ თბილისშია. მეორე მოგზაურობაც ძირითადად დიპლომატიურ მისიას ექვემდებარებოდა. პირველი ორი მოგზაურობიდან მხოლოდ საწყისი და ბოლო პუნქტებია ცნობილი. სამაგიეროდ, საკმაოდ ხანგრძლივი ყოფილა და დეტალურად აუწერია მესამე მოგზაურობა. იგი 1799 მიწურულს დაუწყია და 15 წელი გაგრძელებულა. ეს სვლაგეზი დეტალურია. ამ მოგზაურობის დროს ჩასულა მოსკოვში და დაუწერია თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები. რუსეთში ძალზე დაინტერესებულან ამ მოგზაურობით და ცნობილ რუს მეცნიერს, პროფესორ ივან დეიგუბსკის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი სასწრაფოდ დაუბეჭდია უნივერსიტეტის სტამბაში 1815 8 მარტს. დიდხანს უცნობი

იყო რ. დანიბეგაშვილის სხვა მოგზაურობა, მაგრამ XX საუკუნის 60-იან წლებში ორენბურგისა და ომსკის არქივებში აღმოჩენილი საბუთების მიხედვით გაირკვა, რომ მან კიდევ ორჯერ იმოგზაურა მოსკოვიდან ინდოეთში. მეოთხე და მეხუთე მოგზაურობა, ისტორიული საბუთებით, თითქმის მთლიანად არის ცნობილი. თითოეული გამგზავრების მიზანი სხვადასხვა ყოფილა, რაც გამოხატულია, როგორც საკუთარ ინტერესებში (ვაჭრობა), ისე დიპლომატიური პირობებითაც. ჩატარებული ხუთი მოგზაურობიდან რ. დანიბეგაშვილმა ყველაზე ხანგრძლივი სელაგეზი აღწერა; აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მოგზაურობიდან იგი უშუალოდ საქართველოში კი არ დაბრუნებულა, არამედ შუა აზიით ჩასულა მოსკოვში. თუ პირველი ორი მოგზაურობა, ისე როგორც მამის მოგზაურობა, უპირველესად ერეკლე მეფის მიერ ინდოეთში დიპლომატიურ ინტერესებს ექვემდებარებოდა, შემდეგი მოგზაურობებით



იმ დროის რუსეთს უწევდა სამსახურს. ამას კი ეპოქის გარკვეული პირობები უკარნახებდა. რუსეთში ჩასულ რაფიელს დახვდა გამოჩენილი სამხედრო მოღვაწე გლაზენაპი, რომელმაც მოგზაურს ხელი შეუწყო საფოსტო ცხენებით სწრაფად ჩასულიყო მოსკოვში. საერთოდ, რ. დანიბეგაშვილი სამიმოსვლოდ იყენებდა ცხენს, აქლემს, საზღვაო და სამდინარო ხომალდს და ბუნებრივია ფეხითაც უხდებოდა სიარული. მოგზაურობის შთაბეჭდილების ბევრი ადგილი ძალზე მოგვაგონებს სამხედრო-სტრატეგიულ აღწერას, რასაც ცხადია, გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი რუსეთის მმართველი წრეებისათვის. მეოთხე მოგზაურობის დროს მას განსაკუთრებული დავალებაც ჰქონია, რუსეთის მოსაზღვრე მოხეტიალე ტომები რუსეთის ქვეშევრდომი გაეხადა. რაფიელმა ბევრი რამ გააკეთა იმისათვის, რომ საზღვრისპირა ყაზახი ტომები გადმოებირებინა რუსეთისაკენ. ერთგულების ფიცის ტექსტი, ყაზახი მეთაურისაგან დადებული, რაფიელმა თან წაიღო და რუსეთის ხელისუფალთ ჩააბარა, რასაც იმ პერიოდში განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. რაფიელ დანიბეგაშვილი მიეკუთვნება მსოფლიოს ცნობილ მოგზაურთა რიცხვს. მისი მოგზაურობის შთაბეჭდილებები გამოიცა ექვსჯერ (სამჯერ თბილისში და სამჯერ მოსკოვში), რაც თავისთავად მეტყველებს ქართველი მოგზაურის განსაკუთრებულ დამსახურებაზე გეოგრაფიული მეცნიერების წინაშე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოსკოვში, გამომცემლობა „პროგრესის" მიერ 1969 სამ ენაზე (რუსულ, ჰინდის და ინგლისურ ენებზე) დაბეჭდილი რაფიელ დანიბეგაშვილის მოგზაურობა.

თხზ.: მოგზაურობა ინდოეთში, ს. იორდანიშვილის გამოც., თბ., 1950; თვრამეტი წელი აზიის ქვეყნებში, ლ. მარუაშვილის გამოც. თბ., 1963; ოცდაშვიდი წელი აზიის ქვეყნებში, გ. ზარდალიშვილის გამოც. თბ., 1971; Путешествие в Индию грузинского дворянина Рафаила Данибегашвили, М., 1815; Путешествия Рафаила Данибегашвили, М., 1969.

ლიტ.: მარუაშვილი ლ. ქართველი მოგზაური რაფიელ დანიბეგაშვილი და მისი ცნობები ინდოეთის, ბირმის და ჩინეთის შესახებ, თბ., 1956; ზარდალიშვილი გ. გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. XVII-XIX სს. ქართველი მოგზაურები, თბ., 1987; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

დარჩიაშვილი ნინო ივანეს ასული – DARCHIASHVILI NINO (11.IX.1928, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1950 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1951-დან მოღვაწეობს თბილისის საშუალო სკოლებში გეოგრაფიის მასწავლებლად. სხვადასხვა დროს გეოგრაფიის მასწავლებლად მუშაობდა საშუალო სკოლებში: სართიჭალის, თბილისის მე-7 მუშა-ახალგაზრდობის, 126-ე საშუალო სკოლაში. 1966-დან პარალელუ-

რად მუშაობს ქალაქის მეთოდკაბინეტში გეოგრაფიის მეთოდისტად, ხოლო 1975-დან მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში გეოგრაფიის მეთოდური ლაბორატორიის გამგედ. საშუალო სკოლებში იგი ისმენდა გეოგრაფიის მასწავლებელთა გაკვეთილებს და ეხმარებოდა მეთოდურ დახელოვნებაში და საგნის ცოდნის ამაღლებაში. ამასთან, იგი თარგმნიდა მასალებს და გაკვეთილისა და საწრეო მუშაობის გასამდიდრებლად მხარში ედგა მასწავლებლებს. აქტიურად თანამშრომლობდა და არაერთ მეთოდურ წერილებს აქვეყნებდა ჟურნალ „ისტორია, გეოგრაფია სკოლაში" და გაზეთ „სახალხო განათლებაში". უძღვებოდა, აგრეთვე, ტელეგაკვეთილებს და არჩევდა მასწავლებლებს მასში მონაწილეობის მისაღებად. სისტემატურად მონაწილეობდა გეოგრაფიული საზოგადოების მიერ მოწყობილ გამსვლელ სესიებში (სვანეთი, მესხეთი, კახეთი, ქართლი, აჭარა და სხვ.), სადაც გამოდიოდა საინტერესო მოხსენებით. არის გეოგრაფიული საზოგადოების ბაზაზე მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ნიჭიერ ბავშვთა პროგრამის საფუძველზე საკვირაო სკოლის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი. იგი თარგმნიდა სასკოლო სახელმძღვანელოებს. პირველი ასეთი თარგმანი იყო მაქსიმოვის – V კლასის გეოგრაფიის მეთოდური დამხმარე წიგნი მასწავლებლებისათვის. გარდა ამისა, თარგმნა VI კლასის ფიზიკური გეოგრაფია. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი წერილი და სტატია. არის რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი (1982); დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1978), მედლით „შრომითი მამაცობისათვის" (1981), ღირსების მედლით (2000).

სახელმძღვ.: გაკვეთილები საქართველოს გეოგრაფიაში, თბ., 1986; ბუნების კარი (II კლ. სახელმძღვ.), თბ., 1994; ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია (VI კლ. სახელმძღვ.), თბ., 1995; კონტინენტებისა და ოკეანეების ფიზიკური გეოგრაფია (VII კლ. სახელმძღვ.), თბ., 1997 (თანაავტ.); ბუნებისმცოდნეობა (V კლ. სახელმძღვ.), თბ., 1999 (თანაავტ.); სამუშაო რვეული გეოგრაფიაში (VI-VII კლ.), თბ., 1999 (თანაავტ.).

ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲡᲔᲠᲒᲝᲡ ᲫᲔ – DEVDARIANI GRIGOL (8.X.1908, დაბა ხარაგაული, – 25.III.1991, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1948). 1927 დამთავრა პედაგოგიური ცხრაწლედი და სპეციალური კურსების გავლის შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფ. ხუნევის (ხარაგაულის რ-ნი) სკოლაში ისტორიისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლად. 1930 გადაიყვანეს ხარაგაულის ცხრაწლიან სასწავლებელში. 1930 ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეოლოგიის სპეციალობაზე. 1933 გადაიყვანეს მოსკოვის უნივერსიტეტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე ფიზიკური გეოგრაფიის განხრით. 1936 დაამთავრა აღნიშნული სპეციალობა და

მუშაობა დაიწყო თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1938 დაიწყო ლექციების კურსის კითხვა – ქვეყნის ნაწილების ფიზიკურ გეოგრაფიაში. შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის, ბათუმის, თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1940 გადაიყვანეს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, იყო კათედრის გამგე, დეკანი. 1957-59 მუშაობდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1954-დან თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის დოცენტი იყო. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო კვლევასაც. მისი მეცნიერული ნაშრომები ეხება დასავლეთ საქართველოს გეომორფოლოგიის ცალკეულ დარგებს – კარსტოლოგიას, ტერასებს და სხვ. გამოიკვლია ცენტრალური სამეგრელოს ბორცვიანი ვაკე, გურიის მთისწინეთი და საქართველოს მთათაშორისი ბარის სხვა ნაწილები. 1947 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სამეგრელოს ბორცვიანი ვაკის გეომორფოლოგია". გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ისინი ძირითადად ეხება საქართველოს ცალკეული რეგიონების ბუნებრივ ლანდშაფტებსა და გეომორფოლოგიის საკითხებს. მინიჭებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1982), მიღებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საიუბილეო მედალი.

მონოგრ.: Геоморфология Грузии, Тб., 1971 (соавт.); Физическая география Грузии, Закавказья, Ереван, 1986 (соавт.).

ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – DEVDARIANI MERI (11.XI.1926, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1949 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მხარეთმცოდნეობის სპეციალობით გეოგრაფიის კვალიფიკაციით. მუშაობდა პატარა ცემის (ბორჯომის რ-ნი) სკოლა-სანატორიუმში გეოგრაფიისა და რუსული ენის მასწავლებლად. 1954-დან თბილისის ქალთა მე-3 საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებელია. 1968-დან ამავე სკოლაში დირექტორის მოადგილეა. 1972 გადაყვანილ იქნა თბილისის 72-ე საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში და გეოგრაფიის მასწავლებლად. 1975 მიიწვიეს განათლების სამინისტროში სასკოლო ინსპექტორად, 1989-დან დაინიშნა მთავარ ინსპექტორად, 1991-დან პირველი კატეგორიის სპეციალისტად, ხოლო 1992-დან მთავარ სპეციალისტად. 1996-დან მუშაობს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნულ ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი გეოგრაფიის სწავლების შესახებ. მონაწილეობას იღებდა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების გასვლითი სემინარების, საკავშირო და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სასკოლო სექტორის მუშაობაში, სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სწავლების შინაარსისა და მეთოდიკის ლაბორატორიის მიერ ჩატარებულ სემინარებში. არის ორი

სასწავლო ფილმის „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიისა“ და „საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის“ სცენარის ავტორი. მიღებული აქვს „საქართველოს განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი (1967), „სსრკ განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშანი (1979), დაჯილდოებულია მედლებით — „შრომითი მამაცობისათვის“ და „შრომითი წარჩინებისათვის“. მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1982).

დევიძე ნიკოლოზ გერმანეს ძე — DEVIDZE NIKOLOZ (1896, ქ. კობრინი, ბრესტის ოლქი, — 1975, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. დაამთავრა პეტერბურგის სამედიცინო აკადემია ეკონომისტის დიპლომით. დაბრუნდა თბილისში და მრეწველობის ეკონომიკის მეცნიერულ შესწავლას მიჰყო ხელი. 1953 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საქართველოს ცემენტის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“. 50-60-იან წლებში მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. იკვლევდა სოფლის მეურნეობის განლაგებისა და განკითარების ეკონომიკურ-გეოგრაფიულ პირობებს. ამ საკითხებზე არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა. საქართველოს სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და არასაწარმოო დარგებისადმი მიძღვნილი თავები დაიბეჭდა 1966 მოსკოვში გამოცემულ „ამიერკავკასიის რესპუბლიკების მეურნეობის გეოგრაფიაში“. მისი მონაწილეობით შეიქმნა აგრეთვე რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ ენებზე სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი „საბჭოთა საქართველო“ და „საქართველო“. გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს მრავალი ნაშრომი კრებულებსა და შრომებში, რომლებიც მიძღვნილია საქართველოს ეკონომიკურ და, განსაკუთრებით, აგროგეოგრაფიის საკითხებისადმი.

ძონოგრ.: თბილისი. ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957 (თანაავტ.); Грузия, М., 1967 (соавт.).

დემეტრაშვილი ანა ალექსანდრეს ასული — DEMETRASHVILI ANNA (27.XI.1932, ქ. სოღნაღი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1956 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1956-58 მუშაობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გეოგრაფიის მასწავლებლად, 1958-65 საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს პროგნოზების განყოფილებაში. 1965-68 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1969-დან მუშაობს თსუ-ში. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — გამოქვეყნებული აქვს 38 შრომა, რომლებიც შეეხება საქართველოს ტერიტორიაზე ქარის რეჟიმისა და ატმოსფეროში ჟანგბადის შემცველობის საკითხებს.

ძონოგრ.: ფიონები დასავლეთ საქართველოში, თბ., 1971.

დემეტრაშვილი-კანდელაკი ეკატერინე დავითის ასული – DEMETRASHVILI-KANDELAKI EKATERINE (23.III.1914, ს. ვაქირი, სიღნაღის რ-ნი, – 11.X.1999, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1962). 1930 დაამთავრა სიღნაღის საშუალო სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო სოფ. ბოდბისხევის ოთხწლიან შრომის სკოლაში მასწავლებლად. 1938 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1938-42 გაიარა ასპირანტურის კურსი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1941-60 მუშაობდა თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, 1945-60 კი გორის ნ. ბარათაშვილის სახელმწ. პედაგოგიურ ინსტიტუტში. იქვე, 1959-60 იყო გეოგრაფიის კათედრის გამგე. 1960-დან მუშაობდა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1954 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სიღნაღის რაიონის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება". ნაშრომში მოცემულია ტერიტორიის ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები და შიდა ტერიტორიული დაყოფა. არის 50-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელთაგან 27 გამოქვეყნებულია. მისი სამეცნიერო მუშაობის სფეროს მოიცავს საქართველოს სხვადასხვა მხარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. მათ შორის, სოფლის მეურნეობის გეოგრაფია, ტრანსპორტის გეოგრაფია, მოსახლეობის გეოგრაფია, ეკოლოგიის საკითხები და სხვ. მიღებული აქვს საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება (1975), ივ. ჯავახიშვილის სახელობის საუბილეო მედალი (1976).

დვალაშვილი გიორგი ბუხუტის ძე – DVALASHVILI GIORGI (11.VII.1976, ქ. ჭიათურა), გეომორფოლოგი. 1999 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მაგისტრატურა გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხით. 1999-2002 სწავლობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში გეომორფოლოგია და ევოლუციური გეოგ-რაფიის სპეციალობით. 2003-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში გეომორფოლოგიის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1999-დან მონაწილეობს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების შემსწავლელ სამეცნიერო ექსპედიციებში. 1999-2001 იყო თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა და ასპირანტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე, ხოლო 2001-დან ალ. ჯავახიშვილის სახ. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ახალგაზრდული სექციის ხელმძღვანელი. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: დვალაშვილების გვარის ისტორია (გეოგრაფიულ-ისტორიული ნარკვევი), თბ., 1998; ჭიათურა-საჩხერის რაიონი (გეოგრაფიულ-ეთნოგრაფიული ანალიზი), თბ., 2000.

დვალი დავით ანდრიას ძე – DVALI DAVIT (18.III.1916, ქ. ზესტაფონი), დოცენტი. 1935 წარჩინებით დაამთავრა ქ. ზესტაფონის პედაგოგიური ტექნიკუმი და იმავე წელს ჩაირიცხა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტზე გეოგრაფიის სპეციალობით, რომელიც 1939 დაამთავრა. იქვე დატოვეს სამუშაოდ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად. 1956 არის უფროსი მასწავლებელი და დოცენტი. დღესაც კითხულობს ლექციების კურსს საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში, დედამიწათმცოდნეობაში, მხარეთმცოდეობასა და ტურიზმში. მისი სამეცნიერო კვლევის თემატიკა მოიცავს იმერეთის, რაჭის, ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ბუნებრივ პირობებს, მეტწილად რეკრეაციულ რესურსებს და სპელეოლოგიას. შესრულებული აქვს 50-ზე მეტი საკვლევი თემა, რომელთა ნაწილი დაიბეჭდა სამეცნიერო გამოცემებში. გამოცემული აქვს „ქუთაისის ჰავის" ფერადი ბუკლეტი. წლების განმავლობაში საქმიანობს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ქუთაისის ფილიალში (შექმნიდან, 1951), არის პრეზიდიუმის წევრი, მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის სექციის ხელმძღვანელი, სწავლული მდივანი (1956-დან).

დიასამიძე ისმეთ ხემდის ძე – DIASAMIDZE ISMET (23.V.1932, ს. მირვეთი, ხელვაჩაურის რ-ნი, – 10.VIII.1996, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1948 დაამთავრა აჭარისწყლის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, ხოლო 1953 წარჩინებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი, 1956 ასევე წარჩინებით ოდესის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მეტეოროლოგიური ფაკულტეტის სპეკურსი ინჟინერ-მეტეოროლოგის კვალიფიკაციით. 1962-66 გაიარა საკავშირო ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ასპირანტურა. 1948-49 მუშაობდა ს. ჩიქუნეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად, 1956-დან საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროს საქმთავარჰიდრომეტეოროლოგიის შავი ზღვის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის ცენტრის უფროსად. 1973 მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „შავი ზღვის ნავსადგურების აქვატორიებში გრძელპერიოდიანი ტალღების ზემოქმედების დიაგნოზი და პროგნოზი". გამოქვეყნებული აქვს 71 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება ზღვის ტალღების წარმოშობისა და პროგნოზირების, გრძელპერიოდიანი ტალღების ნავსადგურის აქვატორიებზე და ნავმისადგომებთან გემებზე ზემოქმედების, ზღვის გაჭუჭყიანებისა და ეკოლოგიის პრობლემებს; იყო შავი ზღვის საერთაშორისო პროგრამის შემსრულებელთაგანი ზღვის ეკოლოგიური მონიტორინგის საკითხში. დაჯილდოებული იყო სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის

ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლით, საზოგადოება „ცოდნის“ ოქროს მედლით. არჩეული იყო საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ᲓᲘᲐᲡᲐᲛᲘᲫᲔ ᲜᲝᲜᲐ ᲛᲘᲮᲔᲘᲚᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – DIASAMIDZE NONA (27.IV.1930, თბილისი), უფროსი მასწავლებელი. 1954 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1955-62 მუშაობდა ქ. თბილისის 27-ე და 28-ე საშუალო სკოლებში. 1962-66 თსუ-ში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1964-დან მუშაობს ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. ამჟამად უფროსი მასწავლებელია. შესრულებული აქვს 15-ზე მეტი მეცნიერული და მეთოდური ხასიათის ნაშრომი.

ᲓᲘᲓᲑᲔᲠᲘᲫᲔ ᲔᲕᲒᲔᲜᲘ (ᲐᲜᲓᲠᲘᲘ) ᲘᲚᲘᲐᲡ ᲫᲔ – DIDBERIDZE EVGENI (25.III.1929, ს. სავანე, საჩხერის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1952 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1951-55 გაიარა ასპირანტურის კურსი და მუშაობა დაიწყო ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრაზე. იყო უფროსი მასწავლებელი. გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ასახულია ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სამეურნეო შეფასება, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის განვითარებისა და განლაგების თავისებურებანი.

ᲓᲝᲚᲘᲫᲔ ᲯᲔᲛᲐᲚ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲫᲔ – DOLIDZE JEMAL (29.XI.1939, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1999). 1963 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტეოროლოგის კვალიფიკაციით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ჰიდრომეტსამსახურში, სადაც გაიარა გზა რიგითი ინჟინრიდან ჰიდრომეტეოროლოგიის ეროვნული ცენტრის უფროსამდე. 1999-დან არის თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრის დოცენტი. კითხულობს ლექციების კურსს სინოპტიკურ მეტეოროლოგიაში, სახალხო მეურნეობის ჰიდრომეტეოროლოგიურ უზრუნველყოფაში და კლიმატოგრაფიაში. 1977 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში ფერდობებზე მოსული მზის რადიაციის რეჟიმი“. მასში დეტალურად არის განხილული მზის პირდაპირი და გაბნეული რადიაციის სპექტრის სამ უბანში სხივური ენერგიის განაწილების ცვლილება სხვადასხვა დახრის და ექსპოზიციის ფერდობებზე ჰორიზონტის დახურულობის გათვალისწინებით. გაანგარიშებულია ცის თაღის სიკაშკაშე ატმოსფეროს სხვადასხვა გაჭუჭყიანების, მზის ნებისმიერი სიმაღლისა და აზიმუტის პირობებში. მეცნიერის კვლევის სფეროში შედის ამინდის რიცხვითი პროგნოზების სქემების შემუშავება

და მისი დანერგვა ოპერატიულ-პროგნოსტიკულ მუშაობაში. მის მიერ შემუშავებული და 1966 ოპერატიულ მუშაობაში დანერგილია გეოპოტენციალის პროგნოზის სქემა ატმოსფეროს საშუალო დონეზე, რომელიც საქართველოში იყო პირველი ასეთი სახის პროგნოსტიკული სქემა, რომლის რეალიზაცია მოხდა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის დახმარებით. 2003 ოპერატიულ-პროგნოსტიკულ მუშაობაში დაინერგა მის მიერ თანაავტორობით დამუშავებული გაზაფხულის წყალდიდობის პარამეტრების პროგნოზის სტატისტიკური სქემა მდინარეების თეთრი, შავი და ფშავის არაგვის, იორის, ალაზნის, ქციასა და მაშავერასათვის. შრომების ნაწილი წყალსაცავების კლიმატის ცვლილებებზე შესაძლო გავლენას ეძღვნება. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. გარდა ამისა პოპულარულ წერილებს აქვეყნებს რესპუბლიკურ პრესაში, აქვს გამოსვლები რადიოთი და ტელევიზიით.

ᲓᲝᲜᲐᲫᲔ ᲪᲔᲪᲘᲚᲘᲐ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – DONADZE CECILIA (30.III.1954, ს. წესი, ამბროლაურის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2003). 1981 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. სტუდენტობის დროიდან (1979) მუშაობს გეომორფოლოგიის კათედრაზე ლაბორანტის, შემდეგ მასწავლებლის თანამდებობაზე. ამჟამად არის კათედრის დოცენტი. 2003 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მეწყრული მოვლენების განვითარების კანონზომიერებანი და მათი შესწავლის სამეურნეო მნიშვნელობა". გამოქვეყნებული აქვს 16 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ძირითადი ნაწილი ეხება თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების კვლევას. მონაწილეობა მიიღო „გეომორფოლოგიური ლექსიკონის" შედგენაში (1996).

ᲓᲝᲜᲓᲣᲐ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ – DONDUA GURAM (17.III.1922, თბილისი, – 10.III. 1986, იქვე), გეოგრაფი. 1939 ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1940-46 იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ განაგრძო სწავლა თსუ-ში და 1950 წარჩინებით დაამთავრა. 1950-53 გაიარა ასპირანტურის კურსი გეომორფოლოგიის კათედრაზე. მუშაობა დაიწყო ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში სწავლული მდივნის თანამდებობაზე. 1975 სამუშაოდ გადავიდა ქართულ ენციკლოპედიაში, ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის გამგედ. იგი იყო ფართო პროფილის გეოგრაფი, იკვლევდა საქართველოს სხვადასხვა რაიონის გეომორფოლოგიას. არის დაწყებითი სკოლის გეოგრაფიის სახელმძღვანელოს თანაავტორი. იგი რამდენჯერმე გადაამუშავა ახალი სასწავლო გეგმების შესაბამისად. ამავე კურსისათვის შეადგინა სასწავლო პროგრამა, სასწავლო გეოგრაფიული რუკები და სხვ. მისი მეთოდური წერილები ქვეყნდებოდა

რესპუბლიკის პედაგოგიურ პერიოდულ გამოცემებში და პრესაში. მისი რედაქციით გამოიცა რამდენიმე წიგნი. იყო საკავშირო ჟურნალ „გეოგრაფია სკოლაში" სარედაქციო კოლეგიის წევრი. დიდი ამაგი დასდო ქართული ენციკლოპედიის გამოცემას. გარკვეული მუშაობა გასწია სხვადასხვა სახის გეოგრაფიულ ლექსიკონებისა და ენციკლოპედია „თბილისის" სტატიების მომზადებისას.

სახელმძღვ.: ბუნებისმცოდნეობა, თბ., 1957-1972 (თანაავტ.); წყარო (ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელო), თბ., 1973-89 (თანაავტ.); საქართველოს ფიზიკური რუკა დაწყებითი სკოლისათვის (ქართულ და რუსულ ენებზე), თბილისი-მოსკოვი, 1965, 1969.

დონდუა დავით გურამის ძე – DONDUA DAVIT (12.VII.1959, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი. 1981 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1981-92 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებაში. პროფ. ვ. ჯაოშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა ისტორიულ გეოგრაფიაში. 1988 პარალელურად მუშაობდა თბილისის მე-6 გიმნაზიაში ბუნებისმცოდნეობისა და გეოგრაფიის მასწავლებლად, 1990-92 ამავე გიმნაზიის დირექტორის მოადგილეა. 1993-დან მუშაობს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1993-96 იყო საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ნატოს განყოფილების პირველი მდივანი, განყოფილების უფროსის მოადგილე, განყოფილების უფროსი. 1996-98 სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელია, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტროში მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა. 1994-96 იყო რუსეთის ფედერაციასთან მოლაპარაკებაზე საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის სამხედრო ექსპერტთა ჯგუფის წევრი. 1994-98 საქართველოს ნატოსთან თანამშრომლობის უწყებათშორისი საკოორდინაციო კომისიის აღმასრულებელი მდივანია. 1998-2000 მუშაობდა აშშ-ში საქართველოს საელჩოში საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანის თანამდებობაზე. 2000-დან არის საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (ნატო). გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 კოლექტიური მონოგრაფიის ავტორი. არის დაწყებითი და საშუალო სკოლების II-V კლასების ბუნებისმცოდნეობის სახელმძღვანელოების თანაავტორი.

დონდუა დავით დარისპანის ძე – DONDUA DAVIT (2.X.1898, ქუთაისი, – 1.V. 1958, თბილისი), გეოგრაფი. მოღვაწეობდა ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში. 1921 გადმოვიდა თბილისში. გეოგრაფიას ასწავლიდა ქუთაისსა და თბილისის სკოლებში. მუშაობდა აგრეთვე პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, გეოგრაფიის კაბინეტის

გამგედ. კითხულობდა გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის კურსს თსუ, თელავისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. ავტორია მრავალი შრომისა. გამოქვეყნებული აქვს დაწყებითი კურსის პროგრამები გეოგრაფიაში, მეთოდური წერილები, მეცნიერული შრომები. ჯერ კიდევ 1919 შეადგინა ბიოლოგიის სახელმძღვანელო, 1920 ბუნებისმეტყველების დაწყებითი კურსი – „ჰაერი, წყალი და დედამიწა", 1920 ბოტანიკა II კლასისათვის. შემდეგში შექმნა რიგი სახელმძღვანელოები. „საქართველოს დედაქალაქი", „ჩვენი მხარე ქართული", „წყარო" და სხვ. აღსანიშნავია მისი სამეცნიერო ნაშრომები ვახუშტი ბაგრატიონზე და სულხან-საბა ორბელიანზე. მისი შედგენილი სახელმძღვანელო – „სამხედრო გეოგრაფია" ისწავლებოდა უმაღლეს სასწავლებლებში. 1926-დან ქართული სკოლების დაწყებით კლასებში მისი სახელმძღვანელო („წყარო") ისწავლებოდა გეოგრაფია და ბუნებისმეტყველება. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე (1940-54). მინიჭებული ჰქონდა საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1945). დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით.

სახელმძღვ.: საქართველოს დედაქალაქი თბილისი, ტფ., 1923; ჩვენი მხარე ქართული, ტფ., 1925; წყარო (სასკოლო სახელმძღვანელო), ტფ., 1925 (მრავალჯერ დაბეჭდილი); გეოგრაფიული რუკა და გლობუსი სკოლაში, ტფ., 1938; სამხედრო გეოგრაფია. მისი არსი და თემატიკა, თბ., 1942; როგორ ავგეგმოთ გარემო, თბ., 1943; როგორ გავეგნოთ გარემოში, თბ., 1943; სასკოლო გეოგრაფიული კაბინეტი, თბ., 1949;

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, 1977, გვ. 30-31; ქართული ენციკლოპედია, ტ. 3, 1978; გარსევანიშვილი ელ. დ. დონდუა, თბ., 1978; კვერენჩხილაძე რ., გარსევანიშვილი ელ. სასკოლო გეოგრაფიის დიდი მოამაგე. – საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრ. ტ. XIII, თბ., 1975, გვ. 214-227; დავით დონდუა, ბიობიბლიოგრაფია, შემდგენელი ც. ციხაძე, თბ., 1978; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987 თბ., 1986.

დორეული ნინო ვალერიანის ასული – DOREULI NINO (13.XI.1935, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1959 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1961-64 ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, რომლის შემდეგ მუშაობა დაიწყო ამავე ინსტიტუტში. ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის გეოგრაფია და შრომითი რესურსების გამოყენების საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება მოსახლეობის გეოგრაფიის და მომსახურე სფეროს დარგების განვითარების საკითხებს.

ასევე, საქართველოს შიდა და საგარეო ვაჭრობის პრობლემებს. მონაწილეობა აქვს მიღებული 13-მდე კოლექტიურ მონოგრაფიაში.

მონოგრ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბ., 1989 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

დოხნაძე გამარდი პართენის ძე – DOKHNADZE GAMARDI (1.VI.1941, ს. კაჩაეთი, ამბროლაურის რ-ნი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. საშუალო სკოლის (ოჩამჩირის №1) დამთავრების შემდეგ ერთი წელი მუშაობდა ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროში; 1966 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის კვალიფიკაციით. სტუდენტობის დროს იყო სახელობითი (ლენინური) სტიპენდიატი. 1966-დან მუშაობს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამად წყალთამეურნეობის და საინჟინრო ეკოლოგიის ინსტიტუტი). აქვე, 1967-70 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდგრადი გრძივი პროფილის გამოკვლევა ბმული გრუნტებისაგან შემდგარი წყლის ნაკადის კალაპოტებისათვის". 1976-77 მუშაობდა სირიაში ინჟინერ-ჰიდროლოგად. 1980-88 გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის შესაბამისად მუშაობდა „იუნეპ"-ის მიერ, განვითარებადი ქვეყნების სპეციალისტებისათვის ორგანიზებული. კურსების ლექტორად; კითხულობდა ლექციებს ნოვოჩერკასკსა და მოსკოვში. 1996-დან ხელშეკრულებით მუშაობს საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრში. არის ინიციატორი საქართველოში სამხედრო გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის დაფუძნებისა. ამასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბა შ/ძ-ის გენერალური შტაბის სამხედრო გეოგრაფიული სამეცნიერო კომისია (1997), მოამზადა და გამოაქვეყნა ამ კომისიის სამუშაო კონცეფცია (1998). თსუ-თან ერთად შეადგინა და გამოცა სასწავლო პროგრამა საქართველოს სამხედრო გეოგრაფიაში, რომელიც დამტკიცებულია განათლების სამინისტროს მიერ (2000); თსუ-ში და უშიშროების აკადემიაში კითხულობს ლექციებს სამხედრო გეოგრაფიაში. გამოქვეყნებული აქვს 45-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, ძირითადი მიმართულებით – წყლისმიერი ეროზიული პროცესები, ნაწილი ეძღვნება სამხედრო გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებს.

ელიზბარაშვილი გიორგი საგენტის ძე – ELIZBARASHVILI GIORGI (25.VIII.1947, ს. კოთელია, ახალქალაქის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1991). 1971 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1969 მუშაობა დაიწყო თსუ მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარში ლაბორანტად, 1987-დან მეცნიერ თანამშრომელი იყო,

ხოლო 1991-დან დოცენტის თანამდებობაზეა. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ვერტიკალური სტრუქტურა (კავკასიის ზოგიერთი ლანდშაფტების მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. მათში ასახულია საქართველოს ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების ლანდშაფტების პრობლემები, სამხრეთ საქართველოს ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების პასპორტიზაციისა და დაგეგმარების საკითხები.

სახელმძღ.: გეოგრაფია (უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 1990 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 1990 (თანაავტ.).

ელიზბარაშვილი ელიზბარ შალვას ძე – **ELIZBARASHVILI ELIZBAR** (28.XI.1946, ქ. თელავი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1991), საქ. აგროტექნოლოგიური აკადემიის წევრი (1995). 1969 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. 1970-78 მუშაობდა თსუ გეოფიზიკის კათედრაზე, 1978-89 კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1985-დან თელავის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ კათედრის დოცენტია, შემდეგ პროფესორი და კათედრის გამგე. 1994-დან ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ხოლო 2001-დან კლიმატის მოდელირების ლაბორატორიისა და კლიმატოლოგიის სექტორის გამგეა. 1996-დან თსუ მიიწვიეს აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი კვლევის ლაბორატორიაში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, სადაც სათავეში ჩაუდგა მუდმივმოქმედ სემინარს. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ძირითადი კლიმატური ელემენტების სივრცე-დროითი განაწილების ზოგიერთი თავისებურებანი საქართველოს ტერიტორიაზე". 1990 კი სადოქტორო დისერტაცია – „მთის რელიეფის სითბოსა და ტენის მახასიათებლებზე გავლენის მათემატიკურ-კარტოგრაფიული მოდელირება". ჩატარებული კვლევების საფუძველზე ახსნილია მთის ჰავის ჩამოყალიბების მექანიზმის მრავალი საკითხი, შესწავლილია კლიმატური ველების სტატისტიკური თვისებები, გამოვლენილია საქართველოს კლიმატური რესურსების თავისებურებანი. კვლევის შედეგები დანერგილია კურორტების დაგეგმარებაში, მშენებლობაში, ბავშვთა გამაჯანსაღებელი კომპლექსის „მზიურის" გენერალური გეგმის შედგენაში, დასავლეთ საქართველოს კარსტული კოლექტორების გამოკვლევაში და სხვ. ასევე, კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო კლიმატური რესურსების განაკვეთის მომზადებას ატლასისათვის – „საქართველოს კურორტები და საკურორტო რესურსები" (სახელმწიფო პრემია). ამუშავებს სამეცნიერო პრობლემებს: რელიეფის გავლენა ჰავაზე, კლიმატური ველების სტატისტიკური სტრუქტურა და მათემა-

ტიკური მოდელირება, ჰავის საუკუნეობრივი ცვლილება, საქართველოს კლიმატური რესურსები და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 10-მდე მონოგრაფიაა. მისი კვლევის შედეგები აისახა თსუ-ს მიერ გამოცემულ რიგ სახელმძღვანელოთა და სალექციო კურსებში. მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და დაცულ იქნა 5 საკანდიდატო დისერტაცია.

მონოგრ.: საქართველოს კურორტების კლიმატოგრაფია, თბ., 1980 (თანაავტ.); მეტეოროლოგიური ელემენტები და მათი მათემატიკური დამუშავების მეთოდები, თბ., 1982 (თანაავტ.); რელიეფის გავლენა ატმოსფერულ პროცესებზე, თბ., 1984 (თანაავტ.); გვალვები, უნალექო და ნალექიანი პერიოდები საქართველოში, თბ., 1992 (თანაავტ.); ზოგადი დედამიწისმცოდნეობა, ნაწ. I და II, თბ., 1992 (თანავტ.); საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების ემპირიული მოდელი, თბ., 1999 (თანაავტ.); თბილისის კლიმატის მრავალწლიური ცვლილება და ციკლური რყევადობა, თბ., 2001 (თანაავტ.); ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.); Статистическая структура атмосферных осадков в горных районах, Л., 1978 (соавт.); Режим увлажнения территории Грузии, М., 1994 (соавт.).

ელიზბარაშვილი მარიამ ელიზბარის ასული – ELIZBARASHVILI MARIAM (3.III.1972, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1995 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი ატმოსფეროს ფიზიკის სპეციალობით და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში. 1996 ჩაირიცხა მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. იმავე წელს გაიგზავნა ისრაელში ასპირანტთა კურსებზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად სპეციალობაში „მონაცემთა ბაზების დამუშავება აგრომეტეოროლოგიაში" და მიიღო შესაბამისი სერტიფიკატი. 1999 მიენიჭა პრეზიდენტის სახელობის სტიპენდია. იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ტემპერატურის ველის ემპირიული მოდელის აგება მთიანი ქვეყნების პირობებში" (საქართველოს მაგალითზე). მინიჭებული აქვს საქართველოს გეოფიზიკური საზოგადოების ახალგაზრდა მეცნიერთა პრემია (2003).

მონოგრ.: საქართველოს ტერიტორიის ტემპერატურის ველი, თბ., 1999.

ელიზბარაშვილი ნოდარ კლიმენტის ძე – ELIZBARASHVILI NODAR (28.VII.1959, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1982 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1982-86 თსუ ასპირანტურის კურსი გაიარა. 1986-დან მუშაობს თსუ-ში კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1991-დან დოცენტის თანამდებობაზე. 1998-დან არჩეულია საქართველოს გეოგრაფიის კათედრის გამგედ. 1988 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბუნებრივ-

აგრარული ტერიტორიულ კომპლექსთა მდგომარეობების შესწავლის საკითხები (საქართველოს მაგალითზე)", ხოლო 2003 სადოქტორო დისერტაცია – „მთიანი ტერიტორიების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური დაგეგმარების საფუძვლები". ავტორია 70 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 სახელმძღვანელო და 4 სასწავლო-მეთოდური ნაშრომია. 1977-2003 მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში საქართველოს რიგ რეგიონებსა და ქვეყნის გარეთ (ყაბარდო-ბალყარეთი, კარპატები, პირინი, რილა, ყირიმი, პამირი და სხვ.). 1987-დან ლექციებს კითხულობს კარტოგრაფიისა და ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებისათვის, ასევე სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებისათვის საქართველოს გეოგრაფიაში. არის თბილისის მერიის მასწავლებელთა პრემიების მიმნიჭებელი ჟიურის წევრი (1997), სამეცნიერო-საგანმანათლებლო გაზეთ „გეოგრაფიის" სამეცნიერო რედაქტორი (1999), საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1999), მსოფლიო ბანკის სატყეო სექტორის განვითარების პროექტის ხელმძღვანელი (2001, 2003), კავკასიის რეგიონალური ეკოლოგიური ცენტრის ექსპერტი (2003), ეკოლოგ-მეცნიერთა ასოციაცია „კავკასიის ეკოსახლი" პრეზიდენტი (2003). მონაწილეობდა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენციაში. არის სოროსის ფონდის დოცენტი (1999).

სახელმძღვ.: ლანდშაფტმცოდნეობა (სალექციო კურსი), თბ., 1992 (თანაავტ.); საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია (სასკოლო სახელმძღვ.), თბ., 1996 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, IX კლ. თბ., 1996 (რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, თანაავტ.); საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია (სასკოლო სახელმძღვ.), თბ., 1998 (თანაავტ.); სახალისო გეოგრაფია. საკითხავი წიგნი გეოგრაფიაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთათვის, თბ., 1998 (I გამოცემა, თანაავტ.), თბ., 2003 (II გამოცემა, თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, VIII კლ., თბ., 1999 (რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, თანაავტ.); სამუშაო რვეული – VIII, IX კლ., თბ., 1999, საქართველოს გეოგრაფია (უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვ.), თბ., 2000 (თანაავტ.); გეოგრაფია, ცნობარი, თბ., 2001 (თანაავტ.); მასწავლებლის წიგნი – VIII, IX კლ., თბ., 2002.

ელიოზაშვილი ეთერ პავლეს ასული – ELIOZASHVILI ETHER (26.XI.1928, ქ. მცხეთა), გეოგრაფი. 1955 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1957-59 მუშაობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკაში, პარალელურად დაამთავრა თსუ-თან არსებული საბიბლიოთეკო ერთწლიანი კურსები. 1960-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროს ბიბლიოთეკარად, 1983-დან ბიბლიოთეკის გამგედ. შეადგინა და გამოცა აკად. თეოფანე დავითაიას

ბიობიბლიოგრაფია (1984), ინსტიტუტის თანამშრომელთა ძირითადი შრომების (მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ბროშურები და სხვ.) ბიბლიოგრაფია (2003). გარდა ამისა, შედგენილი აქვს თანამშრომელთა შრომების სრული ბიბლიოგრაფია. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო და საგაზეთო წერილიც. მინიჭებული აქვს კულტურის სამინისტროს ბიბლიოთეკარის საპატიო წოდება (1977).

ერისთავი მზია ალექსანდრეს ასული – ERISTAVI MZIA (20.VII.1906, ქ. ქუთაისი, – III.1983, თბილისი), მხარეთმცოდნე. 1929 დაამთავრა თსუ სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტი, მაგრამ სპეციალობას არ გაჰყოლია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ამიერკავკასიის მიწათმოქმედების კომისარიატში ეკონომისტად, გამომცემლობაში – კორექტორის, სტილისტის თანამდებობაზე, ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას, რასაც ექსკურსიამძღოლობასაც უთავსებდა ამიერკავკასიის ტურისტულ-საექსკურსიო სამმართველოში. შრომისმოყვარეობის წყალობით ზედმიწევნით შეისწავლა ქვეყნის ისტორია და გეოგრაფია, რასაც ბავშვობიდან მოგზაურობის დიდი სიყვარული სდევდა. სწორედ ტურისტულ-საექსკურსიო ხაზით 1936 მივლინებულ იყო მოსკოვსა და ლენინგრადში მეთოდისტთა კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ დაიწყო ამ ხაზით მუშაობა. 1938 სამუშაოდ მიიწვიეს კრასნოდარის მხარეში ტურიზმის მეთოდისტისა და ორგანიზატორის თანამდებობაზე. 1940-დან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში, სადაც დაკავებული იყო სამართლის ეთნოგრაფიის შესწავლით. შემდეგ მუშაობას იწყებს ახლად გახსნილ თბილისის პიონერთა სასახლეში. მისი თაოსნობით სასახლეში გაიხსნა ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი, რომლის გამგედ იგი იქნა დანიშნული. თბილისელი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტი იქცა მშობლიური მხარის შესწავლის კერად. აქ ჰარმონიულად ერწყმოდა ერთმანეთს სპორტი და მხარეთმცოდნეობა. მისი ხელმძღვანელობით ქვეითად შემოიარეს ქართლი, კახეთი, ფშავი, თუშეთი, რაჭა, იმერეთი, სამცხე, ჯავახეთი, სვანეთი, სამეგრელო, გურია, აფხაზეთი. მარშრუტები მოიცავდა გეოგრაფიული და მხარეთმცოდნეობითი თვალსაზრისით საკვანძო ობიექტებს. პიონერთა სასახლეში მოგზაურობის შემდეგ იმართებოდა საანგარიშო საღამოები, სამარშრუტო რუკების, საველე გაზეთების გამოფენით და სხვ. 1952-დან ეს ტრადიცია მთელ საქართველოში გავრცელდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ენთუზიასტების ჩაბმით შეიქმნა მოსწავლეთა მთელი არმია, რომლის წევრები შეისწავლიდნენ მშობლიურ მხარეს. მ. ერისთავმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ბავშვთა მასობრივ ტურიზმს საქართველოში. მისი დაბადების 90 წლისთავი აღინიშნა პიონერთა სასახლეში, ხოლო მოსწავლე

ახალგაზრდობის ტურიზმის რესპუბლიკურ ცენტრს მზია ერისთავის სახელი მიენიჭა. დაჯილდოებულია „შრომის წითელი დროშის“ ორდენით და „საპატიო ნიშნის“ 2 ორდენით, ასევე მედლებით, სიგელებით და „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით. მინიჭებული ჰქონდა ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის წოდება.

ერისთავი რაფიელ დავითის ძე – ERISTAVI RAPHIEL (9.IV.1824, ს. ქვემო ჭალა, კასპის რ-ნი, – 19.II.1901, თელავი), მწერალი, ეთნოგრაფი, საზოგადო მოღვაწე. სწავლობდა თელავის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ შუამთის მონასტერში, ფილადელფოს კიკნაძის ხელმძღვანელობით. 1844 დაასრულა თბილისის გიმნაზია. მუშაობდა თუშ-ფშავ-ხევსურეთის სამმართველოში თარჯიმნად, თბილისში მეფისნაცვლის კანცელარიაში, ქუთაისში განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროსის მოხელედ; 1857-67 ზუგდიდის მაზრის უფროსის მოხელედ; 1857-67 ზუგდიდის მაზრის უფროსი იყო, 1867-70 ქუთაისის გუბერნიის სამმართველოს განყოფილების უფროსი, 1889-96 კავკასიის საცენზურო კომიტეტის ცენზორი. მისი მწერლური ნაწარმოებების გარდა ჰქონდა 20-მდე საინტერესო შრომა, რომელთა უმრავლესობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შინაარსისაა, მაგრამ ისინი შეიცავენ ძვირფას გეოგრაფიული ხასიათის მასალებს. შესაძლოა მისი პოეზიის საყოველთაო-სახალხო პოპულარობამ საქართველოში ერთგვარად დაჩრდილა კიდეც მისი საინტერესო მეცნიერული დაკვირვების შემცველი ნაწერები. მის თხზულებებში მოცემულია მთლიანად საქართველოსა და მისი ცალკეული ისტორიულ-ეთნოგრაფიული პროვინციების ბუნების, მეურნეობა-მოსახლეობისა და წეს-ჩვეულებების დახასიათება. კვლევის ცენტრში მოქცეული იყო კახეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი, იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, ლეჩხუმი, გურია და სხვ. იგი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების აქტიური წევრი იყო (1856-დან). ამ საზოგადოების შრომებში სისტემატურად აქვეყნებდა საინტერესო ნაშრომებს. გეოგრაფიული ხასიათის შრომებიდან აღსანიშნავია „კავკაზში“ (1854) დაბეჭდილი „თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოკრუგი“, „რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები“ (1855). მხარეების დახასიათების დროს იგი ძირითადად ეყრდნობოდა პირად დაკვირვებებს და ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემებს. ასევე, საყურადღებოა „წერილი იმერეთიდან“ („კავკაზი“, 1857), „სამეგრელოს შესახებ“ („კავკასკაია სტარინა“, 1873), „შენიშვნები სვანეთის შესახებ“ (რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ჩანაწერები (წ. XIX, 1898), „ვახუშტის კარტა ანუ რუკა ყაზანის უნივერსი-

ტეტიდან ჩამოტანილი" („დროება", 1880). ბევრი შრომაც დაუსტამბავი დარჩა. „ამიერკავკასიის გეოგრაფიული ლექსიკონის" რედაქციაში აღმოჩნდა ხელნაწერი რ. ერისთავის ხელმოწერით — „კავკასიის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელწოდებების ეტიმოლოგია", რომელიც ა. ლაისტერს ლ. მარუაშვილისათვის გადაუცია, ხოლო ამ უკანასკნელს აკ. შანიძისათვის. ჩამოთვლილი და სხვ. ნაშრომებით მან არსებითი სამსახური გაუწია XIX ს-ში საქართველოში გეოგრაფიულ მეცნიერებას, ამიტომ რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულმა საზოადოებამ იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა.

თხზ.: ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული წერილები, თბ., 1986.

ლიტ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 194; კვერენჩხილაძე რ. რაფიელ ერისთავის გეოგრაფიული შრომები, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XVII, თბ., 1988, გვ. 190-192.

ერქომაიშვილი ომარ ნიკოლოზის ძე – ERKOMAISHVILI OMAR (12.XI.1941, თბილისი, – 16.XII.1984, იქვე), გეოგრაფი, მთამსვლელი. 1964 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც სიცოცხლის ბოლო დღეებამდე მოღვაწეობდა. პირველი ათწლეული სამხედრო ალპინიზმის განვითარებისათვის საქმიანობდა. იგი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მთამსვლელი გუნდის ცენტრალური ფიგურა იყო. მან 1965-70 სსრკ შეიარაღებული ძალების პირველობაზე სპორტული ასვლების სხვადასხვა კლასში ხუთჯერ მოიპოვა ჩემპიონობა. დალაშქრული აქვს უშბა, შხელდა, შხარა, ჩატინი, კავკასიონისა და პამირის მრავალი რთული მწვერვალი. იგი იყო საუკეთესო წარმომადგენელი სპორტსმენთა იმ თაობისა, რომელმაც მიხეილ ხერგიანის მხარდამხარ ხელი შეუწყო საქართველოში კლდეზე ცოცვის შემდგომ განვითარებას. ო. ერქომაიშვილი, როგორც ინსტრუქტორი, სისტემატურად მონაწილეობდა მასობრივი ასვლების ორგანიზაციაში და ბევრი ახალბედა აზიარა მთამსვლელობას, ასწავლა მთის სიყვარული, ერთგულება და თავდადება. მდიდარი მთამსვლელური გამოცდილება და ოსტატობა მან მეცნიერებაშიც შემოიტანა — მყინვარებისა და მიწისქვეშა სამყაროს შესწავლას მოახმარა. მის სახელთან არის დაკავშირებული მრავალი ურთულესი სიღრმითი ჩასვლა კარსტულ მღვიმეებსა და უფსკრულებში, დიდი ღვაწლი დასდო ახალი ათონის მღვიმური სისტემის გამოკვლევისა და ათვისების საქმეს. დიდია მისი წვლილი ქართული გლაციოლოგიის განვითარებაშიც. აქტიურად მონაწილეობდა და ძოთავეობდა სამეცნიერო-ექსპედიციებს კავკასიონის მყინვარებზე. სწორედ ზემოაღნიშნულ საკითხებს ეხებოდა მისი ნაშრომები.

ეცეტაძე იამზე ირეოდიონის ასული – **ETSETADZE IAMZE** (8.VI.1949, თბილისი), პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1976 დაამთავრა თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1976-79 მუშაობდა 95-ე პროფტექნიკურ სასწავლებელში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1979-83 გაიარა იმავე ინსტიტუტის ასპირანტურა. პარალელურად იყო ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის მასწავლებელი საათობრივი ანაზღაურებით. 1983-დან მუშაობს ი. ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. ამავე დროს სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში. 1989-დან ამავე უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის მასწავლებელია, ხოლო შემდეგ დოცენტი. მუშაობდა აგრეთვე საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. წლების მანძილზე იგი ხელმძღვანელობდა სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელთა მეთოდგაერთიანებას, კითხულობდა ლექციების ციკლს ქალაქისა და ცენტრალურ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. 1989 მოსკოვის მეთოდებისა და შინაარსების ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „განმეორება როგორც მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების ერთ-ერთი ფაქტორი ფიზიკური გეოგრაფიის კურსში“. გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი. დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით (1984), I ხარისხის დიპლომით „წლის საუკეთესო მასწავლებელი“ (1987), მიენიჭა „მეთოდისტ-მასწავლებლის“ წოდება (1988).

ვაშაკიძე ცარო მიხეილის ასული – **VASHAKIDZE TSARO** (1.I.1940, კურორტი აბასთუმანი, ადიგენის რ-ნი), კარტოგრაფი. 1964 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კარტოგრაფიის სპეციალობით. 1965-66 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიულ განყოფილებაში კარტოგრაფად. 1966 გადაყვანილ იქნა ახლად დაარსებულ ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციაში კარტოგრაფიის რედაქციის უფროს სამეცნიერო რედაქტორად, 1974-დან ჯგუფის უფროსად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ქართული ენციკლოპედიის ყველა ტომში დაიბეჭდა 700-მდე რუკა, მათ შორის, მისი ავტორობით 12 რუკა. ენციკლოპედია „საქართველო“-ში (1997) მისი მონაწილეობით 37 რუკა დაიბეჭდა, ხოლო ენციკლოპედია „თბილისში“ 20 რუკა. 1994-დან პარალელურად მუშაობს საქართველოს გეოდეზიისა და კარტოგრაფიის სახელმწიფო დეპარტამენტის კარტოგრაფიის სამმართველოში მთავარ სპეციალისტად, შემდეგ უფროსის მოადგილედ

და 2001-დან სამმართველოს უფროსად. დაჯილდოებულია ბეჭედითი სიტყვის კომიტეტის საპატიო სიგელით (1987).

ვაჩნაძე ჯემალ ირაკლის ძე – VACHNADZE JEMAL (9.V.1939, თბილისი), ფიზიკა-მათემტიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1962 დამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1963-65 სამეცნიერო სტაჟირებით მივლინებულ იქნა მოსკოვის ჰიდრომეტეოროლოგიის ცენტრში. იქვე, 1967-70 გაიარა დასწრებული ასპირანტურის კურსი. კვლავ გააგრძელა მუშაობა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, 1972-დან უფროს მეცნიერ თანამშრომლად, 1976-80 ინსტიტუტის სწავლულ მდივნად, ხოლო 1989-დან კლიმატოლოგიის ლაბორატორიის გამგეა. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საშუალო თვიური ტემპერატურის ანომალიის პროგნოზის მეთოდიკა ამიერკავკასიისათვის". მიღებული აქვს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდება (1979). გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი მეტეოროლოგიური ელემენტების პროგნოზის, კლიმატის ცვლილების, ამინდის საშიში მოვლენების (წაყინვა, გვალვა, ნისლი), წყალსაცავების გარემოს მიკროკლიმატზე გავლენის და სხვ. საკითხებზე. დაჯილდოებულია უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1983).

მონოგრ.: სამეგრელო: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა, თბილისი-ზუგდიდი, 1999 (თანაავტ.); საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ემპირიული მოდელი, თბ., 1999; Климат Тбилиси, С-П., 1992 (соавт.).

ვლადიმიროვი ლევ ალექსანდრეს ძე – VLADIMIROVI LEV (23.XII.1903, ქ. ალექსანდროპოლი, ახლანდელი გიუმრი, სომხეთი, – 11.I.1989, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1966). 1935 დაამთავრა ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით. სწავლამდე და სწავლის პერიოდში მუშაობდა სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველოში ჰიდროლოგად. 1933-დან სომხეთის სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სისტემაშია. 1935-დან ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში თბილისში, სადაც ხელმძღვანელობდა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს. ამასთან, თანამშრომლობდა თსუ გეოგრაფიის ინსტიტუტში. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალთა შემსწავლელ საბჭოში, სადაც ახორციელებდა საქართველოს კლიმატური და ჰიდროლოგიური ატლასის შედგენის ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას. 1945-დან მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1943 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, 1965 სადოქტორო დისერტაცია. ავტორია 150-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომისა. მან შეიმუშავა და შემდგომ განავითარა მთიანი ქვეყნების წყლის ბალანსის

გამოკვლევის მეთოდები, აგრეთვე თოვლ-ყინულოვანი რესურსების შესწავლის მეთოდები მთიანი მხარეებისათვის. დიდია მისი ღვაწლი ჰიდროლოგიაში ახალი ცნობებისა და მეთოდების შემუშავებაში; მდინარეთა აუზების ვერტიკალური გავრცობა, ჩამონადენის შიგაწლიური განაწილების ოდენობრივი კრიტერიუმი, აუზთაშორისი მიწისქვეშა წყალცვლისა და მისი შესწავლის მეთოდები, მდინარეთა ჩამონადენის ფარდობითი სიმაღლითი გრადაციები, მყინვარული ჩამონადენის გაანგარიშებების კომპლექსური მეთოდი და სხვ. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1971), მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1976).

ძონოგრ.: К истории исследования закономерностей стока в горных областях. Тб., 1960; Гидрологические основы подсчета потенциальных гидроэнергоресурсов. – Природные ресурсы Грузии, Тб., 1962, т. IV; Питание рек и внутригодовое распределение речного стока на территории Грузии, Тб., 1964; Водный баланс Грузии, Тб., 1974 (соавт.).

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 36-37; აფხაზავა ი. ლ. ვლადიმიროვი (დაბადებიდან 70 წლისთავის გამო), – ჟურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1974, №7, გვ. 43-44; ქართული ენციკლოპედია, ტ. 4, 1979, გვ. 437; სვანიძე გ., კიკნაძე თ. საქართველოს ბუნების დაუღალავი მკვლევარი, გაზ. „კომუნისტი“, 1983, 23.XII.

ზაზანაშვილი ნუგზარ ირაკლის ძე – ZAZANASHVILI NUGZAR (11.III.1957, თბილისი), ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1980 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. სტუდენტობის წლებშივე სამუშაოდ მიწვეულ იქნა ბოტანიკის ინსტიტუტში. 1986 დაინიშნა ინსტიტუტის ახლად შექმნილი მცენარეული რესურსების კარტოგრაფირების ლაბორატორიის გამგედ. 1992-დან მჭიდროდ თანამშრომლობს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდთან (WWF), სადაც ამჟამად კავკასიის წარმომადგენლობის (ოფისის) დირექტორის მოადგილეა – კონსერვაციის პროგრამის დირექტორია. კოორდინაციას უწევს WWF-ის სამუშაოებს კავკასიის ეკორეგიონის ფარგლებში. ბოტანიკის ინსტიტუტსა და WWF-ში ხელმძღვანელობდა რიგ პროექტებს – ყიზლარის ზამთრის საძოვრების გეობოტანიკური შესწავლა (1987-88), საქართველოს მცენარეულობის რუკის შედგენა კოსმოსური ფოტოინფორმაციის გამოყენებით (1989-2001), კავკასიის ბიომრავალფეროვნების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და გადაუდებელი ღონისძიებების შემუშავება ბიომრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების მიზნით (1998-2000) და სხვ. მონაწილეობდა აღმოსავლეთ ევროპის (1983-89) და ევროპის (1992-2000) მცენარეულობის რუკების შედგენაში. 1986 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კავკასიის მაღალმთის მსხვილმასშტაბიანი

ეკოლოგიურ-გეობოტანიკური კარტოგრაფირება". გამოქვეყნებული აქვს 35 სამეცნიერო ნაშრომი, აგრეთვე სამეცნიერო-პოპულარული წერილები ჟურნალ-გაზეთებში. არის მცენარეულობის შემსწავლელი საერთაშორისო ასოციაციის წევრი.

მონოგრ.: საქართველოს დაცული ტერიტორიების აწმყო და მომავალი, თბ., 1997; ეროზირებული მიწების აღდგენა ყაზბეგის რაიონში, თბ., 1997; ეკოლოგიის კარიბჭე, თბ., 1997; Biodiversity of the Caucasus Ecoregion: An Analysis of Biodiversity, Gurrent Threats and Initial Investment Portfolio. Moscow, 2001 (co-author).

ზარდალიშვილი გრიგოლ ივანეს ძე – ZARDALISHVILI GRIGOL (1.VIII.1914, ქ. ქუთაისი, – 28.VIII.1979, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1940 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და სწავლა განაგრძო ასპირანტურაში, რომელიც ომის შემდეგ დაამთავრა. მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1946 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიანი თუშეთი", 1964 კი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს ეკონომიური დარაიონება". ეს შრომა შემდეგში საფუძვლად დაედო დამხმარე სახელმძღვანელოს საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლებისათვის. გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიისა და რესპუბლიკაში გეოგრაფიული მეცნიერების განვითარების საკითხებს. შრომების ნაწილი ეხება გეოგრაფიულ სახელწოდებათა კვლევას. მან მოგვცა სსრკ და საქართველოს დასახლებულ პუნქტთა ბევრი სახელწოდების ახსნა. აღსანიშნავია თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმიისა და სხვ. ნაშრომები. ავტორთა კოლექტივთან ერთად შექმნა დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტებისათვის საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში. გარკვეული კვლევა ჩაატარა ქართველი მოგზაურის რ. დანიბეგაშვილის მოგზაურობის შესახებ და სხვ. განსაკუთრებით დიდ მუშაობას ეწეოდა გეოგრაფიული მეცნიერების პოპულარიზაციის საქმეში. მის მიერ გამოქვეყნებული წერილები რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში დიდი ინტერესით იკითხებოდა. იგი სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად დიდ დროს პედაგოგიურ საქმიანობას უთმობდა. 1960-მდე მუშაობდა თსუ-ში, ხოლო შემდეგ სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს სსრკ ეკონომიკურ გეოგრაფიაში, საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში, გეოგრაფიის ისტორიაში, ეკონომიკური გეოგრაფიის შესავალსა და სხვ. იყო გეოგრაფიის კათედრის გამგე, წლების განმავლობაში რედაქტორობდა ჟურნალ „ისტორია, გეოგრაფია სკოლაში".

მონოგრ.: გამოჩენილი ქართველი მოგზაურები და გეოგრაფები, თბ.,

1958, 1966; სსრ კავშირის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი, თბ., 1961; გეოგრაფიული სახელწოდებათა ახსნა-განმარტება, თბ., 1965 (თანაავტ.); საქართველოს ეკონომიური დარაიონება, თბ., 1971; 27 წელი აზიის ქვეყნებში, თბ., 1976; თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმიკა, თბ., 1977; Экономическая география Грузинской ССР, Тб., 1983.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 39; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987 თბ., 1986; Квеpенчхиладзе Р. , Г.И. Зардалашвили „Экономическая и социальня география в СССР". М., 1987, с. 393-394.

ზაუტაშვილი ელენე კონსტანტინეს ასული – ZAUTASHVILI HELENE (28.VII.1931, ქ. თელავი), კარტოგრაფი. 1957 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1957-97 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1986-დან მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. სხვადასხვა წლებში მონაწილეობას ღებულობდა საველე ექსპედიციებში და კვლევისათვის აგროვებდა მასალებს. წლების მანძილზე მუშაობდა სოფლის მეურნეობის კარტოგრაფირების საკითხებზე. ამ და სხვა სახის რუკები შეადგინა და გამოსცა „საქართველოს ატლასში" (1964) თანაავტორობით. მონაწილეობდა „კუბის ნაციონალური ატლასის (1971) გამოსაცემად მომზადებაში, „საქართველოს სსრ კურორტებისა და საკურორტო რესურსების ატლასის" (1989), „კავკასიის ტურისტული ატლასის" (1989), საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასის (1992) რუკების შედგენაში. მუშაობდა ისტორიული კარტოგრაფიის საკითხებზე. მონაწილეობდა „საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის (მასალები)" შედგენაში (1980). გამოქვეყნებული აქვს 35 სამეცნიერო ნაშრომი. მონაწილეა საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებისა (მოსკოვი, კიევი, ჩერნიგოვი, ტაშკენტი და სხვ.).

ზაქაიძე ივანე გიორგის ძე – ZAKAIDZE IVANE (1.IX.1938, ს. ხადა, დუშეთის რ-ნი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1966 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში დაშრობის განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1983 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მძიმე თიხოვანი და თიხნარი ნიადაგების ბუნებრივ-მელიორაციული დარაიონება ფილტრაციული თვისებების გათვალისწინებით (კოლხეთის დაბლობის მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 15-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათი უმეტესობა კოლხეთის დაბლობის ჭაობების დაშრობაზეა მიძღვნილი.

ზაქარაშვილი ნუგზარ ნიკოლოზის ძე – ZAKARASHVILI NUGZAR (8.IX.1950, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1974 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1975-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ინჟინრის, შემდეგ უფროსი ინჟინრის, უმცროსი მეცნიერ თანამშრომლისა და 1989-დან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მყინვარებიდან ჩამონადენის ფორმირების მექანიზმი და რეჟიმი". ამჟამად მუშაობს მყინვარული ჩამონადენის ფორმირებისა და შიდაწლიური განაწილების რეჟიმისა და წყლის რესურსების პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ზახაშვილი მიხეილ ალექსანდრეს ძე – ZAKHASHVILI MIKHEIL (7.X.1917, ქ. ყვარელი, – 14.X.1992, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1970). 1934 დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1939 კი თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი მექანიკის სპეციალობით. 1939 ჩაირიცხა საკავშირო ცენტრალურ ინსტიტუტთან არსებულ უმაღლესი კვალიფიკაციის სინოპტიკოსთა მოსამზადებელ კურსებზე და მიიღო ინჟინერ-მეტეოროლოგის წოდება. 1940 მუშაობა დაიწყო საქ. ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს თბილისის ამინდის ბიუროში. 1941-45 იყო მოქმედ არმიაში მოძრავი რადიომეტეოროლოგიის ცენტრში, ხოლო 1945-47 ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურის ხაზით მოკავშირეთა სამსახურში (რუმინეთი). არმიიდან დაბრუნების შემდეგ კვლავ თბილისის ამინდის ბიუროში მუშაობს, ხოლო 1952-დან ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1949-52 სწავლობდა თსუ ფიზიკის ფაკულტეტზე გეოფიზიკის სპეციალობით. 1965 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ატმოსფერული პროცესების დინამიკა, რომლებიც აპირობებენ სამხრეთის ციკლონების გამოსვლას ამიერკავკასიის ტერიტორიაზე". მასში განხილულია ხმელთაშუა და შავი ზღვების ციკლონების ჩასახვა, ევოლუცია და მათი ამიერკავკასიისაკენ გადმონაცვლების და მათ მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ამინდის პირობების ცვლილების პროგნოსტიკული მეთოდები. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ძირითადად განხილულია ამიერკავკასიის რთულ რეგიონზე სინოპტიკური ობიექტების გადმონაცვლების ევოლუცია და ამინდის პირობების პროგნოზირების საკითხები. 1969-დან ჯერ საათობრივ, ხოლო შემდეგ სრულ საშტატო ერთეულზე მუშაობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია და ოკეანოლოგიის კათედრაზე.

ᲛᲝᲜᲝᲒᲠ.: Методические указания к прогнозу выхода южных циклонов на территорию Закавказья. М., 1968; Методические указания к прогнозу заморозков на территории Грузии, М., 1967.

ᲚᲘᲢ.: ირემაძე ა. ნომარი მეცნიერები, თბ., 1987, გვ. 88-89.

ᲖᲔᲜᲙᲝᲕᲘᲩᲘ ᲕᲡᲔᲕᲝᲚᲝᲓ ᲞᲐᲕᲚᲔᲡ ᲫᲔ – ZENKOVICHI VSEVOLOD (22.I.1910, ქ. მოსკოვი, – 18.VIII.1994, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1947). 1927 დაამთავრა მოსკოვის სამრეწველო-ეკონომიკური ტექნიკუმი, 1931 კი მოსკოვის საძიებო-გეოლოგიური ინსტიტუტი. 1931-37 მუშაობდა მოსკოვის ოკეანოგრაფიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1933-დან უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ლაბორატორიის გამგედ მურმანსკის პოლარული ზღვების მოსკოვის ფილიალში. 1937-41 სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში მოღვაწეობს. 1944-71 ოკეანოლოგიის ინსტიტუტის ზღვის ნაპირების ლაბორატორიის გამგეა, 1971-74 მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის ნაპირების ლაბორატორიის გამგე. 1975-დან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შავი ზღვის სანაპირო ზონის მორფოლოგიისა და დინამიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელია. სწორედ მისი ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა შავი ზღვის სანაპიროს შემსწავლელი ქართული სკოლა. 1991-დან კვლავ გადავიდა მოსკოვში. გარდა ამისა, შეთავსებით მუშაობდა მოსკოვის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დოცენტად (1937-41), მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე დოცენტად (1945-48) და სხვ. 1937 საკანდიდატო დისერტაციის დაუცველად მიენიჭა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1938 დოცენტის წოდება. 1946 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ზღვის სანაპირო და ფსკერი". გამოქვეყნებული აქვს 450-მდე სამეცნიერო ნაშრომი, ავტორია 20-ზე მეტი მონოგრაფიისა, რომელთა ნაწილი ხელმეორედაა უცხოეთში გამოცემული (ლიტვა, რუმინეთი, კორეა, ინგლისი, ჩინეთი, აშშ და სხვ.). აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ბროშურა და სტატია. მისი ნაშრომების საკმაო ნაწილი უცხოეთშია გამოცემული. მან საფუძველი ჩაუყარა ზღვის ნაპირების მკვლევართა საბჭოთა სკოლას, რომელიც ფართოდ იყო აღიარებული. იგი მონაწილეა მრავალი საერთაშორისო კონგრესის, სიმპოზიუმის, კონფერენციის, რომელთაგან 2 მისი უშუალო ხელმძღვანელობით ჩატარდა, მათ შორის 1 საქართველოში (1976). მისი ხელმძღვანელობით მომზადდა და საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 60-ზე მეტმა მკვლევარმა. სხვადასხვა დროს იმყოფებოდა რიგ სახელმწიფოებში (პოლონეთი, ჩინეთი, ვიეტნამი, იუგოსლავია, კუბა, ეგვიპტე,

მექსიკა, ბულგარეთი და სხვ.), სადაც აწარმოებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. აგრეთვე კითხულობდა ლექციებს (გერმანია, ჰოლანდია, ინგლისი და სხვ.), მუშაობდა როგორც ექსპერტი (ეგვიპტე, მექსიკა). ვ. ზენკოვიჩი საერთაშორისო გეოგრაფიული კავშირის ზღვის ნაპირთა გეომორფოლოგიის კომისიის წევრი იყო (1964-დან). დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით (1954) და მრავალი მედლით, მათ შორის საკავშირო მიღწევათა გამოფენის დიდი ვერცხლის მედლით (1959), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების თ. ლიტკეს სახ. ოქროს მედლით (1958). სამჯერ მიენიჭა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრემია (1938, 1945, 1956), აგრეთვე მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო (1951) და ლენინური (1964) პრემიები.

მონოგრ.: Динамика и морфология морских берегов, ч. I. М., 1946; Вокруг света за Китами, М., 1954; Морск·й берег, М., 1952; Морское дно, М., 1956; Берега Черного и Азовского морей, М., 1957; Морфология и динамика советских берегов Черного моря, т. I. М., 1957; Основные проблемы геоморфологии морских берегов, М., 1959; Морфология и динамика советских берегов Черного моря, т. II, М., 1960; Путешествие в южный океан и вокруг света (1957-58), М., 1960; Основы учения о развитии морских берегов, М., 1962; На рубежах земли и моря, М., 1963; Берега Тихого океана, М., 1967 (соавт.); Белая полоса, М., 1967; Дальнем синем море (берега Кубы), М., 1969; Меж двух океанов (берега Мексики), М., 1972; Руководство по исследованию динамики морских берегов, М., 1975 (соавт.); Геоморфология СССР. т. IV, М., 1982 (соавт.); Пицунда, Тб., 1984; Iuras Kruste, Riga, 1954; The Marine Geology of Mexico, Paris, 1970.

ზირაქაშვილი თეიმურაზ გიორგის ძე – ZIRAKASHVILI TEIMURAZ (28.VIII.1938, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1962 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1964-დან მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მარტყოფის ფიზიკურ გეოგრაფიულ სტაციონარში გამგის მოადგილედ. 1967-71 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1985 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების ლანდშაფტურ-გეოფიზიკური თავისებურებანი და წლიური მდგომარეობები (მარტყოფის სტაციონარის მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება რეგიონების ლანდშაფტურ კვლევებს. ამჟამად თსუ ფიზიკური გეოგრაფიის და გარემოს დაცვის კათედრის დოცენტია, შეთავსებით მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში გეოგრაფიის კათედრაზე.

ზონენაშვილი ჟანა გერმანეს ასული – ZONENASHVILI ZHANA (17.IX.1937, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფის სპეციალობით. 1963 მუშობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, 1966-1969 იქვე გაიარა დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი. 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია –

„თბილისის ეკონომიკური რაიონის რეგიონალური თავისებურებანი". მუშაობს უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. იკვლევს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგება-განვითარებასა და მიწის რესურსებისა და მათი გამოყენების საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები. არის ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის 14 კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორი.

მონოგრ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანააკტ.); სამეგრელო: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა (გეოგრაფიული ასპექტები), თბილისი-ზუგდიდი, 1999 (თანააკტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანააკტ.).

ზურიკაშვილი ფერიდე ვასილის ასული – ZURIKASHVILI PHERIDE (1.I.1949, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1979). 1970 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1970-76 სწავლობდა თსუ ასპირანტურაში. 1972-74 მივლინებით იმყოფებოდა ქ. ისპაჰანში (ირანი) თარჯიმნის (სპარსული) თანამდებობაზე. 1976 თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტია, 1979-დან კი დოცენტი. 1979 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ისპაჰანი და ბისი შემოგარენი: საქალაქო აგლომერაციის ფორმირების თავისებურებანი განვითარებად ქვეყნებში". გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი. იგი რამდენიმე საერთაშორისო პროექტის კონსულტანტი და სამეცნიერო კონფერენციის მონაწილეა. 1995-დან ხელმძღვანელობს თსუ ქალთა საკითხების შესწავლის ცენტრს, 1997-დან მეცნიერთა ასოციაცია „ტრანზიციას". 1997 გახდა ქ. და ჯ. მაკარტურების ინდივიდუალური გრანტის მფლობელი. ამავე წელს აშშ ლიდერ ქალთა პროგრამების მონაწილეა. 1998 სტაჟირებით იმყოფებოდა ნიუ-იორკის (აშშ) უნივერსიტეტში (ამერიკული რეგიონალური პროგრამების სტიპენდიატი), 1999 კი ბეტ-ბერდის (ისრაელი) ხალხთა სოლიდარობის და განვითარების ინსტიტუტში – ლიდერ ქალთა მომზადების პროგრამით, 2002 უმაღლესი განათლების სტიპენდია და სამეცნიერო მივლინებით ევროპის ცენტრალურ უნივერსიტეტში (ბუდაპეშტი, უნგრეთი).

მონოგრ.: დევნილი ქალი საქართველოში, თბ., 1998 (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე); გენდერი, კონფლიქტი და მშვიდობის მშენებლობა, თბ., 2002 (თანააკტ.).

ზუხბაია ვალერიან ავქსენტის ძე – ZUKHBAIA VALERIAN (14.IV.1914, ქ. წალენჯიხა), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1956). 1934-45 მუშაობდა გალის პირველ საშუალო სკოლის მასწავლებლად, ამავე დროს იყო სასწავლო ნაწილის გამგე. 1945 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიის სპეციალობით. 1945-46 მუშაობდა აფხაზეთის განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორად და რესპუბლიკური პედაგოგიური კაბინეტის დირექტორად. 1946-51 კი საქართველოს მეცნიერებათა

აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1947-1950 გეოლოგიურ ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1951-59 აფხაზეთის ენის, ისტორიის, ლიტერატურის ინსტიტუტში გეოლოგიის ლექტორია. წლების მანძილზე იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგე, ფაკულტეტის დეკანი. 1959-93 მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (აფხაზეთის უნივერსიტეტი). 1954-58 და 1965-66 შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1993-დან მოღვაწეობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ თანამშრომლად. პარალელურად მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში. 1953 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „აფხაზეთის ბარიტიანი რაიონის გეოლოგია და პეტროგრაფია". ავტორია 32 წიგნისა. გამოქვეყნებული შრომები შეეხება გეოლოგიის აქტუალურ საკითხებს. გარდა ამისა, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო-პოპულარული წერილი. 1997 არჩეულ იქნა აფხაზეთის რეგიონალური მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. მიღებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის საიუბილეო მედლით, ღირსების ორდენით (2002).

მონოგრ. და სახელმძღვ.: სოფელი ოქუმი, თბ., 1946; მინერალოგიისა და პეტროგრაფიის მოკლე კურსი (სახელმძღვანელო), თბ., 1956; რას გვიამბობს საქართველოს მიწა, თბ., 1959; ქვის კულტურა საქართველოში, თბ., 1965; ზოგადი გეოლოგიის პრაქტიკუმი (დამხმარე სახელმძღვანელო), თბ., 1967(თანაავტ.); საქართველოს დეკორატიული და ფერადი ქვები, თბ., 1976; „ქართლის ცხოვრების" ქვის ფურცლები, თბ., 1975; ძვირფასი და ტექნიკური ქვები, თბ., 1980; ზოგადი გეოლოგია (სახელმძღვანელო), თბ., 1972; მხარეთმცოდნეობა (სახელმძღვანელო), თბ., 1988; მტკვარი საქართველოს დედამიწარე, თბ., 1984; განძი ქართული მიწისა, თბ., 1984; ქართული ოქრო, თბ., 1985; გალი, სოხუმი, 1988; სოხუმი, თბ., 1997; ძვირფასი და სანახელავო ქვები, თბ., 1998 (თანაავტ.); აფხაზეთი ჩემო, თბ., 1998; ბუნება „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1999; გალის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, თბ., 2000 (თანაავტ.); ანაკოფია-ახალი ათონი, თბ., 2001; აფხაზეთის მომხიბვლელი ბუნება, თბ., 2001 (თანაავტ.); გალის რაიონის ბუნება, ისტორია, სახალხო მეურნეობა, თბ., 2002.

თავართქილაძე ანზორ მუხამედის ძე — TAVARTKILADZE ANZOR (21.VII.1948, ს. ძირკვაძეები, ხულოს რ-ნი), ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. 1971 ვადამდე წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აგროქიმია-ნიადაგთმცოდნეობის სპეციალობით. 1973-77 ამავე ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1973-80 მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვ. დოკუჩაევის სახ. ნიადაგთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოამზადა და 1980 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მაღალმთიანი აჭარის ნიადაგები, მათი

გენეზისი და სოფლის მეურნეობაში გამოყენების თავისებურებანი", ხოლო 1995 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „აჭარის ნიადაგები, მათი რაციონალური გამოყენებისა და დაცვის პრობლემები". გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება სოფლის მეურნეობის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, ეკოლოგიის სფეროებს. 1992 სამეცნიერო მიეღინებით იმყოფებოდა თურქეთსა და გერმანიაში. არაერთი საერთაშორისო და რესპუბლიკურ კონფერენციებში ღებულობდა მონაწილეობას, რომელთა ნაწილის ჩატარების ინიციატორი იგი იყო. სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად ჩაბმული იყო ქვეყნის სამეურნეო და პოლიტიკურ საქმიანობაში. მუშაობდა ს. ძირკვაძეების (ხულოს რ-ნი) კოლმეურნეობაში რიგით წევრად, აგროტექნიკოსად, ხულოს რაიონული გაზეთ „კოლექტიური შრომის" რედაქციაში კორესპოდენტად, ხელმძღვანელობდა რაიონის ახალგაზრდულ ორგანიზაციას (1972-91), იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი, პარტიის ხულოს რაიკომის მეორე მდივანი, სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. ამჟამად ხელმძღვანელობს არასამთავრობო ორგანიზაციას – ერთაშორის მოძრაობას „მშვიდობისა და დემოკრატიისათვის". მისი ინიციატივით ქ. სტამბოლში (თურქეთი) დაარსდა ერთ-ერთი პირველი ქართული საზოგადოება (1993), ხოლო ქ. ანკარაში თურქეთ-საქართველოს მეგობრობისა და თანადგომის ფონდი (1996), რომლის პრეზიდენტად არჩეულია ა. თავართქილაძე.

მონოგრ.: აჭარის ასსრ ძირითადი ნიადაგები, ბათუმი, 1983; საქართველოს მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის პრობლემები, თბ., 1994 (თანაავტ.); აჭარის ნიადაგები, მათი რაციონალურად გამოყენების და დაცვის პრობლემები, თბ., 2003; Особенности генезиса и сельскохозяйственного использования черных почв Грузии, Тб., 1994 (соавт.).

თავართქილაძე კუკური ანდრიას ძე – TAVARTKILADZE KUKURI (17.XII.1932, ს. ვაკიჯვარი, ოზურგეთის რ-ნი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (2000). 1955 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი ატომური ენერგიის სპეციალობით. 1956-71 მუშაობდა ამირკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში კლიმატოლოგიის განყოფილებაში. 1965 იმავე ინსტიტუტში ჩამოაყალიბა რადიაციული გამოკვლევების სექტორი, რომელსაც ხელმძღვანელობდა. 1971-დან აკად. თ. დავითაიას წინადადებით მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქვე, 1979 ჩამოაყალიბა და ხელმძღვანელობდა კლიმატის ცვალებადობის შემსწავლელ ლაბორატორიას, რომელიც შემდეგში ბუნებრივი პროცესების მოდელირების ლაბორატორიად გარდაიქმნა. ლაბორატორიასთან ერთად ფუნქციონირებს აჭარის ატმოსფეროს გაჭუჭყიანებაზე დისტანციური, ოპტიკური მეთოდებით დაკვირვების

სტაციონალური ბაზა ზღვისმიერი და კონტინენტური წარმოშობის ატმოსფერული აეროზოლების თვისებების შესასწავლად. კ. თავართქილაძის კვლევის ობიექტს შეადგენს ატმოსფეროს ფიზიკის (მეტეოროლოგიის) ზოგიერთი პრობლემა — რადიაციული კლიმატოლოგიის, ატმოსფეროს გაჭუჭყიანების, თავისუფალი ატმოსფეროს სტრატიფიკაციისა და ატმოსფეროს ოპტიკის საკითხები. შექმნა ხელსაწყოები: „ნიადაგის ზედაპირის და სილრმეების თერმოელექტრული თვითმწერი", „ატმოსფეროს გამჭვირვალობის ნომოგრამა" (შეტანილია უმაღლესი სასწავლებლების პროგრამებში). ერთ-ერთმა პირველმა შექმნა ატმოსფეროს გაჭუჭყიანების განსაზღვრის დისტანციური მეთოდი, ააგო ზღვისმიერი და კონტინენტური წარმოშობის ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკურ-მეტეოროლოგიური მოდელი, რომელიც გამოყენებულია აშშ-ს, გერმანიის, ავსტრალიის, რუსეთის და სხვ. შესაბამის კვლევით ცენტრებში, ხელოვნური თანამგზავრებიდან კონტინენტური და ოკეანისეული ბუნებრივი რესურსების ძიებისა და შესწავლის პროცესში. გამოიკვლია თავისუფალი ატმოსფეროს თერმული სტრატიფიკაციის გავლენა სეტყვის წარმოქმნის პროცესზე. მუშაობს ატმოსფეროს გაჭუჭყიანების როლის დასადგენად, რადიაციული კლიმატის ჩამოყალიბებაზე. დაჯილდოებულია „ამერიკის ღირსების მედლით" (2002). გამოქვეყნებული აქვს 140-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული ველის ცვლილების ემპირიული მოდელი, თბ., 1999; ჰავის თანამედროვე ცვლილება საქართველოში. რადიაციული რეჟიმის ცვალებადობა, თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Проблема борьбы с градобитием, морозами в субтропиках и некоторыми другими стихийными процесами, Тб., 1982 (соавт.); Моделирование аэрозольного ослабления радиации и методы контроля загрязнения атмосферы, Тб., 1989; Modern Climate Change in Georgia. Radiatively Active Small Atmospheric Admixtures, Tbilisi, 2000.

თედიაშვილი ამირან გრიგოლის ძე – TEDIASHVILI AMIRAN (12.XI.1948, ს. მიტარბი ბორჯომის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1990). 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1973-დან მუშაობდა თსუ მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარში ჯერ ლაბორანტის, შემდეგ ინჟინრის, 1982-დან აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში უმცროსი, უფროსი (1988-დან) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1990-დან გადაყვანილ იქნა კარტოგრაფია-გეოდეზიისა და გეოინფორმატიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. მონაწილეობდა: პამირის, ტიან-შანის, ყირიმის, კარპატების, ჩრდილო კავკასიის, ხიბინის მთების და სხვ. ექსპედიციებში. 1984 დაიცვა

საკანდიდატო დისერტაცია – „ფიტომასის როგორც ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსებისა და მათი მდგომარეობის ლანდშაფტურ-გეოფიზიკური მაჩვენებლის კვლევა“. გამოქვეყნებული აქვს 30-ზდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი.

თენეიშვილი თამარ პორფილეს ასული – TENEISHVILI TAMAR (16.III.1910, ს. ქვედა ბახვი, ოზურგეთის რ-ნი, – 5.XII.1991, თბილისი), პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1932 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიური ფაკულტეტის საორგანიზაციო მეთოდური დარგი. 1932-37 მუშაობდა გორის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში, აქვე ასწავლიდა გეოგრაფიასა და პედაგოგიკას. 1939-43 სწავლობდა საქ. განსახკომის დაწყებითი და საშუალო სკოლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპ.ირანტურაში გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის სპეციალობაზე. 1954 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1949-52 მუშაობდა თბილისის მე-10 საშ. სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, ხოლო 1952-54 55-ე საშუალო სკოლაში. 1958-73 კითხულობდა ლექციებს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. მინიჭებული აქვს საქ. დამსახურებული მასწავლებლის წოდება. (1973).

სახელმძღვ.: საქართველოს სსრ გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1956.

თვალთვაძე ალიმ ალექსის ძე – TVALTVADZE ALIM (10.XII.1903, ს. გაღმა ჩუნეში, წყალტუბოს რ-ნი, – 26.II.1991, ქ. ქუთაისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1921 დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და მუშაობა დაიწყო გაღმა ჩუნეშისა და ყუმისთავის არასრულკომპლექტიან სკოლის გამგემასწავლებლად. 1923-27 იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში. 1927 მუშაობა დაიწყო ქუთაისის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში მასწავლებლად. 1934 დაამთავრა თსუ ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი გეოგრაფიის განხრით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. კითხულობდა ლექციებს სსრკ ფიზიკურ გეოგრაფიაში, გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკასა და ბუნების დაცვაში. შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის I საცდელ-სანიმუშო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, ქუთაისის ოფიცერთა სახლში. მოღვაწეობდა მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში. 1946-48 მიწვეულ იქნა და პარალელურად მუშაობდა ჯერ სოხუმის პედაგოგიურ და შემდეგ ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტებში. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობასაც. 1968 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ჩრდილო-დასავლეთ იმერეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება“. წლების მანძილზე აღმოაჩინა და შეისწავლა წყალტუბოს ზონის

ტერიტორიაზე კირქვულ სივრცეებში არსებული მღვიმეები და მღვიმური ჭები (საწურბლია, სოლკოტა, საქაჯია და სხვ.). შესრულებული აქვს 44 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა მეტი ნაწილი გამოქვეყნებულია. იკვლევდა დასავლეთ საქართველოს ბუნებას. წლების მანძილზე იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე. 1980 აირჩიეს საზოგადოების საპატიო წევრად. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ჯერ თბილისში, შემდეგ ს. გაღმა ჩუნეშში ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმი. დაჯილდოებული იყო „სახალხო-განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1940, 1985), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო სიგელით. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1982).

თვალჭრელიძე მერაბ გრიგოლის ძე – THVALCHRELIDZE MERAB (7.III.1952, თბილისი), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, 1976 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიის სპეციალობით. 1975 მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში მეოთხეული გეოლოგიის, ხოლო 1981-დან გეომორფოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის განყოფილებაში. 1982-86 დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი გაიარა ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინსტიტუტში (ლითოლოგიის განყოფილება). 1988 ქ. კიევში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო ზონის თანამედროვე ნალექების ლითოლოგია". 1989 სამუშაოდ გადავიდა ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიური ინსტიტუტის ლითოლოგიურ განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1991-დან არის სედიმენტოლოგიისა და ლითოლოგიის სექტორის ხელმძღვანელი. 1992-დან შეთავსებით მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის პალეოგეოგრაფიის ლაბორატორიაში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. გამოქვეყნებული აქვს 70-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის საკითხს მეოთხეულ პერიოდში, შავი ზღვის უახლეს გეოლოგიურ ისტორიას, ანთროპოგენური და ბუნებრივი ფაქტორების როლის შეფასებას შავი ზღვის ეკოსისტემებზე.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.).

თიგიშვილი ლარისა ალექსანდრეს ასული – THIGISHVILI LARISA (9.IX.1949, ს. დიდი ლილო, გარდაბნის რ-ნი), ოკეანოლოგი, გეომორფოლოგი. 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ოკეანოლოგიის სპეციალობით. 1972-73 მუშაობდა თსუ-ში ლაბორანტად. 1973-76 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ზღვის ნაპირების დინა-

მიკისა და მორფოლოგიის შემსწავლელ ლაბორატორიაში უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, 1976-დან ამავე ინსტიტუტის გეომორფოლოგიის განყოფილებაში, იმავე თანამდებობაზე; 1980-დან უმცროსი მეცნიერ თანამშრომელის, ხოლო შემდეგ მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. 1979-დან იყო სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი. დაამთავრა საკვალიფიკაციო ნაშრომი — „საქართველოს ეულკანური რელიეფის მორფოლოგია". ამჟამად მუშაობს თემაზე — „ჯავახეთის ეულკანური ზეგნის მორფოსტრუქტურები და მორფოსკულპტურები". გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, 10-მდე საგაზეთო წერილი.

თოლორაია დომენტი სიმონის ძე — THOLORAYA DOMENTI (25.VII.1912, ს. ოდიში, ზუგდიდის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1970). 1938 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ა. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად. 1941-45 იყო სამამულო ომში. 1947-დან მუშაობას კვლავ პედაგოგიურ ინსტიტუტში იწყებს. 1968-79 იყო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი, ხოლო 1979-85-ში მოსამზადებელი განყოფილების დეკანი. 1963 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „ქვემო სვანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება", რომელშიც მოცემულია იმ დროისათვის ნაკლებად შესწავლილი საკმაოდ რთული მხარის ბუნებრივი პირობების სრულყოფილი დახასიათება. მისი კვლევის ობიექტი დიდხანს იყო დასავლეთ საქართველო. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. ამასთან, არის მრავალი მეთოდური წერილის ავტორი, რომელიც ხელს უწყობდა საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში გეოგრაფიის სწავლების გაუმჯობესებას. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს ზოგად დედამიწათმცოდნეობაში, მხარეთმცოდნეობაში, სსრ ფიზიკურ გეოგრაფიას და გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში. მინიჭებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1980). დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით, რამდენიმე მედლით და საპატიო სიგელით.

თოლორდავა რევაზ შოთას ძე — THOLORDAVA REVAZ (21.VI.1953, ს. მუხური, ჩხოროწყუს რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1970-71 სწავლობდა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მათემატიკის სპეციალობით. 1971-73 მსახურობდა სსრკ შეიარაღებულ ძალებში. 1975-80 სწავლას აგრძელებს ქ. ლვოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოდეზიის ფაკულტეტის საინჟინრო გეოდეზიის სპეციალობაზე, რომელიც დაამთავრა ინჟინერ-გეოდეზისტის კვალიფიკაციით. 1977 მუშაობა დაიწყო „საქქალაქმშენსახპროექტის" სოხუმის ფილიალში ინჟინერ-გეოდეზის-

ტად, საძიებო პარტიის უფროსად. 1983-დან შეთავსებით მუშაობდა სოხუმის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრაზე მასწავლებლად. ამჟამად თსუ სოხუმის ფილიალის გეოგრაფიის კათედრის თანამშრომელია. 1998 ჩაირიცხა თსუ გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და გეოინფორმატიკის კათედრაზე მაძიებლად. 2000 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სახელმწიფო საზღვრების კარტოგრაფირების აქტუალური საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

თუთარაშვილი მალხაზ უსეინის ძე – THUTHARASHVILI MALKHAZ (16.IX.1940, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1970 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ინსტიტუტის მევენახეობის კათედრაზე ლაბორანტის თანამდებობაზე. 1971-დან მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიის ლაბორატორიაში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ამჟამად წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მრავალწლიანი კენკროვანი კულტურების (შავი მოცხარი) ზრდა-განვითარებისა და მოსავლის ფორმირების აგროკლიმატური პირობების კვლევა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში". გამოქვეყნებული აქვს 29 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ნაწილი უცხოეთშია დაბეჭდილი. თანაავტორობით შედგენილი აქვს 20-ზე მეტი აგროკლიმატური რუკა. რეცენზია გაუკეთა 7 სადისერტაციო ნაშრომს.

თუთბერიძე მზია აკაკის ასული – THUTHBERIDZE MZIA (15.II.1951, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი. 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს დაამთავრა უცხო ენების საკავშირო დაუსწრებელი კურსები გერმანული ენის სპეციალობით. 1971-72 სწავლის პერიოდში მუშაობდა თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად. 1972-76 „საქსოფლმშენსახპროექტში" რაიონული დაგეგმარების განყოფილების უფროს ინჟინრად. 1977-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებაში მეცნიერ თანამშრომლად. მუშაობს თბილისის აგლომერაციის ტერიტორიულ-რეკრეაციულ სისტემაზე. შესრულებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი და რუკა, რომლებიც შეეხება საქართველოს რეკრეაციულ მეურნეობას, შრომის ბაზრის გეოგრაფიულ ასპექტებს.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

თურმანიძე თამაზ ივანეს ძე – THURMANIDZE TAMAZ (4.IX1932,), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995). 1957 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი მევენახეობა-მეღვინეობის ფაკულტეტი. 1957-61 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1961-74 ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელია, 1974-83 საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი, 1984-89 სსრკ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული საერთაშორისო პროექტების ცენტრის თანამშრომელი. 1989-91 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე. 1991-2000 საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგროეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 2000-დან ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეა. 1963 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ვაზის ფესვთა სისტემის რეგენერაცია ქლოროზის გამოვლინების პირობებში", 1983 კი სადოქტორო დისერტაცია – „კლიმატი და ვაზის მოსავლიანობა". ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 3 მონოგრაფიისა. არის ერთი გამოგონების თანაავტორი, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის აგრომეტეოროლოგიური კომისიის წევრი, საქართველოს აგროეკოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი (1994), ორგანული მიწათმოქმედების საერთაშორისო ფედერაციის წევრი. დაჯილდოებულია „ხალხთა მეგობრობის" ორდენით (1982), ღირსების ორდენით (2002).

მონოგრ. და სახელმძღვ.: ბუნების დაცვა (სახელმძღვ.), თბ., 1992 (თანაავტ.); ვაზის ეკოლოგია, თბ., 2003; Агроклиматические ресурсы ГССР, Л., 1978 (соавт.); Климат и урожай винограда, Л., 1981; Гидрометеотерологические исследования в Грузии, Л., 1981 (соавт.); Intergrated Land management of ecosistems, IIASA, 1989 (co-author).

იაშვილი ია სილიბისტროს ასული – IASHVILI IA (27.IX.1965, ქ. ქუთაისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1998). 1987 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1987-დან მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად, უფროს მასწავლებლად (1997), დოცენტად (1998). 1987-90 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრაზე. 1998 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქუთაისის მოსახლეობის ფორმირების თავისებურებანი: კვლევის სოციალურ-გეოგრაფიული ასპექტები". მასში მოცემულია ქ. ქუთაისის მოსახლეობის ფორმირება უკანასკნელი 100 წლის მანძილზე.

დეტალურადაა გამოკვლეული ქალაქის დემოგრაფიული ფონის ტრანსფორმაციის პროცესი საუკუნის ათწლეულის მანძილზე და ახსნილია მიზეზები. ამჟამად ქალთა პრობლემების შესწავლითაა დაინტერესებული. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ИМНАДЗЕ АЛЕКСАНДРЕ МИХЕИЛИС ДЗЕ – IMNADZE ALEXANDRE (31.XII.1919, თბილისი, – 1.X.1981, იქვე), კლიმატოლოგი. 1941 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდრო-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1941-1945 იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში. 1945 მუშაობას იწყებს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამმართველოში. 1952-მდე იყო თბილისის აერომეტეოროლოგიური სადგურის უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი. 1952-57 ამ სადგურის უფროსი. 1957-78 მუშაობდა თბილისის ამინდის ბიუროში – გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილებაში. რიგი წლების მანძილზე ლექციებს კითხულობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეტეოროლოგიის სპეციალობის სტუდენტებთან. გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო ნაშრომები.

სახელმძღვ.: მეტეოროლოგიური დაკვირვება სკოლაში, თბ., 1961, 1984 (თანავტ.).

ИНАШВИЛИ ШОТА ВЛАДИМИРИС ДЗЕ – INASHVILI SHOTA (11.III.1931, ს. თანდილაანთკარი, დუშეთის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1956 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1956-58 მუშაობდა ჭოპორტის (დუშეთის რ-ნი) საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. 1958-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მყინვარები (განლაგება, ზედაპირული რეჟიმი და ჩამონადენი)". გამოკვლეულია კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მყინვართა დინამიკა, მათი ზედაპირული რეჟიმი და ჩამონადენი კლიმატის ცვალებადობასთან კავშირში. გამოიკვლია თანამედროვე გამყინვარების რეჟიმი, მათი რეკონსტრუქცია და პროგნოზი. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: Ледник Тбилиса, Тб., 1986 (соавт). Каталог ледников СССР, т.9, Л.,1975 (соавт).

КАКАБАДЗЕ ВЛАДИМИР СПИРИДОНИС ДЗЕ – KAKABADZE VLADIMER (15.IX.1907, ს. პატარა კუხი, ხონის რ-ნი, – 21.I.1979, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1936 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1936-38 იყო პარტიის ხონის რაიკომის მდივანი. შემდეგ მუშაობა დაიწყო თსუ-ში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილისა და უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. პროფ. გ. გეხტმანის ხელმძღვანელობით დაამთავრა ასპირანტურის კურსი. სამამულო ომში იბრძოდა ყირიმში. ომის

დამთავრების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა პედაგოგიურ და სამეცნიერო მუშაობას. 1950 დაიცვა დისერტაცია — „შიდა ქართლის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის". 10 წელი მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. მისი უშუალო მონაწილეობით 50-იან წლებში შეიქმნა და გამოიცა ინსტიტუტის ეკონომიკურ-გეოგრაფიული შინაარსის შრომების კრებულები, რომლებიც ეძღვნება გარე კახეთს, ზემო და ქვემო იმერეთს, რაჭა-ლეჩხუმს, აფხაზეთსა და სხვა რაიონებს. შემდეგ კვლავ პედაგოგიურ საქმიანობაზეა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აქვე წლების მანძილზე განაგებდა გეოგრაფიის კათედრას. 1964-დან მუშაობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს სსრკ და საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში, საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ გეოგრაფიასა და სხვ.

მონოგრ.: თბილისი, ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957 (თანაავტ.).

კალანდია მარინა გიორგის ასული – **KALANDIA MARINA** (29.VII.1959, ქ. სოხუმი), გეოგრაფი. 1986 დაამთავრა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო აფხაზეთის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტის თანამდებობაზე. 1998-დან კი თსუ სოხუმის ფილიალის მასწავლებელია, სადაც პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებს საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიასა და ნიადაგების გეოგრაფიაში. მუშაობს საკვალიფიკაციო ნაშრომზე — „აფხაზეთის ლანდშაფტურ-გეოფიზიკური ანალიზი". გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი სოხუმის ბოტანიკური ბაღისა და აფხაზეთის უნივერსიტეტის შრომებში. მონაწილეობას ღებულობს სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში, რომელთა მასალებში დაბეჭდილია მოხსენებათა მოკლე შინაარსი. ისინი შეეხება პალინოლოგიურ კვლევებს.

კანდელაკი ვასილ ვასილის ძე – **KANDELAKI VASIL** (7.IX.1948, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1971 დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1972-75 ასპირანტურის კურსი გაიარა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტსა და პ. შირშოვის სახ. ოკეანოლოგიის ინსტიტუტში, ხელმძღვანელი პროფ. ვ. ზენკოვიჩი. 1975 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის სანაპირო ზონის დინამიკის ლაბორატორიაში ბათუმის სტაციონარის ხელმძღვანელად. 1978-83 ინსტიტუტის საზღვაო ექსპედიციების ჯგუფის ხელმძღვანელია. 1983-87 ინსტიტუტის სწავლული მდივანია, ხოლო 1987-88

კლიმატოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1987 მივლინებულ იქნა მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის მთიანი გეოსისტემების ლაბორატორიაში სამეცნიერო კვალიფიკაციის ასამაღლებლად, საიდანაც ერთი წლის შემდეგ დაბრუნდა. 10.V.1988 განთავისუფლდა ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტიდან და გადავიდა მოსკოვში საცხოვრებლად სსრკ გეოგრაფიის ინსტიტუტში მისი უფროსი მეცნიერ თანამშრომლად არჩევასთან დაკავშირებით, სადაც მუშაობდა მთიანი გეოსისტემების ლაბორატორიაში. 2003-დან არის რუსეთის ჰიდრომეტეოროლოგიური კონტროლის და გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგის ფედერალური სამსახურის ინფორმაციული ტექნოლოგიების ოპერატიულ-საწარმოო ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის დინამიკა საქართველოს სსრ ფარგლებში". გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. საკვალიფიკაციო თემასა და ძირითად ნაშრომებში მოცემულია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპირო ზონის დინამიკა და მორფოლოგია, თანამედროვე სანაპიროს აკუმულაციური და აბრაზიული ფორმები, როგორც ხმელეთზე ასევე წყალქვეშ.

კანდელაკი ოთარ მელქისედეკის ძე – KANDELAKI OTAR (11.VII.1909, თბილისი, – 29.XII.1987, იქვე), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1970). 1932 დაამთავრა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი აგრონომ-მექანიზატორის კვალიფიკაციით. მუშაობდა სხვადასხვა აგროკლიმატოლოგიურ სადგურებში (სკრა, ჩაქვი, ბაკურიანი და სხვ.), საქართველოს ჰიდრომეტსამმართველოში აგრომეტეოროლოგიის განყოფილებაში. 1953-დან მუშაობდა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. შემდეგ, საქართველოს მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობისა და მეხილეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „შიდა კახეთის ვენახების ნიადაგის ტენიანობის დინამიკა". გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც განხილულია საქართველოს აგროკლიმატური პირობები და აგროკლიმატური რესურსები; 1947 მიიღო საავტორო მოწმობები გამოგონებაზე „ნიადაგის ამაორთქლებელი", 1975 „ვენახების სეტყვისაგან დასაცავი მოწყობილობა" და „მუდმივი ტენიანობის აორთქლების ჩამწერზე". ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც კითხულობდა აგროკლიმატოლოგიისა და აგრომეტეოროლოგიის კურსს.

მონოგრ.: აჭარის მთიანეთის აგროკლიმატური რესურსები, თბ., 1980.

კაპანაძე გიორგი ევსების ძე – KAPANADZE GIORGI (1.VII. 1928, ს. დიდი ჩხირაული, ჭიათურის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1947 დაამთავრა ქ. ახალციხის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი, 1951 კი გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ს. ანის (ახალციხის რ-ნი) 8 წლიანი სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. 1951-57 საქართველოს ალკკ ახალციხის რაიკომის პირველი მდივნია. 1957-61 ახალციხის რაიონული გაზეთ „წითელი დროშის" რედაქტორი, 1961-62 საქართველოს კპ ახალციხის რაიკომის მეორე მდივანი, 1962 კვლავ იმავე გაზეთის რედაქტორია. 1970-75 ისევ რაიკომის მეორე მდივანია, 1975-77 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის ახალციხის ზონალური ინსპექციის უფროსია. 1977-83 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის დირექტორი, 1983-99 ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, ხოლო 1999-დან თბილისის ბიზნესის სახელმწიფო ინსტიტუტის ახალციხის ფილიალის დირექტორი. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მესხეთ-ჯავახეთის სოფლის მეურნეობის გეოგრაფია". გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი.

კაპანაძე ზოია ლონგინოზის ასული – KAPANADZE ZOYA (19.IV.1949, ს. ქოლობანი, აბაშის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1972 წარჩინებით დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1970-დან სწავლის პარალელურად მუშაობდა იმავე ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად, ხოლო შემდეგ უფროს ლაბორანტად. 1975-დან ინსტიტუტთან არსებულ მოსამზადებელ კურსებსა და მოსამზადებელ განყოფილებაზე გეოგრაფიის მასწავლებლად. 1985-დან მუშაობს გეოგრაფიის კათედრის უფროს მასწავლებლად. ამავე პერიოდიდან ეწევა კვლევით სამუშაოს – „აფხაზეთის ლანდშაფტების დინამიკა (ჰიდრომეტეოროლოგიური მონაცემების ანალიზის საფუძველზე)". ამ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი სოხუმის ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის შრომებში. წაკითხული აქვს მოხსენებები კონფერენციებზე, რომლებიც დაბეჭდილია მასალებში. თსუ სოხუმის ფილიალში კითხულობს სალექციო კურსს გეოგრაფიულ დისციპლინებში.

კაპანაძე ჯემალ ივანეს ძე – KAPANADZE JEMAL (2.V.1938, ს. ქვედა საზანო, ზესტაფონის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1974 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობა. 1974--77 მუშაობდა თსუ გამოყენებითი სოციოლოგიის კათედრაზე უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1977-85 საქ. კპ ცკ-თან არსებულ საზოგადოებრივი აზრის

შემსწავლელ ცენტრში რეფერენტის თანამდებობაზე. პარალელურად, 1977-80 მუშაობდა ჯერ საქ. საგეგმო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს ინჟინერ-ეკონომისტად, ხოლო 1981-85 საქ. მეცნ. აკად. საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში — სამეცნიერო ინფორმაციის სექტორში უფროსი მეცნიერ თანამშრომლად. 1985-დან ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების უფროსი მეცნ. თანამშრომელია, 1994-დან ინსტიტუტის სწავლული მდივანია. 1993 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საქართველოს მთიანი რაიონების დემოგეოგრაფიული პრობლემები", რომელშიც გაანალიზებულია ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიულ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებანი, თანამედროვე დემოგეოგრაფიული სიტუაცია და მოსახლეობის მიგრაციული პროცესების სოციოლოგიური კვლევის შედეგები და განსახლების ძირითადი ნიშნების რეკონსტრუქციის მიმართულებები. მუშაობს ტრანსპორტის გეოგრაფიის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანააკტ.).

ᲙᲐᲠᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲚᲣᲐᲠᲡᲐᲑ ᲐᲜᲓᲠᲘᲐᲡ ᲫᲔ — KARBELASHVILI LUARSAB (5.II.1896, ს. მუხრანი, მცხეთის რ-ნი, — 5.XI.1973, ქ. თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. 1923 ერთ-ერთმა პირველმა დაამთავრა თსუ სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტი და იმავე წელს მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა. მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად და თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის გამგედ. 1953 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. მისი სამეცნიერო ნაშრომების მნიშვნელოვანი ნაწილი სტატისტიკის, დემოგრაფიის, ეკონომიკური გეოგრაფიისა და საქართველოს ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი. შედგინა „აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინოლოგია" (1958). აგრეთვე პირველი სახელმძღვანელო საშუალო და უმაღლეს სკოლებისათვის საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში. შექმნა საქ. ეკონომიკური დარაიონების ბადე. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება(961).

მონოგრ. და სახელმძღვ: აღრიცხვისა და სტატისტიკის ტერმინი ლოგია. თბ., 1958; საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, (საშუალო სკოლის სახელმძღვ.), თბ., 1964-77; საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 1973.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, 1977; ქართული ენციკლოპედია, ტ. 5, 1980, გვ. 395; გუგუშვილი პ., ჩანტლაძე ვ., ხასაია

ბ., სწავლულისა და პედაგოგის ღვაწლი, გაზ. „კომუნისტი", 1986; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986.

კაციტაძე ეთერ ილიას ასული – KATSITADZE ETHER (20.IV.1908, ს. ხოტევი, ამბროლაურის რ-ნი, – 21.VII.1989, ქ. ქუთაისი, დაკრძალულია სოფ. ხოტევში), გეოგრაფი. 1926 ქ. ქუთაისში დაამთავრა საშუალო სკოლა, 1927-33 სხვადასხვა ტიპის სკოლებში მასწავლებლად მუშაობდა. 1933-38 სწავლობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის ფაკულტეტზე გეოგრაფიის სპეციალობით. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს (1935-36) ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე მუშაობდა, ხოლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. 1938-41 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქვეყანათმცოდნეობის კათედრაზე გაიარა ასპირანტურის კურსი. ასპირანტურის დამთავრების შემდეგ, პენსიაზე გასვლამდე (1987), მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის უფროს მასწავლებლად. კითხულობდა ლექციების კურსს დედამიწისმცოდნეობასა და საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში, გეომორფოლოგიაში. მისი მეცნიერული მუშაობის თემატიკა მოიცავდა რაჭა-ლეჩხუმისა და იმერეთის რეგიონების ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) პრობლემების კვლევას. ამ საკითხებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს ორათეულზე მეტი ნაშრომი. განსაკუთრებით აღსანიშნავია რაჭა-ლეჩხუმში ჩატარებული კვლევის შედეგები.

კეზევაძე ნინო ვლადიმერის ასული – KEZEVADZE NINO (12.VII.1952, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1974 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქვე სწავლობდა ასპირანტურაში. 1983-1985 სტაჟირება გაიარა მოსკოვში გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1992 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს წყლის რესურსების ფორმირების, გამოყენებისა და დაცვის გეოგრაფიულ-ჰიდროლოგიური ანალიზი". მუშაობს საქართველოს წყლის რესურსული პოტენციალის შეფასების, გამოყენებისა და დაცვის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

სახელმძღვ.: მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური გეოგრაფია (სახელმძღვ. სტუდენტებისათვის), თბ., 1996 (თანაავტ.).

კეკელია ნანული ალექსანდრეს ასული – KEKELIA NANULI (25.I.1937, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1961-66 მუშაობდა ქ. თბილისის 91-ე რუსულ საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად.

1967-71 მუშაობდა სანიტარიისა და ჰიგიენის ინსტიტუტში კარტოგრაფად. 1977-დან თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრის დოცენტად. 1967-72 დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი გაიარა ქ. ლენინგრადში ჟდანოვის სახ. უნივერსიტეტში ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით, სადაც 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აღმოსაკლეთ საქართველოს მიწის ფონდი და მიწათგაუმჯობესების პრობლემები". გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომი, ძირითადად მიწის რესურსების და სოფლის მეურნეობის გეოგრაფიაში. მინიჭებული აქვს თსუ სამეცნიერო პრემია. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 საკანდიდატო დისერტაცია.

კეკელია ჯანსუღ იოსების ძე – KEKELIA JANSUGII (14.II.1935, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1996). 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1962 მუშაობა დაიწყო ამავე ფაკულტეტის გეომორფოლოგიის კათედრის ტექნიკოს კარტოგრაფად. 1973-დან კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრაზე ჯერ დოცენტად, შემდეგ პროფესორად. 1976-77 ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა. 1964-67 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აღმოსავლეთ – ცენტრალური ეკონომიკური რაიონის მოსახლეობისა და განსახლების ეკონომიკურ-გეოგრაფიული ანალიზი რაიონული დაგეგმარების მიზნებისათვის", ხოლო 1995 სადოქტორო დისერტაცია – „კარტოსემიოტიკა". 1996-დან მუშაობს აგრეთვე, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში კარტოგრაფიისა და აეროკოსმოსური კვლევის მეთოდების განყოფილების გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 160 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება კარტოგრაფიულ ნიშანთა ზოგადი თეორიის (კარტოსემიოტიკის), კარტოგრაფიის ენის ცნებობრივ-ტერმინოლოგიური სისტემის კვლევას. წლების განმავლობაში კითხულობს ლექციებს თსუ-ში გეოდეზიაში, მათემატიკურ კარტოგრაფიაში, კარტომეტრიაში. არჩეულია საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის წევრად კარტოსემიოტიკის კომისიაში. არის საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის პრეზიდენტი (1999).

მონოგრ. და სახელმძღვ: საველე პრაქტიკა ტოპოგრაფიაში. თბ., 1977; კარტომეტრია (სახელმძღვანელო), თბ., 1982; საქართველოს საზღვრები, 1996; კარტოსემიოტიკა. კარტოგრაფიულ ნიშანთა თეორიის ზოგადი საკითხები, თბ., 1998; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.).

კერესელიძე დავით ნოდარის ძე – KERESELIDZE DAVIT (14.V.1956, თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995). 1978 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1978-87 მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინჟინრად, შემდეგ უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად. მონაწილეობდა იმ ექსპედიციებში, რომელიც სწავლობდა წყლის ობიექტების (წყალსაცავების) დაჭუჭყიანების ხარისხს. 1979-81 ასპირანტურის კურსი გაიარა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის კვლევით ინსტიტუტში. 1986-87 სტაჟირებას გადიოდა კიოტოს (იაპონია) უნივერსიტეტში მდინარეთა ჰიდრავლიკის კათედრაზე პროფ. ივასას ხელმძღვანელობით. 1988-დან მუშაობს თსუ ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე დოცენტად, 1995-დან პროფესორად. 2003-დან ფაკულტეტის დეკანია. 2000-დან შეთავსებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ჰიდროლოგიის განყოფილების გამგეა. 1982 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს წყალსაცავების წყლის ხარისხის გამოკვლევა და პროგნოზირება", ხოლო 1994 სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს წყალსაცავების ჰიდროეკოლოგიური პრობლემები". ნაშრომში მიღებული შედეგები წარმოადგენს საქართველოს წყალსაცავების წყლის ხარისხის ფორმირების და მისი განმსაზღვრელი ფაქტორების მრავალმხრივ დასაბუთებას გარემოსთან მათი ურთიერთმოქმედების თავისებურებების თეორიულ განზოგადოებას და ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინებით წყალსაცავებში წყლის ხარისხის შენარჩუნებას, რეგულირებისა და პროგნოზირების მეცნიერულ გააზრებას, რაც ხელს უწყობს წყალსაცავების რაციონალურ და კომპლექსურ გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების პრაქტიკულ გადაწყვეტას. გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია და 2 სახელმძღვანელოა. წლების მანძილზე იგი იყო სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ხოლო 2000-დან დაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. არჩეულია იუნესკოსთან არსებული საქართველოს ეროვნული ჰიდროლოგიური კომისიის პრეზიდენტად (2001).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს წყალსაცავების ჰიდროეკოლოგიური პრობლემები, თბ., 1994; გეოგრაფია (ცნობარი), დამხმარე სახელმძღვანელო გეოგრაფიაში, თბ., 2002 (თანაავტ.); სამუშაო რვეული ფიზიკურ გეოგრაფიაში, თბ., 2003 (თანაავტ.); ფიზიკური გეოგრაფია (VI კლასის სახელმძღვ. თბ., 2003; მდ. მტკვრის აუზის წყალსაცავები, თბ., 2003.

კეჩხუაშვილი ნანა გიორგის ასული – KECHKHUASHVILI NANA (8.IV.1952, ს. ძევერა, გორის რ-ნი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1976 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ნიადაგების გეოგრაფიის სპეციალობით. 1977 მუშაობა დაიწყო სოფლის მეურნეობის აკადემიის ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1981-84 სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში. მუშაობდა თემაზე – „ანთროპოგენური ზემოქმედების გავლენა წითელმიწა ნიადაგების შედგენილობა-თვისებებზე". 1992 პარალელურად მუშაობა დაიწყო თბილისის ვ. დვალიშვილის სახ. მე-4 ქართულ გიმნაზიაში გეოგრაფიის მასწავლებლად, სადაც ამჟამადაც მუშაობს. 1998-2002 იყო დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი და აგრეთვე მეთოდური ხასიათის წერილები გაზეთებსა და ჟურნალებში. არის მასწავლებლის მეთოდური წიგნის – „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის" (IX კლ.) თანაავტორი. მიღებული აქვს რამდენიმე სიგელი და დიპლომი, წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება (1998), მინიჭებული აქვს მასწავლებლის უმაღლესი კატეგორია (1998).

კეცხოველი ნიკოლოზ (ნიკო) ნიკოლოზის ძე – KETSKHOVELI NIKOLOZ (26.XII.1897, ს. ტყვიავი, გორის რ-ნი, – 23.XI.1982, თბილისი), ბოტანიკოსი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1937), მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი (1941). 1926 დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1929-დან თსუ ბოტანიკის კათედრის დოცენტია, ხოლო 1933-დან ამ კათედრის გამგე. იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სასოფლო-სამეურნეო განყოფილების თავმჯდომარე (1942-57), ბიოლოგიის განყოფილების თავმჯდომარე (1957-63), ვიცე-პრეზიდენტი (1943-1945), თსუ რექტორი (1945-1952). 1963-დან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექტორი. ძირითადი შრომები ეხება საქართველოს მცენარეული საფარის გეობოტანიკურ, ბოტანიკურ-გეოგრაფიულ და სისტემურ გამოკვლევას, თანამედროვე მდგომარეობას, აღდგენისა და დაცვის პრობლემებს. მის მხატვრულ ნაწარმოებებშიც იგი გვეელინება როგორც ბუნებისმეტყველი და მეცნიერების პოპულარიზატორი, ბუნების სიმდიდრეთა და მშობლიური მხარის ღირსშესანიშნაობათა დამცველი. მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1945), თსუ-ს პრემია (1975). მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის სახელობის (1960), ი. ჯავახიშვილის სახელობის (1970) და სხვ. მედლები.

მონოგრ.: სარეველა მცენარეები და მათთან ბრძოლა, ტფ., 1928; მასალები კულტურულ მცენარეთა ზონალობის შესასწავლად კავკასიონზე, ტფ., 1928;

საქართველოს მცენარეულობის ძირითადი ტიპები, ტფ., 1935; კულტურულ მცენარეთა ზონები საქართველოში, თბ., 1957; საქართველოს მცენარეული საფარი, თბ., 1959; მკერდში დაჭრილი ბუნება, თბ., 1973; მომავლისაკენ გავიხედოთ, თბ., 1974.

ლიტ.: ნიკო კეცხოველი. ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1978; ქართული ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 479-480.

ᲥᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ ᲘᲚᲐᲠᲘᲝᲜ ᲗᲔᲝᲤᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ – KVARATSKHELIA ILARION (21.X.1907, ნაკიფუ, წალენჯიხის რ-ნი, – 17.VI.1993, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1930 დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო ქ. თბილისში მათემატიკის მასწავლებლად. 1931-34 გაიარა ლენინგრადის მთავარი გეოფიზიკის ობსერვატორიაში ასპირანტურის კურსი. 1934 დაინიშნა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის აეროლოგიური განყოფილების გამგედ, მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით დაიწყო ატმოსფეროს მაღალი ფენების რადიოზონდირება. მის სახელთან არის დაკავშირებული ამიერკავკასიის ატმოსფეროს მაღალი ფენების მეცნიერული გამოკვლევების დაწყება და ეროვნული კადრების მომზადება. 1941-45 სამამულო ომში იყო, სადაც სამხედრო ქვეგანაყოფებს უზრუნველყოფდა მეტეოროლოგიური ინფორმაციით და ამინდის პროგნოზით. 1945-დან მუშაობას განაგრძობს თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. 1948 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ტემპერატურული ველის თავისებურება თბილისში და მისი ურთიერთკავშირი აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემებთან". მასში მოცემულია თავისუფალ ატმოსფეროში ტემპერატურის განაწილების თავისებურება თბილისის აეროლოგიური მასალების საფუძველზე. 1965 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ამიერკავკასიის აეროლოგიური გამოკვლევა", რომელშიც შესწავლილია მეტეოროლოგიური ელემენტების განაწილების თავისებურებანი სიმაღლის მიხედვით ამიერკავკასიაში და მათზე რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გავლენა. 1953 შეიქმნა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომლის შექმნის ერთ-ერთი ინიციატორია ი. კვარაცხელია. იგი დაინიშნა დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. არის 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათში მოცემულია სითბოსა და სიცივის ტალღების გავრცელების გზები ამიერკავკასიაში. აეროსინოპტიკური მასალის საფუძველზე დადგენილია ჩრდილოეთიდან კავკასიაში ცივი და თბილი ჰაერის მასების გადმოსვლის შესაძლებლობა, დასავლეთ საქართველოში ფიონების წარმოქმნის ორიგინალური თეორია, აგრეთვე ნაკადური დინებების წარმოქმნის აეროსინოპტიკურ პირობებს და ტროპოპაუზის სტრუქტურულ თავისებურებას.

მონოგრ.: Аэрологические исследования в Закавказье, Л., 1964.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 44; Сванидзе Г.Г. Кварацхелия И.Ф. (к 75 летию со дня рождения). Метеорология и гидрология, 1982, №10, ст. 126.

კვარაცხელია ნანა ილიას ასული – KVARATSKHELIA NANA (10.VII.1947, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1970 დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიურ სამმართველოში. 1978-81 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრაზე და მუშაობა დაიწყო იმავე კათედრაზე ინჟინრად, შემდეგ უფროს მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1995-დან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1982 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „ატმოსფეროს სტრუქტურა კავკასიაზე". გამოქვეყნებული აქვს 18 სამეცნიერო ნაშრომი.

კვასხვაძე კვიროს ამბაკოს ძე – KVASKHVADZE KVIROS (12.VIII.1898, ს. ჯუნჯათი, ლანჩხუთის რ-ნი, – 1977, ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1922 მუშაობა დაიწყო ჯურუყვეთის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლად, ხოლო 1925 დმანისის რაიონის სოფ. გომარეთის გლეხი ახალგაზრდობის სკოლაში მასწავლებლად. 1931 რაიონის განათლების განყოფილების მიერ სწავლის გასაგრძელებლად მივლინებულ იქნა თსუ-ში, სადაც ჩაირიცხა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 1936 დაამთავრა თსუ ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით და საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ გაიგზავნა ლანჩხუთის რაიონის განათლების ინსპექტორად. იმავე წელს ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით, რომელიც 1939 დაამთავრა და დაინიშნა აკ. წერეთლის სახ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტში ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად. მუშაობდა აგრეთვე ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციებს ფიზიკურ გეოგრაფიაში. 1948-დან ძირითად სამუშაოდ გადმოდის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე. 1956 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდინარე აჭარისწყლის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". ნაშრომი წარმოადგენს მეცნიერულ გამოკვლევას, რომელიც ეხება შიგამთიანი აჭარის რელიეფს, გეოლოგიურ აგებულებას, ჰავას, მცენარეთა საფარს, ნიადაგებს, ცხოველთა სამყაროს და ადამიანის სამეურნეო საქმიანობას. ავტორია 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა.

კვერენჩხილაძე ლია გიორგის ასული – KVERENCHKHILADZE LIA (31.I.1951, ქ. დედოფლისწყარო), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1997). 1973 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1976-88 მუშაობდა ქ. თბილისის 102-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1988-დან მუშაობს თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედ-

რაზე, კითხულობს ლექციებს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში. 1995 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მოსწავლეთა ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის საკითხები საქართველოს გეოგრაფიის სწავლებაში". იკვლევს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის აქტუალურ საკითხებს, ეკოლოგიური განათლებისა და აღზრდის პრობლემებს. ავტორია 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა. დაჯილდოებულია სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით (1984).

სახელმძღვ.: მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია (IX კლ. სახელმძღვ.), თბ., 1990 (თანაავტ.); დედამიწა — ჩვენი პლანეტა (VI კლ. სახელმძღვ.) თბ., 2003 (თანაავტ.).

კვერენჩხილაძე რომან ილიას ძე — KVERENCHKHILADZE ROMAN (20.VII.1933, ს. ჩოჩხათი, ლანჩხუთის რ-ნი, — 19.I.1993, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1981). 1956 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1979 აირჩიეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, 1991-დან ასრულებდა დირექტორის მოვალეობას. 1963 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათება", ხოლო 1975 სადოქტორო დისერტაცია — „მოკავშირე რესპუბლიკების სატრანსპორტო სისტემის ფორმირების გეოგრაფიული პრობლემები". გამოქვეყნებული აქვს 150-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც დაბეჭდილია აგრეთვე უცხოეთის ქვეყნებში (აშშ, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და სხვ.). მისი სამეცნიერო ინტერესის სფერო იყო ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, რეგიონალური გეოგრაფია, გეოგრაფიის ისტორია და სხვ. შრომები შეეხება როგორც თეორიულ, ისე რეგიონალურ პრობლემებს. ტრანსპორტის პრობლემებზე გამოაქვეყნა მონოგრაფია, რომელშიც ახლებურადაა გაშუქებული ეკონომიკური გეოგრაფიის ბევრი საკითხი. მასში გამოყენებულია საწარმოო ძალთა განვითარება-განლაგების არსებული თეორიული კონცეფციები და მოცემულია ამ სფეროში ახალი მეთოდური დებულებები. საქართველოს მაგალითზე სრულადაა გაანალიზებული ტრანსპორტის მნიშვნელობა და როლი ეკონომიკური რაიონის სახელმწიფოებრივ კომპლექსში. ტრანსპორტის დარ კობრივი და რეგიონალური შესწავლის შედეგად გამოვლენილია რაიონული სატრანსპორტო სისტემის სპეციფიკური თავისებურებანი, გაშუქებულია სატრანსპორტო-ეკონომიკური კავშირების ნაციონალიზაციის საკითხები. რეგიონალური გეოგრაფიის საკითხებისადმია მიძღვნილი რიგი ნაშრომებშია რომლებშიც შესწავლულია სხვადასხვა რეგიონების ტრანსპორტი და ზოგადი ეკონომიკურ-გეოგრაფიული ნიშნები, რაიონის ეკონომიკური განვითარების

დონეები, ეკონომიკური დარაიონება, ისტორიული გეოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის საკითხები და სხვ. თანაავტორია სასკოლო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებისა. მასვე ეკუთვნის მრავალი სტატია დიდი საბჭოთა, უკრაიანის, ქართულ და სხვა ენციკლოპედიებისათვის. შრომების ნაწილი მიძღვნილია გეოგრაფიული მეცნიერების პრაქტიკული საკითხებისადმი. მონაწილეობდა სახალხო მეურნეობის საკითხებისადმი მიძღვნილ საგეგმო და საპროექტო სამუშაოებში. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. კითხულობდა ლექციებს თსუ-ში. წლების მანძილზე იყო საქართველოს განათლების სამინისტროს გეოგრაფიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სემინარის ხელმძღვანელი. მისი ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო დისერტაციები. დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1984). მიღებული აქვს ალ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია.

მონოგრ.: სამხრეთ ოსეთი (ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა), ცხინვალი, 1968; აკადემიკოსი თეოფანე დავითაია თბ., 1984 (თანაავტ); საქართველოს ტრანსპორტი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1986; გ. გეხტმანი, თბ., 1969; თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); გ. გეხტმანის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1992 (თანაავტ.); Географические проблемы транспорта Грузии, Тб., 1976.

კვირიკაძე გური საბას ძე – KVIRIKADZE GURI (15.VI.1905, ს. დიმი, ბაღდათის რ-ნი, – 10.X.1958), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1942). 1935 დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საშუალო სკოლაში მასწავლებლად. 1935 თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტია. 2 წლის შემდეგ სამუშაოდ გადაჰყავთ საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილების სწავლულ მდივნად. 1938 ინიშნება ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის უფროს მასწავლებლად. ლექციებს კითხულობდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში. 1942 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიანი რაჭის ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". მისი სამეცნიერო კვლევის სფეროს შეადგენდა დასავლეთ საქართველოს რეგიონული ხასიათის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები, განსაკუთრებით მემინდვრეობის საკითხები. ამ მიმართულებით გამოაქვეყნა 30-მდე სამეცნიერო შრომა.

კიკაბიძე საჩინო (აკთო) ილიას ძე – KIKABIDZE SACHINO (4.XI.1956, ქ. სენაკი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის კვალიფიკაციით. მუშაობა დაიწყო ტრესტ „კოლხეთმშენის" №5 მოძრავ-მექანიზირებულ კოლონაში – ოსტატად, სამუშაოთა მწარმოებლად. 1981-დან მუშაობს

მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტში, „საქაგრომრეწვში", სპეციალურ საპროექტო ბიუროში, „საქწყალექსპლოატაციაში" სხვადასხვა თანამდებობებზე. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „ნიადაგის წყლის ბალანსი და შაქრის ჭარხლის რწყვის რეჟიმი შიდა ქართლის პირობებში". გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც დამუშავებულია სასურსათო ფონდის შევსების მიზნით — სახალხო მეურნეობისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — ნიადაგის რწყვის რეჟიმისა და მელიორაციასთან დაკავშირებული საკითხები. არის აღმოსავლური ორთაბრძოლების (კარატე) ინსტრუქტორი (შავი ქამარი, მეორე „დანი").

მონოგრ.: სასურსათო პროგრამა — წყალი და მოსავალი, თბ., 1986 (თანაავტ.).

** КИКИЛАШВИЛИ ТЕБРО ЗАКАРИАС АСЫЛИ – KIKILASHVILI TEBRO** (29.XII.1907, დაბა ლაგოდეხი, — 7.XI.1991, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1943). 1936 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1936-39 გაიარა ასპირანტურის კურსი ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1939-44 იყო პედინსტიტუტის გეოგრაფიის დაუსწრებელი ფაკულტეტის დეკანი. ამავე დროს კითხულობდა ლექციებს სსრკ ფიზიკურ გეოგრაფიაში. 1942-47 მუშაობდა თელავის ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, იქვე იყო გეოგრაფიის კათედრის გამგე. 1947-1985 მუშაობდა თსუ ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. კითხულობდა ზოგადი ჰიდროლოგიისა და ოკეანოლოგიის, სსრკ ჰიდროგრაფიის კურსებს. 1945-56 შეთავსებით მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1942 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მდინარე მტკვრის ზემო წელის ჰიდროლოგიური რეჟიმი". იგი იკვლევდა საქართველოს მდინარეთა ქსელს. ჩაატარა საველე სამუშაოები მთელ საქართველოში და შეადგინა საქართველოს რეგიონების მდინარეთა ქსელის სიხშირის კოეფიციენტების რუკები. გამოქვეყნებული აქვს 31 სამეცნიერო სტატია. ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობასაც. მინიჭებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება.

სახელმძღვ.: ხმელეთის ჰიდროლოგიის პრაქტიკუმი, თბ., 1974 (თანაავტ.).

КИКНАДЗЕ АРЧИЛ ГРИГОЛИС ДЕ – KIKNADZE ARCHIL (26.VIII.1933, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1996), მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (2001). 1956 დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ინსტიტუტ „კავგიპროტრანსში" საინჟინრო-გეოლოგიური განყოფილების ტექნიკოსად, შემდეგ ინჟინერ-გეოლოგად. 1961-75 მუშაობდა წყლის

რესურსების სახელმწიფო კომიტეტში. იქვე, 1967-78 განყოფილების უფროსი იყო. 1978 აღნიშნული სამინისტრო გარდაიქმნა საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტად, სადაც თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა. 1980-92 სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქზღვისნაპირდაცვის" გენერალური დირექტორი და სსგ-ის მორფოდინამიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტუტუტის დირექტორია. 1972-81 მუშაობდა აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ზღვის ნაპირების დინამიკის ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1993 ამავე ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელია, 2002-დან კი ზღვის სანაპირო ზონის შემსწავლელი ჯგუფის ხელმძღვანელი. 1971-78 თსუ დოცენტია, ხოლო ამჟამად გეომორფოლოგიის და გეოეკოლოგიის კათედრის პროფესორი. 1970 მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „შავი ზღვის პლაჟის დინამიკა ნაპირდაცვის პოზიციებთან დაკავშირებით საქართველოს ფარგლებში", ხოლო 1990 თბილისში სადოქტორო დისერტაცია – „სანაპირო ზონის მორფოდინამიკა და მისი გამოყენების ოპტიმიზაცია (საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 90 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საზღვარგარეთ 28. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით საქართველოში შეიქმნა და განვითარდა საზღვაო სანაპიროს რელიეფის მორფოდინამიკის სამეცნიერო მიმართულება. ამ კვლევების შედეგების საფუძველზე შემუშავებულია და წარმატებით არის დანერგილი ზღვისპირა ლანდშაფტების დაცვა-აღდგენისა და მათი თვითგანვითარების პროცესების მართვის კონცეფცია, რომელიც მოიცავს აგრეთვე ბუნებათსარგებლობის რეგულირების ოპტიმიზაციასაც. ასევე, შემუშავებულია და პრაქტიკაში გამოცდილია აღნიშნული კონცეფციის რეალიზაციისათვის აუცილებელი მართვის არაორდინალური სამეცნიერო-ორგანიზაციული მოდელი, რომელსაც გააჩნია უჩვეულო სამართლებრივი ეკონომიკური სტატუსი და შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბუნების შესწავლა-დაცვის სხვა სფეროებშიც. არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპოდენტად (2001), საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსად (2000); დაჯილდოებულია სსრკ გეოლოგიური სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის „საპატიო სიგელით" (1966), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მედლით – „თავდადებული შრომისათვის" (1970, 1971), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1981), საქართველოს უმაღლესი საბჭოს სიგელით – „საქართველოს დამსახურებული გეოლოგი" (1983), სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის „შრომის წითელი დროშის ორდენით" (1986), ქ. ფოთის საქალაქო საბჭოს სიგელით – „ქ. ფოთის საპატიო მოქალაქე" (1987), სსრკ სახალხო

მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „დიდი სამახსოვრო მედლით“ (1989), ღირსების მედლით (2000), ღირსების ორდენით (2003).

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Основные мероприятия по защите берегов Черного моря между устьями рек Псоу и Чорохи, Тб., 1969; Защита Черноморского побережья от размыва моря, Тб., 1984 (соавт.); Берега Кубы и проблемы их защиты, Тб., 1989; Практическая экология морских регионов Черного моря, Киев, 1990 (соавт.).

კიკნაძე თამაზ ზაქარიას ძე – KIKNADZE TAMAZ (1.I.1936, თბილისი, – 27.VIII.1991, იქვე), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1959 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო „საქსახწყალპროექტში“ ინჟინერ-გეოლოგად. 1960 გადაიყვანეს საქ. მეცნ. აკად. პრეზიდიუმში სპელეოლოგიური საბჭოს სწავლულ მდივნად. 1964-66 ბიოლოგიის განყოფილების სწავლული მდივანია, 1966-82 იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის თანაშემწე. 1977-82 შეთავსებით მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიის ინსტიტუტში უფრ. მეცნ. თანამშრომლად. 1982-დან ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი. 1971 ქ. პერმის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „არაბიკის კირქვული მასივის კარსტი“, ხოლო 1986 სადოქტორო დისერტაცია – „მთიანი ქვეყნების კარსტის ჰიდროლოგია“. ამ უკანასკნელში აისახა მრავალი წლის შრომის მეცნიერული შედეგები. მისი მეცნიერული ინტერესის სფერო იყო კარსტო და სპელეოგენეზის პრობლემები თეორიულ და გამოყენებით ასპექტებში. შეისწავლა ბუნებრივი ფაქტორების გავლენა კარსტული პროცესების დინამიკაზე, მათ ევოლუციაზე დროსა და სივრცეში. დადგინა მთიანი ქვეყნების კარსტისა და კარსტული წყლების ფორმირების ძირითადი კანონზომიერებანი, რის საფუძველზე შექმნა ახალი მეცნიერული მიმართულება – მოძღვრება მთის კარსტის მიწისქვეშა წყლებზე. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილია მსოფლიოს უღრმესი კარსტული წყალშემცველი სისტემა გაგრის ქედზე. გამოქვეყნებული აქვს 75-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის ინგლისში, საფრანგეთში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, იტალიასა და ესპანეთში. იყო მრავალი საერთაშორისო კონგრესისა და კონფერენციის მონაწილე. 1964 ხელმძღვანელობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კარსტოლოგთა და სპელეოლოგთა პირველ დელეგაციას ჩეხოსლოვაკიაში, ხოლო 1969 საფრანგეთში. 1983 და 1985 ხელმძღვანელობდა სსრკ ექსპედიციას ეთიოპიაში აფრიკის უდიდესი მღვიმის სოფ ომარის შესასწავლად. იყო საკავშირო თათბირის ორგკომიტეტის თავმჯდომარე (1978), – „კარსტული მღვიმეების

გამოკვლევა მათი საექსკურსიო ობიექტებად გამოყენების თვალსაზრისით". ასევე საერთაშორისო სიმპოზიუმის – „მთიანი ქვეყნების კარსტის კომპლექსური შესწავლა" (1987). 1978-89 იყო საქ. მეცნ. აკად. სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე, 1989-91 საქ. სპელეოლოგიის საზოგადოების პრეზიდენტი. ამავე საბჭოს პერიოდული კრებულის „საქართველოს მღვიმეების და გამოქვაბულების" რედკოლეგიის თავმჯდომარე, მრავალი სამეცნიერო საბჭოსა და სამთავრობო კომისიის წევრი. დაჯილდოებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1962), მედლით შრომითი მამაცობისათვის (1979, სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1978), საქართველოს უმარლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1986), ჩეხოსლოვაკიის სპელეოლოგიური საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის ოქროს მედლით (1987).

მონოგრ.: დედამიწა და მრისხანე მოვლენები, თბ., 1964; სამი კონტინენტის კონტრასტები, თბ., 1985; Пропасти Арабики, Записки спелеолога, Тб., 1967; Карст массива Арабика, Тб., 1972; Геология, гидрология и активность известнякового карста (на примере Арабики), Тб., 1979; Гидрология карста Альпийской складчатой области юга СССР, М. 1984 (соавт.); Г. С. Дзоценидзе, М., 1986.

ლიტ.: თამაზ კიკნაძე – ნეკროლოგი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა". 13.IX. 1991.

კიკნაძე ნუგზარ აგაბოს ძე – KIKNADZE NUGZAR (24.XI.1946, ქ. ზუგდიდი), აფროსანი, მოგზაური. 1969 დაამთავრა ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკული ფაკულტეტი. სტუდენტობამდე მუშაობდა „თბილმშენის" მუშად, შემდეგ იყო ბათუმის თევზსაჭერი ტრალერისა (1969-70) და საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ქერჩის" ელექტრიკოსი (1970-71), საქმთავარენერგოს ინჟინერი (1971-72), სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტ „მიონის" საამწყობო საამქროს ინჟინერი (1972-73), არმიის ოფიცერი (1973-75), თბილქალაქმშენის II სამმართველოს მთავარი მექანიკოსი (1976-82), საპროექტო ინსტიტუტ „მეტრაქსის" წამყვანი კონსტრუქტორი (1982-88), საქართველოს აფროსნობის ფედერაციის ინსტრუქტორი (1988-94). მონაწილეობდა შავი, ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების აფროსანთა შეჯიბრებებში და საზღვაო ექსპედიციაში (1999) – „აბრეშუმის გზა – დიალოგის გზა" (ფოთი-გენუა-ფოთი). მას მთავარი საქმე – კვლევა-ძიება-ნაოსნობა ძველი კოლხეთისა და იბერიის ზღვაოსნებმა, ნავმშენებლებმა და მოგზაურებმა შთააგონეს. მარტოდმარტო მოგზაურობის სურვილი ამერიკელი – მსოფლიოს გარშემო აფრიანი ნავით პირველი მარტოდმარტო მოგზაურის ჯოშუა სლოკამი (1895-98) წიგნმა აღუძრა. თვითნაგები კრეისერული იახტით დედამიწის გარშემო მარტოდმარტო

ნაოსნობის პირველი ცდა უკვე ჰქონდა (1994-95). ფოთიდან კანარის კუნძულებს მიაღწია, მაგრამ უსახსრობის გამო მოგზაურობა შეწყვიტა. 2004-2006 ემზადება დედამიწის მარტოდმარტო შემოსავლელად მსოფლიოში ყველაზე მცირე (სიგრძე 3,27 მ) თვითნაგები კრეისერული იახტით. მარშრუტი – საქართველო-საბერძნეთი-იტალია-სამხრეთ ამერიკა-ჩინეთი-ინდოეთი-არაბეთი-ეგვიპტე-ისრაელი-კვიპროსი-საქართველო იქნება. იგი გამომგონებელი, დამპროექტებელი, ნავმშენებელი, აფროსანი, კაპიტანი, ვიდეოფილმების და საზღვაო წიგნის ავტორია.



მონოგრ.: პატარა იახტით დიდ ოკეანეში, თბ., 2003.

ლიტ.: ჯიშკარიანი ჯ. მარტოდმარტო იახტით დედამიწის გარშემო, გაზ. ასავალ-დასავალი, 19.IV. 1994; მანია გ. მარტოდმარტო დედამიწის გარშემო. გაზ. „ქართველი ერი", 21.VII. 1994; მანია გ. ნუგზარ კიკნაძის ოდისეა, „ბიზნეს კურიერი", 27.VIII. 1995; ყურუა თ. ნუგზარ კიკნაძის დაბრუნება. ჟურნ. „პოლიტიკა", №11, 1995 (და სხვ.).

ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ ᲐᲠᲩᲘᲚ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲔ – KILASONYA ARCHIL (2.XI.1920, ქ. ქუთაისი, – 14.III.1997, თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1976). 1938-41 სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, საიდანაც მეოთხე კურსის სტუდენტი გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. 1942 დაამთავრა თელავის საზენიტო არტილერიის სამხედრო სასწავლებელი. ომის დროს იბრძოდა უკრაინის I და II და ბელორუსიის I ფრონტზე ჯერ ოცეულის, შემდეგ ბატარეის მეთაურის თანამდებობებზე. მას მინიჭებული ჰქონდა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება. 1959 დაუსწრებლად დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი. მუშაობდა ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ინჟინრად. 1971-დან მუშაობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე ჯერ უფროს მასწავლებლად, ხოლო 1972-დან კათედრის დოცენტად. 1970 დაიცვა

საკანდიდატო დისერტაცია — „წყალსაცავთა მრავალწლიური რეგულირების გაანგარიშების საკითხისათვის მონტე-კარლოს მეთოდით". გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია.

მონოგრ.: Гидрология реки Бзыбь. Тб., 1961 (соавт.):Колхидская низменность. Природные условия и социально-экономические аспекты. Л., 1989 (соавт.).

კლიმიაშვილი ზაქარია მიხეილის ძე – KLIMIASHVILI ZAKARIA (1.VIII.1881, ს. რუისი, ქარელის რ-ნი, – 20.VIII.1934, თბილისი), პედაგოგი. 1910 დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. იმავე წელს სამუშაოდ აგზავნიან ლენქორანში (აზერბაიჯანი). 1914 დაბრუნდა თბილისში და იგზავნება თელავში, სადაც გაერთიანდა გიმნაზია და სასულიერო სასწავლებელი, რომლის დირექტორად დაინიშნა იგი. 1921 ბრუნდება თელავიდან და მუშაობას იწყებს მიწათმოქმედების სამინისტროში, რომელიც ქუთაისში გადაიტანეს, სადაც რამდენიმე თვე იყო ზ. კლიმიაშვილი. იმავე წელს ბრუნდება თბილისში განათლების სახალხო კომისარიატში და მოღვაწეობს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში. 1924 დააპატიმრეს და მოხვდა სიკვდილმისჯილთა სიაში. დეხმარა მ. ორახელაშვილი მეუღლის რეკომენდაციით, რომელთანაც მუშაობდა ზ. კლიმიაშვილი. იმავე წელსვე სამუშაოდ დაბრუნდა განათლების სახალხო კომისარიატში. პარალელურად თსუ ლექციებს კითხულობდა ლათინურ ენაში. მოღვაწეობდა აგრეთვე ჟურნალ „სახალხო სკოლისაკენ". შეადგინა სკოლის რამდენიმე სახელმძღვანელო გეოგრაფიაში, მათ შორის „საქართველოს გეოგრაფიაში". მასში კომპლექსურადაა მოცემული როგორც ფიზიკური, ისე ეკონომიკური გეოგრაფია. თავდაპირველად იგი შრომითი სკოლის VI ჯგუფის სახელმძღვანელო იყო, რომელიც დამტკიცებულია მეთოდორგანოს მიერ. 1934 იგი VII კლასის სახელმძღვანელოს წარმოადგენდა. წიგნს ახლავს რამდენიმე რუკა, მათ შორის ამიერკავკასიის, ფართოდ არის ილუსტრირებული სურათებით, გრაფიკებით, ცხრილებით. 1937 ამოღებულ იქნა ეკონომიკური ნაწილი და სომხეთ-აზერბაიჯანი. სახელმძღვანელო გამოვიდა „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის" სახით. თითქმის 20 წელი ისწავლებოდა ამ სახელმძღვანელოთი საქართველოს გეოგრაფია სკოლებში, რომელიც მე-16 გამოცემით დასრულდა. გარდა ამისა, შედგენილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის და კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია.

სახელმძღვ.: საქართველოს გეოგრაფია (VII კლასის სახელმძღვ.), თბ., 1927-44 (1-16 გამოცემა); სსრ კავშირის გეოგრაფია (სკოლის სახელმძღვ), თბ., 1929, 1930; კაპიტალისტური ქვეყნების გეოგრაფია (VI კლასის სახელმძღვ.), თბ., 1932.

ლიტ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 559; მეტრეველი ზ. მისაგებელს უნდა მიეგოს, გაზ. „გორი", 13.VIII. 1991.

კლოპოტოვსკაია ნინო ბორისის ასული – KLOPOTOVSKAYA NINO (31.XII.1941, თბილისი, – 30.IV.1995, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 წარჩინებით დაამთავრა თბილისის ა. პუშკინის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1958-1961 მუშაობდა კოლექტორად VII რაიონის ექსპედიციაში (მოსკოვის ფილიალი). 1961-1980 იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მეოთხეული გეოლოგიის განყოფილების თანამშრომელი, 1974-დან უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1980-დან გარდაცვალებამდე მუშაობდა ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1973 მოსკოვში გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პალეობოტანიკაში – „კავკასიონის მთიანი მხარეების სპორა-მტვრიან სპექტრთა ფორმირების ძირითადი კანონზომიერებანი". მისი გამოკვლევების ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა პალინოლოგიური მეთოდის გამოყენება მთიანი მხარეების პალეოგეოგრაფიული რეკონსტრუქციებისათვის, კერძოდ, კავკასიის მეოთხეულ პერიოდის სხვადასხვა ქრონოლოგიური დონეების (ეოპლეისტოცენიდან ჰოლოცენის ჩათვლით) პალეობოტანიკური და პალეოკლიმატური პირობების გაშიფვრა (ამოცნობა). გამოქვეყნებული აქვს 65 სამეცნიერო ნაშრომი. ბოლო ხანებში იგი მუშაობდა ზედა პლეისტოცენური გამყინვარების (მაქსიმალური აცივების პერიოდი 18000 წლის წინათ) პალეოგეოგრაფიული სურათის აღდგენაზე რელიქტური ფლორის ადგილსამყოფლების გავრცელების მიხედვით. იგი მოხსენებებით გამოდიოდა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში (ინდოეთი, უნგრეთი, ესპანეთი, ჩინეთი და სხვ.), სადაც გამოქვეყნებულია მოხსენებების სრული ტექსტები. იყო რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების წევრი და საქ. მეცნიერებათა აკადემიის მეოთხეული პერიოდის შემსწავლელი კომისიის სწავლული მდივანი.

მონოგრ.: Основные закономерности формирования спорово-пыльцевых спектров в горных районах Кавказа, Тб., 1973; Палинология Каинозоя средней Азии и Кавказа, Душанбе 1980 (соавт.).

კლოპოტოვსკი ბორის ალექსის ძე – KLOPOTOVSKI BORIS (3.II.1903, ქ. გიუმრი, სომხეთი, – 1953, თბილისი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1928 დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტი სწავლული აგრონომის სპეციალობით. 1926 იგი სამეცნიერო კვლევებთან ერთად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისისა და ბაქოს უმაღლესი სასწავლებლების ნიადაგთმცოდნეობის კათედრებზე. 1937 დისერტაციის დაუცველად მიანიჭეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი და დოცენტის წოდება ნიადაგთ-

მცოდნეობის სპეციალობით. ომის პერიოდში ასრულებდა საგანგებო სამხედრო-გეოგრაფიული ხასიათის დავალებებს. შემდეგ მუშაობას იწყებს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. იგი იკვლევდა გეობოტანიკის, ფიზიკური გეოგრაფიის და მეოთხეული გეოლოგიის აქტუალურ საკითხებს. აღსანიშნავია მისი ნაშრომები კავკასიის ნიადაგების გეოგრაფიაში, პალეოგეოგრაფიასა და გეომორფოლოგიაში. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: Грузинская ССР М., 1955 (соавт.).

კობახიძე ემილ დავითის ძე – KOBAKHIDZE EMIL (11.IV.1935, თბილისი, – 26.III.1991, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1958 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობა. მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა. იყო რეკრეაციული გეოგრაფიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. 1963 ქ. ბაქოში დაიცვა დისერტაცია – „საქართველოს მთიანი რაიონების ეკონომიკური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები". მასში წინა პლანზე წამოწეულია მთიანი მხარეების დემოგრაფიული პრობლემები, მათი ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და საწარმოო ძალების განკითარება. 1979 ქ.მოსკოვში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „მოკავშირე რესპუბლიკების სამრეწველო-ტერიტორიული სისტემების ფორმირებისა და განვითარების ეკონომიკურ-გეოგრაიული პრობლემები". მასში გადმოცემულია სამრეწველო-ტერიტორიული სისტემების ფორმირების ზოგადთეორიულ ასპექტებთან ერთად, საქართველოში ინდუსტრიული ნორმების ტერიტორიული ორგანიზაციის საკვანძო პრობლემები. კვლევის სფერო იყო მრეწველობის, ბუნებრივი რესურსების და რეკრეაციული გეოგრაფია. ამ საკითხებზე გამოაქვეყნა მრავალი შრომა რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო გამოცემებში, მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია. მათში გაშუქებულია რესპუბლიკის მრეწველობის ტერიტორიული ორგანიზაციის კანონზომიერებანი, მრეწველობის განვითარებისა და განლაგებაზე მოქმედი ფაქტორები, მისი ცალკეული დარგების გეოგრაფია და როლი შიგარესპუბლიკური ეკონომიკური რაიონების სამეურნეო კომპლექსში. ფართო ყურადღება დაუთმო რეკრეაციულ-გეოგრაფიულ შესწავლას. შეიმუშავა რესპუბლიკის ტერიტორიის რეკრეაციული დარაიონების სქემა, რომელიც მიღებულია საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარების ტერიტორიულ ჭრილში დაგეგმვის საფუძველზე. მონაწილეობდა „საქართველოს კურორტების ატლასის" შექმნაში. ავტორია 160-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომელთაგან ათამდე მონოგრაფიაა. 1984 საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, მონოგრაფიისათვის „საქართველოს საწარმოო ძალების განვითარება", მიანიჭა აკად. ა. ჯავახიშვილის პრემია, 1987 მინისტრთა

საბჭომ, მონოგრაფიისათვის „კავკასიის მთიანი რაიონების სოციალ-ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები", მიაკუთვნა აკად. თ. დავითაიას სახ. პრემია. 1976 სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომი გადაეცა კოლექტიური მონოგრაფიისათვის „ალპები-კავკასია".

მონოგრ.: საქართველოს სსრ საკურორტო მეურნეობა და ტურიზმი, თბ., 1971; საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები, თბ., 1973; საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, თბ., 1980; სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები, თბ., 1988; თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); Промышленно-территориальные системы союзных республик, Тб., 1973; Промышленный комплекс Грузинской ССР, Тб., 1974; Развитие и размешение производительных сил Грузии, Тб., 1982; Социально-экологические и экономические проблемы горных районов Кавказа, Тб., 1985.

კოკოჩაშვილი გიორგი ვასილის ძე – KOKOCHASHVILI GIORGI (23.III.1893, ქ. ქუთაისი, – 18.II.1981, იქვე), ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1933). 1912 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და იმავე წელს შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე. 1914 ავადმყოფობის გამო სწავლა შეწყვიტა. 1925 სწავლა გააგრძელა თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომელიც 1930 დაამთავრა ზოოლოგიის სპეციალობით. 1922-25 მუშაობდა ქუთაისის საისტორიო-ეთნოგრაფიულ მუზეუმში. 1928-33 მუშაობდა ზოოლოგის კათედრაზე, შემდეგ კი თსუ-ში. 1933-დან გადმოდის ახლად გახსნილ ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც დაევალა ზოოლოგიური საგნების კითხვა. 1935-75 იყო ზოოლოგიის კათედრის გამგე, 1944-46 საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანი. სხვადასხვა წლებში შეთავსებით მუშაობდა – ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში დოცენტად და ბიოლოგიის კათედრის გამგედ (1935-39), თსუ დოცენტად (1945-48), ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დოცენტად (1952-55). 1941 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დასავლეთ საქართველოს მოლუსკები და მათი განაწილება ლანდშაფტურ ზონებში". ლექციებს კითხულობდა ზოოლოგიასა და ცხოველთა გეოგრაფიაში საბუნებისმეტყველო და გეოგრაფიის ფაკულტეტებზე. მისი სამეცნიერო კვლევის ობიექტი იყო დასავლეთ საქართველოს ფაუნა, კერძოდ, მოლუსკები. გ. კოკოჩაშვილის მეცნიერული ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა იმერეთისა და საქართველოს სხვადასხვა მხარეების ფაუნისტური მასალების შეგროვება-დამუშავება. ამ მასალების უმდიდრესი კოლექცია გადაცემულია თბილისში, ზოოლოგიის ინსტიტუტში. ხოლო ზოოლოგიის კათედრასთან დააარსა ზოოლოგიური მუზეუმი, რომელსაც ახლა მისი სახელი აქვს მიკუთვნებული. იგი ავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომის. დაჯილდოებული იყო რიგი ორდენებითა და მედლებით.

მონოგრ.: ქუთაისის მიდამოების ხმელეთის ნიჟარიანი მოლუსკების სარკვევი, თბ., 1956; რაჭანა, თბ., 1961; მასალა კონქოლოგიური ტერმინოლოგიისათვის, თბ., 1976.

კომახიძე ზურაბ ხარიტონის ძე – KOMAKHIDZE ZURABI (3.II.1926, ს. აჭყვისთავი, ქობულეთის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1936-42 სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში, საიდანაც სწავლა გააგრძელა ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც 1943 დაამთავრა. 1945 დაამთავრა ქ. ბათუმის ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტი. იმავე წლიდან მუშაობდა ს. დღვანის (ხულოს რ-ნი) რვაწლიანი სკოლის დირექტორად და გეოგრაფიის მასწავლებლად. 1948-დან სწავლა გააგრძელა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეორე კურსიდან, რომელიც დაამთავრა 1952 ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1952-55 მუშაობდა ს. ჩაისუბნის (ბათუმის რ-ნი) საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ და გეოგრაფიის მასწავლებლად, 1954-56 ს. აჭყვისთავის საშუალო სკოლის დირექტორად, 1956-60 ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, 1960-65 საქართველოს კპ ბათუმის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორად, 1965-82 პირველი, მეთოთხმეტე და მეთექვსმეტე საშუალო სკოლების დირექტორად და გეოგრაფიის მასწავლებელად. 1982-92 ქ. ბათუმის განათლების განყოფილების გამგეა. 1992-დან მუშაობდა გონიოს (ხელვაჩაურის რ-ნი) კოოპერაციული ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანად, ასპირანტურისა და დოქტორანტურის განყოფილების გამგედ, 1994-დან ამავე ინსტიტუტის პრორექტორია. ამჟამად მუშაობს აჭარის განათლებისა და კულტურის მუშაკთა მუზეუმის დირექტორად. 1972 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აჭარის სუბტროპიკული მეურნეობის აგრარულ-ინდუსტრიული კომპლექსი". გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო ნაშრომები ეკონომიკურ საკითხებზე, მათ შორის 2 ბროშურა – სახალხო განათლების ამაგდარი (ბათუმი, 1983), ბათუმის პიონერთა და მოსწავლეთა პარკი (ბათუმი, 1984). სხვადასხვა დროს არჩეული იყო ქობულეთის რაიონისა და ქ. ბათუმის რაიონული და საქალაქო კომიტეტის წევრად, დეპუტატად. 1998 არჩეულ იქნა ქ. ბათუმის საკრებულოს დეპუტატად. მიღებული აქვს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1960), აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი (1996), აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1967).

კოროშინაძე მაყვალა სერგოს ასული – KOROSHINADZE MAKVALA (18.VI.1933, თბილისი), გეოგრაფი. 1956 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1957-59 მუშაობდა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან

არსებულ სახელმძღვანელოთა გამომცემლობა „ცოდნაში" რედაქტორის თანამდებობაზე. 1959-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. მისი კვლევის სფეროს შეადგენდა მათემატიკური მეთოდებით რელიეფის შესწავლა, პარალელურად დაეუფლა კარტოგრაფიის უახლეს მეთოდებს, როგორც ინსტიტუტის კარტოგრაფიულ განყოფილებაში, ისე მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რუსეთის გეოგრაფიის ინსტიტუტში. წლების განმავლობაში მონაწილეობდა კარტოგრაფიულ სამუშაოებში საქართველოსა და მისი რეგიონების ატლასების მომზადებასა და გამოცემაში. გეომორფოლოგიურ განყოფილებასთან ერთად მუშაობდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეომორფოლოგიასა და დინამიკის შესწავლაში, მორფომეტრიულ მონაცემებზე „საქართველოს გეომორფოლოგიისათვის" და სხვ. ბოლო ხუთი წელი დაინტერესდა საქართველოს ჰიდროენერგორესურსების პოტენციალის კვლევით სხვადასხვა რეგიონებისათვის. შესრულებული აქვს ამ შინაარსის რამდენიმე რუკა. იკვლევს აგრეთვე ეკოლოგიის, კარტოგრაფიულ მეთოდიკას და შინაარს (ეკოკარტოგრაფია). წლების მანძილზე მონაწილეობდა გეოგრაფიულ, კარტოგრაფიულ კონგრესებსა და კონფერენციებში. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

კორძახია მიტროფანე ოტიას ძე – KORDZAKHIA MITROPHANE (4.VII.1890, ს. აბაშა, – 28.IV.1970, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1910 დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, 1915 კიევის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი პირველი ხარისხის დიპლომით. 1925-მდე მუშაობდა თბილისის საშუალო სასწავლებელში მასწავლებლად. იყო პირველი ქართული სასკოლო სახელმძღვანელოების თანაავტორი. 1924 მიიწვიეს თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, აქ სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდა კლიმატოლოგიის, მეტეოროლოგიის და სხვ. განყოფილებებს, სადაც პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწეოდა. მისი ხელმძღვანელობით კლიმატურად დამუშავდა თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის და საქართველოს ყველა მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები 1935-მდე, რის საფუძველზე გამოიცა მონოგრაფიული ნაშრომი „საქართველოს კლიმატური აღწერა". მასში გაშუქებულია საქართველოს ჰავა და მოცემულია თითქმის ყველა მეტეოროლოგიური ელემენტის კლიმატური მაჩვენებლების ცხრილები 100-მდე პუნქტისათვის. 1940 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ნალექები დასავლეთ საქართველოში". იმავე წელს იგი მიიწვიეს თსუ ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრაზე, სადაც კითხულობდა ლექციებს კლიმატოლოგიაში, მეტეოროლოგიაში, კლიმატური მასალების დამუშავების მეთოდიკაში. 1945-49 შეთავსებით მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის

სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც მეტად ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას აწარმოებდა. 1946 მოგვცა საქართველოს კლიმატური დარაიონება და შეადგინა საქართველოს დეტალური კლიმატური რუკა, რომლის გადამუშავებული ვარიანტი შევიდა „საქართველოს სსრ ატლასში". 1953-55 მუშაობდა საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კვლევით ინსტიტუტში. მრავალ საკითხთან ერთად აქ დაამუშავა სამედიცინო მიზნით ამინდის ტიპების კლასიფიკაცია. ამ კლასიფიკაციამ საკავშირო მასშტაბით ჰპოვა ფართო გამოხმაურება. თეორიულად და პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანია მ. კორძახიას გამოკვლევა კურორტ წყალტუბოს ჰავასა და მისი მიკროკლიმატის გაუმჯობესებისათვის საჭირო ღონისძიებების შესახებ. 1955-დან განაგრძობს კლიმატურ კვლევა-ძიებას ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, იკვლევს საქართველოს სხვადასხვა კუთხის მრავალფეროვან კლიმატურ პირობებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მონოგრაფია „საქართველოს ჰავა", რომელშიც გაშუქებულია საქართველოს კლიმატწარმომქმნელი ფაქტორები, ძირითადი მეტეოროლოგიური ელემენტების კლიმატური რეჟიმი, ამომწურავადაა დახასიათებული საქართველოს კლიმატური ოლქები, ზონები, ქვეზონები და გამოვლენილია რესპუბლიკის კლიმატური რესურსები. 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მონოგრ.: საქართველოს ჰავა, თბ., 1961; Климатическое описания Грузии, М.,-Л., 1935.

ლიტ.: ჯავახიშვილი შ. კორძახია. „მეცნიერება და ტექნიკა", 1965, №7, გვ., 43-44; ჯავახიშვილი შ. კორძახია. კრ. კლიმატური და ჰიდროლოგიური ელემენტების შესწავლისათვის, 1965; ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, 1977; ქართული ენციკლოპედია, ტ. 5, 1980, გვ. 682-683.; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; Краткая географическая энциклопедия, М. 1966, с. 467.

კორძახია რუსუდან სერაპიონის ასული – KORDZAKHIA RUSUDAN (31.III.1928, ს. აბაშა), კლიმატოლოგი 1950 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კლიმატოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში ინჟინერ-მეტეოროლოგად. 1953-დან მუშაობს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში უფროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათში შესწავლილია ზოგიერთი კლიმატური ელემენტების დროითი და სივრცობრივი განაწილების თავისებურებები. განსაკუთრებული ყურადღება დათმობილი აქვს ჰაერის სინოტივის შესწავლას, აეროპორტების კლიმატურ დახასიათებას, წაყინვებს საქართველოს ტერიტორიაზე. დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1964), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომი (1984).

მონოგრ.: Климат и климатические ресурсы Грузии, Л., 1971; Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1983; Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л.,1983 (соавт.); Климат Тбилиси, Л., 1993 (соавт.).

კოტარია ანდრო თომას ძე – KOTARYA ANDRO (14.I.1919, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1991). 1938 სწავლა დაიწყო თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1941 გაიწვიეს შეიარაღებულ ძალებში; დაამთავრა საზენიტო არტილერიის საოფიცრო სასწავლებელი ლეიტენანტის ჩინით. ომის პერიოდში იმყოფებოდა კარელიის ფრონტზე ოცეულის მეთაურად. 1946-დან, დემობილიზაციის შემდეგ, სწავლა გააგრძელა, რომელიც 1948 დაამთავრა. იმავე წელს მუშაობა დაიწყო კურორტოლოგიის ინსტიტუტში. 1949-52 გაიარა ასპირანტურის კურსი ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1952 მუშაობა დაიწყო თსუ ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე. 1953 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბრიზები დასავლეთ საქართველოში". 1957 მიანიჭეს დოცენტის წოდება. 1977 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ორტომეულ სახელმძღვანელოზე – „ზოგადი მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია". 1991 მიენიჭა პროფესორის წოდება. ამჟამად მუშაობს საქართველოს ტერიტორიის მზის რადიაციულ პროცესზე. გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის სამი სახელმძღვანელო და ერთი ლექციების კურსი.

მონოგრ. და სახელმძღვ: ზოგადი მეტეოროლოგია და კლიმატოლოგია, ტ. I და II, თბ., 1972; 1973; მეტეოროლოგიურ დაკვირვებათა კლიმატოლოგიური დამუშავების მეთოდები, თბ., 1987; Перспективы освоения Колхиды, Тб., 1984 (соавт.).

კოღოშვილი ლიდა ვასილის ასულ – KOGHOSHVILI LIDA (26.IV.1912, თბილისი, – 23.I.1996, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. მუშაობდა 15 წლის ასაკიდან თბილისის სხვადასხვა საწარმოებისა და მშენებლობის ობიექტებზე. 1929 განათლების მისაღებად მიემგზავრება ქ. ლენინგრადში. აქ იგი იწყებს მუშაობას ქარხანა „წითელ პუტილოვეც"-ში; ამავე დროს საღამოს მუშათა ფაკულტეტისა და უმაღლესი კომუნისტური სკოლის მსმენელია. 1933-39 სწავლობდა ლენინგრადის სამთო ინსტიტუტში. სწავლის პერიოდში აწარმოებდა საველე კვლევას მუგოჯარის სტეპებში, უსურიის ტაიგასა და შორეული აღმოსავლეთის ზღვისპირეთის რაიონებში. 1939 დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტი გეოლოგის სპეციალობით. ამავე წლიდან, როგორც ახალგა-

ზრდა სპეციალისტი, ეწევა სამეცნიერო-გეოლოგიურ მუშაობას ბარიტის საბადოს რაიონებში, ყაზახეთსა და შემდეგ აფხაზეთის რაიონებში. ომის დროს მუშაობა უხდებოდა უფროსი გეოლოგის თანამდებობაზე მერისის სადაზვერვო პარტიის სპილენძის საბადოებში (აჭარა). შემდეგ მუშაობას იწყებს ტყიბულისა და ტყვარჩელის საბადოებში. 1947-50 ასპირანტურის კურსი გაიარა გეოლოგიის ინსტიტუტში ალ. ჯანელიძის ხელმძღვანელობით და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მუხრანის ვაკის გეოლოგია და ჰიდროლოგია". შემდგომში მუშაობდა საქართველოს ნეოტექტონიკის შესწავლაზე. 1963-დან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც მისი კვლევები აისახა სამეცნიერო შრომებში, მათ შორის 2 მონოგრაფიაში. სწორედ ამ მონოგრაფიების საფუძველზე 1975 წელს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა. გარდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა, იგი აქტიურად იღწვოდა ლიტერატურულ და ჟურნალისტურ მოღვაწეობაზე. მას გამოქვეყნებული აქვს პუბლიცისტური სტატიები, მოთხრობები, ფელეტონები, რო

ბუნებათსარგებლობის პრობლემები". კვლევის შედეგები დამყარებულია ფიზიკურ-გეოგრაფიული და კარტოგრაფიულ მეთოდებზე; გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო და მეთოდური ნაშრომი. არჩეულია საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ასოცირებულ წევრად. დაჯილდოებულია განათლების სამინისტროს დიპლომით პედაგოგიურ კითხვაში საუკეთესო თემის წარდგენისათვის (2001). მიღებული აქვს წლის საუკეთესო პედაგოგის წოდება (1998, 2000).

ᲙᲣᲠᲓᲦᲔᲚᲐᲘᲫᲔ ᲒᲐᲠᲡᲔᲕᲐᲜ ᲛᲔᲚᲘᲢᲝᲜᲘᲡ ᲫᲔ – KURDGHELAIDZE GARSEVAN (11.XI.1920, ს. შენაქო, ახმეტის რ-ნი, – 12.X.1983, თბილისი, დაკრძალულია ს. ქვემო ალვანში). 1956 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგია-კლიმატოლოგის სპეციალობით. მუშაობდა თუშეთში ჰიდრომეტეოროლოგიური სადგურის უფროსად. 1957 მიიწვიეს ანტარქტიდის მე-3 საბჭოთა ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, სადაც ორი წელი დაჰყო. ანტარქტიდის სამეცნიერო-კვლევით სადგურ „კომსომოლსკაიაზე". აღნიშნული მუშაობის შედეგად გამოაქვეყნა წიგნი – „ანტარქტიდის დღიური". 1970 და 1971 ორჯერ იყო მიწვეული სსრკ ჰიდრომეტსამსახურის ოკეანოლოგიურ ექსპედიციებში გემ „მუსონზე", რომელიც ატლანტის ოკეანეს იკვლევდა. მისი უშუალო მონაწილეობით სრულდებოდა ბათიმეტრული და ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვებანი. 1959-დან მუშაობას იწყებს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქ იგი სათავეში ჩაუდგა ქართველ გლაციოლოგთა ექსპედიციებს და წლების მანძილზე მუშაობდა მთის მყინვარებზე და მდინარეებზე. ამ სამუშაოთა საფუძველზე დაწერა 50-ზე მეტი ნაშრომი, რომელთა მეტი ნაწილი გამოქვეყნებულია. მონაწილეობდა საქართველოს მყინვართა კატალოგის შედგენაში (1975). იგი სწავლობდა აგრეთვე მღვიმე-გამოქვაბულებს აფხაზეთ-სამეგრელოში. მუშაობდა გეოგრაფიის ინსტიტუტის სიონის ექსპერიმენტულ ლაბორატორიაში, სადაც აწარმოებდა კომპლექსურ დაკვირვებებს, რის საფუძველზე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი. გარდა ამისა, იგი საინტერესო წერილებს ბეჭდავდა ჟურნალ-გაზეთებში, იყო თვითმოქმედ ხელოვანთა რამდენიმე გამოფენის მონაწილე.

მონოგრ.: ანტარქტიდის დღიური, თბ., 1962; თუშეთი (მეურნეობა, ბუნება, ტოპონიმიკა), თბ., 1983.

ლიტ.: თუში ვაჟკაცი ანტარქტიდული ექსპედიციის მონაწილე. – გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1957, 7.IX. გვ. 1; კვერენჩხილაძე რ. მოლოცვა ანტარქტიდიდან. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1957, 18.X, გვ. 3; ნიშნიანიძე ქ., ჟღენტი თ. ქართველი მკვლევარები ანტარქტიდაში, გაზ. „თბილისი", 1962, 23.III, გვ. 3; მერაბაშვილი მ. იქ ყინულთა სამეფოში, გაზ. „ახალი თაობა", 1974, 27.VIII, გვ. 2-3.

ლაზარაშვილი-ჯიბლაძე მარინე იასონის ასული – LAZARASHVILI -JIBLADZE MARINE (23.I.1951, თბილისი), გეოგრაფი. 1975 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1974-დან პერიოდულად მუშაობდა თსუ მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარში ლაბორანტის თანამდებობაზე. 1976-დან შეთავსებით ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში. 1997-დან მუშაობს ქ. თბილისის სამგორის რაიონის განათლების განყოფილებაში გეოგრაფიის სწავლების მეთოდისტად; აქვე, რაიონის სკოლების ბაზაზე ჩამოაყალიბა „მცირე გეოგრაფიული საზოგადოება". ამჟამად მუშაობს თსუ-ის მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარში ინჟინრის თანამდებობაზე. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საშუალო სპეციალური განათლების სისტემაში. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ნაწილი ეხება მეთოდურ საკითხებს. მისი თანაავტორობით გამოიცა „სამუშაო რვეულები გეოგრაფიაში" VIII და IX კლასებისათვის (1998).

ლაისტერი ალექსანდრე ფილიპეს ძე – LISTER ALEXANDRE (4.IV.1884, ს. ახტა, სომხეთი, – 1.II.1941, თბილისი), გეოგრაფი, პროფესორი (1932). 1907 დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტი. 1907-11 იცვლიდა სამუშაო ადგილებს, მუშაობდა გროზნოში. 1923-დან მოღვაწეობდა თბილისში. იყო საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი და კითხულობდა ლექციებს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1937-დან თსუ-ში ქვეყანათმცოდნეობის კათედრის პროფესორია. 1939-41 ამავე კათედრის გამგე. 1913-29 რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების (1924-დან საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება) სწავლული მდივანია და მისი პერიოდული გამოცემის რედაქტორი. 1931-34 სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სწავლული მდივანია. ა. ლაისტერი გეოგრაფიის ყველა დარგში ჩახედული, მრავალმხრივი მკვლევარი იყო. იგი სათავეში ედგა „ამიერკავკასიის გეოგრაფიული ლექსიკონის" რედაქციას. აღსანიშნავია მისი კვლევები კავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის დარგში. მისი ნაშრომები იყო აგრეთვე ზოოლოგიაში, ჰიდროლოგიაში, ეთნოგრაფიასა და ალპინიზმის ისტორიაშიც. 1908-დან ამ საკითხებზე არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა სხვადასხვა ჟურნალებში და კრებულებში. მან გ. ჩურსინთან ერთად შეადგინა და გამოაქვეყნა ორი წიგნი, რომლებშიც შეჯამებულია კავკასიისა (1924) და ამიერკავკასიის (1929) შესახებ მოპოვებული მთელი გეოგრაფიული ცოდნა. ა. ლაისტერი ბრწყინვალე ორატორი და ლექციების წამყვანი იყო. ლექციებს კითხულობდა რუსულად და სტუდენტები, რომლებიც ცუდად

ფლობდნენ რუსულ ენას, მაინც დაძაბული ყურადღებით უსმენდნენ. დაკრძალულია ვერეს ძველ სასაფლაოზე.

მონოგრ.: География Кавказа, Тифлис, 1924 (соавт.); География Закавказья, Тифлис, 1929 (соавт.).

ლიტ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1986, გვ. 110; მარუაშვილი ლ. კავკასიის თვალსაჩინო გეოგრაფოსი (ალექსანდრე ფილიპეს ძე ლაისტერის დაბადებიდან 100 წლისთავზე), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, ტ. XVII, თბ., 1988, გვ. 200-207.

ლაოშვილი ზურაბ დიმიტრის ძე – LAOSHVILI ZURAB (17.III.1963, ს. სვენეთი, გორის რ-ნი), გეომორფოლოგი. 1990 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის სპეციალობით. 1988-90 მუშაობდა თსუ გეომორფოლოგია-გეოეკოლოგიის კათედრაზე ლაბორანტად. 1990-დან იმავე კათედრასთან ახლად დაარსებულ გეოეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1997-დან კი კათედრასთან არსებულ დედამიწის დისტანციური ზონდირების სასწავლო-სამეცნიერო ცენტრში მეცნიერ-თანამშრომლად. 1992-დან შეთავსებით მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიისა და აეროკოსმოსური მეთოდების განყოფილებაში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1996-97 კი, ასევე შეთავსებით, გეოლოგიური ინსტიტუტის აეროკოსმოსური მეთოდების განყოფილებაში. 1999-დან თანამშრომლობს ქართული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციასთან, როგორც კარტოგრაფი. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, 15-მდე სხვადასხვა მასშტაბის რუკა, ძირითადად რუკის ციფრული ვარიანტები. მონაწილეობა მიიღო გარემოს დაცვის სფეროში განხორციელებულ რამდენიმე პროექტში, პროექტის თანაავტორი და კოორდინატორი. 1994-დან არასამთავრობო გარემოს დაცვითი ორგანიზაცია „პოსეიდონის" თანათავმჯდომარეა. 1995-96 არჩეულ იქნა საქართველოს შავი ზღვის პრობლემებზე მომუშავე გარემოსდაცვითი ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ. 1998-2002 იყო გეოინფორმაციული სისტემების (გის) და დისტანციური ზონდირების საკონსულტაციო ცენტრის „გეოგრაფიკის" დირექტორი.

მონოგრ. და სახელმძღვ.: გეომორფოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1996 (თანაავტ.); დედამიწა – ჩვენი პლანეტა (VI კლ. სახელმძღვ.), თბ., 2003 (თანაავტ.).

ლაღიძე ლამზირა დავითის ასული – LAGHIDZE LAMZIRA (1.XII.1952, ს. ობჩა, ბაღდათის რ.), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1982). 1975 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის და

ოკეანოლოგიის კათედრაზე. 1980-1983 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1985 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „ულტრამოკლე რადიოტალღების გავრცელების მეტეოროლოგიური პირობები ამიერკავკასიის ტერიტორიაზე". მუშაობს რადიომეტეოროლოგიისა და ატმოსფეროს ეკოლოგიის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ლაშხი თენგიზ ავთანდილის ძე – LASHKHI TENGIZ (26.XI.1927, თბილისი), გეოგრაფი. 1958 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1959-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად (1960), უფროს ინჟინრად (1961), წამყვან ინჟინრად (1983), ხოლო 1983-დან დაინიშნა დაბა სიონის (თიანეთის რ-ნი) გეოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტაციონარის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. მონაწილეობდა ინსტიტუტის გლაციოლოგიურ ექსპედიციებში. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: Каталог ледников СССР. т. 9, Закавказье и Дагестан, вып. I, часть 2-6, Л., 1975 (соавт.).

ლაშხია შოთა ბიქტორის ძე – LASHKHIA SHOTA (10.IV.1928, ს. გუდავა, გალის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1987). 1944 დამთავრა სოხუმის პედაგოგიური სასწავლებელი, ხოლო 1948 სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1948-51 გაიარა ასპირანტურის კურსი პროფესორების ბორის დობრინინის და ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით. 1951-93 მუშაობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში (აფხაზეთის უნივერსიტეტი). ბოლო წლებში იყო გეოგრაფიის კათედრის გამგე. 1959 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „აფხაზეთის ასსრ სანაპირო ზოლის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". მასში მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე დეტალურად არის დახასიათებული ამ მხარის ბუნებრივი პირობები. ეს იყო პირველი კომპლექსური გეოგრაფიული ნაშრომი. მისი თავდაპირველი კვლევის სფერო — გეომორფოლოგია და სპელეოლოგია, თანდათანობით შეიცვალა ბუნებრივი რესურსების კვლევით და მათი გამოყენების გეოგრაფიულ (რეგიონალურ) პრობლემებზე. 1984 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „ბუნებრივი რესურსების გამოყენების ტერიტორიული ორგანიზაცია, აფხაზეთის ასსრ მაგალითზე". ნაშრომში მრავალი პრობლემაა დასმული და ბევრი ცათგანი მეცნიერულად არის ახსნილი. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ქართულ და უცხოურ ენებზე. უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა მოსახლეობის გეოგრაფიის, სსრკ და საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიის, აფხაზეთის ბუნებრივ რესურსებსა

და მათ გამოყენებაზე. 1980-85 იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სოხუმის ფილიალის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია სსრკ უმაღლესი განათლების სამინისტროს სამკერდე ნიშნით (1980), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1978). მინიჭებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

მონოგრ.: Природа Абхазии, Сухуми, 1961 (соавт.); Абхазская АССР. Природные ресурсы и хозяйственная практика, Тб., 1982.

ლემონჯავა არველოდი კონსტანტინეს ძე – LEMONJAVA ARVELODI (18.IV.1930, ს. თაგილონი, გალის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1953 დაამთავრა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ს. თაგილონის რვაწლიან სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1954-დან მიიწვიეს სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად. 1957-60 ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით აკად. ალ. ჯავახიშვილისა და პროფ. გ. გველესიანის ხელმძღვანელობით. 1959-დან კითხულობს ლექციების კურსს საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიაში, მოსახლეობის გეოგრაფიაში, გეოგრაფიის კვლევის მეთოდიკაში, გეოგრაფიის ისტორია და მეთოდოლოგიაში, ბუნებრივი რესურსების გეოგრაფიასა და სხვ. 1979 და 1984 გაიარა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში კვალიფიკაციის ამაღლების კურსები ეკონომიკურ გეოგრაფიაში და საზღვარგარეთის ეკონომიკურ და პოლიტიკურ გეოგრაფიაში. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების, რეკრეაციული და სოფლის მეურნეობის გეოგრაფიის საკითხებს.

ლეჟავა ვახტანგ მიხეილის ძე – LEZHAVA VAKHTANG (10.VI.1919), გეომორფოლოგი. 1938 ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 1941-46 იმყოფებოდა არმიაში, მონაწილეობდა სამამულო ომში. დემობილიზაციის შემდეგ სწავლა გააგრძელა და 1949 დაამთავრა გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1948-დან მუშაობს თსუ-ში. 1965-დან არის გეომორფოლოგიის კათედრის უფროსი მასწავლებელი. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს გეომორფოლოგიური აგებგმვა და კარტოგრაფიაში, ზოგად დედამიწათმცოდნეობაში, გეომორფოლოგიაში, გამოყენებით გეოგრაფიაში, საქართველოსა და კავკასიის გეომორფოლოგიაში, ზოგად ფიზიკურ გეოგრფიაში. 1971-79 იყო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე საღამოს განყოფილებაზე. შესრულებული აქვს 53 ნაშრომი, რომელთაგან 21 გამოქვეყნებულია.

მისი სამეცნიერო თემატიკა ეხება ღვარცოფულ პროცესებს, მეწყრებს, ხრამებს, ტერასებს და სხვ. შესრულებულ სამუშაოებს აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. მინიჭებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1983).

ᲚᲔᲫᲐᲕᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒᲘᲡ ᲫᲔ – LEZHAVA VLADIMER (21.V.1938, თბილისი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1998). 1961 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ახლანდელი აგრარული უნივერსიტეტი) ნიადაგთმცოდნეობის სპეციალობით. 1961-74 მუშაობდა ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტში ლაბორანტის, შემდეგ უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1974-დან მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ხმელეთის ჰიდროლოგიის და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე დოცენტის, ამჟამად პროფესორის თანამდებობაზე. შეთავსებით მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ლანშაფტების ეკოლოგიისა და გარემოს მონიტორინგის განყოფილებაში (1996-დან). 1964-67 გაიარა ასპირანტურის კურსი ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის ინსტიტუტში აკად. მ. საბაშვილის ხელმძღვანელობით. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია: „სუბტროპიკული ეწერი ნიადაგების დახასიათება გაკულტურების მაჩვენებლების მიხედვით“, 1993 კი სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს ეწერი ორთშტეინიანი ნიადაგები – ვერტისოლები“. გამოქვეყნებული აქვს 112 სამეცნიერო ნაშრომი. 1974-75 ქ. მოსკოვში დაამთავრა „სოიუზენეშტორგის“ და „სოიუზვაგრანპროსტავკის“ სპეკურსი და მიენიჭა გაეროს ექსპერტის წოდება სოფლის მეურნეობაში. არის ნიადაგთმცოდნეთა საზოგადოების სწავლული მდივანი (1983). ნიადაგთმცოდნეთა, ხმელთაშუა ზღვის ტიპის კლიმატის ნიადაგების, მეოთხეული პერიოდის კვლევის (პალეონიადაგების) საერთაშორისო კავშირის წევრი, საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის ნამდვილი წევრი (2002). მინიჭებული აქვს სახელმწიფო პრემია (2002), ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია (1993), დოკუჩაევის დაბადების 100 წლის საიუბილეო მედალი.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია თბ., 2000 (თანაავტ.); Колхидская низменность – природные условия и социально-экономические аспекты, Л., 1989 (соавт); Почвенный покров и рациональное использование земель влажных субтропиков (доп. пособие для иностр. студентов), Харьков, 1989; Полевая диагностика субтропических и тропических почв, Харьков, 1990.

ᲚᲔᲫᲐᲕᲐ ᲖᲐᲖᲐ ᲘᲝᲐᲜᲔᲡ ᲫᲔ – LEZHAVA ZAZA (11.XI.1956, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1979 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1980-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში.

ამჟამად უფროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1984-88 გაიარა დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი თსუ გეომორფოლოგიის კათედრაზე. 1993 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ზემო იმერეთის და მიმდებრე რაიონების კარსტი". ზემო იმერეთის პლატოზე პირველად ჩაატარა კარსტის კომპლექსური გამოკვლევა, სადაც ბაქნური კარსტის პირობებში მიწისქვეშა კარსტული წყლების ერთიანი დონის წარმოქმნის ტენდენციასთან ერთად, გამოვლინდა დიზუნქტიური დისლოკაციებით შეპირობებული ნაპრალოვან-კარსტული ნაკადების იზოლირებული სისტემები; ტერიგენული ნალექების ლაბორატორიული კვლევის საფუძველზე დადგენილ იქნა მღვიმეებში ნალექდაგროვების თვისებურებები და სართულებრივ განლაგებულ კარსტულ სიღრუეების ევოლუციის კანონზომიერებანი; შესწავლილ იქნა პრაქტიკული საკითხები. ამუშავებს საკითხებს კარსტო და სპელეოგენეზის პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი.

ლეფონავა გივი ვლადიმერის ძე – LEPHONAVA GIVI (6.V.1934, ქ. ოჩამჩირე), ოფიცერი, სამხედრო გეოგრაფიის სპეციალისტი. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1952 ჩაირიცხა სამხედრო აკადემიაში. მეორე კურსზე მიიღო ოფიცრის წოდება. 1975-დან არის პოლკოვნიკი. 1959-88 გერმანიაში, იმიერბაიკალისა და ამიერკავკასიის ოლქების შტაბებში მსახურობდა, რომლის დროსაც შეისწავლა ევროპის, შორეული აღმოსავლეთისა და ახლო აღმოსავლეთის სამხედრო მოქმედებების თეატრების გეოგრაფია. 1993 სამსახური დაიწყო შეიარაღებულ ძალებში. იგი ხელმძღვანელობს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-სამეცნიერო ცენტრს, რომლის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სამხედრო გეოგრაფიის საკითხებს, ქვეყნის ტერიტორიის ოპერატიულ დარაიონებას და მის ოპერატიულ მოწყობას თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. 1997 შეიქმნა გენერალური შტაბის სამხედრო გეოგრაფიის სამეცნიერო კომისია, რომლის ხელმძღვანელია გ. ლეფონავა. ეს კომისია აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან, სადაც გახსნილია სამხედრო-გეოგრაფიის განყოფილება. ასევე ნაყოფიერი კავშირებია გეოგრაფიისა და ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტებთან, თსუ-ს გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტთან. მისი ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით დამუშავდა სამხედრო გეოგრაფიის პროგრამა, რომელიც დაიბეჭდა გარკვეული ტირაჟით. 2001-დან თსუ-სა და სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აკადემიაში იკითხება სამხედრო გეოგრაფიის კურსი. სამხედრო გეოგრაფიის საკითხებზე გ. ლეფონავას გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ლიპარტელიანი გულიკო არტემის ასული – LIPARTELIANI GULIKO (18.VI.1939, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1980). 1962 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1962-64 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ლაბორანტად. იქვე, 1964-68 ასპირანტურის კურსი გაიარა ეკონომიკური კარტოგრაფიის სპეციალობით. 1968-დან მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ეკონომიკური გეოგრაფიის, ხოლო 1973-დან კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრის ასისტენტად, კათედრის გამგის მოადგილედ და დოცენტად. პარალელურად, 1980-დან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ვ. მელიქიძის სახ. სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონალური პრობლემების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი) სოციალური და ეკონომიკური კარტოგრაფირების სექტორის გამგე და წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია. 1979 ქ. კიევში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს სსრ აღმოსავლეთ (კახეთის) ეკონომიკური რაიონის კომპლექსური რეგიონალური კარტოგრაფირება სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის". არის 70-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მისი მეცნიერული მუშაობის სფეროა თემატური კარტოგრაფია: ცალკეული თემატური რუკების, რუკათა სერიების და კომპლექსური რეგიონული ატლასების შედგენა. ამ საკითხებს ეძღვნება 30-მდე ეკონომიკური და სოციალური შინაარსის ატლასი, რუკათა სერია და რუკა. „საქართველოს ატლასში" (1964) დაიბეჭდა მის მიერ შედგენილი რამდენიმე რუკა. აგრეთვე შედგენილი აქვს კახეთის რეგიონის, ცალკეული ადმინისტრაციული რაიონების რუკათა სერიები სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამათა საფუძველზე, საქართველოს რეგიონების მრეწველობის და მოსახლეობის რუკები, პირველი თემატური დასაკეცი რუკა-ბუკლეტები – „ქართული ჩაი", „ქართული ღვინო". დაამუშავა საქართველოს „წითელი წიგნის" კარტოგრაფიული უზრუნველყოფის ახალი მეთოდიკა და შეადგინა მცენარეული საფარისა და ცხოველთა სამყაროს კომპლექსური რუკები. მუშაობს სასკოლო გეოგრაფიაში კარტოგრაფირების მეთოდების უფრო აქტიური გამოყენებისათვის, რაც აისახა საშუალო სკოლების VIII-IX კლასების საქართველოს გეოგრაფიის სამუშაო რვეულებში (გამოდის 2000-დან). ქართულიდან რუსულ ენაზე თარგმნა IX კლასის სახელმძღვანელო – „სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია" (2002).

სახელმძღვ.: სოციალური და ეკონომიკური კარტოგრაფია, თბ., 2003.

ლიფონავა კარლო ნესტორის ძე – LIPHONAVA KARLO (27.XII.1938, ს. ხორგა, ხობის რ-ნი, – 17.II.1992, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. ამავე წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქვე, 1967-70 გაიარა დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი პროფ. ლ. მარუაშვილის ხელმძღვანელობით. 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს წყალსაცავების სანაპირო ზოლისა და ფსკერის რელიეფის ცვალებადობა." მასში წყალსაცავების ქვაბურების განვითარების ზოგადი კანონზომიერებანიც არის გამოვლენილი. განსაკუთრებთ აღსანიშნავია მისი გამოკვლევები რელიეფის თანამედროვე გამომეტყველების, წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებაზე. მეცნიერის კვლევის ობიექტი იყო, აგრეთვე თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესები და მათი შედეგები, ვულკანური, გლაციალური და კარსტული რელიეფის შესწავლა. წლების განმავლობაში იგი იკვლევდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის მორფოლოგიასა და დინამიკას, წყალსაცავებში მიმდინარე პროცესებს, კოლხეთის ბარის რელიეფს, კარსტულ სიღრუეებსა და სხვა აქტუალურ საკითხებს. სიცოცხლის ბოლო წელს დაამთავრა უნიკალური შრომა – „გეომორფოლოგიური ლექსიკონი". გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: გეომორფოლოგიური ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 2002.

ლოლაძე გრიგოლ მათეს ძე – LOLADZE GRIGOL (11.IV.1911, ქ. გორი, – 5.VIII. 1971, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1938 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. ჯერ კიდევ 1928 მუშობა დაიწყო თბილისის ობსერვატორიაში. სხვადასხვა დროს მუშობდა ტექნიკოსად, მაღალმთიანი მეტეოსადგურების უფროსად, მეტეოროლოგიის ქსელის და თბილისის ობსერვატორიის გამგედ (1930-39). 1941-45 იყო სამამულო ომში კაპიტნის ჩინით. 1964 არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერების ისტორიის ეროვნული ასოციაციის სწავლულ მდივნად. 1966 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის ცოდნის დონე ძველ საქართველოში ზოგიერთი ლიტერატურული ძეგლის მიხედვით". გამოქვეყნებული აქვს 12 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება საქართველოში მეტეოროლოგიისა და კლიმატოლოგიის განვითარების ისტორიას. დაჯილდოებულია გდრ-ის ოქროს მედლით, შილერის ბრინჯაოს მედლით, პოლონეთის აკადემიის მიერ კოპერნიკის ბრინჯაოს მედლით, საპატიო ნიშნის ორდენით.

ლოლუა ეთერ ევტიხის ასული – **LOLUA ETHER** (24.XI.1932, ქ. ბათუმი), გეოგრაფი. 1956 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1957-66 მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის (ახლა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლე) მხარეთმცოდნეობის კაბინეტში პედაგოგად. 1966-დან მუშაობს ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციაში ჯერ უფროს სამეცნიერო რედაქტორად, 1986-დან გამგედ. იგი აქტიურად მონაწილეობდა პირველი ქართული საბჭოთა თერთმეტომიან უნივერსალური ენციკლოპედიის გამოცემაში, აგრეთვე ენციკლოპედია „საქართველო“ I ტომის (1997), ენციკლოპედია „თბილისის“ (2002), „მსოფლიოს სახელმწიფოთა დედაქალაქების“ (ცნობარი, 1979), „გამოჩენილი მოგზაურები და ბუნების მკვლევარების“ (1989) და სხვ. აღნიშნულ გამოცემებში მის მიერ შედგენილი და რედაქტირებულია არაერთი წერილი. იგი არის საქარველოს ენის სახელმწიფო პალატასთან შექმნილი „გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის“ სამთავრობო კომისიის, ქართული ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო საბჭოსა და საქ. გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრი. დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით (1965), მინიჭებული აქვს საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1987).

ლომაია ოფელია ვასილის ასული – **LOMAIA OFELIA** (23.XI.1932, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1956 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. 1962-66 გაიარა ასპირანტურის კურსი. მუშაობს მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1969 მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ამიერკავკასიის ზოგიერთი რაიონების ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის გამოკვლევა“. მასში მოყვანილია ატმოსფეროს სასაზღვრო ფენის ზოგიერთი პარამეტრების (ზედა საზღვარი, ტურბულენტობის მახასიათებელი, თერმული მდგრადობა და სხვ.) განსაზღვრის და მათი ცვალებადობის კანონზომიერების გამოკვლევის შედეგები. გამოქვეყნებული აქვს 56 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება ატმოსფეროს სასაზღვრო და მიწისპირა ფენის შესწავლას, ქალაქებში სმოგური სიტუაციების წარმოშობის მეტეოროლოგიური პროგნოზის, ცალკეულ გეოგრაფიულ რაიონებისათვის ჰაერის გაჭუჭყიანების მეტეოროლოგიური პოტენციალის განსაზღვრას, თბილისში მიწისპირა ფენის მყარი აეროზოლების და ოზონის კონცენტრაციის მეტეოროლოგიურ პარამეტრებთან კავშირის გამოკვლევას და სხვ.

ლომინაძე გიორგი ჯუმბერის ძე – LOMINADZE GIORGI (30.XII.1954, ქ. მოსკოვი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1978-81 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1981-დან მუშაობს ამავე ინსტიტუტში, არის ზღვის სანაპირო ზონის შემსწავლელი თემატური ჯგუფის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1997 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „შავი ზღვის კოლხეთის სანაპიროს მორფოდინამიკა". გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, საზღვარგარეთის გამოცემებში. მისი კვლევის ძირითადი ობიექტი არის კოლხეთის ზღვის სანაპირო ზონაში მიმდინარე მორფოდინამიკური პროცესები, ასევე, საქართველოს მთიანი რეგიონების გეოეკოლოგიური კვლევის ასპექტები. სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა აშშ-ში, ბრაზილიაში, ჩინეთში და სხვ.

ლორთქიფანიძე დავით ოთარის ძე – LORTKIPHANIDZE DAVIT (5.VIII.1963, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1985 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში გეომორფოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის განყოფილების უფროს ლაბორანტად, ხოლო 1988-დან უმცროსი მეცნიერ თანამშრომელია. 1987-88 სტაჟირებით მივლინებულ იქნა მოსკოვში გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც 1988-91 მიზნობრივ ასპირანტურაში სწავლობდა პალეოგეოგრაფიის ლაბორატორიაში პროფ. ა. ველიჩკოს ხელმძღვანელობით. ამავე პერიოდში სტაჟირებას გადიოდა კიოლნისა და გიოტინგენის (გერმანია) უნივერსიტეტებში. 1996 სტაჟირება გაიარა პარიზის ბუნების ისტორიის სახელმწიფო მუზეუმის პალეონტოლოგიის ინსტიტუტში. 1997-დან მუშაობს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმში განყოფილების გამგედ, 2002-დან დირექტორის მოადგილეა სამეცნიერო ნაწილში. შეთავსებით მუშაობას აგრძელებს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1992 მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „პირველყოფილი ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთკავშირების თავისებურებები მთიან რეგიონებში", ხოლო 2001 სადოქტორო დისერტაცია – „ბუნებრივი გარემოს ევოლუცია სამხრეთ კავკასიაში და ადრეული ჰომინიდების (Hominidae) განსახლების ძირითადი ეტაპები". გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ნაწილი უცხოეთშია დაბეჭდილი. კვლევის ობიექტია – მეოთხეული გეოლოგია, პალეოკლიმატოლოგია, პირველყოფილი ადამიანის პალეოეკოლოგია. ხელმძღვანელობს საერთაშორისო ინტერდისციპლინარულ სამუშაოებს ძველი ქვის ხანის ძეგლებზე სამხრეთ საქართველოში. არის ასოცირებული პროფესორი საფრანგეთის ბუნების ისტორიის სახელმწიფო მუზეუმში, საერთაშორისო ასპირანტურის (იტალია, საფრანგეთი,

ესპანეთი) პროფესორი (2000), მოწვეული პროფესორი ჰარვარდის უნივერსიტეტში (2002), არაერთი სამეცნიერო პროგრამის, მათ შორის ამერიკის ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოების და ლიკის ფონდის საერთაშორისო პროექტების „დმანისელი ჰომინოიდის ინტერდისციპ-ლინარული კვლევა" და „მიოცენური ჰომინოიდი უდაბნოდან კოორ-დინატორი. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მომზადდა ექსპოზიციები „საქართველოს ბუნების ისტორია", „საქართველო პირველი ევროპელის სამშობლოში". მიღებული აქვს საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდია (1997, 2001), მონაკოს მონარქიის პრემია (2001), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001), საფრანგეთის აკადემიური პალმის ორდენით (2002).

მონოგრ.: Early Humans at the gates of Europe Liege, 2000; La georgie berceau des Europeens, Paris, 2003 (co-author).

ლორთქიფანიძე ნიკოლოზ ლ. – **LORTKIPHANIDZE NIKOLOZ** (1885, ხაშურის რ-ნი, – 1937), გეოგრაფი. 1913 დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და შემდეგ მოსკოვის უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის გიმნაზიის მასწავლებლად. 1923 იგი გადაჰყავთ ბათუმის პედაგოგიურ ტექნიკუმში დირექტორის მოადგილედ და გეოგრაფიის მასწავლებლად. ამავე პეროდში მუშაობდა აჭარის მხარეთ-მცოდნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. მან, დავით ქუთათელაძესთან ერთად შეადგინა V და VI კლასების გეოგ-რაფიის სახელმძღვანელო. გარკვეულ პერიოდში ლექციებს კითხულობდა თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1931-დან მუშაობა დაიწყო ბათუმის პედაგოგიური სასწავლებლის დირექტორად. 1935 ამ სასწავ-ლებლის ბაზაზე დაარსდა ორწლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტი, რომლის ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის პირველ დეკანად და გეოგრაფიის კათედრის უფროს მასწავლებლად დაინიშნა. გამოქვეყ-ნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის გეოგრაფიული ნა-რკვევი „აჭარისტანი", „აჭარისტანის ფიზიკური გეოგრაფია", აჭარის რუკები, რამდენიმე გეოგრაფიის სახელმძღვანელო საშუალო სკოლები-სათვის. მინიჭებული ჰქონდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება (1934). ნ. ლორთქიფა-ნიძე 1937 რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

ლოჩოშვილი-ლაშხი გულნარა სევერიანეს ასული – **LOCHOSHVILI-LASHKHI GULNARA** (20.VII.1940, ს. კონტუათი, ხონის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1959 დაამთავრა ხონის პედაგოგიური ტექნიკუმი, 1964 კი თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტად,

შემდეგ უფროს ლაბორანტად, უფროს მასწავლებლად. საათობრივი ანაზღაურებით ლექციებს კითხულობდა თბილისის მანქანათმშენებლობისა და უნივერსიტეტ „აჭარაში". ხელმძღვანელობდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას, აგრეთვე საველე და საწარმოო პრაქტიკებს. ხელმძღვანელობს მოსწავლეთა და სტუდენტთა ერთობლივ სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციებს. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწევა სამეცნიერო მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 25-მდე ნაშრომი საქართველოს სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის მომსახურების გეოგრაფიის საკითხებზე. მისი თანაავტორობით შედგენილია სასწავლო-საველე პრაქტიკის და საზღვარგარეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის სასწავლო პროგრამები. თანაავტორია მაქსაკოვსკის „მსოფლიო გეოგრაფიული სურათის" თარგმნისა (2002). წლების მანძილზე იყო კათედრის სწავლული მდივანი, ფაკულტეტის ქალთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. არის სპორტის ოსტატობის კანდიდატი კალათბურთში. მიღებული აქვს ფასიანი საჩუქრები, სიგელები.

სახელმძღვ.: გეოგრაფია (უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 1990 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 1990 (თანაავტ.)

მათურელი ირაკლი ვასილის ძე – MATURELI IRAKLI (15.I.1913, თბილისი, – 5.IV.2002, იქვე), ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1954). 1932 დაამთავრა თბილისის სამიწათმომწყობო ტექნიკუმი, 1940 მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღების და კარტოგრაფიის საინჟინრო ინსტიტუტის კარტოგრაფიის ფაკულტეტი ინჟინერ-კარტოგრაფის სპეციალობით. განაწილებით მუშაობა დაიწყო თბილისის №8 კარტოგრაფიულ ფაბრიკაში. 1941-1-45 გაწვეულ იქნა არმიაში და მუშაობდა ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის კარტოგრაფიულ ნაწილში. 1945-52 მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1952-83 საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გეოდეზიის კათედრაზე. აქვე, 1963-დან იყო კათედრის გამგე. 1983-89 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიულ განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ადგილზე. იგი მუშაობდა კარტოგრაფიის ისტორიის საკითხებზე, რის შესახებაც 1954 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქართული კარტოგრაფია". არქივებსა და წიგნთსაცავებში მიკვლეული პირველწყაროების საფუძველზე გამოაქვეყნა მონოგრაფია. იყო საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი (1982).

მონოგრ.: გეოდეზია-მიწათმოწყობის საფუძვლები (სახელმძღვანელო), თბ., 1976; ვახუშტი ბაგრატიონის კარტოგრაფიული მემკვიდრეობა, თბ., 1990; Материалы по грузинской картографии, Тб., 1961.

მათურელი ნინო ივანეს ასული – MATURELI NINO (24.XI. 1906, ს. ჟებოტა, თიანეთის რ-ნი, – 17.IX. 2000, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1923-30 მუშაობდა ს. ჟებოტაში მასწავლებლად. 1935 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1936-38 გაიარა ასპირანტურის კურსი პროფ. ბესარიონ ყავრიშვილის ხელმძღვანელობით. 1938-82 მუშაობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სხვადასხვა წლებში იყო კათედრის გამგე, ფაკულტეტის დეკანი. 1951 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სოხუმის მიდამოების ლანდშაფტური დახასიათება". გამოქვეყნებული შრომები შეეხება საქართველოს რეგიონების ლანდშაფტურ დახასიათებას. პირველი ნაშრომი სწორედ თბილისის ლანდშაფტურ დახასიათებას ეხებოდა. გამოქვეყნებული აქვს, აგრეთვე, ახალი ათონის მიდამოების კარსტულ მღვიმეებზე და სხვ.

მაისურაძე გივი მიხეილის ძე – MAISURADZE GIVI (6.II. 1934, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1957 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიის სპეციალობით. 1957-1960 მუშაობდა VII რაიონის ექსპედიციაში (მოსკოვის ფილიალი) ტექნიკ-გეოლოგად. 1960-1980 იყო საქ. მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მეოთხეულ განყოფილებაში. 1980-დან მუშაობს ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინსტიტუტში ჯერ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, ხოლო 1995-დან წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია მეოთხეულ გეოლოგიაში – „ახალციხის ქვაბულის მეოთხეული ნალექები და რელიეფის განვითარების ისტორია". მისი მეცნიერული მუშაობის სფერო შეეხება მეოთხეული ნალექების სტრატიგრაფიას, კორელაციას, მეოთხეული პერიოდის პალეოგეოგრაფიას, ახალგაზრდა ვულკანიზმს, პალეომაგნეტიზმს და სხვ. გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გეომორფოლოგიაში, მეოთხეულ გეოლოგიაში, პალეოგეოგრაფიაში. შრომების ნაწილი დაბეჭდილია უცხოეთის გამოცემებში. ღებულობდა მონაწილეობას საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებში (იტალია, კანადა, გერმანია, ჩინეთი, უნგრეთი, თურქეთი, რუსეთი და სხვ.). არის რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების წევრი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

მონოგრ.: Геоморфология Грузии, Тб., 1971 (соавт.) ; Антропоген Кавказа, Тб., 1991 (соавт.).

მაისურაძე ციალა მიხეილის ასული – MAISURADZE CIALA (23.VIII.1932, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1956 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. სტუდენტობის დროს მონაწილეობდა კონფერენციებში, რომლის თეზისები დაბეჭდილია. 1957-დან მუშაობდა

თბილისის 51-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. 1960 „პედაგოგიური კითხვის" მე-14 კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება, რომელიც იმავე წელს დაიბეჭდა. 1961-64 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ გეომორფოლოგიის კათედრაზე აკად. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. იმავე წელს სამუშაოდ გადადის იმავე კათედრაზე ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად. 1969-72 მუშაობდა საბჭოთა კავშირის II ჰიდროგეოლოგიურ სამმართველოში ინჟინერ-გეომორფოლოგად, ხოლო 1972-89 „საქსახწყალპროექტში" ინჟინერ-გეომორფოლოგად, ჯგუფის ხელმძღვანელად, შემდეგ მთავარ სპეციალისტად. 1972 ქ. ბაქოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მდ. ლიახვის აუზის გეომორფოლოგია". გამოქვეყნებული აქვს 13 სამეცნიერო ნაშრომი. შრომების ძირითადი ნაწილი ეხება ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი ფერდობის გეომორფოლოგიურ თავისებურებებს, მორფოსტრუქტურებს და ნეოტექტონიკას. მიღებული აქვს მადლობები და საპატიო სიგელები.

მაკალათია სერგი იოსების ძე — MAKALATIA SERGI (2.XII.1893, ს. სეფიეთი, აბაშის რ-ნი, — 30.IV.1974, თბილისი), ეთნოგრაფი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1950). 1916 დაამთავრა თბილისის სემინარია, 1922 თსუ-ის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი. 1921-35 მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად, 1936 მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ხოლო 1936-38 თსუ-თან არსებულ გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1937-48 იყო გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დირექტორი. კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, გორის, ცხინვალის, ბათუმის, თელავის და ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. იკვლევდა საქართველოს ეთნოგრაფიას, არქეოლოგიას, ისტორიას, ნუმიზმატიკას და ხელოვნების საკითხებს. შეისწავლა საქართველოს ცალკეული რეგიონებისა და ხეობების ბუნება, ისტორია, ეთნოგრაფია. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქმიანობა საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან, რომლის გრიფით გამოსცა არაერთი წიგნი საქართველოს რეგიონებზე. მონაწილეობდა სამხარეთმცოდნეო მუზეუმების დაარსებაში მესტიაში, გორში, ცაგერში, ყაზბეგსა და კასპში.

მონოგრ.: ახალწელიწადი საქართველოში, ტფ., 1927; მთის რაჭა, ტფ., 1930; მთიულეთი, ტფ., 1930; თუშეთი, ტფ., 1933; ფშავი, ტფ., 1934; ხევი, ტფ., 1934; ხევსურეთი, ტფ., 1935; მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938; სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; ბორჯომის ხეობა, თბ., 1957; თეძმის ხეობა, თბ., 1959; ლეხურის ხეობა, თბ., 1964.

ლიტ.: ქართული ენციკლოპედია, ტ. 6, თბ., 1983, გვ. 368-369.

მამაიაშვილი ივანე სიმონის ძე — MAMAIASHVILI IVANE (27.I.1923, ს. ნინიგორი, ლაგოდეხის რ-ნი, — 12.XI.1998, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი. 1951 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1951-55 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1952-დან მუშაობა დაიწყო თსუ

ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1971-დან იყო უფროსი მასწავლებელი. კითხულობდა ლექციებს სოციალურ და ეკონომიკურ გეოგრაფიაში. შესრულებული აქვს 45-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 17 გამოქვეყნებულია. მისი სამეცნიერო მუშაობა მოიცავდა საქართველოს სახალხო მეურნეობის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ გამოკვლევებს, აგრეთვე ცაკლეული რეგიონების შესწავლას. შესრულებული აქვს ნაშრომი კოლხეთის მელიორაციის შესახებ, აჭარის, აფხაზეთის და ბორჯომის ტერიტორიულ-რეკრეაციული კომპლექსის, აგრეთვე, თბილისის საქალაქო აგლომერაციის მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის შესახებ. ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. მისი თანაავტორობით შესრულებულია უმაღლესი სკოლის სამი დამხმარე სახელმძღვანელო და მეთოდური ნაშრომი — „საკურსო შრომების თემატიკა სსრკ ეკონომიკურ გეოგრაფიაში (1980).

ლიტ.: ე. ზაქარიაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანები თბილისის უნივერსიტეტში, თბ., 1985, გვ. 29-30.

მამალაძე ჯუმბერ იორამის ძე – MAMALADZE JUMBERI (28.I.1935, თბილისი), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. 1957 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1957-61 მუშაობდა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიური სამმართველოს ტეხურის გეოლოგიურ-საძიებო პარტიაში, ლიახვის გეოლოგიურ-აგეგმვით პარტიაში ინჟინერ-გეოლოგად. 1961-73 კი ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მეოთხეული ნალექების შემსწავლელ განყოფილებაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1973-დან მუშაობდა კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტში ჯერ უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე, შემდეგ სექტორის ხელმძღვანელად. 1963-64 დაამთავრა ,თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტუტუტთან არსებული ფრანგული ენის ორწლიანი კურსები. იკვლევდა კოლხეთის მეოთხეულ ნალექებს, რომელიც საფუძველად დაედო მის საკვალიფიკაციო ნაშრომს — „კოლხეთის პლეისტოცენური ზღვიური ნალექების სტრატიგრაფია და შავი ზღვის დონის რყევა“ (1973). გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება კოლხეთის მეოთხეულ ნალექებს და გეომორფოლოგიური რუკების (ეგზოგენური პროცესები) შედგენას.

მონოგრ.: Морской плейтоцен Колхиды, Тб., 1975.

მამაცაშვილი ნანა სპარტაკის ასული – MAMATSASHVILI NANA (12.III.1937, თბილისი), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1962-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. მისი ინიციატივით ინსტიტუტში შეიქმნა პალინოლოგიური ლაბორატორია (1964), რომელსაც დღემდე ხელმძღვანელობს. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „კოლხეთის

მეოთხეული კონტინენტური ნალექების პალინოლოგიური დახასიათება". პირველად საქართველოს ტერიტორიაზე პალინოლოგიური ანალიზით შესწავლილ იქნა მეოთხეული კონტინენტური ნალექები; საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ტერიტორიაზე მღვიმური ნალექების პალინოლოგიურ შესწავლას. მუშაობს მეოთხეული პერიოდის კოლხეთის დაბლობის პალეოგეოგრაფიაზე. გამოქვეყნებული აქვს 100 სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Палинологическая характеристика четвертичных континентальных отложений Колхиды, Тб., 1975; Изучение пещер Колхиды, Тб., 1978 (соавт.); Древнеэвксинская флора Гурии, Тб., 1991; Грузия в антропогене, Тб., 1991 (соавт.).

მანია გვანჯი სილოვანის ძე – MANIA GVANJI (23.VIII.1939, ს. ჯვარი, წალენჯიხის რ-ნი), ჟურნალისტი, ეკოლოგი, მოგზაური, მხარეთმცოდნე. 1965 დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის სპეციალობით. თბილისსა და მოსკოვის სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში ეუფლებოდა ეკოლოგიას, პუბლიცისტიკას, სოციოლოგიას, ხელოვნებას. სხვადასხვა დროს (1965-68) იყო გაზეთ „ეგრისის" (წალენჯიხა) განყოფილების გამგე, საქინფორმის შემთავსებელი კორესპონდენტი, ქ. ჯვარის მხარეთმცოდნეობის საბჭოს თავმჯდომარე. 1968-79 საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საუნივერსიტეტო ორგანიზაციის თავმჯდომარის მოადგილე, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საუნივერსიტეტო ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი, გარემოს დაცვის პრობლემური ცენტრის მუდმივმოქმედი ექსპედიციის ხელმძღვანელი და ლექტორი. 1980-82 მუშაობდა საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის და პროპაგანდის განყოფილების უფროსად, 1982-83 ბუნების დაცვის საზოგადოების ეკოლოგიური განათლების განყოფილების უფროსად. 1985-87 გაზეთ „კომუნისტის" გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური განათლების განყოფილების დამფუძნებელი და ხელმძღვანელია. 1988-91 გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელის" სოფლის ახალგაზრდობის განყოფილების გამგე, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პრესცენტრის ხელმძღვანელია. 1992-95 მამულის აღორძინების საზოგადოების პრესცენტრის ხელმძღვანელია, ხოლო 1993-2002 ჯუმბერ ლეჯავას მსოფლიო მოგზაურობის საგენტოს ხელმძღვანელი. მისი ინტერესის სფეროა – ბუნება, ადამიანი. საქართველოს, აგრეთვე კავკასიის ხალხთა ცხოვრება, ისტორია, კულტურა, ტრადიცია. მისი თაოსნობით განხორციელდა მრავალი ჟურნალისტური საკვლევ-საძიებო ლაშქრობა, მოგზაურობა, სამეცნიერო-სპორტული ექსპედიცია. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში პროფ. ლევან მარუაშვილის, მწერალ ლევან გოთუას და ლეო ქიაჩელის წერილების გაცნობის შემდეგ დაინტერესდა მშობლიური მხარის შესწავლით. შექმნა ჯგუფი

და მოიარა მგგანას და ინწრას ხეობის ბუნების ყველა ღირსშესანიშნაობა – მღვიმე, უფსკრული, ერატიკული ლოდი, ჩანჩქერი და სხვ. შემდეგში არაერთ ექსპედიციას გაუკეთა ორგანიზაცია, რომელთა ხელმძღვანელი ან მონაწილე თვით იყო – თბილისის რკალი (1962), იალბუზის გარშემო (1963), მეგობრობა: ველოსიპედგზაურობა 8 ქვეყენაში (1964), რუსთაველის კვალდაკვალ: აჭარა, სამცხე, ჯავახეთი (1966), უნივერსიტეტის აღზრდილთა კვალდაკვალ: 15 ქვეყანაში (1968), ოქროს საწმისი – ძველკოლხური ნიმუშების ხომალდის აგება და ნაოსნობა ძველ კოლხეთში (1970-71), შატილიდან ომალომდე (1972), ეგრისი: ლაკადა და ლაკადელები (1973), ბიჭვინთის კანიონი; ედელეაისი (1974), კახეთის წრე; დიდგორი (1975) და სხვ. მისი ინიციატივით განხორციელდა რიგი საკითხების წამოჭრა და დაფუძნება: დაჭრილი ბუნების ქომაგები (1978-79), კავკასიონის ენდემი ჯიხვი (1983), ბუნება – სიცოცხლის კარი – გაზ. „კომუნისტის“ რუბრიკა (1985-87), ჯვარის წმინდა გიორგის ტაძრის აღდგენისათვის (1990-91), გიორგობის წიგნი (1996), ხალხური მკურნალები: მედეა კოლხის და ნინო კაპადოკიელის მემკვიდრენი (1997), სამეფო ასპარეზობა (1998), ტობაკარჩხილი (1999), საქართველოს სიმბოლოები (2000), მზე, ზღვა და ფანტაზია (2001), დარდანელი (2002) და სხვ. მისი მეცადინეობით საზოგადოებას ემცნო ეროვნული მემკვიდრეობის მოამაგეთა, ბუნების ქომაგთა და სამშობლოდან გასულ მამულიშვილთა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბები, გაიხსნა საქართველოში პირველი



გვანგი მინის და რიგი ბალნაშენების ბიგ ხეობაში საქმიანობა კოლმეურნეობის კერძოდ მაიორებისა ყველა ეკვდა 28.08-10.10.1968

ხეტეგენტეტი ეკლიანოვ ხეობაში ხსენ ეკრანიდან ნაბილეში 2.06 - 30.09.1964, მონანილეობა ოფლი კატაბასა, გვანგი მინა, ხიერ ფიფი, ფოი ჭერდანი

სამდინარო-საზღვაო ტურისტული მარშრუტი – „ოქროს საწმისი“ (ქუთაისი-ფოთი), გაიკვალა უნიკალური სამთო-საცხენოსნო მარშრუტი „დიდგორი“, დაწესდა საპატიო წოდება „ბუნების ქომაგი“, შეიქმნა მხატვრულ-დოკუმენტური ფილმები – ყარაყუმის არხის მშენებელ კონსტანტინე წერეთლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი, „ყუმლი“ და „იორამი“ – მთიანი სოფლის მიერ მოკვეთილი ბუნების ქომაგზე და სხვ. მრავალი. ქართულ და რუსულ პრესაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი პუბლიკაცია. არის საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირის (კლუბი „გიორგი“) თავმჯდომარე, რომლის ინიციატივითა და ხელშეწყობით გამოვლინდა და განხორციელდა მრავალი რეკორდი, რომლებიც გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შევიდა. მიღებული აქვს ჟურნალისტური პრემიები (1979, 1981), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1998).

მონოგრ.: ოქროს საწმისის ქვეყანა, თბ., 1984 (სამენოვანი); საქართველოს ბუნების ქომაგები, თბ., 1979.

ლიტ.: ქურდიანი გ. დაუვიწყარი გზები, გაზ. „ლელო“, 8.X. 1964; სარაჯიშვილი კ. პირველი ეკოლოგიური ექსპედიცია, – საქართველოს ბუნების დაცვა, 1979, №9; პროფესიონალიზმი ჟურნალისტიკაში: ეს უპირველეს ყოვლისა სიმართლეა! გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 13.II. 1990; ცისკარიშვილი ო. ნაფეხურები (პუბლიცისტური კრებული). თბ., 2001, გვ. 114-115.

მარგველანი გელა ანდრიას ძე – MARGVELANI GELA (1.III.1934, ს. იფრალი, მესტიის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1960 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1960-72 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, 1972-76 გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1976-დან მუშაობს თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის (ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის) დოცენტად. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. ყვირილას აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, ზესტაფონის ზევით“. ავტორია 60-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის, უმაღლესი და საშუალო სკოლების სახელმძღვანელოების და დამხმარე სახელმძღვანელოებისა.

სახელმძღვ.: ჩრდილო ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1990; სამხრეთ ამერიკის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1994; ავსტრალიის და ოკეანეთის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1995; კონტინენტების გეოგრაფია, VII კლასის სახელმძღვანელო. თბ., 1997 (თანაავტ.); ანტარქტიდის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1997; მსოფლიო ბუნებრივი რესურსები. გამოყენება და ბუნების დაცვა, თბ., 1998 (თანაავტ.). ფიზიკური გეოგრაფია, უმაღლეს სკოლებში შემსვლელთათვის, თბ., 1998 (თანაავტ.); აფრიკის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1999; სამეგრელო: ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა, თბილისი-ზუგდიდი, 1999 (თანაავტ.); აზიის ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000; ევროპის ფიზიკური

გეოგრაფია, თბ., 2001; გეოგრაფია უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის, თბ., 2002 (თანაავტ.).

მარი ივანე (კაკო) გიორგის ძე – MARI IVANE (2.XI.1902, ს. დაბლაციხე, ჩოხატაურის რ-ნი, – 17.IX.1990, თბილისი). ეკონომისტი, მთამსვლელი. 1928 მუშაობა დაიწყო საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში, სადაც სიცოცხლის ბოლო წლებამდე გაატარა ნაყოფიერი მოღვაწეობა. დიდი ღვაწლი მიუძღვის საზოგადოების მთამსვლურ-მგზავრობასნულ სექციის ჩამოყალიბების პერიოდში და შემდეგ „ოპტეს" მუშაობაში. იგი არის ერთ-ერთი მოთავეთაგანი საქართველოში პირველი ალპური კლუბის დაარსებისა. მისი ხელმძღვანელობით ან უშუალო მონაწილეობით ჩატარებულა ასვლები კავკასიონის მწვერვალებზე. 1932 მყინვარწვერი დაიპყრო სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ახალი გზით, რომელიც დღემდე ურთულეს მარშრუტად ითვლება. შემდეგ წელს ცნობილ მთამსვლელებთან ერთად იპყრობს მწვერვალ თეთნულდს. 1935 მყინვარწვერზე ავიდა ქართული დივიზიის ათასეული, სადაც პირველად მსოფლიო ალპინიზმის ისტორიაში გაისმა ზარბაზნის ზათქი. ეს ასვლა ითვლება სამხედრო ალპინიზმის საწყისად, რასაც ხელმძღვანელობდა ალპინიზმის ინსტრუქტორები დავით წერეთელი და კაკო მარი. ომის პერიოდში კაპიტანი კაკო მარი სათავეში ჩაუდგა მესტიაში ახლად დაარსებულ სამთო მომზადების ოფიცერთა სკოლას. ალპური კლუბის დაარსების დღიდან იგი იყო ამ კლუბის საბჭოსა და პრეზიდიუმის წევრი, ხოლო 1940-43 აირჩიეს საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარედ, 1947 კი თავმჯდომარის მოადგილედ. 1938-დან კაკო მარი ხელმძღვანელობს საქართველოში სამთო სამაშველო სამსახურს. მას დიდი წვლილი მიუძღვის მასობრივი ალპინიზმის განვითარებაში. 1938-39 ჩრდილო ოსეთში მუშაობა დაიწყო ქართულმა მთამსვლურმა ბანაკმა „წეიამ", სადაც იგი დიდი მონდომებით ხელმძღვანელობს მთამსვლელთა ჯგუფს. სწორედ ამ დროს იქნა დაპყრობილი მთელი რიგი მწვერვალები კავკასიონზე. 1947 იგი ხელმძღვანელობს ნამუყვამ-აილამა-წურუნგალას ტრავერსს. 1949 მესტიიდან სხვებთან ერთად დალაშქრა შხელდის მწვერვალები, ხოლო ერთი წლის შემდეგ მეტად რთულ შხელდა-უშბის ტრავერსი. ამ ასვლების შემდეგ სხვებთან ერთად მას საბჭოთა კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის საპატიო წოდება მიენიჭა. შემდეგშიც იგი არაერთ მწვერვალზე ავიდა და, ამასთან, ხელმძღვანელობდა მთამსვლური კადრების მომზადებას. გარდა კავკასიონისა, იგი ხელმძღვანელობდა სასიმაღლო ასვლებს პამირშიც (1962). კაკო მარი მთელი თავისი ცხოვრებით დაკავშირებული იყო საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებასთან. იგი იყო საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი, აქტიური მუშაკი. ასეთი მოღვაწეობისათვის იგი აირჩიეს საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად (1985).

ლიტ.: მთის რაინდები, ქუთაისი, 1999, გვ. 26-27.

მარუაშვილი ლევან იოსების ძე – MARUASHVILI LEVAN (25.X.1912, ქ. ნოვოჩერკასკი, როსტოვის ოლქი, – 7.XII.1992, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1965). 1926-30 სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ჰიდროტექნიკური სპეციალობით. 1930 მუშაობდა სვანეთის საავტომობილო გზისა და ტურისტთა თავშესაფრის მშენებლობაზე. იქვე თარგმნა და ახალი მასალებით შეავსო ვიქტორ სემენოვსკის წიგნი „სამთო ტურიზმი", რომელიც 1932 დაიბეჭდა. სვანეთში დალაშქრა რიგი მწვერვალები და უღელტეხილები, მათ შორის, თეთნულდი, ბანგურიანი და ტვიბერის უღელტეხილი. 1931 მუშაობდა ყაზბეგის ტურბაზაში. მისი მოვალეობა იყო ექსკურსიამძღოლობა მყინვარზე, რათა გაეცნო ექსკურსანტებისათვის ხევისა და საქართველოს გეოგრაფია. იქვე დაწერა წიგნი „Казбек", რომელიც დაიბეჭდა 1932. იმავე წელს შეირჩა იგი პამირის ექსპედიციაში, რომელიც წარმატებით დასრულდა. ექსპედიციის შედეგები გამოაქვეყნა წიგნების სახით. 1933 ჩაირიცხა თსუ-ში, რომელიც 1938 დაამთავრა. სტუდენტობის წლებში გამოაქვეყნა წიგნი – „მარკო პოლო და სვენ ჰედინი", რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის, „Природа"-ში და საბჭოთა კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების „Известия"-ში. აქტიურად მოღვაწეობდა გაზეთებში „Заря востока" და „Вечерний Тбилиси". 1938-41 მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1941-45 იმყოფებოდა სამამულო ომში (სტალინგრადი, 1943 ბოლოდან კავკასიაში). ომის დამოავრების შემდეგ ბრუნდება ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო 1949-53 სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გადაჰყავთ კათედრის გამგედ. 1953-დან ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში კონკურსით დაიკავა ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელის ადგილი. 1956-1980 გეომორფოლოგიის, ხოლო 1980-1992 გეომორფოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელია. მეცნიერმა ცხოვრებისა და მოღვაწეობის საინტერესო გზა განვლო. მამა, ცნობილი ტოპოგრაფი და გეოდეზისტი იყო, რომელმაც სხვა მრავალ სამუშაოთა შორის შეასრულა „ალპიური შოსის" გაყვანა, გაგრიდან მთა მამბიშხამდე. გზის ერთ მონაკვეთზე დიდი ლოდის წახნაგზე ამოკვეთილი იქნა წარწერა, რომელშიც აღნიშნულია იოსებ მარუაშვილის დამსახურება იმ დროისათვის თითქმის უნიკალური გზის მშენებლობაში. ლ. მარუაშვილი ბავშვობიდანვე დაინტერესებული იყო მოგზაურობით, სკოლის პერიოდშივე აწყობდა მოსწავლეებთან ერთად ექსკურსიებსა და ლაშქრობებს (ვერეს, კავთურას, ატენის, ძამასა და სხვ. ხეობებში), მონაწილეობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ტურისტულ მუშაობაში. ადრეულ ასაკში ავიდა კავკასიონის ერთ-ერთ მიუვალ მწვერვალზე ბრუდსაბ-

ძელაზე, ხოლო მოგვიანებით თეთნულდზე, ყუროსწვერზე, მყინვარწვერზე, უშბაზე, იალბუზზე, ქომიტოზე და სხვ. ასეთი ასვლები დიდ დახმარებას უწევდა მას გეოგრაფიულ სამეცნიერო მუშაობაში. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს გამოაქვეყნა 15 ნაშრომი, მათ შორის 2 წიგნი, რომლებმაც სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. საველე კვლევით შეგროვებული დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე, მეცნიერული ხელმძღვანელის გარეშე, 1947 მოსკოვის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კლასტოკარსტი ცენტრალური სამეგრელოს ნეოგენურ კონგლომერატებში", ხოლო 1952 სადოქტორო დისერტაცია – „სამხრეთ საქართველოს ვულკანური ზეგანი (აღნაგობა, რელიეფი, განვითარების ისტორია)". ამ უკანასკნელში უარყოფილია ოლქის მორფოგენეზის ცალმხრივი „ვულკანური" გაგება და დადგენილია მასში ნეოტექტონიკური პროცესების მნიშვნელოვანი როლი, წარმოდგენილია პალეოგეოგრაფიული სურათი და რელიეფის განვითარების ისტორია. მეცნიერის კვლევის ინტერესები მოიცავდა გეომორფოლოგიას, პალეოგეოგრაფიას, მეოთხეულ გეოლოგიას, ფიზიკურ გეოგრაფიას, კარსტოლოგიას, სპელეოლოგიას, გეოგრაფიის ისტორიას და გეოგრაფიული მეცნიერების სხვა დარგებს. ავტორია 500-მდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომისა, რომელთაგან 30-მდე ცაკლე წიგნად არის გამოცემული ქართულ, რუსულ, ინგლისურ და ჰინდის ენებზე. აღსანიშნავია „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის" ორი ტომი, „კავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის" სამი ტომი, „მლვიმეთმცოდნეობის საფუძვლები", „პალეოგეოგრაფიული ლექსიკონი", მონოგრაფიები ვახუშტი ბაგრატიონზე, რაფიელ დანიბეგაშვილზე, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზე" და სხვ. ლ. მარუაშვილს მინიჭებული აქვს საქ. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის (1966) და აფხაზეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1984), არის საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985), ნ.მ. პრჟევალსკის სახელობის ოქროს მედლის კავალერი (1972), ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიის ლაურეატი (1973). მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1984) და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს (1962) საპატიო სიგელი.

მონოგრ.: დასავლეთ პამირის მთებში, ტფ., 1934; მარკო პოლო და სვენ ჰედინი, ტფ., 1935; XVIII საუკუნის ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები თბ., 1954; ქართველი მოგზაური რაფიელ დანიბეგაშვილი და მისი ცნობები ინდოეთის, ბირმის და ჩინეთის შესახებ, თბ., 1956; ვახუშტი ბაგრატიონი საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის ფუძემდებელი, თბ., 1956; შუქი ბნელეთში, თბ., 1963; საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964; ნაწ. I, 1969; ნაწ. II, 1970; მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1973; კავკასიის ფიზიკური გეოგრაფია, ნაწ. I, თბ., 1975, ნაწ. II, 1981; ნაწ. III, 1986;

თუშეთი, თბ., 1977; ათი წელი მწვერვალთა ჰიპნოზის ქვეშ, თბ., 1979; მოგზაურობა ქვეყნიერების ბანზე, პამირი-ალაი – 1932, თბ., 1988; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); დედამიწა და კაცობრიობა „ვეფხისტყაოსანში", თბ., 2002; Казбек, Тиф., 1932; Вахушти Багратиони, его предшественники и современники, М., 1956; Целесообразность пересмотра существующих представлений о палеогеографических условиях ледникового времени на Кавказе, Тб., 1956; Путешествия Рафаила Данибегашвили в Индию, Бирму и других стран Азии 1795-1827, М., 1969; Геоморфология Грузии, Тб., 1971 (соавт.); Каталог ледников СССР, т. 9, Л., 1975 (соавт.); Изучение пещер Колхиды, Тб., 1978 (соавт.); Альпы-Кавказ, М., 1980 (соавт.); Палеогеографический словарь, М., 1985; Грузия в антропогене, Тб., 1991 (соавт.).

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977; კვერენჩხილაძე რ., ხარაძე კ. მეცნიერების სამსახურში, გაზ. „თბილისი", 20.XI. 1982; გოზალიშვილი დ. მეცნიერი მთამსელელი, გაზ. „ლელო" 20.XI. 1982; ძიძიგური ი. ამაგდარი მეცნიერი. გაზ. „გამარჯვება" (გორი), 20.XI. 1982; კიკნაძე თ., უკლება დ., ჯაოშვილი ვ. წინამძღოლის საამაყო ხვედრი, გაზ. „კომუნისტი" 2.III.1983; ლიფონავა კ. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი, გაზ. „სოფლის ცხოვრება", 18.I.1983; უკლება ო., ნოზაძე დ., დვალი დ., ჩხეიძე ო. მეცნიერი, მკვლევარი, აღმზრდელი, გაზ. „ქუთაისი", 7.IV.1983; ქართული ენციკლოპედია, ტ. 6, 1983, გვ. 462; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი 1987, თბ., 1986; ხარაძე კ. დიდი მკვლევარი, ჟურნ. „საქართველოს ბუნება", 1992, №4-5; ლევან მარუაშვილი (ნეკროლოგი), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა", 10.XII.1992; ხარაძე კ. ბუნების უბადლო მკვლევარი – ლევან მარუაშვილი, თბ., 2002; Харадзе К.П., Гонгадзе М.А. Видный географ-исследователь Л.И. Маруашвили – 70 лет, газ. „Вечерний Тбилиси", 19.XI.1982; Мгеладзе К. Выдающийся географ-исследователь, газ. „Советская Абхазия", 4.I.1983; Кверенчхиладзе Р., Хазарадзе Р., Харадзе К. „Лучше гор могут быть только горы...", газ. „Свободная Грузия", 28.X. 1992.

მატკავა დავით ივლიანეს ძე – MATKAVA DAVIT (6.III.1928, ს. სუჯუნა, აბაშის რ-ნი, – 20.III.2002, თბილისი), გეოდეზისტი, კარტოგრაფი. 1958-66 სწავლობდა მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღების და კარტოგრაფიის ინსტიტუტში. მანამდე, ჯერ მსახურობდა სამხედრო სამსახურში, ხოლო 1951-58 მუშაობდა თბილისის კარტოგრაფიულ ფაბრიკაში. 1967-81 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში აეროფოტომეთოდების ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1981 გადაყვანილ იქნა საქართველოს ნაპირდაცვის გაერთიანებაში კარტოგრაფიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. გარდა პრაქტიკული მუშაობისა, მას შესრულებული აქვს რიგი სამეცნიერო ანგარიშები და ნაშრომები. მათ შორის 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს ისეთ პრესტიჟულ გამოცემებში, როგორიცაა მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. კვლევის ძირითადი ობიექტი იყო ზღვის სანაპირო ზონისა და წყალქვეშა კანიონის მორფოლოგიური

განვითარება და სანაპირო ზონის მრავალწლიური დეფორმაციის საკითხები (ინსტრუმენტული გაზომვებისა და საინფორმაციო სისტემების დამუშავება), მათი დაცვის გენერალური სქემის რეკომენდაცია.

მაჭაცარია აკაკი აარმენის ძე – MAKATSARIA AKAKI (15.II.1930, ს. ყულიშკარი, ზუგდიდის რ-ნი, – 25.XII.2001, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1954 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1963-66 სწავლობდა საქ. მეცნ. აკადემიის ასპირანტურაში პროფ. ვ. ზენკოვიჩის ხელმძღვანელობით. 1967-86 მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა საქ. ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში; 1985 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბუნებრივ გარემოზე მთის წყალსაცავების ზემოქმედების გამოკვლევა". 1986-დან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეგზოდინამიკური პროცესების ლაბორატორიის ხელმძღვანელად. იკვლევდა ზღვის ნაპირების დინამიკასა და მორფოლოგიას, კერძოდ, შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებს და კოლხეთის სანაპიროების წყალქვეშა კანიონებს, სანაპირო ზონის მორეცხვისა და ფოთის ნავსადგურის შესასვლელი არხის დასილვის გამომწვევ მიზეზებს. სხვა მეცნიერებთან ერთად შეიმუშავა ბიჭვინთის კონცხისა და ბიჭვინთის საკურორტო კომპლექსის ზღვის შტორმებისაგან დაცვის ორიგინალური მეთოდი. გარდა ამისა, წლების მანძილზე იკვლევდა საქართველოს წყალსაცავებს, მათში მიმდინარე პროცესებს, ნაპირებისა და ფსკერის დინამიკას, მთის წყალსაცავების გავლენას ბუნებრივ გარემოზე, წყალსაცავებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთზეგავლენის აქტუალურ პრობლემებს. გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო ნაშრომები.

მონოგრ.: Водохранилища Грузии и динамика их берегов. М., 1970.

მაღლაკელიძე რობერტ ვასილის ძე – MAGHLAKELIDZE ROBERT (28.IX.1952, ქ. ზესტაფონი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1989). 1975 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ნიადაგების გეოგრაფია და ნიადაგთმცოდნეობის სპეციალობა. 1972-დან მუშაობს თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარში, შემდეგ ამავე კათედრაზე. ამჟამად არ-ს ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის კათედრის დოცენტი. შეთავსებით მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში, საქართველოს გეოგრაფიის კათედრაზე. 1983 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ნიადაგების და ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების დღეღამური მდგომარეობები: ურთიერთკავშირის ანალიზი მარტყოფის სტაციონარის მონაცემების მაგალითზე". ძირითად სამეცნიერო ინტერესს შეადგენს საქართველოს ლანდშაფტების გეოქიმიისა და გეოფიზიკის აქტუალური საკითხები. გამოქვეყნებული აქვს 65-ზე მეტი სამეცნიერო

ნაშრომი. წლების განმავლობაში ეწეოდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას გორის პედაგოგიურ და ეკონომიკის ინსტიტუტში.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I (სახელმძღვანელო), თბ., 1999 (თანავტ); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II (სახელმძღვანელო), თბ., 2001 (თანააავტ.); Ландшафтные исследования на Марткопском стационаре 1975 г., Тб., 1975 (соавт.).

მაჭავარიანი ლია გივის ასული – MACHAVARIANI LIA (6.II.1960, თბილისი), სოფლ. მეურნ. მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1993). 1982 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ნიადაგთმცოდნეობის სპეციალობით. 1982-90 მუშაობდა ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრის ლაბორანტად. პერიოდულად (1982-88) სტაჟირებას გადიოდა ქ. მოსკოვში ვ. დოკუჩაევის სახ. ნიადაგთმცოდნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც დაეუფლა ნიადაგთმცოდნეობის ახალ მიმართულებას – მიკროპედოლოგიას. სწორედ ამ სფეროს ეხება მისი საკვალიფიკაციო ნაშრომი, რომელიც 1989 დაიცვა – „საქართველოს სუბტროპიკული ეწერი ნიადაგების მიკრომორფოლოგია და მიკროქიმია". 1990-დან იმავე კათედრის მასწავლებელია, ხოლო 1992-დან კათედრის დოცენტი. 1993 მიენიჭა დოცენტის წოდება. 1998-დან თსუ საქართველოს გეოგრაფიის კათედრის დოცენტი და გამგის მოადგილეა. 1993-99 შეთავსებით მუშაობდა თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტში გეოპოლიტიკის კათედრის გამგედ, სადაც მის მიერ დაარსებულ იქნა სამეცნიერო შრომების კრებული (1997, 1999). 1992 მიწვეული იყო გერმანიაში (ბავარია) ბუნების დაცვის ფედერალური სააგენტოს პროგრამით სემინარზე – ეროზიებთან, ღვარცოფებთან და ზვავებთან ბრძოლის ბიოლოგიურ-ტექნიკურ მეთოდების გასაცნობად, ხოლო 1997 მიწვეული იყო ფილიპსის სახ. მარბურგის უნივერსიტეტში (გერმანია), სადაც გაიარა გეოინფორმაციული სისტემებისა და დისტანციური კვლევის კურსები. 2002 კი ქ. თელ-ავივში (ისრაელი) მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიერ „მაშავის" პროგრამით ორგანიზებული აგრომეტეოროლოგიური კურსები. საპატრიარქოს რადიო „ევერიაში" მიჰყავდა გადაცემა საქართველოს გეოგრაფიაში (2001). მას არაერთ სამეცნიერო სიმპოზიუმსა და სემინარის მუშაობაში აქვს მიღებული მონაწილეობა. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო, სამეცნიერო-პოპულარული და სასწავლო-მეთოდური ნაშრომი. ლ. მაჭავარიანი არის ჟურნალ „საქართველოს გეოგრაფიის" მთავარი რედაქტორის მოადგილე. ასევე, მეცნიერ-ეკოლოგთა ასოციაცია „კავკასიის ეკოსახლის" გამგეობის წევრი (2003). მონაწილეობდა საერთაშორისო ორგანიზაციების პროგრამით გამოცხადებულ სამეცნიერო პროექტების შესრულებაში. არის სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი.

სახელმძღვ.: მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური გეოგრაფია (სახელმძღვ.), თბ., 1996 (თანაავტ.); სახალისო გეოგრაფია, თბ., 1998; 2003 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვ. სტუდენტებისათვის), თბ., 2002 (თანაავტ.); სასწავლო პროგრამა და მეთოდური მითითება „საქართველოს გეოგრაფიაში", თბ., 2001 (თანაავტ.).

მაჭავარიანი ნინო გიორგის ასული – MACHAVARIANI NINO (6.III.1943, ქ. თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1965 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1964 მუშაობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად, 1965 „ჰიდროპროექტში". 1965-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1965-68 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ცენტრალური კავკასიონის სამხრეთი ფერდობის მდინარეების მყარი მასალის ჩამონადენი". ამჟამად მუშაობს კავკასიის მდინარეების მყარი ჩამონადენის ფორმირებისა და რეჟიმის, ფსკერის და ალუვიური ნალექების შესწავლაზე, მყარი ჩამონადენის კვლევის მეთოდიკის შემუშავებაზე. გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი. არის რამდენიმე საკანდიდატო დისერტაციის ოპონენტი. 1974-75 იყო ახალგაზრდა მეცნიერთა სემინარის ხელმძღვანელი, 1975 დაამთავრა უცხო ენების დაუსწრებელი სწავლების ცენტრალური კურსები (ქ. მოსკოვი). 1979-87 იყო „ადამიანი და ბიოსფერო" №5 პროექტის სწავლული მდივანი.

მგელაძე კუკური გიორგის ძე – MGELADZE KUKURI (1.I.1915, ს. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი, – 8.V.2002, ქ. დონეცკი, უკრაინა), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1962). 1935 დაამთავრა საზღვაო ტექნიკუმი და მუშაობა დაიწყო ქ. ბაქოს გემსარემონტო ქარხანაში ჰიდროტექნიკოსად. 1936-37 იყო ქ. სოხუმის სამშენებლო ტრესტის ტექნიკოსი. 1937-38 იმყოფებოდა წითელი არმიის რიგებში. 1938 ჩაირიცხა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1941 გაიწვიეს სამამულო ომში. 1942 ტყვედ ჩავარდა და მოხვდა საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც იმყოფებოდა 1945-მდე. 1947 დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა კათედრაზე ასისტენტად. პროფესორ ბორის დობრინინის ხელმძღვანელობით ჩაატარა სამეცნიერო ექსპედიციები აფხაზეთის ტერიტორიაზე. 1962-74 იყო სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგე. 1955 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიანი აფხაზეთის ცენტრალური ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათში მოცემულია აფხაზეთის მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები, ფიზიკური გეოგრაფიისა და ლანდშაფტმცოდნეობის თეორიული საკითხები. კითხულობდა ლექციებს სსრკ ფიზიკურ გეოგრაფიაში, ტოპოგრაფია-

კარტოგრაფიაში, საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში, ლანდშაფტმცოდნეობასა და ბიოგეოგრაფიაში. 1956-86 იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სოხუმის ფილიალის თავმჯდომარე, ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. დაჯილდოებულია სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო სიგელით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით. მინიჭებული აქვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

მონოგრ.: ბიოგეოგრაფია, თბ., 1983; ბუნებისმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1986; Природа Абхазии, Сухуми, 1964.

მელაძე გიორგი გიორგის ძე – MELADZE GIORGI (18.VIII.1930, ს. მათხოჯი, ხონის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1988). 1953 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით და განაწილებით სამუშაოდ წავიდა მუხაესტატეს (ქობულეთის რ-ნი) ციტრუსების მეურნეობაში აგრონომად. 1954 არჩეულ იქნა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1958-61 ამავე ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1963 აირჩიეს ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის უფროს მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1979 კი ამავე ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგედ. შეთავსებით მუშაობს აგრარულ უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე. 1962 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ახალი სუბტროპიკული რაიონების აგროკლიმატური დახასიათება“, ხოლო 1975, ლენინგრადში, სადოქტორო დისერტაცია – „სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების წარმოების აგროკლიმატური პირობების გამოკვლევა კავკასიის ტერიტორიაზე, მათი განვითარებისა და მოსავლის აგრომეტეოროლოგიური პროგნოზების მეთოდები“. გამოქვეყნებული აქვს 110-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 6 მონოგრაფია. მინიჭებული აქვს დაშსახურებული აგრონომის საპატიო წოდება (1983), არჩეულია ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (1999); დაჯილდოებულია მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ (1970), სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით (1986), ღირსების ორდენით (2001).

მონოგრ. და სახელმძღვ.: სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების აგროკლიმატური პირობები და პროგნოზები, თბ., 1971; აგრომეტეოროლოგია, თბ., 1991 (თანაავტ.); მცენარეთა ეკოლოგია, თბ., 2003; Агроклиматические основы возделывания субтропических и эфиромасличных культур, Л., 1979; Прогноз гидрометеорологических условии Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.); Руководство по агрометеорологическим

прогнозам, т.I и II. Л., 1984 (соавт.); Экологические факторы и производство сельско-хозяйственных культур. Л., 1991; Экология с основами агрометеорологии, Тб., 1998.

მელაძე გიორგი გიორგის ძე – MELADZE GIORGI (24.VII.1960, თბილისი), ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2003). 1982 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მხარეთმცოდნეობისა და საექსკურსიო საქმის ორგანიზაციის მეთოდიკის სპეციალობით. 1982-89 მუშაობდა თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე, 1989-92 კი ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული სოციალურ-ეკონომიკური და რეგიონული პრობლემების ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე. 1992-დან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტში განყოფილების გამგის მოადგილედ. 2001-დან არის თსუ საქართველოს გეოგრაფიის კათედრის დოცენტი. 1990-91 სწავლობდა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე, სადაც მიენიჭა დემოგრაფის სპეციალობა. 1994 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თბილისის მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევის თავისებურებანი". გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია. მათში განხილულია შობადობის, სიკვდილიანობის, ქორწინების, განქორწინების, მიგრაციის პრობლემები და თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2001).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს მოსახლეობა და დემოგრაფიული პროცესები, თბ., 1997 (თანაავტ.); დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, თბ., 1997 (თანაავტ.); ოჯახის კრიზისი საქართველოში და საოჯახო პოლიტიკის პრინციპები, თბ., 1998 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვ. სტუდენტებისათვის), თბ., 2000 (თანაავტ.).

მელიქიშვილი ოთარ ეგნატის ძე – MELIKISHVILI OTAR (26.IV.1928, ქ. ფოთი, – 11.III.1983, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1947 სწავლა განაგრძო ქ. თბილისში მოსკოვის ფილიალთან არსებულ იურიდიულ სპეციალობაზე, რომელიც მალე დაიხურა. 1950 უგამოცდოდ ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1955 დაამთავრა კლიმატოლოგიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში. სხვადასხვა წლებში ის იყო უფროსი ინჟინერი და ჯგუფის უფროსი (1957-68), განყოფილების გამგე (1968-75) და

თბილისის ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე (1976-83). წლების მანძილზე შეთავსებით ლექციებს კითხულობდა თსუ-ში. მისი ინიციატივით ქ. ფოთში შეიქმნა ექსპერიმენტულ-მეთოდური ბაზა. აქ დაკვირვებების შედეგად მიიღო რიგი დასკვნები, რომლებიც გამოიყენა სამეცნიერო ნაშრომებში. კერძოდ, ნალექების გაზომვისას დაშვებული ცდომილებები და მათი თავიდან აცილების ხერხები; დაადგინა აღრიცხული ნალექების რაოდენობაზე მოქმედი ფაქტორების რიცხვითი მაჩვენებლები, რითაც საკმაოდ დააზუსტა ადრე შედგენილი იზოჰიეტების რუკები. აღსანიშნავია აგრეთვე მაღალმთიანი ადგილების ატმოსფერული ნალექების განაწილების კანონზომიერებათა შესწავლა და იქ გაზომილი ნალექების მეთოდიკის დაზუსტება. მას ეკუთვნის 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება კლიმატოლოგიის, როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს მეთოდური მითითებები. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ატმოსფერული ნალექების მრავალწლიური სიდიდეების განსაზღვრა, ნალექმზომი ხელსაწყოების ცდომილებების გათვალისწინებით".

მელიქსეთბეგი მანანა დავითის ასული –MELIKSETBEGI MANANA (15.V.1946, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი, უფროსი მასწავლებელი. 1969 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1967-დან მუშაობს თსუ ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტის, უფროსი ლაბორანტის, ასისტენტის და უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. 1981-84 სწავლობდა ასპირანტურაში ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში. ნაშრომები ძირითადად ეხება გეოგრაფიის მეთოდიკას და მოსახლეობის მიგრაციულ პროცესებს. 1971-დან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. ატარებს სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას, კითხულობს ლექციებს ეკონომიკურ და ბიზნესის ფაკულტეტებზე. წლების განმავლობაში იყო კათედრის მდივანი და საქართველოს განათლების სამინისტროს გეოგრაფია-გეოლოგიის სექციის სწავლული მდივანი. 1986-90 შეთავსებით მუშაობდა ე. კომაროვის სახ. ფიზიკა-მათემატიკის რესპუბლიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1993-დან კი საათობრივ დატვირთვაზეა თბილისის VI ქართულ-გერმანულ გიმნაზიაში.

სახელმძღვ.: თბილისი გზამკვლევი (სტუდენტებისათვის), თბ., 1981 (თანაავტ.); გეოგრაფია (უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 1990 (თანაავტ.).

მესტიაშვილი გელა ანზორის ძე – MESTIASHVILI GELA (5.IV.1955, თბილისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი მაგნიტური ჰიდროდინამიკის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1990 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კონტინენტური და ზღვისმიერი წარმოშობის ატმოსფერული აეროზოლების ოპტიკური მახასიათებლების სტატისტიკური სტრუქტურა". გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება ატმოსფეროს ოპტიკას, კლიმატს, ატმოსფეროს აეროზოლურ გაჭუჭყიანებას.

მესხი ელენე პროკოფის ასული – MESKHI HELEHE (3.VII.1905, ს. ბაღდათი, – 3.VII.1984, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი. 1924 წარჩინებით დაამთავრა ქ. ქუთაისის ქალთა გიმნაზია. მუშაობა დაიწყო ს. ბაღდათის შვიდწლიან სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. 1928 სწავლობდა ოთხწლედის მასწავლებელთა გადასამზადებელ კურსებზე. 1930 მუშაობას იწყებს თბილისში განსახკომის მესამე საცდელ-საჩვენებელ საბავშვო ბაღში მასწავლებლად. 1937 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომ-გეოგრაფის კვალიფიკაციით. 1938 მუშაობა დაიწყო ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1964-დან იყო უფროსი მასწავლებელი. იგი კითხულობდა ლექციებს სსრკ ეკონომიკურ გეოგრაფიაში. მონაწილეობა მიიღო 1947 გამოცემულ VII კლასის „საქართველოს გეოგრაფიის" სახელმძღვანელოს მომზადებაში. თანაავტორობით გამოაქვეყნა საკურსო შრომების თემატიკა ეკონომიკურ გეოგრაფიაში (1960 და 1964). საკმაო შრომა გასწია „გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებითი ლექსიკონის" შედგენაში (1965). შესრულებული აქვს 25 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხებიან ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხებს. სათანადო ადგილი დაუთმო ქართველი მოგზაურების მოღვაწეობას და საზღვარგარეთის ქვეყნების (ინდოეთი, ბირმა და სხვ.) შესწავლას.

მესხია ზაურ ივანეს ძე – MESKHIA ZAUR (29.IX.1937, ქ. ზუგდიდი, – 11.V.2000, თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1959-დან პარალელურად მუშაობს ჰიდრომეტსამსახურის სამმართველოში მექანიკოსად, შემდეგ ინჟინრად. 1969-დან გადადის „კავჰიდროტრანსში" უფროს ინჟინრად, შემდეგ ჰიდროტექნიკის განყოფილების გამგედ. 1977-დან მუშაობდა საქართველოს გეოლოგიურ დეპარტამენტში უფროს გეოლოგად, შემდეგ ჰიდროგეოლოგად. 1972-75 გაიარა ასპირანტურის კურსი თსუ ჰიდროლოგიის კათედრაზე. 1993 დაიცვა საკანდიდატო დიერტაცია – „მდინარეთა ჩამონადენის გაანგარიშება იზოქრონების თეორიის ახლებური წარმოდ-

გენის საფუძველზე (დასავლეთ საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად შეეხება მდინარეთა ჩამონადენის ფორმირების კონცეფციას, მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობებს.

მესხია ჯემილა ივანეს ასული – MESKHIA JEMILA (19.IV.1933, ქ. ზუგდიდი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1956 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1961 ჩაირიცხა გეომორფოლოგიის კათედრის ასპირანტად, ხოლო 1962 ამავე კათედრაზე სამუშაოდ მიიღეს ლაბორანტის თანამდებობაზე. აქვე, აკადემიკოსების ა. ჯავახიშვილისა და ა. ცაგარელის ხელმძღვანელობით შეასრულა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. ცხენისწყლის აუზის შუა და ქვემო ნაწილების გეომორფოლოგია", რომელიც 1968 დაიცვა. ნაშრომი წარმოადგენს ენდო- და ეგზოგენური ფაქტორების უკუკავშირებით გეომორფოლოგიის რიგი ფუნდამენტური საკითხების ახსნის ცდას. 1999 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „შავი ზღვის ქვაბულის მიმდებარე მთიანეთის რელიეფის მორფოსტრუქტურული ანალიზი (საქართველოს ფარგლებში)". ნაშრომი წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას კავკასიის რეგიონალურ გეომორფოლოგიაში. მასში გაგრძელებულია ტრადიციული მორფოსტრუქტურული მიმართულება, მაგრამ განვითარებულია ახალი სამეცნიერო-მეთოდური საფუძველი. ნაშრომის ძირითადი ღირსებაა მორფოსტრუქტურა-მორფოსკულპტურათა კორელაციური ნალექების კომპლექსური გეომორფოლოგიური ანალიზი, მათ შორის, უკუკავშირებით რელიეფის სხვადასხვა გეომორფოლოგიური დონეების (მოსწორებული ზედაპირების, ზღვიური და მდინარეული ტერასების, კარსტული და მყინვარული წარმონაქმნების და სხვ.) და ტექტონიკური დეფორმაციის ასაკის და ხასიათის, მორფოსტრუქტურების ტიპების და რელიეფის ასაკის დადგენა. მის მაგალითზე დასმული და გადაწყვეტილია გეომორფოლოგიის ისეთი ფუნდამენტური საკითხები, რომლებიც ხანგრძლივი დისკუსიის საგანი იყო. 2001 საერთაშორისო გეომორფოლოგიურ თათბირზე ნაშრომს მაღალი შეფასება მიეცა. ამ და სხვა საკითხებზე ავტორს გამოქვეყნებული აქვს 33-ზე მეტი ნაშრომი საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო გამოცემებში.

მეტრეველი გიორგი სერაპიონის ძე – METREVELI GIORGI (10.IX.1938, ქ ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1996). 1958 სწავლა დაიწყო ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ხოლო 1960-დან თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც 1965 დაამთავრა ინჟინერ-ჰიდროლოგის კვალიფიკაციით. 1964-66 მუშაობდა ჰიდრომეტეოროლო-

გიური სამმართველოს სამგორის სადგურის ინჟინრად. 1966-68 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1966 თსუ ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრის ასისტენტია. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „აღმოსავლეთ საქართველოს სეზონური რეგულირების წყალსაცავების ჰიდროლოგიური რეჟიმი". 1970-71 გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილეა. 1970 არჩეულია კათედრის დოცენტად. 1995 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „მსოფლიო ოკეანის თანამედროვე ევსტაზია და ზღვისპირა რეგიონების ევსტატური პრობლემები". 1996 არჩეულია მეტეოროლოგია-ოკეანოლოგიის კათედრის პროფესორად. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: ამიერკავკასიის წყალსაცავები, თბ., 1985; საზღვაო ჰიდრომეტრია, თბ., 1997; კლიმატის თანამედროვე გლობალური დათბობის გავლენა საქართველოს ზღვის სანაპირო ზონაზე, თბ., 1999 (თანაავტ.).

მეტრეველი პარმენ მიხეილის ძე – METREVELI PARMEN 15.VI.1905, დაბა ონი, – 25.X.1987, მოსკოვი), გეოგრაფი. 1930 დაამთავრა მოსკოვის პოლიტექნიკური ინსტიტუტი ელექტროინჟინრის სპეციალობით. პარალელურად დაამთავრა (1938) მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. მუშაობდა მოსკოვის საარტილერიო სასწავლებლის ერთ-ერთ ხელმძღვანელად. მონაწილეობდა სამამულო ომში. მიღებული ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება. 1946-დან შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. საშუალო სკოლაში ასწავლიდა გეოგრაფიას (1946-75). იყო სკოლის დირექტორი (1955-70). მოღვაწეობდა აგრეთვე პედაგოგიურ აკადემიაში. შექმნა გეოგრაფიის სახელმძღვანელოები. მინიჭებული ჰქონდა რუსეთის დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1960), იყო სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების წევრი (1933-87). დაჯილდოებულია საბრძოლო ორდენებითა და მედლებით, შრომის წითელი დროშის (1975) და საპატიო ნიშნის ორდენით.

სახელმძღვ.: Изучение промышленности и сельского хозяйства в курсе география IX класса, М., 1958; Изучение промышленности и сельского хозяйства, М., 1963 (следующ. изд. 1965, 1967, 1969); География Москвы и Московской области, М., 1966 (нескольк. изд., соавт.).

მირიანაშვილი მირიან ალექსანდრეს ძე – MIRIANASHVILI MIRIAN (7.IX.1933, თბილისი, – 18.VI.2002, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1962 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1962-64 მუშაობდა ქ. ალმა-ათაში, ყაზახეთის ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურში ინჟინრის თანამდებობაზე. 1964-დან ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჯერ ინჟინრის, შემდეგ უმცროსი, ხოლო 1974-დან უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1987-დან მუშაობდა

„ენერგოქსელპროექტში“ მთავარ ჰიდროლოგად. 1974-76 სამუშაოდ მივლინებული იყო სირიაში, 1981-83 საირიგაციო სამუშაოებისათვის ანგოლაში. 1973 ლენინგრადის ჰიდროლოგიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კოლხეთის დაბლობზე წყლის ბალანსის ელემენტების გაანგარიშება“. გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი საქართველოს წყლის რესურსების და მდინარეთა რეჟიმის შესახებ.

მონოგრ.: Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.).

მიქაუტაძე დალი კაიტონის ასული – MIKAUTADZE DALI (21.VI.1949, ქ. ქუთაისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1972 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1972-75 გაიარა ასპირანტურის კურსი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის განხრით. 1977 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ჰაერის მასების ტრანსფორმაცია შავი ზღვის ზედაპირზე გადმოსვლისას“. მასში გამოკვლეულია ზღვისპირა რაიონების კლიმატური პირობების კავშირი ტროპოსფეროს სრული ენერგიის მდგენელებთან; დადგენილია ურთიერთდამოკიდებულება ამ მდგენელებსა და ატმოსფერულ ნალექებს შორის. მიღებულია საპროგნოზო განტოლება თავსხმა ნალექების წინასწარმეტყველებისათვის, 36-72 საათით ადრე. 1972-78 მუშაობდა თსუ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე მეცნიერ-თანამშრომლად. 1978-დან მუშაობს ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრის დოცენტად. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, მისი კვლევის ობიექტს შეადგენს ეკოლოგიის საკითხები; ჩატარებული აქვს საინტერესო სამუშაოები ატმოსფერული ჰაერის დამაჭუჭყიანებელ ზოგიერთ ინგრედიენტსა და მეტეოროლოგიურ ელემენტებს შორის ურთიერთკავშირის გამოვლენის მიზნით. მიღებული შედეგები გაშუქებულია ხელნაწერ ფონდებში. გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მიქელაძე ლევან ბიძინას ძე – MIKELADZE LEVAN (26.II.1957, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1978-89 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. იყო უფროსი ლაბორანტი, ინჟინერი, 1989-92 საქ. მეცნ. აკად. დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების სწავლული მდივანი, 1992 საგარეო საქმეთა სამინისტროს პირველი ევროპული სამმართველოს უფროსი, 1992-94 სახელმწიფო მეთაურის აპარატის მრჩეველი. 1995-96 აშშ, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოს პოლიტიკური მრჩეველი, 1996-2002 საქართველოს საგანგებო

და სრულუფლებიანი ელჩი ავსტრიის რესპუბლიკაში, ვენის საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივმოქმედი მისიის ხელმძღვანელი, 2002-დან საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აშშ, კანადასა და მექსიკაში. 1983-85 გაიარა სტაჟირება მოსკოვის გეოგრაფიის ინსტიტუტში, ხოლო 1994-95 აშშ სტენფორდის უნივერსიტეტში (ფულბრაიტის სტიპენდიატი). 1987 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ავღანეთის სოფლის მეურნეობის ტერიტორიული დიფერენციაცია". მასში მოცემულია ავღანეთის სოფლის მეურნეობის კომპლექსური ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, გაანალიზებულია ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ბუნებრივ-ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები. განხორციელებულია ბუნებრივი რესურსების ეკონომიურ-გეოგრაფიული შეფასება მათი აგროწარმოებაში ჩართვის შესაძლებლობათა თვალსაზრისით ჩატარებულია ავღანეთის აგრობუნებრივი დარაიონება. გამოყოფილია ავღანეთის მიწათმოქმედებისა და მეურნეობის საწარმოო-ტერიტორიული ტიპები და მოცემულია მათი დეტალური დახასიათება. ამჟამად მუშაობს კავკასიისა და მიმდებარე რეგიონების ეთნოპოლიტიკაზე. გამოქვეყნებული აქვს 15-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მოწერელია ალექსანდრე ბესარიონის ძე – MOTSERELIA ALEXANDRE (25.II.1910, ქ. ფოთი, – 10.V.1998, იქვე), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1976). 1931 დაამთავრა თბილისში სუბტროპიკული კულტურების საკავშირო ინსტიტუტი აგრონომის სპეციალობით. 1932-38 მუშაობდა კოლხეთის მელიორაციისა და სუბტროპიკული კულტურების საცდელ სადგურში ნიადაგთმცოდნედ. 1938-39 იყო საბჭოთა არმიის კურსანტი. 1939-40 იყო ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში. 1940-42 კოლხეთის მელიორაციისა და სუბტროპიკული კულტურების საცდელ სადგურში უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1942-45 ფოთის ჰიდრომელიორაციის ტექნიკუმის დირექტორია. 1945-72 იყო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის დირექტორი, ხოლო 1972-78 მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ნიადაგთმცოდნეობისა და მელიორაციის კათედრის გამგედ. 1978-დან ტრესტ „კოლხიდმშენის" სამშენებლო ლაბორატორიის გამგეა. 1980-დან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში კოლხეთის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელად და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (1936-65) და ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში (1953-55), საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტში (1972-78). 1948 დაიცვა საკანდიდატო

დისერტაცია – „კოლმატაჟი და კოლხეთის კოლმატური ნიადაგების ფორმირება“, ხოლო 1967 სადოქტორო დისერტაცია – „კოლხეთის დაბლობის ნიადაგები, მათი მელიორაცია და სასოფლო-სამეურნეო ათვისება“. ავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც ეხება კოლხეთის დაბლობის მელიორაციასა და სასოფლო-სამეურნეო ათვისებას. დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1961, 1971), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1961, 1967, 1970).

მონოგრ.: სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია, ნაწ. I, თბ., 1984; კულტურტექნიკა და აგრომელიორაცია კოლხეთის დაბლობის დაშრობილ მიწებზე, თბ., 1986; Преобразование Колхиды, М., 1954; Мелиорация и сельскохозяйственное освоение Колхидской низменности, М., 1974.

მოწონელიძე ნარგიზი გიორგის ასული – MOTSONELIDZE NARGIZI (26.VII.1947, ქ. თბილისი), უფროსი მასწავლებელი. 1971 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტეოროლოგის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო კათედრაზე. 1977-80 გაიარა ასპირანტურის კურსი. ამჟამად უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზეა. გამოქვეყნებული აქვს 20-მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც განხილულია ატმოსფეროს დაჭუჭყიანების საკითხები.

მონოგრ.: პრაქტიკული სამუშაოები მეტეოროლოგიასა და კლიმატოლოგიაში, თბ., 1987 (თანაავტ.).

მუმლაძე დალი გიორგის ასული – MUMLADZE DALI (14.XI.1941, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, ინჟინერ-მეტეოროლოგის სპეციალობით. 1963-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კლიმატოლოგიის განყოფილებაში. 1966-69 გაიარა ასპირანტურის კურსი კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1974 პარალელურად დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ქვეყნების ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისური ენის სპეციალობით. 1972 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კლიმატის თანამედროვე ცვლილებები მთიან რაიონებში“. ამჟამად მუშაობს კლიმატის ცვლილებებზე და მის პროგნოზებზე. გარდა ამისა, მისი კვლევის ძირითად საგანს წარმოადგენს ისეთი გლობალური მნიშვნელობის პრობლემური საკითხები, როგორიც არის ეკოლოგია, ბუნების დაცვა და ბუნებრივი რესურსების ცვლილება დროსა და სივრცეში. არის 80-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. არჩეულია მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის საქართველოს საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის წევრად.

მონოგრ.: საქართველოს კლიმატის თანამედროვე ცვლილება, თბ., 1991; მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური გეოგრაფია, სახელმძღვანელო, თბ., 1996 (თანაავტ.); საქართველოს მიწისპირა ტემპერატურული

ველის ცელილების ემპირიული მოდელი, თბ., 1999 (თანაავტ.);საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Колхидская низменность, М., 1990 (соавт.).

ᲛᲭᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲤᲐᲠᲜᲐᲝᲖ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲫᲔ – MCHEDLISHVILI PHARNAOZ (22.IV.1919, თბილისი, – 27.IX.1989, იქვე), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1965). 1936 ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოლოგიურ განყოფილებაზე, რომლის დამთავრება ვერ მოასწრო, 1941 გაიწვიეს არმიაში. 1943 მძიმე ჭრილობის შემდეგ ზურგის ნაწილებში გადაიყვანეს, სადაც 1945 ბოლომდე სამხედრო გეოლოგიურ ნაწილში მუშაობდა. 1946 თსუ ჩააბარა გამოცდები და იმავე წელს ჩაირიცხა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვ. კომაროვის სახ. ბოტანიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში პალეობოტანიკის განხრით. 1948 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ჩრდილოეთი ყაზახეთის ტურგაის ფლორის ბიოსტრატიგრაფიული და პალეოეკოლოგიური მნიშვნელობა“. ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში. 1957 გადაიყვანეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის სექტორში, რომელიც 1957 გადაკეთდა პალეობიოლოგიის ინსტიტუტად. აქ ჯერ უფროსი მეცნიერ თანამშრომელი იყო, ხოლო 1959-დან პალეობოტანიკის განყოფილების გამგე. 1964 აირჩიეს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგედ, ხოლო 1979-დან ეკავა ერთიანი გეოგრაფიის კათედრის გამგის თანამდებობა. 1957 სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიის ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „კავკასიის ნეოგენური ფლორის ბიოსტრატიგრაფიული მნიშვნელობა და პალეოეკოლოგია“. შესრულებული აქვს 110-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც გამოკვლეულია ზედა ცარცული პერიოდის და კაინოზოური ერის ფიტოსტრატიგრაფია, პალეოგეოგრაფია და პალეოკლიმატოლოგია, აგრეთვე, ფარულთესლიანთა ფილოგენია. გარდა ამისა, ნაყოფიერად მუშაობდა ფლორისტიკაში – ფარულთესლიანი და ფლორის ისტორიაში. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1981).

ᲜᲐᲓᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲜᲐᲜᲐ ᲝᲗᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – NADAREISHVILI NANA (30.V.1952, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1999). 1974 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1975-79 გაიარა დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი მეცნ. აკად. წ/კ ვ. ჯაოშვილის ხელმძღვანელობით. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს მოსახლეობის კვლავ-

წარმოების ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები". გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება საქართველოს მოსახლეობის კელავწარმოების სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, შრომითი რესურსების ეკონომიკურ-გეოგრაფიულ კვლევას, მთიანი რაიონების დემოგრაფიული სიტუაციის შესწავლას. ცალკეული რეგიონების სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხებს და სხვ. არის კოლექტიური მონოგრაფიის „თბილისის" თანაავტორი. კითხულობს ლექციებს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, მსოფლიო ეკონომიკა და მსოფლიოს ეკონომიკური გეოგრაფია.

მონოგრ. და სახელმძღვ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I (სახელმძღვ.), თბ., 1999; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

ნადარეიშვილი ომარ გრიგოლის ძე – NADAREISHVILI OMAR (5.III.1942, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1965 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1965-67 მუშაობდა საქ. მინისტრთა საბჭოს წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კომიტეტში უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე, 1967-68 მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე. 1968-82 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროსი ინჟინრის, შემდეგ უმცროსი მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. აქვე, 1974-78 გაიარა ასპირანტურის კურსი პროფ. ლ. ვლადიმიროვის ხელმძღვანელობით. 1978-80 სხვა სპეციალისტებთან ერთად მივლინებული იყო სირიის არაბთა რესპუბლიკაში, ქ. ალეპოში მესკენეს რაიონის მელიორაციული სამუშაოების ჩასატარებლად. 1982-დან მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „ჰიდროთევზპროექტის" ამიერკავკასიის განყოფილებაში მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე; 1992 არჩეულ იქნა მრავალდარგოვანი მცირე საწარმოს „ვერხვის" პრეზიდენტად, 2003-დან დაინიშნა შპს „გლდანის გამწვანების" დირექტორად. 1981 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დიდი კავკასიონის მყინვარული ჩამონადენი". გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი.

ნაკაიძე ედუარდ კონსტანტინეს ძე – NAKAIDZE EDUARD (2.I.1935, ქ. თელავი), ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995). 1960 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1965-82 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1969-72 მივლინებით იმყოფებოდა კუბის რესპუბლიკაში მთავარ ნიადაგთმცოდნედ, ხოლო 1979-80 ლიბიაში უფროს ნიადაგთმცოდნედ. 1982-85 იყო სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების ცენტრალური ინსტიტუტის ამიერკავკასიის ფილიალის

განყოფილების გამგე და დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში. 1985-დან არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის მიწის, წყლის, ტყისა და რეკრეაციული რესურსების განყოფილების გამგე. 1966 მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს ყავისფერი ნიადაგები და მათი გენეტიკური თავისებურებანი", ხოლო 1985 სადოქტორო დისერტაცია – „ამიერკავკასიის ზომიერად მშრალი სუბტროპიკების ნიადაგები და მათი სასოფლო-სამეურნეო გამოყენება". გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 10 მონოგრაფია. მას ეკუთვნის გამოკვლევები ამიერკავკასიის მშრალი სუბტროპიკების, კუბისა და ლიბიის ნიადაგების მელიორაციის, დაცვის და სასოფლო-სამეურნეო გამოყენების, საქართველოს მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემებზე. პირველად შეადგინა საქართველოს ნიადაგურ-კლიმატური დარაიონების სქემა და შეიმუშავა ნიადაგების კლასიფიკაციის სრულყოფის ძირითადი პრინციპები და წინადადებები, დასახა ნიადაგურ-კლიმატურ ზონებში, მიწათმოქმედების სისტემების თავისებურებათა მიხედვით, ნაყოფიერების ამაღლების გზები, განსაზღვრა მიწის რესურსების გამოყენებასა და დაცვაში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიმართულებები. გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე პოპულარული სამეცნიერო სტატიები რესპუბლიკურ პრესაში მიწის რესურსების გამოყენების, დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების აქტუალურ საკითხებზე. არის ნიადაგთმცოდნეთა საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური კონგრესების, კონფერენციებისა და სესიების მონაწილე. კითხულობდა ლექციებს ნიადაგთმცოდნეობაში თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (1967-69). ნიადაგთმცოდნეობაში თვალსაჩინო წვლილისთვის მიენიჭა აკადემიკოს ვ. ვილიამსის სახელობის პრემია, დაჯილდოებულია კუბაში სსრ კავშირის საელჩოს საპატიო სიგელით.

მონოგრ.: საქართველოს მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის პრობლემები, თბ. 1994 (თანაავტ.); Почвенно-мелиоративные особенности Кубы, Тб., 1975; Коричневые и лугово-коричневые почвы Грузии. Тб., 1977; Изучение пещер Колхиды. Цуцхватская многоярусная карстовая пещерная система, Тб., 1978 (соавт.); Фауна беспозвоночных коричневых почв и горных черноземов Грузии, Тб,. 1979 (соавт.); Серо-коричневые и черные почвы Грузии, Тб., 1980; Грузия 2000 - регионы. Том V. Комплексная программа экономического и социального развития регионов Грузинской ССР на перспективу до 2000 года. Тб., 1987 (соавт.); Генетические типы почв Закавказья, М., 1989; Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования, Тб., 1991; Генезис черных почв Грузии и особенности их сельско-хозяйственного использования, Тб., 1994; Земельные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования, Тб., 1996.

ნაკაიძე ირაკლი ახმედის ძე – NAKAIDZE IRAKLI (15.I.1914, ს. ხუცუბანი, ქობულეთის რ-ნი, – 15.IV.1972), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1968). 1934 წარჩინებით დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1939 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო აჭარის განათლების კომისარიატში მეთოდისტად. 1940 გადავიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სამასწავლებლო ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე. მონაწილეობდა სამამულო ომში; 1944 დემობილიზებული იქნა ჭრილობის გამო. კვლავ დაბრუნდა პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე. შემდეგში იყო გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი. 1946 დააწინაურეს აჭარის განათლების მინისტრად. 1949-დან მუშაობას იწყებს პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის მოადგილედ დაუსწრებელი სწავლების დარგში. შემდეგ კი, ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად. 1962 გადაიყვანეს პრორექტორად სასწავლო და სამეცნიერო დარგში. 1971 საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დისციპლინების სწავლების მეთოდიკის კათედრის გამგეა. 1967 თსუ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე – „აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის განვითარებისა და განლაგების ზოგიერთი საკითხი". 15 მეცნიერული შრომის ავტორია. მისი შრომები ეხება აჭარაში სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და განვითარების გეოგრაფიულ ასპექტებს.

ნასყიდაშვილი აკაკი სერგოს ძე – NASKIDASHVILI AKAKI (26.I.1947, ს. ტიბაანი, სიღნაღის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1973 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-ოკეანოლოგის სპეციალობით. 1973-90 მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს სისტემაში – ინჟინერ-ოკეანოლოგად სოხუმის ჰიდრომეტობსერვატორიაში, ინჟინერ-ჰიდროლოგად თელავის ჰიდრომეტეოობსერვატორიაში, წყალსაბალანსო სადგურ „ალაზნის" უფროსად. 1978-84 მუშაობდა აფხაზეთის ჰიდრომეტეოროლოგიურ ცენტრში. 1984-86 იყო საბჭოთა კავშირის ჰიდრომეტეოროლოგიური ცენტრის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურაში. იქვე, 1987 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ანაპა-ბათუმის გემთსავალი ტრასის ჰიდრომეტეოროლოგიური პირობების პროგნოზი". 1990-დან მუშაობს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სოხუმის საზღვაო კონვენციური ინსპექციის უფროსად, 1997-დან ამავე სამინისტროს შავი ზღვის დაცვის კონვენციური ინსპექციის უფროსის მოადგილედ (ბათუმი). პარალელურად, 1985-დან მუშაობს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შემდეგ თსუ სოხუმის ფილიალში, სადაც კითხულობდა ლექციებს „მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიაში". 1988-

დან მუშაობს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში სუბტროპიკული მეხილეობისა და ეკოლოგიის კათედრაზე (ქუთაისი) დოცენტის თანამდებობაზე. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც ასახვა ჰპოვა შავი ზღვის სანაპირო ზოლის ეკოლოგიურმა პირობებმა, გაშუქებულია შავი ზღვის აღმოსავლეთ რაიონის ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები და მოცემულია შტორმული ღელვის პროგნოზის მეთოდები, მცირე ტონაჟიანი სწრაფმავალი გემებისათვის. გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს ჟურნალ-გაზეთებში, სამეცნიერო-პოპულარული წერილები სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. არის ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ნაფეტვარიძე ეკატერინე ალექსის ასული – NAPHETVARIDZE EKATERINE (18.XI.1892, ქუთაისი, – 11.I.1965, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1916 დაამთავრა ქ. პეტერბურგის ბესტუჟევის ქალთა უმაღლესი კურსების ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში. 1930 სამუშაოდ გადაიყვანეს ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს ამინდის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1936-დან მუშაობს ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილებაში. სხვა მკვლევარებთან ერთად, მან შეისწავლა ამიერკავკასიაში მიმდინარე ცირკულაციური პროცესების თავისებურებანი. 1949 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები საქართველოს ტერიტორიაზე, როგორც მისი კლიმატური ფაქტორი". ნაშრომში მოცემულია ჰავის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორის დახასიათება, ახსნილია მისი როლი საქართველოს კლიმატური პირობების ჩამოყალიბებაში. 1950-52 შეთავსებით მუშაობდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც აწარმოებდა ამიერკავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში კლიმატისა და მისი შემქმნელი ფაქტორების შესწავლას. ამ პერიოდში გამოქვეყნდა მეტად საინტერესო ნაშრომები, რომელთაც როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. 1953-დან მუშაობდა თბილისის (ამიერკავკასიის) რეგიონალურ სამეცნიერო-კვლევით ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

ნაჩყებია ირინე ნოდარის ასული – NACHKEBIA IRINE (19.XI.1956, თბილისი), ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი. 1977 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. სადიპლომო ნაშრომი მოამზადა ქ. ლოძის (პოლონეთი) უნივერსიტეტის გეოგრაფიის ინსტიტუტის თსუ ეკონომიკური გეოგრაფიისა და სივრცობრივი ორგანიზაციის კათედრაზე პროფ. ლ. სტრაშევიჩის ხელმძღვანელობით. 1977-83

ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე გაიარა ასპირანტურის კურსი. 1982-83 მუშაობდა ამავე კათედრაზე უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1983-დან მუშაობს გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, ჯერ სამეცნიერო ინფორმაციის, შემდეგ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებაში. 1996-დან თანამშრომლობს საფრანგეთის სამეცნიერო კელევის ნაციონალური ცენტრის (CNRS) „ირანული სამყაროს" კვლევით პროგრამებში. სამეცნიერო მივლინების დროს (1996-2002) პარიზის არქივებსა და ბიბლიოთეკებში მოიძია დღემდე უცნობი მასალები 1804-1810 საფრანგეთ-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობებსა და მასში საქართველოს მნიშვნელობის შესახებ. მონაწილეობდა INTAS-ის გაერთიანებული საერთაშორისო ჯგუფის სამეცნიერო პროექტში – თბილისი XIX საუკუნეში: ისტორია, კულტურა (2001-2003). 1991-99 ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კითხულობდა ლექციებს თბილისის აზიისა და აფრიკის ინსტიტუტსა და თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1990 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ამედე ჟობერის ნაშრომი „მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-06 წწ., როგორც წყარო XIX საუკუნის დასაწყისის მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის". ხოლო 2003 სადოქტორო დისერტაცია – „საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობა 1804-1810 წლებში (ფრანგული წყაროებისა და საარქივო მასალის მიხედვით)". გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: ამედე ჟობერი, მოგზაურობა სომხეთსა და სპარსეთში 1805-06 წწ. (თარგმანი ფრანგულიდან, გამოკვლევა და კომენტარები), თბ., 1997; ნარკვევები საფრანგეთ-ირანის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XIX საუკუნის დასაწყისი), თბ., 2002.

ნაჭყებია ნოდარ ვალერიანის ძე – NACHKEBIA NODAR (8.IV.1928, თბილისი, – 10.XI.1977, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1950 დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალობით. 1950-53 გაიარა ასპირანტურის კურსი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით პროფ. გ. გეხტმანის ხელმძღვანელობით. 1954-60 მუშაობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, აგრეთვე, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1957-60 ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში იყო უფროსი მეცნიერ თანამშრომელი. 1960-დან მუშაობდა თსუ-ში. იყო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრის ხელმძღვანელი (1963-74), ხოლო 1965-1977 ფაკულტეტის დეკანი. წლების მანძილზე იყო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს თავმჯდომარე. ჯერ კიდევ ასპირანტურის პერიოდში იკვლევდა საქართველოს

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სანავსადგურო ქალაქ ფოთს. 1955 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ფოთი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა)". 60-იან წლებში პირველი შეუდგა თურქეთის, ირანის და არაბული ქვეყნების ეკონომიკურ-გეოგრაფიულ კვლევას. თსუ-ში საფუძველი ჩაუყარა ახალ სპეციალობას – „საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკურ გეოგრაფიას". მისი ინიციატივით ცალკე გამოიყო და ჩამოყალიბდა რიგი დამოუკიდებელი კათედრები. იგი ავტორია რიგი სამეცნიერო შრომებისა, რომლებიც გამოქვეყნებულია ქართულ და უცხოურ პუბლიკაციებში. მათ შორის, აღსანიშნავია რამდენიმე მონოგრაფია, რომლებიც საზღვარგარეთის ქვეყნებს ეხება. იგი დაინტერესებული იყო გეოგრაფიის ისტორიის კვლევითაც. ამ მხრივ, აღსანიშნავია მისი გამოკვლევები ა. დადეშქელიანისა და გ. ყაზბეგის მოგზაურობებზე. მისი სამეცნიერო ინტერესი საქართველოს სოფლის მეურნეობასა და სასოფლო განსახლებისაკენ იყო მიმართული. იგი წლების მანძილზე იყო საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სასწავლო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარე, უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის საქართველოს საზოგადოების წევრი. დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით და მედლით.

მონოგრ.: გიორგი ყაზბეგი აჭარის შესახებ, ბათუმი, 1960 (თანაავტ.); თურქეთი, თბ., 1970; ირანი, თბ.; 1972; მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, თბ., 1972.

ნეიძე ვაჟა ევგენის ძე – NEIDZE VAZHA (8.III.1937; თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2000). ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განყოფილების გამგე (1991). 1960 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. იკვლევდა მრეწველობის გეოგრაფიის, შემდეგ ქალაქების გეოგრაფიის საკითხებს. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „საქართველოს ახალი სამრეწველო ქალაქების ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები". შემდეგში კვლევა გააგრძელა საქართველოს განსახლების სისტემებზე (სასოფლო, საქალაქო). პირველად იქნა დამუშავებული ახალი ქალაქების (საქართველოს მასშტაბით) საკითხები. აგრეთვე თეორიული – რეგიონული განსახლების ფაქტორების სტრუქტურულ-ფუნქციური ანალიზი. 1986 გამოაქვეყნა ფუძემდებლური სტატია – „География спорта: предмет и задачи исследования" (Из. АН СССР. сер. геогр. №4, 1986), რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ახალ დისციპლინას – სპორტის გეოგრაფიას. იკვლევს აგრეთვე პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხებს, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ-

ტერიტორიული მოწყობის პრობლემას. აგრეთვე, სამხედრო (საომარი) კონფლიქტების, ტურიზმის, ბუნების დაცული ტერიტორიების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ვითარების გეოგრაფიულ ანალიზს; საქართველოს საზოგადოების ტერიტორიულ ორგანიზაციას (ფაქტორები, ტენდენციები, პრობლემები). გამოქვეყნებული აქვს 120-მდე სამეცნიერო შრომა, მათ შორის ეკონომიკურ-გეოგრაფიული ხასიათის 20-მდე კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორია. გარდა ამისა, იგი არის საერთაშორისო ოსტატი და ფიდეს საერთაშორისო არბიტრი საჭადრაკო კომპოზიციაში. დაჯილდოებულია ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიით (1993).

მონოგრ. და სახელმძღ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); ხევი, თბ., 1998 (თანაავტ.); ეროვნული პარკები და ტურიზმი, თბ., 1999 (თანაავტ.); სამეგრელო. ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა (გეოგრაფიული ასპექტები), თბილისი – ზუგდიდი, 1999 (თანაავტ.); ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონა, გზამკვლევი, თბ., 2001 (ქართულ და ინგლისურ ენებზე); გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვ. უმაღლესში შემსვლ.), თბ., 2002 (რედაქტ. და თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (პასუხისმგ. რედაქტორი და თანაავტ.).

ნემანიშვილი სიმონ ნესტორის ძე – NEMANISHVILI SIMON (12.II.1911, ს. აბანოეთი, ამბროლაურის რ-ნი, – 6.IX.1993, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1931 წელს დაამთავრა ქ. ონის პედაგოგიური ტექნიკუმი და დანიშნულ იქნა ონის რაიონის სოფ. ზვარეთის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებლად, ხოლო 1933-34 დირექტორად. 1939 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1939-41 მუშაობდა ქ. გორის გეოგრაფიის მეთოდკაბინეტის ხელმძღვანელად. 1941-46 იყო საბჭოთა არმიაში. 1946 მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის 33-ე ქალთა საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1948-დან თსუ გეომორფოლოგიის კათედრაზე იწყებს მუშაობას. 1948-52 გაიარა ასპირანტურის კურსი ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1956-დან მუშაობას იწყებს ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1954 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ახალციხის ქვაბულის აღმოსავლეთ ნაწილის გეომორფოლოგიისათვის". ნაშრომში პირველად იქნა გაშუქებული რელიეფწარმომშობი ფაქტორების თავისებურება; გამოყოფილ იქნა ეროზიულ-დენუდაციური ზედაპირების საფეხურები და მათი გეომორფოლოგიური დახასიათება და გავრცელება. ავტორია 60-მდე სამეცნიერო ნაშრომისა, რომლიდანაც 50 გამოქვეყნებულია. ნაშრომების უმეტესი ნაწილი ეხება მდინარეთა და ზღვიური ტერასების მეცნიერულ გამოკვლევებს. ტერასების გავრცელების ზოგადი სურათი გადმოცემულია ქვეყნის გეოლოგიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების გათვალისწინების ფონზე. შეიმუშავა მდინა-

რეული ტერასების გენეტური კლასიფიკაციის ორიგინალური, ოთხწევრიანი სქემა.

მონოგრ.: მთიანი მხარეების მდინარეული ტერასები (დასავლეთ საქართველოს მაგალითზე), თბ., 1973; მთიანი ქვეყნების მდინარეული ტერასები (აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე), თბ., 1982; Геоморфология Грузии, Тб., 1971 (соавт.).

ნიკოლაიშვილი დალი არსენის ასული – NIKOLAISHVILI DALI (29.V.1963, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1998). 1986 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1986-89 ასპირანტურის კურსი გაიარა სპეციალობით – ფიზიკური გეოგრაფია, ლანდშაფტების გეოფიზიკა და გეოქიმია. 1980-დან მუშაობს თსუ-ში, ჯერ ლაბორანტად, შემდეგ მეცნიერ თანამშრომლად აეროკოსმოსური მეთოდებით ბუნებრივი გარემოს მდგომარეობების შესწავლის სამეცნიერო კვლევით ლაბორატორიაში. 1998-დან საქართველოს გეოგრაფიის კათედრის დოცენტია. 1993-დან კითხულობს ლექციებს. 1995 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კავკასიის საშუალო მთის ტყის ლანდშაფტები (ლანდშაფტურ-გეოფიზიკური ანალიზი)". გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება ფიზიკური გეოგრაფიის, ლანდშაფტმცოდნეობის, ლანდშაფტების გეოფიზიკის, გეოინფორმატიკის, გეოინფორმაციული სისტემების, გარემოს დაცვისა და საქართველოს ტოპონიმიის საკითხებს. არის სამხრეთ კავკასიის ბუნებრივი რესურსების მონაცემთა ბაზის პროექტის კოორდინატორი.

მონოგრ. და სახელმძღ.: ლანდშაფტმცოდნეობა (ლექციების კურსი), თბ., 1992 (თანაავტ.); ლანდშაფტების პრაქტიკა მარტყოფის სტაციონარზე (დამხმარე სახელმძღ.), თბ., 1993 (თანაავტ.); საქართველოს საზღვრების ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა (დამხმარე საკითხავი საშუალო სკოლის მოსწავლ.), თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია (საშელმძღ. უმაღლესი სასწ. სტუდენტ.), თბ., 2000 (თანაავტ.); საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტების ახსნა-განმარტებანი (დამხმარე სასწავლო მასალა საშუალო სკოლის მოსწავლ.), თბ., 2000 (თანაავტ.).

ნიკოლაიშვილი თამილა ვასილის ასული – NIKOLAISHVILI TAMILA (3.III.1932, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1955 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს განაწილებით მუშაობა დაიწყო ავჭალის ცენტროლიტის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1957-დან თბილისის 28-ე საშუალო სკოლაში მოღვაწეობს, სადაც 1968-დან დირექტორი და გეოგრაფიის მასწავლებელია. 1973 მოხდა 25-ე და 28-ე სკოლების გაერთიანება და გახდა 25-ე საშუალო სკოლის დირექტორი. 1979-დან 43-ე საშუალო სკოლის დირექტორია. 1981-დან მუშაობს 116-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად.

ამავე პერიოდში მუშაობდა განათლების განყოფილებაში მეთოდისტ-ორგანიზატორად. 1977-2001 იყო განათლების სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიის მეთოდსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. 1968-73 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ და თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იქვე, გეოგრაფიის კათედრაზე სტუდენტებს უკითხავდა ლექციებს გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში. თ. ნიკოლაიშვილი ღებულობდა მონაწილეობას სხვადასხვა კონფერენციებში, სადაც გამოდიოდა საინტერესო მოხსენებებით. 1975-დან მონაწილეობას იღებდა საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ყრილობების მუშაობაში. აქტიურად მონაწილეობს სასკოლო სახელმძღვანელოების რეცენზირებაში, სტანდარტების და პროგრამების დამუშავებაში, მოსწავლეთა კონფერენციებსა და ოლიმპიადებში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეთოდური და სხვა ხასიათის ნაშრომი. დაჯილდოებულია საიუბილეო მედლით (1970), „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1980), შრომის ვეტერანის მედლით (1987). პრეზიდენტის განკარგულებით გამოეცხადა მადლობა (2000). მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1981). 1973-80 იყო რაიონული 14,15,16 მოწვევის დეპუტატი.

ნიკოლაძე გიორგი ნიკოლოზის ძე – NIKOLADZE GIORGI (29.VII.1888, ს. დიდი ჯიხაიში, სამტრედიის რ-ნი, – 5.II.1931, თბილისი), მეტალურგი, მათემატიკოსი, მთამსვლელი. 1913 დაამთავრა პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტი. 1913-16 მუშაობდა ტულა-კოსაიაგორის თუჯის, იუზოვკის (დონეცკის), 1916-18 ენაკიევოს მეტალურგიულ ქარხანაში. 1918 დაბრუნდა საქართველოში. იგი მიიწვიეს მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროში სპეციალისტ ინჟინერ-მეტალურგად. 1929-30 თბილისში (დიდუბეში) მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით აშენდა ფეროშენადნობთა სადნობი საცდელი ღუმელი, სადაც ჩატარებული ცდების შედეგები საფუძვლად დაედო ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მუშაობას. მნიშვნელოვანი შედეგები აქვს მიღებული მათემატიკაშიც. 1928-დან თსუ-ში კითხულობდა ლექციებს მათემატიკაში. დიდი წვლილი შეიტანა საქართველოში სპორტის პოპულარიზაციის საქმეში. 1923 მოაწყო ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე (მონაწილეობდა 18 ქართველი ალპინისტი, მათ შორის 5 ქალი), რამაც დასაბამი მისცა საბჭოთა ალპინიზმს. იგი არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი (1924), აქვე, მან დაარსა მთამსვლელობა-მგზავროსნობის განყოფილება, რომლის თავმჯდომარე თვითონ იყო. იგი ხელმძღვანელობდა ტექნიკური ტერმინოლოგიის სიტყვანის გამოცემის მომზადებას, მონაწილეობდა სპორტული ტერმინოლოგიის შედგენაში. დაარსებულია გ. ნიკოლაძის პრემია (1973).

ლიტ.: ბოგოლიუბოვი ა. გიორგი ნიკოლაძე, თბ., 1978; ქართული ენციკლოპედია, ტ. 7, თბ., 1984, გვ. 431.

ნიჟარაძე ნადიმ იზეთის ძე – NIZHARADZE NADIM (5.V.1911, ს. ვაიო, ქედის რ-ნი, – 12.VII.1982, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1972). 1930 დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო ქობულეთის სუბტროპიკულ ტექნიკუმში. 1936 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმში. ეკავა სხვადასხვა პასუხსაგები თანამდებობა, რომელსაც წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1936 დაინიშნა აჭარის სახელმწიფო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორად, 1938-44 აჭარის განათლების სახალხო კომისარია (მინისტრი). ამავე წელს სათავეში ჩაუდგა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ბათუმის ფილიალს. 1944 იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშია, კითხულობს ლექციებს სსრკ ფიზიკურ გეოგრაფიაში. ამავე დროს მუშაობდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის და ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1946 დაბრუნდა ბათუმში და იყო აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამმართველოს უფროსი. 1949-54 ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორია. 1954-დან გეოგრაფიის კათედრის გამგე. 1944 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აჭარის ალპური მეურნეობა". ნაშრომში პირველად არის მოცემული აჭარის მეცხოველეობის სრულყოფილი დახასიათება და დასახულია მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. 1970 კი დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „დაბლობებისა და მთიანი რაიონების მოსახლეობის ცხოვრების დონის დაახლოების ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები, აჭარის ასსრ მაგალითზე". მისი კვლევის ობიექტი ძირითადად იყო აჭარის ასსრ კომპლექსურ-გეოგრაფიული შესწავლა. გამოაქვეყნა 50-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. მიღებული აქვს სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. აჭარის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1982), საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1967), დაჯილდოებულია „უმაღლესი სკოლის წარჩინებულით".

მონოგრ.: აჭარის ალპური მეურნეობა, ბათუმი, 1948; აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957 (თანაავტ.); აჭარის ასსრ, ბათუმი, 1967 (თანაავტ.); აჭარა 50 წლისაა, ბათუმი, 1971 (თანავტ.); Советская Аджария, Батуми, 1961; Аджария, Батуми, 1978 (соавт.).

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977; ქართული ენციკლოპედია, ტ. 7, 1984, გვ.442; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986. ნიჟარაძე ნ. ნადიმ ნიჟარაძე, ბათუმი, 2002.

ნოდია კლიმენტ გიორგის ძე – NODIA KLIMENT (23.IX.1901, ს. ძველი აბაშა, – 1.X.1974, თბილისი), უფროსი მასწავლებელი, 1932 წელს დაამთავრა თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიის პროფილით. მუშაობა დაიწყო ს. ძველ აბაშაში, 1934-1945 თბილისის მეორე ვაჟთა საშუალო სკოლაში, 1939-1948 პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, 1945-56 გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროს მასწავლებლად, 1945-დან თბილისის ექსპერიმენტალურ სკოლაში შეთავსებით. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე მეთოდიური ხასიათის წერილი და სახელმძღვანელო ერუ-ძუნჯთა ბავშვებისათვის. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება. მისი თაოსნობით გამოიცა სასწავლო გეოგრაფიული რუკები – ფიზიკური, გეოლოგიური, კლიმატური, ბოტანიკური და სხვ. მისი ინიციატივით დაიწყო სასწავლო გეოგრაფიული ატლასის შედგენა.

ნოდია მიხეილ ფოსიმეს ძე – NODIA MIKHEIL (15.VIII.1891, ს. აბაშა, – 4.VIII.1975, თბილისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1935). 1912 სწავლა დაიწყო ოდესის უნივერსიტეტში; პირველი მსოფლიო ომის წლებში გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1919 გამოცდები ჩააბარა თსუ და 1920 იქვე დაიწყო მუშაობა. 1923-33 მუშაობს საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიაში განყოფილების გამგედ, 1925-დან დირექტორად. 1938-43 იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკისა და გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი. 1933 მისი ინიციატივით თსუ ჩამოყალიბდა გეოფიზიკის კათედრა, რომელსაც გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობდა. ძირითადი შრომები მიუძღვნა დედამიწის მაგნეტიზმისა და ძიების მაგნიტური მეთოდების დამუშავებას; მისი ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით 1931-35 მოხდა კავკასიის ტერიტორიის გენერალური მაგნიტური აგეგმვა; შეადგინა კავკასიაში მაგნიტური ველის განაწილების რუკები და მეცნიერულად ახსნა მისი გამომწვევი მიზეზები. მინიჭებული აქვს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1944), დაჯილდოებულია ლენინის ორდენით. მის სახელს ატარებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი.

მონოგრ.: გეოფიზიკა, ნაწ. I-III, თბ., 1933-1934; გეოფიზიკა, ნაწ. I, მეორე გამოც., თბ., 1954 (თანაავტ.); გეოფიზიკა, ნაწ. II, დედამიწის მაგნეტიზმი, თბ., 1959.

ლიტ.: ჯერსამია გ., კაციაშვილი ნ., ლომინაძე ვ., – მ.ზ. ნოდია, თბ., 1968; ბუხნიკაშვილი ა., გერსამია გ., ლომინაძე ვ., მიხეილ ნოდია, თბ., 1976, ქართული ენციკლოპედია, ტ.7, 1984, გვ.457.

ნოზაძე დავით იოსების ძე – NOZADZE DAVIT (16.I.1921, ს. მოძვი, საჩხერის რ-ნი, – 1.IV.2002, ქ. ქუთაისი), პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1940 დაამთავრა საჩხერის პედაგოგიური სასწავლებელი დაწყებითი მასწავლებლის სპეციალობით. შემდეგ იმყოფებოდა სამამულო ომში. 1951 დაამთავრა სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. სტუდენტობის დროს მუშაობდა ჯერ გულრიფშის რაიონული გაზეთის რედაქტორად, შემდეგ კი „სოვეტსკაია აბხაზიას" რედაქციაში. 1953 პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა ქუთაისის მე-3 და მე-17 საშუალო სკოლებში. 1956-63 მუშაობდა გაზეთ „კუტაისკაია პრავდის" რედაქციაში. 1963 დაამთავრა ასპირანტურის კურსი. 1967 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მოსწავლეთა პოლიტექნიკური განათლება ეკონომიკური გეოგრაფიის სწავლებისას". 1963-დან მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. იყო სასწავლო ნაწილის გამგე (1963-67), საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი (1975-85), გეოგრაფიის კათედრის გამგე (1986-92), კითხულობდა ლექციებს მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფიაში, წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკურ საფუძვლებში, საქართველოს ეკონომიკურ გეოგრაფიაში. იგი პედაგოგიურ საქმიანობას უთავსებდა სამეცნიერო მუშაობას. ეკონომიკური გეოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე, სხვადასხვა გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს 33 სამეცნიერო სტატია. დიდი მუშაობა გასწია გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკაში, რომელსაც მიუძღვნა რამდენიმე წიგნი და ბროშურა. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი ჟურნალისტური მოღვაწეობა. წლების მანძილზე იგი დიდ პროპაგანდას ეწეოდა გეოგრაფიის საკითხებში. გამოქვეყნებული აქვს 300-ზე მეტი წერილი და ნარკვევი, რესპუბლიკურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც მიძღვნილია გამოჩენილ გეოგრაფთა მოღვაწეობის, ბუნებრივი მოვლენების, ხალხთა ზნე-ჩვეულებების, ცალკეულ სახელმწიფოთა სახალხო მეურნეობის, ახალგაზრდობის აღზრდის და სხვ. მნიშვნელოვან თემათა გაშუქებაზე. დაჯილდოებულია „უმაღლესი სკოლის წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით და 6 საპატიო სიგელით.

მონოგრ.: დიდი რუსი მოგზაურები, თბ., 1957; დედამიწის სხვადასხვა მერედიანზე, თბ., 1972; მოსწავლეთა პოლიტექნიკური განათლება ეკონომიკური გეოგრაფიის სწავლებისას, თბ., 1963; ასე იცვლება სამშობლოს რუკა, თბ., 1959; მეცნიერება და რელიგია ბუნებრივ მოვლენათა შესახებ, თბ., 1967; სამშობლოს მომავალ რუკასთან, თბ., 1964; მოვალეობა და ღირსება, თბ., 1975.

ლიტ.: დ. ნოზაძის შრომების ბიბლიოგრაფიული საძიებელი, ქუთაისი, 1972.

ნოზაძე თენგიზ ზაქარიას ძე – NOZADZE TENGIZ (18.III.1928, ს. ბერძენული, ქარელის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1976). 1952 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. განაწილებით მუშაობა დაიწყო წყალთა მეურნეობის სამინისტროს „საქწყალპროექტში", ინჟინერ-გეომორფოლოგის თანამდებობაზე. შემდეგში იმავე თანამდებობაზე მუშაობდა „სოიუზდორპროექტში", ხოლო ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროში უფროსი გეოლოგის თანამდებობაზე. 1961-დან მუშაობს თსუ გეომორფოლოგიის კათედრაზე. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კავკასიონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის მაღალმთიანი ნაწილის გეომორფოლოგია". გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო ნაშრომი. მისი კვლევითი მუშაობა მიმართულია საქართველოს გეომორფოლოგიის გამოყენებითი მიზნით შესწავლაზე. კერძოდ, საქართველოს რელიეფის ათვისება და პრაქტიკული გამოყენება საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობაში და სოფლის მეურნეობის განვითარებაში.

ნოზაძე მზეონა რევაზის ასული – NOZADZE MZEONA (29.XI.1967, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1992 წარჩინებით დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით (ატმოსფერული ფიზიკა). იმავე წელს მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის გარემოს დაბინძურების მონიტორინგის ცენტრში, სადაც მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე. 1996-დან ხელმძღვანელობს რადიაციული დაბინძურების მონიტორინგის ცენტრს. 1993-96 სწავლობდა ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა სპეციალობით მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია. 1998 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს რადიომეტრიული მონიტორინგის ქსელის ოპტიმიზაციის მეტეოროლოგიური ასპექტები". მასში განხილულმა საკითხებმა პრაქტიკული გამოყენება პოვეს საქართველოს რადიომეტრიული ქსელის ოპტიმიზაციის სფეროში. გამოქვეყნებული აქვს 19 სამეცნიერო ნაშრომი საქართველოსა და საზღვარგარეთის სამეცნიერო გამოცემებში.

ნუცუბიძე თამარ ისაკის ასული – NUTSUBIDZE TAMAR (1.III.1897, ქ. ქუთაისი, – 18.III.1954, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1943). 1913 ოქროს მედლით დაამთავრა ქუთაისის ქალთა გიმნაზია და მუშაობა დაიწყო მასწავლებლად ბაღდათში. 1915 ჩაირიცხა პეტერბურგის ქალთა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საშენებლო ფაკულტეტზე, მაგრამ 1918 დატოვა ინსტიტუტი და საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში. 1924 შეიდა უცხო ენათა სახელმწიფო უმაღლეს კურსებზე გერმანული და ინგლისური ენების სექციებზე. 1928 დაამთავრა აღნიშნული კურსები და მიეცა სწავლების უფლება ზემოაღნიშნულ სპეციალობებზე. 1928 საცხოვრებლად

გადმოვიდა ქ. თბილისში და მუშაობა დაიწყო თსუ ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში. ამავე დროს ასწავლიდა გერმანულ ენას ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში. 1930 სამუშაოდ გადადის საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკაში. 1931 ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე და 1936 დაამთავრა ჰიდროლოგიის სპეციალობით. მიწვეულ იქნა ასისტენტად ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრაზე. 1941 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „დასავლეთ საქართველოს მდინარეთა ტიპიური რეჟიმი". კითხულობდა ლექციებს ზოგად ჰიდროლოგიაში. 1943 მიწვეულ იქნა გეოგრაფიის ინსტიტუტში სამუშაოდ. 1946 გახდა ინსტიტუტის სწავლული მდივანი. მას დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ტბების შესწავლისას. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე მეცნიერული ნაშრომი. გარდა ამისა, თარგმნა რამდენიმე სახელმძღვანელო ჰიდროლოგიაში.

ობოლაძე დიმიტრი ალატონის ძე – OBOLADZE DIMITRI (22.II.1914, ქ. ქუთაისი, – 24.VII.2001, თბილისი), გეოგრაფი, მთამსვლელი. 1938 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სადაც კითხულობდა ლექციებს ფიზიკურ-გეოგრაფიულ საგნებში. 1941 გაიწვიეს სამამულო ომში, საიდანაც ვადამდე იქნა დემობილიზებული. შემდეგ მუშაობდა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორად, ასპინძის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ, თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორის მოადგილედ, ფიზკულტურის ინსტიტუტის პრორექტორად და, ბოლოს, ალპური კლუბის დირექტორად. ჯერ კიდევ სკოლის ასაკიდან იყო მოწინავე სპორტსმენი. სტუდენტობის დროს გაძლიერდა მისი ინტერესი ტანვარჯიშისა და ძალოსნობის სახეებში. გახდა ამიერკავკასიის ჩემპიონი ძალოსნობაში. მესამე კურსიდან გაიტაცა მთამსვლელობამ, განსაკუთრებით მწვერვალ სამსარზე ასვლის შემდეგ. ამ დროიდან მოყოლებული მან ალპინისტური მოღვაწეობა დაიწყო; განახორციელა 100-ზე მეტი ასვლა, მათ შორის პამირის მთიანეთის ურთულეს მწვერვალებზე (7000 მეტრზე მაღალი). გარდა ამისა, არაერთი მწვერვალი დაიპყრო კავკასიონის ქედზე, მათ შორის დასავლეთი შხარა კედლით (1958), დიხთაუ-მიჟირგი-ცენტრალური შხარა (1959), გორი-დასავლეთი შხარა-ცენტრალური შხარა-აღმოსავლეთი შხარა-44 წელი-ჯაფარიძე-ჭავჭავაძე-წერეთელი-რუსთაველი (1962) და სხვ. მთაქსვლელობაზე გამოქვეყნებული ჰქონდა რიგი წერილები. იყო საბჭოთა კავშირის სამგზის ვერცხლისა და ორგზის ბრინჯაოს მედლის მფლობელი. მინიჭებული ჰქონდა სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება, სპორტის დამსახურებული მწვრთნელის წოდება.

ლიტ.: მთის რაინდები, ქუთაისი 1998 გვ. 42-43.

ონიკაშვილი ნიკოლოზ – ONIKASHVILI NIKOLOZ, XVIII ს. II ნახევრისა და XIX ს. I ნახევრის ქართველი მწიგნობარი, სამეფო კართან დაახლოებული, იოანე ბაგრატიონის მდივანი. 1801 პეტერბურგში გაჰყვა იოანე, ბაგრატ და მიხეილ ბატონიშვილებს. მოგზაურობის დროს დაწერა ისტორიულ-ლიტერატურული თხზულება „მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე", რომელშიც აღწერილია ეს მარშრუტი, აგრეთვე რუსეთის დაბა-სოფლებისა და ქალაქების ყოფა-ცხოვრება, ნაგებობები, ადათ-წესები. თხზულება სანდო ცნობებს შეიცავს მოსკოვისა და პეტერბურგის შესახებ. განათლებული კალიგრაფი და მწიგნობარი კარგად ერკვეოდა მოგზაურობის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს და იგი როგორც გამოცდილი სპეციალისტი აღწერს ნანახი ადგილების ბუნებას, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს.



თხზ.: მოგზაურობა თბილისიდან პეტერბურგამდე. – კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. H-2810, S–5082.

ლიტ.: მეფარიშვილი ლ. რუს და ქართველ ხალხთა კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, „საისტორიო მოამბე". 1971, №25-26; ხარაძე კ. XVII-XIX სს. ქართველი მოგზაურები, თბ,. 1987; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ. 1996;

ორბელიანი სულხან-საბა ვახტანგის ძე – ORBELIANI SULKHAN-SABA (24.X.1658, ს. ტანძია, ახლანდ. ბოლნისის რ-ნი, – 26.I.1725, მოსკოვი), XVII-XVIII საუკუნის თვალსაჩინო ქართველი მწერალი, მეცნიერი და პოლიტიკური მოღვაწე. შთამომავლობით ფეოდალი. მამა – ვახტანგი, ქართლის სამეფო მდივანბეგი იყო. სულხანს მიეცა კარგი განათლება, როგორც საერო, ისე სასულიერო დისციპლინებში. შემდეგ როგორც განსწავლულ პიროვნებას, დაავალეს მომავალი ტახტის მემკვიდრის – ვახტანგ მეექვსის აღზრდა. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „სიტყვის კონას", რომელზედაც 30 წელი იმუშავა, იგი თავისებური გეოგრაფიული ენციკლოპედიაცაა. სხვა ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „სიბრძნე სიცრუისა" და „მოგზაურობა ევროპაში". სულხან-საბა ორბელიანმა 1713 წლის 17 აგვისტოს დიპლომატიური მისიით იმოგზაურა საფრანგეთსა და იტალიაში. ამ მოგზაურობის დროს დაწერა მემუარული ჟანრის ნაშრომი – მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, რაც ქართულ ლიტერატურაში ამ ჟანრის დასაწყისი იყო; ამიტომ აღნიშნავენ, რომ „მოგზაურობა ევროპაში" მხატვრული დოკუმენტური პროზის პირველი და შესანიშნავი ნიმუშია ქართულ ენაზე. მანამდეც ბევრ ქართველს უმოგზაურია, მაგრამ მათ ან წესად არ ჰქონდათ წერილობითი კვალი დაეტოვებინათ, ან არა და მათი ნაწერები განადგურდა და დაიკარგა. სულხან-საბა ხმელთაშუა ზღვით საფრანგეთში ჩასულა, აქ ორჯერ შეხვედრია ლუდოვიკო XIV-ს; ამ დროს გადაუცია ქართული

კარტოგრაფიული მასალები, რომელიც შემდეგ, 1723 წელს პარიზში ასტრონომ გილიომ დელილმა გამოიყენა კავკასიისა და კასპიისპირეთის რუკის შედგენაში. რუკის სათაურში სხვებთან ერთად სულხან-საბას მონაწილეობაც არის აღნიშნული. ამდენად, სულხან-საბა ორბელიანი არა მარტო ქართული სიტყვის დიდოსტატი, დიპლომატი და სახელმწიფო მოღვაწეა, არამედ გეოგრაფ-კარტოგრაფიც. მის ინტერესს კარტოგრაფიისა და გეოგრაფიისადმი მოწმობს აგრეთვე მოგზაურობიდან წამოღებული მსოფლიო ატლასი და რუკები, რომლებზედაც შემორჩა მისი ხელით ნაწერი ქართული თარგმანები. სულხან-საბა საფრანგეთიდან იტალიაში გადასულა, ხოლო შემდეგ ხმელთაშუა ზღვით კონსტანტინოპოლში ჩადის, საიდანაც 1716 წელს საქართველოში დაბრუნდა. „მოგზაურობაში" უხვადაა მოცემული გეოგრაფიული ცნობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ ქალაქების მრავალმხრივი დახასიათება, რელიეფი, ჰავა, მცენარეულობა, ნიადაგები, ეკონომიკა და სხვ. სულხან-საბა ორბელიანი ფართო დიაპაზონის მეცნიერია, მან მტკიცედ დაიკავა საპატიო ადგილი ქართული გეოგრაფიის განვითარების ისტორიაში.


მარშრუტი აღდგენილი საარქივო მასალების მიხედვით
მარშრუტი დღიურების მიხედვით
პარიზი
ლერსალი
ჟენევა
მარსელი
ლიონი
ბორდო
ბარსელონა
ბალტიკა
ბერლინი
ვენა
ბუდაპეშტი
ბელგრადი
ბალკანეთი
ბალკანეთ
ბალკანეთ
ბალკანეთ

მარუაშვილი ლ. ვახუშტი ბაგრატიონის წინამორბედები – XVIII ს. ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1954; ზარდალიშვილი გ. ქართველი გეოგრაფები და მოგზაურები, თბ., 1966; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ოქროჯანაშვილი არსენ ანდრიას ძე – OKROJANASHVILI ARSEN (15.XII.1930, ს. ფოფახი, კახის რ-ნი, აზერბაიჯანი, – 4.X.1965, ასხის მასივი, დაკრძალულია კახში). 1955 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1955-58 მუშაობდა ზაქათალის რაიონის ს. ალიაბადის ქართულ საშუალო სკოლის მასწავლებლად, შემდეგ კი დირექტორად. 1958-დან მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. იგი აქტიურად ჩაება საქართველოს კარსტული ფენომენების, განსაკუთრებით მიწისქვეშა წარმონაქმნების კვლევაში; მონაწილეობდა კარსტოლოგიურ ექსპედიციებში, იკვლევდა გუმისთა-კელასურის, არგვეთა-ოკრიბის, წებელდის, აგრეთვე ასხის, გუმისთის, ბზიფისა და არაბიკის კირქვული მასივებისა და რაიონების სპელეოლოგიურ ბუნებას; ჩატარებული სამუშაოების შედეგად გამოაქვეყნა რიგი სამეცნიერო შრომები. აღსანიშნავია მისი კვლევითი სამუშაო ასხის კირქვული მასივის სამხრეთ ნაწილში, სადაც აღმოაჩინა და შეისწავლა რამდენიმე ახალი მიწისქვეშა კარსტული სიღრუე, მათ შორის ტობის გამოქვაბული, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ არსენ ოქროჯანაშვილის სახელი ეწოდა. იგი თანაავტორია საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრისა. მან თავისი სიცოცხლე შესწირა ასხის კირქვული მასივის შესწავლას, სადაც იგი 1965 წლის 4 ოქტომბერს მის ფერდობზე ტრაგიკულად დაიღუპა. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს კარსტის შესწავლაში, კერძოდ, ახალი ათონის კარსტული მღვიმის კვლევაში, რისთვისაც სხვა ქართველ მეცნიერთა და მშენებელთა ჯგუფის წევრებთან ერთად სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა (1977). დაჯილდოებული იყო აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1962).

მონოგრ.: საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 1966 (თანაავტ.)

ლიტ.: ყიფიანი შ., ტატაშიძე ზ., ჩანგაშვილი გ. არსენ ოქროჯანაშვილი, საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები, 1966, ტ. 4, გვ. 139-140; ქართული ენციკლოპედია, ტ. 7, 1984, გვ. 615.

პავლიაშვილი იორამ ფორეს ძე – PAVLIASHVILI IORAM (II.VIII.1913, ს. ბოდბისხევი, სიღნაღის რ-ნი, – 9.IV.1989, ქ. გორი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1965). 1931 დაამთავრა თბილისის შრომის სკოლა და მუშაობდა სხვადასხვა ადგილას. 1939 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. დატოვებულ იქნა სამუშაოდ ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კათედრაზე. 1941-45 იმყოფებოდა სამამულო ომში. 1945 მუშაობას

იწყებს ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, შეთავსებით გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1957 დაინიშნა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, ამ თანამდებობაზე თხუთმეტი წელი დაყო. 1956 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მაღალი მთის ტბის ტაბაწყურის აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". ნაშრომში გაშუქებულია ტაბაწყურის ტბის შესწავლილობის ისტორია, მისი აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. დიდი ადგილი აქვს დათმობილი ტბის სამეურნეო ათვისებას. შესრულებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათში გაშუქებულია აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი პირობები. 1955-1980 იყო გეოგრაფიული საზოგადოების გორის ფილიალის თავმჯდომარე, შემდეგ თავმჯდომარის მოადგილე. დაჯილდოებული იყო სამამულო ომში მონაწილეობისათვის ორდენებითა და მედლებით, „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით, სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო სიგელით (1977), საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით (1973, 1978, 1980, 1985).

პავლიაშვილი ნინო იორამის ასული – **PAVLIASHVILI NINO** (10.IV.1955, ქ. გორი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1996). 1978 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1978-82 გაიარა ასპირანტურის კურსი ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში (ხელმძღ. მეცნ. აკად.წ/კ ვ. ჯაოშვილი, გეორგ. მეცნ. დოქტ. ე. კობახიძე). 1978-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, ამჟამად უფრ. მეცნ. თანამშრომელია და შეთავსებით თსუ სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკური გეოგრაფიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. 1999 სტაჟირება გაიარა ბოგაზიჩის (ქ. სტამბოლი, თურქეთი) უნივერსიტეტში ტურიზმის პედაგოგთა საკვალიფიკაციო კურსებზე. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსები და მათი რაციონალურად გამოყენების პრობლემები". მასში დახასიათებულია საქართველოს ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების ცალკეული სახეობები, მოცემულია მათი ეკონომიკურ-გეოგრაფიული შეფასება და ტერიტორიული შეთანაწყობა. გაკეთებულია ქვეყნის ბუნებრივ-რეკრეაციული დარაიონება, გაანალიზებულია საქართველოს რესურსული პოტენციალის თანამედროვე გამოყენების დონე და პერსპექტივები. ამჟამად მუშაობს რეკრეაციული მეურნეობის აღდგენის საკითხებზე; საკურორტო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარდაქმნა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით. გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

პაპაშვილი ირაკლი გიორგის ძე – PAPASHVILI IRAKLI (14.V.1950, თბილისი), ოკეანოლოგი. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ (1967) მუშაობა დაიწყო თბილისის ცენტრალურ ტელეგრაფში ელექტროტექნიკოსის სპეციალობით. 1974 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ოკეანოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის ნაპირების დინამიკისა და მორფოლოგიის ლაბორატორიაში ინჟინრის თანამდებობაზე. 1976-81 მუშაობდა ნაპირგამაგრების რესპუბლიკურ სამმართველოში, ჯერ ქ. ბათუმის სტაციონარის ჯგუფის ხელმძღვანელად, შემდეგ კი, ამავე სტაციონარის უფროსად. 1981 მუშაობა დაიწყო ახლად შექმნილ გაერთიანება „საქნაპირდაცვის" აჭარის სანაპირო რეჟიმული კვლევების სტაციონარის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, 1985-დან ლითოდინამიკის ლაბორატორიის გამგის მოადგილის თანამდებობაზე, 1990-დან ლაბორატორიის გამგე. 1998-2001 იყო კოლხეთის სანაპირო რეჟიმული კვლევების სტაციონარის გამგე, 2001-02 შპს „მეგაფლოტის" საზღვაო განყოფილების უფროსი, 2002-დან კი ასოციაცია „ჰიდროსფეროს" თავმჯდომარის მოადგილეა. იკვლევს ზღვის სანაპიროს და წყალქვეშა ფერდის მოძრაკი ნატანის დინამიკას (ლითოდინამიკა). გამოქვეყნებული აქვს 15 სამეცნიერო ნაშრომი, მონაწილეობდა 12 სამეცნიერო კონფერენციაში.

პაპინაშვილი კონსტანტინე იოსების ძე – PAPINASHVILI KONSTANTINE (15.IX.1898, თბილისი, – 2.III.1975, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1963), პროფესორი (1967). 1926 დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი გეოფიზიკოსის სპეციალობით. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მუშაობდა თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიაში. 1930 მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს ამინდის ინსტიტუტში. 1936-დან ამინდის გრძელვადიანი პროგნოზების განყოფილების გამგეა. იგი საქართველოში პირველი სინოპტიკოსი იყო, რომელიც ემსახურებოდა ავიაციას ამინდის საიმედო პროგნოზებით და შტორმული გაფრთხილებებით. 1929-დან მიწვეული იყო სინოპტიკოსად ამიერკავკასიის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოში. ამასთან ერთად, ეწეოდა სამეცნიერო მუშაობას. სხვებთან ერთად მან ‘ეისწავლა ამიერკავკასიაში მიმდინარე ცირკულაციური პროცესების თავისებურებანი. პირველად იქნა დადგენილი სინოპტიკური პროცესების ტიპები და მათთან დაკავშირებული ამინდის ხასიათი, რომელთა მეშვეობითაც ხდება ჰაერის მასების შემოსვლა ამიერკავკასიაში. შემდეგში დიდი ყურადღება დაუთმო ატმოსფერული პროცესების დინამიკას და მათ თავისებურებებს. 1948

დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს ატმოსფერული პროცესების დინამიკის თვალსაზრისით გაზაფხულის დახასიათება". შრომაში მოცემულია სეზონური პროგნოზის მეთოდის დამუშავების ცდა კავკასიაში. 1963 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ატმოსფერული პროცესები ამიერკავკასიაში და მათი კავშირი ევრაზიის მაკროცირკულაციურ პროცესებზე". ნაშრომი დაიბეჭდა მონოგრაფიად. მასში მდიდარი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე მოტანილია ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის ღრმა ანალიზი ჩრდილოეთ ნახევარსფეროსათვის. გამოკვლეულია ატმოსფეროს ცირკულაციისა და ამინდის ხასიათის სეზონური თავისებურებანი; დაადგინა ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების გამომწვევი პირობები. ნაშრომში მოცემულია ამიერკავკასიაში ბუნებრივი სინოპტიკური პერიოდებისათვის ატმოსფერული პროცესების, ჰაერის ტემპერატურისა და ატმოსფერული ნალექების პროგნოზის მეთოდიკა. 1950-52 იგი შეთავსებით მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც თავისი წვლილი შეიტანა სინოპტიკური კლიმატის გაშუქების საქმეში. 1953-დან დაინიშნა ამიერკავკასიის რეგიონალური სამეცნიერო-კვლევით ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი ნაშრომი. მისი უშუალო მონაწილეობით შედგა მეთოდური დარიგება მოკლევადიანი პროგნოზის შესახებ, რისთვისაც სხვებთან ერთად მიეკუთვნა მულტანოვსკის სახ. პრემია (1970), მინიჭებული აქვს საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1967).

მონოგრ.: ამინდი და მეცნიერული წინასწარმეტყველება, თბ., 1952; Атмосферные процессы в Закавказье, их связь с макроциркуляционными процессами над Евразией. Л., 1963; Прогноз развития атмосферных процессов и погоды на сезон, Л., 1966; Основы синоптического метода сезонных прогнозов погоды, Л., 1966 (соавт.); Руководство по месячным прогнозам погоды, Л., 1972 (соавт.).

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 66. ქართული ენციკლოპედია, ტ. 7, 1984, გვ. 668-669; Ломинадзе В.П. К.И. Папинашвили к 70-летию со дня рождения. - „Человек и стихия", Л., 1968, с. 114; Блюмина Л.И. К.И. Папинашвили, „Метеорология и гидрология", 1968, №9, с. 114-115; К.И. Папинашвили, Тб., 1979.

პაპინაშვილი ლამარა კონსტანტინეს ასული – PAPINASHVILI LAMARA (25.XII.1929, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1953 დაამთავრა თსუ მათემატიკის სპეციალობით. 1954 მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, ამჟამად წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია. 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თოვლის საფარის რეჟიმი საქართველოს ტერიტორიაზე". გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი კავკასიის, ამიერკავკასიის, საქართველოს კლიმატისა და კლიმატურ რესურსებზე. შრომათა

უმრავლესობა დანერგილია სახალხო მეურნეობაში (სოფლის მეურნეობა, მშენებლობა, ავიაცია, გზათა ექსპლოატაცია). ასეთ შრომებს განეკუთვნება თოვლის საფარის რეჟიმი, საშიში მეტეოროლოგიური ელემენტების მიხედვით ტერიტორიული დარაიონება, ატმოსფერული ნალექების და თოვლის საფარის საუკუნოვანი ცვალებადობის მიხედვით კლიმატის რყევადობა, თბილისის აეროპორტის კლიმატი, თბილისის კლიმატი, კოლხეთის დაბლობის ამოშრობის შედეგად ატმოსფერული ნალექების შესაძლო ცვლილებების დადგენა. მის მიერ შედგენილია მეტეოროლოგიურ მონაცემთა ბანკი (ჰაერის ტემპერატურა, სინოტივე, ატმოსფერული ნალექები, თოვლის საფარი, თოვლის საფარის წონა ერთეულოვან ფართზე). მონაცემთა საფუძველზე შედგენილია (თანაავტორობით) „საინჟინრო ნორმები და წესები საქართველოს ტერიტორიისათვის". მიღებული აქვს „საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდება, სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომი, სსრკ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის საპატიო სიგელი, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

მონოგრ.: Климатическая характеристика г. Тбилиси, Тб., 1966; Климат и климатические ресурсы Грузии, Л., 1971 (соавт.); Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1980; Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осущения, Л., 1983 (соавт.); Климат Тбилиси, С.-П., 1992 (соавт.); Атлас снежно-ледовых ресурсов Мира, М., 1997 (соавт.).

პეტრიაშვილი ოლღა ივანეს ასული – PETRIASHVILI OLGHA (23.XII. 1918, თბილისი, – 22.III.1997, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1940 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1920-41 მუშაობდა ჰიდრომეტეოროლოგიურ სამმართველოში, 1941-47 მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ რუისის (ქარელის რ-ნი) საშუალო სკოლაში, 1947-92 თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1963 ქ. ბაქოს უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თრიალეთის ქედის ჩრდილო ფერდობის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება (მდ.მდ. თეძამის, ტანის და ძამის აუზების ფარგლებში)". გამოქვეყნებული აქვს 90-ზე მეტი სამეცნიერო და მეთოდური ხასიათის ნაშრომი. მათში მოცემულია საველე და კამერალური კვლევების საფუძველზე მიღებული შედეგები საქართველოს რიგი რაიონების ბუნებრივი რესურსების შესახებ.

ბროშ.: მოგზაურობა საქართველოს რუკაზე, თბ., 1983; მოგზაურობა სსრ კავშირის ქალაქებში, თბ., 1987.

ჟორჟიკაშვილი ცისანა დავითის ასული – ZHORZHIKASHVILI TSISANA (13.XII.1939, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში კლიმატოლოგიის განყოფილებაში. 1968-დან მონაწილეობს სამეცნიერო ექსპედიციებში, სადაც აწარმოებდა ექსპერიმენტალურ დაკვირვებებს ძირითად მეტეოროლოგიურ ელემენტებზე. მცენარეთა ზრდის პროცესებზე. აღნიშნული და სხვა კვლევები საფუძვლად დაედო საკვალიფიკაციო ნაშრომს, რომელიც 1995 დაიცვა – „საქართველოს მთიანი რეგიონების ბიოკლიმატური რესურსები". ნაშრომში გადაწყვეტილია მთიანი რეგიონებისათვის ცოცხალ ორგანიზმებში მიმდინარე სხვადასხვა ბიოლოგიური პროცესებისათვის აუცილებელი ძირითადი მეტეოროლოგიური ფაქტორების კვლევასა და მოდელირებასთან დაკავშირებული პრობლემები. გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო ნაშრომი. შესწავლილი აქვს ტემპერატურის დღეღამური ამპლიტუდების ცვლილება სიმაღლის მიხედვით რელიეფის ფორმასთან დამოკიდებულებაში. სინოპტიკური ტიპებისა და თერმული მაჩვენებლების მიხედვით შეფასებულია სითბოსა და ტენის ცვალებადობა მთიან რეგიონში. მონაწილეობს თემატიკაში სტიქიურ დამანგრეველი პროცესების და მათი უარყოფითი შედეგების შერბილების ღონისძიებების დამუშავებაში.

რატიანი მანანა ჯემალის ასული – RATIANI MANANA (20.V.1970, თბილისი), თსუ საქართველოს გეოგრაფიის კათედრის მასწავლებელი. 1992 წარჩინებით დაამთავრა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ტურიზმისა და მხარეთმცოდნეობის სპეციალობით. 1994-98 იყო საბავშვო ინგლისურენოვანი ჟურნალის რედაქტორის მოადგილე. 1998-დან მუშაობს თსუ საქართველოს გეოგრაფიის კათედრაზე ჯერ ლაბორანტის, შემდეგ მასწავლებლის თანამდებობაზე. 1999-2000 იყო ყოველთვიური სასწავლო-მეთოდური გაზეთის „გეოგრაფია" ექსპერტი. 2001-დან არის კათედრის სწავლული მდივანი, ყოველწლიური სამეცნიერო ჟურნალის „საქართველოს გეოგრაფია" პასუხისმგებელი მდივანი (2002). გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, ძირითადად მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში. რამდენიმე პუბლიცისტური წერილის ავტორია. მუშაობს საქართველოს განათლების სისტემის გეოგრაფიულ თავისებურებებზე. არის მეცნიერ-ეკოლოგთა ასოციაციის „კავკასიის ეკოსახლის" გამგეობის წევრი (2003). მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტებში.

სახელმძღვ.: საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვ. სტუდენტებისათვის), თბ., 2002 (თანაავტ.).

რაქვიაშვილი კიაზო შალვას ძე – RAKVIASHVILI KIAZO (22.III.1936, თბილისი), სპელეოლოგი. 1959 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1959-1964 მუშაობდა თბილისის გაზიფიკაციის სამმართველოში ინჟინრად, 1964-1982 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში ბიოლოგიის განყოფილების სწავლულ მდივნად. 1982-დან ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1960-დან მონაწილეობს საქართველოს მღვიმეების და გამოქვაბულების კვლევაში. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო მოიცავს კარსტის განვითარების გეოლოგიური, გეომორფოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესწავლის პრობლემებს, მღვიმეების და კარსტული წყლების დაცვის და სამეურნეო ათვისების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს 40 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა უმეტესი ნაწილი უცხო ქვეყნების გამოცემებშია დაბეჭდილი. 1964-დან აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სპელეოლოგიური კომისიის (შემდგომში საბჭოს), ხოლო 1989 საქართველოს სპელეოლოგთა ეროვნული საზოგადოების სწავლულ მდივნად, არის სპელეოლოგთა საერთაშორისო კავშირის დარგობრივი კომისიის ბიუროს წევრი.

რთველიაშვილი ნიკოლოზ იოსების ძე – RTVELIASHVILI NIKOLOZ (23.03.1956, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1979-83 იყო მოსკოვის ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტის ასპირანტი. 1996-97 ფულბრაიტის სტიპენდიატი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში (აშშ), 2001 გაიარა რომის ნატოს თავდაცვის კოლეჯის პარტნიორობა მშვიდობისათვის და ეუთოს ინტეგრირებული კურსი. 1983-92 მუშაობდა თსუ ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1992 იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ნატოსა და განიარაღების სამმართველოს უფროსი, 1993 ვენის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ეუთოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის პირველი მდივანი, 1993-95 ერთობლივი საწარმო „მეტეხის“ გენერალური დირექტორი და ავიაკომპანია „ორბი საქართველოს ავიახაზების“ კომერციული დირექტორი, 1995-96 საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის სამმართველოს უფროსი, 1997-2001 ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი, 2001-დან საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სამხედრო-პოლიტიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე. პარალელურად, 1983-92 გეოგრაფიულ საგნებში ლექციებს კითხულობდა თსუ-ში, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში და გორის ეკონომიკის ინსტიტუტ-

ში. 1985 მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მსხვილი ქალაქის ვაჭრობის გეოგრაფია (თბილისის მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 5 სამეცნიერო ნაშრომი.

რონდელი ალექსანდრე დავითის ძე – RONDELI ALEXSANDRE (7.I.1942, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1983). 1966 წარჩინებით დაამთავრა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი ირანის ისტორიის სპეციალობით. იმავე წელს ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე ასპირანტურაში. 1968-70 მუშაობდა ირანში, 1970-დან გააგრძელა სწავლა ასპირანტურაში, ხოლო შემდეგ მასწავლებლად და 1983-დან დოცენტის თანამდებობაზეა. 1976-77 სტაჟირება გაიარა ლონდონის (დიდი ბრიტანეთი) ეკონომიკისა და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლის გეოგრაფიის დეპარტამენტში. 1982 კი სტაჟირება გაიარა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. 1991 აირჩიეს თსუ ახლად შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრის გამგედ. 1993-94 სამეცნიერო სტაჟირება გაიარა პრინსტონის (აშშ) უნივერსიტეტის ვუდრო ვილსონის სახ. საზოგადოებრივ და საერთაშორისო საქმეთა სკოლაში. 1997-დან არის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის დირექტორი. 2000 მას მიენიჭა საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი. 2002-დან არის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის პრეზიდენტი. 1993-დან არჩეულია ლონდონის სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის წევრად. 1974 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ირანის ქალაქების ფორმირებისა და განვითარების ძირითადი საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2000).

მონოგრ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); ქალაქის გეოგრაფია, თბ., 1990; პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში, თბ., 1993; საერთაშორისო ურთიერთობები, თბ., 1996.

რუსო გრიგოლ ევგენის ძე – RUSO GRIGOL (31.05.1951, თბილისი), ოკეანოლოგი. 1972 დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი და სწავლა II კურსიდან გააგრძელა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ოკეანოლოგიის სპეციალობით, რომელიც 1976 დაამთავრა. მუშაობდა ზღვისა და მდინარეების სანაპირო ზონის მორფოდინამიკაზე – 1972-76 – ბიჭვინთაში, 1976-78 – ბათუმში, 1978-81 – სოხუმში, 1981-82 – გუდაუთაში, 1982-85 – ოჩამჩირეში, 1985-2001 – ბათუმში. ამჟამად აჭარის ნაპირების მონიტორინგის უფროსია. იგი სამეცნიერო მივლინებით

იყო უკრაინაში, რუსეთში, თურქეთში (რამდენჯერმე), კუბაში (1988, 1989, 1990), იტალიაში (1991), აშშ-ში (1998). 1998-2000 მსოფლიო ბანკის პროექტის „საქართველოს სანაპიროს ინტეგრირებული მართვა" მე-5 კომპონენტის მენეჯერის მოადგილეა (ფოთი, ბათუმი). 1996-დან მდ. ჭოროხზე კაშხლების მშენებლობის შესაძლო ნეგატიური გავლენის შემსწავლელი საქართველო-თურქეთის ერთობლივი ტექნიკური ჯგუფის ექსპერტია. გამოქვეყნებული აქვს 21 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა უმეტესობა საზღვარგარეთაა დაბეჭდილი. 25 სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს ანგარიშის ავტორი და თანაავტორია. ამ საკითხებზე მას დამთავრებული აქვს საკვალიფიკაციო ნაშრომი.

რუხაძე ვახტანგ ნიკოლოზის ძე – RUKHADZE VAKHTANG (15.VIII.1906, ს. იანეთი, სამტრედიის რ-ნი, – 20.IV.1994, ს. გორისა, საჩხერის რ.), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1933 დაამთავრა თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფია-გეოლოგიის პროფილით. 1934 მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიურ სამმართველოში მეცნიერ-მუშაკად, 1955-76 ჰიდროპროგნოზების განყოფილების გამგედ. 1962 ქ. ბაქოში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. ხრამის ჩამონადენის ფორმირება და მისი წანამძღვრები სხვადასხვა პერიოდისათვის". გამოქვეყნებული აქვს 12 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მოცემულია ჰიდროლოგიური პროგნოზების ახალი მეთოდები, ამიერკავკასიის მდინარეების ჩამონადენისა და ხარჯის მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზები.

საბაშვილი მიხეილ ნიკოლოზის ძე – SABASHVILI MIKHEIL (7.VIII.1900, ქ. ბათუმი, – 9.VII.1979, თბილისი), ნიადაგთმცოდნე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1944), აკადემიკოსი (1955). 1925 დაამთავრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1930-1942 სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისა და საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი იყო; 1936-დან სხვადასხვა დროს თსუ-ის ნიადაგთმცოდნეობის, ხოლო შემდეგ ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის, ხოლო შემდეგ კათედრის გამგე და პროფესორი; 1945-1958 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიადაგთმცოდნეობის, აეროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის დირექტორი; 1963-1976 საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი. მის სახელთან დაკავშირებულია საქართველოს ნიადაგთმცოდნეობის განვითარება. მან ერთერთმა პირველმა მოახდინა საქართველოსა და ამიერკავკასიის ნიადაგების კლასიფიკაცია, დააზუსტა ნიადაგების ვერტიკალური ზონები, შექმნა საქართველოს ნიადაგების გეოგრაფიული და აგრონიადაგური დარაიონების სქემები და ორიგინალური სახელმძღვანელოები ნიადაგთმცოდნეო-

ბაში. მას გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, თითქმის ამდენივე ხელნაწერი დატოვა. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1961), დაჯილდოებული იყო რამდენიმე ორდენით და მედლით.

მონოგრ.: ნიადაგთმცოდნეობის სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის, თბ., 1941; თბ., 1952; ზოგადი მიწათმოქმედება ნიადაგთმცოდნეობითა და აგროქიმიით (სახელმძღვ.), თბ., 1960 (თანაავტ.); ნიადაგთმცოდნეობა (სახელმძღვ.), თბ., 1970; Почвы влажной субтропической зоны Грузии, Тб., 1936; Почвы Грузии, Тб.,1948.

ლიტ.: ჭეიშვილი ო., მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977; იაშვილი ნ., მეცნიერი, აღმზრდელი, მოღვაწე. – „სოფლის ცხოვრება" 1980, 11.X; ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1981; ქსე, ტ. 8, თბ., 1984, გვ. 547.

სალუქვაძე ელენე დავითის ასული – SALUKVADZE HELENE (25.II.1959, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2002). 1982 დამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1986-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1983-86 გაიარა დასწრებული ასპირანტურის კურსი ამავე ინსტიტუტის ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებაში. 1993 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მსხვილი სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონების ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი რაციონალური ბუნებათსარგებლობის მიზნით (ქალაქების თბილისისა და რუსთავის მაგალითზე)". მასში მოცემულია თბილის-რუსთავის საგარეუბნო ზონის პირველი ლანდშაფტურ-ეკოლოგიური გამოკვლევა, გამოვლენილია ლანდშაფტზე ანთროპოგენური ზემოქმედების ფორმები და ფაქტორები, გამოკვლეულია ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების შედეგად ლანდშაფტშემქმნელ კომპონენტებში მიმდინარე პროცესები. შედგენილია ჰიფსომეტრული, რელიეფის დახრილობის, ჰორიზონტული დანაწევრების, ფერდობთა ექსპოზიციის, ანთროპოგენური ლანდშაფტების, ლანდშაფტურ-ეკოლოგიური, ბუნებათსარგებლობის რუკები. აჟამად მუშაობს მჭიდროდ დასახლებული რეგიონების ეკოლოგიური მდგომარეობის ნორმალიზებასა და ლანდშაფტურ-პროგნოზული დასკვნების საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.).

სალუქვაძე იოსებ მიხეილის ძე – SALUKVADZE IOSEB (22.II.1958, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1985). 1979 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1979-83 იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი. 1983-88 თსუ სამეცნიერო-კვლევითი ნაწილის უფროსის მოადგილეა. 1988-

2000 კათედრის დოცენტია, ხოლო 2000-დან კათედრის გამგე. 1993-95 მიწის რესურსების სამმართველოს უფროსი (მერია), 1995-97 მარკეტინგის სამმართველოს უფროსი, ავიაკომპანია „ორბი – საქართველოს ავიახაზები". 2002-დან მიუნხენის (გერმანია) ტექნიკური უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი, სამაგისტრო პროგრამა მიწის მენეჯმენტსა და მიწათსარგებლობაში. 1988-89 სტაჟირება გაიარა ლოძის (პოლონეთი) უნივერსიტეტში, ეკონომიკური გეოგრაფიისა და სივრცითი ორგანიზაციის ინსტიტუტში, 1991-92 სტოკჰოლმის (შვედეთი) უნივერსიტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის კათედრაზე და ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე (შვედური ინსტიტუტის სტიპენდიის მფლობელი მკვლევარი). 1998-99 მასაჩუსეტსის (აშშ) ტექნოლოგიური ინსტიტუტის ურბანული კვლევებისა და დაგეგმვის კათედრაზე ურბანული და რეგიონალური კვლევის სპეციალურ პროგრამაში (ფულბრაიტის სტიპენდიის მფლობელი). 1985 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქალაქ თბილისის მიწის გამოყენების თავისებურებანი", რომელშიც გაანალიზებულია თბილისის ტერიტორიის ფუნქციური და მორფოლოგიური სტრუქტურა, მიწის გამოყენების ინტენსივობა, სივრცითი განვითარების პერსპექტივები. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად ეხება ქალაქების ტერიტორიულ სტრუქტურას, მიწის გამოყენების თავისებურებებს, დასახლებული პუნქტების სივრცით ორგანიზაციას. 1996-2000 გერმანია-საქართველოს ერთობლივი პროექტის „ქალაქ თბილისის მიწის მენეჯმენტი" თანახელმძღვანელია, 2000-დან ასევე, გერმანულ-ქართული ერთობლივი პროექტის „საქართველოს მიწის კადასტრი და რეგისტრაცია" თანახელმძღვანელი.

სალუქვაძე მანანა ეფტიხის ასული – SALUKVADZE MANANA (1.I.1949, ს. ლიხაური, ოზურგეთის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1974 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტეოროლოგის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში გლაციოლოგის ლაბორატორიაში. ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1990 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კატასტროფული ზვავების გავრცელება საქართველოს ტერიტორიაზე და მათი მასიური ჩამოსვლის წინასწარმეტყველების მეთოდები". გამოქვეყნებული აქვს 37 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფიის თანაავტორია. ნაშრომები ეხება თანამედროვე გლაციოლოგიურ საკითხებს, კერძოდ თოვლის ზვავების წარმოქმნის, რეჟიმისა და გავრცელების თავისებურებებს. მუშაობს საქართველოს ტერიტორიაზე თოვლის ზვავების რაოდენობრივი მახასიათებლების ცვალებადობის დადგენაზე, მოსახლეობის საშიში ზვავშემკრებების, ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა და სახალხო ობიექტების გამოვლენაზე.

მონოგრ.: Кадастр лавин СССР, т. 9. Закавказье и Дагестан, Л., 1984; Л., 1986; Л., 1989 (соавт.).

სამუკაშვილი რევაზ დიმიტრის ძე – SAMUKASHVILI REVAZ (15.VI.1932, ს. სნო, ყაზბეგის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1955 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკოსის სპეციალობით. 1955-56 მუშაობდა ჯვრის უღელტეხილის მეტეოროლოგიურ სადგურში ტექნიკოს-აეროლოგად და მეტეოდამკვირვებლად, 1956 დარიალის რვაწლიან სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად, 1957-60 დედოფლისწყაროს საშუალო სკოლაში. 1990 მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, 1960-1989 მაღალმთიანი გეოფიზიკურ ინსტიტუტში იალბუზის ობსერვატორიაში (ქ. ნალჩიკი), 1989-1990 ქ. სევასტოპოლში წაყინვების და ნისლის ლაბორატორიის გამგედ. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დიდი კავკასიონის ჩრდილო ფერდობის რადიაციული რეჟიმი", ხოლო 1998 სადოქტორო დისერტაცია – „კავკასიის რადიაციული რეჟიმის დახასიათება და ჰელიორესურსების გამოყენების პერსპექტივები". გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება წყალსაცავების გავლენის პრობლემებს გარემოს კლიმატზე, საქართველოს კლიმატურ მახასიათებლებს, კავკასიის რადიაციული რეჟიმის პრობლემებს, აგრეთვე მთიანი მყინვარების აბლაციის საკითხებს, კავკასიის ტერიტორიაზე ჰელიოენერგეტიკული რესურსების და თოვლის საფარის რადიაციული მახასიათებლების კვლევას.

სანებლიძე თენგიზ ვასილის ძე – SANEBLIDZE TENGIZ (31.V.1943, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1991). 1972 დაამთავრა პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (ახლანდელი სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი) გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის კათედრაზე ასისტენტად, შემდეგ უფროს მასწავლებლად და დოცენტად. შეთავსებით მუშაობდა თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროში ექსკურსიამძღოლად (1970-85). 1974-დან იყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის მაძიებელი ემილ კობახიძის ხელმძღვანელობით. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სოფლის მეურნეობის განვითარება და სპეციალიზაცია რეკრეაციულ რეგიონებში (საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 23 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფია. მათში განხილულია ბუნებრივ-გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები, აგრორეკრეაციული კომპლექსების

ფორმირება, ზოგადი კანონზომიერებები, თავისებურებები და მათი ფუნქციონირება ქვეყანაში. მოცემულია საქართველოს აგროორეკრეაციული კომპლექსების განვითარებისა და სრულყოფის პერსპექტივები.

მონოგრ.: სსრკ აგროორეკრეაციული კომპლექსები, თბ., 1986.

სანებლიძე ლალი მელიტონის ასული – SANEBLIDZE LALI (22.VII.1942, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1964 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1964-67 სწავლობდა თსუ ასპირანტურაში. 1967 მუშაობა დაიწყო სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის მასწავლებლად, შემდეგ უფროს მასწავლებლად. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მტკვარ-იორის მდინარეთაშორისი ლანდშაფტები". 1989-დან მუშაობს იმავე კათედრის გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მუშაობს ლანდშაფტმცოდნეობასა და მეთოდიკაში. გამოქვეყნებული შრომებიდან აღსანიშნავია მტკვარ-იორის ლანდშაფტების ფიტომასის პროდუქტების განსაზღვრა. მარტყოფის სტაციონარის მიდამოების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, გეოგრაფიული გარსის ცნების სწავლება, ეკოლოგია და გეოგრაფია და სხვ. აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართულ ენციკლოპედიაში მეთოდური და სამეცნიერო გეოგრაფიული ხასიათის სტატიების დაწერაში.

სანებლიძე მელიტონ სტეფანეს ძე – SANEBLIDZE MELITON (25.II.1905, ს. ოფშკვითი, წყალტუბოს რ-ნი, – 28.XI.1984, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1928 დაამთავრა თსუ პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგი გეოგრაფიის სპეციალობით. 1928-33 მუშაობდა თსუ გეოგრაფიის კათედრაზე, 1933-40 ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კათედრის გამგედ და ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლად, ხოლო 1940-დან თსუ ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის კათედრაზე. აქვე, 1952-74 იყო კათედრის გამგე. 1949 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ყაზბეგის რაიონის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება", მასში გაანალიზებულია ლანდშაფტების ვერტიკალური ზონალობა, გამოყოფილია ზონები და ქვეზონები. გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო სტატია, მეთოდური ლიტერატურა, მარშრუტული აღწერა და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ძირითადი ლანდშაფტების დადგენა და საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება. გამოყოფილი აქვს 15 ლანდშაფტური ზონა ანუ ტიპი. დიდი წვლილი მიუძღვის მყინვარწვერის შესწავლის საქმეში. იგი 19-ჯერ ავიდა მწვერვალზე. არჩეული იყო საქართველოს ალპური კლუბის საბჭოს წევრად. მისი უშუალო ხელმძღვანელობით 1962 დაარსდა მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიული სტაციონარი. დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის

საიუბილეო მედლით (1968), მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის წოდება (1984).

საღინაძე იოსებ ალექსანდრეს ძე – SAGHINADZE IOSEB (15.X.1902, ს. ლუხვანო, ცაგერის რ-ნი, – 5.V.1964, ქ. ქუთაისი), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1924 დაამთავრა ცაგერის ჰუმანიტარული ტექნიკუმი. 1924-1927 მასწავლებლად მუშაობდა ს. ლუხვანოს დაწყებით სკოლაში. 1927-1929 ცაგერის რაიონის საცდელ-საჩვენებელი სკოლის გამგედ, 1930 ცაგერის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1934 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1934-1936 მუშაობდა ცაგერის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად. 1936-1938 ცაგერის პედაგოგიურ და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ასწავლიდა გეოგრაფიას, მუშაობდა რაიონის მეთოდ-კაბინეტის გამგედ. 1938-დან მუშაობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. კითხულობდა ლექციების კურსს მინერალოგია-პეტროგრაფიასა და გეოლოგიაში საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტზე. 1942-47 იყო ფაკულტეტის დეკანი. 1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქალაქ ქუთაისის რაიონის სამშენებლო მასალების მინერალოგიურ-პეტროგრაფიული დახასიათება". გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები. მისი სამეცნიერო თემატიკა ძირითადად მოიცავდა იმერეთის დანალექი და მაგმური ქანების მინერალოგიურ-პეტროგრაფიულ კვლევას.

მონოგრ. და სახელმძღ.: მინერალოგია-პეტროგრაფიის მოკლე კურსი, თბ., 1956; სასწავლო ექსკურსიები ქუთაისის მიდამოებში, თბ., 1961; ალმასი, თბ., 1964; პრაქტიკუმი გეოლოგიაში, თბ., 1968.

სახოკია თედო ტიმოთეს ძე – SAKHOKIA THEDO (15.III.1868, ს. ხეთა, ხობის, რ-ნი, – 17.II.1956, თბილისი), მწერალი, მთარგმნელი, ეთნოგრაფი, მოგზაური. 1884-დან სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, საიდანაც გარიცხეს. 1886-დან სწავლობდა ჯერ ჟენევის უნივერსიტეტში, შემდეგ პარიზის სორბონის უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ 1888 წერილებს აქვეყნებდა ი. ჭავჭავაძის „ივერიაში". 1900 შევიდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიის სასწავლებელში. ბევრს მოგზაურობდა. 1901 თანამშრომლობდა რომში მ. თამარაშვილთან, 1902 საფრანგეთში მყოფი ქართველების არალეგალურ გაზეთ „საქართველოს" თანარედაქტორი იყო. აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში („დროება", „სახალხო გაზეთი", „ნოვოე ობოზრენიე", „კავკაზი"), განსაკუთრებით „ცნობის ფურცელსა" და „მოამბეში". 1906 წელს დააპატიმრეს და 1908 ციმბირში გადაასახლეს. გადასახლებიდან მოახერხა გაქცევა და საზღვარგარეთ წავიდა.

1916-დან დაბრუნდა თბილისში და მოღვაწეობდა ლიტერატურულ და პედაგოგიურ სარბიელზე. თარგმნა არაერთი ნაწარმოები ქართულ ენაზე. საქართველოში მოგზაურობის დროს მან შეკრიბა და გამოაქვეყნა „ქართული ანდაზები" (1967), „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი" (ტ. I-III, 1950-55) და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოგზაურობები გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში. მასში მოცემულია ავტორის მოგზაურობის დროს მოკლეული მასალები და უშუალო დაკვირვებები. მის მიერ შეგროვებული ეთნოგრაფიული კოლექციები დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, რუსეთის ეთნოგრაფიულ მუზეუმში (სანკტ-პეტერბურგი), საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების მუზეუმში (პარიზი) და სხვ.

მონოგრ.: ეთნოგრაფიული ჩანაწერები, თბ., 1956; მოგზაურობანი, თბ., 1950; ბათუმი, 1985 და სხვ.

ლიტ.: თედო სახოკია, თბ., 1969; ცაიშვილი ს. ლიტერატურული წერილები, თბ., 1977; ქართული ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 257.

საჯაია ეთერ ვიქტორის ასული – SAJAIA ETHER (3.VI.1956, კამენსკის ოლქი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი კვანტური რადიოფიზიკის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ბუნებრივი მოდელირების განყოფილებაში ინჟინრად, შემდეგ უმცროს და უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 90-იან წლებში მივლინებულ იქნა ქ. ლენინგრადში ატმოსფეროს გაჭუჭყიანების ოპტიკური დისტანციური მეთოდის დასანერგად. 1999 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „გარე და შიდა ფაქტორების გავლენა ატმოსფეროს გაჭუჭყიანებაზე საქართველოში". გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი. ამჟამად იკვლევს ატმოსფეროს გაჭუჭყიანებისა და გაუდაბნოების პროცესებს.

სეფერთელაძე ზურაბ ხასანის ძე – SEPERTELADZE ZURAB (5.II.1949, ქ. ქობულეთი), გეოგრაფიულ-მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1995). 1971 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1972-76 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1974-დან მუშაობს თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე (ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის), ჯერ მასწავლებლად, შემდეგ დოცენტად და პროფესორად. 1996-დან კათედრის გამგეა. 1999-დან შეთავსებით არის გეოგრაფიის ინსტიტუტის ლანდშაფტების ეკოლოგიისა და გარემოს მონიტორინგის განყოფილების ხელმძღვანელი. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ამიერკავკასიის ნოტიო სუბტროპიკების გამოყენებითი ლანდშაფტური დახასიათება (შავი ზღვის აჭარა-გურიის ზღვისპირა მაგალითზე)", ხოლო 1993 სადოქტორო დისერტაცია – „ბუნებრივ-ანთროპოგენური კომპლექსების

დიფერენციაციისა და ბუნებათსარგებლობის პრობლემები (ანალიზი და სინთეზი)". ნაშრომში ავტორის მიერ გაანალიზებულია ბუნებრივ-ანთროპოგენური კომპლექსების ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი დიფერენციაციის კანონზომიერებანი; განხილულია მისი დიფერენციაციისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების უახლესი პრინციპები და მეთოდები. ბუნებრივ ანთროპოგენური ლანდშაფტების კლასიფიკაციისას გათვალისწინებულია ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების გარკვეული მიმართულება სახალხო მეურნეობის დარგებში, ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების ხასიათი და ტერიტორიების სამეურნეო ათვისება-გამოყენების პოტენციური შესაძლებლობები; შეიმუშავა ბუნებრივი კომპლექსების რეგიონული და ტიპოლოგიურ ერთეულთა თვისობრივად ახალი სისტემა; შეადგინა ძირითადი ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების რუკა. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო ნაშრომი. კითხულობს ლექციებს სპეკურსებში – ლანდშაფტების დიფერენციაცია და ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია. 1994 არჩეულ იქნა საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

მონოგრ. და სახელმძღ.: ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, თბ., 1988; ლანდშაფტების დიფერენციაცია და ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, თბ., 1995; ფიზიკური გეოგრაფია, აბიტურიენტებისათვის, თბ., 1998 (თანაავტ.); სამეგრელო, თბილისი-ზუგდიდი, 1999; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); გეოგრაფია (უმაღლეს სასწავლებლებში შემსელელთათვის), თბ., 2002 (თანაავტ.); დედამიწა ჩვენი პლანეტა. გეოგრაფიის დაწყებითი კურსი, VI კლასის სახელმძღვანელო, თბ., 2003 (თანაავტ.).

სვანიძე გივი გედეონის ძე – SVANIDZE GIVI (20.IX.1921, ს. ცხუკუშერი, ცაგერის რ-ნი, – 10.VIII.1999, თბილისი), ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1966), აკადემიკოსი (1981). 1944 დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი (ტექნიკური უნივერსიტეტი) ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1944-1947 მუშაობდა საკავშირო ტრესტ „ჰიდროენერგოპროექტის" თბილისის განყოფილებაში. 1946-1949 გაიარა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1950 მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „წყალსადინარების კასკადური გამოყენების თეორიის ელემენტები". ამავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენერგეტიკის ინსტიტუტში; აქვე, 1958-1971 იყო წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენების განყოფილების გამგე. 1952-1960 შეთავსებით მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად. 1963 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „მდინარის

ჩამონადენის მრავალწლიური რეგულირების გაანგარიშების საფუძვლები მონტე-კარლოს მეთოდით". 1967-1970 შეთავსებით მუშაობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პროფესორის თანამდებობაზე. 1971 აირჩიეს თსუ ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრის გამგედ. 1976 დაინიშნა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად. ამ თანამდებობაზე მუშაობდა გარდაცვალებამდე. გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. იგი თანამედროვე სეოქასტიკური ჰიდროლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. ამ საკითხებზე მან არაერთი ნაშრომი გამოაქვეყნა, მათ შორის მონოგრაფია (1964, 1977); მისი რედაქტორობით და უშუალო მონაწილეობით შეიქმნა ფუნდამენტური ნაშრომი „მდინარე ბზიფის ჰიდროლოგია" (1981), რისთვისაც მიენიჭა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია (1982). გარდა ამისა, 1970-1972 გამოქვეყნებული შრომების მიხედვით მას მინიჭებული აქვს პ. მელიქიშვილის სახ. პრემია (1973), თსუ პირველი პრემია (1979) და სხვ. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი.

მონოგრ.: Водный кадастр СССР. Методика составления, М., 1956 (соавт.); Гидроэнергетические ресурсы ГССР., М., 1962 (соавт.); Основные расчеты регулирования речного стока методикой Монте-карло, Тб., 1964; Математическое моделирование гидрологических рядов, Л., 1977; Гидрология реки Бзыбь, Тб., 1981 (соавт.); Основные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1980, 1983 (соавт.); Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.); Возобновляемые энергоресурсы Грузии, Л., 1987 (соавт.); Колхидская низменность. Природные условия и социально-экономические аспекты, Л., 1989 (соавт.).

ლიტ.: ქართული ენციკლოპედია, ტ. 9, 1985, გვ. 311; Журнал „Метеорология и гидрология", 1981, №9; журнал „Гидротехническое строительство", 1981, №9; Балавадзе Б., Хмаладзе Г. Жизнь в науке, - газ. „Заря Востока", 1982, 26 января.

სიორდია სვეტლანა რევაზის ასული – SIORDIA SVETLANA (30.IX.1957, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1980 და-ამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი ატმოსფეროს ფიზიკის სპეციალობით. 1980-დან მუშაობს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1987-1990 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრაზე. 1990 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მეტეოროლოგიური ასპექტები ამინდის სამედიცინო შეფასებისათვის". გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

სიხარულიძე თამარ აპქსენტის ასული – SIKHARULIDZE TAMAR (10.X.1910, ს. გოგოლესუბანი, ჩოხატაურის რ-ნი, – 20.XII.1991, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1934 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიის პროფილით. 1934-38 მუშაობდა ოზურგეთის საშუალო სკოლაში. 1942 დაამთავრა თსუ ასპირანტურა. 1949 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აფხაზეთის ასსრ ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". 1942-59 მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ასრულებდა ფაკულტეტის დეკანის და კათედრის გამგის მოვალეობას, 1959-1966 თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის გამგეა. დაჯილდოებულია ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიური საზოგადოების საპატიო სიგელით (1975).

მონოგრ.: ლანდშაფტური ექსკურსიის მეგზური, მარშრუტით: მცხეთა-გორი-ხაშური, თბ., 1958; აფხაზეთის ასსრ ლანდშაფტური ზონები, თბ., 1958.

სოფაძე გია სერგოს ძე – SOPHADZE GIA (10.XII.1960, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1982 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფ-ლანდშაფტმცოდნეობის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე მეცნიერ თანამშრომლად. ამჟამად საქართველოს გეოგრაფიის კათედრის დოცენტია. არის ეკოლოგიური გაზეთის „ზღვისპირეთის" რედაქტორი, რადიაციული და ტოქსიკური დაბინძურების კომპიუტერული ატლასის შექმნის პროექტის კოორდინატორი, 1999-დან მრავალი საერთაშორისო პროექტის ხელმძღვანელი, 2001-დან არასამთავრობო ორგანიზაცია მდგრადი განვითარების კავშირის „ეკოხედვის" დირექტორი. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კოლხური ლანდშაფტების სეზონური დინამიკა". გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება ლანდშაფტმცოდნეობისა და გარემოს დაცვის საკითხებს. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2000).

სოხაძე ელენე ვიქტორის ასული – SOKHADZE HELENE (5.X.1918, ქ. ბაქო, – 26.IV.1997, თბილისი), ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი. 1941 დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტი გეობოტანიკის სპეციალობით. მუშაობდა ქ. ბაქოს ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიაში, 1942 არმიის რიგებში, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შორსმსროლელ საზენიტო არტილერიის ბატარეაშია. 1945 ჩაირიცხა ვილიამსის სახ. კვების საკაშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1948 ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტში უფროსი მასწავლებელია.

1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კავკასიის ურიანების საძოვრები". 1953 მუშაობდა თბილისის პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1954-1992 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქ ცნობილი მკვლევარების გვერდით მან განსაზღვრა ბოტანიკურ-გეოგრაფიული კვლევის ასპექტში მეცნიერული ორიენტაციის ძირითადი მიმართულება. ღებულობდა მონაწილეობას ფიზიკურ-გეოგრაფიული ხასიათის ექსპედიციებში. შესწავლილ იქნა რეგიონების მცენარეული საფარი, როგორც ლანდშაფტის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მთის ქანების გავლენას მცენარეულობაზე, მცენარის ინდიკაციური როლი ბუნებრივ და ანთროპოგენურ ფაქტორებზე, მთიანი მხარეების ბოტანიკურ-გეოგრაფიული დარაიონების პრინციპებს და მეთოდებს. დასავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების შესწავლასთან დაკავშირებულმა გამოკვლევებმა და მათმა განზოგადებამ შესაძლებლობა მისცა შეესრულებინა რამდენიმე მონოგრაფია. ამავე მასალების მიხედვით, 1971 ქ. ლენინგრადში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „დასავლეთ საქართველოს კირქვიანი მთების ბოტანიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". მასში ღრმადაა გაანალიზებული მთიანი რეგიონების ლანდშაფტების კვლევის მეტად აქტუალური პრობლემები. გეოგრაფიის ინსტიტუტში მოღვაწეობის დროს აქტიურ მონაწილეობას იღებდა ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილებაში შესრულებულ რიგ გამოკვლევებში. იგი ავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა. მონოგრაფია „კირქვიანები და მცენარეულობა" საბუნებისმეტყველო მეცნიერების დარგში საუკეთესო ნაშრომისათვის 1985 დაჯილდოვდა მოსკოვის ბუნების გამომცდელი საზოგადოების საპატიო დიპლომით.

მონოგრ.: Ботанико-географический очерк известняковых гор Западной Грузии, Тб., 1968; Известняки и растительность (Ботанико-географический анализ на примере Евразии), Тб., 1982; Ландшафтная карта Закавказья, М., 1983 (соавт.).

სულაქველიძე გიორგი კონსტანტინეს ძე – SULAKVELIDZE GIORGI (5.V.1913, ქ. დონის როსტოვი, – 20.VIII.1983, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1957). 1939 დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. გაიარა გეოფიზიკის ინსტიტუტის ასპირანტურა. 1941-43 საბჭოთა არმიის რიგებშია. 1946-48 ლექციებს კითხულობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1948 მუშაობას იწყებს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საბუნებისმეტყველო და მათემატიკური განყოფილების სწავლულ მდივნად. 1951-დან გადავიდა გეოფიზიკის ინსტიტუტში ჯერ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1952-დან დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში. 1955-61 ხელმძღვანელობდა იალბუზის მაღალმთიან ექსპედიციას. 1962 იგი გადაკეთდა მაღალმთიან გეოფიზიკის ინსტიტუტად,

რომლის დირექტორი 1970-მდე გ. სალუქვაძე იყო. ამ პერიოდში იგი კითხულობდა ლექციებს ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. 1970 მიიწვიეს თსუ-ში და აირჩიეს მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, ოკეანოლოგიის კათედრის გამგედ. 1955 ლენინგრადში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „თოვლის საფარის ფიზიკური თვისებები". შეისწავლა თოვლის ზვავების დინამიკა, ჩაატარა ორიგინალური გამოთვლები ნაგებობებზე ზვავის დარტყმის ძალაზე, აღმოაჩინა თოვლის საფარში სითბოს გადაცემის ახალი მექანიზმი და დაადგინა სითბოს გამტარებლობის ეფექტური კოეფიციენტი. გამოქვეყნებული აქვს 170-ზე მეტი ნაშრომი. დიდი ნაწილი ეხება ღრუბლების ფიზიკისა და მათზე ზემოქმედების საკითხებს. მისი ხელმძღვანელობით შეიმუშავეს თავსხმა ნალექების წარმოშობის თეორია, სეტყვის კერების ღრუბლების აღმოჩენის რადიოლოკაციური და მათზე ზემოქმედების ორიგინალური მეთოდები. ბოლო წლებში მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია ტროპიკული ციკლონების თეორიასა და ატმოსფეროს თერმოდინამიკის საკითხების შესწავლის საქმეში. 27 სტატია დაიბეჭდა ინგლისურ, გერმანულ, პოლონურ, ჩეხურ, ესპანურ და სხვა ენებზე. მიღებული აქვს ხუთი გამოგონების საავტორო მოწმობა. მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო პრემია (1969), ბ. მულტანოვსკის პრემია (1972), ყაბარდო-ბალყარეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1968), საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1975).

მონოგრ.: Образование осадков и воздействие на градовые процессы, Л., 1965 (соавт.); Ливневые осадки и град, Л., 1967; Прогноз града, гроз и ливневых осадков, Л., 1970 (соавт.); Термодинамика тропосферы ч. I, Тб., 1980 (соавт.); Formation of precipitation and modification of hail processes, Washington, 1967 (co-author); Rainstorms and hail, Washington, 1969; Wail suppression Leningrad, 1969; Forecasting hail, storms and rainfall, Washington, 1971; Process of hail suppression work in the USSR, Washington, 1972 (co-author).

ლიტ.: ჯავახიშვილი შ., ხვედელიძე ზ., ღვაწლმოსილი მეცნიერი, გაზ. „თბილისი", 5.V.1972, გვ. 3; ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 76-77; ქართული ენციკლოპედია, 1985, ტ. 9, გვ. 303; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; კვარაცხელია ნ. გიორგი სულაქველიძე – ადამიანი უზადო მორალით, სულიერი სიმდიდრით, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 27.V.2002, გვ. 10. Ревич В. Пять растрелянных облаков, М., 1968; Котария А.Ф., Амиреджиби Р.К. Г.К. Сулаквелидзе, - „Метеорология и гидрология", 1973, №6, с. 119-126; Лосев К.С. „Этюды об учителе", - „Знание сила", 1985, №8.

სულაქველიძე იანინა გიორგის ასული – SULAKVELIDZE IANINA (25.X.1944, თბილისი, – 7.III.1993, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1967 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი, გეოფიზიკის სპეციალობით. 1970-დან მუშაობდა გეოფიზიკის კათედრაზე. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კონვექტური ღრუბლების

განვითარების თერმოდინამიკური პირობები" და მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1990 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „თავსხმა წვიმები მთიან ქვეყნებში" და მიენიჭა გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. გამოქვეყნებული აქვს 50 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეძღვნება ატმოსფეროში მიმდინარე თერმოდინამიკურ საკითხებს, ღრუბლებზე აქტიურ ზემოქმედებას, თავსხმა ნალექების წარმოშობასა და განაწილების თავისებურებებს და სხვ. ეწეოდა სალიტერატურო მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნოველა.

მონოგრ.: Ливневые осадки в горных странах на примере Закавказья. Термодинамика топосферы, ч. I, Тб., 1980 (соавт.);

სულხანიშვილი ნანა მიხეილის ასული – SULKHANISHVILI NANA (20.IX.1934, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1953 სწავლობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ (1955-დან) თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1960 ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს განაწილებით მიღებულ იქნა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორიაში ჯერ ლაბორანტის (1963-74), შემდეგ უმცროსი (1974-75), უფროსი (1975-89) მეცნიერ თანამშრომლის, ლაბორატორიის გამგის (1989-95) თანამდებობებზე. 1963 დაიწყო კვლევა სამედიცინო გეოგრაფიის დარგში, რომლის ფორმირებაც ის იყო იწყებოდა. ამასთან იყო დაკავშირებული მისი ექსპედიციები ციმბირში (ქ. ირკუტსკის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამედიცინო გეოგრაფიის განყოფილების თანამშრომლებთან ერთად) და საქართველოში. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ლანდშაფტების როლი ანკილოსტომიდოზების გავრცელებაში". გამოკვლევების დასკვნები შემდეგში მედიკოსების მიერ პრაქტიკით დადასტურდა. 1974-დან იგი მუშაობს საქართველოში ავთვისებიანი სიმსივნის გავრცელების გეოგრაფიულ პრობლემებზე. ამ მიზნით იგი მივლინებულ იქნა ქ. მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ონკოლოგიის ცენტრის ეპიდემიოლოგიის განყოფილებაში (1978-79) და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის სამედიცინო გეოგრაფიის ლაბორატორიაში (1980-85). გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად სამედიცინო-გეოგრაფიული ხასიათისაა. მათში უმთავრესი ყურადღება ეთმობა საქართველოს ბუნებრივი ფაქტორებისა და სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების დადებით თუ უარყოფით გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე. კვლევის შედეგები ნაწილობრივ აისახა მის მიერ თანაავტორებთან ერთად ონკო-გეოგრაფიულ ატლასში; ყურადსაღებია აგრეთვე ჰემატოლოგიის, სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკულ დაავადებათა ინსტიტუტთან ერთად

შედგენილი ატლასი და B თალასემიის გავრცელების რუკა, რომლებიც არ დაბეჭდილა. ამასთან, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საკავშირო კონფერენციებსა და თათბირებში. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამედიცინო გეოგრაფიული სექციის თავმჯდომარე.

სუხიშვილი ეთერ ვასილის ასული – SUKHISHVILI ETHER (25.V.1920, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი (1968). 1947 დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, სადაც ამჟამად უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1966 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქარის რეჟიმი საქართველოს ტერიტორიაზე". გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ნაწილი დანერგილია სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში. ასეთ შრომებს მიეკუთვნება: ქარის რეჟიმი საქართველოში, ქარის საანგარიშო სიჩქარეები კავკასიაში, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს ბუნებრივ-საკურორტო რესურსები, მცირე კავკასიონის აღმოსავლეთ ნაწილის საკურორტო და რეკრეაციული რესურსების კლიმატი და სხვ. შედგენილი აქვს 7 რუკა. მიღებული აქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1983), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომი (1984), საქართველოს სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1988), სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროსა და საქენერგოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში პირველი პრემია (1995), ღირსების ორდენი (2000).

მონოგრ.: Климат и климатические ресурсы Грузии, Л., 1971 (соавт.); Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1980 (соавт.); Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения,Л., 1983; Возобновляемые энергетические ресурсы, Л., 1987 (соавт.); Исследование возможности применения гибридных солнечно-ветровых установок для генерации механической тепловой и электрической энергии, Л., 1988 (соавт.); Климат Тбилиси, С.-П., 1992 (соавт.).

ტაბიძე დემურ დავითის ძე – TABIDZE DEMUR (1.VI.1933, ს. ივანდიდი, ხონის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1956 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სამხედრო კარტოგრაფიულ ფაბრიკაში ტექნიკ-კარტოგრაფის თანამდებობაზე. 1957-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1966 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. კოდორის აუზის გეომორფოლოგია"; ხოლო 1988 ქ. ნოვოსიბირსკში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „რელიეფის მოცულობითი ანალიზი და გეომორფოლოგიური სისტემატიკა". მის მიერ გამოკვლეულია საქართველოს რელიეფის მორფოლოგიის გენეზისისა და ასაკის სხვადასხვა ასპექტები, აგრეთვე

გეომორფოლოგიური კარტოგრაფირების თეორიული საფუძვლები. მუშაობს ფიზიოგრაფიული კარტოგრაფირების საკითხებზე. უყრის მეცნიერულ საფუძველს მეცნიერებისა და ხელოვნების ახალი მიმართულების შექმნას – ბუნების ქანდაკებისა და გეოგრაფიული ფერწერის შესახებ, რაც შეიძლება დაუკავშირდეს ტურიზმის მსოფლიო ბიზნესს გეოგრაფიული მუზეუმების შექმნის თვალსაზრისით. აღნიშნულის თვალსაზრისით მას შედგენილი აქვს საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინციების 40 ფერწერული ტილო. გაკეთებული აქვს სხვადასხვა მასშტაბის საქართველოსა და მისი კუთხეების ბუნებრივი ქანდაკებები. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო შრომა.

მონოგრ.: ჩხალთის მიწისძვრა, თბ., 1966; Геоморфология Грузии, Тб., 1971 (соавт.); Каталог ледников СССР, т. 9. Закавказье и Дагестан, вып. 1, Л., 1975. Объемный анализ рельефа и проблема геоморфологической систематики, 1985.

ᲢᲐᲢᲐᲨᲘᲫᲔ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲡ ᲫᲔ – TATASHIDZE ZURAB (24.IX.1928, ქ. საჩხერე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1979), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1997). 1951 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1951-54 ასპირანტურის კურსი გაიარა აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1955 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდინარე ყვირილას აუზის გეომორფოლოგიისათვის", 1973 კი სადოქტორო დისერტაცია – „დასავლეთ საქართველოს კარსტული სიღრუეების მორფოლოგიური ანალიზი". 1954-57 მუშაობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდეგ თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი). 1957-დან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. იყო ხელმძღვანელი კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელად, ხოლო 1993-დან აირჩიეს ინსტიტუტის დირექტორად. 1980 ირჩევენ თსუ გეომორფოლოგიის კათედრის გამგედ, სადაც შეთავსებით დღემდე მოღვაწეობს. გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში უმთავრესი ადგილი უკავია საქართველოსა და, საერთოდ, მთიანი ქვეყნების კარსტის პრობლემების კვლევას; მან გაამდიდრა გეოგრაფიული მეცნიერება ახალი სპელეოლოგიური აღმოჩენებით და დასკვნებით; მისმა ნაშრომებმა არსებითად განსაზღვრეს საქართველოს ახალი, პერსპექტიული სამეცნიერო მიმართულების – მღვიმეთმცოდნეობის დაფუძნება. მისი უშუალო

ხელმძღვანელობით და მონაწილეობით ჩვენს ქვეყანაში აღმოჩენილი და შესწავლილი მრავალრიცხოვან მღვიმეებიდან, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობენ ახალი ათონის, მჭიშთას, წყალტუბოს და სხვ. უნიკალური მღვიმური სისტემები. კარსტოლოგიისა და სპელეოლოგიის სფეროში მის წარმატებულ სამეცნიერო მოღვაწეობაზე მეტყველებს 1977 მინიჭებული სსრკ სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებულია აფხაზეთის (1966) და საქართველოს (1984) უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების საპატიო სიგელებით, ღირსების ორდენით (1998). არის საქართველოს ეროვნული სპელეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, განათლების სამინისტროსთან არსებული გეოგრაფიის სასწავლო მეთოდსაბჭოს თავმჯდომარე, საერთაშორისო და რესპუბლიკის სამეცნიერო საბჭოების, სარედაქციო კოლეგიების წევრი.

მონოგრ. და სახელმძღვ: მღვიმეებსა და უფსკრულებში, თბ., 1964; მღვიმე და ადამიანი, თბ., 1966; საქართველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 1966 (თანაავტ.); ანაკოფიის უფსკრულის საიდუმლოებანი, თბ., 1967; ახალი ათონის მღვიმე, თბ., 1975, ქართულ და რუსულ ენებზე. ვახუშტი ბაგრატიონი – დიდი მეცნიერი და მამულიშვილი, თბ., 1997 (თანაავტ.); ბზიფის მასივის კარსტი და მღვიმეები, თბ., 1989; გეომორფოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1996 (თანაავტ. და რედაქტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ. და რედაქტ.); ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ. და რედაქტ.); დედამიწა ჩვენი პლანეტა. გეოგრაფიის დაწყებითი კურსი (მეექვსე კლასის სახელმძღვანელო), თბ., 2003 (თანაავტ.); Анакопский пропаст, Тб., 1968; Новоафонская пещера, Тб., 1975; Карстовые пещеры Грузии (Морфологический анализ), Тб., 1976; Новоафонская пещера, Тб., 1978; Новоафонская пещерная система, Тб., 1983; Крупные карстовые полости СССР. Спелеологические провинции Б. и М. Кавказа, Киев, 1987 (соавт.).

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977; ქართული ენციკლოპედია, ტ. 9, თბ., 1985, გვ. 721; კვერენჩხილაძე რ. მიწისქვეშეთის მკვლევარი, გაზ., „თბილისი“, 1988, 14.XI; კიკნაძე თ., ჯაოშვილი ე., უკლება დ. იდუმალი სამყაროს მკვლევარი, გაზ. „კომუნისტი“, 1989, 5.I.; სეფერთელაძე ზ., ბონდირევი ი., მარგველანი გ., ლომინაძე გ. სამშობლო ხელისგულზე – კარსტული მღვიმიდან მყინვარწვერამდე, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 27.III.2003.

ტერელაძე ალექსანდრე კონსტანტინეს ძე – TERELADZE ALEXSANDRE (18.IV.1922, ქ. ბათუმი, – 1.III.1976, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნ. კანდიდატი, დოცენტი (1965). 1943 შევიდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში, საიდანაც 1945 გადმოვიდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, 1948 დაამთავრა გეოგრაფიის სპეციალობით. 1948-52 სწავლობდა ასპირანტურაში პროფ. ბ. დობრინინის ხელმძღვანელობით. შემდეგ იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1962 დაიცვა საკან-

დიდატო დისერტაცია — „აჭარისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". მასში მოცემულია იმ დროისათვის ნაკლებად შესწავლილი აჭარისა და ანატოლიის (აზიური თურქეთის) ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტები) დახასიათება. სამუშაო შესრულდა საველე დაკვირვებებისა და ლიტერატურულ წყაროების ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე. მისი ხანგრძლივი კვლევის ობიექტს წარმოადგენდა საქართველოს ნოტიო სუბტროპიკებისა და სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთის ბუნება წინააზიის მიმდებარე ტერიტორიებით. მას ეკუთვნის ამ რეგიონებისადმი მიძღვნილი 40-მდე ნაშრომი, რომელთა დიდი ნაწილი გამოქვეყნებულია.

ტიელიძე ზურაბ რამაზის ძე – TIELIDZE ZURAB (10.X.1946, ს. ზერტი, გორის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1969 დაამთავრა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1969 განაწილებით მუშაობას იწყებს ს. ნაკიფუს (წალენჯიხის რ-ნი) საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, საიდანაც გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობას იწყებს გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად, ხოლო შემდეგ ამავე ინსტიტუტის კადრებისა და სპეციალური განყოფილების უფროსია. 1981-84 სწავლობდა თსუ ასპირანტურის დაუსწრებელ განყოფილებაზე ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის განხრით. 1988 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საქართველოს დასავლეთის ეკონომიკური რაიონის სოფლის მეურნეობის ტერიტორიული ორგანიზაციის გეოგრაფიული საფუძვლები". ამჟამად მუშაობს გორის სახელმწიფო ეკონომიკური ინსტიტუტის საწარმოო ძალთა განლაგებისა და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. არის საბუნებისმეტყველო და ფილოლოგიის გაერთიანებული ფაკულტეტის დეკანი. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწევა სამეცნიერო მუშაობას, რომელიც ეხება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, კერძოდ კი მიწის ფონდის ეკონომიკურ-გეოგრაფიულ პრობლემებს. მეცნიერულ კვლევაში გაშუქებულია ასევე რესპუბლიკის მტკიონეული აგრარულ-ეკოლოგიური პრობლემებიც. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო ნაშრომი. ამასთან, იგი გეოგრაფიული მეცნიერების ავტორიტეტის პრინციპული, თავგამოდებული დამცველია. ცალკეული საჟურნალო და საგაზეთო წერილები გეოგრაფიისა და მისი სწავლების აქტუალურ საკითხებს აშუქებენ. ამასთან, არის საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში. აქვს წერილები გამოქვეყნებული ქართული ჭიდაობის შესახებ. თავის ნიჭს ავლენს პოეზიაშიც.

ტყეშელაშვილი ინდიკო იასონის ძე – TKESHELASHVILI INDIKO (15.XI.1925, ს. ბუგეული, ამბროლაურის რ-ნი), დოცენტი (1988). 1954 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს აღნიშნულ ინსტიტუტში (ამჟამად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ჯერ ლაბორანტის, შემდეგ ასისტენტის და დოცენტის თანამდებობაზე. ლექციების კურსს კითხულობს ბუნებისმცოდნეობაში, მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკურ გეოგრაფიაში. ჩაბარებული აქვს საკანდიდატო მინიმუმის საგნები. მუშაობს მხარეთმცოდნეობის საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. დასაბეჭდადაა გამზადებული მონოგრაფია – „მხარეთმცოდნეობა".

უგულავა სოკრატ პავლეს ძე – UGULAVA SOKRAT (24.I.1907, ს. ყუმისთავი, წყალტუბოს რ-ნი, – 21.VI.1986, ქ. ქუთაისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1956). 1928-29 მუშაობდა ქუთაისის ბარიტის ქარხანაში. 1929-32 საბჭოთა არმიის რიგებშია. 1932-34 მუშაობდა საუწყებო დაცვის ბრიგადაში ქ. ჭიათურაში და ოცეულის მეთაურის თანამდებობაზე ქ. თბილისში. პარალელურად 1932-დან სწავლობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის გეოგრაფიულ განყოფილებაზე, რომელიც 1937 წარჩინებით დაამთავრა. გაიარა ასპირანტურის კურსი ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე, პარალელურად მუშაობდა ქ. გორში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1953-დან მუშაობდა სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, იქვე იყო კათედრის გამგე. 1959-დან გადაყვანილ იქნა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1966-74 იყო კათედრის გამგე. 1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქლუხორის რაიონი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის)". შესრულებული აქვს 35 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია.

უთმელიძე მარიამ ტიმოთეს ასული – UTMELIDZE MARIAM (20.V.1923, თბილისი), მთამსვლელი, გეოგრაფი. 1946 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის განხრით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1949-66 მუშაობდა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკურ სასახლეში პედაგოგად და გამგედ. 1966-2000 მუშაობდა ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქციის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციაში უფროს სამეცნიერო რედაქტორად. მან განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ენციკლოპედიის ყველა ტომის გამოცემაში. მთელი თავის ცხოვრების დიდი ნაწილი მთამსვლელობას

მიუძღვნა. პირველად მყინვარწვერზე. ქართული მთამსვლელობის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ უნივერსიტეტის ალპინიადაში მონაწილეობდა მელიტონ სანებლიძის ხელმძღვანელობით (1943). ერთი წლის შემდეგ კვლავ ადის მყინვარწვერზე ალ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით. მონაწილეობდა ზემო სვანეთის საკვალიფიკაციო ასვლებში – თეთნულდზე, ლეხზირზე, გალითაუზე, გისტოლაზე, ლალვერზე და სხვ. კოტე ჯავრიშვილისა და ივანე მარის ხელმძღვანელობით. 1949-66 ყოველწლიურად ატარებდა ტურისტულ ჩასათველელ მარშრუტებს, ალპინისტურ ასვლებს კავკასიონზე. 1952, სხვებთან ერთად გაიარა მე-5 კატეგორიის სიძნელის უშბის ორივე მწვერვალი ტრავერსით. მან ურთულეს მეტეოროლოგიურ პირობებში უშბის ტრავერსი განახორციელა: იგი მსოფლიოში პირველი ქალია, რომელმაც უშბის ორივე მწვერვალი დალაშქრა. გაკეთებული აქვს 100-ზე მეტი ასვლა კავკასიონის მწვერვალებზე. არის სპორტის ოსტატი ალპინიზმში (1956), მთამსვლელობისა და ტურიზმის უფროსი ინსტრუქტორი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ტურიზმსა და ალპინიზმში. სახალხო განათლების წარჩინებული (1959), დამსახურებული მასწავლებელი (1981), ალ. ჯაფარიძის სახ. საქართველოს ალპური კლუბის საბჭოს პრეზიდიუმის წევრი (1946-63), ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს სამარშრუტო საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე (1952-99. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

უკლება დავით ბახვას ძე – UKLEBA DAVIT (27.XII.1919, ს. სიმონეთი, თერჯოლის რ-ნი, – 26.VII. 1999, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ლანდშაფტმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი. 1947 გაიარა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1947-50 დაამთავრა თსუ ასპირანტურის კურსი ფიზიკური გეოგრაფიის განხრით. 1950-დან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. მან საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუტში ლანდშაფტმცოდნეობის (ფიზიკური გეოგრაფიის) განყოფილებას, რომელიც მისივე მზრუნველობით ერთ-ერთი ავტორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია გახდა ყოფილ სსრკ ანალოგიურ დაწესებულებათა შორის. ამასთან, პროფ. დ. უკლება შეთავსებით მუშაობდა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში უფროს სამეცნიერო რედაქტორის თანამდებობაზე, კითხულობდა ლექციებს თსუ-სა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მეცნიერი იკვლევდა მთიანი მხარეების ბუნებრივი პირობებისა და რესურსების რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემებს, რომლებსაც მიუძღვნა 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომა ქართულ, რუსულ და ევროპულ ენებზე. მან პირველად დაადგინა

აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები, გამოავლინა ცალკეული ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონების და ლანდშაფტების ბუნებრივი რესურსები და დასახა მათი რაციონალური ბუნებათსარგებლობის ღონისძიებანი. საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტებისა და ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების საკითხს მიუძღვნა მონოგრაფია, სადაც გაანალიზებულია ის უხვი მასალა, რომელიც მან შეაგროვა ძნელად მისადგომ მთიან რეგიონებში კვლევისას. მისი მეთოდიკით, უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით შეიქმნა საქართველოსა და ამერკავკასიის ლანდშაფტური რუკები. საგანგებოდ უნდა გამოიყოს მონოგრაფიული გამოკვლევა „საქართველოს ანთროპოგენური ლანდშაფტები", რომელშიც ღრმა მეცნიერული ანალიზია მოცემული ადამიანისა და ბუნების ურთიერთმოქმედების შედეგებზე; დადგენილია ბუნებრივი ლანდშაფტების მოდიფიკაციის სრული სურათი, გამოთქმულია მეცნიერულად დასაბუთებული მოსაზრებანი ლანდშაფტების აღდგენის, დაცვისა და რაციონალური გამოყენების თაობაზე. მეცნიერის მიერ შედგენილია საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება, რომელიც დაიბეჭდა ქართული ენციკლოპედიის სპეციალურ ტომში. მის მიერ პირველად შეიქმნა მეცნიერულად დახვეწილი ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული გეოგრაფიული ტერმინოლოგია; აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სასწავლო-გეოგრაფიული ატლასის შექმნაში. წარმატებით გააგრძელა მუშაობა ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ გამოკვლევებზე, გეოგრაფიული ტერმინოლოგიის სრულყოფაზე და სხვ. იყო საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1994), ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემიის ორგზის ლაურეატი. (1987,1993).

მონოგრ.: სამშობლოს ცისფერ გზებზე, თბ., 1964; ალაზნის ველი (შიგნით კახეთი), თბ., 1966; გეოგრაფიის ტერმინოლოგია, თბ., 1967; აღმოსავლეთ საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონება სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის, თბ., 1968; აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები, თბ., 1974; თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Грузия, М., 1967 (соавт.); Антрогенные ландшафты Грузии, Тб., 1983; Ландшафтная карта Закавказья, М., 1983 (соавт.).

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, 1977, გვ. 80-81; ქართული ენციკლოპედია, ტ. 10, 1986, გვ. 120-121; კიკნაძე თ., ჯაოშვილი ვ., ტატაშიძე ზ. მკვლევარი, ბუნების მესაიდუმლე, გაზ. „კომუნისტი", 1989, 31, გვ.3; მარუაშვილი ლ., ჯაყელი ქრ., კვერენჩხილაძე რ. მშობლიური ბუნების მკვლევარი, გაზ. „თბილისი", 25.XII.1989; გეოგრაფიის მეცნიერების ამაგდარი, გაზ. „კავკასიონი", 28.I.1995.

უკლება მაია დავითის ასული – UKLEBA MAIA (5.IX.1955, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1977 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. სტუდენტობის პერიოდში იყო აკად. ალ. ჯავახიშვილის სახ. პირველი სტიპენდიატი. 1977-80 ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში მეცნ. აკად. წ/კ ვ. ჯაოშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ მუშაობდა ამავე ინსტიტუტში ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებაში. 1991-98 მუშაობდა თბილისის მეექვსე გიმნაზიის დირექტორად, სადაც დააარსა ქვეყანათმცოდნეობის პროფილი და შეადგინა საავტორო პროგრამა გეოგრაფიაში. ამავე დროს იყო ბავარიის მხარის (გერმანია) ქალაქების – შონდორფის, ნოიბოიერნის და რაიხერსბოიერნის მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაცვლის პროექტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. არის გერმანული ენის მასწავლებელთა კავშირის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1992), გიმნაზიისათვის „გერმანული ენის დიპლომი-2"-ის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთი ხელმძღვანელი (1995). 1998 სტაჟირება გაიარა ქ. დილინგენში (გერმანია) პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტში. 1998-დან მუშაობს განათლების სამინისტროში კადრების სამმართველოს უფროსად. პარალელურად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა უმაღლეს სასწავლებელში. 1995 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიანი რაიონების სასოფლო განსახლების პრობლემები (საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება საქართველოს მოსახლეობის განსახლების, ურბანიზაციის, მთიანი რაიონების სასოფლო განსახლების რეგიონალურ თავისებურებებისა და განვითარების პერსპექტივებს. შექმნა სასოფლო განსახლების დარაიონების სქემა. არის პედაგოგთა საკვალიფიკაციო ტესტების ავტორი გეოგრაფიაში. იყო სამეცნიერო-მეთოდური ჟურნალების „მოსწავლეთა ცნობარის" და „გეოგრაფიის" სარედაქციო კოლეგიის წევრი. მინიჭებული აქვს პედაგოგის უმაღლესი კატეგორია (1997).

უკლება ნოე ლუკას ძე – UKLEBA NOE (15.II.1906, ს. სიმონეთი, თერჯოლის რ-ნი, – 16.VII.1979, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1954). 1925 დაამთავრა ქუთაისის საშუალო სკოლა და მუშაობა დაიწყო ჭიათურის მანგანუმის მაღაროებში. 1928-32 წითელი არმიის რიგებშია, ხოლო 1932 პარტიულ სამუშაოზე. 1939 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ჰიდროლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე. 1940-43 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1946-50 მუშაობს აგრეთვე ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ. 1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდინარე ენგურის აუზის ჰიდროლოგიისათვის". გამოქვეყნებული აქვს 40-ზე

მეტი ნაშრომი. მისი შრომების დიდი ნაწილი პრაქტიკული ხასიათისაა. აღსანიშნავია მონოგრაფია – „საქართველოს წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება სახალხო მეურნეობაში", რომელშიც მოცემულია წყლის რესურსები და მისი გამოყენება სახალხო მეურნეობაში, საქართველოს ტერიტორიის დარაიონება მდინარეთა აუზების მიხედვით და წყლის რესურსების სანიტარული დაცვა. მოცემულია წყლის რესურსების სამეურნეო გამოყენების კომპლექსური მეთოდი გამოყენებითი გეოგრაფიის თვალსაზრისით. ეწეოდა სახელმძღვანელოების თარგმნას. მისი ინიციატივით მოეწყო სასწავლო ჰიდრომეტეოროლოგიური ლაბორატორიის შექმნა მდ. ვერეზე.

მონოგრ.: საბჭოთა კავშირის წყლის მეურნეობა, თბ., 1958; ზოგადი ჰიდროლოგია, თბ., 1967; ჰიდრომეტრია, თბ., 1972; საქართველოს სსრ წყლის რესურსების კომპლექსური გამოყენება სახალხო მეურნეობაში, თბ., 1977.

ლიტ.: შველიძე ზ., თბილისის უნივერსიტეტის წარგზავნილები დიდ სამამულო ომში, თბ., 1975, გვ. 17,38.

უკლება ოთარ ბახვას ძე – UKLEBA OTAR (28.II.1923, ს. სიმონეთი, თერჯოლის რ-ნი, – 31.VIII.1997. ქ. ქუთაისი), გეოლოგიამინერალოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1949 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საბადოთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდების სპეციალობით. 1950-53 მუშაობდა საქ. მეცნ. აკად. გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიის განყოფილებაში, ხელმძღვანელ თანამდებობაზე სხვადასხვა საძიებო ექსპედიციებში. 1965-დან მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე. 1972-75 იყო საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანი, 1975-85 გეოგრაფიის კათედრის გამგე. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოს და მიმდებარე ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიის ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა ელექტროძიების გამოყენებით". მისი მეცნიერული კვლევის სფერო იყო ტყიბული-შაორის ქვანახშირის სა-ბადოს და სამთო გეოლოგიის საკითხების გადაწყვეტა გეოფიზიკური მეთოდების გამოყენებით. აღნიშნულ საკითხებს 50-მდე სამეცნიერო შრომა მიუძღვნა. დაჯილდოებული იყო სამკერდე ნიშნით „უმაღლესი სკოლის წარჩინებული", აგრეთვე საქ. უმაღლესი განათლების სამინისტროს რამდენიმე სიგელით.

ურუშაძე თენგიზ (გიზო) თეოდორეს ძე – URUSHADZE TENGIZ (14.I.1940, თბილისი), ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1981), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1988). 1963 წარჩინებით დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ამჟამად აგრარული უნივერსიტეტი) სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტი მეტყევე-ინჟინრის სპეციალობით. 1964-67

ამავე ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1980 დაამთავრა თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის ინგლისური ენის ფაკულტეტი. 1967-82 მუშაობდა თბილისის სატყეო ინსტიტუტში. 1982-დან საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრის გამგეა, ხოლო 1995-დან პროორექტორი სამეცნიერო მუშაობის დარგში. 1967 ქ. მოსკოვში გეოგრაფიის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს ტყის რუხი ნიადაგების ძირითადი ქვეტიპების გენეტიკური დახასიათება" და მიენიჭა გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, ხოლო 1980 მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს მთა-ტყის ნიადაგები". გამოქვეყნებული აქვს 250-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 30-მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო. მისი კვლევის ობიექტია ნიადაგთმცოდნეობა, ეკოლოგია, გარემოს დაცვა. აკად. ვ. გულისაშვილთან ერთად არის საქართველოში ბუნების დაცვის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი. მის მიერ გამოყოფილია რამდენიმე ახალი ნიადაგური ტიპი, რაც შეტანილია ნიადაგთმცოდნეობის სახელმ-ძღვანელოში (საქართველო, რუსეთი, პოლონეთი). მისი რედაქტორობით გამოიცა საქართველოს ნიადაგების რუკა (1:500000). მისი ხელმ-ძღვანელობით დაცულია 23 საკანდიდატო დისერტაცია. არის საქარ-თველოს ნიადაგთმცოდნეთა საზოგადოების პრეზიდენტი, საინჟინრო და საერთაშორისო ეკოლოგიური აკადემიების ნამდვილი წევრი, „სო-როსის" პროფესორი. ქ. მონპელიეში (საფრანგეთი) არჩეულია ნიადაგთ-მცოდნეთა საერთაშორისო კავშირის მე-5 კომისიის (ნიადაგების გე-ნეზისის, გეოგრაფიის და კლასიფიკაციის) პირველ ვიცე-პრეზიდენტად (1998). მინიჭებული აქვს ვ. ვილიამსის სახ. პრემია (1991), საქარ-თველოს სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (2000), ღირსების ორდენით (1999).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს ტყის ნიადაგები, თბ., 1972; დავიცვათ ბუნება – ჩვენი მეგობარი, თბ., 1974 (თანაავტ.); საქართველოს მთა-ტყის ნიადაგები, თბ., 1977; ტყის გაშენებისას საქართველოს ნიადაგების გამოყენების შესახებ, თბ., 1978; საქართველოს ნაკრძალთა ბილიკებით, თბ., 1982 (თანაავტ.); მეთოდური მითითებანი ბუნების დაცვაში, თბ., 1983 (თანაავტ.); ბუნების დაცვის საფუძვლები (სახელმძღვ.), თბ., 1983 (თანაავტ.); საქართველოს ნიადაგების ატლასი, თბ., 1984 (თანაავტ.); ნიადაგთდაცვითი საფუძვლები (სახელმძღვ.), თბ., 1984 (თანაავტ.); ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლა (სახელმძღვ.), თბ., 1984 (თანაავტ.); ტყის ნიადაგები: გენეზისი, დაცვა და გამოყენება, თბ., 1988; საველე ნიადაგთმცოდნეობა (სახელმძღვ.), თბ., 1990 (თანაავტ.); სასუქების გამოყენება და გარემო, თბ., 1992 (თანაავტ.); ეკოლოგიური სამართალი (სახელმძღვ.), თბ., 1999 (თანაავტ.); აგროეკოლოგია (სახელმძღვ.), თბ., 1977 (თანაავტ.); საქართველოს ნიადაგები, თბ., 1997; ეკოლოგიური სამართალი (სახელმძღვ.), თბ., 2001;

ეკოლოგიური სამართალი (სახელმძღვ.), თბ., 2003 (თანაავტ.); Субальпийские леса Кавказа, М., 1972 (соавт.); Особенности девственных ельников Грузии, Тб., 1973 (соавт.); Научные основы и методические указания к биогеоценотическому изучению почв горных лесов, Тб., 1974 (соавт.); Генетические типы почв субтропиков Закавказья, М., 1979 (соавт.); Лесоводство (методические указания), Тб., 1985 (соавт.); Микроморфология почв и рыхлых отложений, М., 1985; Сосновые леса Кавказа, Тб., 1987 (соавт.); Пицунда-Мюссерский заповедник, М., 1987 (соавт.); Почвы горных лесов Грузии, Тб., 1987 (соавт.); Горные почвы СССР, М., 1989; Почвы на красноцветных продуктах выветривания Грузии, Тб., 1990 (соавт.).

ფაღლენიშვილი თინათინ სოლომონის ასული – PHAVLENISHVILI TINATIN (1.IX.1921, ს. ქვემო ნიქოზი, გორის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1969). 1947 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის ასისტენტად, შემდეგ მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად. ლექციებს კითხულობდა ზოგად დედამიწისმცოდნეობაში, მატერიკების ფიზიკურ გეოგრაფიაში, საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში. აგრეთვე უძღვებოდა სტუდენტთა პედაგოგიურ პრაქტიკას. 1950 სამუშაოდ გადავიდა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის უფროს მასწავლებლად. 1957 კვლავ დაბრუნდა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. 1969-დან ამავე ინსტიტუტში იყო დოცენტის თანამდებობაზე. 1947-50 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1955 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აჭარა-თრიალეთის მთიანი სისტემის შუა ნაწილის (ბორჯომისა და მისი მიდამოების) გეომორფოლოგიური დახასიათების ცდა". გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. გარდა ამისა, წლების განმავლობაში ასრულებდა წლიურ სამეცნიერო-მეთოდურ სამუშაოებს და აბარებდა კათედრას, რომელიც ინახება ინსტიტუტის ბიბლიოთეკის ფონდებში. იგი ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას. მის მიერ თარგმნილი და გამოქვეყნებულია სახელმძღვანელოები სტუდენტებისათვის – ს. კალესნიკი, „ზოგადი დედამიწისმცოდნეობის მოკლე კურსი" (თბ., 1965), ს. კალესნიკი, დედამიწის ზოგადი გეოგრაფიული კანონზომიერებანი (თბ., 1977). ასევე რედაქტირებას უწევდა თარგმნილ სასწავლო პროგრამებს.

ფალავანდიშვილი შაქრო დურსუნის ძე – PHALAVANDISHVILI SHAKRO (1.III.1940, ს. გორგაძეები, ქობულეთის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი (1966), პროფესორი. 1967 წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1967-68 მუშაობდა საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად. 1968-71 იყო ჩაისა

და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ნიადაგთმცოდნეობის სპეციალობით. ამავე პერიოდში გაიარა სტაჟირება მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში ნიადაგის ფიზიკისა და მელიორაციის კათედრაზე. 1972 პატრის ლუმუმბას სახ. ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „წითელმიწა ნიადაგების წყლის რეჟიმი სუბტროპიკული კულტურისა და კოლხეთის ტყის ტიპის ქვეშ აჭარის პირობებში", 1993 კი სადოქტორო დისერტაცია – „აჭარის ნიადაგების რაციონალური გამოყენების გეოგრაფიული ასპექტები სუბტროპიკული კულტურების განვითარებასთან დაკავშირებით". 1971-1989 მუშაობდა ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად, იყო ფილიალის დირექტორი (1975-89). ორი წელი (1978-80) იმყოფებოდა ავღანეთში მეცნიერ-კონსულტანტად ციტრუსებისა და ზეთისხილის პლანტაციებში მორწყვის საკითხებზე (ქ. ჯალალაბადი). 1989-დან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრაზე დოცენტად, შემდეგ კათედრის გამგეა. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწევა სამეცნიერო მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 60 სამეცნიერო შრომა ნიადაგების გეოგრაფიაში. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; ამავე აკადემიის აჭარის განყოფილების აკადემიკოსი მდივანი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ბათუმის ფილიალის თავმჯდომარე. დაჯილდოებულია ვ. დოკუჩაევის საიუბილეო მედლით (1983), საკავშირო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით (1986). მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია (2002), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (2001).

მონოგრ. და სახელმძღვ.: აჭარის წითელმიწა ნიადაგები და მათი აგროსაწარმოო გამოყენება, ბათუმი, 1987; ნიადაგების გეოგრაფია, ბათუმი, 2001; აჭარის ნიადაგების გეოგრაფია და მათი აგროსაწარმოო გამოყენება, ბათუმი, 2003; ქობულეთის რაიონის ბუნება და სოფლის მეურნეობა, ბათუმი, 2003; Водный режим красноземной почвы Аджарии, Батуми, 1985.

ფანჩულიძე ჯუმბერ ნიკოლოზის ძე – PHANCHULIDZE JUMBER (2.I.1942, ს. ძევრი, თერჯოლის რ-ნი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1990). 1965 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო „საქსახწყალპროექტში" ინჟინერ-ჰიდროლოგის თანამდებობაზე, სადაც ასრულებდა წინასაპროექტო მონაცემებისათვის საველე აზომვით გეოდეზიურ სამუშაოებს. 1967-69 სწავლობდა „საქწყალეკოლოგიის" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1976-78 მუშაობდა სირიის არაბთა რესპუბლიკაში – ქვეყნის ზედაპირული წყლების რესურსების დადგენაზე. 1970-82 მუშაობდა „საქწყალეკო-

ლოგიის“ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1982-99 საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჰიდრომელიორაციის კათედრის დოცენტად. 1977-დან მუშაობს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტში სამმართველოს უფროსად. 1974 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კოლხეთის დაბლობის დამშრობსისტემიანი ტერიტორიების მაქსიმალური ჩამონადენის ჰიდროგრაფიის გაანგარიშების მეთოდიკა“. გამოქვეყნებული აქვს 37 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება ხმელეთის ჰიდროლოგიის, მელიორაციის და გაუდაბნოებასთან ბრძოლის პრობლემებს. მიღებული აქვს სირიის არაბთა რესპუბლიკაში სსრკ-ის ელჩის მადლობა.

მონოგრ.: მელიორაციის ცნობარი, თბ., 1986 (თანაავტ.); წყლის რესურსები და წყალთა მეურნეობა. პრაქტიკული ჰიდრომელიორაცია, თბ., 1996 (თანაავტ.); მიწის განკარგვისა და მართვის საკანონმდებლო კრებული, თბ., 1998 (თანაავტ.); მიწის შესახებ საქართველოს კანონმდებლობა, თბ., 2001; მიწის კანონმდებლობა, თბ., 2002.

ᲨᲐᲚᲐᲨᲐ ᲜᲐᲖᲘᲑᲠᲝᲚᲐ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – **PHAGHAVA NAZIBROLA** (16.III.1963, ს. ახალსოფელი, ხელვაჩაურის რ-ნი), მასწავლებელი. 1981 მუშაობა დაიწყო ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად. 1987 წარჩინებით დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის გეოგრაფიის სპეციალობა. 1993 ჩაირიცხა თსუ მიზნობრივ ასპირანტურაში ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1996-დან არის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის მასწავლებელი. მუშაობს საკვალიფიკაციო თემაზე – „ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების დიფერენციაციისა და ბუნებათსარგებლობის საკითხები (აჭარის მაგალითზე)“. იგი ეხება აჭარის ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების (ბალ-ის) შესწავლას, მისი ცალკეული კომპონენტების ანთროპოგენურ ტრანსფორმაციას, ბალის ისტორიის არსს, მოდიფიკაციასა და კლასიფიკაციას, აჭარის ლანდშაფტების ბუნებათსარგებლობას და გეოეკოლოგიურ პასპორტიზაციას. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

ᲤᲘᲤᲘᲐ ᲪᲘᲐᲚᲐ ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – **PHIPIA TSIALA** (17.XI.1937, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1988). 1961 დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი ნიადაგთმცოდნეობა-აგროქიმიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო ნიადაგთმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორანტის, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. იქვე, 1970-72 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1980-დან მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე ასისტენტის, ხოლო 1988-დან დოცენტის თანამდებობაზე.

1987 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აღმოსავლეთ საქართველოს ჩვეულებრივი შავმიწების ქიმიურ-მინერალოგიური შედგენილობა და რეჟიმული მაჩვენებლები". გამოქვეყნებული აქვს 45 სამეცნიერო ნაშრომი. ისინი ძირითადად ეხება ბარის შავმიწებისა და ყავისფერი ნიადაგების რეჟიმულ მაჩვენებლებს. გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე სასწავლო-საველე პრაქტიკისათვის პროგრამა და მეთოდური მითითებანი ნიადაგთმცოდნეობაში. ამჟამად იკვლევს სუბტროპიკულ ეწერ-ორთშტეინიან ნიადაგებს და მძიმე მეტალებით დაჭუჭყიანების ხარისხს აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგებში. მონაწილეობას ღებულობდა რესპუბლიკურ და საკავშირო კონფერენციებში. კითხულობს ლექციებს ნიადაგთმცოდნეობის რიგ დისციპლინებში.

მონოგრ.: სამეგრელო. ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა (გეოგრაფიული ასპექტები), თბილისი-ზუგდიდი, 1999 (თანაავტ.); Черноземы СССР. М., 1985.

ფოთოლაშვილი ვლადიმერ ვლადიმერის ძე – PHOTOLASHVILI VLADIMER (28.II.1928, ს. ენისელი, ყვარლის რ-ნი, – 8.VI.1996, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1953 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ზოგადი ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ძველი ანაგის წყალბალანსის ექსპედიციის უფროსად. 1969-95 ზოგადი ჰიდროლოგიის განყოფილებაშია უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. ალაზნის აუზის წყლის რესურსები და თანამედროვე წყლის ბალანსი". ავტორია 20 სამეცნიერო ნაშრომისა, შედგენილი აქვს 23 სამეცნიერო ანგარიში საქართველოს წყლის რესურსებისა და მდინარეული რეჟიმის შესახებ. იყო სიმპოზიუმების მონაწილე, გაკეთებული აქვს 15-მდე რეცენზია, ბოლოხანს მუშაობდა საქართველოს წყლის ობიექტების (მდინარეების, არხების, წყაროების, ტბების, წყალსაცავების, ჭაობების) კატალოგზე. მიღებული აქვს ბ. გლუშკოვისა და ვ. ურივაევის სახ. პრემია (1991).

მონოგრ.: Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения. Л., 1983 (соавт.); Водные ресурсы Закавказья, Л., 1988 (соавт.).

ფულარიანი ლაშარ ლევანის ძე – PHULARIANI LASHAR (23.III.1935, თბილისი), გეოგრაფი, ანტარქტიდის ექსპედიციის მონაწილე. 1960 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომ-გეოგრაფის სპეციალობით. ჯერ კიდევ სკოლის ასაკში და შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში გამოამჟღავნა ბუნებისადმი დიდი სიყვარული. იგი მუდმივი მონაწილე იყო ლევან გოთუასა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული თითქმის ყველა საველე

ექსპედიციისა. 1960-დან მუშაობა დაიწყო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ყაზბეგის მაღალმთიან სადგურში ჯერ ჰიდროლოგად და აქტინომეტრისტად, ხოლო შემდეგ სადგურის უფროსად. 1962 გადაყვანილ იქნა ალაზნის სტუყვასაწინააღმდეგო ექსპედიციაში ინჟინერ-აეროლოგად, ხოლო ერთი წლის შემდეგ — საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის თბილისის აეროლოგიური სადგურის უფროსად. 1974 წლიდან იგი მონაწილეობს მეოცე საბჭოთა ანტარქტიკულ ექსპედიციაში ინჟინერ-აეროლოგად. სამი თვის განმავლობაში ანტარქტიკაში მიმავალ სამეცნიერო-საექსპედიციო გემზე და ერთი წლის განმავლობაში ობსერვატორია „მირნიში" და სადგურ „ვოსტოკზე" გატარებულმა დღეებმა დიდი გამოცდილება შესძინა და დაუვიწყარი შთაბეჭდილება დატოვა ქართველ მოზამთრეზე, რაც, სხვა ცხოვრებისეული მასალებით გამდიდრებული, მოგვიანებით საფუძვლად დაედო მის გარკვეულწილად ავტობიოგრაფიულ წიგნს — „სამხრეთის იდუმალი მიწა". 1976-დან ლ. ფულარიანი მუშაობს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს დაცვის რესპუბლიკური სამმართველოს აპარატში, 1978-1988 ამავე სამმართველოს უფროსის მოადგილედ. 1988-1992 იგი მოღვაწეობდა საზღვარგარეთ — კუბის მეცნიერებათა აკადემიის პირველი ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველად ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს კონტროლის დარგში. კუბაში მოღვაწეობის პერიოდში მან მოიარა ქვეყნის ყველა პროვინცია და დეტალურად გაეცნო კუბის ჰიდრომეტეორილოგიისა და გარემოს კონტროლის სისტემას, რის შედეგადაც გამოიმუშავა და კუბის მეცნიერებათა აკადემიას წარუდგინა რეკომენდაციები სისტემის რეორგანიზაციისა და სრულყოფის მიზნით. ამ რეკომენდაციების რეალიზაცია ჯერ კიდევ ლ. ფულარიანის კუბაში მოღვაწეობის დროს დაიწყო. 1992-დან თავისი მოღვაწეობა მან ბიზნესს დაუკავშირა. ამჟამად იგი არის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მის მიერ, კოლეგებთან ერთად 1994 ჩამოყალიბებული სააქციო საზბა „სათავესი". 1996 არჩეულ იქნა ალ. ჯავახიშვილის სახ. გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრად და ვიცე-პრეზიდენტად.

ფურცელაძე დავით ანტონის ძე — PHURTSELADZE DAVIT (8.XII.1902, თბილისი, 3.XI.1996, იქვე), იურისტი, მთამსველელი. 1920 ოქრომ მედლით დაამთავრა თბილისის პირველ გიმნაზია, ხოლო 1926 წარჩინებით დაამთავრა თსუ სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება. 1926-38 საქართველოს კომუნალურ ბანკში მსახურობდა. 1938-40 რეპრესირებულ იქნა. 1941 მიიწვიეს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში მთამსველელობის კურსის წასაკითხად. ომის პერიოდში არმიის რიგებშია, სადაც ეწეოდა მუშაობას სამთო მომზადების დარგში. დემობილიზაციის შემდეგ მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში პრეზიდენტის თანაშემწედ, ცენტრა-

ლური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორად, მეცნიერებათა აკადემიის სწავლულ მდივნად, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1963 დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1969 სადოქტორო დისერტაცია. მინიჭებული ჰქონდა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი. ძირითად პროფესიას მიუძღვნა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიები, განსაკუთრებით ისტორიული სამართლებრივი ძეგლების კვლევას. აღსანიშნავია მისი საქმიანობა მთამსვლელობისა და ტურიზმის დარგში. ჯერ კიდევ 1929 ტექნიკუმელ ლ. მარუაშვილთან ერთად 5 დღეში გაიარეს თრიალეთის ქედი თბილისიდან ბორჯომამდე. მას შემდეგ არაერთ მოგზაურობაში მიუღია მონაწილეობა. ამ საკითხებზე მან გამოაქვეყნა რიგი სამეცნიერო ნაშრომები, რომლებიც ქართული ალპინიზმის და ტურიზმის საკითხებს შეეხება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „მთამსვლელობა საქართველოში. 1923-1950", რომელიც თანაავტორობით არის შედგენილი. მის სპორტულ თემებზე შექმნილ ნაწერებს მიმზიდველობას მატებს მთის ტურიზმით თვით ავტორის გატაცება და მთამსვლელობის შემეცნებით მხარით დაინტერესება. შეადგინა რიგი წერილები მთამსვლელობაზე, რომლებიც გამოსცა კრებულ „კავკასიონზე". იგი ქართული ალპინიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელიცაა. მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება (1983), სსრკ სპორტის ოსტატის წოდება მთამსვლელობაში, აკად. ნ. ბერძენიშვილის სახ. პრემია (1983).

მონოგრ.: მთამსვლელობა საქართველოში. 1923-30 წლები, თბ., 1954 (თანაავტ.).

ფუტკარაძე მერაბ შოთას ძე – PHUTKARADZE MERAB (10.X.1960, ს. კვიახიძეები, შუახევის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1995). 1985 წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1985-88 მუშაობდა ს. გოგინაურის (შუახევის რ-ნი.) არასრულ სკოლაში გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად. 1988-91 გაიარა დასწრებული ასპირანტურის კურსი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1992 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მჭიდროდ დასახლებული მთიანი რაიონების მოსახლეობის გეოგრაფიული პრობლემები (მთიანი აჭარის მაგალითზე)". 1992-დან მუშაობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრაზე, სადაც მიჰყავს ლექციების კურსი ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში. არის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე. პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწევა მეცნიერულ მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს 25-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მუშაობს აჭარისა და მიმდებარე რეგიონების ბუნებრივი რესურსების, მოსახლეობის, მეურნეობისა და ეკოლოგიის აქტუალურ პრობლემებზე. არჩეულია საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (1997), აჭარის ავტ. რესპ. პარლამენტის სენატორად (2001).

მონოგრ.: მთიანი აჭარის მოსახლეობის ეკონომიკურ-გეოგრაფიული პრობლემები, ბათუმი, 1996; შუახევის რაიონის ბუნება და მოსახლეობა, ბათუმი, 2000; აჭარა (ეკონომიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა, ბათუმი, 2001.

ფხაკაძე ნანა ვასილის ასული – PHKHAKADZE NANA (24.V.1933, თბილისი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. 1964 დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი სწავლული აგრონომის სპეციალობით. 1956 დაამთავრა თსუ დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი ინგლისურის განხრით. 1957-65 მუშაობდა საქ. მეცნ. აკად. ბოტანიკის ინსტიტუტში ჯერ აგროტექნიკოსად, ხოლო შემდეგ ბიოქიმიის ლაბორატორიაში. 1965-82 კი საქ. ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1982-99 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1979 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთის მდინარეთა გამოზიდვის კონუსები მიწის ფონდის რეზერვია". მასში მოცემულია მთის მდინარეთა გამოზიდვის კონუსების სელური ნაფენების აგროსაწარმოო თვისებების კვლევის შედეგები, დამტკიცებულია მათი ვარგისიანობა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა კულტურებისათვის. მუშაობდა აგრეთვე კოლხეთის დაბლობის, ქვემო ქართლის, ალაზნის ვაკის ნიადაგური საფარის შესწავლასა და მათ ანთროპოგენურ ცვლილებებზე. გამოქვეყნებული აქვს 25 სამეცნიერო ნაშრომი.

ქავთარაძე გიორგი მიხეილის ძე – KAVTARADZE GIORGI (12.III.1861, თბილისი, – 15.VII.1941, იქვე), ტოპოგრაფ-გეოდეზისტი. 1880-83 სწავლობდა პეტერბურგის ტოპოგრაფიულ (გეოდეზიურ) სასწავლებელში, რომელიც პირველი თანრიგით დაამთავრა. 1883-დან მუშაობდა კავკასიის სამხედრო ოლქის ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ტოპოგრაფიული აგეგმვების მწარმოებლის თანამდებობაზე. 1883-1900 კავკასიონის ჩრდილოეთ ფერდობზე სტავროპოლსა და დაღესტანს შორის სხვადასხვა მასშტაბებში აწარმოებდა ტოპოგრაფიულ აგეგმვებს. მუშაობდა აგრეთვე ყირიმში – ქ. ევპატორიის მიდამოებში, ასევე კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე მამისონის გადასასვლელსა და მთა ღვანდრას მერიდიანებს შორის და სხვ. 1901-02 გეოდეზიურ სამუშაოებს აწარმოებდა ყარსის ოლქში და მდ. თერგის დელტაზე. 1903-18 მისი ხელმძღვანელობით აიგეგმა ყუბანის ოლქის ტერიტორია, შავი ზღვის

სანაპირო, სპარსეთისა და თურქეთის მოსაზღვრე რაიონები. 1918-20 მუშაობს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ტოპოგრაფიულ განყოფილებაში, 1919-41 მუშაობდა თსუ-ში, 1924-32 საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში. მას დიდი წელილი მიუძღვის საქართველოს ალპინიზმის დაფუძნებაში. 1891.27.VII ავიდა ცენტრალური კავკასიონის მწვერვალ უილთაფაზე (4649მ).

ლიტ.: კავკასიონზე, კრებული, თბ., 1959; კობიაშვილი გ. ქავთარაძე გიორგი მიხეილის ძე – ქართული ენციკლოპედია, ტ. 10, 1986, გვ. 441-442; Асланишвили И. Достижения Советского альпинизма в Грузии, 1923-31 гг. Тб., 1935, с. 18-21.

ქავთარაძე მიხეილ სტეფანეს ძე – KAVTARADZE MIKHEIL (30.IV.1892, თბილისი, – 1.VI.1974, იქვე), კარტოგრაფი. 1902-12 სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში. 1919-20 კი სწავლობდა საქართველოს სამხედრო სამინისტროს მიერ მოწყობილ კურსებზე, რომელიც წარმატებით დაამთავრა კარტოგრაფის სპეციალობით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროში, შემდეგში კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მთავარი შტაბის ტოპოგრაფიულ განყოფილებაში, საქართველოს კარტოგრაფიულ ინსტიტუტში, გეოგრაფიის ინსტიტუტში, თსუ-ში. ნახევარი საუკუნის მანძილზე იგი მონაწილეობდა თითქმის ყველა ქართული რუკის შედგენა-გამოცემაში. გააფორმა პირველი ქართული გლობუსი (1928). იგი ეწეოდა აგრეთვე გრავიორულ სამუშაოებსაც. მის მიერაა გრავირებული ქართული გეოგრაფიული რუკები (1925-33). დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით (1953), საქართველოს უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური საბჭოს სიგელით (1964).

სახელმძღვ.: ქართული კარტოგრაფიული შრიფტი (ზოგიერთი ნიმუში), სტუდენტთა დასახმარებლად, თბ., 1953;

ლიტ.: გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი, გეომორფოლოგიის კათედრა, მ. ქავთარაძე, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1974, 14 ივნისი, გვ.4; პეტრიაშვილი ო. ღვაწლმოსილი კარტოგრაფი, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი", 1961, 4 ნოემბერი, გვ. 4. პეტრიაშვილი ო. გლობუსი, 1928, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1970, 24 დეკემბერი, გვ. 3; პეტრიაშვილი ო. ქართული კარტოგრაფიის ამაგდარი, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი", 1972, 22 თებერვალი, გვ. 3; ყიფიანი შ., ხუნჯუა გრ. შესანიშნავი კარტოგრაფი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები, 1957, ტ. 9-10, გვ. 285-287; შალიკაშვილი დ. როცა ასეთი სიხარულია, გაზ. „თბილისი", 1966, 6 აპრილი, გვ. 3; ხუნჯუა გრ., ყიფიანი შ., ჩეკურიშვილი რ. დამსახურებული კარტოგრაფი, გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი", 1964, 27 ნოემბერი, გვ. 4.

ქავთარაძე ალატონ იასონის ძე – KAVTARADZE PLATON (23.III.1926, ს. ძველი ხიბულა, ხობის რ-ნი), ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1992), საქ. ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995). 1945 დაამთავრა ქ. ზუგდიდის სამასწავლებლო ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო მშობლიურ სოფელში საშუალო სკოლის VI-VII კლასების გეოგრაფია-ბიოლოგიის მასწავლებლად. 1946 სწავლა გააგრძელა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტზე გეოგრაფიის სპეციალობით, რომელიც 1950 დაამთავრა. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუბის რვაწლიან სკოლაში გეოგრაფია-ბუნებისმეტყველების საგნების მასწავლებლად. ერთი წლის შემდეგ იმავე სკოლაში დაინიშნა სასწავლო ნაწილის გამგედ. 1952 იგი სამუშაოდ გადმოჰყავთ ხობის რაიონის მეორე გურიფულის რვაწლიანი სკოლის დირექტორად და გეოგრაფიის მასწავლებლად. 1953 ინიშნება იმავე რაიონის ზემო ქვალონის რვაწლიანი სკოლის დირექტორად. მალე იგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და მუშაობა დაიწყო მშენებლობის სამინისტროს ტრესტ „საქმშენინდუსტრიაში" კადრების განყოფილების უფროსად და პარალელურად ასწავლიდა ეკონომიკურ გეოგრაფიას თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში. შემდეგში პ. ქავთარაძე ამთავრებს კვალიფიკაციის ასამაღლებელ ორწლიან ეკონომიკურ კურსებს და მუშაობას იწყებს იმავე ტრესტში კადრების შრომისა და ხელფასის განყოფილების უფროსად. 1966-70 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ-ში ეკონომიკური გეოგრაფიის განხრით. 1972 მუშაობას იწყებს გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე, ხოლო 1982-დან გორის სახელმწიფო ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ინსტიტუტის საწარმოო ძალთა განლაგებისა და ბუნებათსარგებლობის ეკონომიკის (ამჟამად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი) კათედრის გამგეა. 1982-დან არის აგრეთვე საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების გორის ფილიალის თავმჯდომარე, 1983-დან საქართველოს ბუნების დაცვის სახალხო უნივერსიტეტის გორის ფილიალის რექტორი. 1974 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს საშენ მასალათა მრეწველობის გეოგრაფია", 1990 კი სადოქტორო დისერტაცია – „ამიერკავკასიის რესპუბლიკების საშენ მასალათა მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და მისი განვითარების პერსპექტივა". მის მიერ პირველად იქნა კომპლექსურად შესწავლილი და დამუშავებული ამიერკავკასიის ეკონომიკურ რაიონში სამშენებლო მასალების წარმოების თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების პერსპექტივები. აღნიშნულ საკითხებს მიეძღვნა 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლიდანაც 15 წიგნად არის გამოცემული. გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი

პუბლიცისტური წერილი. მის მიერ გამოქვეყნებული წინადადება-რეკომენდაციები დანერგილია ამიერკავკასიის საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოებში. მინიჭებული აქვს განათლების დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1989), დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1986), ღირსების ორდენით (1998), საპატიო ნიშნის ორდენით (1970).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საშენ მასალების მინერალური ნედლეულის ეკონომიკური შეფასების მაჩვენებლები და სამშენებლო დარაიონება, თბ., 1971; მოსახლეობის ბუნებრივი მატების როლი სახალხო მეურნეობის აღმავლობის საქმეში, თბ., 1977; მასალები ქართველებისა და ბასკების ისტორიული ნათესაობის შესახებ, თბ., 1977; ამიერკავკასიის ტერიტორიულ საწარმოო კომპლექსის სამშენებლო მასალების განვითარების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი და პერსპექტივები, თბ., 1989; ჩემო ხანმოკლე ცხოვრება (მერაბ ქავთარაძე), თბ., 1994; განცდილი და ნააზრევი, თბ., 1995; მსოფლიო ეკონომიკა, ლექციების კურსი, ეკონომიკური პროფილის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, თბ., 1998; ღირსების სადარაჯოზე, თბ., 2000; საქართველოს დემოგრაფიული პროცესების საკითხისათვის, თბ., 2000; ბუნების გამოყენების ინტენსიური ზრდის პარალელურად ეკონომიკური წონასწორობის დაცვის საკითხები, თბ., 2000; ზოგი რამ აფხაზებისა და ოსების შესახებ, თბ., 2000; ქართველები საზღვარგარეთის ქვეყნებში, თბ., 2000; ღირსშესანიშნავი მოვლენები, თბ., 2000; წყლის რესურსების გონივრულად გამოყენებისა და დაცვის პრობლემები, თბ., 2000; გადავარჩინოთ შავი ზღვა ეკოლოგიურ კატასტროფას, თბ., 2001. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ეკოლოგიური პრობლემები (მაკრო ეკონომიკური ასპექტები), თბ., 2003.

ლიტ.: კედელაშვილი ვ. პროფესორ პლატონ ქავთარაძის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 2003.

ქალდანი ლადო ალმაცგირის ძე – KALDANI LADO (5.VI.1939, ს. ჭუბერი, მესტიის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1966 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კარტოგრაფ-გეოგრაფის სპეციალობით. 1966-67 მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში". 1967-დან ამიერკავკასიის (ამჟამად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის) ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ჯერ ინჟინრად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, წამყვან მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1992-დან გლაციოლოგიის ლაბორატორიის გამგეა. 1975-77 სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სახალხო აკადემიაში. 1981 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ზვავსაშიშროების დახასიათება სივრცესა და დროში (აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის მაგალითზე)", ხოლო 2003 სადოქტორო დისერტაცია – „ზვავსაშიშროების შეფასება

და ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებები (საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 75-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 3 მონოგრაფია. ინსტიტუტში შესრულებული აქვს 33 სამეცნიერო ანგარიში და 5 მეთოდური მითითება. მსოფლიო თოვლ-ყინულოვანი რესურსების ატლასში (1997) მოათავსა კავკასიის ზვავსაშიშროების 4 რუკა. სამეცნიერო მოხსენებებით გამოდის რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონფერენციებზე, თათბირებზე, სამეცნიერო სესიებსა და გეოგრაფიული საზოგადოების სხდომებზე. მიღებული აქვს საერთაშორისო სერტიფიკატი ზვავების კარტოგრაფირებაში (თურქეთი, 1998). შედგენილი აქვს მრავალი დასკვნა და რეცენზია დისერტაციებზე, ავტორეფერატებზე. კურირებდა და კონსულტაციებს უწევდა ამიერკავკასიისა და დაღესტნის ავტ. რესპუბლიკების ჰიდრომეტსამსახურებს, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს ზვავსაშიშროების საკითხებში. 1963-80 მონაწილეობას იღებდა კარსტული მღვიმეების გამოკვლევაში. არის ფაზისის აკადემიის ნამდვილი წევრი (2003). დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2000).

მონოგრ.: Кадастр лавин СССР, т.9, Закавказье и Дагестан, Л., 1984; 1986; 1989.

ქართველიშვილი დავით კარლოს ძე – KARTVELISHVILI DAVIT (26.X.1963, თბილისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1985 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. 1983-93 მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტის საცდელ-მეთოდური გეოფიზიკურ ექსპედიციაში ინჟინრად, შემდეგ განყოფილების გამგედ, მთავარ ინჟინრად. 1993-97 საქენერგოს გამთოვლით ცენტრში ინჟინერ-პროგრამისტი, წამყვანი ინჟინერია. 1995-დან შეთავსებით მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ჰიდროლოგიისა და გეოინფორმატიკისა და ტექნოლოგიების განყოფილებაში პირველი კატეგორიის ინჟინრად. 1990 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ახლო მიწისძვრებით გამოწვეული დედამიწის ზედაპირის ნახტომისებური დახრების და დეფორმაციების კვლევა". გამოქვეყნებული აქვს 15-მდე სამეცნიერო ნაშრომი. თანაავტორობით შესრულებული აქვს ჯორჯ სოროსის ფონდის „ღია საზოგადოება – თავისუფალი საქართველო"– გრანტი პროექტისათვის „საქართველოს გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემის კარტოგრაფიული საფუძველი" (1995), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრანტი პროექტისათვის „ევრაზიის სატრანსპორტო ლერეფნის ფუნქციონირების ფაქტორები: გეოგრაფიული ანალიზი და პროგნოზი (1996), აჭარის გეოსაინფორმაციო სისტემა (1997), ნავთობსადენის ტრასის ჰიდროლოგიური აღწერა და ეკოლოგიური ექსპერტიზა (1996), საქარ-თველოს გეოსაინფორმაციო სისტემა (2000), გარდაბნის რაიონის მიწის კადასტრი (2000-01), რამდენიმე კონფერენციის და გამოფენის მონაწილეა.

ქართველიშვილი იოსებ დავითის ძე – KARTVELISHVILI IOSEB (25.XII.1941, თბილისი, 20.III.1996, იქვე), კარტოგრაფი. 1966 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი კარტოგრაფიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიის კარტოგრაფია-ილუსტრაციის რედაქტორად, შემდეგ უფროს რედაქტორად, სადაც 1988-მდე შეთავსებით მუშაობდა. 1971-72 თსუ ფიზიკურ ქვეყანათმცოდნეობის კათედრის ასისტენტია, 1973-89 კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრის უფროსი მასწავლებელია, სადაც კარტოგრაფიის სპეციალობის სტუდენტებთან კითხულობდა ლექციებს. 1989-დან ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიისა და აეროკოსმოსური მეთოდების განყოფილების გამგეა სიცოცხლის ბოლო დღეებამდე. 1969-73 დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში მეცნ. აკად. წ/კ ალ. ასლანიკაშვილის ხელმძღვანელობით და ამუშავებდა საკვალიფიკაციო თემას. ამ პერიოდში დაეუფლა თემატური რუკების შექმნის მეთოდებს. 1978 მოსკოვში სტაჟირება გაიარა უმაღლესი სასწავლებლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე სპეციალობით „აეროკოსმოსური მეთოდები გეოგრაფიულ კვლევაში" და „კოსმოსური კარტოგრაფია", ხოლო 1986 სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს №8 ფაბრიკაში რუკების შედგენის, გაფორმების და რედაქტირების საკითხებზე. მისი სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ძირითადად მოსახლეობის სიმჭიდროვისა და განლაგების პრობლემებს ეხებოდა. ასევე, ეროვნული სტრუქტურის ტერიტორიული დინამიკის რეტროსპექტულ კარტოგრაფირებას. შრომებში და რუკებზე განხილული და ასახულია საქართველოს ტურიზმის, ალპინიზმისა და კურორტების განვითარების პრობლემები. საინტერესო სამუშაო ჩაატარა კოსმოსურ კარტოგრაფირებაში. გამოქვეყნებულია აქვს ათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მისი რედაქტორობით გამოცემულია ათეულობით რუკა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ენციკლოპედიაში მოთავსებული რუკების რედაქტირება. სასკოლო გეოგრაფიული ატლასის გამოცემაში სხვებთან ერთად მიენიჭა სახელმწიფო პრემია (1994).

ქართველიშვილი ლიანა გრიგოლის ასული – KARTVELISHVILI LIANA (5.V.1949, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1971 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1972-85 მუშაობდა „თბილზნიეპ"-ში. 1985-დან მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში კლიმატის კვლევის ცენტრის უფროსად. 1982 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ირიბი წვიმების განაწილებათა დახასიათება საქართველოს პირობებში". ნაშრომში მო-

ცემულია ქარისა და წვიმის ერთობლივი განსაზღვრის, როგორც თეორიული, ისე ექსპერიმენტული მეთოდი. პირველად საქართველოში განსაზღვრულია შენობების ირიბი წვიმების ზემოქმედებისაგან დაცვის რეკომენდაციები. 1999 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განაწილებათა კანონზომიერებანი საქართველოს ტერიტორიაზე და მათი სამშენებლო პრაქტიკაში გამოყენების პერსპექტივები". მასში პირველადაა განხილული კომპლექსური კლიმატური პარამეტრების განსაზღვრის პრობლემა საქართველოს პირობებში. გამოკვლეულია კომპლექსური კლიმატური პარამეტრების დროში და სივრცეში განაწილებათა კანონზომიერებები და მათ საფუძველზე ჩატარებულია საქართველოს სამშენებლო-კლიმატური დარაიონება. ნაშრომში განხილულია ორგანულად დაკავშირებული მნიშვნელოვანი ამოცანების ფართო სპექტრი დაწყებული სამშენებლო-კლიმატური მეთოდური ხასიათის საკითხებით და დამთავრებული კომპლექსური კლიმატური მახასიათებლების მშენებლობაში გამოყენების ასპექტებით. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი ნაშრომი. კვლევის ძირითადი შედეგები ასახულია ორ სახელმძღვანელოში.

სახელმძღვ. და მონოგრ.: კომპლექსური კლიმატური პარამეტრების სამშენებლო კლიმატოლოგია, ნაწ. I, თბ., 1979; ნაწ. II, თბ., 1980; განაწილებათა კანონზომიერებანი (საქართველოს მაგალითზე), თბ., 2000.

ქემხაძე მამუკა ელადიმერის ძე – KEMKHADZE MAMUKA (19.X.1928, ქ. სამტრედია – 25.II.1989, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1970). 1952 წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. 1952-1955 დასწრებული ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვის ვ. ლენინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე. 1956 მუშაობა დაიწყო ბათუმის 11 რუსულ საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1958-დან მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე. 1959 მოსკოვის ვ. ლენინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კოლხეთის დაბლობის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". ნაშრომში განხილულია კოლხეთის დაბლობის გეოლოგიური აგებულება, რელიეფისა და ჰავის თავისებურებანი, მცენარეთა საფარი, ნიადაგები და ცხოველთა სამყარო. არის 35 სამეცნიერო შრომის ავტორი.

ქვაჩაკიძე რევაზ კონსტანტინეს ძე – KVACHAKIDZE REVAZ (12.II.1938, ს. მუხიანი, წყალტუბოს რ-ნი), ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1986). 1961 დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი ბოტანიკის განხრით. 1961-64 გაიარა თსუ ასპირანტურის კურსი აკად. ნ. კეცხოველის ხელმძღვანელობით. 1965-დან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტში ჯერ

უფროს ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1982-დან გეობოტანიკის განყოფილების გამგედ. სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში. 1996-დან შეთავსებით მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ლანდშაფტების ეკოლოგიისა და გარემოს მონიტორინგის განყოფილებაში. 1967 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კახეთის კავკასიონის სუბალპური სარტყლის ძირითადი მერქნიანი მცენარეების ფიტოცენოლოგიური პოზიციები და ეკოლოგიურ-ბიოლოგიური თავისებურებანი", ხოლო 1980 სადოქტორო დისერტაცია – „კავკასიონის სამხრეთი კალთის მაღალმთის ტყეები და მათი ცელის ძირითადი მიმართულებანი". მისი სამეცნიერო მუშაობის ძირითადი სფეროა საქართველოს მცენარეული საფარის სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა. იგი მრავალი ექსპედიციის მონაწილე და ხელმძღვანელია, რომელმაც გამოიკვლია საქართველოს მთისა და ბარის რეგიონების ბუნებრივი მცენარეულობა – ტყეები, მდელოები, სტეპები. ორიგინალურ მდიდარ მასალაზე დაყრდნობით მან პირველმა შეადგინა ქვეყნის დეტალური გეობოტანიკური დარაიონება (1996) და ტყის მცენარეულობის ტიპოლოგია – ფიტოცენოზთა სისტემატიკა (2001). იგი 80-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომლებშიც განხილულია საქართველოს ბუნებრივი მცენარეული თანასაზოგადოებების (ფიტოცენოზების) ვერტიკალურ-ზონალური და ჰორიზონტალური გავრცელების კანონზომიერებები, ტყეების ტიპოლოგიური სტრუქტურა, ფიტოცენოზთა ცელა (სუქცესია) ბუნებრივ პირობებთან და ანთროპოგენურ ზემოქმედებასთან კავშირში. მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად იგი არის სპორტის ოსტატი, 1957-66 იყო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წევრი მძლეოსნობაში. არის საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი სიგრძეზე ხტომაში (7,79 მ), საკავშირო შეჯიბრებების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი, რომის მე-17 ოლიმპიური თამაშების (1960) მონაწილე.

მონოგრ.: კახეთის კავკასიონის ტყის მცენარეულობა, თბ., 1972 (თანაავტ.); საქართველოს გეობოტანიკური დარაიონება, თბ., 1976; ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალის მცენარეულობა, თბ., 1999; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); საქართველოს ტყეები, თბ., 2001; საქართველოს მცენარეული საფარის ისტორია, თბ., 2002; საქართველოს ბუნებრივი მცენარეული რესურსები, თბ., 2003; Высокогорные леса южного склона Большого Кавказа и основные направления их смен, Тб., 1979.

ქოჩიაშვილი დიმიტრი პავლეს ძე – KOCHIASHVILI DIMITRI (30.VIII.1938, ქ. ზესტაფონი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1976). 1962 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1960-დან მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. 1974 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თბილისის მიდამოების მდინარეებისა და დროებითი ნაკადების წვიმებით გამოწვეული მაქსიმალური ჩამონადენის ფორმირების ანალიზი და გაანგარიშების მეთოდიკა". ავტორია 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებშიც გაშუქებულია მდინარეთა წყლის მაქსიმალური და მყარი ჩამონადენის გამპირობებელი ძირითადი ფაქტორების ანალიზის გაანგარიშების მეთოდიკის საკითხები.

მონოგრ. და სახელმძღვ: ხმელეთის ჰიდროლოგიის პრაქტიკუმი (სახელმძღვანელო), თბ., 1974 (თანაავტ.); გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვ. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 2001; საქართველოს გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვ. უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის), თბ., 2003. Гидрология р. Бзибь, Тб., 1981 (соавт.).

ქოჩქიანი ედისონ დავითის ძე – KOCHKIANI EDISON (15.II.1930, ს. ჭოლაში, მესტიის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1970). 1950 დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1960-63 მუშაობდა ჯერ ს. ხელედის (ლენტეხის რ-ნი) საშუალო სკოლის მასწავლებლად, ხოლო შემდეგ ს. ცანის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. 1963-66 ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგ-რატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1969-მდე მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1969-დან მუშაობდა თბილისისა და გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებში, სადაც კითხულობდა ლექციების კურსს სსრკ ეკონომიკურ გეოგრაფიაში; 1971-დან მუშაობდა მოსკოვის კოოპერაციული ინსტიტუტის თბილისის ფაკულტეტზე, 1986-დან თბილისის 158-ე საშუალო სკოლის დირექტორად. 1968 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კავკასიონის მთიანი რაიონების სოფლის მეურნეობის გეოგრაფია". გამოქვეყნებული აქვს 12 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ორი კოლექტიური მონოგრაფია.

ქუთათელაძე ალექსანდრა (შურა) ილიას ასული – KUTATELADZE ALEXSANDRA (14.IX.1914, ქ. ქუთაისი, – 23.VII.1986, იქვე), ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1963). 1938 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი ბიოლოგიის სპეციალობით. 1947-1986 მუშაობდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, ასისტენტად (1944), მასწავლებლად, დოცენტად. ლექციებს

კითხულობდა მცენარეთა მორფოლოგიას, ბოტანიკას ეკოლოგიით. 1962 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „იმერეთის კირქვიანების ფლორის შესწავლისათვის". გამოქვეყნებული აქვს ოცდაათამდე სამეცნიერო შრომა, რომლებიც ეძღვნება იმერეთის ფლორის შესწავლას. დატოვა 12 ხელნაწერი შრომა. მის სამეცნიერო მოღვაწეობაში მთავარი იყო იმერეთის ფლორის კომპლექსური შესწავლა. მოიარა იმერეთის მხარე და შექმნა იმერეთში გავრცელებულ მცენარეთა ჰერბარიუმი, რომელიც მოიცავს 1260 სახეობას. მეცნიერის მიერ პირველად იქნა აღწერილი (მიკვლეული) იმერეთის 5 ენდემური სახეობა, რომლებიც შეტანილია ფლორის სხვადასხვა ტომებში. სულ შეისწავლა კირქვიანების 14 ენდემური სახეობა.

ქურდიანი იოსებ გიორგის ძე – KURDIANI IOSEB (13.V.1900, – 27.X.1977, თბილისი), მეტეოროლოგი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1970). 1918 დაამთავრა თბილისის ქართული გიმნაზია, ხოლო 1924 თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მუშაობა დაიწყო თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. 1928-დან მოღვაწეობდა თსუ-ში. 1928-31 სწავლობდა ასპირანტურაში ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1931 წარადგინა საკვალიფიკაციო ნაშრომი და მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება ზოგად მეტეოროლოგიაში და კლიმატოლოგიაში. 1933 გახდა გეოგრაფიის ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ამ პერიოდში გამოაქვეყნა საინტერესო სამეცნიერო ნაშრომი. თარგმნა რიგი უცხოური სახელმძღვანელოები კლიმატოლოგიაში. 1935 მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა თსუ პირველი კლასის სასწავლო-საწარმოო მეტეოროლოგიური სადგური. 1939 მუშაობს ფიზიკა-მათემატიკის, შემდეგ ფიზიკის ფაკულტეტზე, იყო დეკანი. სხვადასხვა დროს შეთავსებით მუშაობდა გეოფიზიკის ინსტიტუტში (1951-60) და ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (1968). 1943 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1968 სადოქტორო დისერტაცია. მის კალამს ეკუთვნის 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. შრომები ძირითადად ეხება მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, დინამიკური მეტეოროლოგიის, აეროლოგიის, ამინდის და კლიმატური პროგნოზების და სხვა საკითხებს. შრომები გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და გერმანულ ენებზე. იგი არის მრავალი კლიმატური რუკის ავტორი. დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1969). მისი სახელი მიეკუთვნა თსუ მეტეოროლოგიურ სადგურს (1979).

მონოგრ. და სახელმძღვ: პრაქტიკული მეტეოროლოგია, თბ., 1937; წყლის წვეთის თავგადასავალი, თბ., 1948; მეტეოროლოგიის საფუძვლები, თბ., 1950; ატმოსფეროს ოპტიკური მოვლენები, თბ., 1956; მეტეოროლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1959 (თანაავტ.); აეროლოგია, თბ., 1964.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 83-84; ქართული ენციკლოპედია, ტ. 10, 1986, გვ. 575.

ღვინიანიძე თაილი ილიას ასული – GHVINIANIDZE TAILI (28.II.1930, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი. 1952 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1953-56 სწავლობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში პროფ. გიორგი გეხტმანის ხელმძღვანელობით. 1956-დან მუშაობდა უმცროს მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზე. ამ პერიოდში ინსტიტუტში საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკურ-გეოგრაფიული რეგიონების შესწავლის საქმეს და ამ დარგში შრომების მეტად მნიშვნელოვანი ფონდი შეიქმნა. ეწყობოდა სამეცნიერო ექსპედიციები, რომლებშიც იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა. 1959-62 გამოაქვეყნა შრომებში ზემო იმერეთისა და აჭარის ტრანსპორტის, ვაჭრობისა და რაიონთაშორისი ეკონომიკური კავშირების შესახებ. შემდეგში კი სწავლობს რეგიონების ისტორიულ გეოგრაფიას, რომელთა შესახებ აქვეყნებს ნაშრომებს. მოგვიანებით შეიქმნა მონოგრაფიები სამრეწველო კვანძებზე, რაშიც მონაწილეობდა თ. ღვინიანიძე. 1970-73 ორ ტომად გამოიცა „საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის ძირითადი საკითხები", რომელშიც მოთავსებულია მისი ნაშრომები, ასევეა „საქართველოს სსრ ადმინისტრაციული რაიონებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების ცნობარი". 1967 მოსკოვში დაიბეჭდა (რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ და პოლონურ ენებზე) „საქართველო", რომელშიც დაბეჭდილი ქვეთავები აფხაზეთსა და აჭარაზე ეკუთვნის მას. გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი. 1981-დან გადაყვანილ იქნა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტში.

მონოგრ.: Грузия, М., 1967 (соавт.).

ღვინჯილია მალხაზ იასონის ძე – GHVINJILIA MALKHAZ (7.XI.1973, ს. მერხეული, გულრიფშის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1995 წარჩინებით დაამთავრა თსუ სოხუმის ფილიალი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1996-98 მიზნობრივი ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1998-დან მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალის გეოგრაფიის კათედრაზე მასწავლებლად. 2003 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს შავიზღვისპირეთისა და მიმდებარე რეგიონების ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალი". სადისერტაციო ნაშრომის ირგვლივ გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი.

ყავრიშვილი ბესარიონ ივანეს ძე – KAVRISHVILI BESARION (2.III.1895, ს. მანგლისი, თეთრიწყაროს რ-ნი, – 8.I.1943, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1935). 1917 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილება. 1918 მუშაობა დაიწყო თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე ასისტენტად, 1920-დან კი თსუ-ის ზოგადი გეოგრაფიის და ანთროპოლოგიის კათედრის ასისტენტია, 1936-დან კი ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრის გამგეა. კითხულობდა ლექციებს

ჰიდროლოგიაში, ჰიდრომეტრიაში, სსრკ და კაპიტალისტური ქვეყნების ფიზიკურ გეოგრაფიაში. ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას აგრეთვე ქუთაისსა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1929-40 მან მოაწყო ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომლის კვლევები აისახა მის სამეცნიერო ნაშრომებში. 1935 მისი რედაქტორობით დაიბეჭდა კაპიტალური შრომა „ამიერკავკასიის წყლის რესურსების ცნობარი"; მან შექმნა რამდენიმე ათეული შრომა ჰიდროლოგიაში. აღსანიშნავია „საქართველოს ლანდშაფტურ-ჰიდროლოგიური ზონები". განსაკუთრებით დიდი მუშაობა გასწია საქართველოსა და ამიერკავკასიის მდინარეების კომპლექსურ-ჰიდროლოგიურ გამოკვლევებში. იგი არის ჰიდროლოგიის ფუძემდებელი საქართველოში და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი. იგი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწეოდა გეოგრაფიის ინსტიტუტში. მან შეისწავლა მდ. ქციის, მტკვრის და სხვა მდინარეთა აუზები. ჰიდროლოგიური კვლევის გარდა, იგი მუშაობდა გეომორფოლოგიურ და ფიზიკური გეოგრაფიის საკითხებზე. ბუნების ცალკეულ მოვლენებს განიხილავდა მათ ურთიერთკავშირში. ამის შედეგად შეიქმნა შრომა – „საქართველოს ლანდშაფტურ-ჰიდროლოგიური დარაიონება". ეს შრომა 1940 წელს გატანილ იქნა სადოქტორო დისერტაციად.

მონოგრ. და სახელმძღვ.: მდინარეთა ჰიდროლოგიის კურსი (პოტამოლოგია), ტფ. 1932; Ландшафтно-гидрологические зоны Грузинской ССР, Тб., 1955; Физико-географическое описание бассейна р. Кция-Храми, Тиф., 1931.

ლიტ.: გ. გეხტმანი, გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურები. თბ., 1942, გვ. 163-165; ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 84; ქართული ენციკლოპედია, ტ. 10, 1986, გვ. 607; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; Краткая географическая энциклопедия, М., 1966, с. 459.

ყაფრიშვილი ქეთევან ბესარიონის ასული – KAVRISHVILI KETEVAN (25.VIII.1918, თბილისი, –31.XII.1982, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1952). 1940 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფ-გეომორფოლოგიის კვალიფიკაციით. 1940-44 გაიარა ასპირანტურის კურსი. მუშაობდა თსუ ფიზიკური ქვეყანათმცოდნეობის კათედრაზე. ეწეოდა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო მუშაობას. კითხულობდა ლექციებს სსრკ ფიზიკურ გეოგრაფიასა და ქვეყანათმცოდნეობის კვლევის მეთოდებზე, აგრეთვე სპეცკურსებს. 1959-დან მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1948 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თბილისის მიდამოების ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". მისი სამეცნიერო კვლევის ინტერესს ძირითადად საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული ლანდშაფტები, აგრეთვე ლანდშაფტოლოგიის თეორიული

საკითხების კვლევა წარმოადგენდა. რეგიონალური ხასიათის გამოკვლევებიდან ყურადღებას იქცევს აფხაზეთის ლანდშაფტების ტიპების, რაიონებისა და მათი დინამიკის დადგენა-დახასიათებისადმი მიძღვნილი შრომათა ციკლი; აგრეთვე კარსტული ლანდშაფტებისა და კარსტის წარმოშობა-განვითარების პირობების შესწავლა. იკვლევდა აგრეთვე კახეთის, თუშეთის, ზემო იმერეთის, ქვემო რაჭისა და სვანეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებს, ყურადღების ცენტრში იყო მთიანი მხარეების ლანდშაფტების კვლევის თეორიული საკითხების გარკვევა-გადაწყვეტა. დაჯილდოებული იყო „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1972).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია, სახელმძღვანელო VII კლასისათვის, თბ., 1975-1987, გამოც. 27-38 (თანაავტ.), პარალელურად რუსულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე; Физико-географическая характеристика окрестностей Тбилиси,Тб.,1965; Географический анализ и систематика горных ландшафтов, Тб.,1979; Природа карстовых территорий Черноморского побережья Грузии, Тб., 1988.

ყაზბეგი გიორგი ნიკოლოზის ძე – KAZBEGI GIORGI (1839, ს. სტეფანწმინდა, ახლანდ. დაბა ყაზბეგი, – 1921, თბილისი), მოგზაური, გეოგრაფი და საზოგადო მოღვაწე. სამხედრო აკადემიის დამთავრების (1870) შემდეგ მსახურობდა რუსეთის არმიაში. 1905 წ. დაბრუნდა საქართველოში და აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. ილია ჭავჭავაძის შემდეგ სათაეში ჩაუდგა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". იგი იყო პირველი გეოგრაფი, რომელმაც საკუთარი დაკვირვების საფუძველზე შეადგინა აჭარის ფი-



ზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული აღწერა. გიორგი ყაზბეგმა იმოგზაურა თურქეთში, რომელიც 1874 22 მაისს დაიწყო სოფ. დერცელიდან (ადიგენის რ.), გადავიდა აჭარაში. აქედან შავშეთში, არტანუჯისა და ართვინის გავლით ლაზისტანში მოხვდა. დეტალურად აღწერა მათი რელიეფი, ჰავა, ჰიდროგრაფია, მცენარეულობა, მოსახლეობა და სხვ. ამ ნაშრომს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საინტერესოა მისი ნარკვევები — „სამი თვე თურქეთის საქართველოში", „ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი", „თერგის ოლქის სამხედრო სტატისტიკური აღწერა" და სხვ.

ოჰზ.: სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995; Три месяца в Турецкой Грузии, ЗКОИРГО, кн, X, вып. I, Тиф., 1876.

ლიტ.: ნაჭყებია ნ. ქართველი მოგზაური გიორგი ყაზბეგი, თბ., 1960; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ყარალაშვილი თამაზ ვლადიმერის ძე – KARALASHVILI TAMAZ (11.X.1960, ქ. რუსთავი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1983 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის გლაციოლოგიის ლაბორატორიაში ინჟინრად. 1990 დაამთავრა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მყინვარების მოქმედება და ცენტრალური კავკასიონის მდინარეთა მყარი ჩამონადენის ფორმირების კანონზომიერებები". გამოქვეყნებული აქვს 7 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის უცხოურ გამოცემებში. ამ-ჟამად არის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი და შეთავსებით მუშაობს ქვემო ქართლში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატში მთავარ მრჩეველად გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხებში; არის რწმუნებულის აპარატთან არსებული „ინფორმაციული უზრუნველყოფის, ანალიზის და სტრატეგიული გარდაქმნების ცენტრის" ხელმძღვანელი.

მონოგრ: Ледник Тбилиса, Тб., 1986 (соавт.).

ყიფიანი შალვა იაკინთეს ძე – KIPIANI SHALVA (27.VIII.1912, ს. ობჩა, ბაღდათის რ-ნი, — 5.II.1994, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1941), 1933 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიული განყოფილება. 1934-37 გაიარა ასპირანტურის კურსი თსუ-ში პროფ. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1934-41 ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას თსუ-ში. 1942-45 იყო სამამულო ომში. 1946-დან მუშაობდა თსუ-ში. კითხულობდა ლექციებს საქართველოსა და კავკასიის გეომორფოლოგიაში, სსრკ

გეომორფოლოგიაში, რელიეფის ფორმათა სისტემატიკაში, კარსტოლოგიასა და გეომორფოლოგიის კვლევის მეთოდებზე. 1946-დან მუშაობდა აგრეთვე ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სწავლული მდივნის (1946), დირექტორის მოადგილის სამეცნიერო დარგში (1947-51), კარსტოლოგია-სპელეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის (საზოგადოებრივ საწყისებზე, 1958-75) თანამდებობებზე. 1938-41 ასრულებდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სწავლული მდივნის, ხოლო 1946-50 თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობას სამეცნიერო დარგში. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითად პროფილს საქართველოს კარსტული რელიეფის შესწავლა, აგრეთვე კარსტოლოგიის თეორიული საკითხების კვლევა შეადგენდა. 1941 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „შორის ამოქაბულის გეომორფოლოგიური დახასიათებისათვის". გამოქვეყნებული აქვს 160 სამეცნიერო ნაშრომი. ისინი ეხება გეომორფოლოგიურ, კარსტოლოგია-სპელეოლოგიურ, გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების ისტორიის საკითხებს. აღსანიშნავია მისი წვლილი საქართველოს გეოგრაფიის სასკოლო სახელმძღვანელოს შექმნა-გაუმჯობესებაში. 1960-77 წლებში ხელმძღვანელობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა სამეცნიერო სემინარს. დაჯილდოებულია სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს საპატიო სიგელით. მინიჭებული ჰქონდა სსრკ სახელმწიფო პრემია (1977), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1984), აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახ. მედალი (1976). არჩეულ იყო სსრკ გეოგრაფიულ საზოგადოების საპატიო წევრად (1985).

მონოგრ. და სახელმძღ.: ნარკვევები გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების შესახებ საქართველოში, ნარკვ. 1, თბ., 1957; საქაროველოს კარსტული მღვიმეების კადასტრი, თბ., 1966 (თანავტ.); საქართველოს კარსტი, ტ. 1, თბ., 1974; საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, სახელმძღვანელო VII კლასისათვის, თბ., 1975-87 (თანავტ.).

ლიტ.: ქართული ენციკლოპედია, ტ. 10, 1985, გვ. 656; ირემაძე ა. ნაომარი მეცნიერები, თბ., 1987, გვ. 222-25.

შალამბერიძე ქეთევან ნესტორის ასული– SHALAMBERIDZE KETEVAN (30.VIII.1915, ქ. ქუთაისი, – 18.X.1985, იქვე), გეოგრაფი, უფროსი მასწავლებელი. 1938 დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით და დამტკიცებულ იქნა ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად. 1939-1956 მუშაობდა ამავე კათედრის ასისტენტის თანამდებობაზე, 1956-1985 კათედრის უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. ლექციების კურსს კითხულობდა კონტინენტებისა და ოკეანეების ფიზიკურ გეოგრაფიაში. მისი მეცნიერული მუშაობა

ძირითადად მოიცავდა იმერეთის მხარის ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) კომპონენტების კვლევას. ამ მიმართულებით გამოქვეყნებული აქვს ორ ათეულზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

შალვაშვილი ლია თამაზის ასული – SHALVASHVILI LIA (6.IV.1965, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1988 წარჩინებით დაამთავრა სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. პარალელურად, 1984-86 სწავლობდა იმავე სასწავლებლის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე ჟურნალისტიკის განხრით, ხოლო 1986-88 თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული უცხო ენების შემსწავლელ ორწლიან კურსებზე. 1989-93 ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1984-94 მუშაობდა გეოლოგიური სამმართველოს ცენტრალურ ლაბორატორიაში ლაბორანტად. 1994-95 ქ. რუსთავის 23-ე საშუალო სკოლის პედაგოგია. 1995-97 შოთა რუსთაველის სახ. რუსთავის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის დოცენტია, 1997-99 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზეა. 1999-2000 თბილისის კრწანისის განათლების განყოფილების მეთოდური უზრუნველყოფის ცენტრში გეოგრაფიისა და ბუნებისმცოდნეობის მეთოდისტია. 2000-დან განათლების სამინისტროში საშუალო განათლების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი, ხოლო შემდეგ სახელმძღვანელოების სამმართველოს უფროსი და 151-ე საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების ეკოლოგიისა და ბუნებისმცოდნეობის მასწავლებელი. 1997 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თბილისის საქალაქო აგლომერაციის ბუნებრივ-რესურსული პოტენციალი და მისი სამეურნეო ათვისება". გამოქვეყნებული აქვს 30-მდე სამეცნიერო და სასწავლო მეთოდური ნაშრომი.

სახელმძღვ. და მონოგრ.: მინდა ყველაფერი ვიცოდე, თბ., 1997; ბასტისა და ბუბუს საოცარი მოგზაურობა, თბ., 1999; არატრადიციული ფორმის გაკვეთილები, თბ., 1999; საპროგრამო მეთოდური მასალა გეოგრაფიაში, თბ., 2000; ბუნების კარი (II კლასის დამხმარე სახელმძღვ.), თბ. 2001; მეთოდური მითითებანი და სავარჯიშოები ბუნებისმცოდნეობის სწავლებისათვის II კლასში, თბ., 2001; ბუნების კარი (III კლასის დამხმარე სახელმძღვ.), თბ. 2002; მეთოდიკური მითითებანი და სავარჯიშოები ბუნებისმცოდნეობის სწავლებისათვის, თბ., 2002; პატარა ცნობისმოყვარე, თბ., 2002; სამუშაო რვეული ბუნებისმცოდნეობასა და ეკოლოგიაში (II კლასი), თბ., 2003; სამუშაო რვეული ბუნებისმცოდნეობასა და ეკოლოგიაში (III კლასი), თბ., 2003; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

შარაშიძე მარიამ ივანეს ასული – SHARASHIDZE MARIAM (9.V.1891, თბილისი, – 4.V.1976, იქვე), ისტორიკოსი, თავად ანდრონიკაშვილის ასული, დახვეწილი მეტყველებითა და მაღალი კულტურით. 1909 ვერცხლის მედლით დაამთავრა თბილისის ქალთა პირველი გიმნაზია. 1914 დაამთავრა პეტერბურგის ქალთა უმაღლესი კურსების ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1917 ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები, დაბრუნდა თბილისში და დაიწყო მუშაობა. 1947-68 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1957-დან სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგედ. წლების განმავლობაში ინსტიტუტის სოციალური და ეკონომიკური განყოფილების საველე ექსპედიციებში იღებდა მონაწილეობას და იკვლევდა საქართველოს ცალკეული რეგიონების ეკონომიკურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი, ძირითადად ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომებში. დაჯილდოებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით; განათლების უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების, სსრკ კულტურის სამინისტროსა და სხვა საპატიო სიგელებით.

მონოგრ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957 (თანაავტ.).

შაუთიძე ოთარ დავითის ძე – SHAUTIDZE OTAR (27.VI.1932, ქ. ქუთაისი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. დაამთავრა ქ. ოდესის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1976-დან მუშაობს კოლხეთის ჰიდრომეტეოროლოგიისა და გარემოს მონიტორინგის ცენტრის (ქ. ქუთაისი) უფროსად. არის ქუთაისის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტი. 1985 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. რიონის კალაპოტის პროცესები". შემდეგი კვლევის შედეგები ასახულია სამეცნიერო სტატიებში. 70-იან წლებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კოლხეთის დაბლობის სასოფლო-სამეურნეო ათვისების მეცნიერულ დამუშავებაში. ამ საკითხებზე, ქართველ მეცნიერებთან ერთად, გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამჟამად მუშაობს დასავლეთ საქართველოს ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებზე, კერძოდ, მდინარეთა და ქარის ენერგეტიკული რესურსები, რადიაციული ბალანსი და სხვ. გარდა ამისა, სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წერილებს კლიმატზე, ამინდის თავისებურებებზე, ეკოლოგიაში და სხვ. ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებში. მინიჭებული აქვს საქ. დამსახურებული ინჟინრის წოდება (1982).

შაქარიშვილი დიმიტრი იასეს ძე – SHAKARISHVILI DIMITRI (11.V.1939, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1962 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ უფროს ლაბორანტად, შემდეგ ინჟინრად და უფროს ინჟინრად. 1974-77 მივლინებულ იქნა სირიის არაბთა რესპუბლიკაში წყლის რესურსების გამოსაკვლევად. 1977-დან მუშაობს საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო გეოლოგიის ექსპედიციაში ჯერ უფროს ჰიდროლოგად, ხოლო 1981-დან უბნის უფროსად. 1996-დან გარემოს დაცვის სამინისტროსთან არსებულ კატასტროფებისაგან დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების სახელმწიფო საკოორდინაციო დეპარტამენტის სამმართველოს უფროსია. 1975 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის წყლის ბალანსი". გამოქვეყნებული აქვს 17 სამეცნიერო ნაშრომი და ერთი მონოგრაფია. არის გეოლოგიური 20 ანგარიშის ავტორი და თანაავტორი. მიღებული აქვს ლაშბაშის საბადოს პირველაღმოჩენის მედალი (1981).

მონოგრ.: Водный баланс Грузии, Тб., 1974 (соавт.).

შაქარიშვილი იასე ნესტორის ძე – SHAKARISHVILI IASE (3.III.1899, ჩოხატაური, – 30.VII.1955, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1917 დაამთავრა ფოთის გიმნაზია. 1925-მდე მუშაობდა სკოლებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში. 1930 დაამთავრა თსუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიული განყოფილება. დატოვებული იქნა სამუშაოდ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. 1929-დან მონაწილეობს სამეცნიერო ექსპედიციებში (მდ. მტკვრისა და ქციას აუზების შესწავლა). 1931 მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. მოაწყო ექსპედიციები ლიახვის, ქსნის, მეჯუდის, ფრონესა და მტკვრის სხვა შენაკადების აუზში. 1932-37 მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის თბილისის სამმართველოში წყლის კადასტრის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილედ. 1934-დან კვლავ თსუ-ში მუშაობს. კითხულობდა ლექციებს ჰიდროლოგიაში. 1942 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1943-დან სათავეში ჩაუდგა ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრას. 1945 მუშაობა დაიწყო გეოგრაფიის ინსტიტუტში ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელად. 1946-50 იყო თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. მისი შრომები ეხება ჰიდროლოგიის სხვადასხვა საკითხებს. იკვლევდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მდინარეებს. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო შრომა. გარდა ამისა, საქართველოს მდინარეების მაქსიმალური ჩამონადენის პრობლემაზე მრავალი საფონდო შრომა დატოვა.

მონოგრ.: Гидрологическое районирование Грузии, Тб., 1947.

ლიტ.: აფხაზავა ი., იასე შაქარიშვილი (დაბადებიდან 70 წლისთავის გამო) — „მეცნიერება და ტექნიკა", 1969, №3, გვ. 44-45; ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977 გვ. 85-86; ქართული ენციკლოპედია, ტ. 10, 1986, გვ. 694-695; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986.

შევარდნაძე მერაბ გიორგის ძე – SHEVARDNADZE MERAB (6.V.1926, ს. ხიდისთავი, ჩოხატაურის რ-ნი), ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი (1990). 1950 დაამთავრა თსუ ბიოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. ამჟამად ამავე კათედრის პროფესორია. 1961 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საქართველოს სამხრეთ მთიანეთის დასავლეთ ნაწილის მთა-ტყის ნიადაგები". მასში მოცემულია მანამდე ნაკლებად შესწავლილი გურიისა და აჭარის ნიადაგების შედგენილობის, თვისებების, კლასიფიკაციის და გამოყენების საკითხები. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური, სამეცნიერო-პოპულარული შრომები. იგი იკვლევს ნიადაგისა და მცენარის ურთიერთდამოკიდებულებას, ნიადაგის შეფასებას, მისი კადასტრის დადგენას, ნიადაგის ეროზიისა და გაჭუჭყიანების საკითხებს და სხვ. დაჯილდოებულია ვ. დოკუჩაევის საიუბილეო დიპლომით, ივ. ჯავახიშვილის საიუბილეო მედლით, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის პრემიებით.

მონოგრ.: Гидрология реки Бзыбь, Тб.,1981 (соавт.); Колхидская низменость, Л.,1989 (соавт.).

შენგელაია მეგი შალვას ასული – SHENGELAIA MEGI (20.II.1937, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1960 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტის, შემდეგ უმცროსი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელის თანამდებობაზე. ამჟამად შეთავსებით მუშაობს თსუ სოხუმის ფილიალში. 1964-1968 სწავლობდა ასპირანტურაში ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით პროფ. ვახტანგ ჯაოშვილის ხელმძღვანელობით. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საქართველოს ჩრდილოეთი მთიანი რაიონების მოსახლეობის გეოგრაფიისა და შრომითი რესურსების გამოყენების საკითხები". იკვლევს აგრეთვე საქართველოს ცალკეული რეგიონების ბუნებრივი პირობებისა და რესურსების ეკონომიკური შეფასებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის საკითხებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსახლეობის დინამიკის — ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული და

საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს 70 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 20 კოლექტიური მონოგრაფიის თანაავტორია.

მონოგრ. და სახელმძღვ.: ზუგდიდი, გზამკვლევი, თბ., 1977 (თანაავტ.); თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I (სახელმძღვანელო), თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

შენგელია ირაკლი აბესალომის ძე – SHENGELIA IRAKLI (14.X.1955, ს. ქოლობანი, აბაშის რ-ნი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი. 1976 დაამთავრა თსუ მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი გამოთვლითი მათემატიკის სპეციალობით. 1977-94 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ბუნებრივი პროცესების მოდელირების ლაბორატორიაში ჯერ ინჟინრის, შემდეგ უფროსი ინჟინრის, წამყვანი ინჟინრის, უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის, ხოლო 1990-დან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობებზე. 1993-დან მუშაობს საკარმიდამო, სააგარაკო და საბაღე ნაკვეთების მომსახურეობის რესპუბლიკური ცენტრის – „საქქალაქაგროსერვისის" გენერალურ დირექტორად. 2000-დან შეთავსებით მუშაობს გეოფიზიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მზის სპექტრული რადიაციული ველის მოდელირება ზღვის სანაპირო ზოლში (დასავლეთ საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 21 სამეცნიერო სტატია. აგრძელებს მუშაობას თემაზე – რადიაციული რეჟიმი და მისი ბუნებრივი და ანთროპოგენური ცვლილება საქართველოში. კვლევის სფეროა ჰავის თანამედროვე ცვლილებების შესწავლა საქართველოში, გლობალური დათბობის ფონზე რადიაციული ნაკადების ცვლილების თავისებურებათა დადგენა და სხვ.

მონოგრ.: ჰავის თანამედროვე ცვლილება საქართველოში (რადიაციული რეჟიმის ცვალებადობა), თბ., 1999 (თანაავტ.).

შენგელია რევაზ გრიგოლის ძე – SHENGELIA REVAZ (25.V.1930, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1957 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. ამჟამად წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია. 1966 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ცენტრალური კავკასიონის მყინვარული საზღვრების მქონე მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმი". განხილულია კავკასიონის მყინვარული მდინარეების წყლის ბალანსი, განსაზღვრულია მყინვარული წყლების რესურსები. დამუშავებულია გამყინვარებისა და მყინვარული ჩამონადენის დინამიკა კლიმატური

პირობების ცვალებადობასთან დაკავშირებით. გამოკვლეულია კავკასიონის გამყინვარების, მყინვარული ჩამონადენის რეჟიმისა და ფორმირების საკითხები; იკვლევს წყალდიდობის ფორმირებასა და პროგნოზს კავკასიონის მდინარეთა აუზებში; ასევე საშიში ბუნებრივი მოვლენების (წყალდიდობა, წყალმოვარდნა, ღვარცოფი, მეწყერი) გეოგრაფიულ ანალიზსა და პროგნოზს. აქვს 80 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან უმეტესი გამოქვეყნებულია. ამჟამად მუშაობს მყინვარებისა და მყინვარული ჩამონადენის რეკონსტრუქციისა და პროგნოზის დადგენის საკითხებზე.

მონოგრ.: Ледник Тбилиса, Тб., 1986 (соавт.).

შურღაია ნიკოლოზ არსენის ძე – SHURGHAIA NIKOLOZ (10.XII.1944, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1961-63 სწავლობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, III კურსიდან გადავიდა ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1967 დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკულტეტი. 1969-71 მუშაობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ეკონომიკისა და დაგეგმვის ინსტიტუტში საწარმოო ძალთა განლაგების განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1971-1984 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. პარალელურად (1974-82) კითხულობდა ლექციებს საქ. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ეკონომიკური გეოგრაფიის დარგში. 1984 მუშაობდა საქართველოს ვაჭრობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრში. 1990-დან მუშაობს სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიურ უნივერსიტეტში (სადაც ლექციებს კითხულობს 1986-დან). 1994 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დასავლეთი ეკონომიკურ-გეოგრაფიულ რაიონის სამეურნეო კომპლექსის განვითარების რეგიონალური პრობლემები". გამოქვეყნებული აქვს 11 სამეცნიერო ნაშრომი. თარგმნა სახელმძღვანელო ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში – „ეკონომიკური გეოგრაფიის შესავალი". თანაავტორია რამდენიმე მონოგრაფიული გამოკვლევისა: „თბილისი-რუსთავის სამრეწველო კვანძი", „ქვემო ქართლი", „სამხრეთი ეკონომიკური რაიონი" და სხვ.

ჩანგაშვილი გიორგი ზაქარიას ძე – CHANGASHVILI GIORGI (11.1919, ს. ხოდაშენი, ახმეტის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1948 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მდივნის თანამდებობაზე. 1951-54 სწავლობდა საქ. მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში აკად. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1956-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. იყო თანამედროვე გეომორფო-

ლოგიური პროცესების ჯგუფის ხელმძღვანელი (1977-80), თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესების ლაბორატორიის გამგე (1980-1990). ამჟამად წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია, კახეთის სტიქიური გეომორფოლოგიური პროცესების ექსპერიმენტული სტაციონარის ხელმძღვანელი. 1955 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. ალაზნის აუზის მარჯვენა მხარის გეომორფოლოგია (სოფ. ბაკურციხის ზემოთ)". მასში მოცემულია უხვი ფაქტობრივი მასალა, რომელიც ველზე კვლევის შედეგად შეაგროვა. მთავარი ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებზე, განსაკუთრებულ სტიქიურ მოვლენებზე და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებზე. აქვს 102 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან 70 გამოქვეყნებულია და 40 სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი (ჟურნალ-გაზეთებში). ბევრი წინადადება და რეკომენდაცია დაინერგა სახალხო მეურნეობასა და საპროექტო დაწესებულებებში. მათ შორის, გვერდითი ეროზიით წაღებული მიწების აღდგენის შესახებ (წინანდლის დენდროლოგიური პარკი). მუშაობს სტიქიურ გეომორფოლოგიურ პროცესებსა და გეოეკოლოგიაზე. დაჯილდოებულია საქ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1984), აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით (1962), საქ. პროფკავშირთა საპატიო სიგელით (1957), სსრკ გეოგრაფიის ინსტიტუტის საპატიო სიგელით, ღირსების მედლით (2000).

მონოგრ.: საინგილო, თბ., 1970; თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესები მთიან ქვეყნებში და მათი სახალხო-სამეურნეო დანიშნულება (აღმოსავლეთ საქართველოს მაგალითზე), თბ., 1980; ღვარცოფული პროცესები შიგნით კახეთში და მათთან ბრძოლის ღონისძიებები, თბ., 1983; თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები შიდა ქართლის ჩრდილოეთ მხარეში, თბ., 1985; კატასტროფული ღვარცოფები და მათი საზიანო მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ოპტიმალური ღონისძიებები საქართველოში (კრებული), თბ., 2000.

ჩარკვიანი ივანე ვასილის ძე – CHARKVIANI IVANE (16.VI.1910, ს. ზანათი, აბაშის რ-ნი, – 1937), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1933 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი და დატოვებულ იქნა კათედრაზე სამუშაოდ. 1937 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მრეწველობის გეოგრაფიული განლაგების პრობლემა". იმავე წელს იგი დააპატიმრეს. რეაბილიტირებულია 1956 წელს.

ჩახრუხაძე გრიგოლ – CHAKHRUKHADZE GRIGOL (XII-XIII სს.), კლასიკური ხანის თვალსაჩინო მოგზაური და მნიშვნელოვანი ფიგურა ქართულ მწერლობაში. იგი სამეფო კარზე კარგად ცნობილი პიროვნება ყოფილა (თამარ მეფის მდივანი). XII ს. მიწურულსა და XIII ს. დასაწყისში მან შექმნა სახოტბო ჟანრის ნაწარმოები „თამარიანი",

რომელშიც აღწერილია მეფე ქალზე უიმედოდ გამიჯნურებული პოეტის ათი წლის მოგზაურობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. მისი მოგზაურობის მარშრუტი საკმაოდ გრძელია და იმ დროისათვის ცნობილ მთელ მსოფლიოს მოიცავს. მოგზაურობა 1193-1203 მიმდინარეობდა. იმოგზაურა – სპარსეთში, გურიდების სამეფოში, ინდოეთში, ჩინეთში, მონღოლეთში, ხატაეთში, შუა აზიის ქვეყნებში. აზიის ქვეყნებში მოგზაურმა 6 წელი დაჰყო. შემდეგ გაეცნო ხაზარეთს, რუსეთს, კიევის სამთავროს; იგი ხმელთაშუა ზღვის შემოვლით გაეცნო ევროპისა და აფრიკის სანაპირო ქვეყნებს – იტალიას, საფრანგეთს, ესპანეთს, ეგვიპტეს და სხვ. მეწამული ზღვიდან იყო არაბეთში, სადაც თითქმის მთელი ეს ქვეყანა მოიარა. იგი პირველი ქართველია, რომელმაც შეძლო მუსლიმანთა „წმინდა ადგილებში" შესვლა და მათი გაცნობა. 1203 იგი ბაღდადში ჩამოდის, საიდანაც საქართველოში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მან ახალი მოგზაურობა წამოიწყო, რომლის შესახებ უკვე მასალები აღარ მოგვეპოვება. გარდაცვალების თარიღად 1213-ია მითითებული.



თხზ.: ჩახრუხაძე, ქება მეფისა თამარისი, 1957;

ლიტ.: ინგოროყვა პ. ჩახრუხაძე, პოეტი და მოგზაური. ჟურნ. „კავკასიონი"; 1924, 1-2; კარბელაშვილი ლ., შუა საუკუნეების შესანიშნავი ქართველი მოგზაური. – ჟურნ. „სკოლა და ცხოვრება", 1966, №6; ხარაძე კ. XII-XIV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები, თბ., 1987; ხარაძე კ. გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში, თბ., 1988, ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ჩეკურიშვილი როსტომ იოსების ძე – CHEKURISHVILI ROSTOM (27.VII. 1925, ს. ელისცეხე, გურჯაანის რ-ნი), პროფესორი (1992). 1942 სწავლა დაიწყო თბილისის სარკინიგზო საინჟინრო ინსტიტუტში ხიდების და გვირაბების ფაკულტეტზე, საიდანაც 1943-ის მარტიდან მოხალისედ წავიდა ომში. დემობილიზაციის შემდეგ, 1947 გაიარა ამიერკავკასიის აეროგეოდეზიური წარმოების კურსები, საიდანაც 1948 გაიგზავნა ქ. მოსკოვის გეოდეზიის, აეროფოტოგადაღებისა და კარტოგრაფიის საინჟინრო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში პედაგოგად. 1965-დან იმავე ტექნიკუმის დირექტორია, ხოლო 1968-დან სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოდეზიისა და კარტოგრაფიის მთავარი სამმართველოს ამიერკავკასიის №4 საწარმოოს უფროსად. ამ დაწესებულებაში მისი ხელმძღვანელობით იბეჭდებოდა კავკასიის, შუა აზიის რესპუბლიკების, კამჩატკის, არაშავმიწა ნიადაგების 7 ოლქის ტოპოგრაფიული რუკების სერიები. რ. ჩეკურიშვილის ინიციატივით და წინადადებით ყოფილ სსრკ სივრცეში საწარმოსთან პირველად შეიქმნა ქალაქების გეოდეზიური სამსახურები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ სადირექტივო ორგანოებს ქალაქების დაგეგმარებასა და განაშენიანებაში, მიწისქვეშა კომუნიკაციების ორგანიზაციაში და სხვ. მისივე ხელმძღვანელობით საქართველოში პირველად დაიწყო შავი ზღვისა და სევანის ტბის შელფების აგეგმვა. 1963-დან მუშაობს აგრეთვე თსუ-ში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე უფროს მასწავლებლად, ხოლო 1980-დან მუშაობას იწყებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გეოდეზიის კათედრის დოცენტად, 1985-დან იმავე კათედრის გამგე და პროფესორია. 1982-დან სამუშაოდ გადმოდის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში კარტოგრაფიისა და აეროკოსმოსური მეთოდების განყოფილების გამგედ. 1989 გადაყვანილ იქნა არ-ქეოლოგიის კვლევის ცენტრში წამყვან მეცნიერ თანამშრომლად აეროკოსმოსური მეთოდების დასანერგად არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენისათვის. 1997-დან გადადის ტექნიკურ უნივერსიტეტში საინჟინრო გეოდეზიისა და მარკშაიდერის კათედრის პროფესორად. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია –„სტერეოფოტოგრამმეტრია“ (წიგნის მიხედვით). გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის უმაღლესი სასწავლებლისათვის რამდენიმე სახელმძღვანელო. არის საქართველოს სპორტულ-ორიენტირების პრეზიდენტი, საქართველოს გეოდეზიური საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტი. 1997 არჩეულია საქართველოს აგროტექნოლოგიური მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

სახელმძღვ.: ფოტოგრამმეტრია, თბ., 1965; სტერეოფოტოგრამმეტრია, თბ., 1968; აეროფოტოსურათების დეშიფრირება, თბ., 1975; კარტოგრაფიული გენერალიზაცია, თბ., 2000 (თანაავტ.).

ჩიგირი ალა ბენედიქტეს ასული – CHIGIRI ALA (11.V.1938, ქ. ტყვარჩელი, – 9.III.1992, თბილისი), საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა II და IV ჰიდროგეოლოგიურ ექსპედიციებში ტექნიკოსად და „თბილგვირაბმშენში" სამარკშაიდერო განყოფილებაში. მონაწილეობდა ამიერკავკასიის, შუა აზიის და პამირის ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების კვლევებში. გეოლოგიური პარტიის წარდგინებით მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც 1965 წარჩინებით დაამთავრა ბიოლოგია-გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობა განაგრძო ამიერკავკასიის გეოლოგიურ პარტიაში ინჟინრის თანამდებობაზე. 1970 დაუსწრებლად დაამთავრა თბილისის პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურა ფიზიკური გეოგრაფიის განხრით. 1976-92 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. გამოქვეყნებული აქვს 10 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად შეეხება ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და გარემოს ურთიერთზემოქმედების (აქვალური ლანდშაფტი) საკითხებს.

ჩიკვაიძე გურამ დიმიტრის ძე – CHIKVAIDZE GURAM (17.II.1926, ქ. თელავი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1951 დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდრომშენებლის სპეციალობით. 1952-55 სწავლობდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის (ახლანდელი აგრარული უნივერსიტეტი) ასპირანტურაში. 1964-დან მუშაობს ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში მელიორაციული ჰიდროლოგიის ლაბორატორიის გამგედ. 1963 ლენინგრადში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ყუბანის ზემო წელის მდინარეთა ჩამონადენის შესწავლა მთის ხეობების მორწყვის მიზნით". 1979 მიენიჭა უფროსი მეცნიერი თანამშრომლის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 57 სამეცნიერო შრომა. არის 6 კრებულის რედაქტორი. მისი ხელმძღვანელობით მელიორირებულ ტერიტორიებსა და ლანდშაფტებზე კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი ექსპერიმენტალური სამუშაოების ორგანიზაციისა და ჩატარების საფუძველზე შესწავლილ იქნა აერაციის ზონის წყალბალანსური კანონზომიერებანი, ნაკლებტენიანი და ჭარბტენიანი მიწებიდან აორთქლების საკითხები, მდინარეთა ირიგაციული შესაძლებლობანი, ტერიტორიული ზონებისა და მდინარეთა წყალშემკრები აუზების მიხედვით წყალმოთხოვნილებისა და წყალუზრუნველყოფის, წყლის დეფიციტის და რეგულირების საკითხები და სხვ. 1965, როგორც გაეროს ტექნიკური ექსპერტი, კითხულობდა ლექციებს აფრიკის ფრანგულენოვანი ქვეყნების ტექნიკოს-ჰიდროლოგთა საერთაშორისო რეგიონალურ კურსებზე (კ. ბამაკო, მალი), 1967-68 გაეროს ტექნიკური ექსპერტი იყო კამბოჯაში, ქვეყნის

ჰიდროენერგეტიკის განვითარების პროექტში. 1976-77 ორმხრივი კონტრაქტით მუშაობდა სირიაში, სადაც ხელმძღვანელობდა კატინეს წყალსაცავის (ჰომსის ტბის) ჰიდრომეტეოროლოგიურ შესწავლას წყლის მრავალწლიური ბალანსის დადგენით და სირიის 4 დასავლეთი რაიონის ჰიდროლოგიურ კვლევებს. დაჯილდოებულია „სსრკ ჰიდრომეტსამსახურის წარჩინებულის" ნიშნით (1969), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1969), „საპატიო ნიშნის" ორდენით (1988). მინიჭებული აქვს „საქართველოს დამსახურებული ინჟინრის" საპატიო წოდება (1983).

მონოგრ.: Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.); Методическая рекомендация по учету влияния хозяйственной деятельности на сток малых рек при гидрологических расчетах для водохозяйственного проектирования, Л., 1986, (соавт.), Водные ресурсы СССР и их использование, Л., 1987 (соавт.); Водные ресурсы Закавказья, Л., 1988 (соавт.).

ჩიქვანაია ლეონიდე (ლევან) თომას ძე – CHIKVANAYA LEONIDE (25.X.1928, თბილისი), პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი (1990). 1950 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ქვეყანათმცოდნეობის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის მუშა-ახალგაზრდობის მე-7 საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, ორი წლის შემდეგ თბილისის ვაჟთა მე-19 (შემდეგში 30-ე) საშუალო სკოლაში. 1954-დან პარალელურად მუშაობდა ქალაქის პედაგოგიურ კაბინეტში გეოგრაფიის მეთოდისტად. 1958 დაინიშნა ი. ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1960-67 მუშაობდა გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციაში ჯერ განყოფილების გამგედ, შემდეგ პასუხისმგებელ მდივნად. 1967-77 უშინსკის სახელობის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორია. 1977 გადაიყვანეს განათლების სამინისტროში სკოლების სამმართველოს უფროსად, იმავე წელს კი თბილისის საქალაქო საბჭოს განათლების განყოფილების გამგედ. 1978 აღნიშნული განყოფილება გარდაიქმნა სამმართველოდ და 1985-მდე იყო სამმართველოს უფროსი. 1985-დან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად სულხან-საბა ორბელიანის პედაგოგიური უნივერსიტეტი) კათედრის დოცენტად. 1986 დაინიშნა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პირველ მოადგილედ, ხოლო 1991-დან სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანების გენერალური დირექტორის თანამდებობაზეა. 1980 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სასწავლო ამოცანების გამოყენება მოსწავლეთა შემეცნებითი აქტივიზაციისათვის". გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი და რამდენიმე

პუბლიცისტური წიგნი. მინიჭებული აქვს დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1977). მიღებული აქვს ი. გოგებაშვილის პრემია (2000). 1995-99 არჩეულ იყო საქართველოს პარლამენტის წევრად, სადაც 1997-99 აირჩიეს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების ქვეკომიტეტის თავმჯდომარედ. 1999-დან დაუბრუნდა ადრინდელ თანამდებობას და მუშაობს პედაგოგიურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის დირექტორად. ხელმძღვანელობს გაზეთ „სახალხო განათლების"-რედაქციას (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

მონოგრ. და სახელმძღვ.: სასწავლო-შემეცნებითი ამოცანები გეოგრაფიაში, თბ., 1980; ფრთხილად, ბავშვია? თბ., 1984; დიფერენცირებული სწავლების პედაგოგიური და ფსიქოლოგიური საფუძვლები, თბ., 1987; ნიჭის აპოლოგია, თბ., 2001; სტალინი ანფასში, თბ., 2002; В мире подростка, М., 1981; Психология современного подростка, М.,1987 (соавт.).

ჩიჯავაძე მარგალიტა ვარლამის ასული – CHIJAVADZE MARGALITA (13.VII.1934, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1957 დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1957-59 მუშაობდა ყირგიზეთის მეცნიერებათა აკადემიის ტიან-შანის ფიზიკური გეოგრაფიის სადგურში. ამ პერიოდში ჩაატარა საერთაშორისო გეოფიზიკური წლის პროგრამის მიხედვით საველე დაკვირვებები (ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და აქტინომეტრული), სადაც იკვლევდა მყინვარული ჩამონადენის ფორმირების საკითხებს. 1960-დან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ლაბორანტის, შემდეგ უმცროსი, უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. მონაწილეობას ღებულობდა გლაციოლოგიური და დასავლეთ კავკასიონის მდინარეთა ჩამონადენის რეჟიმის შემსწავლელ სამეცნიერო ექსპედიციებში. აქტიური მონაწილეობა მიიღო სიონის (თიანეთის რ-ნი) ექსპერიმენტული ჰიდროლოგიური ლაბორატორიის მოწყობაში და შემდეგ სამეცნიერო დაკვირვებათა ჩატარებაში. 1981-დან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის – მიწის, წყლის, ტყისა და რეკრეაციული რესურსების შესწავლისა და გამოყენების განყოფილებაში ჯერ უფროს, შემდეგ წამყვან მეცნიერ თანამშრომლად და განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილედ. 1967 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დასავლეთ კავკასიონის მდინარეთა კვება და ჩამონადენი". შესრულებული აქვს 70 სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან ძირითადი ნაწილი გამოქვეყნებულია. მონაწილეობდა კავკასიონის მდინარეთა ჩამონადენისა (მსოფლიო ფიზიკურ-გეოგრაფიული ატლასი) და საქართველოს მდინარეთა მიწისქვეშა ჩამონადენის (მონოგრაფია – „წყლის ბალანსი") რუკების შედგენაში.

მონოგრ.: ქვემო ქართლის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, თბ., 2003 (თანაავტ.); Грузия 2000 – регионы, т.5, Тб., 1987 (соавт.); Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования, Тб., 1991.

ჩოგოვაძე ირაკლი ვასილის ძე – CHOGOVADZE IRAKLI (10.V.1937, ქ. ქუთაისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1961 დაამთავრა ლენინგრადის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის მეტეოროლოგიური ფაკულტეტი ინჟინერ-მეტეოროლოგის სპეციალობით. 1961-1964 მუშაობდა თბილისის აერომეტეოცენტრის ინჟინერ-სინოპტიკოსად, 1964-1967 ასპირანტურის კურსი გაიარა მოსკოვის ჰიდრომეტცენტრში. 1968 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კავკასიის ქედის ზეგავლენა ჰაერის მასების მოძრაობებზე და ჰაერის ტემპერატურის ცვლილება სიმაღლის მიხედვით". 1967 ჰიდრომეტინსტიტუტის ამინდის პროგნოზების ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელია, ხოლო 1975-დან ამავე ლაბორატორიის გამგე. ამჟამად ჰიდრომეტეოროლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ოპერატიული პროგნოზების სამსახურის უფროსია. გამოქვეყნებული აქვს 33 სამეცნიერო ნაშრომი; გამოკვლევები ეხება მთაგორიანი რელიეფის გავლენას ატმოსფეროს ცირკულაციაზე. ამუშავებს აეროსინოპტიკური რუკების წარმოდგენის, დამუშავების და ანალიზის მეთოდს კომპიუტერის საშუალებით, ადამიანი-კომპიუტერის „დიალოგის" მეთოდის დამუშავებას ამინდის პროგნოზირების დარგში, პროგნოზების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ (ნიკიფორე ირბახი) – CHOLOKASHVILI NIKOLOZ (დაახლ. 1585-1658), პოლიტიკური მოღვაწე და დიპლომატ-მოგზაური, პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნის ერთ-ერთი გამომცემელი. იგი კახეთის ერთ-ერთი უძლიერესი სათავადო გვარის – ჩოლოყაშვილთა წარმომადგენელია. განათლება მიიღო იტალიაში, სადაც შეისწავლა ევროპული ენები. ნიკოლოზი რომში ბერად აღიკვეცა და საერისკაცო სახელი ნიკოლოზი ნიკიფორედ შეიცვალა. 1608 საქართველოში დაბრუნდა და კახეთში თეიმურაზ მეფის მოძღვარი გახდა. შაჰ-აბასის შემოსევასთან დაკავშირებით ნიკოლოზ ჩოლოყაშვილმა დატოვა საქართველო და იერუსალიმს გაემგზავრა წმიდა ადგილების მოსახილველად, სადაც თითქმის 13 წელი დარჩა. 1626 ნ. ჩოლოყაშვილი დიპლომატიური მისიით გაემგზავრა ევროპაში, ესტუმრა რომის პაპს, ესპანეთის მეფესა და სხვა სახელმწიფოთა მეთაურებს. ევროპის რიგ სახელმწიფოების გარდა, მან მოიარა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები. იგი ეწეოდა სასულიერო, დიპლომატიურ და კულტურულ მოღვაწეობას. იყო იტალიაში პირველი ქართული სტამბის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორიც. საქართველოში დაბრუნების შემდეგ იყო მეტეხის ეკლესიის წინამძღვარი; 1634-დან

ხობის საეპისკოპოსო ტაძრის წინამძღვარი. 1643-დან გაემგზავრა იერუსალიმში, სადაც ქართველთა ჯვრის მონასტერს სათავეში ჩაუდგა. 1651 დაბრუნდა სამშობლოში და ჯერ იმერეთში, შემდეგ სამეგრელოში მოღვაწეობდა.



ლიტ.: ბატონიშვილი ი. კალმასობა, II, თბ., 1948; აკოფაშვილი გ. ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი — ნიკიფორე ირბახი, თბ., 1977; ხარაძე კ. გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996.

ჩხეიძე ოთარ შალვას ძე – CHKHEIDZE OTAR (23.VIII.1937, ს. გოლოგანი, თერჯოლის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1957 წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1960-დან მუშაობს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე, 1992-დან კათედრის გამგეა. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „მთიანი რეგიონის რელიეფის პლასტიკა და დინამიკა ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მაგალითზე (რიონ-ცხენისწყლის მდინარეთაშუეთი)". მასში გაანალიზებულია ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობისა და მიმდებარე კოლხეთის დაბლობის რელიეფი (გეომორფოლოგიური კომპლექსები) მისი პლასტიკის, გენეზისის, დინამიკისა და განვითარების (ჩამოყალიბების) ისტორიის თვალსაზრისით. ამჟამად პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად იკვლევს ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდობისა და მიმდებარე კოლხეთის დაბლობის გეომორფოლოგიისა და პალეოგეოგრაფიის საკითხებს. ამასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული აქვს 60-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: სასწავლო გეომორფოლოგიური ექსკურსიები იმერეთში, თბ., 2000; იმერეთის გეომორფოლოგია, თბ., 2003.

ჩხუბიანიშვილი გიორგი ზაქარიას ძე – CHKHUBIANISHVILI GIORGI (12.I.1903, ქ. თელავი, 21.IX.1980), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. 1928 დაამთავრა თსუ სწავლული აგრონომის სპეციალობით. 1928-31 მუშაობდა კახეთის საცდელ სადგურში (ურიათუბანი) მეტეოროლოგ-ფენოლოგის თანამდებობაზე. 1932-37 კი, იქვე მეტეოროლოგიის განყოფილების გამგედ, 1937-დან ქ. თელავში საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში იყო აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგე. 1937 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1954-76 მუშაობდა საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტში აგრომეტეოროლოგიის განყოფილების გამგედ. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ძირითადად ეხება კახეთისა და ქართლის ვაზის ჯიშების ზრდა-განვითარების აგროკლიმატური პირობების შესწავლას, მორწყვის ვადებისა და ნორმების შესწავლას. სსრკ მიღწევათა გამოფენის ოთხგზის მონაწილეა (1954, 1965, 1967, 1968), მიღებული აქვს ოქროს მედალი.

მონოგრ.: ვაზისა და ხეხილის ყინვებით დაზიანება საქართველოში, თბ., 1973 (თანაავტ.).

ცაგარელი გიორგი კონსტანტინეს ძე – TSAGARELI GIORGI (11.XI.1947, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1980). 1970 წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის მასწავლებლის კვალიფიკაციით. 1970-73 ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგარატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეკონომიკური გეოგრაფიის განყოფილებაში. 1973-77 მუსაობდა იმავე ინსტიტუტში უფროს ლაბორანტად, შემდეგ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1977-დან მუშაობა დაიწყო თსუ ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. 1988-92 ამავე კათედრის გამგე იყო. 1993-96 მსახურობდა აშშ-ში საქართველოს საგაჭრო-ეკონომიკურ წარმომადგენლად. 1997-დან ხელმძღვანელობს ევრო-აზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრს. არის მსოფლიო ბანკის ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სფეროების პროექტების კოორდინატორი. 1980-92 რამდენჯერმე იმყოფებოდა საზღვარგარეთ სამეცნიერო სტაჟირებასა და მივლინებაში. მათ შორის ხანგრძლივად ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკური და პოლიტიკური მეცნიერებების სკოლაში, ლოძისა და ბრატისლავის უნივერსიტეტებში, აშშ-ში, შვედეთისა და ინდოეთის უნივერსიტეტებში და სხვ. 1977 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს შავიზღვისპირა რაიონების სუბტროპიკული აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის ეკონომიკურ-

გეოგრაფიული პრობლემები". გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის არის კოლექტიური მონოგრაფიების ავტორი. არჩეულია უცხოეთის სამეცნიერო საზოგადოებების წევრად. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

ცენტერაძე გიორგი მიხეილის ძე – TSENTERADZE GIORGI (9.VI.1949, თბილისი), ოკეანოლოგი. 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ოკეანოლოგიის სპეციალობით. 1972-74 მუშაობდა აღნიშნული ფაკულტეტის კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრაზე უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1974-81 ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ზღვის ნაპირების დინამიკისა და მორფოლოგიის შემსწავლელ ლაბორატორიაში ინჟინრად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მონაწილეობდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის მორფოდინამიკის შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებში. 1991-95 მუშაობდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვის" ზღვის სანაპირო ზოლის მორფოდინამიკის განყოფილებაში უფროს მეცნიერ თანამშრომლად. იკვლევდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის დინამიკის და მათი წარეცხვისაგან დაცვის პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავების საკითხებს. 1989 მიწვეული იყო კუბის რესპუბლიკაში, სადაც ჩრდილო სანაპირო ზოლის მორფოდინამიკის კვლევის საფუძველზე განხორციელდა ხელოვნური პლაჟების შექმნით სანაპიროს აღდგენითი სამუშაოები. გამოქვეყნებული აქვს 15-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება ზღვის სანაპიროებს და წყალქვეშა ფერდის მორფოლოგიისა და დინამიკის საკითხებს, ზღვიური ნატანის ნაპირგასწვრივი გადაადგილების თეორიულ ასპექტებს. მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.

ცერცვაძე შალვა ივანეს ძე – TSERTSVADZE SHALVA (31.1908, ქ. ზესტაფონი), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი. 1932 დაამთავრა სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტი აგროკლიმატოლოგის სპეციალობით. ქ. ლენინგრადში დაამთავრა აგრომეტეოროლოგთა უმაღლესი კვალიფიკაციის ექვსთვიანი კურსები. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მუშაობდა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში. 1932-34 მუშაობდა საქარის მევენახეობა-მეღვინეობის საცდელი სადგურის ლაბორანტად, შემდეგ მეცნიერ თანამშრომლად ფიტოპათოლოგის სპეციალობით, 1934-36 ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1936-37 მუშაობდა გეოფიზიკურ ობსერვატორიაში აგრომეტეოროლოგთა ჯგუფის ხელმძღვანლად. 1937-41 ჰიდრომეტსამსახურში სოფლის მეურნეობის მომსახურებას ხელმძღვანელობდა. ამავე პერიოდში მონაწილეობდა პროფ. სელიანინოვის ჯგუფში, რომელიც სუბტროპიკული კულტურების გავრცელების და წარმოების აგრომე-

ტეოროლოგიურ პირობებს სწავლობდა. შ. ცერცვაძის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა აგრომეტეოროლოგიის სადგურთა ქსელი და 200-მდე მიკროკლიმატურ დაკვირვებათა პუნქტი სუბტროპიკულ ზონაში. 1941 გაწვეულ იქნა საბჭოთა არმიაში, სადაც იყო ავიამეტეოროლოგიის ქსელის უფროსი ინჟინერ-კაპიტნის წოდებით. 1942-დან ჰიდრომეტსამსახურის უფროსია ომის დამთავრებამდე. 1946 დემობილიზებულ იქნა გვარდიის ინჟინერ-მაიორის წოდებით და მიწვეული იყო მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1954 სამუშაოდ გადადის ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, რომელიც მისი ერთ-ერთი დამაარსებელია. 1979-მდე ამ ინსტიტუტის აგრომეტეოროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი იყო. 1979-დან უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კლიმატური ცვლილების გავლენა ციტრუსების ინფექციური ხმობის მალსეკოს გავრცელებაზე". გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და რუკა, რომლებიც ეხება აგრომეტეოროლოგიის საკითხებს. იგი არაერთი შრომისა და მონოგრაფიის რედაქტორი და რეცენზენტია. შედგენილი აქვს რაიონების აგრომეტეოროლოგიური და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ფენოლოგიური რუკები. კვლევის შედეგების ნაწილი დანერგილია წარმოებაში. მისი ორგანიზატორობით ტარდებოდა გამსვლელი სამეცნიერო სესიები და კონფერენციები. იგი დაჯილდოებულია შრომის წითელი დროშის ორდენით (1964), სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედლით (1968), ომის წლებში სამი ორდენითა და მრავალი მედლით; მიღებული აქვს დამსახურებული აგრონომის წოდება (1984), ღირსების ორდენი (2000).

მონოგრ.: Руководство по агрометеорологическим прогнозам, т.I, Л., 1984 (соавт.); т.II, Л.,1984 (соавт.); Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л., 1988.

ცინცაძე თენგიზ ნოდარის ძე – TSINTSADZE TENGIZ (21.I. 1949, ქ. ოზურგეთი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1978 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ხმელეთის ჰიდროლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში ჯერ ინჟინერ-ჰიდროლოგის, შემდეგ (1982-87) საველე ექსპერიმენტული ბაზის უფროსად, ხოლო 1987-დან ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო-საწარმოო დარგში. 1985 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ჰიდრომეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედებით ხელოვნურად მდინარეთა ჩამონადენის გაზრდის ეფექტურობის განსაზღვრის ჰიდროლოგიური მეთოდი". გამოქვეყნებული აქვს 28 სამეცნიერო ნაშრომი. არის 14 ცნობარის, მონოგრაფიის და შრომათა კრებულის რედაქტორი.

ᲗᲝᲛᲐᲘᲐ ᲕᲐᲡᲘᲚ ᲨᲐᲠᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ – TSOMAYA VASIL (1.X.1919, ს. პატარა კვათანა, აბაშის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (2002). 1938 სწავლობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ჰიდროლოგიის სპეციალობაზე, საიდანაც 1941 გაიწვიეს წითელი არმიის რიგებში. 1942 დაამთავრა ბაქოს საზენიტო-საარტილერიო სასწავლებელი. ომის პერიოდში მსახურობდა კრასნოვოდსკის, ასტრახანის და გომელის სამხედრო ნაწილებში. 1945 დემობილიზებულ იქნა და სწავლა გააგრძელა თსუ-ში, რომელიც 1948 დაამთავრა. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის ჰიდროლოგიურ განყოფილებაში ჯერ ტექნიკოსად, შემდეგ განყოფილების უფროსად. 1953 სამუშაოდ გადადის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში, სადაც ჯერ უმცროსი, შემდეგ უფროსი მეცნიერი თანამშრომელია, შემდეგ ჰიდროპროგნოზების და გლაციოლოგიის სექტორის, ჰიდროლოგიური განყოფილების უფროსი, ლაბორატორიისა და სექტორის გამგე. შეთავსებით სხვადასხვა წლებში მუშაობდა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე დოცენტად და პროფესირად. 1956 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „თოვლის დაგროვება საქართველოს მდინარეების წყალშემკრებ აუზებში და მისი რეჟიმების პარამეტრების განსაზღვრა“, ხოლო 1996 სადოქტორო დისერტაცია – „მთიან რეგიონებში თოვლდაგროვების კანონზომიერებათა გლაციოლოგიური და ჰიდროლოგიური საფუძვლები (საქართველოს მაგალითზე)“. გამოქვეყნებული აქვს 165 ნაშრომი. არის 6 კრებულის და 1 მონოგრაფიის რედაქტორი. დაჯილდოებულია მთავრობის 2 ორდენით, 16 მედლით, 2 საპატიო სიგელით, სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ბრინჯაოს მედლით და დიპლომით, სსრკ ჰიდრომეტეოროლოგიის სამსახურის ვ. გლუშკოვის და ე. ურივაევის პრემიით (1991), სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო დიპლომით (1984), თსუ სამეცნიერო პრემიით (1993), ღირსების მედლით (2000). არის საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიისა (2000) და ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი (2002).

მონოგრ.: ჭაღარა კავკასიონის ახალგაზრდობის ხანა, თბ., 1985; სამეგრელო. ბუნება, მოსახლეობა, მეურნეობა (გეოგრაფიული ასპექტები), თბილისი-ზუგდიდი, 2000 (თანაავტ.); Руководство по снегомерным работам в горах, Л., 1958 (соавт.); Материалы наблюдений над снежным покровом в горах Кавказа. Л.,1959 (соавт.); Руководство по гляциологическим работам в горах, Л., 1960 (соавт.); Гидрологический режим и водные ресурсы Западного Закавказья, Л.,1969 (соавт.); Гидрографические описания рек, озер и водохранилищ Западного Закавказья, Л., 1974 (соавт.); Католог ледников СССР. т. 8 и 9. Л., 1975; 1976; 1978 (соавт.); Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1983 (соавт.); Прогноз гидрометеорологических условий

Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.); Водные ресурсы Закавказья, Л., 1988 (соавт.); Колхидская низменность. Природные условия и социально-экономические аспекты, Л., 1989 (соавт.); Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования, 1991 (соавт.); Климат Тбилиси, С-П., 1992 (соавт.); Атлас снежно-ледовых ресурсов мира, М., 1997 (соавт.).

ᲝᲛᲐᲘᲐ ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲘᲕᲐᲜᲔᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – TSOMAYA TINATIN (2.IV.1912, თბილისი, – 30.I.1975, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1956). 1934 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მუშაობა დაიწყო გეოგრაფიის კათედრაზე. 1937 დაამთავრა ასპირანტურა აკად. ალ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით. 1938 მუშაობა დაიწყო ჰიდროლოგიისა და კლიმატოლოგიის კათედრაზე. კითხულობდა ლექციებს კლიმატოლოგიაში, მიკროკლიმატოლოგიაში, სსრ კავშირის კლიმატოგრაფიაში, რეგიონალურ კლიმატოლოგიასა და სხვა. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც. 1952 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ფიონები რიონის ხეობაში". აღნიშნულ შრომაში დეტალურადაა მოცემული მთიანი ქვეყნებისათვის დამახასიათებელი მეტად უჩვეულო, დაღმავალი, მშრალი და თბილი, ხშირად ცხელი ქარის კლიმატური თავისებურება და მისი სახალხო-სამეურნეო და კლიმატური მნიშვნელობა. მკვლევარის ყურადღება მიიქცია ამ ქარის ბუნებამ, რადგან მას როგორც ზიანის მოტანა შეუძლია, ისე დადებით გავლენასაც ახდენს კლიმატურ პირობებზე. ამ გამოკვლევას პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა აქვს. მას ეკუთვნის 40-მდე სამეცნიერო შრომა, რომელთა ერთი ნაწილი გამოქვეყნებულია.

ᲝᲛᲐᲘᲐ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲠᲐᲘᲜᲓᲘᲡ ᲫᲔ – TSOMAYA JUMBER (10.II.1958, ქ. ფოთი), აფროსანი, მოგზაური. 1981 დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი მწვრთნელ-პედაგოგის სპეციალობით. 1979-89 ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. 1981-დან გადაყვანილ იქნა ქ. ფოთის საიალქნო კლუბის დირექტორად და პარალელურად ასრულებდა საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის მოვალეობას. 1971-81 იყო საქართველოს უცელელი ჩემპიონი და ყოფილი სსრკ სპარტაკიადების და პირველობების პრიზიორი. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ქ. ფოთში აშენდა ერთ-ერთი საუკეთესო საიალქნო კლუბი, სადაც საქართველოს ნაკრებთან ერთად საერთაშორისო და ოლიმპიური თამაშებისათვის საწვრთნო შეკრებას გადიოდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი. 1988 მიწვეულ იყო უითბრედის საერთაშორისო დედამიწის გარშემო აფროსანთა შეჯიბრების რეგატაში ნავ „ფაზისის" შემადგენლობაში. ეს პირველი შემთხვევაა

საქართველოს სპორტის ისტორიაში, როცა ქართველმა სპორტსმენმა შეასრულა დედამიწის გარშემოვლა იალქნიანი ნავით. ნავი ფოთის გემთმშენებელი ქარხნის ბაზაზე აშენდა, რაშიც თვით ჯ. ცომაია იღებდა აქტიურ მონაწილეობას. ნავის წყალწვა 22 ტ, სიგრძე 25,3 მ, სიგანე 6 მ, წყალჯდომა 4 მ. მარშრუტი იყო – საუთჰემატინი (დიდი ბრიტანეთი) – პუენტა-დე-ერტა (ურუგვაი) – ფრიმატლი (ავსტრალია) – ახალი ზელანდია (ოკეანეთი) – პუენტა-დე-ლესე (ურუგვაი) – ფორტ-ლოდერდიელი (აშშ) – საუთჰემპტინი (დიდი ბრიტანეთი). მანძილი სტარტიდან ფინიშამდე 33 ათასი საზღვაო მილი იყო. მოგზაურობა-შეჯიბრება დაიწყო 2.IX.1989 და დამთავრდა 25.V.1990. ამ რბოლა შეჯიბრებაში მან ორჯერ გადალახა ატლანტის ოკეანე. დაჯილდოვდა ინგლისის სამეფო ფლოტის ადმირალტეიტეტის მედლითა და საპატიო დიპლომით. დედამიწის გარშემო ამ მოგზაურობა-შეჯიბრის შესახებ მსოფლიოს ყველა უდიდეს გაზეთებში („ტაიმსი", „გარდიანი", „ლა მონდი", „ვაშინგტონ პოსტი") და ჟურნალებში („ლაიფი", „პალმ ბიჩ ილურატრეიტედი", „მეტრო") დაიბეჭდა მასალები. თვით ჯ. ცომაიას განზრახული აქვს მოგზაურობის დღიურები ცალკე წიგნად გამოსცეს. ამჟამად იგი ფოთის აფროსნობის კლუბის ხელმძღვანელია.



ლიტ.: მანია გ. „ფაზისით" დედამიწის გარშემო, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი", 24.VIII.1991, ფურც. 9; журнал „Камера и Яхты", 1989-90.

ცუცქირიძე იასონ ალექსის ძე – TSUTSKIRIDZE IASON (29.III.1908, ს. დეისი, ხარაგაულის რ-ნი, – 8.VII.1989, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1971). 1932 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. 1933-38 მუშაობდა თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში, 1938-დან ობსერვატორიის დირექტორად, 1941-42 ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურში, 1943-53 იყო თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორიის დირექტორი, ხოლო 1953-79 ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტში კლიმატოლოგიის ლაბორატორიის გამგე, 1979-დან მეცნიერ კონსულტანტი. 1938-41 ასპირანტურის კურსი გაიარა ლენინგრადის მთავარ გეოფიზიკურ ობსერვატორიაში აქტინომეტრიის სპეციალობით. იქვე, 1949 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1969 სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს ტერიტორიის რადიაციული და თერმული რეჟიმი". ავტორია 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, რომლებიც მიძღვნილია მთიანი რეგიონების კლიმატის გენეტიკური კლასიფიკაციისა და რადიაციული ბალანსის მდგენელების განაწილების კანონზომიერების დადგენის, კლიმატური რესურსების კვლევის და სხვ. აქტუალურ საკითხებისადმი. არის რამდენიმე წიგნის სამეცნიერო რედაქტორი და რეცენზენტი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენებით (1944, 1952), მედლებით.

მონოგრ.: გეოფიზიკის ტერმინოლოგია (რუსულ-ქართულ ენებზე) თბ., 1988 (თანაავტ.); Климат и климатические ресурсы Грузии, Л., 1971 (соавт.); Опасные гидрометеорологические явления на Кавказе, Л., 1980 (соавт.); Прогноз гидрометеорологических условий Колхидской низменности после осушения, Л., 1983 (соавт.); Климат Тбилиси, С-П.,1992 (соавт.).

ცხაკაია სერგი გიორგის ძე – TSKHAKAYA SERGI (4.IV.1880, ს. კოკი, ზუგდიდის რ-ნი, – 20.XI.1966, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1950). 1904 დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-ტოპოგრაფიული სასწავლებელი. 1904-13 ჩაატარა ტოპოგრაფიული სამუშაოები პოლონეთში, მანჯურიასა და კავკასიაში. 1913-14 მონაწილეობდა თურქეთ-სპარსეთის საზღვრების დამდგენ ინგლის-რუსეთის საერთაშორისო კომისიაში. ტოპოგრაფიულ სამუშაოებს ეწეოდა მდ. არაქსის, ჭოროხის და ევფრატის სათავეებში. 1917 საქართველოს ტოპოგრაფიულ განყოფილებაში ტრიანგულიატორად, 1919 ამ განყოფილების ხელმძღვანელია. შეთავსებით მუშაობდა თსუ-ში, კარტოგრაფიის ინსტიტუტსა და გეოგრაფიის ინსტიტუტში. მისი მონაწილეობით შედგა და გამოიცა მრავალი ზოგადგეოგრაფიული, თემატური რუკები და ატლასი. მათ შორის აღსანიშნავია, 1:200000 მასშტაბის საქართველოს 12 ფურცლიანი რუკა. ეს იყო იმ დროისათვის სსრ კავშირში შედგენილი ერთადერთი ეროვნული რუკა, რომელიც

საერთაშორისო სტანდარტებს პასუხობდა. 1929 დაინიშნა ამიერკავკასიის გეოდეზიის სამმართველოს კარტოგრაფიული განყოფილების ხელმძღვანელად. 1932 ამიერკავკასიის კარტოგრაფიული ტრესტის ტექნიკური დირექტორია, ხოლო 1936 კი ამიერკავკასიის ტოპოგრაფიული ტექნიკუმის სამეცნიერო ხელმძღვანელია. 1934-დან თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის დოცენტია, ხოლო 1936-დან ტოპოგრაფია-კარტოგრაფიის კათედრის გამგე. ლექციებს კითხულობდა გორის, სოხუმის, ქუთაისის, ზუგდიდის და ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და სასწავლებლებში. იყო აგრეთვე ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიული განყოფილების გამგე. 1947 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „რუკათმცოდნეობა ტოპოგრაფიის საფუძვლებით". მას გამოკვლეული აქვს საქართველოსა და კავკასიის გეოდეზიური და კარტოგრაფიული შესწავლილობის ისტორია. შექმნა რამდენიმე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლისათვის.

სახელმძღვ.: რუკათმცოდნეობა ტოპოგრაფიის საფუძვლებით, თბ., 1946; გეოდეზიის სახელმძღვანელო, თბ., 1951; კარტოგრაფია, თბ., 1962.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 90; ასლანიკაშვილი ა., ჯავახიშვილი შ., ს. ცხაკაია, — „მეცნიერება და ტექნიკა; 1980, №3, გვ. 24-26; ქართული ენციკლოპედია, ტ. II, 1987, გვ. 247; ხარაძე კ., ს. ცხაკაია, საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986.

ცხოვრებაშვილი შოთა ალექსანდრეს ძე – TSKHOVREBASHVILI SHOTA (12.VIII.1921, ქ. ხაშური), პროფესორი (1989). 1942 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფ-გეომორფოლოგის კვალიფიკაციით. აქვე, 1945 დაამთავრა ასპირანტურის კურსი და 1947 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „შიდა ქართლის ბარის დასავლეთი ნაწილის გეომორფოლოგია", 1949 მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. 1967 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „აჭარა-თრიალეთის მთაგრეხილის გეომორფოლოგია". 1945-1947 მუშაობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1947-დან მუშაობს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. კითხულობს ლექციებს ზოგად დედამიწათმცოდნეობასა და ზოგად გეომორფოლოგიაში. 1970-81 იყო გეომორფოლოგიის კათედრის გამგე. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო, სასწავლო და სამეცნიერო პოპულარული ნაშრომი, რომელთაგან 9 ცალკე წიგნადაა გამოცემული. მათში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ორი მიმართულებითაა — საქართველოს გეომორფოლოგიური შესწავლისა და გეომორფოლოგიური კვლევის მეთოდების დამუშავების ხაზით. აღსანიშნავია, მესხეთისა და თრიალეთის მთაგრეხილის გამყინვარების, მთიან მხარეებში არსებულ მოსწორებული ზედაპირების რაოდენობის განსაზღვრის სტატისტიკური

მეთოდის, მესხეთის ქედზე ჰუმიდური პავის პირობებში გეომორფოლოგიური „პარადოქსის“ და გენეზისის ახსნა, ბორჯომის ხეობის გენეზისის, აჭარა-იმერეთის ქედის მაღალი მთების მორფოლოგიური ასიმეტრიის ფაქტის დადგენა და მისი მიზეზების ახსნა, შიდა ქართლის ფარგლებში მტკვრის ხეობის განვითარების ისტორიის ახლებური გაშუქება და სხვ. მიღებული აქვს „საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება (1983).

მონოგრ. და სახელმძღვ.: მუდმივი მზრალობა, თბ., 1953; ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიის პრაქტიკუმი, თბ., 1955; არქტიკის ყინულოვან უდაბნოში, თბ., 1963; აჭარა-თრიალეთის მთაგრეხილის გეომორფოლოგია, ნაწ. I, თბ., 1978; ზოგადი გეომორფოლოგიის მოკლე კურსი, თბ., 1980; მეთოდური მითითებები გეომორფოლოგიაში, თბ., 1989. გეომორფოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1996 (თანაავტ.); ზოგადი გეომორფოლოგია, თბ., 1997; Геоморфология Грузии, Тб., 1971 (соавт.).

ძაძუა ჯემალ მამიას ძე – DZADZUA JEMAL (15.V.1939, თბილისი), 1957 დაამთავრა თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი და იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის გეოდეზიის, აეროგეოდეზიისა და კარტოგრაფიის ინსტიტუტში. 1961 მუშაობა დაიწყო თსუ ხმელეთის, ჰიდროლოგიის, კლიმატოლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. 1962 სწავლა გააგრძელა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით, რომელიც 1965 დაამთავრა. სწავლის პერიოდში პარალელურად მუშაობდა ხმელეთის ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე ჯერ კარტოგრაფის, უფროსი ლაბორანტის, ხოლო 1995-დან უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. 1968-1972 დროებით სამუშაოდ გადაყვანილ იქნა „საქქალაქმშენსახპროექტის“ ინსტიტუტში რაიონული დაგეგმარების განყოფილებაში ჯგუფის ხელმძღვანელად, სადაც მისი უშუალო მონაწილეობით დამუშავებულ იქნა ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება „საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის საკურორტო მეურნეობის განვითარების პერსპექტივები 1980-2000 წლისათვის“. აღნიშნული შრომა შემდეგ დამტკიცებულ იქნა როგორც საკვალიფიკაციო თემა. 1972-დან თსუ თანამშრომელია. 1998-დან საქართველოს გეოგრაფიის კათედრაზეა უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე. აგრეთვე, საერთაშორისო ბიზნესის ფაკულტეტზე ასრულებს დეკანის მოადგილის მოვალეობას სასწავლო მუშაობის დარგში. გამოქვეყნებული აქვს 22 სამეცნიერო შრომა, რომლებშიც განხილულია საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლის რეკრეაციული მეურნეობის განვითარების ძირითადი საკითხები. მას კარტოგრაფიულად გაფორმებული აქვს 15 სახელმძღვანელო ეთნოგრაფიაში, არქეოლოგიაში, ხმელეთის ჰიდროლოგიაში, ისტორიაში და საქართველოს ნიადაგებში.

მონოგრ. და სახელმძღვ.: ქართველ ტომთა ურთიერთობა გარე სამყაროსთან ბრინჯაოს ხანაში, თბ., 1999; საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვ.), თბ., 2000 (თანაავტ.).

ძიძიგური იულია ანდრიას ასული – DZIDZIGURI IULIA (26.IV.1914, ქ. ბაქო, – 1.VI.2002, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1960). 1937 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. იქვე გაიარა ასპირანტურის კურსი ალექსანდრე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ფიზიკურ ქვეყანათმცოდნეობაში. 1941-44 ეწევა პედაგოგიურ მუშაობას თსუ და თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს სსრკ ფიზიკურ გეოგრაფიაში. 1945-52 მუშაობდა ზუგდიდის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტში დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო ნაწილში და გეოგრაფიის კათედრის გამგედ. 1952-53 საქ. განათლების სამინისტროს უმაღლესი სკოლების სამმართველოში მუშაობს უფროს ინსპექტორად, ხოლო შემდეგ გადაჰყავთ სოხუმის მ. გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. იქვე მუშაობდა ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანად. 1957-85 იგი მუშაობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ დოცენტად გეოგრაფიის კათედრაზე, ხოლო შემდეგ ამავე კათედრის გამგედ, 1985-დან თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრის დოცენტად. სასწავლო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად იგი სამეცნიერო მოღვაწეობასაც ეწეოდა. 1950 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „სამეგრელოს ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათებისათვის", რომელიც ძირითადად ავტორის მიერ ველზე მოპოვებული მასალების მიხედვითაა გაკეთებული. ავტორია 53 სამეცნიერო შრომისა, რომლიდანაც 23 გამოქვეყნებულია. მისი სამეცნიერო მუშაობა კომპლექსურ ხასიათს ატარებდა. ამასთან, ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მისი მონაწილეობით თარგმნილია „სსრკ ფიზიკური გეოგრაფიის" სახელმძღვანელო და პრაქტიკუმი. 1945-50 იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ზუგდიდის, ხოლო 1980-86 გორის ფილიალის თავმჯდომარე. მიღებული აქვს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1982).

ძიძიკაშვილი ნოდარ ივანეს ძე – DZIDZIKASHVILI NODAR (25.X.1947, თბილისი), ოკეანოლოგი. 1973 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ოკეანოლოგის სპეციალობით. 1974-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, ხოლო შემდეგ მეცნიერ თანამშრომლად. მონაწილეობდა ზღვის სანაპირო ზოლის ექსპედიციებში. წლების მანძილზე იყო ბიჭვინთისა და ანაკლიის სტაციონარებში ექსპედიციების ხელმძღვანელი. 1989-92 შეთავსებით ასრულებდა გეოგრაფიის ინსტიტუტის

დირექტორის მოადგილის (ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში) თანამდებობას. 1979-82 გაიარა მიზნობრივი ასპირანტურა ქ. მოსკოვის საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის შირშოვის სახ. ოკეანოლოგიის ინსტიტუტში. 1980-83 სამეცნიერო ექსპერიმენტებს ატარებდა მოსკოვის საკავშირო სატრანსპორტო ინსტიტუტის ჰიდროდინამიკურ ლაბორატორიაში საოკეანო პლატფორმების (დიდი მოცულობის ცილინდრების) მდგრადობის თეორიაში. 2000-02 არჩეული იყო იუნესკოსთან არსებული ეროვნული ოკეანოლოგიური კომიტეტის მდივნად. 2002-03 მიწვეული იყო ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის სამინისტროში ექსპერტად ოკეანოლოგიისა და ჰიდროლოგიის დარგში. გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი ზღვის სანაპირო ზონის მორფოლოგიასა და დინამიკაში, ასევე ჰიდროდინამიკაში, საოკეანო პლატფორმების უსაფრთხოების თეორიაში და ჰიდრონაგებობის გარშემო ფსკერის დეფორმაციებში.

წერეთელი დავით ბესარიონის ძე – TSERETELI DAVIT (17.IV.1905, ს. ჯვარისა, ამბროლაურის რ-ნი, –30.VII.1976, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1965). 1925 დაამთავრა ქ. ონის შრომის სკოლა და ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ამბროლაურის რაიონში. 1934 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოლოგიის სპეციალობით. ამავე დროს ჩააბარა გეოგრაფიის სპეციალობით გათვალისწინებული ყველა განსხვავებული საგანი. მუშაობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიურ განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. 1936-42 ამ განყოფილების გამგეა. 1942-46 იყო წითელი არმიის რიგებში. 1943-45 მივლინებით იმყოფებოდა ირანში, სადაც ასრულებდა გეოლოგიურ სამუშაოებს. 1946-დან კვლავ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გეოლოგიურ განყოფილებაშია, ხოლო 1951-დან ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. წლების განმავლობაში იყო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში. 1933, 1934 და 1936 მონაწილეობდა პამირის მაღალმთიან ექსპედიციებში, დალაშქრა 7000 მ სიმაღლის რამდენიმე მწვერვალი. შუა აზიის მაღალმთიანეთში მოგზაურობასა და კვლევით მუშაობას მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი. მას ერთ-ერთ პირველს მიენიჭა სპორტის ოსტატის წოდება ალპინიზმში. 1935, 1937, 1938 სწავლობდა კავკასიონის სამხრეთ ფერდის თანამედროვე მყინვარების მდგომარეობას და მეოთხეული დროის გამყინვარების საკითხებს. გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოს ნეოგენური ნალექების შესწავლისა და სტრატიგრაფიული დანაწილების საქმეში. 1948 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ჩრდილო ირანის დასავლეთი ნაწილის გეომორფოლოგიური მიმოხილვა“, ხოლო 1965 სადოქტორო დისერტაცია –

„საქართველოს პლეისტოცენური ნალექები". მასში დეტალურადაა გაშუქებული პლეისტოცენური ნალექების გენეტური ტიპები და მათი ურთიერთკავშირი. მოცემულია ცალკეული გენეტური ტიპის სტრატიგრაფიული დანაწილება და ასაკი, აღდგენილია საქართველოს მეოთხეული პერიოდის პალეოგეოგრაფიული სურათი. გამოქვეყნებული აქვს 120 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც მთავარი ადგილი უჭირავს საქართველოსა და კავკასიის მეოთხეული პერიოდის ნალექებს, მათი სტრატიგრაფიის, ტექტონიკის, პალეოგეოგრაფიის, გეომორფოლოგიის და გლაციოლოგიის საკითხებს. ნაშრომები გამოქვეყნებულია საზღვარგარეთაც (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, პოლონეთი და სხვ.). გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო პოპულარული ხასიათის სტატიები და ნაშრომები. მოღვაწეობდა თსუ-ში. მან საფუძველი ჩაუყარა მეოთხეული პერიოდის კვლევას, გლაციოლოგიისა და გამოყენებითი გეომორფოლოგიის საგნების სწავლებას. იყო ინიციატორი გეოგრაფიის ინსტიტუტში მეოთხეული გეოლოგიის განყოფილების ჩამოყალიბებისა, რომელსაც ხელმძღვანელობდა 15 წლის განმავლობაში. მანვე საფუძველი ჩაუყარა ინსტიტუტში გლაციოლოგიურ კვლევას. იყო სხვადასხვა დროის საერთაშორისო თუ საკავშირო ეროვნული კომიტეტის წევრი. დაჯილდოებულია საპატიო ნიშნის ორდენით (1952), მრავალი მედლითა და სიგელით.

მონოგრ.: ჩრდილო ირანის დასავლეთ ნაწილის გეომორფოლოგიური ნარკვევი, თბ., 1958; ფრიტიოფ ნანსენი, თბ., 1961; Плеистоценовые отложения Грузии, Тб., 1966.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, 1977; სოსელია მ. დიდი სიკეთე, გაზ. „თბილისი", 1986.2.VI.; ცაგარელი ა., კვერენჩხილაძე რ., მაისურაძე გ. მეცნიერი, ალპინისტი – „მეცნიერება და ტექნიკა", 1986, №9; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ქართული ენციკლოპედია, ტ. 11, 1987, გვ. 306.

ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲔᲛᲘᲚ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ – TSERETELI EMIL (20.I.1932, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (2003). 1955 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1955-1990 მუშაობდა სსრკ გეოლოგიის სამინისტროში მე-4 გეოლოგიური სამმართველოს VI, VII და XVI ექსპედიციებში, რომელიც აწარმოებდა რეგიონალურ საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევებს პამირ-ალაის მთიან სისტემაში და შუა აზიის სხვა რეგიონებში. 1960-63 სწავლობდა თსუ-ს ასპირანტურაში. 1964-დან მუშაობს საქართველოს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტში – საინჟინრო-გეოლოგიური პარტიის უფროსად, კომპლექსურ-ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური სადგურის მთავარ გეოლოგად, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ექსპედიციის და სამეც-

ნიერო-საწარმოო სამმართველოს „საქჰიდროგეო დაცვის“ უფროსის მოადგილის თანამდებობაზე, საინჟინრო-გეოეკოლოგიის სამმართველოს უფროსად, ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო-გეოლოგიის სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს უფროსის მოადგილედ საინჟინრო გეოლოგიაში, ბუნების სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო-გეოეკოლოგიური კვლევების ცენტრის „სტიქიას“ დირექტორად. 1965-დან ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას თსუ-ში. კითხულობს ლექციების კურსს საინჟინრო გეოლოგიაში, მეოთხეულ გეოლოგიაში, ბუნების კატასტროფული მოვლენების და გეოლოგიური გარემოს მონიტორინგული კვლევების საკითხებზე. შეთავსებით მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ეგზოდინამიკური პროცესების ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1966 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდის გეომორფოლოგია“, ხოლო 2003 სადოქტორო დისერტაცია — „ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენები და მდგრადი განვითარების პრობლემა საქართველოში და მოსაზღვრე ტერიტორიებზე“. გამოქვეყნებული აქვს 200-მდე სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 70-მდე საზღვარგარეთ. დამუშავებული აქვს 50-მდე მონოგრაფიული ხასიათის გეოლოგიური ანგარიში. არის რიგი რუკების ავტორი და რედაქტორი, 20-მდე რაციონალიზატორული წინადადების ავტორი. 1993-97 მონაწილეობდა საქართველო-თურქეთის ერთობლივ პროექტში, რომელიც აწარმოებდა კომპლექსურ გეოლოგიურ კვლევებს. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, სიმპოზიუმებში. სხვადასხვა წლებში იყო რამდენიმე სამეცნიერო დარგთა კომისიის წევრი. არის საქართველოს ეკოლოგიურ და საინჟინრო მეცნიერებათა აკადემიების წევრ-კორესპონდენტი. მიღებული აქვს რიგი ჯილდოები, მათ შორის სსრკ გეოლოგიის სამინისტროს საკავშირო ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური ინსტიტუტის საპატიო სიგელი (1973), საქართველოს ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის საპატიო სიგელი (1979), 27-ე საერთაშორისო გეოლოგიური კონგრესის საორგანიზაციო კომიტეტის დიპლომი და ვერცხლის სამკერდე ნიშანი (1984), სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მთავარი კომიტეტის ბრინჯაოს მდალი (1985), სსრკ გეოლოგიის სამინისტროს და გეოლოგიური საძიებო ორგანიზაციების მუშათა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი (1987) და სხვ.

მონოგრ.: თანამედროვე ეგზოგენური გეოლოგიური პროცესების შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები საქართველოს გეოლოგიის სამსახურში, თბ., 1976 (თანაავტ.); მიწისქვეშა ჰიდროსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობის და გეოლოგიური პროცესების შესწავლა და

პროგნოზირება, თბ., 2000 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Условия формирования селей в междуречье Иори и Алазани и меры по их предотворяньению, Тб., 1970; Инженерная геология СССР, Кавказ, Крым, Карпат, т. 8, М., 1978 (соавт.). Путеводитель экскурсии международного симпозиума - Проблемы инж. - геологии гидротехническом строительстве (на русск. и англ. яз.), Тб., 1979 (соавт.); Гидрология р. Бзыбь, Тб., 1981 (соавт.); Природные ресурсы Колхидской низменности, Тб., 1985 (соавт.); Охрана окружающей среды при проведении геологоразведочных работ в Груз. ССР, Тб., 1985 (соавт.); Селеопасные районы СССР, М., 1976 (соавт.); Геологические условия развития селей в Грузии, Тб., 1985 (соавт.); Генеральная схема противоэрозионных мероприятий на территории Грузии, Тб., 1988 (соавт.); Инжинерная геология СССР , М., 1990 (соавт.); Enginering Geological problems in Hydrotechnical Construction, Tbilisi, 1979 (co-author); Geological studies of area along Turkish - Georgian border, Ankara, 2001 (co-author).

ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ ᲯᲣᲛᲑᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ ᲫᲔ – TSERETELI JUMBER (20.IX.1932, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1956 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს საქართველოს გეოლოგიის სამსახურის სისტემაში, გეოლოგის, უფროსი გეოლოგის, პარტიის უფროსის თანამდებობაზე. ამჟამად მუშაობს გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის ბუნების სტიქიური პროცესებისა და საინჟინრო-გეოეკოლოგიის კვლევების ცენტრ „სტიქიას" მთიულეთის რეგიონის საწარმოო-სამეცნიერო საინჟინრო-გეოეკოლოგიური პარტიის უფროსად. მისი სამეცნიერო და პრაქტიკული მოღვაწეობა დაკავშირებულია საქართველოს ტერიტორიის საინჟინრო გეოდინამიკური და გეოეკოლოგიური პირობების შესწავლაზე, ბუნების სტიქიური პროცესების განვითარების კანონზომიერებების დადგენასთან, მათი პროგნოზირებისა და ღონისძიებების დასახვასთან, მოსახლეობისა და სამეურნეო-საინჟინრო ობიექტების სტიქიური კატასტროფებისაგან დაცვის მიზნით. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ჯავახეთის ვულკანური მთიანეთის გეომორფოლოგია". ავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, რომელთა ნაწილი უცხოეთშია დაბეჭდილი. 30-მდე გეოლოგიური ანგარიში აქვს შედგენილი. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა სპეციალური საინჟინრო გეოდინამიკური კვლევები და შეადგინა სხვადასხვა მასშტაბისა და შინაარსის თემატური რუკები. მის მიერ არის დამუშავებული ტრანსკავკასიის გაზსადენის მაგისტრალის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები. მონაწილეობდა დასავლეთის მიმართულების საერთაშორისო ნავთობსადენის ბაქო-სუფსის და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ტრასების საინჟინრო-გეოდინამიკური პირობების შეფასებაში. მიღებული აქვს „წიაღის დამსახურებული მაძიებლის" საპატიო წოდება, ღირსების ორდენი, მრავალი საპატიო

სიგელი და სხვ. არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა წევრ-კორესპონდენტი და ინჟინერ-გეოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის „MAS"-ის წევრი.

მონოგრ.: მიწისქვეშა ჰიდროსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობის და გეოლოგიური პროცესების შესწავლა და პროგნოზირება, თბ., 2000 (თანაავტ.); Инженерная геология СССР - Кавказ, Крым, Карпат, т. 8, М., 1978 (соавт.); Геологические условия развития селей в Грузии, Тб., 1985 (соавт.); Генеральная схема противоэрозионных мероприятий на территории Грузии, Тб., 1988 (соавт.).

ᲬᲘᲕᲬᲘᲕᲐᲫᲔ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲝᲗᲐᲡ ᲫᲔ – **TSIVTSIVADZE NODAR** (4.VI.1948, თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1984). 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ოკეანოლოგიის სპეციალობით. 1972-74 მუშაობდა აღნიშნული ფაკულტეტის მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, 1974-78 სსრკ ტრანსპორტის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ზღვის ნაპირდამცავი ნაგებობების შავი ზღვის განყოფილებაში ინჟინრად, უფროს ინჟინრად, უმცროს მეცნიერ თანამშრომლად. მონაწილეობდა რიგი ობიექტების პროექტირებაში (ბამი-ბაიკალის ტბის სანაპიროზე გამავალი დროებითი მაგისტრალები, ლენინგრადის დამბა მდ. ნევაზე, გრიგორიევსკის პორტი, ჩრდილოეთის ზღვაში დროებითი პორტ-თავშესაფარი, ბალტიის ზღვაზე თავისუფალი ხელოვნური პლაჟი. შავ ზღვაზე ნაპირდამცავი საშუალებები და სხვ.). 1984 სტაჟირება გაიარა დიდ ბრიტანეთში. 1984-დან არის თსუ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრის დოცენტი. 1982 ქ. მოსკოვში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ზღვის სანაპირო ზოლის ჰიდროდინამიკის ელემენტების გამოკვლევა", რომელიც ეხება ზღვის სანაპირო ზოლის ჰიდროდინამიკისა და ნაპირდაცვის აქტუალურ საკითხებს. გამოქვეყნებული აქვს 67 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 21 უცხოეთის გამოცემებში, მონოგრაფია – „ტალღები დინებაზე", რომელიც ეხება ზღვის სანაპირო ზოლში მიმდინარე პროცესებს. მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო კონფერენციებში საინჟინრო ოკეანოლოგიის განხრით. არჩეულია მსოფლიო ოკეანის შემსწავლელი კომისიის ლითოდინამიკის სამუშაო ჯგუფის წევრად (1982), მისი ხელმძღვანელობით თსუ ბაზაზე ჩატარდა I საკავშირო კონფერენცია სანაპირო ზოლში ნატანის ტრანსპორტირების საკითხებზე.

მონოგრ.: ტალღები დინებაზე, თბ., 1985 (თანაავტ.).

ᲬᲘᲥᲐᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲙᲣᲙᲣᲠᲘ ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘᲡ ᲫᲔ – **TSIKARISHVILI KUKURI** (12.VIII.1948, ქ. ბორჯომი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1973 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-მეტეოროლოგის სპეციალობით. 1973-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1978 ჩაირიცხა ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მაძიებლად. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია –

„დასავლეთ საქართველოს კარსტული მღვიმეების მიკროკლიმატი მათ მორფოლოგიასა და რეგიონის ლანდშაფტურ თავისებურებებთან დამოკიდებულებით". საქართველოს კარსტული ზოლის განსხვავებულ ბუნებრივ ლანდშაფტურ ზონაში მდებარე მსგავსი მორფოლოგიის მქონე სიღრუეებში ჩატარებული მეტეოდაკვირვებების სტატისტიკური დამუშავებით, ჩამოყალიბდა კონცეფცია მღვიმის ჰაერის ტემპერატურასა და აბსოლუტურ სინოტივეზე ჰიფსომეტრიული ფაქტორის გავლენის შესახებ, რაც ნებისმიერი სიმაღლითი ზონის მღვიმეებისათვის კლიმატური რეჟიმის პროგნოზირების საშუალებას იძლევა. დამუშავებული იქნა აგრეთვე რიგი პრაქტიკული საკითხები. ამჟამად აგრძელებს მუშაობას მთიანი მხარეების სპელეოკლიმატური, კარსტო-სპელეოგენეზის პრობლემაზე. გამოქვეყნებული აქვს 90-მდე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, მათ შორის 15 უცხოეთის გამოცემებში.

ჭაუჭანიძე ზურაბ ბიძინას ძე – TCHAVTCHANIDZE ZURAB (25.V.1953, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1997). 1976 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო თსუ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიისა და ოკეანოლოგიის კათედრაზე. 1979-80 მუშაობდა საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიის სამმართველოში, ხოლო 1980-დან მუშაობს საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ფიზიკისა და აგრომეტეოროლოგიის კათედრაზე. მუშაობდა აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის სპეციალურ უმაღლეს სკოლაში ლაბორატორიის გამგედ და არისტოტელეს სახ. ბერძნულ-ქართულ უნივერსიტეტში პრორექტორად. 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „გვალვებისა და ნალექიანი პერიოდების ფორმირების პირობები და განაწილების ხასიათი საქართველოს ტერიტორიაზე", ხოლო 1994 სადოქტორო დისერტაცია – „მთიანი ტერიტორიის დატენიანების კანონზომიერებანი და ნიადაგის ტენის რეგულირების პრობლემები (საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 60 სამეცნიერო ნაშრომი. 1995-დან არჩეულია საქართველოს აგროტექნოლოგიური აკადემიის აკადემიკოსად, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად (1995). სამეცნიერო ინტერესების ძირითადი სფეროა ტენის რეჟიმი და მისი რეგულირება მთიან რეგიონებში. შეისწავლა საქართველოში გვალვის ჩამოყალიბების მეტეოროლოგიური პირობები, მათი გეოგრაფიული კანონზომიერებანი, გვალვების მოსალოდნელი განმეორადობა, ნალექების გადანაწილება დახრილ ზედაპირზე, ნიადაგში ტენის რეგულირების პრობლემები. მუშაობს ატმოსფერო-ნიადაგის წყლის ბალანსის პრობლემაზე, კლიმატოლოგიასთან დაკავშირებული ეკოლოგიური სამართლის საკითხებზე. 1995-დან მსახურობს საქართველოს შსს აკადემიაში, კითხულობს ლექციების კურსს საქართველოს

გეოგრაფიაში, ეკოლოგიაში და ეკოლოგიურ სამართალში. მინიჭებული აქვს პოლიციის პოლკოვნიკის სპეციალური წოდება. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2003).

მონოგრ.: გვალვები, უნალექო და ნალექიანი პერიოდები საქართველოში, 1992 (თანაავტ.); ზოგადი დედამიწისმცოდნეობა, 1992 (თანაავტ.); Режим увлажнения территории Грузии. М., 1994 (соавт.).

ჭანტურია გია გიორგის ძე – TCHANTURIA GIA (23.V.1958, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1981 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. პარალელურად სწავლობდა თსუ საზოგადოებრივ ფაკულტეტზე საერთაშორისო მიმომხილველის სპეციალობით, რომელიც 1982 დაამთავრა, 1990 კი თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 1986-90 ასპირანტურის კურსი გაიარა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში პროფესორ დ. უკლებას ხელმძღვანელობით. სხვადასხვა წლებში სწავლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში, საზოგადოება „ცოდნის" გამგეობასთან არსებული „საერთაშორისო ურთიერთობისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიის" სკოლაში. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1982-დან მუშაობს თბილისის 55-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, 1987-2000 სკოლის დირექტორის მოადგილედ, ხოლო 2000-დან სკოლის დირექტორად. 1985-99 იყო ვაკის რაიონის მთავარი სპეციალისტი გეოგრაფიაში, 1997 მიენიჭა მასწავლებლის უმაღლესი კატეგორია. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელოები. სხვადასხვა დროს იმყოფებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებში – საფრანგეთი, ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო და სხვ. აქვს „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი, მედალი „შრომითი მამაცობისათვის". მინიჭებული აქვს თბილისის მერიის მიერ დაწესებული რაფიელ დანიბეგაშვილის პრემია (1998).

სახელმძღვ. და მონოგრ.: მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია, თბ., 1995; 1997; მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია (IX კლასის სახელმძღვ.), თბ., 1999-2000; 2001; 2002; საზღვარგარეთის ქვეყნების გეოგრაფია (X კლასის სახელმძღვ.), თბ., 2000, 2001; 2002; 2003; მისი უდიდებულესობა დედოფალი, თბ., 2003.

ჭეიშვილი ვერა იესეს ასული – TCHEISHVILI VERA (28.X.1914, თბილისი, – 25.VI.2002, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1978). 1931 დაამთავრა ამიერკავკასიის გეოდეზიურ სამმართველოსთან არსებული ერთწლიანი კარტოგრაფიული კურსები და იქვე დაიწყო მუშაობა. 1939 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1942-დან მუშობდა

თსუ გეოდეზია-კარტოგრაფიის კათედრაზე. 1943-47 გაიარა ასპირანტურის კურსი. 1970 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ცივ-გომბორის ქედის ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". ნაშრომში მოცემულია ამ მხარის პირველი, სრულყოფილი კომპლექსური ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება. შესრულებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი, აქედან 20 გამოქვეყნებულია. წლების განმავლობაში იგი კითხულობდა ლექციებს ტოპოგრაფიაში, კარტოგრაფიაში, ზოგადი გეოგრაფიული რუკების შედგენა-რედაქტირებაში, რუკების გაფორმებაში, საველე კარტოგრაფიასა და კარტოგრაფიულ ხაზვაში.

ჯეიშვილი ომარ აკაკის ძე – TCHEISHVILI OMAR (28.IX.1933, ქ. ქუთაისი, – 8.X.1964, თბილისი), გეოგრაფი. 1959 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის კარტოგრაფიულ განყოფილებაში მხაზველად. მონაწილეობდა საქართველო სსრ კომპლექსურ-გეოგრაფიული ატლასის რუკების შედგენაში. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პუბლიკაცია. შეადგინა მოკლე გეოგრაფიული ცნობარი (1977).

ჭინჭარაშვილი იზა ნიკოლოზის ასული – TCHINTCHARASHVILI IZA (7.IX.1975, ქ. სიღნაღი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1997 წარჩინებით დაამთავრა თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით. 1990-დან მუშაობს ქ. თელავის I საშუალო სკოლაში პედაგოგად, ხოლო 2002-დან თელავის ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ უნივერსიტეტში გეოგრაფია-ბიოლოგიის კათედრის დოცენტად. 1998-დან იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის მაძიებელი სპეციალობით „მეტეოროლოგია, კლიმატოლოგია, აგრომეტეოროლოგია". 2002 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კახეთის რეგიონის კლიმატური რესურსების კომპლექსური შეფასება". გამოქვეყნებული აქვს ათამდე სამეცნიერო ნაშრომი.

ჭირაქაძე გიორგი იოსების ძე – TCHIRAKADZE GIORGI (31.VIII.1894, ქ. ქუთაისი, – 27.XI.1977, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1920 დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. 1922 მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოში გეოფიზიკური სადგურის უფროსად. პარალელურად 1927 მუშაობას იწყებს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნირო-კვლევით ინსტიტუტში განყოფილების გამგედ. აქ იგი აწარმოებდა საქართველოს კურორტების კლიმატური პირობების შესწავლას რეკრეაციული მიზნებისათვის. 1928-51 შეთავსებით მუშაობდა ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში

და ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ კომიტეტში. ეწეოდა ნაყოფირ პედაგოგიურ მუშაობას. კითხულობდა ლექციებს თსუ-ში, პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, გორის და ზუგდიდის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1936 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კურორტ ბახმაროს კლიმატური პირობები". მასში მოცემულია ბახმაროს კლიმატის დეტალური დახასიათება და მისი საკურორტო მნიშვნელობა. 1953-დან მუშაობდა თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას კლიმატოლოგიის აქტუალურ საკითხებზე. გამოაქვეყნა 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც გაშუქებულია კლიმატოლოგიის მრავალი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები.

მონოგრ.: Климатические условия курорта Джава, Тб., 1933; Климат Абастумани, Тб., 1935; Климатические условия Аджаристана и микроклиматические показатели для курорта Кобулети, Тб., 1936.

ლიტ.: ქართული ენციკლოპედია, ტ. 11, თბ., 1987, გვ. 401.

ხაზარაძე რევაზ დავითის ძე – KHAZARADZE REVAZ (21.IX.1933, ქ. ქუთაისი), გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი. 1957 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით. 1957-58 მუშაობდა საკავშირო გეოლოგიური სამმართველოს მე-7 ექსპედიციაში. 1959-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, უფროს ინჟინრად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1984-დან არის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, შეთავსებით ხელმძღვანელობს მეოთხეული გეოლოგიის განყოფილებას. 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. ენგურის აუზის რელიეფი, კონტინენტური ნაფენები და პლეისტოცენური გამყინვარება", რომელშიც კრიტიკულად არის განხილული მანამდე არსებული შეხედულება კავკასიონის გამყინვარებაზე და დადგენილია ძველი მყინვარების მოძრაობის მიმართულებები და მაქსიმალური გავრცელების საზღვრები. 2002 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „კავკასიონის პლეისტოცენური გამყინვარება". კვლევისას პირველად გამოყენებულია პეტროგრაფიული მეთოდი მორენული მასალის ტრანსპორტირების, მყინვარების მოძრაობის მიმართულებების დასადგენად, რამაც გარკვეული ცვლილებები შეიტანა მანამდე არსებულ შეხედულებებში. გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის უცხო ენებზეც. 1956-დან ეწევა ალპინისტურ საქმიანობას. დაპყრობილი აქვს კავკასიონის, პამირის, ტიან-შანის, ალპების მრავალი მწვერვალი, არის სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი და პრიზიორი, არჩეულია საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის პრეზიდიუმის წევრად. წლების მანძილზე იყო ამავე ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. მინიჭებული აქვს

სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება ალპინიზმში. არის საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალპინიზმში. დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით (1956, 1957, 1958), აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1962), ტაჯიკეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1957).

მონოგრ.: ცენტრალური კავკასიონის მყინვარებზე, 1977; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Древнее оледенение южного склона большого Кавказа, Тб. 1985; Грузия в антропогене, Тб., 1991 (соавт.).

ხანთაძე არჩილ გიორგის ძე – KHANTADZE ARCHIL (22.VII.1935, თბილისი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1981). 1960 დაამთავრა მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1960 მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში მაღალი ტემპერატურის ფიზიკის (პლაზმის ფიზიკის) განყოფილებაში. 1961 სამუშაოდ გადადის გეოფიზიკის ინსტიტუტში, სადაც კვლევით მუშაობას იწყებს ჰიდროდინამიკასა და მაგნიტურ ჰიდროდინამიკაში, ატმოსფეროს მაღალი ფენებისა და დედამიწის ახლომდებარე კოსმოსის ფიზიკის განხრით. აქვე, 1972 აირჩიეს ატმოსფეროს მაღალი ფენების ლაბორატორიის ხელმძღვანელად, 1974-1975 მუშაობს გეომაგნეტიზმის განყოფილების გამგედ, 1975-1981 იონოსფეროს ფიზიკისა და გეომაგნეტიზმის სექტორის განყოფილების გამგედ. 1984 ირჩევენ თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის და ოკეანოლოგიის კათედრის გამგედ. 1965 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მაგნიტურ ჰიდროდინამიკაში დინამიკურად შესაძლებელი დინების ზოგიერთი საკითხები". 1971 კი მოსკოვში დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაცია – „გამტარი ატმოსფეროს დინამიკის ზოგიერთი საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 140-მდე სამეცნიერო ნაშრომი. ბოლო 3 წელს 12 შრომა უცხოეთის გამოცემებშია დაბეჭდილი. ამჟამად, სხვა მეცნიერებთან ერთად მუშაობს ნიადაგის ნათობით დაჭუჭყიანების პრობლემებზე მილსადენის ავარიის შემთხვევაში. დაჯილდოებულია საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ღირსების ორდენით (2003).

მონოგრ.: Некоторые вопросы динамики проводящей атмосферы, Тб., 1973; Теория области F ионосферы, М.,1979 (соавт.).

ლიტ.: ბარათაშვილი ნ. გზა სიმდიდრისაკენ. გაზ. „კომუნისტი", 11.V.1988.

ხარატიშვილი მერაბ შოთას ძე – KHARATISHVILI MERAB (1.III.1941, თბილისი, – 6.VII.1996, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1963 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1968-დან მუშაობს ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე. შემდეგ ამავე კათედრის გამგე იყო. 1982 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მთიანი ტერიტორიის ლანდშაფტური ანალიზი სოფლის მეურნეობის მიზნებისათვის". არის 46 სამეცნიერო შრომის ავტორი. ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების ანალიზის გზით გამოიკვლია საქართველოს ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიული პრობლემები. ლანდშაფტები შეფასებულია ბუნებრივი პირობებისა და რესურსების რაციონალური გამოყენების პოტენციური შესაძლებლობების თვალსაზრისით. იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი და განათლების სამინისტროს გეოგრაფიის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი. დაჯილდოებული იყო ივანე ჯავახიშვილის სახ. საიუბილეო მედლით (1988).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1990; ფიზიკური გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1991.

ხარაძე კობა აპელეს ძე – KHARADZE KOBA (20.X.1940, ს. ჩხარი, თერჯოლის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1966 დაამთავრა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1966-69 მუშაობდა წალკისა და თეთრიწყაროს რაიონებში გეოგრაფიის მასწავლებლად. 1969-72 სწავლობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დასწრებულ ასპირანტურაში პროფ. ლევან მარუაშვილის ხელმძღვანელობით. 1973-დან დღემდე მუშაობს ამავე ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს და წამყვან მეცნიერ თანამშრომლად. 1993-დან ისტორიული გეოგრაფიის თემატური ჯგუფის ხელმძღვანელია. შეთავსებით მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში საქართველოს გეოგრაფიის კათედრაზე. სხვადასხვა წლებში შეთავსებით მუშაობდა ქუთაისისა და გორის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. 1973 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში (X-XVIII სს.)", ხოლო 1993 სადოქტორო დისერტაცია – „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქართლი." მისი კვლევის სფეროა გეოგრაფიის ისტორია და ისტორიული გეოგრაფია. ჩაატარა კვლევები ქართველ გეოგრაფებსა და მოგზაურებზე, გააანალიზა მოგზაურთა შთაბეჭდილებები გეოგრაფიული რაკურსით, შეადგინა მოგზაურთა მარშრუტული რუკები. საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიაში გამოიკვლია ასეულობით ძველი ქართული ტოპონიზმი (ლოკალიზაცია, ეტიმოლოგია), შეადგინა შესაბამისი რეტროსპექტული რუკები; ახალი

მონაცემების (არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური, საარქივო და სხვ.) საფუძველზე გამოიკვლია ისეთი საკითხები, რომლებიც ადრე ნაკლებად ან ბუნდოვნად იყო გადმოცემული (ძველი საზღვრები, ტოპონიმები, მიგრაციები და სხვ.). მოახდინა რიგი რეგიონების ძველი მოსახლეობის რეტროსპექტული კარტოგრაფირება. ასევე, შეისწავლა ისტორიული სამხედრო გეოგრაფია და საეკლესიო გეოგრაფია. ამ და სხვა საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 250-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატია. მათ შორის 25-ზე მეტი მონოგრაფია და სახელმძღვანელო. რამდენიმე თემატური რუკის ავტორია. დიდი წვლილი შეიტანა გეოგრაფიული მეცნიერების პროპაგანდის საქმეში. ამ მხრივ, ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა 300-ზე მეტი წერილი, რადიო-ტელევიზიით ათობით გადაცემა და გამოსვლა მიუძღვნა საქართველოს ბუნების ძეგლებს, ხუროთმოძღვრულ ძეგლებს, ტოპონიმებს და სხვა საკითხებს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით და აქტიური მონაწილეობით ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში შეიქმნა „მემორიალური მუზეუმი", რომელსაც 20 წელია საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვება, ხოლო გორის რაიონის სოფელ ძევერაში აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის და სენაკის რაიონის სოფელ ეკში აკადემიკოს თეოფანე დავითაიას სახლ-მუზეუმები. გეოგრაფიის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით შექმნა საიუბილეო კრებული – „ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი – 50". დიდი წვლილი შეიტანა „საქართველოს წითელი წიგნის" არაორგანული ბუნების ძეგლების განყოფილების ტექსტებისა და საილუსტრაციო მასალების დამუშავებაში. მისი რედაქტორობით გამოვიდა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფიის" ორი წიგნი –„სამცხე" და „ქართლი". არის რამდენიმე მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და ატლასის სამეცნიერო რედაქტორი და რეცენზენტი. თსუ სოხუმის ფილიალის გრიფით გამოვიდა 4 სახელმძღვანელო სპეციალურ საგნებში, მათ შორის „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია". მისი აქტიური მონაწილეობით ჩატარდა რესპუბლიკური 2 კონფერენცია და სხვ. არის საქართველოს მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირის (კლუბ „გიორგი") გამგეობის წევრი.

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს წითელი წიგნი, თბ., 1982 (თანაავტ.), ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი – 50, თბ., 1984; XII-XIV საუკუნეების ქართველი და უცხოელი მოგზაურები, თბ., 1987; XVII-XIX საუკუნის ქართველი მოგზაურები, თბ., 1987; საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; გეოგრაფიული აზროვნება ძველ საქართველოში, თბ., 1988; საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, არაორგანული ბუნების ძეგლები, 1988, თბ., 1987; საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი. ბუნება და ადამიანი, 1990, თბ., 1989; საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ქვემო ქართლი, თბ., 1991; საქართველოს ისტორიული გეოგრაფია.

შიდა ქართლი, თბ., 1992; ოსთა საკითხი, თბ., 1996 (თანაავტ.); გეოგრაფიული ცოდნის ისტორია ძველ საქართველოში, თბ., 1996; გლდანი. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბ., 1997; საქართველოს გეოგრაფია. სახელმძღვანელო არაგეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტებისათვის, თბ., 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. ზემო ქართლი, თბ., 2000; ჩხარი. ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბ., 2001; საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, თბ., 2001 (თანაავტ.); ბუნების უბადლო მკვლევარი. ლევან მარუაშვილი, თბ., 2002; ჯავახეთი. ხეროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები, თბ., 2003; საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, სახელმძღვანელო უნივერსიტეტის გეოგრაფიული სპეციალობის სტუდენტებისათვის, თბ., 2003; ზოგადი ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანავტ.).

ლიტ.: ჯიშკარიანი ჯ. ფუტკარიეთ დაუზარელი ... გლდანი – 2001, 14.VIII.1999, გვ. 4.

ხარიტონაშვილი ჯემალ ალექსანდრეს ძე – KHARITONASHVILI JEMAL (25.III.1941, თბილისი), გეომორფოლოგი. 1967 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1966-68 მუშაობდა საქართველოს გეოლოგიური სამმართველოს საინჟინრო ჰიდროგეოლოგიურ პარტიაში. 1968-დან მუშაობს თსუ გეომორფოლოგიის კათედრაზე. 1969-71 იყო ფაკულტეტის საღამოს და დაუსწრებელი სწავლების განყოფილების დეკანის მოადგილე. 1991-დან თსუ გეომორფოლოგიისა და გეოეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მეცნიერი თანამშრომელია. გამოქვეყნებული აქვს 40-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ. და სახელმძღვ.: თელავი – ისტორიულ-გეოგრაფიული სამეცნიერო ნაშრომი (ქართულ, რუსულ, ინგლისურ ენებზე), თბ., 1990; ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია (სალექციო კურსი), თბ., 1995 (თანაავტ.); მსოფლიოს ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია (დამხმარე სახელმძღვ. უმაღლესი სასწ. სტუდენტ.), თბ., 1999 (თანაავტ.); მსოფლიოს გლობალური პრობლემები (სახელმძღვ. უმაღლესი სასწ. სტუდენტ.), თბ., 2001.

ხარჩილავა თომა ტაიას ძე – KHARCHILAVA TOMA (17.I.1906, ს. ჯგალი, წალენჯიხის რ-ნი, – 24.II.1972, მოსკოვი, დაკრძალულია თბილისში), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი. 1932 დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში. 1933 დანიშნეს წალენჯიხის პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად. 1934 თბილისის გეოფიზიკურ ობსერვატორიაში ბრუნდება და მივლინებულ იქნა ქ. მოსკოვში ერთწლიან სინოპტიკურ კურსებზე. 1934-41 მუშაობდა საქართველოს ბათუმის ჰიდრომეტგანყოფილებაში ჯერ სინოპტიკოსად, შემდეგ უფროსად. 1941 გადაიყვანეს სომხეთში სამუშაოდ. 1945 ბრუნდება თბილისში და 1950-53 თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსია,

1953-56 გრძელვადიანი პროგნოზების ჯგუფის უფროსი, ხოლო 1956-57 თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი. 1957-70 ამიერკავკასიის რეგიონული ჰიდრომეტეოროლოგიურ კვლევით ინსტიტუტში, ხოლო 1970-დან დაბრუნდა ამინდის ბიუროს გრძელვადიან განყოფილებაში. იგი მაინც პოულობდა დროს სამეცნიერო სამუშაოებისათვის. 1965 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „უხვი ნალექები დასავლეთ საქართველოში". ამის შემდეგ მისი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უფრო ინტენსიური გახდა. იგი იკვლევდა თავსხმა ნალექების, ჭექა-ქუხილის, სეტყვის მოვლენების, ტემპერატურისა და ნალექების კლიმატურ და აეროსინოპტიკურ პირობებს, ამუშავებდა ამ მოვლენების პროგნოზების მეთოდიკას. 1971 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია — „ჰაერის ტემპერატურის, სიცივისა და სითბოს ტალღების და ატმოსფერული ნალექების თვიური ჯამის პროგნოზირების მეთოდი ამიერკავკასიაში და დაღესტნის ასსრ". გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: Метод прогноза средней месячной температуры воздуха, волны холода и тепла и месячных сумм атмосферных осадков в Закавказье и Дагестанской АССР, Л., 1970.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 92.

ხარჩილავა მერი თომას ასული — **KHARCHILAVA MERI** (15.VIII.1934, ქ. სენაკი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1963 დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტი. 1952 მუშაობა დაიწყო თბილისის მეტეოროლოგიურ სადგურში. 1964-67 მუშაობს ს.ს. ლარა-მედანში მთავარ აგრონომად, 1967-80 საქართველოს მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, 1980-86 ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოში უფროს ინჟინერ-აგრომეტეოროლოგად, 1986-92 ზუგდიდის რ-ის ს. კორცხელში აგრონომად, 1992-დან სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აგრო-ეკოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1977 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის დამოკიდებულება აგრომეტეოროლოგიურ პირობებზე და მისი პროგნოზირების შესაძლებლობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე". გამოქვეყნებულ სამეცნიერო შრომებში ძირითადად მოცემულია ნიადაგის პროდუქტიული ტენის მარაგის დამოკიდებულება ზოგიერთ მეტეოროლოგიურ ელემენტზე, აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგების სხვადასხვა ფენაში პროდუქტიული ტენის მარაგთა შორის კავშირი, საშემოდგომო ხორბლის მოსავლიანობის დამოკიდებულება აგრომეტეოროლოგიურ პირობებში და მისი პროგნოზირების შესაძლებლობა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე და სხვ.

ხელაშვილი იოსებ (სოსო) თენგიზის ძე – KHELASHVILI IOSEB (19.X.1957, ქ. ნიკოლაევი, უკრაინა), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1987). 1980 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1981-83 ასპირანტურის კურსი გაიარა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტში, მსოფლიო მეურნეობის გეოგრაფიის განყოფილებაში პროფესორ ვენიამინ გოხმანის ხელმძღვანელობით. 1985-93 მუშაობდა თსუ ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტის თანამდებობაზე. ამავე პერიოდში სტაჟირება გაიარა და ლექციებს კითხულობდა ოკლაჰომის და მიჩიგანის (აშშ) უნივერსიტეტებში, სვანსის (უელსი, ინგლისი) უნივერსიტეტში. 1993-96 მუშაობდა აშშ-ის საელჩოში (თბილისი) კონსულტანტად კომერციის საკითხებში. 1996-დან მუშაობს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში. 1997-2001 მუშაობდა აშშ-ში საქართველოს საელჩოში ეკონომიკურ საკითხებში მრჩევლის თანამდებობაზე. 2000 გაიარა უმაღლესი მენეჯმენტის კურსი ჰარვარდის (აშშ) ბიზნეს სკოლაში. 1984 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „უცხოური ტურიზმის რეკრეაციული რესურსების შეფასების პრინციპები და მეთოდები (საქართველოს მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 16 სამეცნიერო ნაშრომი ტურიზმის საკითხებზე. მათ შორის სახელმძღვანელო.

სახელმძღ.: ტურიზმის მარკეტინგის საფუძვლები (დამხმარე სახელმძღ.), თბ., 1992.

ხელაძე ზაალ ვლადიმერის ძე – KHELADZE ZAAL (20.IV.1963, ქ. სამტრედია), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1986 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. მუშაობა დაიწყო მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტში მეცნიერ თანამშრომლად. 1994 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობაში – მეტეოროლოგია, აგრომეტეოროლოგია, კლიმატოლოგია – „კლიმატური მახასიათებლების ემპირიულ განაწილებათა სტატისტიკური თვისებები საქართველოს ტერიტორიაზე". შრომაში გამოკვლეულია ძირითადი კლიმატური ელემენტების ემპირიულ განაწილებათა მაღალი რიგის მომენტები – დისპერსია, ასიმეტრია და ექსცესი; აგებულია მათი სივრცითი განაწილების ველები და გამოვლენილია ტერიტორიული ცვლილების ძირითადი კანონზომიერებანი; მოცემულია რეკომენდაციები კლიმატური ელემენტების ემპირიულ განაწილებათა თეორიული ფუნქციებით აპროქსიმაციისათვის. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომი.

ხელაძე თეიმურაზ ვლადიმერის ძე – KHELADZE TEIMURAZI (6.VI.1950, ქ. სამტრედია), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1973 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. მუშაობდა თსუ გეოფიზიკის კათედრაზე, შემდეგ მ. ნოდიას სახ. გეოფიზი-კისა და ჰიდრომეტეოროლოგიურ ინსტიტუტებში უფრ. მეცნ. თანამშრომელია. 1988 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სპეციალობით – მეტეოროლოგია, აგრომეტეოროლოგია, კლიმატოლოგია – „კლიმატური ველების მათემატიკურ-კარტოგრაფიული მოდელირება რელიეფის მორფომეტრული ფაქტორების გათვალისწინებით კავკასიონის სამხრეთ ფერდობისათვის (საქართველოს ფარგლებში)". მის სამეცნიერო შრომებში განხილულია კლიმატური ველების მოდელირება მთიანი რაიონებისათვის მეტეოსადგურებით იშვიათი ქსელის შემთხვევაში, თეორიული მიდგომის საფუძვლები და გამოკვლევის მეთოდები. დაამუშავა მეტეოროლოგიური სადგურების, ობიექტური კლასიფიკაციის მეთოდიკა ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით. გამოავლინა რელიეფის გავლენის მექანიზმი კლიმატური ველების ფორმირებაზე სინოპტიკური პროცესების გათვალისწინებით; დაამუშავა კლიმატური ველების მათემატიკურ-კარტოგრაფიული მოდელირების მეთოდები. გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო ნაშრომები.

მონოგრ.: კლიმატური ველების მათემატიკური მოდელირება, თბ., 1997.

ხეცურიანი თენგიზ გივის ძე – KHETSURIANI TENGIZ (31.VII.1947, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1994). 1971 დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ფიზიკის ფაკულტეტი ლითონთა ფიზიკის სპეციალობით. იმავე წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკის კათედრის უფროს მასწავლებლად, დოცენტად (1994). 1995-დან მუშაობს ქ. თბილისის 161-ე საშუალო სკოლის მასწავლებლად. 1993 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მიწისპირა ქარის რეჟიმის მათემატიკური მოდელირება მთის რელიეფის პირობებში (საქართველოს ტერიტორიის მაგალითზე)". გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი. მათში განხილულია მთიანი რელიეფის გავლენა მიწისპირა ქარის რეჟიმის ჩამოყალიბებაზე და მიღებული შედეგების გამოყენება მთიანი რაიონების ათვისებასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაში.

ხვიჩია მაყვალა სამუელის ასული – KHVICHIA MAKVALA (25.XI.1932, თბილისი, – 2.VI.1997, იქვე), 1954 წარჩინებით დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი ატმოსფეროს ფიზიკის სპეციალობით. ამავე ფაკულტეტზე გაიარა ასპირანტურის კურსი. 1954-92 მუშაობდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

დამუშავებული აქვს ატმოსფერული ნალექების, ღვარცოფებისა და სხვ. საკითხები. შედგენილი აქვს მრავალი კლიმატური რუკა, როგორც მთლიანად საქართველოსათვის, ისე ცალკეული რეგიონებისათვის.

მონოგრ.: Климат и климатические ресурсы Грузии, Л., 1971 (соавт.); Опасные гидрометеорологических явления на Кавказе, Л., 1983 (соавт.); Климат Тбилиси. С. - П., 1992 (соавт.).

ᲮᲘᲓᲐᲨᲔᲚᲘ ᲜᲐᲠᲒᲘᲖᲘ ᲨᲐᲚᲕᲐᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – **KHIDASHELI NARGIZ** (18.IX.1940, თბილისი.), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1965 დაამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი მყარი ტანის სპეციალობით. 1965-70 მუშაობდა ზონალურ სამეცნიერო-საპროექტო კვლევით ინსტიტუტში. 1970-დან თსუ მეტეოროლოგია-კლიმატოლოგიის და ოკეანოლოგიის კათედრაზე. 1974 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „რადიაციული რეჟიმის (ენერგეტიკული, ულტრაიისფერი და განათებულობის) შეფასება რთული რელიეფის პირობებში, ქ. თბილისის მაგალითზე". მასში მოცემულია სამშენებლო კლიმატოლოგიის აქტუალური საკითხები – სხვადასხვა დახრილობის ზედაპირზე მოსული პირდაპირი, გაბნეული და ჯამური რადიაციის გამოთვლა, ჰორიზონტის სხვადასხვა დახურულობის დროს, განათებულობისა და ატმოსფეროს გამჭვირვალობის შეფასება და სხვ. მუშაობს აქტინომეტრიასა და ატმოსფეროს ეკოლოგიაში. იკვლევს ატმოსფეროში აეროზოლების დაგროვების მეტეოროლოგიურ პირობებსა და ატმოსფეროს გაჭუჭყიანების მეტეოპირობებზე გავლენას მათი ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. გამოქვეყნებული აქვს 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: ღრუბლების მიკროფიზიკა, თბ., 1985 (თანაავტ.).

ᲮᲘᲢᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲔᲗᲔᲠ ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲡ ᲐᲡᲣᲚᲘ – **KHITALISHVILI ETHER** (25.XII.1938, ს. არანისი, დუშეთის რ-ნი), უფროსი მასწავლებელი. 1961 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით და დატოვებულ იქნა ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად. 1982-დან უფროსი მასწავლებელია. 1966-69 გაიარა ასპირანტურის კურსი ზოგადი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. მუშაობს საქართველოს ნაკრძალების ლანდშაფტურ-ეკოლოგიურ პრობლემებზე. გამოქვეყნებული აქვს 17-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. შეადგინა კავკასიის ოროჰიდროგრაფიული რუკა 2,5 მლნ მასშტაბში, დანართით „კავკასიის გეოგრაფიული ცნობარი" (2003). მუშაობს კავკასიის ფიზიკური გეოგრაფიის სალექციო კურსის შედგენაზე. სამეცნიერო-კვლევითი თემატიკა განისაზღვრება დაცული ტერიტორიების როლით ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების, გარდაქმნისა და გაუმჯობესების პრობლემური საკითხებით. დაჯილდოებულია განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით (1982).

ხმალაძე გიორგი ოთარის ძე – KHMALADZE GIORGI (24.V.1958, თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (2001). 1980 წარჩინებით დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროგეოლოგიის სპეციალობით. 1980-83 სწავლობდა ასპირანტურაში. 1983-დან მუშაობა დაიწყო თსუ ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე ასისტენტის თანამდებობაზე. 1999-დან კათედრის დოცენტია. 1998 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდინარის ჩამონადენი და ატმოსფერული ნალექების სტატისტიკური ანალიზი და მოდელირება". 2001 მიენიჭა დოცენტის წოდება. გამოქვეყნებული აქვს 21 სამეცნიერო ნაშრომი. კვლევის ძირითადი მიმართულებაა წყალსაცავების ოპტიმალური მართვა, ჯგუფური მოდელირება ჰიდროლოგიაში და სხვ.

ხმალაძე გრიგოლ ნიკოლოზის ძე – KHMALADZE GRIGOL (24.IV.1904, ს. უფლისციხე, გორის რ-ნი, – 11.V.1985, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1969). 1923 ჩაირიცხა თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკის ფაკულტეტზე, მაგრამ მესამე კურსიდან ველარ გააგრძელა სწავლა უსახსრობის გამო. 1925 მუშაობა დაიწყო თბილისის საზოგადოებრივ სამმართველოში მუშად. 1927 გადავიდა ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოში, ხოლო 1929 გადაიყვანეს საცდელ-საკვლევ წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში უფროს ტექნიკოსად. 1930 გადავიდა ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიურ კომიტეტში მეორე თანრიგის მეცნიერ თანამშრომლად. 1944 დაამთავრა თსუ დაუსწრებელი სექტორი. 1941 ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის მიერ მივლინებულ იქნა ირანში სპეცსამუშაოების შესასრულებლად. დაბრუნების შემდეგ მუშაობა განაგრძო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა საქართველოს ჰიდროტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, კითხულობდა ლექციებს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე (1949-59). 1951 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს მდინარეთა საშუალო ჩამონადენი და წლიური ჩამონადენის რყევადობა", 1966 სადოქტორო დისერტაცია – „სომხეთის სსრ მდინარეთა ატივნარებული მასალა". მის მიერ შესრულებულია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აღსანიშნავია „მდ. ივრის ჰიდრომეტრია და ჰიდროლოგია", რომელიც საფუძვლად დაედო სამგორის წყალსაცავის ტექნიკურ დაპროექტებას. შესრულებული აქვს ჰიდროლოგიური გაანგარიშებანი საქართველოს პატარა მდინარეებისათვის. მრავალი შრომა მიუძღვნა საქართველოსა და სომხეთის ღვარცოფების ბუნების შესწავლას, მათ დარაიონებას და კლასიფიკაციას. დიდი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის მდინარეთა წყლის რესურსებისა და ბალანსის შესწავლის საქმეში. განსაკუთრებული

ყურადღებაა დათმობილი მდინარეთა მყარი ჩამონადენის ფორმირების და მათი მოძრაობის შესწავლაზე. შრომათა დიდი ნაწილი ეხება ამიერკავკასიის, კავკასიის შავი ზღვის სანაპირო მდინარეების, ყირიმის სამხრეთ სანაპიროს მდინარეების შესწავლას. მინიჭებული ჰქონდა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1957), საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ორი საპატიო სიგელი, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ოქროს და ვერცხლის მედლები და დიპლომები, საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების დიპლომი; შრომისათვის „შავი ზღვისპირეთის მდინარეების მყარი ჩამონადენი" მიეკუთვნა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. პრემია (1983).

მონოგრ.: Взвешенные наносы рек Армянской ССР, Л., 1964; Выносы наносов реками Черноморского побережья Кавказа. Л., 1978; Гидрология реки Бзыбь, Тб., 1981 (соавт.).

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977, გვ. 92; ქართული ენციკლოპედია, ტ. 11, 1987, გვ. 448; Сванидзе Г.Г., Цомая В.Ш. Г.Н. Хмаладзе (к 75-летию со дня рождения), Метеорология и Гидрология, 1979, №7, с. 122-123.

ხმალაძე ოთარ გრიგოლის ძე – KHMALADZE OTAR (2.I.1934, თბილისი), პროფესორი (1993). 1956 დამთავრა თსუ ფიზიკის ფაკულტეტი გეოფიზიკის სპეციალობით. 1959-62 გაიარა ასპირანტურის კურსი და დატოვებულ იქნა სამუშაოდ ხმელეთის ჰიდროლოგიის კათედრის ასისტენტად; 1993-დან პროფესორის თანამდებობაზეა. 1964 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „დასავლეთ საქართველოს მდინარეთა თერმული და ყინულოვანი რეჟიმის ფორმირების კანონზომიერებანი". 1986-2003 არჩეული იყო გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, 1995 საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის წევრად, არის საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი. უნივერსიტეტში საქართველოს გეოგრაფიის კათედრის შექმნის და სამხედრო გეოგრაფიის კურსის შემოღების ინიციატორია. გამოქვეყნებული აქვს 127 სამეცნიერო ნაშრომი. მისი მეცნიერული ინტერესის სფეროა ჰიდროფიზიკის, მდინარეთა მყარი ჩამონადენის ფორმირების თავისებურებანი, მათი რაოდენობრივი მახასიათებლების დადგენა და კალაპოტის პროცესების პროგნოზირება.

მონოგრ. და სახელმძღვ.: ჰიდროფიზიკა (სახელმძღვანელო უმაღლესი სკოლისათვის), თბ., 1978; ზამთრის სასწავლო-საველე პრაქტიკის მეთოდური მითითება, თბ., 1995 (თანაავტ.); Гидрология р. Бзыбь, Тб., 1981 (соавт.); Колхидская низменность, Л., 1989 (соавт.), „Турбулентность естественного потока" (соавт.), Тб., 2001.

ხომერიკი გიორგი ბენიამინის ძე – KHOMERIKI GIORGI (15.III.1951, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი. 1973 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1974-82 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში ლაბორანტის თანამდებობაზე. 1982-89 ქ. თბილისის ისტორიის მუზეუმის განყოფილების გამგეა, 1989-93 არქეოლოგიური კვლევის ცენტრის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, 1993-94 ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის გამგე, 1994-2002 ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კათედრის გამგის მოადგილე. 1995-96 მუშაობდა აგრეთვე, თბილისის ბიზნესის დაწყებითი სკოლის დირექტორად, 1999-დან ჰუმანიტარულ-ტექნიკური საერო ინსტიტუტის კათედრის გამგეა, 2002-დან საქართველოს საერთაშორისო კავშირების ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე, ხოლო 2003-დან ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კათედრის გამგე. გამოქვეყნებული აქვს 10-მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომლის ნაწილი ეხება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური გეოგრაფიის საკითხებს. სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს პოლიტიკური გეოგრაფია, გეოპოლიტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, მსოფლიო ეკონომიკა.

სახელმძღვ.: გეოპოლიტიკა, თბ., 2003.

ხომერიკი ირაკლი ბენიამინის ძე – KHOMERIKI IRAKLI (22.IX.1936, თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1989). 1960 დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. 1960-1986 მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკის ინსტიტუტში ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, წყალსამეურნეო ანგარიშების სექტორის ხელმძღვანელად. 1986-დან მუშაობს თსუ ჰიდროლოგიის კათედრის პროფესორად. 1965 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მარეგულირებელი წყალსაცავის მრავალწლიური მოცულობის ანგარიში ჩანადენის ციკლური რყევების გათვალისწინებით“, ხოლო 1981 ლენინგრადის სახელმწიფო ჰიდროლოგიურ ინსტიტუტში სადოქტორო დისერტაცია – „გაუმდინარი ზღვების დონეთა რეჟიმი (ანალიზი, კანონზომიერებანი, პროგნოზი)“. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი სამეცნიერო შრომა. 1994-დან არის საქართველოს იუნესკოს საქმეთა კომისიის ოკეანოგრაფიული კომიტეტის თავმჯდომარე. 1997-დან თსუ ოკეანოლოგიური კვლევის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელია (იუნესკო), 1992-დან საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ექსპერტ-კონსულტანტი, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი.

მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის ჰიდროლოგიური პრობლემების კოორდინატორი საქართველოში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).

სახელმძღვ.: წყლის რესურსების ბალანსური კვლევა, თბ., 2003.

ხორავა საშა გრიგორის ძე – KHORAVA SASHA (10.VIII.1954, ს. სარფი, ხელვაჩაურის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1977 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ოკეანოლოგის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობა დაიწყო „საქსახკომუნმშენპროექტის" ბათუმის საძიებო პარტიაში ტექნიკოსად, ხოლო შემდეგ ინჟინრად. 1981-დან „საქზღვისნაპირდაცვის" ბათუმის ლაბორატორიაში ჯერ უმცროს, ხოლო 1983-დან უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ამჟამად „საქზღვისნაპირდაცვის" აჭარის ნაპირების მონიტორინგის სამსახურის უფროსია. 1994-დან მიწვეულია ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრაზე, სადაც კითხულობს ლექციებს მეტეოროლოგიაში, ზოგად გეომორფოლოგიაში, ზღვის სანაპიროს გეომორფოლოგიასა და სხვ. 1984-1989 დაუსწრებელი სწავლების ასპირანტურა გაიარა მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იქვე, 1989 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აჭარის სანაპიროს წყალქვეშა კანიონების მორფოლოგია და თანამედროვე დინამიკა და მათი გავლენა სანაპირო ზონის განვითარებაზე". ამ პრობლემასთან დაკავშირებით გამოაქვეყნა 17 სამეცნიერო ნაშრომი. ისინი ეხება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არსებულ მორფოდინამიკურ მოვლენებს, რომელიც ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად აბრაზიული პროცესების გააქტიურებით გამოიხატება. დაკვირვებების საფუძველზე (ინსტრუმენტალური და ვიზუალური) შექმნილია სანაპიროს მონაკვეთის მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზი (ნაპირის ნამატისა და წარეცხვის პროგნოზი), ზღვისა და მდინარეების ჰიდროლოგიური რეჟიმი და სხვ. გარდა ამისა, მონაწილეობს და თანაავტორია ყოველწლიური სამეცნიერო ანგარიშებისა.

ხუნდაძე შალვა გიორგის ძე – KHUNDADZE SHALVA (29.III.1920, ქ. სოხუმი, – 11.I.1991, თბილისი), პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1941 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. 1941-62 მუშაობდა თბილისის სხვადასხვა სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად. 1959 მუშაობა დაიწყო ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. 1961 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მათემატიკური გეოგრაფიის ელემენტების სწავლება საშუალო სკოლაში". კითხულობდა გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკის კურსს თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. მისი სამეცნიერო მუშაობის თემატიკა გეოგრაფიის სწავლების მეთოდიკას ეკუთვნის.

მუშაობდა აგრეთვე ბუნებისმცოდნეობის სწავლების საკითხებზე. იყო ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" დამატების – „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში" რედკოლეგიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 80-მდე სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომი. შეადგინა დაკვირვების დღიურები II და IV კლასებისათვის. დაჯილდოვებულია ივანე ჯავახიშვილისა და იაკობ გოგებაშვილის მედლებით.

სახელმძღვ.: მათემატიკური გეოგრაფიის ელემენტების სწავლება საშუალო სკოლაში, თბ., 1958; ფიზიკური გეოგრაფიის სწავლება ახალი პროგრამით, თბ., 1972.

ხუნჯუა გრიგოლ იულონის ძე – KHUNJUA GRIGOL (1.IV.1895, ქ. ფოთი, – 16.V.1983, თბილისი), ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1939). 1920 დაამთავრა თბილისის მუშფაკი გეოდეზია-ტოპოგრაფიის სპეციალობით. 1924 მუშაობა დაიწყო თსუ ზოგადგეოგრაფიის და ანთროპოლოგიის კათედრაზე კარტოგრაფის თანამდებობაზე. 1924-28 მუშაობდა კარტოგრაფიის ინსტიტუტში. 1930-დან ჩაება სახალხო მეურნეობის დარგების განვითარების ღონისძიებებში. ასრულებდა ხიდების და რკინიგზების გეოდეზიური უზრუნველყოფის სამუშაოებს. მისი ხელმძღვანელობით ხიდები აშენდა მდ. მტკვარზე (კავთისხევთან), მდ. ალაზანზე (ველისციხესთან). 1939-დან მუშაობა დაიწყო თბილისის სატრანსპორტო ინსტიტუტში დოცენტის თანამდებობაზე. იმავე ინსტიტუტში ომის პერიოდში არჩეულ იქნა ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე, შემდეგ კი გეოდეზიისა და მარკშაიდერის კათედრის გამგედ. 1960-დან სამუშაოდ გადმოდის თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის კარტოგრაფია-გეოდეზიის კაბინეტში დოცენტის თანამდებობაზე, ხოლო 1973-დან ახლადგახსნილ კარტოგრაფია-გეოდეზიის კათედრის დოცენტად, სადაც კითხულობდა ლექციებს ტოპოგრაფია-გეოდეზიის საფუძვლებში და უმაღლეს გეოდეზიაში. 1939 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მრუდზე ასაშენებელი ხიდების დაკვალვისა და დაგეგმარების საკითხისათვის". გამოქვეყნებული აქვს 100-მდე სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური ნაშრომი, მათ შორის სახელმძღვანელოები.

სახელმძღვ.: გეოდეზიის კურსი, თბ., 1944; გეოდეზიის კურსი, ნაწ. I, თბ., 1947; ნაწ. II, თბ., 1948; გეოდეზია, თბ., 1964; ტაქეომეტრიული აგეგმვის ცხრილები, თბ., 1973; ზოგადი და საინჟინრო გეოდეზიის კურსი, თბ., 1977; Полевые геодезические работы, Тб., 1943; Таблицы, применяемые на тахеометрических съемках и в инженерном деле, Тб., 1974.

ხუტაშვილი მარი გრიგოლის ასული – KHUTASHVILI MARI (23.I.1947, ს. ძეგვი, მცხეთის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1987). 1968 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის სპეციალობით. 1968-71 სწავლობდა თსუ ასპირანტურაში. 1971-76 მუშაობდა თსუ ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრაზე

მასწავლებლის თანამდებობაზე. 1976-81 სახალხო მეურნეობის ეკონომიკის, დაგეგმვისა და მართვის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელია, 1981-87 კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, შემდეგ კი უფროსი მეცნიერი თანამშრომელია. 1987-დან თსუ ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფიის კათედრის დოცენტია. პარალელურად, 1987-91 მუშაობდა თსუ კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტზე, სადაც კითხულობდა ლექციებს. 1985 დაიცვა დისერტაცია – „ქ. თბილისის ეკოლოგიური სიტუაციის ფორმირების გეოგრაფიული ფაქტორები". გამოქვეყნებული აქვს 35-ზე მეტი ნაშრომი. ისინი ძირითადად ეხება თბილისის ეკოლოგიურ-გეოგრაფიულ და გარემოს დაცვის სოციალურ საკითხებს. მუშაობს პროგრამებზე – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების სფეროში.

სახელმძღვ.: ბუნებათსარგებლობის საფუძვლები, თბ., 2000; ზოგადი ეკოლოგია და გარემოს დაცვა, თბ., 2003 (თანაავტ.).

ხუციშვილი შალვა გიორგის ძე – KHUTSISHVILI SHALVA (12.III.1921, ს. ხოლევ, კასპის რ-ნი, – 19.I.1977, ქ. გორი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1972). 1938 ჩაირიცხა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე, საიდანაც 1941 გაიწვიეს საბჭოთა არმიაში. მონაწილეობდა სევასტოპოლის დაცვაში, დაიჭრა და დაბრუნდა საქართველოში. 1945 დაამთავრა უნივერსიტეტი ეკონომ-გეოგრაფის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო ს. ხოვლეს (კასპის რ-ნი) საშუალო სკოლის დირექტორად და გეოგრაფიის მასწავლებლად. 1946-დან სამუშაოდ გადმოვიდა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრაზე ჯერ ასისტენტად, შემდეგ კი უფროს მასწავლებლად. 1949-51 პარალელურად მუშაობდა გორის პედაგოგიურ სასწავლებელში. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მეხილეობის განვითარების საფუძვლები შიდა ქართლში". გამოქვეყნებული აქვს 20-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. წლების განმავლობაში იგი ლექციებს კითხულობდა საზოგადოება „ცოდნის" ხაზით. დაჯილდოებული იყო 6 მედლით.

ხუხუნაიშვილი ლია მიხეილის ასული – KHUKHUNAISHVILI LIA (5.IV.1938, ქ. მცხეთა), ეკონომ-გეოგრაფი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფის სპეციალობით. 1961 მუშაობა დაიწყო მცხეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. 1963-64 მუშაობდა გეოგრაფიის მასწავლებლად მცხეთის რვაწლიან რუსულ სკოლაში. 1964-67 მცხეთის რაიონის პიონერთა სახლში. 1972-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს 30 სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის

მონაწილეობდა 3 კოლექტიურ მონოგრაფიაში. უკანასკნელ წლებში მუშაობს საქართველოს სოციალური ინფრასტრუქტურის, კერძოდ, ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საკითხებზე.

მონოგრ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1989 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 2003 (თანაავტ.).

ჯავახიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე – JAVAKHISHVILI ALEXANDRE (5.VIII.1875, ს. ძევერა, გორის რ-ნი, – 22.I.1973, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1940), აკადემიკოსი (1944), 1900 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი საბუნებისმეტყველო სპეციალობით. 1900-17 სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებლებში (უნივერსიტეტი, ქალთა უმაღლესი კურსები და კომერციული ინსტიტუტი). ამასთან, იკვლევდა საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის ეთნიკურ-ანთროპოლოგიურ საკითხებს. მოაწყო სამეცნიერო ექსპედიციები საქართველოს რიგ რეგიონებში. მიღებულ შედეგებზე გამოაქვეყნა სტატიები და მონოგრაფიები. დაადგინა, რომ საქართველო ქართველთა თავდაპირველ სამშობლოს წარმოადგენს. ასევე მნიშვნელოვანი მისივე მოსაზრება ქართველ და, საერთოდ, კავკასიელ ებრაელთა განსაკუთრებული ანთროპოლოგიური ტიპის არ არსებობის შესახებ. სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა საქართველოს მოსახლეობაში გავრცელებულ დოლიკეფალიის პრობლემებს. მან დაიმსახურა ქართული მეცნიერული ანთროპოლოგიის ფუძემდებლის სახელი. 1917 ალ. ჯავახიშვილი საქართველოში ბრუნდება, როგორც აღიარებული მეცნიერი. იგი სათავეში ჩაუდგა საქართველოში გეოგრაფიული დაწესებულებების შექმნასა და კადრების აღზრდას. 1917-21 თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ექსტრა-ორდინალური პროფესორია, ამავე დროს, 1918-22 საქართველოს ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის დირექტორია. იგი 1917-20 აქტიურად მონაწილეობდა თსუ დაარსების და მისი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ორგანიზაციაში. 1920-73 მუშაობდა თსუ-ში, სადაც მოაწყო გეოგრაფიული განყოფილების კათედრები, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო დანიშნულების კაბინეტები, გეოგრაფიული მუზეუმი და ბიბლიოთეკა. იყო საბუნებისმეტყველო (1921-22), გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანი (1930-32; 1939-40), საზოგადო გეოგრაფიისა და ანთროპოლოგიის (1920-34), გეომორფოლოგიის (1935-73) კათედრის გამგე. მისივე ხელმძღვანელობით ბათუმში (1935-38), გორში (1943-49) და ქუთაისში (1933-36) გაიხსნა პედაგოგიური ინსტიტუტების გეოგრაფიის ფაკულტეტები და კათედრები, განაგებდა ამ კათედრებს და კითხულობდა ლექციებს. 1924 დააარსა საქ. გეოგრაფიული საზოგადოება და ამ საზოგა-

დოებასთან კარტოგრაფიული კაბინეტი (1925-33 კარტოგრაფიის ინსტიტუტი). იყო საქ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი. 1933 დააარსა საქ. გეოგრაფიის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი 1962-მდე იყო. მეტად ნაყოფიერი იყო სამეცნიერო მუშაობაც. მისი სამეცნიერო გამოკვლევები ეხება საქართველოს — გეომორფოლოგიის, კლიმატოლოგიის, ფიზიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის, ლანდშაფტმცოდნეობის და კარტოგრაფიის, გეოგრაფიის ისტორიის, სამხედრო გეოგრაფიის საკითხებს. საყურადღებო ნაშრომი შექმნა ანთროპოლოგიაში, ლანდშაფტმცოდნეობაში. მნიშვნელოვანი გამოკვლევებია შესრულებული თეორიულ საკითხებში — გეოგრაფიული მეცნიერების სტრუქტურის, ამ მეცნიერებისა და მისი დარგების საგნისა და ამოცანების შესახებ და სხვ. იკვლევდა პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხებსაც. საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ბუნებრივი პირობებისა და რესურსების სისტემატიურ კვლევა-ძიებას და გამოყენებას. დიდი მუშაობა გასწია საქართველოს ეროვნული ატლასის შექმნაში (1964). მის მიერ შედგენილია არაერთი სასწავლო და სამეცნიერო რუკა; მისი ხელმძღვანელობით შედგა და გამოიცა გეოგრაფიული სასწავლო ატლასები და პირველი ქართული გლობუსი. მისი ხელმძღვანელობით შედგა და გამოიცა „საქართველოს ფიზიკური გეოგრაფიის" სასკოლო სახელმძღვანელო. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით (1953), მინიჭებული ჰქონდა საქ. მეცნ. დამსახურებული მოღვაწის წოდება (1941), საქ. სახელმწიფო პრემია (1971), იყო სსრკ გეოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი (1956), ალ. ჯავახიშვილის სახელი ეწოდა კავკასიონზე ერთ-ერთ მწვერვალს, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებას, თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ბიბლიოთეკას.

ძონოგრ.: საქართველოს გეოგრაფია, ტ. I, გეომორფოლოგია, ტფ., 1926; გზის დასაწყისი, თბ., 1969; საქართველოს სსრ ფიზიკური გეოგრაფია, სახელმძღვანელო VIII კლასისათვის, 39-ე გამოცემა, თბ., 1988 (თანაავტ.); იგივე აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე; თსზულებანი, ტ. I, თბ., 1989; Антропология Грузии, т.I, М., 1908; т. II, М., 1974; Геоморфологические районы Грузинской ССР, типы рельефа и районы их распространения, М. - Л., 1947.

ლიტ.: ალექსანდრე ჯავახიშვილი, 1875-1973, ბიობიბლიოგრაფია, თბ., 1984; ყიფიანი შ. ნარკვევები გეოგრაფიული მეცნიერებისა და განათლების შესახებ საქართველოში, ნაკვ. I, ალ. ჯავახიშვილი. ცხოვრება და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა, თბ., 1957; ყიფიანი შ. ჩვენი სახელოვანი თანამედროვენი, ალექსანდრე ჯავახიშვილი, თბ., 1971; ყიფიანი შ. ჯავახიშვილი ალექსანდრე, ქართული ენციკლოპედია, ტ. 11, თბ. 1987, გვ. 525-526. ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986. Краткая географическая энциклопедия, М., 1966, стр. 448 (და სხვ.).

ჯავახიშვილი ალექსანდრე ივანეს ძე – JAVAKHISHVILI ALEXANDRE (20.V.1949, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1972 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ჰიდროლოგიის სპეციალობით. 1972-1976 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში პროფ. ლ. ვლადიმიროვის ხელმძღვანელობით გაიარა დაუსწრებელი ასპირანტურის კურსი. 1974-დან მუშაობს ამავე ინსტიტუტში. 1979 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ცენტრალური კავკასიონის ჩრდილო ფერდობის საშუალო მრავალწლიური წლიური და სეზონური წყლის ბალანსი". 1981-დან უფროსი მეცნიერი თანამშრომელია ჰიდროლოგიის განყოფილებაში (ამჟამად ჰიდროლოგიისა და გეოსაინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება). გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ეხება კავკასიისა და საქართველოს მდინარეთა ჩამონადენის პრობლემებს. არის აკად. ალექსანდრე ჯავახიშვილის სახ. პრემიის ლაურეატი.

მონოგრ.: Ледник Тбилиса, Тб., 1986 (соавт.); Водный баланс Кавказа и его географические закономерности, Тб., 1991 (соавт.).

ჯავახიშვილი ალექსანდრე დავითის ძე – JAVAKHISHVILI ALEXANDRE (18.II.1932, თბილისი), წყალქვეშა სარაკეტო კრეისერის მეთაური. წარჩინებით დაამთავრა 35-ე საფეხბურთო სკოლა და შემდეგ ბაქოს სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი. თავისი სურვილით წავიდა ჩრდილოეთის ფლოტში, სადაც ლეიტენანტობიდან ატომური წყალქვეშა სარაკეტო კრეისერის მეთაურობამდე მიაღწია. სამეთაურო კურსების და დახურული ცენტრის დამთავრების შემდეგ გახდა პირველი ქართველი ატომური წყალქვეშა სარაკეტო კრეისერის მეთაური და განახორციელა მრავალი წყალქვეშა საბრძოლო მორიგეობები ჩრდილოეთის ყინულოვან და ატლანტის ოკეანეებში. 1972 15 იანვარს დაიწყო დედამიწის გარშემო ფარული წყალქვეშა ნაოსნობა ბარენცის ზღვის სამხედრო-საზღვაო ბაზიდან. გადალახა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე, დრეიკის სრუტე, წყნარი ოკეანე და იმავე წლის 31 მარტს ამოყვინთა ბერინგის ზღვასთან. საერთაშორისო საზღვაო დებულების მიხედვით მარშრუტი დედამიწის გარშემო მოგზაურობად ითვლება. ა. ჯავახიშვილმა 75 დღის განმავლობაში განვლო 41000 კმ ისე, რომ მისი წყალქვეშა კრეისერი, დაინტერესებულ სახელმწიფოთა საზღვაო, სახმელეთო, საჰაერო თუ კოსმოსურ სათვალთვალო-სამეთვალყურეო სამსახურებს არ შეუნიშნავთ. კრეისერის სიგრძე იყო 140 მ, სიგანე 12 მ, ბორტის სიმაღლე 12 მ, წყალწყვა 1400 ტ, მაქსიმალური სიჩქარე 47 კმ. გარსაქვეყნო მოგზაურობის შემდეგ ა. ჯავახიშვილი 17 წელი მსახურობდა წყნარი ოკეანის ფლოტში, ატომური წყალქვეშა ხომალდების ბრიგადის მეთაურად, ფლოტილიის სარდლის მოადგილედ. 1989 დაბრუნდა საქართველოში და ცხოვრობს თბილისში. 114 დღე მონაწი-

ლეობდა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. დაჯილდოებულია გორგასლის III ხარისხის ორდენით. მონაწილეა სახელმწიფოთა შორის 5 ოფიციალური მოლაპარაკებისა, რომელსაც სამხედრო-საზღვაო დარგის ორი შეთანხმება მოჰყვა. არის საქართველოს სამხედრო-საზღვაო დოქტრინის და თავდაცვის სტრატეგიული პროგრამის მონაწილე, დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების პირველი სარდალი, პირველი კონტრადმირალი.



ლიტ.: მანია გ., ჭინჭარაული ბ. კაცი, რომელმაც დედამიწას წყალქვეშეთით შემოუარა. გაზ. „გაუხმაურებელი ფაქტები", 21-28.IV.1998, გვ. 7-8.

ჯავახიშვილი შოთა იოსების ძე – JAVAKHISHVILI SHOTA (1.I.1929, სოფ. ჯავახიანთკარი, დუშეთის რ-ნი, – 25.II.2001, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1990). 1943 დაამთავრა დუშეთის პედაგოგიური ტექნიკუმი. 1943-46 მუშაობდა სოფ. არბუეთისა და ჯავახიანთკარის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად. 1951 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეოგრაფ-ჰიდრო-კლიმატოლოგიის სპეციალობით. 1951-52 მუშაობს საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამმართველოს სამსახურში, 1952-57 თბილისის აერომეტეოროლოგიურ სადგურში უფროს ინჟინერ-სინოპტიკოსად, 1957-69 ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, 1969-დან თსუ მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის და ოკეანოლოგიის კათედრაზე. 1960 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „შიგნით კახეთის კლიმატი". მასში დეტალურადაა მოცემული საკვლევი მხარის მრავალფეროვანი კლიმატის დახასიათება და მისი საწარმოო მნიშვნელობა. 1994 დაიცვა სადოქტორო დისერტაცია – „ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერიტორიაზე". იგი მუშაობდა მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიის, ჰაერის ატმოსფეროს დაცვის, ეკოლოგიის, ჰაერის ცვლილებების საკითხებზე. ნაშრომებში გაშუქებულია საქართვე-

ლოს ჰავის თავისებურებები. გამოქვეყნებული აქვს 160-ზე მეტი სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი, რომელთაგან 18 მონოგრაფია, სახელმძღვანელო და ბროშურაა. აღსანიშნავია მისი მო-ღვაწეობა ქართულ ენაზე დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში. გამოცემული აქვს 6 სასწავლო რუკა, მონაწილეობდა საქართველოს ატლასის (1964) და საქართველოს სასკოლო გეოგრაფიული ატლასის (1992) შედგენაში. ამ უკანასკნელში მონაწილეობისათვის მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია (1994) და თსუ სამეცნიერო საბჭოს პრემია (1993).

მონოგრ. და სახელმძღვ.: მეტეოროლოგიური დაკვირვება სკოლაში, თბ., 1961-84 (თანაავტ.); საქართველოს ჰავა, თბ., 1971 (თანაავტ.); საქართველოს კლიმატოგრაფია, თბ., 1977; ატმოსფერული ნალექები საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1981; ლექციების მოკლე კურსი მეტეოროლოგიასა და კლიმატოლოგიაში, თბ., 1984; საქართველოს ჰავის დახასიათება თვეების მიხედვით, თბ. 1988; წარსულისა და მომავლის კლიმატები, თბ., 1988; მესხეთ-ჯავახეთის ჰავა, თბ., 1990; კლიმატოლოგია ნაწ. I, თბ., 1992; ნაწ. II, თბ., 1993; დუშეთის რაიონი (მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თბ., 1997 (თანაავტ.); კლიმატოლოგიური ტერმინების სამენოვანი ლექსიკონი, თბ., 1997; მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნობარი, თბ. 1999 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.); Колхидская низменность Л., 1989 (соавт.).

ჯავახიშვილი ნინო შოთას ასული – JAVAKHISHVILI NINO (6.III.1963, თბილისი), ეკონომ-გეოგრაფი, მხარეთმცოდნე. 1985 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი საზღვარგარეთის ქვეყნების ეკონომიკური გეოგრაფია, მხარეთმცოდნეობა, ტურიზმი. 1985-86 მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს კომპიუტერული ცენტრის „ბუნების დაცვის" განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლად, 1986-99 ამავე განყოფილების უფროსია, ხოლო 1990-2000 კომ-პიუტერული ცენტრის სწავლული მდივანი და ოპერატიული მომსახუ-რების განყოფილების ოპერატორი. 1999-დან ამერიკული ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ქაუნთერფართ ინტერნეშენელ"-ის მონაცემთა ბაზის ოპერატორია. 1990-92 ასპირანტურის კურსი გაიარა თსუ მეტეო-როლოგია-კლიმატოლოგიის კათედრაზე. მუშაობს ეკონომიკურ და ფიზიკურ გეოგრაფიულ საკითხებზე. გამოქვეყნებული აქვს 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ.: დუშეთის რაიონი (მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა), თბ., 1997 (თანაავტ.); მოკლე ფიზიკურ-გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1999 (თანაავტ.).

ჯავრიშვილი კონსტანტინე (კოტე) ვასილის ძე – JAVRISHVILI KONSTANTINE (4.VII.1914, ულან-უდე, ბურიატეთი, – 12.VII.1977, თბილისი), გეოლოგი, მთამსველელი, ლიტერატორი, ჟურნალისტი. 1936 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა მთიულეთის საძიებო გეოლოგიური ექსპედიციის უფროსად, შახტის მთავარ გეოლოგად, ფიზკულტურის ინსტიტუტის მთამსველელობის კათედრის გამგედ, ჟურნალ „დროშის" განყოფილების გამგედ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სწავლულ მდივნად, ქართული ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის გამგედ (1966-74). 1930-40 ხელმძღვანელობდა ალპინისტურ ასვლებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ კავკასიონის მწვერვალებზე (მყინვარწვერი, შინო, თებულო, თეთნულდი, ჯანღა და სხვ.), მთამსველელთა მომზადების საქმეს თსუ-ში. ომის პერიოდში იყო ამიერკავკასიის ფრონტის შტაბის სამთო-სათხილამურო მომზადების განყოფილების უფროსი. 1944 ხელმძღვანელობდა სამხედრო ნაწილების ასვლას ირანის უმაღლეს მწვერვალ დემავენდიზე. წლების მანძილზე იყო საქართველოს ალპური კლუბის გამგეობის თავმჯდომარე, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და თბილისის საქალაქო კლუბის გამგეობის თავმჯდომარე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა სპელეოლოგიის დარგში. 1969-77 იყო სპელეოლოგიური საბჭოს თავმჯდომარე. მისი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა საქართველოს არაერთი მღვიმის შესწავლა, მათ შორის ქციის ხეობის ვულკანურ გამოქვაბულებზე. იყო უცვლელი რედაქტორი სპელეოლოგიური კრებულების – „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები", რომელშიც გამოქვეყნებული აქვს რიგი სამეცნიერო ნაშრომები. გარდა ამისა, გეოგრაფიული ხასიათის სტატიები და წერილები მთელ რიგ ჟურნალ-გაზეთებში არის დაბეჭდილი. მას ქართულად თარგმნილი აქვს ო. ბალზაკის, ჟიულ ვერნისა და სხვათა ნაშრომები.

მონოგრ.: გეოლოგიის ტერმინოლოგია, თბ., 1941 (თანაავტ.); მთები და ადამიანები, თბ., 1970; მე თბილისელი ვარ, თბ., 1972 (და სხვ.).

ჯამასპაშვილი ნელი შალვას ასული – JAMASPASHVILI NELI (5.XII.1955, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1975 დაამთავრა თბილისის ფინანსურ-ეკონომიკური ტექნიკუმი ეკონომისტის სპეციალობით, 1990 კი თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1982-86 მუშაობდა სოცუზრუნველყოფის სამინისტროში უფროსი ეკონომისტის თანამდებობაზე. 1986-89 ბუნების დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმში უფროს მეთოდისტად. 1990-92 ეკოლოგიური ფირმა „ტრიოლის"

ინჟინერ-ეკოლოგია. 1992-დან თსუ მარტყოფის სტაციონარის ინჟინერი, შემდეგ მეცნიერი და უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1998-დან საქართველოს გეოგრაფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ხოლო 2002 კათედრის დოცენტია. 2002 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია — „დაცული ტერიტორიების შერჩევის გეოგრაფიული ანალიზი". ნაშრომი დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის შექმნასთანაა დაკავშირებული (ეკოლოგიური დერეფნების მეშვეობით), რომელიც მოიცავს აგრეთვე დაცულ ლანდშაფტსაც. მნიშვნელობა ენიჭება ეკოლოგიური დერეფნების მეშვეობით დაცული ტერიტორიების ერთიან სისტემაში ჩართვას. დაცული ტერიტორიების ქსელის დაგეგმარებისათვის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარკასის საფუძველზე შედგა სინთეზური რუკა. ნ. ჯამასპაშვილი არაერთი საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეა. გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

სახელმძღვ.: საქართველოს გეოგრაფია (სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის), თბ., 2000 (თანაავტ.).

ჯანაშვილი არჩილ გაბრიელის ძე – JANASHVILI ARCHIL (9.I.1904, ს. კახი, საინგილო, აზერბაიჯანი, — 12.II.1985, თბილისი), ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1963). 1927 დაამთავრა თსუ-ის პედაგოგიური ფაკულტეტი საბუნებისმეტყველო განხრით. 1926-დან მუშაობდა თსუ ზოოლოგიის კათედრაზე. იყ. თსუ-ის ხერხემლიანთა ზოოლოგიის (1946-82) და თელავის სამასწავლებლო ინსტიტუტის ბუნებისმეტყველების (1939-44) კათედრათა გამგე. სხვადასხვა დროს მუშაობდა აგრეთვე თბილისის ზოოპარკში, მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის, თბილისის სასოფლო-სამეურნეო, თბილისის, გორის, ქუთაისის, სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში, ქართული ენციკლოპედიის მთავარ სამეცნიერო რედაქციაში. მისი კვლევის მთავარი საგანი იყო საქართველოს ძუძუმწოვრები, ქვეწარმავლები, ამფიბიები. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული ზოოლოგიური ტერმინოლოგიის შედგენაში. იგი არის საქართველოში ზოოგეოგრაფიის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ამ დარგში რამდენჯერმე გამოიცა მისი „ზოოგეოგრაფია" და „ზოოგეოგრაფიული რუკა" (საქ-ს ატლასი, 1964), რომელიც პირველია ქართულ ენაზე. ავტორია მრავალი საბავშვო მოთხრობისა. მიღებული აქვს სახელმწიფო პრემია (1985).

მონოგრ. და სახელმძღვ.: საქართველოს ძუძუმწოვრების სარკვევი, თბ., 1953; ხერხემლიანთა ზოოლოგია, თბ., 1956 (მე-3 გამოც.); საქართველოს ცხოველთა სამყარო, ტ.3. — ხერხემლიანები, თბ., 1963; ზოოგეოგრაფია, თბ., 1974 (მე-3 გამოც.).

ჯანაშვილი მოსე გიორგის ძე – JANASHVILI MOSE (19.III.1855, ს. კახი, საინგილო, ახლანდ. აზერბაიჯანი, — 19.IV.1934, თბილისი), ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 1865-დან სწავლობდა კახის სამრევლო სკოლაში, 1866-72 — ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, შემდეგ თბილისის

სემინარიაში. 1878 ქუთაისის გიმნაზიაში და მასწავლებლის წოდება მიიღო. 1875-1920 პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში. 1888-იდან იყო საეკლესიო მუზეუმის თანამშრომელი, 1897-1926 მისი გამგე. 1920-დან მოღვაწეობდა უმაღლეს სასწავლებელში. სხვა დარგებთან ერთად იგი გეოგრაფიულ საკითხებს იკვლევდა. ჯერ კიდევ XIX ს-ის ბოლოს გამოცა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია" რეგიონების მიხედვით – სამცხე (1892), ქართლი (1895). ხოლო შემდეგ მთლიანად დაბეჭდა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს გეოგრაფია" გამოკვლევებით და კომენტარებით (1904). აღნიშნული ნაშრომი იმავე წელს თარგმნა რუსულ ენაზე და გამოსცა (1904). მ. ჯანაშვილის გეოგრაფიული ნაშრომებიდან აღსანიშნავია თბილისის, გორის, მცხეთისა და მისი მიდამოების, არაგვის ხეობის აღწერილობა. მხარეთმცოდნეობით ნაშრომებში მოცემულია საინგილოსა და სამცხის ზოგადგეოგრაფიული აღწერა. იგი არის ავტორი წერილებისა სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მის მიერ შედგენილი გეოგრაფიის სახელმძღვანელოთი ისწავლებოდა 20-იანი წლების სკოლებში. იყო შრომის გმირი (1927), თსუ-ის ხიძველეთმცოდნეობის დამსახურებული პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო და ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი (1930). ერთ-ერთმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი სამეცნიერო მუშაობას საქართველოში.

ლიტ.: მოსე ჯანაშვილი, ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1956; ბარამიძე ა. მოსე ჯანაშვილი, „მაცნე", ისტორიის სერია, 1980, №2; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ.11, თბ., 1987, გვ. 536.

ჯანელიძე ზურაბ ჭიჭიკოს ძე – JANELIDZE ZURAB (13.IV.1965, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი. 1991 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობს თსუ გეოეკოლოგია-გეომორფოლოგიის კათედრაზე. 1997 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ალხეთის დაბლობის ზღვის სანაპირო ზოლის საინჟინრო გეომორფოლოგიური პირობების ანალიზი". გამოქვეყნებული აქვს 14 სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც შეეხება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს გეომორფოლოგიურ და გეოეკოლოგიურ პრობლემებს.

ჯანელიძე ჭიჭიკო პეტრეს ძე – JANELIDZE TCHITCHIKO (13.X.1939, ს. სადმელი, ამბროლაურის რ-ნი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1961 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1964-81 მუშაობდა ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი გეომორფოლოგიის სპეციალობით, 1971 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების განვითარება ჰოლოცენში". შეისწავლა

საქართველოს ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების განვითარების საკითხები ჰოლოცენში (უკანასკნელი 10-12 ათასი წლის განმავლობაში), კოლხეთის დაბლობის პალეოგეოგრაფია ზედა პლეისტოცენსა და ჰოლოცენში, ნალექების აკუმულაციის და რელიეფის წარმოქმნა-პროცესების ხასიათი კოლხეთის დაბლობის ზღვის სანაპირო ზონაში, 1981-დან მუშაობს სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვის" მორფოდინამიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. იკვლევს მორფოდინამიკური პროცესების განვითარების კანონზომიერებებს საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზონაში, ანთროპოგენური ფაქტორის როლს სანაპირო ზონის ლანდშაფტების განვითარებაში. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2001).

მონოგრ.: საქართველოს არქეოლოგია, ტ. I, 1991 (თანაავტ.); საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. I, ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 2000 (თანაავტ.), Палеогеография Грузии в голоцене, Тб., 1980; Человек и окружающая его среда, Тб., 1984; Регулирование осодконакопления и рельефообразования в пределах приморской части колхидской низменности, Тб., 1989.

ჯანჯღავა თენგიზ სერგოს ძე – JANJGHAVA TENGIZ (25.I.1949, თბილისი, – 26.XII.1998, ქ. ოდესა, დაკრძალულია თბილისში), გეოგრაფი. 1971 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1972-75 გაიარა ასპირანტურის კურსი მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში საზღვარგარეთის ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1976 მუშაობა დაიწყო თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრაზე ლაბორანტად, შემდეგ ასისტენტად და უფროს მასწავლებლად. ბოლო წლებში მუშაობდა უკრაინაში კონსულის მოადგილედ. სამეცნიერო მუშაობის სფეროს შეადგენდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის და სატრანსპორტო არტერიების (პორტების) გეოგრაფიული ასპექტების შეფასების პრობლემები. 1976-92 მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულ იქნა 12 საზღვაო-სამეცნიერო ექსპედიცია შავი ზღვის აუზის ქვეყნების მიმდებარე ტერიტორიულ წყლებში. საზღვაო რეკრეაციისა და შავი ზღვის გეოეკოლოგიურ პრობლემების შესახებ გამოქვეყნებული აქვს 40 სამეცნიერო ნაშრომი. 1994 არჩეული იყო იუნესკოსთან არსებულ საქართველოს ეროვნული ოკეანოლოგიური კომიტეტის წევრად.

მონოგრ.: „იახტა აჭარის" ერთი ზაფხული, თბ., 1981; შავი ზღვის ბუნებრივი რესურსები და რაციონალური ბუნებათსარგებლობა, თბ., 1992 (თანაავტ.); Южная Родезия, М., 1977 (соавт.).

ლიტ.: Молодежь Грузии, 30.VII.1983; Ригас баласс, 3.VIII.1983.

ჯაოშვილი ვახტანგ შალვას ძე – JAOSHVILI VACHTANG (25.II.1914, ბელასუვარი, აზერბაიჯანი, – 26.III.97, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (1970), მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი (1983). 1938 დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის ქიმ.-ტექ. ფაკულტეტი. მუშაობდა ხელმძღვანელ სამეურნეო თანამდებობაზე. 1941-45 საბჭოთა არმიის რიგებში იყო. დემობილიზაციის შემდეგ, 1953-დან მუშაობს ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში. იყო განყოფილების გამგე, ინსტიტუტის დირექტორის მრჩეველი, ალ. ჯავახიშვილის სახ. საქ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი (1980), ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი სარედაქციო კოლეგიის წევრი. ვ. ჯაოშვილის მეცნიერული მუშაობის ძირითადი სფერო იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური და სოციალური გეოგრაფია. რიგი შრომებისა მიეძღვნა საქართველოს ზოგად ეკონომიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას, აგრეთვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას, მაგრამ უმთავრესი ადგილი მის მეცნიერულ მუშაობაში ეკავა რესპუბლიკაში მიმდინარე დემოგრაფიულ პროცესებს და ურბანიზაციის პრობლემებს. ამ საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 12 მონოგრაფია; ბევრი მათგანი გამოქვეყნდა უცხოეთში (აშშ, საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში). მუშაობდა უპირატესად დემოგრაფიისა და ურბანიზაციის პრობლემებზე, აგრეთვე რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხებზე. ბოლო წლებში შეიმუშავა საქართველოს დემოგრაფიული სიტუაციის გაუმჯობესებისა და რესპუბლიკის ურბანიზაციის კონცეფცია. დაჯილდოებული იყო წითელი ვარსკვლავისა და დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენებითა და მედლებით, ღირსების ორდენით (1997). მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1978), სსრ კავშირის გეოგრაფიული საზოგადოების სემიონოვ-ტიან-შანსკის სახელობის ოქროს მედალი (1970), საქართველოს სახელმწიფო პრემია (1971), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების ვახუშტი ბაგრატიონის სახ. პრემია (1993).

მონოგრ.: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957; ქუთაისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ., 1962, 1989; საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, თბ., 1984; მოსახლეობის გეოგრაფია, თბ., 1984; თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა, თბ. 1989 (თანაავტ.); ჭიათურა. ეკონომიურ-გეოგრაფიული ნარკვევი, თბ. 1953; 1979; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 1993; საქართველოს მოსახლეობა, თბ., 1996; საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, თბ., 1996; Грузия, М., 1967; Население Грузии. Экономико-географическое исследование, Тб.,1968; Тбилиси. Экономико-географический очерк, Тб., 1971; Урбанизация Грузии, Генезис, процессы, проблемы, Тб., 1978.

ლიტ.: ჭეიშვილი ო. მოკლე გეოგრაფიული ცნობარი, თბ., 1977; ქართული სოციალური გეოგრაფიის ფუძემდებელი, გაზ. „კომუნისტი“, 16.III.1984; ხარაძე კ. საქართველოს გეოგრაფიული კალენდარი, 1987, თბ., 1986; ქართული ენციკლოპედია, ტ. II, 1987, გვ. 540-41; Дореули Н., Бокерия М. Труд, отмеченный золотой медалью, газ. „Вечерний Тбилиси“, 16.III.1984.

ჯაოშვილი შალვა ვახტანგის ძე – JAOSHVILI SHALVA (20.I.1942, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (2000). 1965 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ინჟინერ-ჰიდროლოგის სპეციალობით. ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მონაწილეობდა ალპინიადებსა და მაღალმთიან ექსპედიციებში. 1965 მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც პროფ. ლ. ვლადიმიროვის ხელმძღვანელობით ხელი მოკიდა კოლხეთისა და სანაპირო ზონის მდინარეების შესწავლას. ამავე ინსტიტუტში გაიარა ასპირანტურის კურსი. 1972 გადავიდა ზღვის ნაპირების შემსწავლელ ლაბორატორიაში. აქ იგი ასრულებდა მსხვილმასშტაბიან ექსპერიმენტულ დაკვირვებებს ბიჭვინთის, იდ. ბზიფის, მოქვის, ჩაქვისწყლის, ყოროლისწყლის და სხვ. სანაპიროებზე, რომლის მიზანი იყო მდინარეთა შესართავებსა და სანაპირო ზოლში ნატანის მოძრაობის შესწავლა. სწორედ ახალმა სამუშაოებმა გადაწყვიტა მისი შემდგომი მოღვაწეობა. იგი მთლიანად გადაერთო მდინარეებსა და სანაპირო ზოლის ნატანის შესწავლაზე, რასაც სამეცნიერო მნიშვნელობის გარდა, პრაქტიკული გამოყენებაც ჰქონდა, რადგან სანაპიროს მდგრადობას სწორედ ნაპირწარმომქმნელი ნატანის ბალანსი განაპირობებს. 1981-91 მუშაობდა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვაში“ ლითოდინამიკის ლაბორატორიის გამგედ, ხოლო 1992-დან დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში. სანაპიროებისა და მდინარეთა შესართავების კვლევისას მან დეტალურად გამოიკვლია საქართველოს თითქმის ყველა მდინარეში და სანაპიროზე მიმდინარე ლითოდინამიური პროცესები, გამოყენებული იქნა ახალი მეთოდები (წყალქვეშა დაკვირვებები). 1987 დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის იუნესკოს უმაღლესი ჰიდროლოგიური კურსები და მიენიჭა ექსპერტის წოდება სპეციალობით „მდინარეთა შესართავები და კალაპოტური პროცესები“. 1998-დან მუშაობს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მთავარ სპეციალისტად და თსუ ჰიდროლოგიისა და ნიადაგთმცოდნეობის კათედრაზე. 1972 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „კოლხეთის მდინარეთა ჩამონადენის ფორმირება და რეჟიმი“. 1989 კი მოსკოვის მ. ლომონოსოვის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია – „მდინარეთა ნატანი და მათი როლი ზღვის სანაპიროს დინამიკაში“. გამოქვეყნებული აქვს 70-ზე

მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც დაბეჭდილია უცხო ენებზეც (რუსეთი, აშშ, საფრანგეთი, ბულგარეთი, უკრაინა და სხვ.). ნაშრომები ეხება მდინარეების ნატანის და კალაპოტის პროცესებს, ზღვიური შესართავებისა და ნაპირების დინამიკას, ჰიდროლოგიის სხვადასხვა საკითხებს და გარემოს დაცვის პრობლემებს. კვლევის შედეგები მოხსენდა მრავალ სამეცნიერო კონფერენციაზე. მისი მონაწილეობით ქ. პომორიეში (ბულგარეთი) მომზადდა მონოგრაფია – „საზღვაო ეკოლოგიური რეგიონები, შავი ზღვა". არის იუნესკოს ოკეანოგრაფიული კომისიის შავი ზღვის რეგიონალური კომიტეტის პროგრამით გათვალისწინებული პროექტის „ნატანის ნაკადები შავ ზღვაში" ეროვნული კოორდინატორი. მონაწილეობდა შავი ზღვის შემსწავლელ რამდენიმე საერთაშორისო ექსპედიციაში. აღნიშნული საკითხების განხილვასთან დაკავშირებით მიწვეულ იყო საფრანგეთში, ამერიკაში, თურქეთში, ბულგარეთში, ისრაელში. მიღებული აქვს სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ვერცხლის მედალი (1987), ღირსების ორდენი (2000).

ძონოგრ.: Речные наносы и пляжеобразования на Черноморском побережии Грузии, Тб., 1988; Практическая экология морских регионов, Черное море, Киев, 1990 (соавт.); Реки Черного моря, Тб., 2003; The rivers of the Black Sea, Tbilisi, 2003 (წიგნის პირველი ვარიანტი, როგორც ტექნიკური ანგარიში, გამოვიდა კოპენჰაგენში ევროპის გარემოსდაცვითი სააგენტოს მიერ და განთავსდა ინტერნეტში).

ჯაფარიძე ალექსანდრა ბიჭიას ასული – JAPARIDZE ALEXANDRA (30.I.1895, ს. ხრეითი, ახლანდ. ჭიათურის საქალაქო საკრებულოს ტერიტ., – 27.XI.1974, თბილისი), მთამსველელი, პირველი ქართველი ალპინისტი ქალი, საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936). 1929 დაამთავრა თსუ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება დაუკავშირა მთამსველლობას. მონაწილეობდა საეტაპო მნიშვნელობის პირველ საბჭოთა ალპინისტურ ასვლებში: მყინვარწვერზე (1923), თეთნულდზე (1930), უშბაზე (1934), ცენტრალური კავკასიონის დიდ ტრავერსზე (1940) და სხვ. აღმოაჩინა და შეისწავლა ბეთლემის გამოქვაბული, რის შესახებაც გამოაქვეყნა სტატია კრებულში. ხელმძღვანელობდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ტურიზმისა და ალპინიზმის კაბინეტს. მინიჭებული ჰქონდა სსრკ სპორტის ოსტატის (1945), საკავშირო კატეგორიის მსაჯის ალპინიზმში (1960), საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის (1962) წოდება. დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენითა და მედლებით. მისი სახელი მიენიჭა მწვერვალს ჭაუხების მასივში. ს. ხრეითში მის მიერ დაარსებულ სკოლას (1913) მიენიჭა ალექსანდრა ჯაფარიძის

სახელი. იმავე სოფელში მამაპაპისეულ სახლში გახსნილია მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემორიალური სახლ-მუზეუმი (1983).

ლიტ.: ნეფარიძე ე. ძმათა ნამუხლარზე, თბ., 1964; მთის რაინდები, ქუთაისი, 1998, გვ. 18-19.

ჯაფარიძე ალექსანდრე (ალიოშა) ბიჭიას ძე – JAPARIDZE ALEXANDRE (8.II.1899, ს. ხრეითი, ახლანდ. ჭიათურის საქალაქო საკრებულოს ტერიტორია, – 12.X.1945, მწვერვალი უშბა, დაკრძალულია თბილისში), მთამსვლელი, საქართველოს ალპური კლუბის ერთ-ერთი დამაარსებელი (1936). 1930 დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ახლანდელი ტექნიკური უნივერსიტეტი) ელექტრო-მექანიკის ფაკულტეტი. მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ალპინიზმს დაუკავშირა. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო საუტაპო მნიშვნელობის პირველი საბჭოთა ასვლები თეთნულდზე (1930), უშბაზე (1934), პამირის უსახელო მწვერვალზე (1936), კავკასიონის ქედის ტრავერსზე (1940), პირველ ზამთრის ასვლას უშბაზე (1943) და სხვ. მან პირველმა შეისწავლა ხვამლის, ტვიშის, ორხვისა და ორპირის გამოქვაბულები, კაცხის სვეტი. იყო საქართველოს ალპური კლუბის თავმჯდომარე (1936-40, 1943-45) და სხვ. მინიჭებული ჰქონდა სპორტის ოსტატის (1934), სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატის (1941) წოდება. მისი სახელი მიენიჭა საქართველოს ალპურ კლუბს (1945), მწვერვალებს – კავკასიონსა და პამირზე.

თხზ.: უშბა, თბ., 1939; პამირის მთებში, თბ., 1940; თეთნულდი, თბ., 1948; რჩეული ნაწერები, თბ., 1949; Штурм Ушбы, М., 1940.

ლიტ.: ჯავრიშვილი კ., მთის რაინდი, თბ., 1962; მთის რაინდები, ქუთაისი, 1998, გვ. 15-17.

ჯაფარიძე ივანე ნოეს ძე – JAPARIDZE IVANE (22.II.1944, ქ. ჭიათურა), გეოლოგია-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 1967 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1966-დან მუშაობს ალ. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინსტიტუტში უფროსი ლაბორანტის, უმცროსი (1968), უფროსი (1983-დან) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ბევრს მოგზაურობდა მამასთან და ძმასთან ერთად, სადაც იკვლევდა მიუვალ მღვიმე-გამოქვაბულებს და ბუნების ფენომენებს. მონაწილეობდა როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ ექსპედიციებში. სახელშეკრულებო სამუშაოებს ასრულებდა ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოსა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრის კახეთის ექსპედიციასთან ერთად. სხვადასხვა წლებში დალაშქრა კავკასიონის მწვერვალები (მყინვარწვერი, ორწვერი, ყურო, გორი და სხვ.). 1980 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „აღმოსავლეთ საქართველოს ადრეშოიცენური ფლორა“. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო

ნაშრომი. ისინი ძირითადად ეხება მიოცენური პერიოდის ფლორის განვითარებას, პალეოგეოგრაფიული სურათის აღდგენას, რელიეფის, კლიმატის რეკონსტრუქციას და სხვ. მონაწილეობდა ხმელთაშუაზღვიური ნეოგენის მე-8 საერთაშორისო კონგრესის მიერ საქართველოში ჩატარებულ საველე სამუშაოებში (1985). სხვადასხვა წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიასთან არსებული დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა სახალხო უნივერსიტეტისა და გეოლოგიური საზოგადოების სწავლული მდივანი. იგი 30 წელზე მეტია იკვლევს ქართული ალპინიზმის ისტორიის საკითხებს, რაზედაც 100-მდე წერილი აქვს გამოქვეყნებული. გარდა ამისა, დაბეჭდილი აქვს სტატიები ენციკლოპედიებში, სპორტულ ცნობარებში, ქართველ სპორტსმენთა შესახებ გამოცემულ წიგნებში და სხვ. არის მოგზაურებსა და მთამსვლელებზე შექმნილი ექსი და ეკოლოგიის საკითხებზე გადაღებული ერთი სატელევიზიო ფილმის ავტორი, რომლიდანაც ერთმა მე-5 საერთაშორისო ფესტივალზე (2001) „ალპინისტური ტრადიციების შენარჩუნებისათვის" პრიზი მიიღო. არის საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის ჟურნალისტი (1982-დან). მთამსვლელობასა და მოგზაურობაზე მომზადებული და გადაცემული აქვს 1500-მდე ნარკვევი და სიუჟეტი. საქართველოს რადიოთი მის მიერ დამკვიდრებულ იქნა პროგრამა „ამერ-იმერი" და სატელევიზიო გადაცემის ციკლი „საქართველოს სოფლები". მისი თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით ს. ხრეითში (ჭიათურის რ-ნი) გაიხსნა და-ძმა ჯაფარიძეების სახლ-მუზეუმი (1983).

მონოგრ.: აღმოსავლეთ საქართველოს ადრემიოცენური ფლორა, თბ., 1982; საბჭოთა ალპინიზმის სახელოვანი წარმომადგენლები, ჭიათურა, 1988; კაცი-ლეგენდა – მიხეილ ხერგიანი, თბ., 2003.

ჯაფარიძე სიმონ ბიჭიას ძე – JAPARIDZE SIMON (13.V.1896, ს. ხრეითი, ახლანდ. ჭიათურის საქალაქო საკრებულოს ტერიტორია, – 27.VIII.1929, მწვერვალი თეთნულდი, დაკრძალულია თბილისში), მთამსვლელი, გეოლოგი. 1922-29 სწავლობდა ჯერ თსუ პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში (ახლანდ. ტექნიკური უნივერსიტეტი). მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ალპინიზმს დაუკავშირა. მისი მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა პირველი საბჭოთა ასვლები იალბუზზე (1925), ანდირჩსა და კურმიჩზე (1927), ახალი გზით მყინვარწვერზე (1926), პირველი საბჭოთა კინოექსპედიცია მყინვარწვერზე (1928) და სხვ. 1926-28 ხელმძღვანელობდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილებას. გამოქვეყნებული აქვს ალპინისტური წერილები, მათ შორის „ასვლები მყინვარწვერზე" 1926 წლის სექტემბერში (1959). აღმოაჩინა ლოპოტის მარმარილოს საბადო

(1929). მისი სახელი მიენიჭა ყაზბეგის მაღალმთიან მეტეოროლოგიურ სადგურს და კავკასიონის ერთ-ერთ მწვერვალს.

ჯაყელი ქრისტეფორე გერასიმეს ძე – JAKELI KRISTEPHORE (25.XII.1917, შრომა, ოზურგეთის რ-ნი, –21.XI.1991, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1950), პროფესორი (1986). 1934 დამთავრა ბათუმის რკინიგზის სატრანსპორტო-სამშენებლო სასწავლებელი. 1934-36 მუშაობდა ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკოს-მშენებლად. 1940 დამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი. მუშაობდა გეოგრაფიის კათედრაზე პრეპარატორად, შემდეგ ქუთაისის 25-ე საშ. სკოლაში მასწავლებლად. 1940 ჩაირიცხა თსუ ასპირანტურაში ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით (1941 გაიწვიეს სამამულო ომში), რომელიც 1948 დაასრულა. 1949 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდინარეების სუფსისა და ნატანების აუზების ფიზიკურ-გეოგრაფიული (ლანდშაფტური) დახასიათება". 1950-54 მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1954-დან კი თსუ-ში, 1974-87 იყო ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის გამგე. არის 170-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი, რომელთა შორის 100 გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. მისი კვლევის ძირითად საგანს შეადგენდა ფიზიკური გეოგრაფიის როგორც ზოგადი, ისე რეგიონალური პრობლემები. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ლანდშაფტების კომპლექსური თავისებურებების კვლევაზე, მათი რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და გარემოს დაცვის პრობლემებზე. გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი (ძირითადად მთიანი რეგიონების) ფიზიკურ-გეოგრაფიული კარტირებისა და დარაიონების საქმეში. მისი თანაავტორობით შედგენილია საქართველოს ბუნებრივი ზონების და ლანდშაფტური რუკები, ასევე ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების რუკები, რომლებსაც გარდა შემეცნებისა პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა აქვთ. იგი ავტორია მრავალი ათეული სამეცნიერო-პოპულარული, საენციკლოპედიო სტატიებისა. მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (1984).

მონოგრ.: ბუნებრივი რესურსების გამოყენება და ბუნების დაცვა, თბ., 1977 (თანაავტ.); Физическая география Закавказья, Ереван, 1986, (соавт.).

ლიტ.: ზაქარიაძე ე. დიდი სამამულო ომის ვეტერანები თბილისის უნივერსიტეტში, თბ. 1985, გვ.44; ირემაძე ა. ნაომარი მეცნიერები, თბ., 1987, გვ. 282-285.

ჯიბლაძე თეიმურაზ (სოსო) ვასილის ძე – JIBLADZE TEIMURAZ (8.II.1947, ქ. ოჩამჩირე, – 20.VII.1998, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1992). 1968 დამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი მეტეოროლოგიის სპეციალობით. იმავე წლიდან მუშაობდა თბილისის ამინდის ბიუროს ოპერატიულ

ჯგუფში ინჟინერ-სინოპტიკოსად. 1970-დან მუშაობას იწყებს თბილისის ავიამეტეოსადგურში ინჟინერ-სინოპტიკოსად, 1972-დან კი თსუ მარტყოფის ფიზიკურ-გეოგრაფიულ სტაციონარში ინჟინრის თანამდებობაზე. 1985-დან გადაყვანილ იქნა თსუ აეროკოსმოსური მეთოდებით გარემოს მდგომარეობათა შემსწავლელ სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში უმცროსი, უფროსი (1988) მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. 1995-96 შეთავსებით მუშაობდა თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრაზე, ხოლო 1996-დან თსუ სოხუმის ფილიალის გეოგრაფიის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე. მონაწილეობდა ევრაზიის მთიანი რეგიონების შემსწავლელ სამეცნიერო-საველე ექსპედიციებში. 1988-89 ექსპედიციის ხელმძღვანელია რაჭის, ქვემო ქართლის, ჯავახეთის, ზემო იმერეთის, ჩრდილო კავკასიის და სხვ. ექსპედიციებისა. იყო შორეულ ექსპედიციებში: კამჩატკაზე, კურილიის კუნძულებზე, შორეულ აღმოსავლეთში, ხიბინის მთებში, კარპატებში, ყირიმში. 1985 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებში მზის ენერგიის ტრანსფორმაციის საკითხები". გამოქვეყნებული აქვს 20-მდე სამეცნიერო ნაშრომი.

მონოგრ. Ландшафтные исследования на Марткопском стационаре, Тб., 1976 (соавт.).

ჯიბლაძე ილო (ილარიონ) პოლიაქტრის ძე – JIBLADZE ILO (25.XII.1916, ქ. ბათუმი, – 5.V.1992, თბილისი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1972). 1941 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით. მსახურობდა სამამულო ომში, საიდანაც დაბრუნდა 1945 ნოემბერში. 1946 მუშაობა დაიწყო აჭარის ასსრ განათლების სამინისტროში ინსპექტორად. იმავე წლის ნოემბრიდან გადადის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის კათედრაზე. 1969 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „ქ. ბათუმისა და ქ. ტუაფსეს შედარებითი ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება". შრომაში დეტალურად არის განხილული და ერთმანეთთან შედარებული ორი ქალაქის – ბათუმისა და ტუაფსეს მრეწველობა, განათლება, კულტურის კერები და საქალაქო მეურნეობა ეკონომიკურ-გეოგრაფიულ ჭრილში. ავტორია 32 სამეცნიერო ნაშრომისა.

მონოგრ.: ბათუმის რაიონი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული დასაბუთება, ბათუმი, 1960.).

ჯიბლაძე იოსებ ემილიანეს ძე – JIBLADZE IOSEB (15.IX.1909, თბილისი, – 15.IX.1967, იქვე), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. 1932 დაამთავრა თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი. 1936 დაამთავრა თსუ ასპირანტურა გეომორფოლოგიის სპეციალობით. 1948 დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია – „მდ. მტკვრის გეომორფოლოგია მცხეთასა და სოლანლულს

შორის". 1934-37 მუშაობდა თსუ ფიზიკური გეოგრაფიის კათედრის ასისტენტად, 1937-55 ჯერ უფროს მასწავლებლია, შემდეგ დოცენტი. 1937-38 შეთავსებით მუშაობდა თსუ არსებული გეოგრაფიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად და სწავლულ მდივნად. 1949-55 თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანია, ხოლო 1937-50 თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის კათედრის გამგე. იგი 25 სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის აღსანიშნავია გეომორფოლოგიური ხასიათის შრომები. ავტორია მრავალი სამეცნიერო-პოპულარული ნარკვევისა და სტატიისა. თარგმნა სახელმძღვანელოები – მეხუთე კლასის „ფიზიკური გეოგრაფია" და VII კლასის „სსრ კავშირის ფიზიკური გეოგრაფია".

ჯიბუტი დოდო მიხეილის ასული – **JIBUTI DODO** (24.VI.1937, დ. სურამი, ხაშურის რ-ნი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1960 წარჩინებით დაამთვრა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგია-გეოგრაფიის ფაკულტეტი გეოგრაფიის სპეციალობით. 1964 მუშაობა დაიწყო მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში ეკონომიკური გეოგრაფიის მასწავლებლად. 1969-დან მუშაობს თბილისის 147-ე საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად. წლების განმავლობაში იგი ბეჭდავს სხვადასხვა მეთოდურ წერილებს გეოგრაფიის სწავლების შესახებ. არის IX კლასის სოციალური და ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელოს თანაავტორი, VI კლასის სახელმძღვანელოს „დედამიწა – ჩვენი პლანეტა" რეცენზენტი. მონაწილეობდა გეოგრაფიის მისაღები გამოცდების პროგრამისა და გეოგრაფიის სასწავლო პროგრამის შედგენაში. მონაწილეობს სტუდენტ-პრაქტიკანტთა და სკოლის მოსწავლეებს შორის ერთობლივ კონფერენციებსა და ექსკურსიებში. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (1997), „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშნით (1983). მინიჭებული აქვს უფროსი მასწავლებლის წოდება (1984), თბილისის წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება (1983, 1984, 1986), თბილისის მერიის მიერ მინიჭებული აქვს თბილისის საპატიო მასწავლებლის წოდება (1996), საქართველოს პრეზიდენტის მადლობა (1996), მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორიის მასწავლებლის წოდება (1997), არის ქალაქის მეთოდკომისიის და განათლების სამინისტროს გეოგრაფიის მეთოდგაერთიანების საბჭოს წევრი.

ჯიბუტი ნადეჟდა მაკარის ასული – **JIBUTI NADEZHDA** (8.VIII.1914, ს. შუა განახლება, ჩოხატაურის რ-ნი, 19.VI.2003, ქ. ბათუმი), გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი (1949). 1936 დაამთავრა თსუ გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობით. 1937-დან მუშაობს ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფიის კათედრაზე. არჩეული

იყო საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის დეკანად (1942-49), გეოგრაფიის კათედრის გამგის (1949-63) თანამდებობაზე. კითხულობდა ლექციებს ზოგად დედამიწისმცოდნეობაში, ლანდშაფტმცოდნეობაში, ჰიდროლოგიაში, საქართველოს ფიზიკურ გეოგრაფიაში და სხვ. თსუ გაიარა ასპირანტურის კურსი პროფ. ბორის დობრინინის ხელმძღვანელობით. 1946 ქ. ლენინგრადში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ეხებოდა აჭარის ტერიტორიის ბუნებრივ-ანთროპოგენურ ლანდშაფტებს. შემდეგში აგრძელებს კვლევებს დასავლეთ საქართველოს ბუნებრივ-ანთროპოგენური ლანდშაფტების შესასწავლად. ჩამოაყალიბა ანთროპოგენური ლანდშაფტების კლასიფიკაცია. იგი დაჯილდოებული იყო სახალხო განათლების წარჩინებული მუშაკის წოდებით და სამკერდე ნიშნით. არჩეული იყო საქ. გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმის საპატიო წევრად.

მონოგრ.: აჭარის ასსრ, ბათუმი, 1957 (თანაავტ.); აჭარა 50 წლისაა, ბათუმი, 1970 (თანაავტ.); Аджария, 1978 (соавт.).

ლიტ.: ფალავანდაშვილი შ. კვალი ნათელი, გაზ. „აჭარა" 1994, 21.IX; ჩვენი უბერებელი აღმზრდელი, გაზ. „სინათლე", 1995, აპრილ-მაისი.

ჯიშკარიანი ვარლამ (ჯუმბერ) მიხეილის ძე – JISHKARIANI VARLAM (15.VI.1938, ქ. სენაკი), გეოგრაფი, პალეოლოგი. 1959 დაამთავრა თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი და მუშაობდა გეოგრაფიის ინსტიტუტში ტექნიკოს-კარტოგრაფის თანამდებობაზე. 1965 დაამთავრა პუშკინის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი (სულხან-საბა ორბელიანის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი) გეოგრაფიის სპეციალობით. სტუდენტობის დროს მონაწილეობდა სამეცნიერო ექსპედიციებში და კვლევის შედეგები არაერთ კონფერენციას მოახსენა. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში. 1986-დან მეცნიერ თანამშრომლის თანამდებობაზეა, ხოლო 1997-99 კარსტოლოგია-პალეოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი იყო. ვ. ჯიშკარიანის მონაწილეობით შესწავლილია 300-ზე მეტი მღვიმე და უფსკრული. მათ შორის აღსანიშნავია ახალი ათონის მღვიმე, რომლის პირველი გეგმაც მის მიერ არის შედგენილი. 1984 ინსტიტუტის პალეორაზმმა მისი ხელმძღვანელობით წყალტუბოში (ს. ყუმისთავი) აღმოაჩინა მღვიმე, რომელიც ერთ-ერთი უნიკალურია ევროპაში. 1985 მთავრობის საგანგებო დადგენილებით გადაწყდა მღვიმისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა. სამეცნიერო-კვლევითი და კეთილმოწყობითი სამუშაოების ხელმძღვანელობა ვ. ჯიშკარიანს დაევალა. მღვიმეების კეთილმოწყობის საქმეში დაგროვილი მდიდარი გამოცდილების გაცნობის მიზნით იგი 1999 მიაელინეს აშშ-ში. მეცნიერის კვლევის სფეროა საქართველოს მღვიმე-უფსკრულების კვლევა, რის შესახებაც 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი

აქვს გამოქვეყნებული. დიდი წარმატებით მოღვაწეობს ჟურნალისტიკის დარგში, არის ჟურნალისტთა კავშირის წევრი. რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში მის 500-ზე მეტი წერილი აქვს გამოქვეყნებული, რომლებიც მკითხველებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

მონოგრ.: ზუგდიდი (გზამკვლევი), თბ., 1977 (თანაავტ.); В пещерах Грузии, Тб., 1986 (соавт.); Содержание аэрионов и естественная радиоактивность воздуха в Цхалтубской пещере, Тб., 1994.

ჯორჯაძე მარიამ სიმონის ასული – JORJADZE MARIAM (28.VIII.1888, ქ. სიღნაღი, – 5.V.1979, თბილისი), გეოგრაფიის მასწავლებელი. 1937 დაამთავრა თსუ პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფიის მასწავლებლის სპეციალობით. 1917 მუშაობა დაიწყო გრემის (ყვარლის რ-ნი) დაწყებითი სკოლის მასწავლებლად. 1919-დან დაინიშნა იმავე სკოლის გამგედ. 1924-29 იყო ენისელის საბჭოს დეპუტატი. პარალელურად ბუნებისა და ძეგლთა დაცვის რწმუნებული ყვარლის რ-ში. 1928 გადმოყვანილ იქნა ქ. თბილისის მე-10 სკოლაში მასწავლებლად. 1938 დაინიშნა ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. 1930 განსახკომის მიერ მივლინებულ იქნა ქ. მოსკოვსა და ლენინგრადში სასწავლო საქმიანობის შესასწავლად. ნახევარი საუკუნე იღვაწა პედაგოგიურ საქმიანობაში. გამოაქვეყნა რიგი მეთოდური და სხვა პედაგოგიური ხასიათის წერილები. მონაწილეობდა სახელმძღვანელოების შედგენაში. ერთდროულად საქმიანობდა მოსახლეობის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაციისათვის. მიღებული ჰქონდა დამკვრელი მასწავლებლის წიგნაკი (1932-35), „სახალხო განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი (1946). დაჯილდოებული იყო მედლით „1941-45 დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის", ლენინის ორდენით (1949), მრავალი ორდენითა და მედლით. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული მასწავლებლის წოდება (1948). იყო ქ. თბილისის საქალაქო საბჭოს II, III და IV მოწვევის დეპუტატი.

ჯორჯაძე ქეთევან სარდიონის ასული – JORJADZE KETEVAN (25.VII.1925, ს. დაბლაცხე, ჩოხატაურის რ-ნი), საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების სწავლული მდივანი. 1948 დაამთავრა თსუ ეკონომიკური ფაკულტეტი და იმავე წლიდან დღემდე მუშაობს საქართველოს გეოგრაფიულ საზოგადოებაში სხვადასხვა თანამდებობაზე, ამჟამად საზოგადოების სწავლული მდივანია. 55 წელი გაატარა გეოგრაფიის სამსახურში, 25 წელი აკადემიკოს ალექსანდრე ჯავა-ხიშვილის, 10 წელი აკადემიკოს თეოფანე დავითაიას გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტობის დროს მოღვაწეობდა და დიდ მადლობას იმსახურებდა. მას ძნელბედობის დროსაც არ მიუტოვებია გეოგრაფიული საზოგადოების კედლები და მის სიხარულსა და ჭირ-ვარამს ერთნაირად

იზიარებდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა გეოგრაფიული საზოგადოების საველე ექსპედიციებში. 1945 ივ. მარის ხელმძღვანელობით მოწყობილ სვანეთის ექსპედიციაში იყო, ხოლო 1949 იმყოფებოდა გულის მყინვარზე ალპინისტებთან ალ. ჯაფარიძესა და მ. უთმელიძესთან ერთად. იგი არაერთხელ იყო საკავშირო გეოგრაფიული საზოგადოების ყრილობის დელეგატი. მონაწილეობდა გეოგრაფიული სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მუშაობაში. დაჯილდოებულია ღირსების მედლით (2000).

მხატვრები: გიორგი სუმბაძე,
ნოდარ სუმბაძე

რედაქტორი ლამარა კვინიკაძე
ტექრედაქტორი მედეა ასათიანი

ოპერატორები: ირმა ფსუტური
ეთერ კოჭლაშვილი
ქეთინო ნიკოლაშვილი

დამკაბადონებელი თენგიზ ჯაფარიძე

გადაეცა წარმოებას VIII.03, ხელმოწერილია
დასაბეჭდად 15.XII.03, ქაღალდის ზომა
84x100 $^{1}/_{16}$. ნაბეჭდი თაბახი 21.

ტირაჟი 500 შეკვეთა № IX-22

სააქციო საზოგადოება „გამომცემლობა განათლება"
თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის 50.
2003

სააქციო საზოგადოება „კარტოგრაფია"
თბილისი, ფორე მოსულიშვილის 1.
2003